საქართველო ... ლო და თბილ ... ზასმული ბაზარში
®
www.t...iselebi.ge
№32(711)
1,50 ლარი



გვ. 87
როგორ აპირებს ამერიკულ მუსიკალურ სამოთხეში მოხვედრას სალომე ქათამაძე და გახდა თუ არა ქმართან დაშორების მიზეზი ამერიკაში წასვლა

ვის გაურთულა ირმა ინაშვილმა ცხოვრება და ვისი სული უყვარს მას 15 წელი
გვ. 14

გვ. 22
დაიშლება თუ არა „დუეტი ჯორჯია" და რამდენ ხანს ექნება მას შემოქმედებითი პაუზა

გვ. 82
რატომ არის კურორტზე წასული ხატია შამუგია სულ შეყვარებული და ვინ აგრძნობინა მას თურქეთში თავი ნამდვილ ქალად



გვ. 15
რატომ გაატარებინა სასჯელაღსრულების მინისტრმა ცოლს თაფლობის თვე მარტოს და ვინ არის მისი „პარასკევა"



ვის ვერ გამოჰყავს მდგომარეობიდან თამუნა მუსერიძე და ვისთან ერთად გეგმავს ის აქტიურ დასვენებას
გვ. 19



გვ. 18
ვინ დადგა ლაშა ხოზაშვილსა და მის პარტნიორზე „ბოსტონ ბალეტში" საპრემიერო სპექტაკლი და როგორ დაიმსახურა „ლინკოლნ ცენტრში" დიდი მოწონება



გვ. 74
რატომ აკითხავენ ყოველ საღამოს გია სურამელაშვილის ფანები „ბროდვეის" და რით ანებივრებს ის თაყვანისმცემლებს

# მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!


კორესატინი
ზაფხული სოკოს გარეშე
კორესატინი
სოკოვანი დაავადებებისთვის
30გ კრემი
ამარცხებს სოკოს!
მოწოდებულია სოკოვანი ინფექციების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის
სიცხე, მაღალი ტენიანობა და ულტრაიისფერი გამოსხივება აზიანებს კანს, ქმნის სოკოვანი დაავადებისათვის ხელსაყრელ პირობებს.
ტერფის ჭარბი ოფლიანობა, აუზსა და ზღვაში ბანაობა, საერთო საშხაპის გამოყენება ხელს უწყობს ტერფის სოკოს გავრცელებას.
კორესატინი
ხელს უშლის კანში სოკოს უჯრედების შეღწევას და გამრავლებას
აუმჯობესებს კანის ასეპტიკურ მდგომარეობას
აღადგენს კანის დამცველობით ფუნქციას
იცავს კანს გამოშრობისგან
ამცირებს გამონაყარს, აქერცვლას, კანის გაღიზიანებას და ნახეთქებს
სწრაფად ხსნის წვას და ქავილს
კორესატინი
სოკოვანი დაავადებებისთვის
30გ კრემი
ამარცხებს სოკოს!
ზღვაზე ან აუზზე ყოფნისას ყოველდღიურად გამოიყენეთ კორესატინის კრემი სოკოვანი დაავადებებისთვის
დაიცავით თავი ტერფის სოკოსგან:
თითებშუა ნაოჭების აქერცვლა და სიწითლე
ქუსლის კანის გაუხეშება და ნახეთქები
კორესატინი დაიტანება სუფთა, კარგად გამშრალებულ კანზე დღეში რამდენჯერმე.
coresatin
coresatin
Corena Therapeutics Sarl, შვეიცარია
უსაფრთხოა ყოველდღიური გამოყენებისას!

# რა საფრთხეს უქმნის ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზული დაავადებები ადამიანს და როგორ უნდა დავიცვათ თავი გართულებებისგან

*ბოლო პერიოდში საკმაოდ იმატა ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზულმა დაავადებებმა. ზაფხული სწორედ ის სეზონია, როცა ამ დაავადებას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით კი, მათ მიერ, ვისაც მზე და რუჯი უყვარს. მართალია, ვენურ უკმარისობას საწყის ეტაპზე სერიოზულად არ აღიქვამენ, მაგრამ ის ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე ჰგონიათ. ამ თემასთან დაკავშირებით კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს ვეწვიეთ, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხითა და ხელმისაწვდომი ფასებით. ჩვენი რესპონდენტია სისხლძარღვთა პლასტიკური და რეკოსტრუქციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ირაკლი ფერაძე.*

**ირაკლი ფერაძე**: დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაავადებულია ვენების ვარიკოზული დაავადებით. ამ პათოლოგიას ახასიათებს სიმძიმის შეგრძნება ქვედა კიდურებში, რომელიც პრაქტიკულად მთელი დღის განმავლობაში აღინიშნება და საღამოს ძლიერდება. პირველი გამოვლენა შესაძლოა, იყოს კოსმეტიკური პრობლემები. მაგალითად, ქვედა კიდურების შეშუპება, ასევე კანის ფერის შეცვლა და ლაქები კიდურებზე. ზოგჯერ თვალსაჩინოა ვარიკოზული კვანძების განვითარებაც. ამ დაავადების სივერაგე ისაა, რომ ასეთ დროს, პაციენტს ტკივილი არ აწუხებს, მაგრამ როგორც კი ტკივილი იჩენს თავს, უკვე პრობლემები გართულებულია. არსებობს რამდენიმე სერიოზული გართულება, რომელთაგან აღსანიშნავია თრომბოფლებიტი, როგორც ზერელე, ასევე ღრმა ვენების. მისი გართულებაა თრომბოემბოლიური დაავადება. ხშირი პრობლემაა ვარიკოზული (ვენური) წყლულები, წითელი ქარი და კიდევ უამრავი სხვა დაავადება, რაც ძალიან ამცირებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს.

დაავადების სივერაგე ისაა, რომ ყველაზე აქტიურ ასაკში ემართება ადამიანს და უმეტესად ქალებს. 35 წლიდან 55 წლამდე არის გართულებების პიკი. ხდება ისეც, როცა 20-25 წლის ქალს მშობიარობის მერე ფეხები შეუშუპდება ან ვენური ქსელი დაეტყობა, დიდ ყურადღებას არ აქცევს და კოსმეტიკური პრობლემა ჰგონია. მოგვიანებით მოჰყვება გართულებები, რომელიც სოციალურად აქტიურ ადამიანს გრძელვადიან პაციენტად აქცევს. დაავადება სერიოზულ მართვას საჭიროებს, თვითმკურნალობა უშედეგოა და ზოგჯერ სავალალოც.



**– უამრავი სხვადასხვა მედიკამენტი არსებობს გელის სახით, რომელსაც პაციენტები თვითნებურად მოიხმარენ.**

– ეს შეიძლება, დამხმარე საშუალებად გამოიყენონ, მაგრამ არა სამკურნალოდ. ყველაზე მნიშვნელოვანია ვენოტონური პრეპარატები და ელასტიკური კომპრესია. განსაკუთრებით ვარიკოზული კვანძების პერიოდში, კარგად შერჩეული ელასტიკური წინდის ან ბინტის გარეშე, პაციენტის მკურნალობას შედეგი, პრაქტიკულად, არ აქვს. ამ საშუალებების შერჩევასაც სპეციალისტი სჭირდება. ჩემი რჩევაა, პაციენტმა საწყის ეტაპზევე მიმართოს ექიმს.

**– რა არის დაავადების ხელშემწყობი მიზეზები?**

– უპირველესად, ეს არის ფეხზე დიდხანს დგომა, ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი. კარგია სირბილი, ვარჯიში, ცურვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – სიმძიმის აწევა. არ არის რეკომენდებული მოჭერილი ჯინსი, ისევე როგორც მოჭერილი ქამარი, მოჭერილი წინდა. რაც შეეხება ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლეს, ქუსლი უნდა იყოს მაქსიმუმ 5 სანტიმეტრი. მაღალ ქუსლზე სიარულისას ზიანდება ვენური სისტემის სარქველები, კუნთი მუდმივად დაჭიმულია, არ ხდება კუნთის მოდუნების და შეკუმშვის მონაცვლეობა. ვითარდება ვენური უკმარისობა. არ არის რეკომენდებული ასევე, ცხელი აბაზანის მიღება ქვედა კიდურებზე. შხაპი უნდა დაამთავროთ წვივებზე მიმართული ცივი წყლის ნაკადით.

**– შესაძლებელია თუ არა ამ დაავადების ქირურგიული მკურნალობა?**

– ქირურგიის ეროვნულ ცენტრში ფართოდაა განვითარებული სისხლძარღვთა და რეკონსტრუქციული ქირურგია, რაც მოიცავს ყველა ტიპისა და სირთულის ოპერაციას ვენებსა და არტერიებზე. მრავალწლიანი გამოცდილება გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ ქირურგიის ეროვნულ ცენტრში მომართვის შემთხვევაში, პაციენტებს ჩაუტარდებათ ადეკვატური მკურნალობა, როგორც თერაპიული, ისე ქირურგიული ჩარევის სახით.

**– რამდენად ხელმისაწვდომია ოპერაციები ვენებზე?**

– ქირურგიის ეროვნული ცენტრი მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც გეგმურ ოპერაციებზე მხოლოდ 30 პროცენტის გადახდა უწევს პაციენტს. ჩვენი პრიორიტეტია დაავადების დროული დიაგნოსტიკა, დაავადების პროგრესირების შეჩერება და პაცინეტთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

*ქირურგიის ეროვნული ცენტრის მისამართია: ჩაჩავას 5.*
*220 25 25 / 577 119 119*

**მარიკა ხიდურელი**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ დაემთხვა ირანისთვის ენეგრომატარებლებზე ემბარგოს მოხსნა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის განახლებას და რატომ აღმოჩნდება საქართველო გარდაუვლად ჩათრეული ამ ომში .................. 6

რატომ უჭირთ 9-10 წლის ქართველ მოზარდებს კითხვა და წაკითხულის გააზრება, შესაბამისად, უჭირთ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა და რატომ ვერ ახერხებს მოსწავლეთა დიდი ნაწილი მარტივი დავალებების შესრულებას ...... 8

როგორ გახდა 2011 წელს „სილქნეტის“ შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის დირექტორის მოადგილე ოთარ დანელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი .................. 9

რა შემთხვევაში და პირობებით აჩუქებს სახელმწიფო მიკროსაწარმოების შექმნის მსურველებს 5 000-5 000 ლარს .............. 10

როგორ უნდა ვაქციოთ შავი პიარი ჩვენთვის ხეირად და რატომ არის საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა პიარი .................. 12

რა საიდუმლოს ინახავდა ქალების საცვლების მაღაზიის სარკეები გასახდელებში .................. 13

რა ასაკშია აუცილებელი მშობლის აქტიური ჩართვა ბავშვის აღზრდის პროცესში და როდისაა მიზანშეწონილი ბებია-ბაბუის გააქტიურება .................. 16

როდის ნანობს ცოლი გულახდილობას და როგორი შურისძიება შეუძლია ზოგიერთ ქმარს .................. 20

როდის ხდება ადამიანი ეშმაკის მოკავშირე და როგორ აბრკოლებს მორწმუნე საკუთარი ქცევით სხვებს .................. 24

„ბარსელონის“ ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერები .................. 26

რობერტ მუგაბე – 90 წლის აფრიკელი დიქტატორი .................. 27

რატომ უთვლიდა ლიანა ასათიანი მამაკაცებს კომპლიმენტებს არაგულწრფელობაში .................. 30

წელიწადის რომელ პერიოდშია თქვენი წინასწარმეტყველური ნიჭი და ტელეპათიური უნარი ზენიტში .................. 32

რა გავლენას ახდენს პლანეტები ჩვენს წარმატება-წარუმატებლობაზე და როგორ გავხდეთ უფრო იღბლიანები .................. 36

როგორ აღკვეთა ტიტოს, დიმიტროვის და ხოჯას თავნებობა სტალინმა .................. 37

როგორ მოქმედებს კონკრეტული სტიქიის ქვეშ დაბადებულ ადამიანზე კონკრეტული ფერები ასტროლოგიურად .................. 41

ადვოკატი გირჩევთ .................. 54

ფლორის სამყაროში .................. 54

ვეტერინარის რჩევები .................. 55

რა დაუწერელი საგზაო ნიშნები უნდა იცოდეს ყველა მძღოლმა .................. 55

კაცობრიობის გადასარჩენად .................. 56

მაფიის შვილობილი .................. 60

როგორ გახდა ხრუშჩოვის ორეული თბილისელი სტუდენტი ცნობილი საბჭოთა აფერისტი, მეტსახელად „ნიკიტიჩა“ .................. 64

რატომ აწამა კლიენტმა ცნობილი მკითხავი და როგორ დაეუფლა მის ფულსა და ძვირფასეულობას .................. 65

რა დაბრკოლებების გადალახვა მოუწია ქართველ ბარიტონს და რა გაიღო მან მსხვერპლად .................. 70

როგორ გადაწყვიტა ქვეყნის მომავალი ვახტანგ გორგასლის სიზმარმა .................. 72

როგორ ცხოვრობს გოგონა, რომელიც სასჯელს მეუღლის მკვლელობისთვის იხდიდა და საპატიმრო ახლახან დატოვა .................. 73

ვინ იყო ქართველი გენერალი, რომელსაც რომის პაპი, იტალიის იმპერატორი და ადოლფ ჰიტლერი დიდი პატივით იღებდა .................. 76

სიცილიის ტირან აგათოკლეს ჯარებით კართაგენის გარემოცვის დროს მსხვერპლად 500 ბავშვი შეიწირა .................. 77

რა შემთხვევაშია დიეტა ეფექტური და როდის და როგორ დავიცვათ თავი ჭარბი წონისგან .................. 80

როგორ იძია შური ქალბატონმა მოღალატე ქმარზე და რა აცინებდა მიცვალებულს .................. 81

## განაღრფთოვანებულები

### ასე იწრთობოდა სამოქალაქო საზოგადოება

რაკი წინასაარჩევნო მარათონია, თურქი პოლიტიკოსებიც გაცხარდნენ და ამომრჩევლისთვის თავის მოწონებასა თუ მისი გულის მოგებას მთელი ეშხითა და ძალით ცდილობენ. გამონაკლისი არც თურქეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ერდოღანია, რომლის გურჯული ფესვებიც წინა ხელისუფლებას ფრიად აღაფრთოვანებდა.

მაგრამ აღფრთოვანება აღფრთოვანებად დარჩა, ვინაიდან, ერთ-ერთი ტელევიზიით წინასაარჩევნო გამოსვლისას ბ-ნმა ერდოღანმა იმის დასადასტურებლად, რომ ყველა ერთად აღებულ თურქზე უფრო თურქია (რაც პირადად მე სავსებით ბუნებრივი მგონია, განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ თურქეთის პოლიტიკოსისთვის), ფრიად არაკორექტულ კონტექსტში მოგვიხსენია.

სახელდობრ, ბრძანა შემდეგი: „მეძახდნენ ქართველს, ბოდიში მომითხოვია, ასევე უარესსაც ამბობდნენ, ისინი სომეხსაც მეძახდნენ, ვამაყობ, რომ თურქი ვარ (განა ჩვენ ვუშლით?! მე მას ვეთანხმები, ქართველობა დიდი პატივია – )!"

თუ განცხადების შინაარსით ვიმსჯელებთ, ის, უდიდესი ალბათობით ბ-ნი ერდოღანის კომპლექსებითაა ნაკარნახევი, თუმცა ჩვენს სამშობლოში ჩვენი თანამემამულეების ნაწილი კვლავ აღშფოთდა ჩვენს მთავრობაზე, რატომ არ მოითხოვს ბ-ნი ერდოღანისგან ბოდიშის მოხდასო (მე რომ მკითხოთ, დუელში გამოწვევა აჯობებდა!). არ შევჩერდები გულის მოფხანის მეთოდების ავკარგიანობაზე, ვინაიდან, რაციონალურად გათვლილი ქმედებების უიმედო ტრფიალი ვარ, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ, რაც მთავარია, თურქეთის საზოგადოება, მედია და ექსპერტები მიმართავენ ბ-ნ ერდოღანს და მოითხოვენ, სასწრაფოდ მოიხადოს ბოდიში მეზობელი სახელმწიფოს მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი განცხადების გამო. –

უფრო მეტიც, თურქი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ასეთი ნაციონალისტური განცხადებები ბ-ნ ერდოღანს ხმებს დააკარგვინებს, რაც პირადად ჩემში თეთრ შურს იწვევს, რადგან თეთრი ხელთათმანის სროლას დიდი გათვლა არ სჭირდება, პრობლემა სამოქალაქო საზოგადოების გამოწრთობაა!

## განრისხებული მამაკაცები ვიეტნამური გამოცდილებით

ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო, თვალშისაცემად იმატა მამაკაცთა მხრიდან ქალებზე ძალადობის ფაქტებმა, თვით მკვლელობების ჩათვლით. ამას წინათ უარესიც მოხდა: სიმამრმა სიძე მოკლა, რომელიც მის ქალიშვილზე პერმანენტულად ძალადობდა. მეორე მხრივ, ის ახლახან იყო გამოსული ციხიდან, სადაც სასჯელს მეორე ქალიშვილის მოძალადე ქმრის მკვლელობის გამო იხდიდა.



რაკი ძალადობა უფრო და უფრო მასშტაბური ხდება, ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროც სემინარს სემინარზე აწყობს, ოღონდ ამას ჯერჯერობით შედეგზე არ უმოქმედია. თუმცა, თუ გულზე ხელს დავიდებთ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ძალადობის ყველა მსხვერპლი ქალი არ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს ძალადობის გამოვლინებისთანავე.

ასეა თუ ისე, თუკი ჩვენთან ცოლზე გაბრაზებას ცოლზევე ან პარტნიორზე ანთხევენ, სულ სხვა გზით წავიდა ვიეტნამელი მამაკაცი, რომელმაც ცოლის დასჯის ასეთი ხერხი აირჩია: მან თავისი სასქესო ორგანო, არც მეტი, არც ნაკლები, მოიჭრა და არხში გადააგდო! ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს, მაგრამ, არხში გადაგდებულის – ვეღარ.

ვიეტნამელმა ექიმებს აუხსნა, რომ ცხელ გულზე ცოლის დასასჯელად სხვა ვერაფერი მოიფიქრა. ხოლო, თუ ჩვენს რეალობაში არსებულ ცოლსა და პარტნიორ ქალზე გაბრაზებულ მამაკაცთა ოდენობას გავიხსენებთ და მათ მიერ დაზარალებულ და დახოცილ ქალებს, ვფიქრობ, ამ მიმართულებით სტატისტიკის გასაუმჯობესებლად, ვითომ ურიგო იქნებოდა, თუკი ჩვენებური განრისხებულებიც რისხვისგან გასათავისუფლებლად ვიეტნამურ გზას აირჩევდნენ?!

## რათა 200?!

### ანუ გაღრმავებულები

თუკი აგვისტო ჩვენთვის მძიმე თვეა, ჩვენებური სეპარატისტებისთვის ის უფრო სიხარულთან ასოცირდება – 2008 წლის 26 აგვისტოს რფ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ერთიცა და მეორეც აღიარა.

თუმცა მას შემდეგ და, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს ისინი რფ-ის კმაყოფაზე არიან და იქნებიან, მაინც ფრიად ამაყობენ „დამოუკიდებლობით" და, რუსულ ბაზებს ამოფარებულები ფრიად დიდ გულზეც ბრძანდებიან (ან ვითომ რატომაც არა?!).

გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ „იუჟნაია ოსეტიას" ზახარ ვანეევის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გამოსაცემად ოსურ-აფხაზურ ლექსიკონს ამზადებს. ხსენებული ინსტიტუტის დირექტორი რობერტ გაგლოევი გვამცნობს, რომ იგი 200-ეგზემპლარიანი ტირაჟით წლის ბოლომდე გამოქვეყნდება. კერძოდ, „ეს იქნება ისტორიაში პირველი ოსურ-აფხაზური ლექსიკონი, რომელშიც 4 ათასზე მეტი სიტყვა შევა. მოსამზადებელი სამუშაოები ჩვენს აფხაზ კოლეგასთან, მწერალ ილია გაგლოევთან ერთად განხორციელდა. სიტყვების შეგროვებისა და თარგმნის შრომატევადი პროცესი ორი წელი გაგრძელდა (მეტხანსაც უნდა გაგრძელებულიყო!)." – )".

როგორც გაირკვა, ლექსიკონებს ძმურად გაიყოფენ: 100-ს თვითონ დაიტოვებენ, 100-ს კი აფხაზ ძმებს გაუგზავნიან. ზედაც, იმედოვნებენ, რომ „ასეთი ლექსიკონის გამოცემა ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას აფხაზ და ოს ხალხებს შორის".

ვითომ, რუსულ ტანკებზე მეტად გაუღრმავებთ?!


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




განყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# ნორმადაუკმაყოფილებლები

## არაპარიტეტულობით შეწუხებული

მართალია, **წინასწარ ვიყავით ინფორმირებულები, რომ ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების მოძრაობას კრძალავდა საკუთარ ტერიტორიაზე** (ბუნებრივია, მასაც უნდა ევროპულ მარაქაში გარევა, და მერე რა, რომ ევროკავშირთან ასოცირებას ხელი არ მოაწერა, იმიტომ, რომ ბ-ნ ალიევს სიტყვა „ასოციაცია“ ეტოშა?!), მაგრამ **ჩვენმა მშობლიურმა შსს-მ ოფიციალურად მაინც გაგვაფრთხილა**, რომ, **რაკი მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძალაში შედის ახალი რეგულაციები, გაითვალისწინონ, რომ „ევრო 4“ სტანდარტის არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებები აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიშვებიან** მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ მეპატრონე აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრის კვეთისას შესაბამის ანგარიშზე შეიტანს ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების 30 პროცენტიდან 40-მდე საგარანტიო თანხას**, რომელიც ავტომფლობელს მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიის დატოვების შემდეგ დაუბრუნდება.



უფრო მეტიც, **ნორმადაუკმაყოფილებელი ავტოტრანსპორტით მოძრავ მძღოლს აზერბაიჯანის მოქალაქის წერილობითი თანხმობაც დასჭირდება**, რომელიც თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას „ევრო 4-ის“ სტანდარტის არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში.

სავსებით ბუნებრივია, აბა, **ჩვენ რა უნდა გვქონდეს იმის საწინააღმდეგო, თუკი ჩვენს მეზობლად ახალთახალი ავტოებით ისრიალებენ** და, იმის **ფუფუნებაც თუ ექნებათ, აკრძალონ „ევრო 4“-ის სტანდარტს ქვემოთ ავტომანქანები,** მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანიას ჩვენს ქვეყანაში „ევრო 2“ სტანდარტის საწვავი შემოაქვს და ფრიად წარმატებითაც ყიდის, ცოტა არ იყოს, **არაპარიტეტულობის გრძნობა მეუფლება! –**

# სანქციებში გაქყლეტილები

## ვაჭრობა მომცრო დახლზე

რაკი **დასავლეთმა რფ-ის მიმართ სანქციებს კბილი მოუსინჯა,** რეაქცია **არც ამ უკანასკნელმა დააგვიანა** და გასულ კვირას რფ-ის პრეზიდენტმა განკარგულებაც გამოსცა, რის მიხედვითაც, **რუსეთის ტერიტორიაზე სრულად აიკრძალა ევროკავშირიდან, აშშ-დან, ავსტრალიიდან, კანადიდან და ნორვეგიიდან ხილისა და ბოსტნეულის, ზედაც, საკვები პროდუქტისა და ნედლეულის შეტანა** (თუმცა, საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ მთლად ყველა პროდუქტიც არ აუკრძალავთ).



მეორე მხრივ, საინტერესო ის არის, რომ, **როგორც წესი, აქაც პატარები გაიჭყლიტნენ,** რადგან, **ევროკავშირის სწორედ არცთუ მსხვილი ქვეყნები ეწეოდნენ დიდ რუსეთში ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტს**, მსხვილ-მსხვილებს **გაცილებით სარფიანი ტექნოლოგიური ვაჭრობა აქვთ გაჩაღებული. –**

კერძოდ, **რუსული მხარე ბრძანებს, რომ არანაირი შეფერხება არ ელის იმ უცხოურ წარმოებებს, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზეა გახსნილი**: ანუ ევროპული ფული მჭირდება, ვაშლები და პომიდვრები – არაო.

თუმცა, როგორც ჩანს, **მსხალი და კომბოსტოც საჭიროა**, ამიტომაც „როსსელხოზნადზორმა“ გაამხილა, რომ მთელი რიგი **ლათინოამერიკული ქვეყნების დიპმისიებთან აპირებს შეხვედრას**, რომ **იმ ქვეყნებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი გაზარდოს. პრ. პუტინმა კი მთავრობას დაავალა**, გამოაქვეყნოს იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რის შემოტანაც ევროკავშირიდან რფ-ის ტერიტორიაზე მკაცრად აიკრძალა!

ამის ფონზე ჩვენი **სოფლის მეურნეობის** ახლად დანიშნულმა **მინისტრმა გვახარა, რომ, შესაძლოა, რფ-ში ქართული სოფლის მეურნეობის ექსპორტი გაიზარდოსო**. თავის მხრივ, **ჩვენი საზოგადოების ნაწილი აღაშფოთა ამ განცხადებამ**: რამეთუ **ჩვენი ვაშლებიც ისევე უნდა დაიტანჯონ, როგორც პოლონური ვაშლები იტანჯებიან**!

პირადად მე ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ამ ჩვენს მინისტრს მაინცდამაინც ხმამაღლა არ უნდა ეთქვა, **იქნებ ხელი მოვითბოთ ევროკავშირისთვის გამოცხადებლი რუსული აკრძალვითო** (იმიტომ რომ, სავარაუდოდ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება და **ჩვენც მივეყოლებით ევროკავშირს ჩვენი კიტრებიანად**) და, რაც მთავარია: **თუ გავიხსენებთ**, რომ, მას შემდეგ, **რაც 2008-ში რფ-მ საფუძვლიანად დაგვნაყა, დასავლეთმა კი რუსეთთან ფრიად წარმატებული ვაჭრობა გააჩაღა,** ვითომ რა დაშავდება, თუ ჩვენს პარტნიორებს მივბაძავთ და **ერთ პატარა დახლზე ვაჭრობით ჩვენც ვიხეირებთ?!**

# თავისუფლება - ჩანგალს

## ანუ მადლიერება წინაპრებისადმი

**საუდის არაბეთის სამეფომ დანარჩენ მსოფლიოს საზეიმოდ აუწყა, რომ** ამერიდან და, სავარაუდოდ, სამარადჟამოდ, **ბოლოს და ბოლოს, თავისი ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობას საჭმლის მირთმევისას ჩანგლის გამოყენების ნება დართო!!!** –



ოღონდ ისაა, რომ **მთლად თავიანთი კეთილი ნებითაც არ მისულან ამგვარ გადაწყვეტილებამდე**, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებიც კარგა ხანია, **უკიჟინებდნენ, ნუ არღვევთ ქალთა უფლებებს და აღჭურვეთ ჩანგლებითო!**

სხვათა შორის, **საუდის არაბეთმა ქალებს ჩანგლის გამოყენება ჩანგლის შექმნის დღიდან, აუკრძალა,** იმ მოტივით, რომ **ის საფრთხეს შეუქმნიდა,** არც მეტი, არც ნაკლები, **სამეფოს კონსერვატიულ ღირებულებებს.**

სახელდობრ: **რაღაც უწმინდურია, როდესაც ქალი საჯაროდ პირში იდებს გრძელ, ლითონის საგანს ოთხი დაბოლოებითო.** საშიში კი იმიტომ ყოფილა, რომ, როდესაც, თურმე, **ადამიანი ხედავს, ქალს, რომელიც ასეთი ფორმის საგანს ისეთი წმიდა ადგილისკენ მიაქანებს,** როგორიც პირია, **მას არც მისი დახმარება შეუძლია** და **არც თავის დაცვა უწმინდური აზრებისგან** (ამ ლოგიკით, კოვზმა რატომ არ უნდა აღძრას იგივე აზრები?!)! ერთი სიტყვით, **ამ ღონისძიებას ქალებსა და მამაკაცებს შორის სექსუალური ქაოსის დამყარების პრევენციის ფუნქცია ჰქონია.** ჰქონია, მაგრამ აღარ აქვს.

ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, საუდის არაბეთს **ამ სექსუალური ქაოსის აღარ ეშინია** ან **სამეფოს მამრობითი სქესი, უბრალოდ, თვალებს მოხუჭავს,** თუკი **თანამემამულე ქალებს ჩანგალთან წაასწრებს.**

ბუნებრივია, **მათი გადასაწყვეტია,** როგორ მოიქცევიან ან **რა დატვირთვას მიანიჭებენ სავსებით სადაგ ნივთებს,** თუმცა **ეს კიდევ ერთი დამატებითი მიზეზია, მადლიერებით მოვიხსენიოთ ჩვენი წინაპრები,** რომ **ჩვენც ჩანგლით ჭამა არ გვაქვს სანატრელი?!** –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე ვითარება გამწვავდა, არის მსხვერპლი, თუმცა მხარეები ჯერჯერობით მხოლოდ საარტილერიო ცეცხლს სჯერდებიან. ამ ეტაპზე რთული სათქმელია, გადაიზრდება თუ არა დაპირისპირება ფართომასშტაბიან კონფლიქტში, მაგრამ საგულისხმოა, რომ სომხეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, სომხეთის სამხედრო შემწუხებელი რუსეთის შემწუხებელია, დაახლოებით, ანალოგიური შეთანხმება აქვს გაფორმებული აზერბაიჯანს თურქეთთან. რაც ყველაზე საინტერესოა, სომხეთი არ ესაზღვრება რუსეთს, აზერბაიჯანი მცირე მონაკვეთით – თურქეთს, ანუ ყველა გზა საქართველოზე გადის (ჩვენ ოთხივეს ვესაზღვრებით). რატომ დაიძაბა ყარაბაღის გარშემო, მაინცდამაინც, ახლა ვითარება, როდესაც დასავლეთ-რუსეთის დაპირისპირება პიკს აღწევს და როგორ შეეხება ის ჩვენს ქვეყანას, თემას მამუკა არეშიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ დაემთხვა ირანისთვის ენერგომატარებლებზე ემბარგოს მოხსნა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის განახლებას და რატომ აღმოჩნდება საქართველო გარდაუვლად ჩათრეული ამ ომში

**– ვისი ინტერესი შეიძლება, ყოფილიყო მსოფლიოში არსებულ ფონზე ყარაბაღის კონფლიქტის გაღღობა?**

– ლოგიკურად რომ მივყვეთ, რაც თქვენ ჩამოთვალეთ იმ მიზეზებსა და მდგომარეობას, დიდი ალბათობით შეიძლება, ითქვას, რომ პროცესში ჩაბმულ მსხვილ მოთამაშეებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურობენ სამხრეთკავკასიურ სივრცეში, ყველას შეიძლება, აძლევდეს ხელს ამ სიტუაციის გამწვავება. მსხვილ მოთამაშეებში ვგულისხმობ: რუსეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს, თურქეთს, ირანსაც კი, მაგრამ გააჩნია, ვინ რა დოზით იღებს ამაში მონაწილეობას. ლოგიკა გვკარნახობს, რომ დღეს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რათა უკრაინაზე ზეწოლა შემცირდეს, საინტერესო იქნებოდა კონფლიქტის ისეთი ახალი კერის შექმნა, რომელშიც რუსეთი იძულებული იქნება, ჩაებას. თუ ვიწინასწარმეტყველებთ, რომ ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება, რაც დღეს ხდება სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საინტერესო იქნებოდა მთლიანი ფრონტის შექმნა ერაყიდან მოყოლებული უკრაინამდე, სადაც რუსეთი რაღაც ფორმით იქნება ჩართული და რბილად რომ ვთქვათ, დისკომფორტი შეექმნება. აქვე უნდა გავიხსენოთ ირანის ნაწილობრივ შემორიგების ფაქტი.



შესაძლოა, რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტს სულ არ მოერიდოს, შემოიჭრას საქართველოს ტერიტორიაზე, რომ დაეხმაროს სომხეთს

**– უკვე ხმამაღლა ითქვა, რომ ირანს ყველანაირი ემბარგო მოეხსნა ენერგომატარებლებზე.**

– ირანისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა ბევრად მომგებიანია, ვიდრე რუსეთთან თუნდაც, იმიტომ რომ, რუსეთი დღეს ვერ ეხმარება ირანს ირანული ენეგრომატარებლების ემბარგოს ლიკვიდაციაში. ამერიკის შეერთექული შტატებისა და დასავლეთის მიერ მოხსნილი სანქციებით კი, მას შეუძლია, თავისი ენერგომატარებლების გაყიდვა, რუსეთისთვის მნიშვნელოვანი კონკურენციის გაწევა საერთაშორისო სანავთობო თუ გაზის ბაზარზე და გაზისა და ნავთობის ექსპორტიორ ძალიან მნიშვნელოვან ქვეყნად გახდომა.

**– ისე, რომ ამერიკას არ დასჭირდეს თავისი რეზერვების გახსნა.**

– დიახ. მოკლედ, ირანისთვის ეს მიმართულება ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე რუსეთის მიმართულება. თუ ამ შემთხვევაში იკვეთება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი, ამავე დროს იკვეთება რუსეთის ინტერესებიც, იმიტომ რომ, რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სამხრეთ კავკასიაში იმავე ამერიკის მოკავშირე აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანი დისკომფორტის შექმნა, აქედან გამომდინარე კი, რაც მთავარია, თურქეთისთვის, რომელიც ისედაც მძიმე მდგომარეობაშია სირიისა და ერაყის მოვლენების გამო. თურქეთს, ასევე, სერიოზული პრობლემები აქვს ქურთების საერთაშორისო მოძრაობის გაძლიერების გამო და მართალი რომ გითხრათ, არ სცხელა აზერბაიჯანისთვის. თუმცა, დარწმუნებული ვარ, კონფლიქტის შემთხვევაში, თურქი მოხალისეების უზარმაზარი რაოდენობა იქნება აზერბაიჯანის მხარეს და არა მარტო ჩვეულებრივი მოხალისეების, არამედ სამხედრო პეციალისტებისაც. ამ თვალსაზრისით, რუსეთისთვისაც წამგებიანი არ იქნება ამ კონფლიქტის განახლება.

**– წამგებიანი არ იქნება თურქეთის გავლენის დასასუსტებლად სამხრეთ კავკასიაში?**

– გითხარით, რომ თურქეთს არ სცხელა აზერბაიჯანის სამთავრობო დონეზე დასახმარებლად: თურქეთი ამერიკის მთავარი მოკავშირეა ამ რეგიონში და ნაწილობრივ გამოერთო ამ პროცესებს. თურქეთს სერიოზული პრობლემები აქვს ერაყში, ესე იგი, იქაც ჩართულია. რუსეთისთვის მომგებიანია, რომ უკრაინას ნაკლები ყურადღება მიექცევა და ძირითადი ყურადღება გადმოერთვება ამ რეგიონში. არის ამაში ლოგიკა?!

**– რა თქმა უნდა. ვახტანგ გურულმა, ისტორიკოსმა, ძალიან საინტერესო მოსაზრება მითხრა ერთიოდე თვის წინათ: რუსეთი პასიურია უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში, რადგან ელის თურქეთისთვის ბევრი პრობლემის გაჩენას, მათ შორის, ქურთების მოძრაობის გაძლიერების სახით, რომ ყურადღება გადმოვიდეს აქეთ და შემდეგ ხელ-ფეხი გაეხსნება უკრაინის მიმართულებით გასააქტიურებლად. ისტორიულად რუსეთი ყოველთვის ამ სქემით მოქმედებსო.**

– შევთანხმდეთ, რომ არსებობს მხარეები და არა მხოლოდ რუსეთი, რომელთაც სიტუაციის გამწვავება სხვა რეგიონში, რუსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, კავკასიაში, ხელს აძლევთ. მაგრამ მთავარი ნიუანსი ის არის, ვინ როგორ გამოიყენებს შექმნილ სიტუაციას. ინიციატორი ყოველთვის მომგებიან მდგომარეობაშია, იმიტომ რომ, ის ერთი ნაბიჯით წინაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოწყობილი პროვოკაცია ყოველთვის შეიძლება, შეუბრუნდეს პროვოკაციის მომწყობს. ამის მაგალითი მრავლადაა როგორც ამერიკის, ისე რუსეთის შემთხვევაში, როგორ დაუბრუნდათ უკან თავიანთივე მოწყობილი პროვოკაცია.

**– ვის აქვს სარგებლის მიღების უფრო მეტი შანსი აზერბაიჯან-სომხეთის ომისგან?**

– ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს უკეთესი შანსი აქვთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მართალია, შანსი მეტი აქვთ, სუფთა ტექნოლოგიური და მომზადების თვალზარისით, მაგრამ ისტორია გვარწმუნებს, რომ, მიუხედავად ასეთი უპირატესობებისა, ისლამურ სივრცეში მანევრი მაინც ჭირს და ამიტომ ორი სერიოზული მარცხიც იწვნიეს სხვადასხვა დროს. ამდენად, რთულია იმის პროგნოზი, როგორ განვითარდება მოვლენები და ცალსახად იმის თქმაც, თუ ვინ მოაწყო ეს პროვოკაცია სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე. შეიძლება, ეს იყოს ჩვეულებრივი ტრივიალური მიზეზი – ალიევი უბრალოდ დაიღალა ლოდინით, ის ხედავს, რომ სიტუაცია არ იცვლება. მიუხედავად ეკონომიკური, სამხედრო და ტექნიკური უპირატესობისა, რაც მას აქვს, ის ვერ ახერხებს თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ამიტომ გადადგა ის ნაბიჯი, რასაც დგამს. თვითონ ეს ფაქტი ჩვეულებრივი მოვლენა არ არის და ამას მოწმობს ისიც, რომ ალიევმა ძალიან მკვეთრი განცხადება გააკეთა ევროპარლამენტის სხდომაზე. ასეთი აგდებული ეთნიკური შეფასებები მას აქამდე არ გაუკეთებია. ის, რომ რამდენიმე დღეში ერთმანეთს ხვდებიან აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები, მოწმობს, რომ ისინი არ არიან დაინტერესებულნი ამ კონფლიქტის გაღრმავებით. ისიც ყურადსაღებია, რომ მხარეებს არ დაუწყიათ სახმელეთო ოპერაცია: თუმცა აზერბაიჯანს აქვს ყველანაირი სამხედრო-ეკონომიკური მდგომარეობა, რომ სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს ყოველგვარი მორიდების გარეშე. რა მიზანს მიაღწევს, მეორე საკითხია, მან ეს ოპერაცია არ დაიწყო, ესე იგი, ელოდება

## თამაზ გოგაავას გახსენება



შოკისმომგვრელი და ტკივილიანი იყო შენი ამქვეყნიდან წასვლა. ჯერ ისევ ჩვენ ახლოს ტრიალებ და ვგრძნობთ შენს სიახლოვეს. პროფესიონალი იყავი ყველაფერში: საქმეშიც, მამობაშიც, მეგობრობაშიც და კაცობაშიც... არაფერი შეგშლია, ისე განვლე შენი ლამაზი ცხოვრება... რამდენი დრო უნდა გავიდეს, რომ შენი კეთილი ღიმილი, მზრუნველი და სითბოთი სავსე გამოხედვა დაგვავიწყდეს... ცრემლიანია ყოველი შენი მონატრება და რეალობაც მწარე... შენ აღარა ხარ... მაინც წახვედი და ახლა, ალბათ, მანდედან ზრუნავ ყველაზე, ვინც ასე ძალიან გიყვარდა...

გვაკლიხარ ყველას.

**მეგობრები**

რეაქციებს მსოფლიოსგან.

**– რა მოცემულობაში უნდა ამოქმედდეს ის სამხედრო შეთანხმებები, რაც სომხეთსა და აზერბაიჯანს აქვს, შესაბამისად, რუსეთსა და თურქეთთან? რა დონემდე უნდა გამწვავდეს ვითარება?**

– როდესაც რომელიმე მხარეს შეექმნება სამხედრო საფრთხე. თუ, მაგალითად, აზერბაიჯანმა პირდაპირ ყარაბაღზე განახორციელა შეტევა, რუსეთს ხელები აქვს შეკრული თავისივე ხელშეკრულებით, რომელიც სომხეთთან დადო: რუსეთს უფლება აქვს, დაიცვას სომხეთი, თუ თვითონ სომხეთს შეექმნება სარფთხე და არა ყარაბაღს. რასაკვირველია, რუსეთი მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა ფორმით, თუმცა სომხეთის მომარაგება რუსეთს ძალიან გაუჭირდება ირანის შეცვლილი პოლიტიკის გამოც. სომხეთი ირანის ტერიტორიიდან იღებდა სამხედრო შეიარაღებას.

**– რუსეთი არ ესაზღვრება სომხეთს, აზერბაიჯანი მხოლოდ მცირე მონაკვეთით – თურქეთს, სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს ოთხივესთან უშუალო და საფუძვლიანი საზღვარი.**

– აი, ამას ვამბობ. სომხეთი დღეს შეიარაღებას იღებს ასეთი გზით: გემებით ირანის პორტ ენზელამდე, იქიდან რკინიგზით – სომხეთის მიმართულებით. ეს არის ხარჯიანი და რთული გზა, მაგრამ სხვა გამოსავალი რუსეთს არ ჰქონდა. დღეს უცნობია, მისცემს თუ არა ისევ ირანი რუსეთს ამის საშუალებას. თუ თვითონ სომხეთს შეექმნა საფრთხე, ამ შემთხვევაში, რუსეთს გაეხსნება ხელი და აუცილებლად მოინდომებს საქართველოს ტერიტორიის გავლით დაეხმაროს სომხეთს. ეს იქნება საქართველოს ტერიტორიის შუაზე გაჭრა. მე ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს, მაგრამ, თუ მხოლოდ ყარაბაღს შეექმნა საფრთხე, მაშინ რუსეთი ამ ნაბიჯს არ გადადგამს.

**– თურქეთი როგორ დაეხმარება აზერბაიჯანს? უშუალო საზღვარი არც მათ აქვთ.**

– ვთქვი, რომ თურქეთს არ სცხელა სამთავრობო დონეზე აზერბაიჯანის დასახმარებლად, მაგარმ თურქეთის სამხედრო პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენება მოხდება. რუსეთმა ძალიან ცუდი მაგალითი მისცა დანარჩენ მსოფლიოს აი, ამ ტიპის ქმედებებისა, როდესაც ვითომ მოხალისეების მეშვეობით ახდენს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის ანექსიას, შემდეგ იქ ფეხს იკიდებს და თავის რეჟიმს ამყარებს. ეს გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩაიდინა საქართველოში და ამას მსოფლიომ ყურადღება არ მიაქცია და ახლა მსოფლიო ძალიან მწვავედ განიცდის, რაც ხდება უკრაინაში, სადაც იგივე სცენარით მოქმედებს რუსეთიც. თურქეთსაც შეუძლია იმავეს გაკეთება სომხეთის მიმართ, მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანული ტერიტორია – ნახიჩევანი არის სომხეთსა და თურქეთს შორის. თურქეთს შეუძლია, თავისი მოხალისეებით გაძეძგოს ის და სომხეთს ზურგიდან შეუქმნას პრობლემა. ასე რომ, დაპირისპირებას ვერანაირად ვერ აუვლიან გვერდს თურქეთი და რუსეთი, თუ ყარაბაღის ომი გახურდა.

**– მოხალისეები ერთი თემაა, მაგრამ თურქეთს შეიარაღებით აზერბაიჯანის დახმარება ხომ გაუჭირდება?**

– შეიარაღებაზე ლაპარაკი არ არის. ფინანსების მიწოდება, დახმარება ძალიან მაღალ დონეზე იქნება. მე არ ვვარაუდობ სამხედრო დაპირისპირებას სომხეთთან თურქეთის დროშის ქვეშ, თორემ ყველა სხვა ტიპის დახმარება იქნება. აზერბაიჯანის ავიაციის 80 პროცენტზე ისხდებიან თურქი მფრინავები, ავიაცია კი აზერბაიჯანს სერიოზული რაოდენობით ჰყავს დღეს. განსაკუთრებით, მოიერიშე ვერტმფრენები. ავიაციის როლი კი უმნიშვნელოვანესია, რადგან ყარაბაღში ისეთი რელიეფია, თუ რომელიმე მხარის ბატონობა შედგა ჰაერში, ჩათვალეთ, რომ ტერიტორია დაკავებული აქვს.

**– ჩვენ რა როლი გვაქვს, გარდა იმისა, რომ ოთხივე ჩვენს მეზობელს სჭირდება ჩვენი ტერიტორია?**

– ჩვენ ძალიან მძიმე როლი გვაქვს, იმიტომ რომ, ნებისმიერ ვარიანტში, ჩვენ აღმოვჩნდებით ამ ომში ჩათრეულები როგორც ჰუმანიტარული, ისე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთი რამ აუცილებლად მოხდება: ეს არის ლტოლვილების ნაკადი საქართველოს ტერიტორიაზე. თან, ორივე მხრიდან, შესაბამისად, რეგიონში დამთავრდება ყოველგვარი ეკონომიკური აქტივობა თუ ინვესტიციები. მესამე – საქართველოს ტერიტორია შეიძლება, იქცეს დივერსიული ქმედებების ასპარეზად ორივე მხრიდან: სომხებმა შეიძლება, შეუტიონ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ აზერბაიჯანულ-თურქული ენერგომატარებლების დერეფნებს და აზერბაიჯანელებმა შეუტიონ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ რუსეთ-სომხეთის ენერგომატარებლების დერფანს. ყველაზე მთავარი: შესაძლოა, რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტს სულ არ მოერიდოს, შემოიჭრას საქართველოს ტერიტორიაზე, რომ დაეხმაროს სომხეთს. ის, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოში „ნატოს“ გარკვეული კონტინგენტის შემოყვანის შესახებ, მაფიქრებინებს, რომ რომელიღაც კაბინეტში განიხილეს ამ ომის სავარაუდო სცენარი, შესაბამისად, რუსეთის შესაძლო შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ღრმად.

**– მოკავშირის სტატუსის მონიჭებაც ამას უკავშირდება?**

– 2008 წელს ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების აქ ყოფნა მხოლოდ იმით კი არ იყო განპირობებული, რომ საქართველოს ჯარი გაეცნოთ, არამედ – იმით, რომ 2008 წლის აპრილში საერთაშორისო კონფერენციაზე პუტინმა გააკეთა განცხადება, რომ, თუ „ნატომ“ დაიწყო გაფართოება აღმოსავლეთისკენ და საქართველო და უკრიანა აღმოჩნდებიან „ნატოში“, რუსეთი იძულებული გახდება, აღიაროს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, უკრაინამ კი შეწყვიტოს თავისი არსებობა: აღმოსავლეთი უკრაინა გახდეს რუსეთის ნაწილი, დასავლეთი – ევროპის ნაწილი. ამან განაპირობა დიდწილად ამერიკელი სამხედროების ყოფნა 2008 წელს, მაშინ ჩვენ შესაბამისი დოკუმენტი არ გვქონდა და ამერიკა, მით უმეტეს საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებული უუხეშესი შეცდომების გამო, გაერიდა ამ კონფლიქტს. დღეს სხვანაირი სიტუაციაა, მოკავშირის სტატუსი ავალდებულებს აშშ-ს დაცვის განსაკუთრებული მექანიზმის შექმნას მოლდოვის, საქართველოსა და უკრაინის მიმართ. ეს მოკოვშიც კარგად იციან. ვიმეორებ, ამიტომ მიჭირს იმის თქმა, ვინ არის ამ არეულობის ინსპირატორი, მაგრამ, ვინც სიტუაიცას უკეთ გამოიყენებს, ის იქნება გამარჯვებული. ასევე, შედეგი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად მოიქცევიან სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი პოლიტიკური ელიტები.

**– „ნატოს“ ან ამერიკის სამხედრო კონტინგენტის საქართველოში შესაძლო განთავსება არის უსაფრთხოების გარანტია?**

– უსაფრთხოების ხარისხს ასწევს უბრალოდ. როდესაც ვლაპარაკობ მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხეზე, პასუხად მესმის უსაფუძვლო ქილიკი, მაგრამ დღეს მსოფლიო გადანაწილება მიმდინარეობს, ახალი სახელმწიფოები წარმოიქმნება და ეს გაგრძელდება, ახალი სახელმწიფოების შექმნის მცდელობაა ევროპაშიც: კოსოვოთი დაწყებული და უკრაინით დამთავრებული. ამას თან სდევს ენერგომატარებლებისა და ფინანსების სერიოზული გადანაწილება. ყველაფერი არის ლოკალური ან მსხვილი საომარი კონფლიქტების წინაპირობა, ამიტომაც ვფიქრობ, ამის საფრთხე ძალიან მაღალია. საქართველოში „ნატოს“ კონტინგენტის ყოფნა ხიფათს არ აგვაცილებს, მაგრამ შეამცირებს.

**ნინო ხაჩიძე**


სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრი „ანტროპოსში“

**უფასოდ**

გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის” მეშვეობით.

დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.

დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.

*გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ*

**საზაფხულო აქცია!**

**ფასდაკლება:**

1. ტრენაჟორები – 1.5 საათი, კვირაში ორჯერ. მთელი თვის ღირებულება ნაცვლად 51 ლარისა 30 ლარი.
2. ჰიდრომასაჟი – 20-წუთიანი პროცედურა ნაცვლად 20 ლარისა 14 ლარი.
3. ზურგის მასაჟი – ნაცვლად 18 ლარისა 9 ლარი.

**სტომატოლოგია**

* თერაპიული მკურნალობა – 50% ფასდაკლება.
* პროთეზირება – 25% ფასდაკლება.
* კბილის ამოღება – უფასო.

**ჯანმრთელობის დღე – ხუთშაბათი**

*მხოლოდ ამ დღეს – სპეციალისტების კონსულტაცია 25% ფასდაკლებით!*

სპეციალისტები: რევმატოლოგი, ნევროლოგი, კარდიოლოგი, გინეკოლოგი, პედიატრი.

უფასოდ – თერაპევტის კონსულტაცია (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დემურ ჩაპანძე), ანგიოლოგის კონსულტაცია (მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ჯაიანი), გასტროენტეროლოგის კონსულტაცია (მეცნიერებათა დოქტორი ბადრი ცუცქირიძე)

მიღება შაბათობით – 12-დან 14 საათამდე.

მიღება პაციენტების წინასწარ ჩაწერის შემდეგ.

*ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!*

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00: 5 71 74 61 00.

მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.

www.antropos.ge

**საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია მსოფლიოს ქვეყნებში პერიოდულად ატარებს ორ ძირითად კვლევას: წიგნიერების შეფასებას 9-10 წლის ბავშვებში, რომლის მიზანია კითხვის უნარის შეფასება და მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა, რომლის მიზანიც 9-10 და 13-14 წლის ასაკში მოზარდების ცოდნის შეფასებაა მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. ჩვენი მოზარდების შედეგები საკმაოდ დაბალია და საშუალო ნიშნულს ქვემოთაა. 2006 წელს პირველი ტიპის კვლევაში პირველი ადგილი რუსეთის ფედერაციამ დაიკავა 565 ქულით, შემდეგი ადგილები კი გადაინაწილეს: ჰონკონგმა, კანადამ და სინგაპურმა, აშშ პირველი ოცეულის ბოლოსაა 540 ქულით; საქართველოს მოზარდები 471 ქულით რეიტინგული სიის ბოლო ათეულში მოხვდნენ.**

**მეორე ტიპის კვლევაში საქართველომ მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო და ქართველი ბავშვების შედეგები ამ კვლევაშიც ისეთივე არასახარბიელოა, როგორიც წიგნიერების პირველი ტიპის კვლევაში. საერთაშორისო კვლევების ანალიზსა და შეფასებაში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევისა და საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ია კუტალაძე დაგვეხმარება.**

# რატომ უჭირთ 9-10 წლის ქართველ მოზარდებს კითხვა და წაკითხულის გააზრება, შესაბამისად, უჭირთ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა და რატომ ვერ ახერხებს მოსწავლეთა დიდი ნაწილი მარტივი დავალებების შესრულებას

**– რამდენად მნიშვნელოვანი კვლევებია ეს და რა რაზე მეტყველებს ჩვენი მოზარდების მიერ ამ კვლევებში მიღებული დაბალი მაჩვენებლები?**

– საქართველო 2006 წლიდან იღებს მონაწილეობას საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში. პირველი საგანმანათლებლო კვლევა, რომელშიც ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ, იყო წიგნიერების საერთაშორისო კვლევა. ეს კვლევა ფოკუსირებულია 9-10 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარის შემოწმებაზე და, ასევე, იმ ფაქტორების შეფასებაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა წიგნიერებაზე. ესენია: ოჯახი, სადაც იზრდება ბავშვი; სკოლა, სადაც სწავლობს ბავშვი და უფრო გლობალური ფაქტორებიც: როგორია ქვეყანაში განათლების სისტემის ორგანიზაცია, დაფინასება და ასე შემდეგ. ანუ ეს არის ძალიან კომპლექსური კვლევა, რომლის მიზანიც მხოლოდ მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და შედარება კი არ არის, არამედ იმ ფაქტორების გამოვლენაც, რომლებიც პოზიტიურად აისახება სწავლა-სწავლების პროცესზე. ზოგადად, ასეთი კვლევების მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება მთელ მსოფლიოში და ხშირად ამ კვლევებს იყენებენ, როგორც განათლების პოლიტიკის დაგეგმვის ძალიან მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად.

**– რატომ შეირჩევიან წიგნიერების კვლევისას, მაინცდამაინც, 9-10 წლის მოზარდები?**



ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მუშაობს, უკეთეს შედეგს აჩვენებს, ვიდრე ბავშვი, რომლის მხოლოდ ერთი მშობელი მუშაობს და ყველაზე ცუდი შედეგი აქვს ბავშვს, რომლის არც ერთი მშობელი არ მუშაობს

– მოგახსენეთ, რომ წიგნიერების საერთაშორისო კვლევა პირველად 2006 წელს ჩატარდა 9-10 წლის მოზარდებზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი კვლევაა, რადგან 9-10 წელი არის კრიტიკული ასაკი, როდესაც ბავშვი უკვე დაუფლებული უნდა იყოს კითხვის ტექნიკას. ანუ ის უნდა კითხულობდეს თავისი ასაკის შესაბამის საინფორმაციო თუ ლიტერატურულ ტექსტებს; უნდა იგებდეს ამ ტექსტებს; უნდა შეეძლოს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოყვანილი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება, გაანალიზება. რატომ არის ეს არსებითი საფეხური? იმიტომ რომ, ეს სასკოლო განათლების საძირკველია და თუ აქ პრობლემა ექმნება ბავშვს, თუნდაც, წაკითხულის გააზრების სფეროში, მას პრობლემები ექნება სწავლების მომდევნო საფეხურზეც. ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ კვლევები ადასტურებს კავშირს მოზარდის კითხვის უნარსა და ანტისოციალურ ქცევას შორის. კითხვის უნარს უშუალო კავშირი აქვს ბავშვის არა მხოლოდ სააზროვნო პროცესებთან, არამედ მის პიროვნულ განვითარებასთან. კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ სოციალური, ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვები კითხვის სირთულეებით გამოირჩევიან.

**– რომელი რომელს იწვევს? თუ ასოციალური ქცევა აქვს ბავშვს, კითხვას ვერ სწავლობს და წაკითხულს ვერ იაზრებს, თუ ანტისოციალური ხდება მისი ქცევა, როდესაც ვერ ახერხებს კითხვას და წაკითხულის გააზრებას?**

– როდესაც ბავშვს აქვს სირთულეები კითხვაში, უჭირს სწავლა, წაკითხულის გააზრება და ასე შემდეგ, საკუთარი თავის დამკვიდრებას, დიდი ალბათობით, ცდილობს ანტისოციალური ქცევით, აგრესიულობით, განსხვავებული მოქმედებით. ამიტომაც ამბობენ ხშირად, რომ წიგნიერება პიროვნული განვითარების საძირკველია. მაგრამ ბავშვი, რაც უფრო მეტს კითხულობს, იაზრებს, იღებს ინფორმაციას, ეს მის პიროვნულ განვითარებასაც უწყობს ხელს. ამით იმის თქმა მინდა, რომ წიგნიერება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც სწავლა-სწავლების პროცესისთვის, ისე მოზარდის პიროვნული განვითარებისთვის.

**– და, როგორც ჩანს, საზოგადოების უსაფრთხოებისთვისაც.**

– რა თქმა უნდა, რადგან ძალიან ხშირად ამბობენ, რომ წიგნიერი ადამიანების სიჭარბე საზოგადოებაში საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობაცაა. საგანმანათლებლო სისტემაზე, ასევე, აისახება თვითონ საზოგადოების დამოკიდებულებაც წიგნიერი ადამიანისადმი, თუ როგორ არის დაფასებული წიგნიერი ადამიანი კონკრეტულ საზოგადოებაში. ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის ფაქტორიც, იმიტომ რომ, ბავშვისთვის კითხვის პირველი მასწავლებელი მაინც მშობელია.

**– იმ ასაკში მშობელი ჯერ კიდევ უდიდესი ავტორიტეტია შვილისთვის.**

– დიახ და, გარდა ამისა, ბავშვისთვის მშობელი არის ერთგვარი მოდელი. ის უყურებს, რას აკეთებს მშობელი და, თუ მშობელი ხშირად კითხულობს და ბავშვი ამას აკვირდება, მასაც უჩნდება ეს ინტერესი. მით უმეტეს, თუ მშობელი უკითხავს მას, ესაუბრება წაკითხულზე, შეურჩევს საინტერესო საბავშვო ლიტერატურას და მასთან ერთად განიხილავს სიუჟეტს, გმირის ხასიათს. ეს ყველაფერი ხელს უწყობს კითხვისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და, ასევე, ხელს უწყობს კითხვის ელემენტარული უნარების ჩამოყალიბებას ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში. ბავშვს, რომელიც ასეთ ოჯახში იზრდება, როგორც კვლევა აჩვენებს, გაცილებით უკეთესი შედეგი აქვს დაწყებით საფეხურზევე, თუნდაც, წიგნიერების კვლევაში წაკითხულის გააზრების უნარის შეფასებისას.

**– გასაგებია, რომ ეს კომპონენტი, კითხვის უნარი, ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენს 9-10 წლის მოზარდებს ამ კომპონენტში საკმაოდ დაბალი შედეგი აქვთ. რამდენად სავალალოა ეს მაჩვენებელი?**

– 2006 წლის კვლევით, შედეგი საკმაოდ მოკრძალებული გვქონდა. კვლევაში 45 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას და ჩვენ რეიტინგული სიის ბოლო მეოთხედში ვიყავით, თუმცა აუცილებლად ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ჩვენ ეს შედეგი არსებითად გავაუმჯობესეთ.

**– მაგრამ მაინც საშუალოზე დაბალი გვაქვს.**

– მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საშუალო შედეგზე დაბალი მაჩვენებელი გვაქვს 2011 წლის მონაცემებითაც, ჩვენ საერთო შედეგი მაინც გავაუმჯობესეთ, რადგან პოზიტიური ტენდენცია გამოიკვეთა. თუმცა ეს არ არის ის შედეგი, რითაც ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ, რადგან საქმე ეხება მართლაც უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ უნარს და მოსწავლეთა წიგნიერების გაუმჯობესებაზე ზრუნვა სისტემური და ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვას საჭიროებს.

**– ეს არის მომავალი თაობა, რომელმაც ხელში უნდა აიღოს ქვეყნის მართვა და თუ დაბალი ინტელექტუალური მონაცემების ადამიანური რესურსი გვეყოლა, გასაგებია, რომ, შესაბამისად, ქვეყნის განვითარების დონეც დაბალი იქნება.**

– სხვათა შორის, ეს არ არის მხოლოდ სასკოლო განათლების პრობლემა. ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს მომავალ თაობაზეა საუბარი და ამ მომავალი თაობის კეთილდღეობა და ზოგადად, ქვეყნის განვითარება მათ წიგნიერებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული.

**– ერთია წიგნიერების კვლევა, მაგრამ მეორე საერთაშორისო კვლევა ეხებოდა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნას 9-10 და 13-14 ასაკობრივ ჯგუფებში.**

– ამ კვლევაშიც ჩვენ ორჯერ მივიღეთ მონაწილეობა: 2007 და 2011 წლებში კვლევის დიზაინი ანალოგიურია წიგნიერების კვლევის დიზაინისა. ამ კვლევაში 2007 წელს გვქონდა კიდევ უფრო ცუდი შედეგი, ვიდრე წიგნიერების კვლევაში: დიდი იყო იმ მოსწაველეთა პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც ძალიან მარტივი, დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილი დავალებების გადაწყვეტა უჭირდათ მათემატიკაში ან ბუნებისმეტყველებაში. ყველაზე დაბალი შედეგი იყო ბუნებისმეტყველებაში. 2011 წელს ამ შემთხვევაშიც პოზიტიური ტენდენციაა, იმ გაგებით, რომ შედეგები გაუმჯობესდა თითქმის ყველა კომპონენტში: მეოთხე კლასში ბუნებისმეტყველებაშიც და მათემატიკაშიც, მერვე კლასში კი – მხოლოდ მათემატიკაში, ანუ, თუ ამ კვლევების გადასახედიდან შევაფასებთ, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლება ჩვენი სასკოლო განათლების ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ნაწილია.

**– ცხრილებში მივაქციე ყურადღება, რომ ტაივანი და სინგაპური სტაბილურად ინაწილებს პირველ-მეორე ადგილებს 9-10 და 13-14 წლის მოზარდებში მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნაში.**

– გითხარით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების პრიორიტეტები და ღირებულებები: თუ საზოგადოება აფასებს წიგნიერ ადამიანს და ეს ინეტერსი გამოკვეთილია, სასკოლო განთლებაზეც აისახება. აზიურ ქვეყნებში, რომლებიც ყველა კვლევაში ლიდერობენ, იმდენად პრიორიტეტულია ტექნოლოგიური პროგრესი, რომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაზე და მათ მართლაც საუკეთესო შედეგი აქვთ ყველა საერთაშორისო კვლევაში და ზოგიერთ ქვეყანაში კი მოსწავლეთა მეოთხედი უმაღლესი საფეხურის, ანუ ყველაზე რთულ და-

# როგორ გახდა 2011 წელს „სილქნეტის“ შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის დირექტორის მოადგილე ოთარ დანელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ან უკვე სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია 1979 წელსაა დაბადებული. 1997-2002 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, 1996-2000 წლებში – საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში, სადაც საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის სპეციალობას ეუფლებოდა; მხოლოდ 1995-1996 წლებში – ECA Academy-ში, შეერთებულ შტატებში; 2002-2005 წლებში იტალიაში ეუფლებოდა ინფორმაციისა და კრიზისის მართვას, აგრეთვე, ბიზნესის უწყვეტობას. 2008-2010 წლებში თავისუფალი უნივერსიტეტის მართვის ევროპულ სკოლაში გაიარა საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესადმინისტრირების კურსი. მისი სამუშაო გამოცდილება 1999 წელს იწყება Northrop Grumman-ში, სადაც მან პროექტის ასისტენტად 2000 წლამდე იმუშავა. 2001 წლიდან 2004-მდე მუშაობდა გაეროს დამკვირვებელთა მისიაში ასისტენტად; 2004-დან 2007-მდე იყო რეგიონული წარმომადგენელი „გაეროს ოპერაციები კოტ დივუარში“; 2008-2009 წლებში – „ბანკ რესპუბლიკის“ შიდა კონსულტანტი, მოგვიანებით კი – პროექტის მენეჯერი. 2009 წლის 2011 წლამდე დაწინაურდა – „ბანკ რესპუბლიკის“ პროექტებისა და ბიზნესანალიზის დეპარტამენტის უფროსი გახდა. 2011 წელს „სილქნეტში“ გადავიდა, სადაც 2013 წლამდე დირექტორთა საბჭოს წევრი, მონიტორინგისა და სტანდარტიზაციის უფროსი გახლდათ. 2013 წელს შსს-ს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა, 2014-ში – შსს-ს მომსახურების სააგენტოს დირექტორად, 2014 წლის 21 ივლისს კი – სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ, სულ ახლახან კი, უფრო მეტიც და, რატომღაც, თვით სოფლის მეურნეობის მინისტრადაც. მას ჯერჯერობით მხოლოდ ორჯერ აქვს შევსებული ფინანსური დეკლარაცია: პირველი 2013 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ და ოჯახის წევრებად მიუთითა: მამა – ნუგზარ დანელია, დედა – ლუიზა დანელია, და – ლიანა დანელია, მეუღლე – მერი ჩიქობავა და ორი შვილი: 2008 წელს დაბადებული ანიტა და 2012 წელს დაბადებული დაჩი. მათი საცხოვრებელი სახლი დაბა შინდისში ოთარ დანელიას საკუთრებაა (265 კვ. მ.), ასევე, ბინა თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (99 კვ. მ.), იქვე მდებარე ავტოფარეხი (16 კვ. მ.), არასაცხოვრებელი ფართი ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე (35 კვ. მ.) და მიწის ნაკვეთი დაბა შინდისში (602 კვ. მ.). მასვე ჰყავდა ავტომანქანა – 2007 წლის „გრანდ ვიტარა“. ოთარ დანელია „საქართველოს ბანკის“ დეპოზიტზე 7 523 აშშ დოლარს ინახავდა, ხოლო ანაბარზე – 3 115 აშშ დოლარს. ნაღდ ფულად კი, დეკლარაციის შევსების მომენტში, 15 000 აშშ დოლარი ჰქონდა. ოთარ დანელია იმხანად იყო შპს „სმარტ ჰაუზის“ პარტნიორი (2010 წლიდან), შპს „მეგა ქონსტრაქშენის“ პარტნიორი (2012 წლიდან), შპს „სკაი მოტორსის“ პარტნიორი (2010 წლიდან) და შპს „მეგა დომესტიკის“ პარტნიორი (2009 წლიდან), თუმცა, თუ დეკლარაციას ვერწმუნებით, მას არც ერთი შპს-დან შემოსავალი არ მიუღია. რაც შეეხება სახელფასო შემოსავლებს: მერი ჩიქობავამ, 2012 წლის განმავლობაში, როგორც „ბანკი რესპუბლიკის“ სატელეფონო ოპერატორმა, 8 259 ლარი აიღო, ოთარ დანელიამ კი, როგორც „სილქნეტის“ შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის დირექტორის მოადგილემ – 97 500 ლარი, ხოლო, როგორც კერძო კონსულტანტმა – 5 000 ლარი.



მას არცთუ მცირერიცხოვანი საბანკო კრედიტებიც აქვს, კერძოდ: 2010 წელს ოთარ დანელიამ „ბანკ რესპუბლიკიდან“ 10-წლიანი სესხი აიღო 61 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის მომსახურებაც 2012 წელს 8 784 აშშ დოლარი დაუჯდა; „საქართველოს ბანკიდან“ აღებული 10 000-ლარიანი სამომხმარებლო სესხის მომსახურება – 4 069 ლარი; საკრედიტო ბარათის მომსახურება – 13 573 ლარი; მეორე, 9000 აშშ-დოლარიანი იპოთეკური სესხის მომსახურება – 1 548 აშშ დოლარი; 20 000-ლარიანი სამომხმარებლო სესხის მომსახურება – 6 542 ლარი, 7 400-ლარიანი სამომხმარებლო სესხის – 2 489 ლარი. 2014 წლის დეკლარაციის თანახმად, ვიგებთ, რომ ოჯახი უკვე ცალკე ცხოვრობს, ვინაიდან, ბ-ნი დანელია ოჯახის წევრებად მიუთითებს მხოლოდ მეუღლესა და შვილებს. თუმცა მისი უძრავი ქონება გაზრდილა: გარდა ზემოჩამოთვლილისა, ოთარ დანელიას საკუთრებაა: საცხოვრებელი ბინა თაბუკაშვილის 14-ში (161 კვ. მ.), კიდევ ერთი მიწის ნაკვეთი შინდისში (600 კვ. მ.) და მშენებარე საცხოვრებელი სახლი შინდისში (265 კვ. მ.), მაგრამ ავტომანქანა იგივე ჰყავს. ანაბარზე მხოლოდ 4366 აშშ დოლარი ერიცხება, ნაღდ ფულად კი დეკლარაციის შევსების მომენტში ჰქონდა 7 000 აშშ დოლარი და 4 000 ლარი. აგრეთვე, რაც შეეხება სახელფასო შემოსავლებს: მერი ჩიქობავამ იმავე პოზიციაზე, 2013 წლის განმავლობაში, 9 900 ლარი მიიღო; ოთარ ლანელიამ, როგორც შპს „დეტის“ გენერალურმა დირექტორმა – 5 250 ლარი; როგორც „სილქნეტის“ იმავე პოზიციის თანამშრომელმა – 24 375 ლარი, როგორც შსს-ს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ – 81 070 ლარი. მას 2013 წელს კიდევ ერთი იპოთეკური სესხი აუღია – 200 000 აშშ დოლარის ოდენობით და ერთი 20 000-ლარიანი სამომხმარებლო სესხიც.

**ნინო ხაჩიძე**

---

ვალებას წყვეტს.

**– ჩვენ ირანთან ერთად ვართ. მე ირანს იმიტომ ვახსენებ, რომ ის იზოლირებული სახელმწიფოა, თორემ არაფერს ვუწუნებ.**

– შედარებისას ძალიან ბევრ რამეს აქვს მნიშვნელობა: ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, განათლების სისტემის დაფინანსებას და ასე შემდეგ. ამ კვლევაში მონაწილეობას იღებენ ქვეყნები, რომელთა განათლების სისტემა ძალიან მნიშვნელოვნად ფინანსდება და ისეთი ქვეყნებიც, რომლებსაც ისეთივე მწირი დაფინანსება აქვთ განათლების სისტემის, როგორც ჩვენ ან კიდევ უფრო ნაკლები. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ მწირი დაფინანსების პირობებშიც კი განათლების სისტემაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები.

**– იაპონია სტაბილურადაა მეოთხე ადგილზე და რუსეთის ფედერაცია უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. იმიტომ ვადარებ, რომ აშშ, როგორც სახელმწიფო, აშკარად უსწრებს რუსეთს, როგორც სახელმწიფოს, თუმცა ადამიანური რესურსით რუსეთი უკეთ გამოიყურება.**

– რუსეთის შედეგი წიგნიერების კვლევაში კიდევ უფრო უკეთესია, ვიდრე მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნაში. წიგნიერების კვლევაში რუსეთი სარეიტინგო სიის ლიდერია და, ასევე, კარგი შედეგი აქვს მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლებაშიც. სხვათა შორის, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც: ესტონეთს აქვს ძალიან კარგი შედეგი, ლიტვას, ლატვიას, უკრაინასაც ჩვენზე უკეთესი შედეგი აქვს. როდესაც შედარებით ანალიზს ვაკეთებთ, მაინცდამაინც, სინგაპურისა და ამერიკის მაგალითები არ გამოგვადგება, უპრიანია, იმ სივრცეს შევედაროთ, საიდანაც ბოლო პერიოდში მოდის ეს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა. კვლევები მოწმობს, რომ ამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა შეძლეს თავიანთი საგანმანათლებლო სისტემების იმგვარად გარდაქმნა და განვითარება, რომ მოსწავლეთა მიღწევების კარგი შედეგი აქვთ. ძალიან ბევრმა ქვეყანამ, რომლებსაც ხედავთ რეიტინგული სიის სათავეში სწორედ ასეთი კვლევის საფუძვლიანი ანალიზით და ამ კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციებითა და რეფორმებით მიაღწია ძალიან მაღალ შედეგს.

**– მგონია, რომ არის ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც განათლების პოპულარობას უშლის ხელს – კავშირი განათლების დონესა და წარმატების მიღწევას შორის. როგორ ფიქრობთ, არის საქართველოში კარგი განათლება, წიგნიერება, გონიერება, ინტელექტი იმის გარანტია, რომ დასაქმდები და რეალიზდები?**

– მე შემიძლია მხოლოდ ვარაუდებზე ვისაუბრო, მაგრამ ერთი ასეთი ინფორმაციის მოწოდება შემიძლია: კვლევებით, დასაქმებული მშობლების შვილები უკეთეს შედეგს აჩვენებენ, ვიდრე დაუსაქმებელი მშობლების შვილები. მაგალითად, ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მუშაობს, უკეთეს შედეგს აჩვენებს, ვიდრე ბავშვი, რომლის მხოლოდ ერთი მშობელი მუშაობს. ყველაზე ცუდი შედეგი კი აქვს ბავშვს, რომლის არც ერთი მშობელი არ მუშაობს. ანუ დასაქმების ფაქტორი თავისთავად აისახება, ისევე, როგორც მშობელთა განათლება. როდესაც ბავშვს ორივე მშობელი ჰყავს უმაღლესი განათლებით, კვლევა ადასტურებს, რომ მას უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე იმ ბავშვს, რომელთა მშობლებსაც საშუალო განათლება აქვთ. თუმცა მოსწავლეთა მიღწევებზე არა ერთი, არამედ ძალიან ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას.

**– გასაგებია, რომ დაბალი გვაქვს საშუალო მაჩვენებელი საშუალო საერთაშორისო მაჩვენებელზე, მაგრამ, კვლევის მიხედვით, რა რაოდენობის ბავშვმა აჩვენა უმაღლესი შედეგი?**

– 1-დან 3 პროცენტამდე.

**– შევადაროთ სხვების მაჩვენებლებს.**

– იმ ქვეყნებში, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, ცხადია, უფრო მეტია და რიგ შემთხვევაში, მოსწავლეთა 40 პროცენტი და ნახევარიც კი სძლევს უმაღლესი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდია პროცენტული რაოდენობა იმ ბავშვების, რომლებიც მინიმალურ კომპეტენციებს ვერ ავლენს და ძალიან მარტივი დავალებების გადაწყვეტაც უჭირს. მინიმალური კომპეტენციით სკოლამ უნდა უზრუნველყოს ყველა მოსწავლე, ამიტომ ეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა. ნიჭიერი ბავშვები, რა თქმა უნდა, არსებობენ, ჩვენ სასკოლო განათლების სისტემის პრობლემებზე ვსაუბრობთ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ბავშვები პერმანენტულად იმარჯვებენ საერთაშორისო ოლიმპიადებში. თუმცა ეს ერთეულებია და სასკოლო სისტემა ამ ერთეულებზე ვერ იქნება ორიენტირებული. სისტემა უნდა იყოს ორიენტირებული ყველა მოსწავლის საბაზო კომპეტენციებით აღჭურვაზე ისე, რომ ყოველდღიურ ცხოვრებასთან გამკლავება გაუადვილდეთ, არ შეექმნათ პრობლემები სწავლების მომდევნო საფეხურზე და, თუნდაც, დასაქმების პრობლემა.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან



ზარი ფასიანია

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სექტემბრიდან ახალი სახალხო პროგრამა ამოქმედდება, რომლის მიზანიც საქართველოს ყველა რეგიონში მიკროსაწარმოების შექმნაა. პროგრამის თანახმად, საქართველოს ყველა რეგიონში მცხოვრებ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება მიეცემა, სახელმწიფოსგან საჩუქრად მიიღოს 5 000 ლარამდე თანხა, ზედაც, საგანმანათლებლო და საინფორმაციო მხარდაჭერა მიკროსაწარმოს შესაქმნელად და განსავითარებლად. თუმცა ეს პროგრამაში შესული ერთადერთი ცვლილება არ არის: ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდის მიზნით, მოიხსნა სესხის მოცულობის ზედა ზღვარი – 2 მილიონი აშშ დოლარი. ასევე, დაფინანსდება არა მხოლოდ დამწყები საწარმოების ხელშეწყობა, არამედ არსებულის გაფართოებაც. დაინტერესებულ მეწარმეებს უკვე შეუძლიათ, მიმართონ ბანკებს და ისარგებლონ სესხზე შეღავათიანი პირობებით, რათა მოახდინონ არსებული ბიზნესის გაფართოება ან გადაიარაღება.**

**რაც შეეხება მიკრობიზნესის წახალისებას: ამისთვის გამოყოფილია 20 მილიონი ლარი, რომლითაც 3 200 მეწარმის ხელშეწყობა იგეგმება საქართველოს ყველა რეგიონში. მთავრობა იმედოვნებს 4 600 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას. დამწყებ მეწარმეებს სახელმწიფო 5 000 ლარის ოდენობის თანამონაწილეობრივ დაფინანსებას გამოუყოფს, ხოლო მეწარმეთა ჯგუფის შემთხვევაში, მაქსიმალური თანხა 15 000 ლარია. ფინანსური დახმარების მიმღების თანამონაწილეობრივი წილი 20 პროცენტია.**

**მოიტანს თუ არა ზემოთქმული ცვლილებები დაგეგმილ შედეგს და რა მიკრობიზნესის დაწყებაა შესაძლებელი 5 000 ლარად (როდესაც დამატებით 1 000 ლარი თავად გაქვს), – ამ კითხვაზე პასუხის მიღებას ეკონომიკის ექსპერტ ემზარ ჯგერენაიასგან შევეცდებით.**

# რა შემთხვევაში და პირობებით აჩუქებს სახელმწიფო მიკროსაწარმოების შექმნის მსურველებს 5 000-5 000 ლარს

**– 20 მილიონი ლარის დახარჯვა, რაც გულისხმობს მსურველთა დახმარებას 5 000-5 000 ლარით მიკრობიზნესის ასაწყობად, რა სარგებელს მოუტანს ეკონომიკას და ამ თანხის მიმღებს?**

– ზეპირად ვერ გეტყვით, რა ეკონომიკურ ეფექტს მოიტანს, მაგრამ იდეა ასეთია: სტარტაფი საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის და ძალიან მცირე ბიზნესისთვის განკუთვნილი თანხა; ლაპარაკია იდეაზე, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ სრულყოფილი ბიზნესიდეა მცირეოდენი აქტივი და მას სახელმწიფო მისცემს 5 000 ლარს ბიზნესის დასაწყებად. გაგახსენებთ, რომ ასეთი პროგრამა ინდოეთის ერთ-ერთ შტატში განხორციელდა, რის გამოც იდეის ავტორს ნობელის პრემიაც კი მიანიჭეს. ასევე, განხორციელდა ნეპალში, როდესაც ადამიანებს მისცეს მცირე და უმცირესი კრედიტები. საქართველოში ამას თავის დროზე ახორციელებდა „პროკრედიტბანკი“, თანხა იწყებოდა 500 ლარიდან. სხვათა შორის, ცუდად არ უმუშავია, ერთი ის იყო, რომ ადამიანები ამ თანხას ძირითადად ვაჭრობისთვის იყენებდნენ. ვერ ვიხსენებ, რომ სოფლის მეურნეობაში ან წარმოებაში გამოეყენებინოთ ეს სესხი. ეს ახალი მიდგომა კი გულისხმობს დამწყები ბიზნესის ხელშეწყობას, თუმცა უდანაკარგოდ მუშაობა რთულია. ამ თანხის რაღაც ნაწილი დაიკარგება, იმიტომ რომ, გამოუცდელი და გადახდისუუნარო ადამიანებს ჩაუვარდება ხელში, მაგრამ ხელისუფლება მცირე ბიზნესსაქმიანობის პროვოცირებას ახორციელებს.

**– დაიკარგებაო, ამბობთ, მაგრამ რაღაც ბიზნესიდეა ხომ უნდა არსებობდეს ქაღალდზე დაწერილი?**

– თუ ამ თანხას გადასცემენ ბანკებს კრედიტის გასაცემად, მაშინ ჩათვალეთ, რომ ბანკები ამ კრედიტებს ვერ გასცემენ, იმიტომ რომ, ბანკები ამ ადამიანებს მოსთხოვენ ბიზნესგეგმას, გირაოს, უზრუნველყოფას, ანუ ჩვეულებრივი საბანკო პროცესი იქნება. მეორე მხრივ, თუ ამას გრანტის სახე ექნება, ანუ აჩუქებენ, ჩათვალეთ, რომ ისიც დაკარგული იქნება, იმიტომ რომ, ფულს ჩუქნი და უკან აღარ აბრუნებს. მესამე მხრივ – ალბათ, რაღაც ფონდი შეიქმნება, ცეკავშირის მსგავსი ორგანიზაცია. თუ შეიქმნება ურთიერთდაფინანსების კოოპერატივები და კოოპერატივების მოძრაობას გავაძლიერებთ, აგრარული მუშაკები თუ გაერთიანდებიან, რომ თანხებიც გააერთიანონ და ხარჯებიც ერთად გასწიონ, ეს იქნება საკმაოდ კარგი საქმე. როგორც ვიცი, ეგრეთ წოდებულ ინოვაციებსა და „ნოუ-ჰაუებზე“ ცალკეა გამოყოფილი თანხა, წარმოების ხელშეწყობაზე – ცალკე, „აწარმოე საქართველოში“ პროექტს ცალკე ბიუჯეტი აქვს და ეს 5 000-ლარიანი პროგრამაც ახალია.



**დაფინანსდება არა მხოლოდ დამწყები საწარმოების ხელშეწყობა, არამედ არსებულის გაფართოებაც**

**– 5 000 ლარი არის საკმარისი რაღაც მიკრობიზნესის დასაწყებად.**

– როგორ, არა?! ბევრი ისეთი მცირე ბიზნესია, რომლისთვისაც 5 000 ლარი კარგი თანხაა.

**– კერძოდ?**

– იქნება ეს თონე, პლასტიკური დანაჩანგლის წარმოება, ყუთების წარმოება და ასე შემდეგ. დასაწყებად ეს საკმარისი თანხაა. თან, რაღაც იმ ადამიანსაც ხომ აქვს? საქმეს მხოლოდ სესხით არავინ იწყებს. ვთქვათ, ბიზნესის დაწყება ჯდება 10 000, ადამიანი ფიქრობს, 5 000-ს მე დავდებ, 5 000-ს სესხს ავიღებ. ამ შემთხვევაში ამ თანხას მისცემს სახელმწიფო. ამ თანხის ჩადება შეიძლება ვაჭრობაში, სარეკლამო საქმეში, წიგნის გამოცემაში, რა თქმა უნდა, 5 000 ლარი კარგი თანხაა. ან იქნებ რაღაც საქონლის შეძენა სჭირდება ადამიანს?! იქნებ ღუმელის შეძენა უნდა, იქნებ – ახალი დანადგარის?!

**– ანუ გადასაიარაღებლად გამოიყენოს თანხა?**

– დიახ, გადაიარაღებისთვის, საბრუნავი სახსრების შევსებისთვის... პროდუქციის, მაგალითად, მატყლის შეძენისთვის. ანუ ამ ტიპის ბიზნესებისთვის ეს საკმარისი თანხაა.

**– სექტემბრიდან უნდა ამოქმედდეს საშუალო და მსხვილი ბიზნესის დასაწყებად 2-3-პროცენტიანი სესხების გაცემის პროგრამა. მაგრამ, რეალურად, ეს არის 13-პროცენტიანი სესხი, საიდანაც ბანკის წილი 10-11 პროცენტია, ანუ ყველაზე მეტად ისევ ბანკები იხეირებენ ამ პროგრამით. მეორე მხრივ, ისინი კრედიტებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს ხსნიან მაღალი რისკებით, რომლებსაც აზღვევენ ამ მაღალი პროცენტებით. ამ პროგრამის შემთხვევაში რისკი ხომ მინიმალურია? გარანტორი სახელმწიფოა, მაინც 10-11 პროცენტს რატომ უტოვებენ ბანკებს? ვითომ მოგება აკლიათ?**

– წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობა დააზიანებდა საბანკო სექტორში კონკურენციას. თუ მთავრობა თვითონ გასცემდა იაფიან კრედიტებს, ის იქნებოდა ბანკების კონკურენტი და შეარყევდა მთელ საბანკო სისტემას.

**– აგროკრედიტებზე ვიტყვი, რადგან ის უკვე განხორციელდა: ჩვენი ბანკების მიერ გაცემული კრედიტების ნაწილში აგროკრედიტების წილი საკმაოდ დაბალია. რა ასეთი მომაკვდინებელი იქნებოდა ბანკებისთვის ამ კონკრეტულ სფეროში მისთვის სახელმწიფოს მიერ გაწეული კონკურენცია?**

– სუბსიდირება ხდება პროცენტის, მეტი არაფერი. რისკის ნაწილის თავის თავზე აღება უწევს სახელმწიფოს, როგორც თქვენ ბრძანეთ. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა სხვა გზით ამის განხორციელება. მთავრობას არ აქვს უფლება, დაკავდეს კრედიტების გაცემით და ბანკს გვერდს ვერ ავუვლით.

**– მე არ ვამბობ, რომ გვერდი უნდა აევლოთ ბანკისთვის, მაგრამ 5 პროცენტი არ ეყოფოდა?**

– ბანკს აქვს თავისი ხარჯები და მთავრობა ვერ იქნება თავისი საბანკო სისტემის კონკურენტი. ბანკი კრედიტს გასცემს 13 პროცენტად და ამის 10 პროცენტს მეწარმეს უფინანსებს სახელმწიფო.

**– თუკი აგროკრედიტი შედიოდა ბანკების პროდუქტებში, არც ერთი ქართული ბანკი არ გასცემს სესხებს სტარტაფისთვის და როგორ გაუწევდა ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბანკს კონკურენციას? მას არ აქვს ასეთი პროდუქტი?**

– აქ ლაპარაკი იმაზე კი არ არის, მთავრობა კლიენტურას წაართმევდა ბანკს, არამედ იმაზე, რომ ბაზარზე დომპინგურ ფასებს დააგდებდა საქონელზე, ამ შემთხვევაში – ფულზე.

**– ჩემთვის მაინც გაუგებარია, ხალხი რომ ღატაკდება, ისეთ ქვეყანაში ბანკები მდიდრდებიან.**

– მე რომ მკითხონ, ბანკები ხუთჯერ მეტად უნდა იბეგრებოდნენ. ამ ქვეყანაში ბანკები სასაცილო მოგებას აჩვენებენ, მაშინ, როდესაც მათი მოგება ბევრად მეტია. მაგრამ იმედნად დიდ ხარჯს აჩვენებენ, რომ ეს არის ტრაგედია. გაცილებით მეტ ხარჯს აჩვენებენ და ჩვენი და ბიუჯეტის ხარჯზე აკეთებენ რემონტებს, იღებენ ბონუსებს, პრემიებს, დიდ ხელფასებს და ბიზნესებსაც კი ჩვენს ხარჯზე აკეთებენ. მათ რეალური მო-

გება უნდა აჩვენონ და ყველაფერი ხარჯებში არ უნდა გაატარონ.

**– თქვით, რომ მსგავსი პროგრამა ინდოეთსა და ნეპალში განხორციელდა, იდეის ავტორისთვის მხოლოდ ნობელის პრემიის მინჭიებით დასრულდა, თუ იმ ქვეყნებმა, რომლებშიც განხორციელდა, რეალური ეკონომიკური შედეგიც მიიღეს?**

– ასეთმა პროგრამამ სიღარიბეს გაადარჩინა ბევრ ქვეყანაში მოსახლეობა. ოღონდ იქ ბანკების მეშვეობით არ განხორციელებულა ეს პროექტი. აგროსექტორში დასაქმებული ადამიანებისგან ჯგუფი შეიქმნა და იმ კოოპერაციამ გაანაწილა ის ფული. ამით გადარჩა მოსახლეობა: ვიღაცამ საკერავი ან საქსოვი მანქანა შეიძინა, ვიღაცამ თონე ააშენა. ჩვენს შემთხვევაშიც გამართლებული იქნება, თუ კოოპერატივების შექმნას შეუწყობს ხელს მთავრობა და ბანკების მეშვეობით არ გასცემს თანხას.

**– როდესაც 5 000- 5 000 ლარის ჩუქებაზეა ლაპარაკი, ბანკებიდან როგორ გასცემენ?**

– მით უმეტეს, კოოპერატივს უნდა აჩუქონ, რომ მან გამოიყენოს. საერთოდ, ნაჩუქარ თანხას არასდროს მოაქვს შედეგი. გრანტი რთული მექანიზმია, ამიტომ ვფიქრობ, გრანტი პირდაპირ ჩუქებას არ ნიშნავს.

**– ჩვენთან უკვე განხორციელდა სოფლის მეურნეობის 700-მილიონიანი ფონდის პროგრამა, რა ეკონომიკური ეფექტი მოიტანა სახელმწიფოს მიერ თანხის გაღებამ ვაუჩერებში, სუბსიდიებში?**

– ჰქონდა ეკონომიკური ეფექტი, იმიტომ რომ, მაგალითად, წელს შავი ყურძნის სფეროში სუბსიდია აღარ ხორციელდება, ამ მიმართულებამ ამოისუნქთა ამით. დიდ როლი შეასრულა იმან, რომ გაიზარდა ექსპორტი. ყურძნისა და ვაზის ბიზნესში ბევრი რამ დარეგულირდა, თუმცა ბევრი რამ დასარეგულირებელი დარჩა. მიზანი იყო კეთილშობილური, მაგრამ ეფექტი უნდა ყოფილიყო ხუთჯერ მეტი. ვფიქრობ, ძირფესვიანად უნდა გადაკეთდეს ეს სქემა, აგრარული სფეროს დაფინასების სქემა უნდა შეიცვალოს, გამკაცრდეს და იმავდროულად მკაფიოდ გამოხატული მიზანი უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ფულის გადაყრა და მიაჩვევს ადამიანებს არაფერში ფულის მიღებას.

**– თუ აქვს მთავრობას, თქვენ ხშირად ხვდებით ფინანსთა მინისტრს სხვა ექსპერტებთან ერთად, განვითარების ერთიანი გრძელვადიანი გეგმა? განხორციელებული და განსახორციელებელი პროგრამები ერთიან კონტექსტში გააზრებული? დათვლილია, რა კონკრეტულ შედეგს მოიტანს კონკრეტული ოდენობის თანხების დახარჯვა?**

– პროგრამაში ზოგადი ჩანაწერია. გაკეთებულია დაახლოებითი გათვლები. მაგრამ, სტრატეგიაში არ დევს გათვლა, რომ, მაგალითად, 10 წლის შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტი უნდა იყოს ამდენი და ამდენი. მოსახლეობის ერთ სულზე ამ ღონისძიებებმა უნდა გაზარდოს მთლიანი შიგა პროდუქტი ამ და ამ თანხამდე.

**– რუსეთი პირველი სექტემბრიდან აჩერებს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელშეკრულებას, რაც ნიშნავს, რომ საქართველოდან რუსეთში შესული პროდუქცია დაიბეგრება საბაჟო გადასახადით. ეს კი რუს მომხმარებელს გაუძვირებს ქართულ პროდუქტს. აღმოჩნდა, რომ ქართული მხარეც აპირებს საბაჟო ბარიერის დაწესებას. არ შეიძლებოდა, რომ ცალმხრივად შეგვენარჩუნებინა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი?**

– აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ეს ჯერ არ განხორციელებულა, ორმხრივი ხელშეკრულებიდან რუსეთი ჯერჯერობით არ გასულა. ვფიქრობ, არც უნდა გავიდეს, რადგან ამით რუსული კომპანიები და რუსეთი უფრო დაზარალდება, ვიდრე საქართველო. საქართველოში გაცილებით მეტი საქონელი შემოდის რუსეთიდან, ვიდრე საქართველოდან გადის რუსეთში; მეორე – მნიშვნელოვანია, რომ, როგორც კი რუსეთი დაიწყებს გასვლას ამ ხელშეკრულებიდან, აუცილებლად დადგება რუსულ და რუსეთიდან შემომავალ პროდუქციაზე ფასის გაზრდის საკითხი. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა გააკეთა განცხადება, როგორც კი რუსეთი გავა ამ ხელშეკრულებიდან, საქართველო მაშინვე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვართ WTO-ს წევრები, იძულებული იქნება, რუსეთიდან შემომავალი საქონლიდან საბაჟო გადასახადის დაბეგვრით თავი დაიცვას.

**– თავი დაიცვა, ძალიან ხმამაღალი გამონათქვამი მგონია, არ ჯობია, მოქალაქეები დაიცვას პროდუქციის გაძვირებისგან?**

– საქართველომ საპასუხო რეაქცია უნდა გამოხატოს, თუ საქართველო ადეკვატურ ბარიერებს გაუკეთებს, რუსეთი წაგებული დარჩება.

**– წაგებული დარჩება ჩვენი მომხმარებელიც, რომელსაც გაუძვირდება რუსეთიდან შემოტანილი პროდუქცია. თუ სახელმწიფო ასეთი პრინციპულია, მაშინ დააწესოს სავიზო რეჟიმი რუსეთთან, როგორც მას აქვს ჩვენდამი დაწესებული?**

– რუსეთიდან შემოსული პროდუქცია 8-14 პროცენტით გაძვირდება და უფრო დაცული იქნება იგივე ქართული რძისა და წვენის წარმოება. ორი მხარეა: ქართველი მწარმოებელი და ქართველი მომხმარებელი. მაგალითად, ამ ღონისძიებით ქართული რძის პროდუქციის წარმოება უფრო განვითარდება.

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან წარმოებული რძის პროდუქტების დიდი ნაწილი რძის პროდუქტი არ არის თავისი შემადგენლობით, ვერაფრით ვიქნები ასეთი თაღლითური ადგილობრივი წარმოების გულშემატკივარი.**

**ნინო ხაჩიძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# შეკითხვა ექიმს



***კითხვებს პასუხობს ექიმი-სტომატოლოგი, თერაპევტი, ორთოპედი, ქირურგი, „კუზანოვ-დენტის“ წამყვანი სპეციალისტი-ორთოპედი ლევან სამხარაძე.***

**კითხვა: რას მოიცავს ორთოპედია?**

**პასუხი:** როდის მივმართავთ ორთოპედს? – როცა კბილის გვირგვინი იმდენად დაზიანებულია, რომ მხოლოდ თერაპიული ჩარევით მისი სრულფასოვანი აღდგენა შეუძლებელია და საჭირო ხდება გვირგვინის ხელოვნურად აღდგენა – კეთდება ეგრეთ წოდებული ჩანართი. შემდგომ, პაციენტის სურვილის მიხედვით შეირჩევა, თუ რა მასალის იქნება გვირგვინი (ლითონ-ფაიფური, ცირკონ-ფაიფური) და ხდება მისი დაფიქსირება ჩანართზე, რისი საშუალებითაც ვიღებთ სრულფასოვან კბილს. „კუზანოვ-დენტში“ გვაქვს უახლესი ტექნოლოგიის აპარატი „ცერეკი“, რომელიც, როგორც ვიზუალური, ასევე ფუნქციური დეფექტების ეფექტურად გამოსწორების საშუალებას გვაძლევს დეპულპაციის (ნერვის მოკვლის) გარეშე.

**კითხვა: არის თუ არა აქტუალური და უსაფრთხო ლითონ-ფაიფურის გვირგვინი?**

**პასუხი:** ლითონ-ფაიფურის გვირგვინი აქტუალურობას არ კარგავს მისი ხელმისაწვდომობის გამო. თუმცა პაციენტები სულ უფრო ხშირად ირჩევენ „ცირკონის“ გვირგვინებს, მით უფრო, როცა საქმე ეხება ფრონტალურ (ანუ წინა) კბილებს. გამძლეობით თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ ბუნებრივ კბილთან „ცირკონის“ გვირგვინი უფრო მიახლოებულია და ვიზუალური ეფექტიც უკეთესი აქვს.

20 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე „კუზანოვ-დენტში“ ეწყობა სპეციალური საზაფხულო აქცია – ნებისმიერი სახის კონსულტაცია იქნება უფასო და ნებისმიერი სახის გვირგვინებზე იმოქმედებს მნიშვნელოვანი ფასდაკლება.

ჩაწერა წინასწარ!

KUZANOV DENT

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 233 33 01 ან მისამართზე: ასლანიდის №14.**

**თანამედროვე საზოგადოება პიარტექნოლოგიების გარეშე უკვე ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ძველი თუ ახალი ველოსიპედი უბორბლოდ – იქ, სადაც არის პიარი, არის ეგრეთ წოდებული „შავი პიარიც", რომელსაც პიარტექნოლოგები უკანონო შვილს ადარებენ. „პიარი არაა ყოვლისშემძლე ფიგარო, მაგრამ, მას შეუძლია ბევრი რამ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონტექსტით", – ამბობს ჩვენი რესპონდენტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პიარტექნოლოგი მაია ქავთარაშვილი, რომელსაც ჩვენებური შავი პიარის ცნობილ თუ იდუმალ ხრიკებსა და მათი განეიტრალების გზებზე ვესაუბრეთ.**

# როგორ უნდა ვაქციოთ შავი პიარი ჩვენთვის ხეირად და რატომ არის საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა პიარი

**მაია ქავთარაშვილი**: ტერმინი „შავი პიარი" სამეცნიერო ტერმინოლოგიად არ მიიჩნევა. ის, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ, „უკანონო შვილივითაა" – არავინ აღიარებს. ტერმინი წამოვიდა რუსეთიდან. პოსტსაბჭოთა სივრცეში შავ პიარსა და პიარს, ფაქტობრივად ერთი დატვირთვა ჰქონდა. 90-იანი წლებიდან, როცა ჩვენთან დაიწყო პიარმიმართულებების დამკვიდრება და ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, დღემდეა შენარჩუნებული, „შიგთავსი" სიტყვისა – „პიარი" და „შავი პიარი" ფაქტობრივად, ერთ ჯაჭვში იყო გაიგივებული. დასავლეთში ამ ორი სიტყვის თანხვედრას თავს არიდებენ. ის, რაც იქ არის ჩვეულებრივი სოციალური აქტივობა, ჩვენთან, შესაძლოა, შავ პიარად იყოს აღქმული.

**– რამდენად ხშირია შავი პიარის ელმენტების გამოყენება ჩვენთან და უფრო მეტად რომელ სფეროებშია მოთხოვნა მათზე?**

– როცა რამე იწყება, მას თანდაყოლილად აქვს მისივე ჩრდილოვანი მხარე; შესაბამისად, როგორც კი გაჩნდა პიარი, მაშინვე გაჩნდა ეგრეთ წოდებული „შავი პიარიც"; თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ საქართველოში ამ მიმართულებას ძალიან დიდი ტრადიცია ჰქონდა. საუკუნეების წინ ამ საქმეს არ ერქვა პიარი, მაგრამ, ერქვა მრჩევლების საბჭო, ვეზირები, მასხარები, ანუ, იყვნენ ადამიანები, ვინც ამყარებდნენ ურთიერთობას საზოგადოებასთან. გაიხსენეთ სამეფო კარზე მასხარების როლი, რომლებიც არ იყვნენ შემთხვევითი ადამიანები და ჰქონდათ ძალიან დიდი უფლებები. მასხარას ხელში ჩავარდნილი და მიზანში ამოღებული კაცი ნამდვილად განწირული იყო. თუ მასხარა გადაწყვეტდა მისთვის „შავი პიარის" გაკეთებას იუმორით, ლამაზი „შეფუთვით", შეეძლო მისი მიყვანა განადგურებამდე. 90-იანი წლებში არსებობს ბევრი მაგალითი, თუ როგორ კეთდებოდა ან ფუჭდებოდა პიარით ადამიანების კარიერა, რასაც მაშინ სოციალური სამართლიანობისთვის ან კეთილსინდისიერი კონკურენციისთვის ბრძოლა ერქვა. თუმცა, სტრატეგიის მთავარი მიზანი იყო კონკურენტის გზიდან ჩამოშორება, მისი იმიჯის შელახვა, ბიზნესის წართმევა და ასე შემდეგ. ჩვენთან ყველაზე ხშირად შავი პიარის ტექნოლოგიის გამოყენება ხდება პოლიტიკურ სივრცეში. პროფესიონალისთვის ერთი შეხედვითაც ჩანს ვინ ვის მიმართ რას ცდილობს, ვისზე რა ინფორმაცია ვრცელდება და ამის კარგი მაგალითია სოციალური ქსელები, სადაც, რასაც გინდა, იმას იტყვი და გამოაქვეყნება და ამაზე პასუხი არავის მოეთხოვება. სოციალური ქსელების მეშვეობით, ისე შეგიძლია, მოთხარო და გააშავო ადამიანი, მას მოუწიოს იმის მტკიცება, რომ ყურებპარტყუნა ვირი კი არა, ჩვეულებრივი ადამიანია. შავი პიარი, რა თქმა უნდა, მუშაობს კომერციულ სექტორში. მაგალითისთვის ავიღოთ ბანკები: აქ სხვადასხვა ხერხით ხდება ზემოქმედება კლიენტებზე, მათთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდება, რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციების გავრცელება ბანკირებზე, მათ პირად ცხოვრებასა თუ არაკეთილსინდისიერ გარიგებებზე.

**– კონკურენტის ჩასაძირავად ამას როგორ ეძლევა ფართომასშტაბიანი კამპანიის ფორმა?**

– ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, ვინ რას გააკეთებს კონკურენტის წინააღმდეგ, ხანდახან ლოკალური ქმედებებიც ერთი დიდი ჯაჭვის ნაწილია. ავიღოთ „თიბისი ბანკისა" და „საქართველოს ბანკის" ცნობილი კლიპები – ეს იყო მათი ფარული გაპაექრება. გარკვეული ფერების, ჟესტიკულაციების, მოძრაობების გამოყენებით მხიარულ ტონალობაში იყო ნაჩვენები ერთ-ერთ ბანკზე მეორე ბანკის უპირატესობა. ეს ლამაზად შეფუთული „თავდასხმაა" ერთი ბანკისა მეორეზე. რა ხდება კულუარებში, რაც არ ჩანს მარტივად და რასაც ვერ ხედავს მომხმარებელი – ეს სხვა საკითხია.

**– შავი პიარის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მუშა ფორმაა ხმების, ჭორების გავრცელება. ეფექტურია ეს პიარ- ხრიკი?**

– ეს არის ძალიან აპრობირებული გზა, რომელსაც იყენებდა უშიშროება და ათასი



სიტუაცია ისე შემოტრიალდა, რომ ქართველი კაცი მღვდლების ლანძღვა-გინებაზე გადავიდა. ამას ხომ უნდოდა მოფიქრება და ორგანიზება?!

სხვა სამსახური. ხმების დაყრა, ანეკდოტების შეთხზვა და გავრცელება მიეკუთვნება არაინსტიტუციონალიზებულ პიარს, რომელსაც მოქმედების თავისუფალი ველი აქვს. აქ ვერ დაადგენ წყაროს, მაგრამ, ეს გზა კარგად მუშაობს ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი – პოლიტიკურ პიარში. ინფორმაცია ვრცელდება თითქოს ბუნებრივად და თავის გასაკეთებელს აკეთებს. არსებობს

**იმდენად სტრატეგიულად არის დაგეგმილი ყველაფერი, ანაკლიის მოსახლეობაც კი თავგამოდებული იცავს იმას, რაც არც კი იცის, რა არის**

ინფორმაციის გავრცელების, კვდომის, განახლების ციკლები. უნდა იცოდე, როდის გაავრცელო ინფორმაცია, როდის გააცოცხლო და ააგორო ხელახალი ტალღა, ან როგორ შეიცვალოს ინფორმაცია. როგორც წესი, ინფორმაცია გამვრცელებელთან სახეცვლილი ბრუნდება შვიდ დღეში. ინფორმაციას აქვს თავისი სასიცოცხლო ციკლი: სამი დღე იქით, სამი დღე აქეთ, დღეს რომ რაღაც გავრცელდება, ეს იმუშავებს სამი დღე და მერე უკან წამოვა, ასე რომ, იგნორირების ფორმა – დააცადე ინფორმაციას და მოკვდება – კარგად აპრობირებული მეთოდია შავი პიარის გასანეიტრალებლად. თუმცა, თუ ინფორმაცია მიზანმიმართულად არის გამოშვებული, მისმა გამომშვებმა იცის, რომ სამი დღის შემდეგ თავიდან უნდა „ჩაასხას ცეცხლში ნავთი", ანუ, ხელახლა უნდა მოხდეს მისი გენერირება. თუ თქვენ შეატყობთ, რომ ამასთან გაქვთ საქმე, არსებობს სხვა გზები, გადაფარო ეს ინფორმაცია სხვა, უფრო „ხმამაღალი" და სკანდალური ინფორმაციით, ხანდახან ომებიც კი დაწყებულა ამ მიზნით. არასასურველი ინფორმაციის სხვა ინფორმაციით გადაფარვის გზა არაერთხელ გამოუყენებიათ ჩვენს პოლიტიკოსებს.

შავი პიარის ძირითადი მიზანი მაინც არის ბრძოლა მომხმარებლისთვის. გავიხსენოთ ფაქტები, რომელიც შეექმნა ამა თუ იმ კომპანიას (მაგალითისთვის ავიღოთ „ნიკორა", რომელსაც ჰქონდა პრობლემა გარკვეული პერიოდის წინ). მე ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებ, ეს თემა არ შემისწავლია, მაგრამ, ფაქტია, რომ ეს კომპანია დაზარალდა, შეილახა მისი იმიჯი, მისმა გაყიდვებმა დაიწყო დაცემა და ეს ყველაფერი მოჰყვა ინფორმაციის გაჟღერებას, რომ „ნიკორას" პროდუქტმა მოწამლა ადამიანი. ხანდახან ხმების გავრცელების საფუძველი არის შური, ცუდი დამოკიდებულება, კონკურენცია, თუმცა, აქ ის არგუმენტიც მყარია, რომ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება.

**– ერთ ძველ და ცნობილ ჩვენებურ პოლიტიკოსს თუ დავუჯერებთ, შავ პიარსაც თავისი შედეგი მოაქვს და ამ ქვეყანაში ყველაფერი პიარია, გარდა საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერისა.**

– საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერაც პიარის ერთ-ერთ ფორმაა; რომ არ ჭირდებოდეს ვინმეს, ამას არავინ გააკეთებდა. პიარი არაა ყოვლისშემძლე ფიგარო, მაგრამ, მას შეუძლია ბევრი რამ, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონტექსტით. ეს არის ინფორმაციული ტექნოლოგია, ოცადმეერთე საუკუნის ვალუტა უკვე არის ინფორმაცია, ვინც ფლობს ინფორმაციას და თანაც, ყველაზე ადრე, ის არის წარმატებული, მას შეუძლია, ბევრი რამ გააკეთოს ან გააფუჭოს. პიარი არის ინფორმაციის მომპოვებელი, შემგროვებელი და ამ ინფორმაციის მიზნობრივად გამავრცელებელი, ანუ, ეს არის ძალიან დიდი ძალა. არ არსებობს რაღაც, აპრიორი კარგი ან ცუდი, შავი პიარითაც შეიძლება ისარგებლოს ვინმემ, თუ ამას სწორად გამოიყენებს. ხომ გაგიგიათ გამოთქმა – „ბინძური ფული"? ბინძური ფული არ არსებობს, ფული – ფულია, მაგრამ, კარგ საქმეში გამოვიყენებთ თუ ცუდში, იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის ხელში მოხვდება. იგივეა პიართან მიმართებაში. თუ მე მინდა, რომ ვილაცას დავასხა ლაფი, პოლიტიკოსს მოვუგონო სიგლახე, ჩავძირო ესა თუ ის ბიზნესი, მე ვაკეთებ ამ ცუდ საქმეს, მაგრამ აქ პიარი არაფერ შუაშია. როცა მე ვამხელ ადამიანს, რადგან ვიცი, რომ მის მიერ წარმოებული

**მაშინ, როცა საქართველო ღრმა დეპრესიას თუ რეპრესიას განიცდიდა და ხალხს არწმუნებდნენ, სექსი მხოლოდ გასამრავლებლად არსებობსო და „ჯაყოს ხიზნების“ ნახვა სირცხვილად ითვლებოდა, მოსკოვის ცენტრში, მაღალი კლასისა და უცხო სტილის ქალის თეთრეულის („ვიქტორია სეკრეტისეული“) მაღაზია გაიხსნა, რომლის ჭკვიანმა მეპატრონემ მის უკან გახსნა დახურული კლუბი, საიდანაც, კლუბში მისული მამაკაცები გასახდელებში გაშიშვლებულ ქალბატონებს უყურებდნენ და ტკბებოდნენ. ეს ქალბატონები კი იმდენად მოხიბლულები იყვნენ საცვლებით, მათი წარმოსახვა საბჭოთა ფანტაზიას სცილდებოდა და სარკის წინ ვირტუალური ვნების მორევში იძირებოდნენ, ამის სანახავად კი, სარკეების მეორე მხარეს მყოფი მამაკაცები უამრავ ფულს ხარჯავდნენ.**

# რა საიდუმლოს ინახავდა ქალების საცვლების მაღაზიის სარკეები გასახდელებში

– 90-იან წლებში მოსკოვის ცენტრში, ერთ-ერთ კლუბში, დაცვაში დავიწყე მუშაობა. ახალი ჩასული ვიყავი, ბინა არ მქონდა და ამ კლუბში ერთი პატარა ოთახი მომცეს, სადაც მეძინა – სახლიც ის იყო და სამსახურიც. თავიდან, რომ მითხრეს, მარტო კაცები უნდა შემოუშვაო, გამიკვირდა, მაგრამ, მერე რომ ვნახე, რაც ხდებოდა, დავწყნარდი.

**– კონტროლი მარტო ქალების შემოშვებას კრძალავდა თუ სხვა პირობებიც იყო?**

– იარაღით შემოსვლა იკრძალებოდა, ასევე, ნასვამ მდგომარეობაში შემოსვლა და, რაც მთავარია, 25 წლამდე ბიჭების შემოშვება გვეკრძალებოდა. ადვილი ის იყო, რომ ყველა კლიენტს „ოქროს ბარათი” ჰქონდათ და, ისე, უბრალოდ, ქუჩიდან ვერავინ შემოვიდოდა. თან, ისეთ ადგილას იყო, თუ არ იცოდი, კონკრეტულად სად არის ეს კლუბი, საერთოდ ვერ მიხვდებოდი, იქ თუ რამე შეიძლებოდა ყოფილიყო.

**– ეს ბარათები საშვი იყო შემოსასვლელად?**

– კლიენტი მოდიოდა რეკომენდაციით, ანუ, ვიღაცის სახელით მოვიდოდა, იტყოდა, იმან გამომგზავნაო და ამის მერე შედიოდა ადმინისტრატორთან, სადაც განაცხადს ავსებდა, რომ სურდა კლუბის წევრობა, მერე კი იხდიდა ფულს. აღარ მახსოვს, რა ღირდა, მაგრამ, იმ დროისთვის დიდი ფული იყო და, შეეძლო, მთელი თვე, როცა მოუნდებოდა, მაშინ შემოსულიყო. მაგალითად, პირობითად, იხდიდა 1 000 დოლარს და იღებდა ბარათს; 30 დოლარი შემოსვლისას ეჭრებოდა, დანარჩენი 970 დოლარი კი შეეძლო, იმ დღესვე დაეხარჯა და მეორე შემოსვლაზე თავიდან მოუწევდა სრული თანხის გადახდა; მაგრამ, შეეძლო, დარჩენილი თანხა მთელ თვეზე გადაენაწილებინა. ასევე, შეეძლო, საჭმელ-სასმლის ფული ქეშად გადაეხადა ან ის ავანსად დადებული თანხა გამოეყენებინა; მაგრამ, თუ ერთ თვეში ვერ ამოწურავდი, დარჩენილი თანხა გიუქმდებოდა და მომავალ თვეს თავიდან გიწევდა გადახდა.



**– ასეთი მკაცრი პირობების მიუხედავად, მაინც გყავდათ კლიენტურა?**

– დიდი კლუბი არ იყო, სულ 100 კაცამდე ეტეოდა, მაგრამ, შესვენების საათებში გადატენილი იყო იქაურობა. იქ ისეთი ცოცხალი სანახაობა იმართებოდა, ვინ არ გადაიხდიდა, თან, როცა ბევრი ფული გაქვს.

**– მომიყევი ამ ცოცხალ შოუზე – რა ხდებოდა და როგორ იყო გაკეთებული?**

**ლესბოსელებიც იყვნენ ხოლმე, მაგრამ, ეს უფრო ორი ქალის გართობა იყო, ვიდრე სექსი**

– კლუბის გვერდით იყო ქალების საცვლების მაღაზია, ოღონდ, ძალიან ძვირიანი, თან, 6 საათის მერე იღებოდა და 11 საათამდე მუშაობდა. ამ მაღაზიის გასახდელები კლუბში შემოდიოდა, ანუ, ქალები გამოსაცვლელად ან მოსაზომებლად რომ შედიოდნენ და სარკეში იყურებოდნენ, მეორე მხრიდან ჩვენი კლიენტები უყურებდნენ.

**– და, იმაში იხდიდნენ ფულს, რომ შიშველი ქალი დაენახათ?**

– შიშველი ქალი ერთია და, მეორეა როგორ იქცევიან ქალები გასახდელში, სარკის წინ – მიმიქარავს სტრიპტიზი. ზოგი ძუძუსთავებს იზელდა, ზოგი საკუთარ სხეულს ეფერებოდა, ზოგი სარკეს ლოკავდა და თითითაც ეთამაშებოდნენ რაღაც-რაღაც ადგილებს. იყო მომენტები, როცა ორი ქალი შედიოდა გასახდელში და, აი, იქ უკვე მიდიოდა ნამდვილი შოუ.

**– ლესბოსელები სექსით კავდებოდნენ?**

– არა. ლესბიანკებიც იყვნენ ხოლმე, მაგრამ, ეს უფრო ორი ქალის გართობა იყო, ვიდრე სექსი. ხალისობდნენ, ერთმანეთს ახალ ტრუსიკში უყოფდნენ ხელს, ლიფზე ეფერებოდნენ და ენასაც უსვამდნენ, მაგრამ, ეს ყველაფერი გართობა უფრო იყო, ვიდრე სერიოზული რაღაც.

**– მერე, თქვენი კლიენტები არ ხელცქვიტობდნენ?**

– ტუალეტში თუ რამეს აკეთებდნენ, არ ვიცი, მაგრამ, დარბაზში ასეთი რაღაც არ ხდებოდა. ძირითადად, შეძახილებით იმხნევებდნენ თავს. სამწუხაროდ, სულ ერთი წელი იმუშავა კლუბმა და მერე მეპატრონემ დახურა.

**– თუ მომგებიანი კლუბი იყო, რატომ დახურა?**

– ამბობდნენ, რომ ბევრმა ბობოლამ ნახა იქ თავისი ცოლი, რაც გამორიცხული არ არის, იმიტომ, რომ საცვლების მაღაზია ძალიან ძვირიანი იყო და იქ მხოლოდ ფულიანი ქმრების ცოლები ყიდულობდნენ თეთრეულს, ფულიანი ქმრები კი ბილიარდის კლუბში ერთობოდნენ.

**– კლუბის დახურვის შემდეგ შენ რა ბედი გეწია?**

– მეპატრონეს რამდენიმე რესტორანი ჰქონდა და ერთ-ერთში გადამიყვანა. სადაც გადავედი, ისიც ძვირად ღირებული რესტორანი იყო, მაგრამ, კლასიკური და მაღალი დონის. როცა იქ დავიწყე მუშაობა, კლუბის ბევრი ძველი კლიენტი აღმოვაჩინე და მერე უკვე გასაგები იყო, საიდან იგებდნენ ეს ტიპები იმ კლუბის შესახებ, თან ისე, რომ სიტუაცია არ ბაზრდებოდა.

**რომან საყვარელიძე**

---

პროდუქტი თუ მისი პოლიტიკური გეგმა საზიანოა ჩემი ქვეყნისთვის თუ ოჯახისთვის და ამით ვაფრთხილებ ადამიანებს, ეს ცუდია?! ჩვენ არ გვაქვს კანონი პიარის შესახებ, გაერთიანებაც კი არ არსებობს, სადაც ქართველი პიარსპეციალისტები ვიქნებით გაერთიანებული, მით უმეტეს, არ ვართ არც ერთი საერთაშორისო ასოციაციის წევრი და, შესაბამისად, ჯერჯერობით, რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ. არსებობს კანონი რეკლამის, მედიის შესახებ; არსებობს კონსტიტუცია, ეთიკის კოდექსი, რის შედეგადაც ხდება გარკვეული რეგულაციები. თუმცა, ამ რეგულაციებში ვერ ხვდება შავი პიარის ტექნოლოგიების შედეგად დაზარალების ფაქტები; სამაგიეროდ, არსებობს მსოფლიო გამოცდილება, რა შეიძლება და რა – არა; რა ითვლება პროფესიული ეთიკის დარღვევად. სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული შავი პიარიც. როცა ადამიანს აყენებ შეურაცხყოფას ან მან შენ გამო დაკარგა ქონება, ეს ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით, თუმცა, პიარის შემთხვევაში, როცა ხშირად შეუძლებელია, მიაგნო პირველწყაროს, ამისი დამტკიცების შანსი არის პრაქტიკულად ნული. ოდნავ დაკვირვებული თვალისთვის ამ სქემების გათვლა ძალიან მარტივია, ამ მხრივ ჩვენი ერიც უკვე გამოწრთობილია. ყველამ ყველაფერი ვიცით, ვინ ვისზე მუშაობს და საიდან მოაქვს ესა თუ ის თემატიკა, თუმცა, ეს მაინც მუშაობს საზოგადოებრივ აზრზე, ადამიანების რეპუტაციასა და იმიჯზე. ძალიან დიდ როლს თამაშობს მედია, შეკვეთილი სტატიები, შეკვეთილი სიუჟეტები, ტროლები სოციალურ სივრცეში, რომლებიც შეგნებულად დებენ კომენტარებს და ამ გზებით ხდება ადამიანების ცნობიერების მართვა, მანიპულაცია. ჩვენ მათ ვაძლევთ ისეთ ინფორმაციას, რაზეც ვიცით, როგორი რეაქცია ექნებათ. ჩვენ ვდებთ ბომბს, რომელიც აფეთქდება სამ კვირაში, სამ თვეში და, ზუსტად ვიცით, რა რეაქციები მოჰყვება მას საზოგადოების მხრიდან.

**– რას იტყვით ბოლო სკანდალზე, „კაზანტიპთან” დაკავშირებით, დაახლოებით ასეთ სქემებთან გვაქვს საქმე?**

– თუ ავიღებთ „კაზანტიპის” თემას, ან, ცოტა ადრე 17 მაისის ცნობილ დემონსტრაციას, ის, რაც ამ ორ თემას მოჰყვა, ეს არაა ჩვეულებრივი რეაქციები და ინფორმაციის ბუნებრივი ცირკულაცია. ეს იყო სერიოზული სტრატეგია, რომლითაც მოხდა საზოგადოების გარკვეული სეგმენტის პროვოცირება – ეს ხალხი გამოიყენეს და, საბოლოოდ, მოხდა ის, რომ უმცირესობის დაცვა დაიწყო ყველამ – ეს ითვლებოდა კარგ ტონად. სიტუაცია კი მოტრიალდა ისე, რომ ქართველი კაცი მღვდლების ლანძღვა-გინებაზე გადავიდა. ამას ხომ უნდოდა მოფიქრება და ორგანიზება?! საბოლოოდ, შავი პიარი აუგორდა სამღვდელოებას და იმ ადამიანებს, ვინც ქართველობას, ზნეობასა და კაცობას იცავდა. იქიდან ანტიდისკრიმინაციულ კანონამდე გავლილი გზა იყო ის შენელებული მოქმედების ბომბი, რამაც ის შედეგი გამოიღო, რაც ყველამ მივიღეთ. დღეს ამას ვხედავთ „კაზანტიპთან” მიმართებაში. დღეს არც ერთი თემა არ მუსირებს მედიასივრცესა თუ საზოგადოებაში, ისე აქტიურად, როგორც ეს გაურკვეველი წარმომავლობის ფესტივალი თუ არაფესტივალი – ესეც ვერ გარკვეულა დღემდე. იმდენად მასირებული ინფორმაციული ნაკადი მოდის, რომ, მის შესახებ გაიგო ყველამ; ანაკლიის მოსახლეობაც კი თავგამოდებული იცავს იმას, რაც არც კი იცის, რა არის. მათ შეუქმნეს მოლოდინი, რომ ამ გზით იშოვიან ფულს და ვიღაც ამ ფულის შოვნას ეწინააღმდეგება. ყველა თემის გადაფუთვა და გადმოტრიალება შეიძლება ნებისმიერი კუთხით, როგორც გაგიხარდებათ და ამიტომაც გახდა ჩვენი ინფორმაციული ეპოქა ასე საშიში – შედეგი ისეთი ცუდი შეიძლება დადგეს, ვერც კი წარმოვიდგინოთ. ჩვენ ვცხოვრობთ დესტოპის სივრცეში მოქცეულები, ილუზიაში; სხვისი აზრი ჩვენი აზრი გვგონია, სხვისი საქმე – ჩვენი; ჩავანაცვლეთ ძალიან ბევრი რეალობა ილუზიასა და ვირტუალურ სამყაროს და ამ შეკრულ წრეზე დავდივართ ყველა.

**თამუნა სამადაშვილი**

**მის მიმართ საზოგადოებრივი აზრი განსხვავებულია და ეს არცაა გასაკვირი – ირმა ინაშვილმა ამქვეყნად იმდენის ცხოვრება შეცვალა და, თანაც, თავიდან ბოლომდე, რომ სხვაგვარად ვერც იქნება. დიდი ხანი არაა, რაც ქართული პოლიტიკის მძიმე კულისებს „ოფიციალურად" ეზიარა, თუმცა მანამდე იყო მისი აქტიური ჟურნალისტური ცხოვრება – აფხაზეთი, ჭუბერის გზა, „ობიექტივი". დღეს უკვე პარტიის გენერალური მდივანია და ამბობს, რომ ახალ რეგალიას ის არ შეუცვლია; ისიც კარგად ახსოვს, როგორ გაიარა ეს გზა და, ისიც, თუ ვინ იდგა ამ გზაზე მის გვერდით. როგორია ირმა ინაშვილის ცხოვრება კადრს მიღმა, ვინ არის ადამიანი, ვინც 15 წელია, მის გზას იზიარებს და რას ებრძვის და თრგუნავს ის, ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ, რომელთან საუბარიც მისი ხმაურიანი პოლიტიკური დებიუტით დავიწყეთ, რომელიც ცოტა ხნის წინ თვითმმართველობის არჩევნებზე შედგა.**

# ვის გაურთულა ირმა ინაშვილმა ცხოვრება და ვისი სული უყვარს მას 15 წელი

**ირმა ინაშვილი:** ყველა ჟურნალისტი, რომელსაც აქტიურად უწევდა მუშაობა პოლიტიკურ თემებზე, თავადაც იყო მონაწილე იმ პოლიტიკური პროცესებისა, რაც ქვეყანაში ვითარდებოდა 90-იანი წლებიდან; შესაბამისად, მეც, როგორც ერთ-ერთი მათგანი, ამ პროცესებში ვმონაწილეობდი როგორც ამსახველი. პოლიტიკური პროცესების მონაწილე გავხდი ვარდების რევოლუციის შემდეგ, როდესაც შეიქმნა ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი" და პირდაპირ დავიწყეთ იმ დანაშაულების მხილება, რასაც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა. ეს იყო არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესი, არამედ, სამოქალაქო, საზოგადოებრივი მოძრაობა. ნებისმიერი ჟურნალისტი, რომელიც იღებდა იმ მოცემულობას, რომელიც არსებობდა, იღებდა კეთილდღეობას, სამსახურს, კარგ პირობებს; ისინი კი, ვინც ამ ფართო ტრასას გავემიჯნეთ, ვიყავით შევიწროებული ამ წლების განმავლობაში. ჩვენ ავირჩიეთ ვიწრო ბილიკი, გავიარეთ რთული გზა, მივიღეთ დიდი გამოცდილება, რაც მე ძალიან გამომადგება მომავალ პოლიტიკურ საქმიანობაში. მე ვიცი, რომ ახლა ჩემი ყველა განცხადება აღიქმება არა როგორც ირმა ინაშვილის, არამედ, როგორც პოლიტიკური პარტიის – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" განცხადება. როცა მე ამ პარტიის გენერალური მდივანი ვხდებოდი, ვთქვი, რომ არ ვიქნები სტანდარტული გენერალური მდივანი, სტანდარტული ფრაზეოლოგიითა და სტანდარტული ქმედებებით და დღემდე ვასრულებ სიტყვას, სულ ვცდილობ, ვებრძოლო ჩემში მანკიერებას, მოვერიო და დავთრგუნო. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ არ ვარ გამოსწორებული, ჩემში ბევრი ნაკლი და ვნებაა, არ მინდა, ჩავვარდე ამპარტავნებაში; ვცდილობ, არ მომეწონოს საკუთარი თავი და არ ვიფიქრო, რომ სხვაზე უკეთესი ვარ. ყოველდღიურად ისევ ისე ვხვდები უამრავ ადამიანს, როგორც ვხვდებოდი ადრე; უამრავი თემაა გადასაწყვეტი, რომელთა გადაჭრაც, თუ შეგვიძლია, არავის დახმარებაზე არ ვამბობთ უარს. შეფის როლში მკაცრი ვარ, მაგრამ ჩემგან არ გარბიან და, იმასაც ვგრძნობ, რომ ვუყვარვარ იმ ადამიანებს, ვინც უკვე წლებია, ჩემთან ერთად არიან.



პარადოქსი არაა?! – ირმა ინაშვილი მიდის პოლიტიკაში, ბიძინა ივანიშვილი – ტელეჟურნალისტიკაში

– **თქვენი წარმატებული პოლიტიკური დებიუტი სკანდალური ისტორიებისა და იმიჯის ხარჯზე მოვიდა. გიღირდათ ამად ეს ყველაფერი?**

– მე არ ვფიქრობდი იმაზე, თუ რა ღირდა და რა – არა, მე ვმოქმედებდი ჩემი მსოფლმხედველობიდან, სინდისიდან, ჟურნალისტური მოვალეობიდან გამომდინარე; არც იმაზე მიფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს პარტიის გენერალური მდივანი გავხდებოდი, თუმცა, ის კი ვიცოდი, რომ შავი პერიოდი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დამთავრდებოდა. სულ ვფიქრობ, რომ, შეიძლებოდა, ის კადრები ნებისმიერი სხვა ჟურნალისტის ხელში აღმოჩენილიყო. ღმერთის წყალობით, მოხდა ის, რაც მოხდა. სიმართლე გითხრათ, ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ კვლავ წავიდოდი ოპოზიციაში, რაც დაკავშირებულია „ქართული ოცნების" არაერთ არასწორ გადაწყვეტილებასთან, როგორც საკადრო პოლიტიკიდან გამომდინარე, ასევე, კონკრეტულ თემებზე, თუნდაც საყდრისზე, სადაც ჩვენ და ხელისუფლებას დიამეტრულად განსხვავებული პოზიციები გვაქვს.

– **თუმცა, თქვენი ოპოზიციის ამბავს ბევრი უყურებს სკეპტიკურად.**

– ვიცი, ბევრჯერ მსმენია ჩემი სატელიტობის შესახებ, ის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ჩემი მეგობარია. დიახ, ის ჩემი მეგობარია და ჩვენ არ დავმეგობრებულვართ გუშინ, ან გუშინწინ, ჩვენ დავმეგობრდით მრავალი წლის წინ; ჩემი უფროსი მეგობარია მისი სიმამრი – თამაზ თამაზაშვილი, რომელიც აფხაზეთის ომში გავიცანი. მიმაჩნია, რომ მის წინაშე ვალში ვარ – ბევრი ჩემი კოლეგა და უახლოესი მეგობარი გადაარჩინა აფხაზეთის ომში. ისიც ბევრჯერ მსმენია, რომ ორი მილიონი ავიღე; რომ ბიძინა ივანიშვილმა ბინა მიყიდა პარიზში; ახლა გავიგე, რომ კაკაოს ბიზნესი მქონია. კაკაო საერთოდ არ მიყვარს, არც ბიზნესი მაქვს არანაირი, თუმცა, რომც მქონდეს, არც ეს იქნებოდა დანაშაული. არც ბინა უჩუქებიათ პარიზში, მაგრამ, გამიხარდებოდა რომ ეჩუქებინათ. ერთ გადაცემაში მკითხეს, რას ინატრებო და, არაფერს-მეთქი, ვუპასუხე; მერე გამახსენდა, რომ, წლებია, ეზოიან სახლზე ვოცნებობ და ამას ვერ მივაღწიე. თუ ავიღე ეს ორი მილიონი, ერთ სახლს ვერ ვიყიდდი და ისევ დიდ დიღომში ვიცხოვრებდი?! მატერიალური თვალსაზრისით, ჩემთვის ამ ორ წელიწადში არაფერი შეცვლილა: ისევ '„ობიექტივში" ვმუშაობდი, ისევ არ იყო რეკლამა, გვქონდა ფინასური კრიზისი და ვერ ვახერხებდი ამ ტელევიზიის განვითარებას. როცა ახალი ხელისუფლება მოდიოდა,

**წლებია, ეზოიან სახლზე ვოცნებობ და ამას ვერ მივაღწიე. თუ ავიღე ეს ორი მილიონი, ერთ სახლს ვერ ვიყიდდი?!**

ვფიქრობდი, ვიმუშავებ ჩემს ტელევიზიაში, გავაკეთებ ორ-სამ სტუდიას, შევქმნი კარგ არხს, მაგრამ, არ მომეცა ამის საშუალება. სარეკლამო სივრცე ისევ მონოპოლიზებული იყო, სამინისტროებს სოციალური რეკლამები ისევ „რუსთავი 2-ში" მიჰქონდათ. ჩვენ ბევრჯერ ვიდექით დახურვის საფრთხის წინაშე. ახლა ჩვენმა პარტიამ მიიღო დაფინასება, მე მექნება ხელფასი და როგორმე ჩავეტევი ამ 850 ლარში. მე არ მაქვს გადაჭარბებული მოთხოვნები; არ მიყვარს ზედმეტი, უსარგებლო ნივთები და განსაკუთრებული კომფორტი; არ ვგიჟდები ბრენდებზე; ყოველთვის ჩვეულებრივად ვცხოვრობდი, თუმცა, ის წლებიც მახსოვს, როცა საჭმლის ფული არ მქონდა – ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე წლები და ცრემლები მომდის, როცა ის ყველაფერი მახსენდება. მეც შემეძლო ამ რთულ წლებზე უარის თქმა – მემუშავა რომელიმე ტელევიზიაში, შემეცვალა ჩემი აზრები და ვყოფილიყავი იმ რეჟიმის მსახური, მაგრამ ეს ვერ გავაკეთე. მე ვაკეთებდი ყველაფერს ჩემი ოჯახის გადასარჩენად და ჩემი შვილების გამოსაკვებად. 2007-2008 წლებში, იმის გამო, რომ არ მქონდა საკვები, გადასხმის სისტემაზე შემაერთეს, რომ ორგანიზმს საჭირო ვიტამინები მიეღო. ეს არავინ იცოდა, არავინ ფიქრობდა, რომ იყო ქვეყანაში ჟურნალისტი, დაპირისპირებული ამხელა სისტემასთან და, მას, უბრალოდ, შია. მაშინ ჩემი შვილები, დაჩი და ნინო, პატარები იყვნენ – 6-7 წლის. წარმოიდგინეთ დედის განცდები, როცა შვილებისთვის საკვები არ აქვს. დღეს, როცა ჩემთან ოფისში მოდიან მოქალაქეები, მაშინვე ვხვდები, ვინმეს შვილების გამოკვების საშუალება თუ არ აქვს და თქმაც არ მჭირდება – პირველ ყოვლისა, ასეთ ადამიანებს ვეხმარები როგორც შემიძლია. მე არ მავიწყდება, ვინ ვიყავი, რა გზა გავიარე; არც ის მავიწყდება, ვინ მეხმარებოდა იმ მძიმე წლებში და რამდენი მეგობარი მოდიოდა ჩემთან, რომ პური და საკვები მოეტანა. მათი რიცხვი ძალიან ცოტა იყო, ჩამოსათვლელად ხუთი თითიც მეყოფა. მე დღესაც მესმის მათი – ყველას ეშინოდა ჩემთან ურთიერთობის, ყველა გამირბოდა, რომ რაიმე პროვოკაცია არ მოეწყოთ მათთვის. სიმართლე გითხრათ, მე თვითონ გავერიდე ბევრ ჩემს მეგობარსა და ნათესავს – არ მინდოდა, ზიანი მიეყენებინათ მათთვის ჩემ გამო. ბავშვებს ელემენტარული რამ ხომ სჭირდებოდათ? ოჯახზე ხომ უნდა მეზრუნა? დავიწყე მძივების ასხმა და მაღაზიებში ჩაბარება. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. ამით მცირე შემოსავალი მქონდა. რომ არა ჩემი მეუღლე, რომელიც ძალიან ერთგულად და ღირსეულად მედგა გვერდში, ამას, ალბათ, ვერ გადავიტანდი. თუ ცოლი და ქმარი თანამოაზრეები არ არიან, თუ ოჯახი ერთი აზრით და მსოფლმხედველობით არ სუნთქავს, არ მესმის, ის ოჯახი რა ოჯახია?! ჩემი მეუღლე იყო ყველა იმ გადაწყვეტილების თანამოაზრე, რომლებსაც მე ვიღებდი.

– **იცოდა იმ სკანდალური კადრების არსებობა, რისი გახმაურებაც იმ პერიოდში დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული და რასაც ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა?**

– მან იცოდა ყველაფერი და ჩემთან ერთად იყო მზად იმ სირთულეებისთვის, რისი გადატანაც ჩვენ მოგვიხდა. ზოგადად, ჩემი მეუღლე ძალიან არაპოლიტიზებული ადამიანია, ის პროფესიით მხატვარია და თავისი სამყარო აქვს – არც პოლიტიკის კულისები აინტერესებს და არც პოლიტიკური ასპარეზი. არასდროს დაინტერესდება იმით, ვინ ვისზე რას ამბობს. კახა და ბავშვები ჩემი თანამოაზრეები არიან, ოღონდ, ჩემს ბანაკში ვერ „გადმოვიბირე" *(იცინის).* წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამომიცხადეს, ჩვენ არც ერთ შოუში არ მოვალთ და საჯაროდ არ გამოვჩნდებითო. მე მომეწონა მათი პოზიცია. არ მიყვარს, როცა მეუღლეები ერთმანეთის სამსახურებრივ საქმეებში აქტიურად ერევიან. კახა არაჩვეულებრივი ადამიანია. ჩვენ უკვე თხუთმეტი წელია, ერთად ვართ. როცა შენ გვერდით არის ადამიანი,

**(გაგრძელება მე-17 გვერდზე)**

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ახალ მინისტრად 44 წლის გიორგი მღებრიშვილი ქვემო ქართლის გუბერნატორის პოზიციიდან მოხვდა, რაც მის დახუნძლულ შრომის წიგნაკში მინისტრობამდე ბოლო დისლოკაციის ადგილი იყო. ის, რომ ძალიან რთული სფერო ჩააბარეს და ათი ათასზე მეტი მსჯავრდებულის პირველი „მეციხოვნეა", იოლი საქმე ნამდვილად არ არის, ამიტომაც, როგორც თავად ამბობს, წარსულიდან ბევრ რამეს „დაემშვიდობა" და შეელია. მის მძიმე რეჟიმს ყველაზე მეტად მინისტრის ორსული მეუღლის, ნინო გედევანიშვილის უფლებები „ეწირება" რომელიც მალე ოჯახში დარღვეულ გენდერულ ბალანსს აღადგენს – ისინი პატარა ელენეს შემდეგ ბიჭის მშობლები გახდებიან, რასაც ტრადიციების მოყვარული მინისტრი დიდი სიხარულით ხვდება. როგორია გიორგი მღებრიშვილის „უჰალსტუხო" ცხოვრება და რა დაუწერელ წესებს იცავს ის, ამას თავად ჩვენი რესპონდენტებისგან შეიტყობთ, რომლებმაც ისიც გაგვიმხილეს, თუ როგორ დაემშვიდობა მინისტრი 39 წლისა და 10 თვის ასაკში მარტოხელა კაცის თავისუფლებას.**

# რატომ გაატარებინა სასჯელაღსრულების მინისტრმა ცოლს თაფლობის თვე მარტოს და ვინ არის მისი „პარასკევა"

**– ბატონო გიორგი, გილოცავთ ახალ პოსტზე დანიშვნას. როგორ „შეხვდით" გამინისტრებას?**

– როცა ასეთი მნიშვნელოვანი უწყების პირველი პირი ხდები, განცდა ძალიან საპასუხისმგებლოა. არც ერთ თანამდებობაზე დანიშვნა არ ყოფილა ჩემთვის პრივილეგია, ეს ყოველთვის იყო დაკავშირებული პასუხისმგებლობასთან, ამ პოსტზე ხომ – მით უმეტეს. ახლა ჩემთვის უმთავრესი მოტივაციაა ნდობა, რომელიც გამომიცხადა პრემიერ-მინისტრმა და ეს ნდობა აუცილებლად უნდა გავამართლო.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთა მან არჩევანი თქვენზე?**

– საკუთარ თავზე საუბარი რთულია... ალბათ, იმიტომ, რომ არასდროს მიღალატია პრინციპებისთვის, საქმისთვის, მეგობრებისთვის. სიტყვები – „ვნახოთ", „შევეცდები" – ჩემგან შორსაა, დავალება უნდა შესრულდეს და მორჩა! ვერ ვიტყვი, რომ ამ სფეროსგან ძალიან შორს ვიყავი, თუმცა, ახლა სიღმეებში ჩახედვამ იმაზე ბევრად მეტი დამანახვა, ვიდრე მეგონა, რომ ვიცოდი. 1997 წელს დავიწყე მუშაობა სტაჟიორად შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში. იქიდან მოყოლებული, გამომძიებლობის რვაწლიან პერიოდში, სულ მქონდა შეხება ციხესთან, მქონდა ბევრი „ცოცხალი საქმე"; ერთ საქმეში ერთდროულად ხუთი პატიმარიც მყოლია, ასე რომ, ვიცი მათი „წესები," თუმცა, სიღრმეში, სისტემის სპეციფიკა, რა თქმა უნდა, სხვანაირია, ვიდრე გამომძიებლის პოზიციიდან.

**– გამომძიებლობა რამდენჯერმე შეგახსენეს, მით უფრო, მუშაობა იმ ხელისუფლების დროს და იმ პერიოდში, როცა გამომძიებლებზე მთლად კარგ ამბებს არ ყვებოდნენ.**

– 90-იანი წლები შავბნელი დრო იყო, მაგრამ, მე არ მაქვს არანაირი პრობლემა – მათ, ვინც შემახსენა ეს თემა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შეუძლია, ამოწიოს ჩემი გამოძიებული საქმეები, დაინტერესდეს ჩემი საქმიანობის იმ პერიოდით. დამერწმუნეთ, იქ ვერაფერს მიაგნებს ისეთს, რაც ჩემს კომპრომატად შეიძლება გამოდგეს. ამ თემაზე აქცენტის გაკეთების არ მესმის, უამრავ სხვა და ძალიან მნიშვნელოვან პოზიციაზე ვარ ნამუშევარი: შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიმუშავე 1997 წლიდან 2004 წლამდე; მერე გადავედი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში, ფინანსურ პოლიციაში; 2007 წლის ნოემბერში დავინიშნე აეროპორტის საბაჟოს უფროსად – ჩემთვის ესეც ახალი გამოწვევა იყო; შვიდი-რვა თვის შემდეგ გადავედი საგადასახადო ინსპექციის რუსთავის რეგიონულ ცენტრში, განყოფილების უფროსად; იქიდან გადავედი რეგიონული ცენტრის უფროსის მოადგილედ; ვიყავი საბაჟოს კურატორი 2010 წლამდე. შემდეგ გადამიყვანეს ფოთის რეგიონული ცენტრის უფროსის მოადგილედ ისევ საბაჟოს განხრით, კურატორად; 2011 წლის ბოლოს ცოტა ხანს მომიწია მუშაობა დასავლეთ საქართველოს საბაჟო სამსახურის უფროსად, საიდანაც გადმოვედი თბილისში, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ და ვიმუშავე 2012 წლის ნოემბრამდე. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დავინიშნე საბაჟო დეპარტამენტის უფროსად; 2013 წლის აპრილიდან – სახელმწიფო აუდიტში, შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, საიდანაც დამაბრუნეს შინაგან საქმეთა სამინისტროში; აქედან მოხდა ჩემი დანიშვნა შიდა ქართლის გუბერნატორის პოსტზე. ამ რეგიონში მუშაობის გამოცდილება, როგორც გითხარით, უკვე მქონდა, თუმცა, გუბერნატორის პოზიციიდან რეგიონი ბევრად უფრო ახლოს და კარგად დავინახე. როგორც იცით, სწორედ ამ პოზიციიდან მოხდა ჩემი წარდგენა აქ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პოსტზე.



**გიორგი მღებრიშვილი: „თუ ჩემ ირგვლივ ვინმეს უფლებები ირღვევა, ეს ჩემი მეუღლეა"**

**– თქვენი შრომის წიგნაკი ძალიან მრავალფეროვანია და საკმაოდ ხშირად იცვლება თქვენი დისლოკაციის ადგილი. არის თუ არა ამ პოსტზე თქვენი მოსვლა „გრძელვადიანი", და რა შეიცვლება სასჯელაღსრულების სისტემაში თქვენი მინისტრობის დროს?**

– მე ვერ გეტყვით ვადებს. რამდენხნიანიც არ უნდა იყოს ჩემი მუშაობა აქ, მინდა გითხრათ, რომ საქმეს არ ვუღალატებ. მე მოვისმინე პრემიერის შეფასება ჩემი წინამორბედის, სოზარ სუბარის საქმიანობის შესახებ. სურვილი მაქვს, როცა ამ პოსტიდან წავალ, იმაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ თქვას პრემიერმა. რაც შეეხება სისტემის მართვას, ვიცი, რომ ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ, მე სირთულეების არ მეშინია. ნებისმიერი ბარიერი შეიძლება დაძლიო თუ გყავს გუნდი. მე ამ გუნდს სულ მალე შევკრავ და ნებისმიერ გამოწვევას ღირსეულად დავუდგებით წინ.

**– ციხეს თავისი წესები აქვს, დაწერილი თუ დაუწერელი. ამ სისტემის პირველ პირს განსაკუთრებული უნარ-ჩვევები სჭირდება. ფიქრობთ, რომ გაართმევთ თავს იმ ყბადაღებულ სფეროს, რომელიც ჩაგაბარეს?**

– მე ვიცი დაწერილი წესები, დაუწერელი ჩემთვის წესი არაა, თუმცა, ცოდნით აუცილებლად უნდა იცოდე. დაუწერელი მე ვიცი მორალური კოდექსი, რომელიც ცხოვრებაში ძალიან ბევრჯერ დამიყენებია ყველა სხვა კოდექსზე წინ. მე ვიმუშავებ დაწერილი წესებით, ასე უკეთესია.

**– „მაყურებლები" გაიცანით?**

– არა, არ გამიცნია ***(იცინის)***, არც მაინტერესებს ვინ არიან, და საერთოდ არიან თუ არა. ჩემი მიდგომა არის ასეთი: მე არ ვიცი, ციხეში ვინ ვის აღიარებს, ვინ ვის უყურებს, „ლიდერი" ჰქვიათ მათ თუ „მაყურებლები", მაგრამ, იმის გარანტიას მოგცემთ, რომ ის ადამიანები ციხის მართვაში ვერ ჩაერევიან. სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ყველაგან მართავს ადმინისტრაცია; თუ ვინმემ თვითონ გამოითალა კერპი და ვინმეს სახელზე ლოცულობს, ეს მათი პრობლემაა და არა ჩვენი. ხომ იცით ჩვენი ამბავი – სადაც არ უნდა შეიკრიბოს სამი-ოთხი კაცი, ერთი ლიდერი ყველგანაა. საბავშვო ბაღშიც კი არიან გამოკვეთილი ბავშვები, ლიდერებად რომ იქცევიან ხოლმე. მაგალითად, ჩემი შვილი, ელენიკო, 3 წლისაა და ისეთი აქტიური ხასიათი აქვს, ბაღშიც და სახლშიც „მაყურებელივითაა", შიგადაშიგ მის გამო შენიშვნებსაც კი ვიღებთ ***(იცინის)***.

**– ახალმა პოსტმა ცხოვრება გაგირთულათ?**

– დიახ, ვაღიარებ. ჩემი სამუშაო საათების გრაფიკმა ღამით ძალიან გვიანობამდე გადაიწია, მთლიანად მოვწყდი ოჯახს. მართალია, გუბერნატორის თანამდებობაზე ყოფნის დროიდან, როცა ასევე ბევრი საქმე იყო, ჩემი ოჯახი ამას მიეჩვია, მაგრამ ახლა მაინც განსაკუთრებული რეჟიმით მომიწევს ცხოვრება. ხანდახან კვირა ისე გადის, ბავშვს ვერ ვნახულობ, ასევე, ვერ ვნახულობ ფეხმძიმე მეუღლეს.

**– გაგებით ეკიდება ამას?**

– ხანდახან ეკიდება გაგებით, თუ მის მდგომარეობას გავითვალისწინებთ; უმეტეს შემთხვევაში ჯერჯერობით ვერ მიგებს. რა ვქნა, ასე სჭირდება საქმეს. თუ ჩემ ირგვლივ ვინმეს უფლებები ირღვევა, ეს ჩემი მეუღლეა ***(იცინის)***.

**ნინო გედევანიშვილი**: ამ ბოლო დროს ჩვენთვის ველარ იცლის, სულ მენატრება მისი ნახვა. ძალიან ცოტა დროს ატარებს სახლში. როცა ვურეკავ, ხანდახან ტელეფონზეც ვერ მპასუხობს.

**გიორგი მღებრიშვილი**: მთავრობის სხდომაზე თუ ვარ, ნინომ ეს იცის და ძირითადად არ რეკავს; თუ დარეკა, ვხვდები, რომ რაღაც ხდება და მაშინვე ესემესს მაინც ვუგზავნი ხოლმე: „რამე სასწარაფო ხომ არ არის?" – ეს პასუხი არაა ***(იცინის)?***

**– ისე არ ქნათ, რომ ბიჭის მამა სასჯელაღსრულების რომელიმე დაწესებულებაში გახდეთ.**

– არ გამოვრიცხავ. ამიტომაცაა, რომ ნინომ დრო უნდა შეარჩიოს კარგად. ნინო ახლა შვებულებაშია და ეს ჩემთვის გახდა თავსატეხი – როცა სამსახურშია და საქმეებითააა დატვირთული, დასარეკად ვერ იცლის, ახლა კი, სულ სახლშია და ეპატიება ***(იცინის)***. ძველმოდურობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ, ტრადიციებს ვერ ვღალატობ და გენდერული თანასწორობის დამცველად ვერ გამოვდგები, ძალიან აქტიური რეჟიმის მქონე ცოლს ვერ შევეგუებოდი. რა თქმა უნდა, ნინოს კარიერაში ხელს არ შევუშლი, მაგრამ, ვერც ჩემს პრინციპს ვუღალატებ.

**– ნინო, თქვენ სად მუშაობთ?**

– მე პროფესიით ეკონომისტი ვარ და 19 წლიდან ვმუშაობ საბანკო სექტორში. ორი წელია, „ლიბერთი ბანკში" ვმუშაობ, უსაფრთხოების დეპარტამენტში.

**– ვინ ფულს იცავს, ვინ – პატიმრებს; ბა-**

**(გაგრძელება მე-17 გვერდზე)**

**თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელი ცხოვრების აქტიური წესიდან გამომდინარე, დღეს აღარავის უკვირს, რომ ახალგაზრდა მშობლები მაქსიმალურად არიან ჩართულები პროფესიულ საქმიანობაში და შვილების აღსაზრდელად ნაკლები დრო რჩებათ. ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს, კარიერული წინსვლისა და მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით, მაგრამ ბავშვის ფსიქოლოგიაზე არცთუ დადებითად აისახება.**

**ასეთ შემთხვევებში, ძირითადად, ბავშვის აღმზრდელებად ბებია-ბაბუა გვევლინება.**

**რა სირთულეები იჩენს თავს ამ პროცესში და როგორია მათი გადაჭრის გზები, ამასთან დაკავშირებით ჩვენს კითხვებს ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის ფსიქოლოგი სოფო მაისურაძე პასუხობს.**

# რა ასაკშია აუცილებელი მშობლის აქტიური ჩართვა ბავშვის აღზრდის პროცესში და როდისაა მიზანშეწონილი ბებია-ბაბუის გააქტიურება

**– რა დოზით უნდა იყოს ჩართული ბებია და ბაბუა ბავშვის აღზრდაში?**

– საერთოდ, ბავშვის აღზრდაში აუცილებელია, აქტიურად იყვნენ ჩართულები, უპირველესად, მშობლები. მათ უნდა ჰქონდეთ ბავშვთან ემოციური კავშირი და უპირობოდ იღებდნენ მათ (ისეთს, როგორიც არის). უნდა იყვნენ ყურადღებიანი შვილის მოთხოვნილებებისა და ინტერესებისადმი, ასევე, უნდა უზრუნველყონ მათი დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სწორედ ასეთ შემთხვევაში, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ბავშვის განვითარება ნორმალურად მიმდინარეობს. რაც შეეხება ბებია-ბაბუის ჩართვას ბავშვის აღზრდაში, შეიძლება ითქვას, რომ მათი როლი პოზიტიურ გავლენას ახდენს ბავშვზე. სამთაობიან ოჯახში (ბებია-ბაბუა, დედ-მამა და შვილიშვილები) ბავშვი უფრო დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობს თავს, ამდენად, ბებია-ბაბუის მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში სასურველია. თუმცა, აუცილებელია, დაცული იყოს ზომიერება ურთიერთობაში – გაცნობიერებული და გათავისებული ჰქონდეთ თავიანთი როლი და ფუნქციები, როგორც ბებიასი და ბაბუასი. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ახალგაზრდა მშობლები იმდენად დაკავებულნი არიან, რომ ნაკლები დროის გატარება უწევთ შვილებთან, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მშობლის პასუხისმგებლობას გაურბიან და ბავშვის აღზრდას მშობლებს მიანდობენ ხოლმე. ან ბებია-ბაბუები შვილების ასაკის სიმცირის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, მიიჩნევენ, რომ ისინი მშობლის მოვალეობებს თავს ვერ გაართმევენ და საკუთარი ინიციატივით იღებენ პასუხისმგებლობას ბავშვის აღზრდაზე. ორივე შემთხვევაში, ჩნდება არასწორი დამოკიდებულებები. ბებია-ბაბუა გაუცნობიერებლად იღებს და ირგებს მშობლის როლს. ბავშვი კი დგება საფრთხის წინაშე. მას ეუფლება გაუცხოებისა და გაუგებრობის განცდა, ჩნდება ყურადღებისა და სიყვარულის დეფიციტი, რაც შემდგომში უამრავი პრობლემის გამომწვევი შეიძლება, გახდეს.

**– კონკრეტულად, რა შედეგის მომტანი შეიძლება, აღმოჩნდეს ბებია-ბაბუის მხრიდან ზედმეტად ჩარევა?**

– თუ ბავშვს ჰყავს მშობლები, რომლებიც პასიურად არიან ჩართულნი ბავშვის აღზრდაში და მათ როლს ბებია-ბაბუა ასრულებს, ამის შედეგებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ, თუ ბავშვს სხვადასხვა მიზეზის გამო (თუ მშობელი შინ არ იმყოფება, არ ჰყავს და ასე შემდეგ), დედ-მამასთან ყოფნის შესაძლებლობა არა აქვს, აუცილებელია, ბებია-ბაბუა აქტიურად ჩაერთოს შვილიშვილის აღზრდის პროცესში და შეეცადოს, მისცეს ის სითბო და სიყვარული, რომელიც ბავშვის ჯანსაღი განვითარებისთვის ასე საჭიროა. ასეთ შემთხვევაში, ბებია-ბაბუის აქტიური ჩართულობა ნამდვილად გამართლებულია.

**– ზედმეტად პასიურ ბებიასა და ბაბუაზე რას იტყვით?**

– ბებია-ბაბუის პასიური მონაწილეობა ბავშვისთვის ისეთი ტრავმის გამომწვევი არაა, როგორც მშობლების პასიური მონაწილეობა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, მათი როლი ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამდენად, ბებია-ბაბუის მხრიდან პასიურობა ბავშვში იწვევს წყენის განცდას: „თუ ის ჩემზე არ ზრუნავს, მე მას არ ვუყვარვარ“.

**– თავადაც აღნიშნეთ, რომ მშობლები, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ ახერხებენ შვილებთან დიდი დროის გატარებას, რა არის გამოსავალი ასეთ სიტუაციაში?**



აუცილებელია, ბავშვებმა დღეში ერთი საათი მაინც და შაბათ-კვირა მშობლებთან გაატარონ

– თანამედროვე ცხოვრებაში ეს პრობლემა ძალიან ხშირია. თუ მშობლები იმდენად დაკავებულნი არიან, რომ ბავშვი დროის ძირითად ნაწილს ბებია-ბაბუასთან ატარებს, აუცილებელია, დღეში ერთი საათი მაინც და შაბათ-კვირა გაატარონ მშობლებთან. ეთამაშონ და ესაუბრონ, რათა ემოციური სიახლოვე იყოს მათ შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვს შეიძლება, გაუჩნდეს ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემები.

**– ბებიები და ბაბუები, ხშირ შემთხვევაში, ზედმეტად ლმობიერები არიან შვილიშვილების მიმართ. მართებულია თუ არა ასეთი მიდგომა?**

– ხშირ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა – ბებია-ბაბუა ბევრად უფრო გულჩვილი და მიმტევებელია ბავშვის მიმართ, ვიდრე მშობელი. თუმცა, თუ მშობლები ბავშვს გარკვეულ შეზღუდვებს ან წესებს უდგენენ, ასეთ შემთხვევაში, ბებია-ბაბუამ უნდა გაითვალისწინოს ისინი. პატივი სცენ მშობლის მოთხოვნებს და ბავშვს არ მისცენ უფლება, ამ შეზღუდვის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს, რადგან ამ დროს ის ვერ გაითავისებს მოცემულ წესებს და მუდმივად შეეცდება, მათ დარღვევას. ის კი, თავისთავად, ბავშვის განვითარებას უშლის ხელს, ხოლო ბებია-ბაბუასა და მშობლებს შორის კონფლიქტის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

**– ბებიის რბილი შენიშვნის შემდეგ, დედის მკაცრმა შენიშვნამ, შეიძლება თუ არა, აგრესია გამოიწვიოს ბავშვში?**

– ასეთი წინააღმდეგობები, უპირველესად, ბავშვში გაურკვევლობას იწვევს: მან არ იცის, ვის დაუჯეროს და როგორ მოიქცეს. გარდა ამისა, ბავშვში თავისთავად ჩნდება მშობლის მიმართ აგრესიაც. მისთვის გაუგებარია, თუ ბებია ან ბაბუა ნებას რთავს, რატომ შეიძლება, რომ დედამ ან მამამ დაუშალოს.

**– რა არის გამოსავალი ასეთ დროს?**

– გამოსავალი ასეთ სიტუაციებში არის შეთანხმება მშობლებსა და ბებია-ბაბუას შორის, დაიცვან საერთო წესები. მათთვის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ბავშვის ჯანსაღი განვითარება, რისთვისაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია შეთანხმებული მოქმედება.

**– სასჯელს და წახალისებას რაც შეეხება, რა დოზით უნდა გამოიყენოს ის ბებიამ და ბაბუამ?**

– მოგეხსენებათ, რომ ბავშვის დასჯა, იქნება ეს ფიზიკური, პიროვნული თუ ემოციური, კატეგორიულად დაუშვებელია, რადგან ითვლება, რომ ეს არის ბავშვის მიმართ ძალადობა და მისი დამორჩილების სურვილი. გარდა ამისა, დასჯა იწვევს შიშს. დაბნეულმა ბავშვმა, შესაძლოა, მაშინვე დაანებოს თავი ცუდ საქციელს, მაგრამ ეს მხოლოდ იმის გამომხატველია, რომ დასჯამ დროებითი ეფექტი მოიტანა. შემდეგ ბავშვი შეგნებულად თუ შეუგნებლად, ცდილობს, სამაგიეროს გადახდას.

რაც შეეხება წახალისებას, ეს აუცილებელია კარგი ქცევის განსამტკიცებლად. თუმცა, არც შექება და წახალისება უნდა იყოს გადამეტებული და არაადეკვატური.

**– ბებია-ბაბუის ჩართულობასთან დაკავშირებით, ბავშვის ასაკს თუ აქვს დიდი მნიშვნელობა?**

– რა თქმა უნდა, ასაკს ყოველთვის აქვს მნიშვნელობა. 3 წლამდე ბავშვისთვის დედ-მამა ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამდენად, ამ ასაკში ბავშვის ცხოვრებაში მშობლების როლი განსაკუთრებული და შეუცვლელია. ხოლო 3 წლის შემდეგ, იკვეთება ბებია-ბაბუის როლი და მათი მნიშვნელობა. რაც შეეხება წესების შემუშავებას, ბავშვმა 6 წლის ასაკში უნდა გაითავისოს სოციუმის მოთხოვნები და შეუსაბამოს მას თავისი. ამიტომ, ამ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის წევრების შეთანხმებული მოქმედება.

**ქეთი კაპანაძე**

# რატომ გაატარებინა სასჯელაღსრულების მინისტრმა ცოლს თაფლობის თვე მარტოს და ვინ არის მისი „პარასკევა“

(მე-15 გვერდიდან)

**ტონო გიორგი, კოლეგა გყოლიათ მეუღლე.**

– ფინანსების დაცვა მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ, ადამიანების უფრო მნიშვნელოვანი და საპატიოა, ასე რომ, ჩემი „რანგი” ბევრად მაღალია.

**– თქვენი ოჯახური ისტორია როგორ დაიწყო?**

**გიორგი მღებრიშვილი**: ჩემი მეგობრის ოჯახში გავიცანით ერთმანეთი. ორ თვეში დავოჯახდით. ძალიან ზუსტად მახსოვს, 39 წლის და 10 თვის ვიყავი – ამ ასაკში დავემშვიდობე თავისუფლებას.

**– ნინო, იოლად დაათმობინეთ 39 წლის და 10 თვის კაცს თავისუფლება?**

– გიორგი ძალიან თბილი ადამიანი იყო, მოსიყვარულე. ბევრი არც მე მიფიქრია და არც მას, ძალიან მალე მივენდე, ყოველგვარი საქორწინო კონტრაქტის გარეშე.

**გიორგი მღებრიშვილი**: როცა ჩვენ შევუღლდით, ახალი წასული ვიყავი სამუშაოდ ფოთში. ნინო არ წამიყვანია თან. ფაქტობრივად, გზაზე ვიყავი გაკრული – ორშაბათს წავიდოდი, პარასკევს თბილისში ვბრუნდებოდი და ამიტომაც, ხუმრობით „პარასკევა” დავარქვი, სამეგობროში დღემდე ვხუმრობთ ამაზე. ფაქტიობრივად ისე გამოვიდა, რომ თაფლობის თვე ცალკ-ცალკე გავატარეთ, არც საქორწინო მოგზაურობა გვქონია. უკვე წასასვლელად ვემზადებოდით, ორ საათში თვითმფრინავი მიფრინავდა, მაგრამ, ის მეგობარი, ვის ოჯახშიც გავიცანი ნინო, დაიჭირეს და ჩვენ აღარ წავედით პრაღაში, ჩალაგებული ჩანთები ამოვალაგეთ – ასე გადაიდო ჩვენი საქორწინო მოგზაურობა.

**– მინისტრის რანგში მყოფმა მაინც აუსრულეთ ცოლს ეს ოცნება.**

**ნინო გედევანიშვილი**: ახლა ამაზე მით უმეტეს ვერ ვიოცნებებ, – სადღა სცალია მოგზაურობისთვის. ჩვენი საქორწინო მოგზაურობა გაურკვეველი ვადით გადადო.

**– მინისტრის რეგალიამ სახლში შეცვალა თქვენი მეუღლე?**

– არა, საერთოდ არ შეცვლილა. ცდილობს, რომ სახლში არ მოიტანოს იმ სამსახურის სირთულე, რაც, ბუნებრივია, რომ აქვს მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. სახლში არაა ძნელად ასატანი; უყვარს, როცა ყველაფერი წესრიგშია და ასე ხვდება კიდეც. თვითონაც გამოსდის რაღაცეების კეთება – მარტო ცხოვრება კაცს ბევრ რამეს ასწავლის, თუმცა, ახლა ყველაფრისგან გათავისუფლებული გვყავს, სახლში ძირითადად ფინანსთა მინისტრის როლი აქვს *(იცინის).*

**გიორგი მღებრიშვილი**: პრობაციის არ დაგავიწყდეს.

**– სახლში ვინ გყავთ „გამოასაწორებელი”?**

**გიორგი მღებრიშვილი**: ცელქი ელენე. თავისუფლად თუ მიუშვი, ველარ გააჩერებ. სახლში ჯერჯერობით დისბალანსი გვაქვს, მაგრამ, ახლა ბიჭი გაჩნდება და სქესთა ბალანსიც გვექნება დაცული. არის ოჯახში თემები, რომლებიც ჩემ გარეშე არ უნდა გადაწყდეს და ამისთვის ყოველთვის გამოვნახავ დროს. კაცი ოჯახისთვის თუ ვერ მოიცლის, ის ვერც ვერაფრისთვის მოიცლის და ვერც ვერაფერს გააკეთებს კარგად.

**– სად ცხოვრობთ და თქვენი ქონებრივი დეკლარაცია როგორ „გამოიყურება”?**

– ჩვენ ვცხოვრობთ დიდუბეში, ჩემი მშობლების სახლში. ხშირად ვართ საბურთალოზე, ნინოს კუთვნილ სახლში. ეს სახლებია ჩვენი ქონება. ორივე სახლი მანამდე არსებობდა, სანამ მე საერთოდ დავიწყებდი მუშაობას. ბავშვობა მაქვს გატარებული დიღომში – მე, დედა, მამა და ჩემი ძმა ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით. ახლა კოჯორში, მეგობრის აგარაკზე ვართ დაბანაკებულები; ხვალ ნინო და ბავშვი ასევე მეგობართან მიდიან გრიგოლეთში – ასე, მეგობრებში დასვენებით იაფად გამოვდივარ.

**– რას ვერ ელევით, თქვენი მინისტრული გრაფიკის მიუხედავად?**

– მეგობრებს – მათ ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ და მათგან დიდ მუხტს ვიღებ. ახლა სანატრელი გამიხდა ის დრო, რომელსაც მათთან ერთად ვატარებდი. ადრე ძალიან აქტიური სპორტული ცხოვრება მქონდა – კალათბურთზე დავდიოდი, მაგრამ ახლა ამისთვისაც აღარ მცალია. წლებთან ერთად, ისე დავიხუნძლე პასუხისმგებლობებით, ეს გატაცებებიც გაქრა. შემეძლო, უაზროდ მეყურებინა კალათბურთისთვის. ახლა ეს ღელვები გამქრალი მაქვს. ისე ჩაიარა მსოფლიო ჩემპიონატმა, ბავშვობიდან გერმანიის ფანმა მხოლოდ ნახევარფინალსა და ფინალს ვუყურე.

**– თქვენი ძველი გატაცებებით თუ ვიმსჯელებთ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კარგ სპორტულ ღონისძიებებს უნდა ველოდოთ?**

– რატომაც არა, ცხოვრების ჯანსაღი წესი ყველასთვის აუცილებელია. სპორტის მინისტრთან ერთად, მაქვს გეგმები – არასრულწლოვანთა დაწესებულებში ადრეც იყო სპორტული ტურნირების პროგრამები და ახლაც გაგრძელდება. ჯერ მხოლოდ ქალების დაწესებულებაში ვიყავი – რობერტ სტურუას დაბადების დღესთან დაკავშირებით პატიმარმა ქალებმა წარმოდგენა დადგეს. იმ დღეს დაემთხვა პრეზიდენტის შეწყალების აქტი და ხუთი ქალი სრულად გათავისუფლდა სასჯელიდან. ჩემი პირველივე ვიზიტი ქალთა დაწესებულებაში პოზიტიური გამოვიდა – ხუთ ქალს ჩავკიდე ხელი და წამოვიყვანე. გზა კი მოვიჭერი – ყოველ მისვლაზე ხუთ ქალს იქიდან ვერ წამოვიყვან *(იცინის)*, თუმცა, ჩემი მინისტრობის დროს ყველაფერი გაკეთედება იმისთვის, რომ პატიმრებმა თავი სრულფასოვან ადამიანებად იგრძნონ.

**თამუნა სამადაშვილი**

# ვის გაურთულა ირმა ინაშვილმა ცხოვრება და ვისი სული უყვარს მას 15 წელია

(მე-14 გვერდიდან)

ვისაც ჭეშმარიტად უყვარხარ, ეს დიდი ბედნიერებაა. ყველა ადამიანისთვის მთავარი სიმდიდრე მაინც ისაა, როცა ჯერ სულებს უყვართ ერთმანეთი და მერე – ხორცს. ბავშვები და მთავარი ოჯახური საზრუნავები კახაზე მაქვს მინდობილი და გადაბარებული. ბავშვებისთვის, როგორც ამბობენ, კარგი დედა ვარ. მინდა, მათ მივცე მთავარი გეზი – მიიღონ კარგი განათლება. არ მაქვს იმის დრო, რომ მათ სადილები მოვუმზადო და გავუშვა სკოლაში; შუადღეს თუ გამოვნახავ ხოლმე დროს, რომ შვილები ვნახო.

**– გაურთულეთ მათ ცხოვრება?**

– კი, გავურთულე ცხოვრება მათაც და საკუთარ თავსაც. 2012 წლის სექტემბრის შემდეგ შევიძინე პირადი მტრები – დააკავეს არაერთი ადამიანი, რომლებსაც ჰყვათ ოჯახის წევრები, ნათესავები, ვინც ჩემი პირადი მტრები არიან. როგორ შეიძლებოდა, ამის შემდეგ ჩემი ცხოვრება უფრო კომფორტული გამხდარიყო?! მე მზად ვიყავი ამისთვის, როცა კადრებს ვავრცელებდი, რადგან, ვიცოდი, რომ ეს ქვეყანას სჭირდებოდა. ახლა ამ მტრებს სულ „ვგრძნობ”. ვგრძნობ მათი განცხადებებით, პათოსით, მუქარით, რომ, ადრე თუ გვიან, უნდა გამანეიტრალონ, მაგრამ, მე არაფრის მეშინია.

**– როგორია ცხოვრება კადრს მიღმა?**

– ჩვეულებრივი, წყნარი. ჩემი გონება ისეთი დაღლილია, ყველაზე დიდ კომფორტს სიჩუმე მიქმნის. გარედან ვჩანვარ ხმაურიანი, თორემ, სინამდვილეში ძალიან მშვიდი და წყნარი ვარ სახლშიც და მეგობრებთან ურთიერთობაშიც. მე და ჩემს მეუღლეს კამათი და ხმამაღალი ჩხუბი არ მოგვსვლია. ყველას, ვინც მე მიცნობს, ეცინება, როცა აბობოქრებულს მხედავს თოქ-შოუებსა თუ საჯარო გამოსვლებში. მკაცრი, შეუპოვარი და შემტევი ვარ იქ, სადაც ვიცი, რომ არასწორად იქცევიან და უსამართლობა ხდება. შემიძლია, ცარიელი ხელებით მთები დავანგრიო. ცხოვრებაში კი ძალიან სენტიმენტალური ვარ, დღემდე ვტირი „რომაულ არდადეგებზე”, რაც ვიღაცამ, შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოს. ეს სენტიმენტები, საბედნიეროდ, დღემდე მაქვს შემორჩენილი. ყოფითი თემებითა და წვრილმანებით თავს არ ვიღლი; ვწუხვარ, რომ არ მაქვს ჩემი პირადი ცხოვრება, რომ ვერ ვატარებ დროს ჩემს შვილებთან ერთად. 20 წელია, არ დამისვენია. მთელი დღე ისეთი დაძაბული შეხვედრები მაქვს, რაც გვიანობამდე გრძელდება, რომ, ზოგჯერ მიჩნდება სურვილი, სადღაც გავიქცე, მარტო გამოვიკეტო და ვიკეტები ჩემს სამუშაო ოთახში, სადაც მაქვს ნაჩუქარი „იამაჰა”. როცა ვუკრავ „იამაჰაზე”, ეს არის ჩემი ყველაზე კარგი დასვენება. მიყვარს მუსიკა, სულ მინდოდა, რომ კომპოზიტორი გამოვსულიყავი, მაგრამ, როცა ძალიან პატარამ ვნახე, თუ როგორ დაიჭირეს ჩარგალში ნაზი შამანაური, რომელიც ჩემი ნათესავი იყო, ეს ჩემთვის აღმოჩნდა შოკი, რამაც შეცვალა ყველაფერი – მძლია ჟურნალისტიკამ და ბავშვობის სურვილი ვერ ავისრულე.

**– ცოტა შორს წაგელოთ ის „იამახა“, სამსახურზე უკეთეს გარემოში.**

– სამსახურიდან შორს ვერ წავალ. აქედან რომ გავიდე, ვიცი, ვიღაცას დავჭირდები და ათ წუთში უკან უნდა მოვბრუნდე. ერთი „იამაჰა” სახლშიც მაქვს, მაგრამ, სახლში მე არ ვარ, ხელმარჯვეობასთან მწყრალად ნამდვილად არ გახლავართ. უმაგრესი კულინარი ვარ, გემრიელობების გაკეთება შემიძლია, თუმცა ეს მხოლოდ დღესასწაულებზე ხდება. ზოგჯერ ჟინჟილების გასაკეთებლად ვპოულობ დროს – მიყვარს ჟინჟილები. ახლა ის ჩემი შემოსავლის წყარო აღარაა, მაგრამ, მეგობრებს ვჩუქნი ხოლმე ჩემს ჟინჟილებს და მეც ძირითადად ჩემი ხელით გაკეთებული აქსესუარები მიკეთია.

**– ახლა, ჟურნალისტიკას შელეულს, არ გენატრებათ ის, რასაც ამდენი წელი მიუძღვენით?**

– არა, არ მენატრება. მიმაჩნია, რომ დავიხარჯე, გამოვიყენე ჩემი ძალები, შევასრულე რამდენიმე საეტაპო ჟურნალისტური საქმე, მათ შორის მაშინ, როცა 22 წლის ვიყავი და აფხაზეთის ომში წავედი. ჩემი წარსულიდან ყველაზე ხშირად ჭუბერის გზა მახსენდება. სამწუხაროდ, მაშინ ბევრი მამაკაცი ჟურნალისტი ვერ მიდიოდა იქ და ძირითადად ქალებმა ავწიეთ ეს ტვირთი. ისტორიას შემორჩა ბევრი კადრი, რომელიც გადაღებულია ჩემი და ჩემი მეგობრის მიერ, მათ შორისაა ჭუბერის კადრებიც. ჩვენ ორასი კილომეტრი გამოვიარეთ ფეხით. ყველას ჰგონია, რომ კარგი, კეთილი და თავადდებულია, მაგრამ, როცა ასეთ რთულ განზომილებაში ხვდები, საშუალება გეძლევა, შეიცნო საკუთარი თავი, თუ ვინ ხარ სინამდვილეში. იმდენი ცუდი და სისუსტე ვიპოვე ჩემს თავში, იმდენი რამ შემხვდა იმ გზაზე, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი და რაც აღმოჩნდა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი გაკვეთილი, რომელიც ყველაზე მძიმე დღეებში და წლებში ძალიან ბევრჯერ გამომადგა.

**თამუნა სამადაშვილი**

**ლაშა ხოზაშვილი უკვე რამდენიმე წელია, ამერიკის დასების საუკეთესო ხუთეულში შესულ „ბოსტონ ბალეტში“ ცეკვავს და თავისი პროფესიონალიზმითა და ულამაზესი შესრულებით მაყურებელს მუდამ აღაფრთოვანებს. ამ ხნის განმავლობაში არაერთ სცენაზე მოუწია ცეკვა, თუმცა, მისთვის დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანია თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე, ქართველი მაყურებლის წინაშე გამოსვლა – ყველაზე მეტად ქართველი მაყურებლის აპლოდისმენტები უყვარს. ამიტომ, თუ რამე შემოთავაზება ექნება საქართველოდან და დროსაც გამონახავს, სიამოვნებით იცეკვებს ქართველი მაყურებლისთვის.**

# ვინ დადგა ლაშა ხოზაშვილსა და მის პარტნიორზე „ბოსტონ ბალეტში“ საპრემიერო სპექტაკლი და როგორ დაიმსახურა მათმა წყვილმა „ლინკოლნ ცენტრში“ დიდი მოწონება

**ლაშა ხოზაშვილი**: ჩვენ, მოცეკვავეებმა, ვიცით, რა არის ჩვენთვის კარგი და, როგორ უნდა მოვუფრთხილდეთ თავს. ერთხელ, ბოსტონთან ახლოს, მე, ვაჟა მანიამ და რეზო მაჩაიძემ ვისრიალეთ თხილამურებზე. მე „ორზეც” ვისრიალე, „ოთხზეც”, მუცელზეც და ზურგზეც, სანამ მივეჩვეოდი. საფრთხე მაინც მინამალურია. ფეხბურთიც ძალიან მიყვარს. სკოლის დროს ბევრს ვთამაშობდით, მასწავლებელი სულ მიშლიდა: ამდენს ნუ თამაშობო. ახლაც ვთამაშობ ხანდახან ჩემს მეგობრებთან ერთად. ისეთ დროს ვარჩევ, რომ შედარებით თავისუფალი ვიყო – მეორე დღეს, არ მქონდეს სპექტაკლი. რადგან, როცა დიდი ხანია, არ გითამაშია, მეორე-მესამე დღეს ისე ხარ, ფეხზე ველარ დგები. ტრავმა დარბაზში, რეპეტიციის, ან ვარჯიშის დროს უფრო ხშირია. შეგიძლია, აიცილო – კარგად მოემზადო, რაც უფრო მზად ხარ, მით უფრო მინიმალურია ტრავმის ალბათობა, მაგრამ, ეს ისეთი რამ არის, საიდან მოვა, ვერ გაიგებ. მთავარია, რომ სცენაზე არაფერი დაგემართოს, სპექტაკლის დროს. თუმცა, მე არაერთხელ მიცეკვია სცენაზე ტრავმით. მაგალითად, წინა სეზონი ნატკენი ფეხით ვიცეკვე, კბილებით მეჭირა თავი. ერთი-ორჯერ ისე ცუდად გავხდი, მეგონა, ახლა კოჭებთან ყველა ძარღვი ჩამიწყდება-მეთქი. ჯერ ბოლომდე არ მაქვს მორჩენილი, რომ ჩავალ, მკურნალობა უნდა გავაგრძელო.

**– როგორც მითხარი, ეს სეზონი ძალიან დატვირთული გქონდა.**

– გარდა იმისა, რომ ბოსტონში ვიცეკვეთ როგორც ძველი, ასევე ახალი სპექტაკლები, ივნისში ვაშინგტონში გვქონდა გასტროლები ჯერ „კენედის ცენტრში“, შემდეგ – ნიუ-იორკში, „ლინკოლნ ცენტრში“. ნიუ-იორკის გასტროლი ყველაზე საპასუხისმგებლო იყო, რაც კი „ბოსტონ ბალეტსა“ და პირადად მე გვქონია. „ლინკოლნ ცენტრში“ პირველად ვიცეკვეთ, ისევე, როგორც „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ სცენაზე. ლომის გალიაში რომ შეაგდო კურდღელი, დაახლოებით ასეთი შეგრძნება გვქონდა. თან, ბალანჩინი წავიღეთ, სადაც მე ვცეკვავდი მთავარ პარტიას. შიში, რა თქმა უნდა, არ მქონია, პირიქით, ძალიან ვიყავი დამუხტული; თან, დიდი პასუხისმგებლობა მქონდა და ათმაგად ვმუშაობდი. ბალანჩინით გავხსენით მეორე პროგრამა და მაყურებელმა მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოხატა, ძალიან კარგად მიგვიღო. აპლოდისმენტებს კი ველოდით, მაგრამ, ფეხზე წამოდგომასა და ყვირილს – არა. კამერების წინ ხალხმა საოცარი რაღაცეები თქვა... ბალნაჩინის „თეთრი ბალეტი“ რომ ვიცეკვეთ, ერთმა ქალმა თქვა: ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ასეთი შესრულება „ნიუ-იორკ სიტი ბალეტისგანაც“ არ მინახავსო. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თან, პირდაპირ კამერების წინ რომ გააკეთა ხმამაღალი შედარება. კრიტიკაც ძალიან დადებითი იყო. ისეთი კრიტიკოსიც იყო მოსული, ვერავინ რომ ვერ იტანს, რადგან, ამქვეყნად არაფერია მისი მოსაწონი. მან ძალიან მსუბუქად დაწერა ჩვენ შესახებ: არც ის თქვა – ვაიმე, გადავირიეო, მაგრამ, პლუსებსაც გაუსვა ხაზი და იმასაც, რაც არ მოეწონა. მერე გავიგეთ, რომ ასეთი შეფასება მისი საუკეთესო კრიტიკა ყოფილა.

**– შენზე რა დაწერეს?**

– ჩემი პატრნიორი, ანუ, ვისთანაც ძირითადად ვცეკვავ, ეს არის ლია ცირიო. არ მახსოვს, ამ კაცმა თუ სხვამ, შეგვაფასა, როგორც საუკეთესო წყვილი. ჩემთვის ეს ყველაზე სასიამოვნო იყო, ეს მირჩევნია, ინდივიდუალურ შეფასებს. რომ დამიწერონ, საშუალოო, ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა გამოვასწორო. რადგან მე პრეტენზია მაქვს არა საშუალოზე, არამედ საშუალოზე მეტზე, ამიტომაც იყო ჩვენთვის ეს საუკეთესო კრიტიკა – შემდგარი წყვილია, როგორც ერთი, ისე იყვნენო. ხოსე მარტინესი იყო „გრანდ ოპერის“ წამყვანი სოლისტი, ძალიან კარგი მოცეკვავე, ახლა აღარ ცეკვავს და „ბოსტონ ბალეტში” გააკეთა საპრემიერო დადგმა. ჩემზე და ჩემს პარტნიორზე დადგა ახალი ბალეტი – ეს იყო ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე.




ნეოკლასიკური ბალეტი იყო, საინტერესოდ დადგმული, ლამაზად გაკეთებული, სასიამოვნოდ შესასრულებელი, როცა ბალეტი შენზე იდგმება, აქ ქორეოგრაფი შენთან ისე კი არ მუშაობს – ეს მინდა, ან ის მინდაო; პირიქით, შენ გეკითხება აზრს. მე და ლიამ ჩვენი რაღაცეები შევიტანეთ ბალეტში და ძალიან უცხო გამოვიდა, მსოფლიო პრემიერა იყო. ჯერ ვიცეკვეთ ბოსტონში, შემდეგ ნიუ-იორკში ჩავიტანეთ და დიდი მოწონება დაიმსახურა. კიდევ გვქონდა კილიანის „ბელა ფიგურა“ – მე ხომ ვგიჟდები კილიანზე!

**– თითქმის ყოველ წელს გაქვს ინდივიდუალური მიწვევა სხვადასხვა ქვეყნიდან. წელს რა ხდებოდა ამ მიმართულებით?**

– წელს ვიყავი კორეაში. ძალიან კარგი იყო. ჩვენს დასში ერთი კორეელი მოცეკვავეა, საკმაოდ ძლიერი, ბოსტონში წელს გახდა სოლისტი. ლამაზი გოგონაა, კარგი მოცეკვავე და შემომთავაზა მასთან კორეაში ერთად წასვლა. ვიცეკვეთ „დონ კიხოტიდან“ პა დე დე და ჩვენი „ბოსტონ ბალეტის” წამყვანი მოცეკვავის (რომელიც უკვე ასაკშია, მაგრამ, კარგ ქორეოგრაფიებს აკეთებს) თანამედროვე დადგმა. ძალიან მოეწონათ – როგორი უცხო და საინტერესოაო. ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. კორეაში უკვე მეორედ ვიყავი. წინა წელს ბევრი არ მიცეკვია და წელს გაუხარდათ, კიდევ რომ ჩავედი და უფრო მეტი ვიცეკვე. საღამოს ორგანიზატორი მოვიდა ჩემთან და მითხრა, ჩვენ კიდევ შევხვდებით, მინდა, კიდევ ჩამოგიყვანო, ჩემს სიაში ხარო. ასევე, ვიყავი სამხრეთ კოლუმბიაში გალა საღამოზე და ამ საღამომაც ძალიან კარგად ჩაიარა. მინიმუმ, სამი-ოთხი ასეთი გასტროლი გამოვტოვე შტატებში, რადგან, ისეთი დრო მითხრეს, ვერ მოვახერხებდი, სპექტაკლები მქონდა.

**– კორეელ გოგონაზე თქვი, წელს სოლისტი გახდაო... შენ შემთხვევაში კი, როგორც ვიცი, ყველაფერი სხვაგვარად იყო – პირდაპირ, თან ინტერნეტის საშუალებით აგიყვანეს „ბოსტონ ბალეტში” წამყვან სოლისტად.**

– კი, ასე იყო. ეს გოგონა კარგი მოცეკვავეა: მეორე წელს მეორე სოლისტად გადაიყვანეს, მესამე წელს კი – წამყვან სოლისტად. ჩემს შემთხვევაში კი ყველაფერი სხვაგვრად მოხდა, თუმცა, ჩემთვის უბრალო სოლისტად მუშაობაც რომ შემოეთავაზებინათ, მაინც დავთანმხდებოდი – ძლიერი დასია, სერიოზული თეატრი. თუმცა, ერთი რამ ნამდვილად მეცოდინებოდა – რომ წამყვან სოლისტად უნდა გადავსულიყავი.

**– ალბათ, უკვე ემზადებით ახალი სეზონისთვის.**

– დიახ. ორი კვირა ვიყავი თბილისში და მაქსიმალურად ვეცადე, ყველა მენახა. ახლა ჩავალ ბოსტონში და 11 აგვისტოდან მე და ეკა, ჩემი მეუღლე, რეპეტიცებს დავიწყებთ. პირველი ორი თვე ძალიან რთული და დატვირთული გვექნება, რადგან ყველა იმ ბალეტზე ვიმუშავებთ, რომლებიც 2014-2015 წლის სეზონზე უნდა გავხსნათ. შემდეგ სეზონს გავხსნით „გედების ტბით“, რომელიც ჩვენმა დირექტორმა დადგა, ახალი კოსტიუმებიც შევიკერეთ. უკვე ეკასაც აქვს როლები. იქ, უხეშად რომ ვთქვა, ბევრი მოცეკვავე ელოდება თავის რიგს, რომლებსაც უფრო მეტი სტაჟი აქვთ. თუმცა, შეიძლება, რაღაც როლზე ეკა დასჭირდეთ და აღარ მიაქციონ სტაჟს ყურადღება. ეკას საკმაოდ ბევრი შანსი აქვს, რომ სხვადასხვა პარტია იცეკვოს. ეს მეც მიხარია და ეკაც ძალიან კმაყოფილია. რა როლიც მიუციათ, კარგად უცეკვია და კმაყოფილები დარჩენილან.

**– რომელი უფრო კრიტიკული ხართ შეფასების დროს?**

– სხვა რომ მეტყვის – ყოჩაღ, ლაშა, რა კარგი იყოო, ეკა მეუბნება – ეს რას ჰგავდაო, მე კი ვპასუხობ, ქმარი შენ არ იცი და ახლობელი-მეთქი. თუ მეტყვის, არა უშავრდაო, ესე იგი, კარგი იყო. თუ ძალიან დამიწუნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ პატარა დეტალი გამეპარა. ასეთი კრიტიკოსი და შემფასებელი სხვა არავინ მყოლია, მთელ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო და საშინელი კრიტიკოსია ჩემთვის – პირდაპირი, ხანჯალს რომ დაგარტყამს გულში. სახლშიც სულ მტანჯავს. ძალიან სუფთა ადამიანია და სულ უნდა ბზინავდეს ყველაფერი. სტუმრები რომ მოდიან, ჯოხით ელოდება: ფეხსაცმელი გაიხადეთ, თორემ, მოგხვდებათო. „ჩესტით” შემოდიან. სახლში ეკაა მეფეც და ყველაფერიც. მეც ვაძლევ ცეკვასთან დაკავშირებით შენიშვნას, მაგ-

**(გაგრძელება 50-ე გვერდზე)**

**ტელე და რადიოწამყვანი – თამუნა მუსერიძე, თავისდაუნებურად, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცევა. მართალია, როგორც თავად ამბობს, ამისთვის განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს, მაგრამ მაინც ასე ხდება. სკანდალები თითქოს ყოველთვის თან სდევს მის პიროვნებას. ვისთან ერთად ისვენებს ამჟამად და როგორ გეგმავს დარჩენილი შვებულების გატარებას, ამას უკვე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ვის ვერ გამოჰყავს მდგომარეობიდან თამუნა მუსერიძე და ვისთან ერთად გეგმავს ის აქტიურ დასვენებას

**– საკმაოდ დატვირთული სამუშაო სეზონის შემდეგ ისვენებ და ამჟამად ბაკურიანში იმყოფები. როგორ ხარ და ვისთან ერთად?**

– არ მეგონა, ორკვირიანი დასვენება, რომელიც დავგეგმე, ასეთი ნეტარებით აღსავსე იქნებოდა. პირველი სამი დღე დავისვენე, მერე უკვე მივხვდი, რომ ასეთი დასვენება საჩემო არ არის.

**– რატომ?**

– არაფერს ვაკეთებ – დილით ვიღვიძებ, გავდივართ პარკში, შემოვდივართ ვსაუზმობთ, მერე ისევ გავდივართ პარკში, მერე ვსადილობთ, ვვახშმობთ და ასე გადის დღეები. უკვე აღარ შემიძლია. სანდროსთან (შვილთან) ერთად ვისვენებ. საბედნიეროდ, აღმოვაჩინე ჩემი მეგობარი, დიჯეი ლუი და „ჯიდიესის" რამდენიმე თანამშრომელი, რომლებსაც საბავშვო ბანაკი აქვთ ჩაბარებული. საღამოობით მათ კონცერტებს ვესწრებით, რაღაცნაირად ვეხმარები მათ. ჩართული ვარ მათ გართობაში და ცოტა ამით ვიხალისებ გამოყრუებულ დღეებს.

**– მოკლედ, პიონერული სისტემით და პენსიონრული რეჟიმით ისვენებ.**

– კი დავიბადე კომუნისტური წყობის დროს, მაგრამ უბედნიერესი ვარ, რომ არ გავიზარდე იმ რეჟიმში. ასე რომ ყოფილიყო, რას ვიზამდი, მართლა არ ვიცი.

**– ბოლო დროს სოციალურ ქსელში შენი საკმაოდ თამამი ფოტოები გამოჩნდა. თითქმის ყველა სურათში საცურაო კოსტიუმში ხარ გამოწყობილი.**

– ამ ლამაზი ფოტოებისთვის მადლობა სანდრო ბიტარიშვილს. არ მეგონა, ხალხს ჩემს ფოტოებზე ასეთი რეაქცია თუ ექნებოდა.

**– რატომ?**

– მარტო მე ვარ საცურაო კოსტიუმში გადაღებული? რატომ ატყდა ასეთი ამბავი, მართლა არ ვიცი, გაოგნებული ვარ. ალბათ, გახსოვს, შარშანაც რა აჟიოტაჟი ატყდა ჩემს ფოტოებზე, რომელიც ეგვიპტეში მქონდა გადაღებული. შარშანდელი არ იკმარეს და წელსაც განგაშის ზარმა ჩამოჰკრა მოულოდნელად. სიმართლე გითხრა, ხალხის ამგვარი რეაქცია უკვე აღარ მაინტერესებს. სულიერად ვისვენებ და აგრესიული ადამიანები ჩემზე ვერანაირად ვერ იმოქმედებენ.

**– კიდევ ერთი ხმა გავრცელდა, თამუნა მუსერიძემ მკერდი კიდევ გაიდიდაო. მართალია?**

– არა, რას ლაპარაკობ. კიდევ რა, ერთხელ რომ გავიდიდე, არ იყო საკმარისი თუ რა ხდება?! ეს სიმართლე ნამდვილად არ არის.

**– როდის ბრუნდები თბილისში?**

– აგვისტოს პირველ რიცხვებში უკვე საბედნიეროდ, თბილისში ვიქნები და რამდენიმე დღეში, ჩემს დაქალთან და შვილთან ერთად, გონიოში მივდივარ. იქაც დაახლოებით მსგავსი დასვენება მელოდება, თუმცა მაინც ზღვაა და რაც არ უნდა იყოს, 100 პროცენტით უფრო დადებითად მოქმედებს ჩემზე და არა მხოლოდ ჩემზე. დავისვენებთ სასტუმროში, რომელიც მთაშია, აქვს თავისი აუზი, არის ფანტასტიკური ხედი. შიგადაშიგ მოვახერხებ, ბათუმსა და ქობულეთში კლუბში გასართობად ჩასვლას, რომ ცოტა აქტიური დასვენების შტრიხები შევმატო ჩემს შვებულებას. გონიოდან რომ დავბრუნდები თბილისში, აი, მერე უკვე 4 დღით, მეგობრებთან ერთად, მივდივარ ბათუმში. მე და გიორგი ნაზღაიძემ წინასწარ დავგეგმეთ დასვენება.



**ერთხელ რომ გავიდიდე მკერდი, არ იყო ის საკმარისი თუ რა ხდება, კიდევ რატომ უნდა გამედიდებინა?**

**– იმედი მაქვს, გასული წლის მსგავსად, შენი და გიორგის ერთად დასვენებისას ექსცესები აღარ იჩენს თავს.**

– წელს თურქეთში აღარ მივდივართ შეგნებულად და იმედია, ყველაფერი მშვიდად ჩაივლის. ზუსტად ვიცი, რომ წელს ძალიან მაგარი დასვენება გველის ბათუმში. შარშან ხომ ძალიან მაგრად გავერთეთ მე და გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ დაგვიჭირეს და წელს უფრო მაგრა გავერთობით. უკვე ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ, პრობლემები რომ არ შეგვექმნას.

**არ მეგონა, ხალხს ჩემს ფოტოებზე ასეთი რეაქცია თუ ექნებოდა. მარტო მე ვარ საცურაო კოსტიუმში გადაღებული? რატომ ატყდა ასეთი ამბავი, მართლა არ ვიცი, გაოგნებული ვარ**

**– სატელევიზიო სეზონი როდის იხსნება?**

– 1 სექტემბერს. ამიტომ, აგვისტოში უნდა მოვასწრო ყველაფერი.

**– შენს პირად ცხოვრებაში ხომ არ არის რამე სიახლე?**

– არა, არაფერი, სად შემიძლია. არ გამოდის პირადის და სამსახურის ერთმანეთთან შეწყობა ამ ეტაპზე და რა ვქნა.

**– ძალიან გაპასიურდი.**

– ვიცი, სკანდალები მოგაკელით ბოლო დროს, მაგრამ ისე ხდება, რომ ვერ ვეწყობი, სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე. ამჟამად მართლა ვისვენებ პირადი ცხოვრებისგან.

**– სკანდალების ნამდვილი ოსტატი ხარ.**

– ამ დროს წინასწარ დაგეგმილი მართლა არაფერი მაქვს, როგორც ამას ბევრი აკეთებს და მერე ახორციელებს.

**– მიუხედავად ამისა, მაინც ხშირად ხვდები ყურადღების ცენტრში.**

– ისეთი ვარ, სულ რომ არაფერი გავაკეთო, რაღაცნაირად მაინც ყურადღების ცენტრში ვხვდები.

**– რა არის ამის მიზეზი?**

– არ ვიცი, ალბათ, შინაგანად მაქვს დანათლებული ამის ნიჭი. მართლა, რაღაცნაირად, თავისთავად ხდება ჩემ ირგვლივ ყველაფერი. მაგალითად, ახლა ხომ ვარ ბაკურიანში დასასვენებლად და აქაც კინაღამ სკანდალში გავეხვიე.

**– რა მოხდა?**

– ერთ-ერთმა მშობელმა, ბავშვები რომ ვერ გააჩერა, 6 ბავშვი ჩაისვა მანქანაში და მულტფილმი აყურებინა. ჩემმა შვილმა რომ ნახა სხვის მანქანაში მულტფილმებს უყურებდნენ, იგივე ხომ უნდა გაემეორებინა. გამოიტანა ლეპტოპი, ჩაისვა 8 ბავშვი და დაიწყეს ყურება. მარტო ვერ დავტოვე და მეც მათთან ერთად ვიჯექი. უცებ ვიღაც ქალი ისეთი კივილით მორბოდა, რომ გავდიჟდი, გაოგნებული ვუყურებდი. ფანჯარაზე უკაკუნებდა ბავშვს, ჩქარა გადმოეთრიე მანქანიდანო. სავარძლის უკან ჩავიმალე, რამე რომ არ ჩაეცხო თავში. იმისთვის ჩამოგათრიე, რომ მანქანაში იჯდე, მე ყველა არ მაინტერესებსო. მოკლედ, ყველა გამოგვლანძღა, ვინც მანქანაში ვისხედით ამ ქალმა და თავისი შვილი სულ ცემა-ტყეპით გადაათრია. ოღონდ ყველა ჩვენ გვიყურებდა. რა უნდოდა, არ ვიცი, ალბათ, ელოდებოდა, მე აქედან წიკვინს დავუწყებდი და გახურდებოდა კიდეც სკანდალი. აქ დასასვენებლად ვარ ჩამოსული და სკანდალის ნერვები არ მაქვს. ვერავინ გამომიყვანს მდგომარეობიდან, სულ რომ 10 ასეთი ქალი დამახტეს ერთად.

**– შენი დასვენება წელს მხოლოდ საქართველოთი შემოიფარგლება?**

– არა, ოქტომბერში, ჩემს დაბადების დღეზე, საკუთარ თავს სიურპრიზს ვუკეთებ – იტალიაში მივდივარ მარტო. ჩემი მეგობარი ცხოვრობს იქ და დამპატიჟა. სხვა არავინ მიკეთებს სიურპრიზს და მე მაინც მოვუწყო საკუთარ თავს.

**მარიკა ხიდურელი**



# როდის ნანობს ცოლი გულახდილობას და როგორი შურისძიება შეუძლია ზოგიერთ ქმარს

**მამაკაცებიც ხშირად ხდებიან ღალატის მსხვერპლნი და, ქალების მსგავსად, მათაც შეუძლიათ შურისძიება ცოლების საყვარლებზე. როგორ აკეთებენ ისინი ამას და რატომ აპატიებენ მეუღლეებს, რომელთაც მეტოქეს არაფრით უთმობენ?! – ამბობენ, რომ შურისძიებას არ მოაქვს შვება, თუმცა, ძალიან ბევრი ასე არ ფიქრობს, უფრო მეტიც, ისინი სიხარულს, სიამოვნებას განიცდიან და ტკბებიან შურისძიებით. ქალები და მამაკაცები ამაშიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან.**

ეთუნა *(47 წლის):* მამაკაცებმა გამაოცეს. ჩემი ცხოვრების ბოლო ორი წელია, სერიოზული ქარიშხლები დამატყდა თავს. არ ვიცი, რა მოხდა და რატომ მოხდა, მაგრამ, რაც არის, იმას უკვე ველარ შევცვლი. ვერც იმას გეტყვით, ვნანობ თუ არა ამ ყველაფერს. ჩემი ქმრის საქციელი თან მაბრაზებს, თან ჩემს თავმოყვარეობას მალამოდ ედება. მოკლედ, მოგყვები და თავად განსაჯეთ, ვარ თუ არა დამნაშავე, ჩემი ცხოვრება ყირამალა რომ დადგა. ორი წლის წინ ნორმალური ოჯახი მქონდა, ანუ, ისეთი, როგორსაც ჩვენი საზოგადოება მიიჩნევს ნორმალურად: მყავდა ქმარი, რომელთანაც ოცი წელი ვიცხოვრე და, მინდა გითხრათ, ამ ოცი წლის განმავლობაში, ყველა დღე ია-ვარდით მოფენილი და ფერადოვანი არ ყოფილა. გულიც მტკენია მისგან და ეჭვებსაც ავუტირებივარ. ღალატში მარტო იმიტომ არ გამოვიჭირე, რომ ღრმად არ გავქექე მისი ქმედებები.

**– ეს რას ნიშნავს?**

– იმას, რომ არ ჩავეძიე და რაღაც-რაღაცეებზე თვალები დავხუჭე. იმიტომ არა, რომ ორი შვილით მარტო დარჩენის შემეშინდა. ნამდვილად არ დავიკარგებოდი, მივხედავდი საკუთარ თავს; უბრალოდ, იმ ეტაპზე ჩავთვალე, რომ ღირდა ოჯახის შენარჩუნება. თუ ჩემი ქმარი სადღაც დაძვრებოდა, ამას საკმაოდ ფრთხილად აკეთებდა. ანუ, გამოდის, რომ რაღაც პატივსაც მცემდა. ასეა თუ ისე, მისი ღალატის ფაქტი არ მქონია. ვცხოვრობდით საკმაოდ შეძლებულად. ჩემს ქმარს თავისი ბიზნესი აქვს და, შემეძლო, ჩემი ხელფასი ჩემივე სიამოვნებისთვის დამეხარჯა ბოლო თეთრამდე. მანქანა, რა თქმა უნდა, ქმარმა მიყიდა, როცა ცენტრში ჩვენი ბინა გავაქირავეთ და ქალაქგარეთ საკუთარ სახლში გადავედით, სადაც ყველანაირი კომფორტი გვქონდა. ბავშვებიც გაიზარდნენ – ერთი სკოლას ამთავრებდა, მეორე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა... ერთი სიტყვით, მათ ჩემთვის აღარ ეცალათ. ჩემს ქმარს არ უყვარს სახლში ხალხმრავლობა და, ამიტომ, დაქალებს იშვიათად ვეპატიჟებოდი... სამაგიეროდ, თვითონ დადიოდა ხან სანადიროდ, ხან სათევზაოდ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეუბნებოდა. ძალიან მოვიწყინე. ცხოვრება ერთფეროვანი და უინტერესო გახდა. არ მინდოდა დაბერება 44 წლის ასაკში. ქმარი ხუმრობით „ჩემო პენსიონეროს" მეძახდა და, ვერც კი მიხვდა, ამით რა გააკეთა – პრაქტიკულად, მიბიძგა ღალატისკენ. ვისთანაც ვუღალატე, ჩემზე ათი წლით უმცროსია. ჩემი ქმარია დამნაშავე იმაში, რომ ერთმანეთი გავიცანით მე და ჩემმა საყვარელმა. მანქანა რომ მიუყვანა ხელოსანს (ჩემს მანქანას ვგულისხმობ), რა თქმა უნდა, ცოტა მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა საკუთარი ცოლის მიმართ, საქმე აქამდე არ მივიდოდა.

**– მანქანის ხელოსანთან გააბით რომანი?**

– დიახ და ამაში გასაოცარი არაფერია. ისეთი თვალებით მიყურებდა, თავი ამქვეყნად ყველაზე სასურველ ქალად ვიგრძენი.

## ქმარი ვერც მიხვდა, თვითონვე როგორ მიბიძგა ღალატისკენ

ძალიან მჭირდებოდა ამის შეგრძნება. ვიდრე ვინმე გამკიცხავს, საკუთარი თავი წარმოიდგინოს ჩემს ადგილას. ზოგჯერ ისეთ მდგომარეობამდე მივდიოდი, რომ თმის დავარცხნაც კი აღარ მინდოდა, გაპრანჭვასა და თავის მოვლაზე საერთოდ აღარ არის ლაპარაკი. შეიძლება, რომელიმე ქალისთვის სულერთია, მამაკაცები ყურადღებას აქცევენ თუ არა, მაგრამ, მე თავს უსარგებლო ნივთად ვგრძნობდი. რაღაა ჩემი სიცოცხლე-მეთქი, ვფიქრობდი და, უცებ, თითქოს ხელახლა დავიბადე, პატარა გოგოსავით გავხალისდი... ყოველ დღეს სიხარული მოჰქონდა ჩემთვის. ასეთი ყურადღებიანი საკუთარი გარეგნობის მიმართ ბოლოს როდის ვიყავი, არც მახსოვს. შვილებმაც კი შეამჩნიეს ჩემში მომხდარი პოზიტიური ცვლილება და შემაქეს. მარტო ჩემი ქმარი რჩებოდა ყრუდ და ბრმად. პაემანზე ფრთაშესხმული მივრბოდი. ნამდვილად არ ავყოლივარ ილუზიას და არ მიფიქრია, რომ ყველაფერი სერიოზულად გაგრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შეყვარებულს ცოლი არ ჰყავდა, ანუ, არ ვიმედოვნებდი, რომ შევუყვარდებოდი და არც მქონდა ამის პრეტენზია. იმიტაც ბედნიერი ვიყავი, რომ ვუნდოდი, როგორც ქალი.

**– არ გიფიქრიათ, რომ მას თქვენი მდგომარეობა მოსწონდა, თქვენი მატერიალური შესაძლებლობა და ჰქონდა რაღაც კონკრეტული გეგმა?**

– არა, რა სისულელეა! ის მე არაფერს მთხოვდა. როცა რამეს ვუყიდდი, ტანსაცმელს ან სუნამოს, ბრაზობდა – რატომ იხარჯები. რაც შეეძლო, პატივს მცემდა. მართალია, არ ჰქონდა ძვირფასი რესტორნების ფული და ძირითადად ყავაზე მპატიჟებდა, მაგრამ, მასთან თავს თავისუფლად და ბედნიერად ვგრძნობდი. ეს იყო ურთიერთობა ყოველგვარი ძალდატანებისა და ვალდებულებების გარეშე, მხოლოდ სიამოვნებაზე დამყარებული... და, უცებ, ჩემმა შეყვარებულმა მითხრა ის, რასაც არაფრით ველოდი – ქმარს სიმართლე უთხარი, გაშორდი და დავქორწინდეთო. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა – ორმოცდაექვსი წლისას ცხოვრება თავიდან უნდა დამეწყო. შვილებისაც მომერიდა. ძალიან დიდები იყვნენ იმისთვის, რომ ახალი მამა მიეღოთ. ჩემმა შეყვარებულმა გამაფრთხილა – ჩვენს ურთიერთობას დიდხანს ვერ დავმალავთ, ადრე თუ გვიან, მივა შენი ქმრის ყურამდე და, მგონია, აჯობებს, თვითონ უთხრა და ჩემთან წამოხვიდეო. მაინც ვერ ვუთხარი ქმარს და თვითონ გაიგო – დაგვინახა ვილაცამ ერთად და მიუტანა ამბავი. დიდი სკანდალი არ ყოფილა, იმიტომ რომ, როგორც კი მკითხა, მართალია ეს თუ არაო, ეგრევე დავუდასტურე, მართალია-მეთქი. გაოგნდა, შტერივით მიყურებდა. ვერაფრით წარმოედგინა ჩემგან ასეთი რაღაც. ვუთხარი, თუ არ შეგიძლია, მაპატიო, გავშორდეთ. ერთად ოცი წელი გავატარეთ. შვილები გაიზარდნენ. შენ, მგონი, აღარ გჭირდები, გაგეცლები და ჩემი სიამოვნებისთვის ვიცხოვრებ. ბავშვებს ერთად დაველაპარაკოთ და, ალბათ, გაგვიგებენ-მეთქი. ჯერ ჩუმად იყო, მერე კი უცებ აყვირდა. მთელი ხმით ღრიალებდა – ეს როგორ გამიკეთე, ღირსი ხარ, ტყვია მოგაჭედო შუბლში და შენი საყვარელიც მოგაყოლო ზედ, მაგრამ, ციხეში თქვენ გამო ვერ ჩავჯდებიო. არც იოცნებო, რომ მასთან გაგიშვა, ჩემი ცოლი ხარ და ჩემთან იქნებიო.

**– ანუ, გაპატიათ?**




## ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

– ასე გამოვიდა. მე არ დამიწყია მისთვის ხვეწნა, რომ ეპატიებინა. არც მითქვამს, საყვარელს თავს დავანებებ-მეთქი. ჩუმად ვიყავი და ხმას არ ვიღებდი.

**– გინდოდათ მისგან წასვლა?**

– არა. არც ისეთი ავანტიურისტი ვარ, რომ ყველაფერი სასწორზე დამედო. ვერ დავინგრევდი ცხოვრებას. თან, იმხელა გრძნობაც

**შეიძლება, რომელიმე ქალისთვის სულერთია, მამაკაცი ყურადღებას აქცევს თუ არა, მაგრამ მე თავს უსარგებლო ნივთად ვგრძნობდი**

არ მქონია, რომ ასე გამერისკა. ამიტომ, გადავწყვიტე, დაველოდებოდი მოვლენების განვითარებას. ჩემმა ქმარმა ყველა საქმე მიატოვა და დამიწყო უკან დევნა. ჩუმად ხან სად წამომადგებოდა თავზე, ხან – სად. მე ჯიბრით ვიქცეოდი. პლასტიკური მანიპულაციებიც კი ჩავიტარე და მართლა ძალიან მაგარ ფორმაში ჩავდექი. ქმარმა მანქანა გამომიცვალა – მაპატია კი არა, ზედ მევლება, მაგრამ, შური მაინც იძია ჩემს საყვარელზე, ოღონდ, ძალზე უცნაურად. ეს კაცები გასაოცარი და ძალიან უცნაური არსებები არიან. ჩემ ჩუმად ის ავტოსახელოსნო იყიდა, სადაც ჩემი საყვარელი მუშაობდა. თან, ვითომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ვისთან ვღალატობდი... ყველანაირად შეავიწროვა და ახლა საერთოდაც აიძულა, წასულიყო სამსახურიდან. მე მითხრა, თუ ამასთან მღალატობდი და კიდევ განაგრძობ იგივეს, ისე გავუხდი საქმეს, ველარსად იმუშავებს და მშიერი მოკვდებაო. ვნანობ, რომ გულახდილად ვუთხარი სიმართლე. უნდა მეთქვა, ტყუილია-მეთქი – რას დამიმტკიცებდა?

**– იმიტომ ნანობთ, რომ თქვენი რომანი იმ ახალგაზრდა კაცთან დასრულდა?**

– მარტო ამიტომ არა. ჩემი ქმარი არაპროგნოზირებადი გახდა. რომანს მე ისედაც დავასრულებდი – ხომ გითხარით, მართლა არ ვაპირებდი ოჯახის დანგრევას, მაგრამ, არ მინდა, სინდისი მაწუხებდეს იმისთვის, რომ ჩემთან ურთიერთობის გამო ვიღაც დაზარალდა. არ არის ცუდი ბიჭი, გულწრფელი იყო ჩემთან და ერთგულიც. ჩემს ქმარს კი აშკარად ვატყობ, რომ არ უნდა ახალ რეალობასთან შეგუება – ჰყავს ცოლი, რომელიც ლამის წავიდა მასზე ბევრად ახალგაზრდა კაცთან, ამიტომ, გულგატეხილია და დათრგუნული. ერთხელ წამოსცდა, არ მეგონა, გამბედაობა თუ გეყოფოდა ჩემგან წასასვლელადო. გირჩევ, არ გამომცადო-მეთქი და, არც ვაპირებო, მითხრა. მიკვირს, ასე რომ მებღაუჭება. თუმცა, კაცებს რას გაუგებ...

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**მე და ჩემს ქმარს ურთიერთობა გაგვიფუჭდა... გვირთულდება ყოველდღიურად. როცა ცოლად გავყევი, ასეთი ჩაკეტილი და დაკომპლექსებული არ იყო. ახლა, ფაქტობრივად, კონტაქტშიც კი იშვიათად შემოდის. აღარსად დამყვება, არც მეგობრებთან ურთიერთობა უნდა. რომ ვთქვა, ეჭვიანია-მეთქი, არ არის ასე. რა უნდა ვქნა, მე არ მიყვარს ასეთი კარჩაკეტილობა. როგორ მოვიქცე, ამის გამო ოჯახი როგორ დავანგრიო?!**

**გამოხმაურება:** ორი ადამიანის თანაცხოვრება ადვილი ნამდვილად არ არის. ყველას თავისებური ხასიათი აქვს. ბუნებრივია, თქვენც გექნებათ თქვენი მეუღლესთვის არასასიამოვნო ჩვევები, თუ გიყვართ, რაღაც კონსესუსამდე მიხვალთ. ოჯახის დანგრევას კი ნუ იჩქარებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაძიძე**

## ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

# დაიშლება თუ არა „დუეტი ჯორჯია" და რამდენ ხანს ექნება მას შემოქმედებითი პაუზა

**ყველასთვის საყვარელ მომღერალსა და „ახალი ტალღის“ გამარჯვებულ, მაკა ზამბახიძესთან საუბარს იმ სიახლით დავიწყებთ, რომელიც „დუეტი ჯორჯიას" შესახებ ითქვა ამ ბოლო დროს. საქმე ეხება რატი დურგლიშვილის საქართველოდან წასვლას.**

**მაკა ზამბახიძე**: კი, რატი აპირებს საქართველოდან წასვლას.

**– რა ეშველება, მის არყოფნაში „დუეტ ჯორჯიას"?**

– „დუეტ ჯორჯიას" ექნება შემოქმედებითი პაუზა.

**– რამდენი ხანი გაგრძელდება ეს პაუზა?**

– ჯერჯერობით, არ არის ცნობილი. დამოკიდებულია იმაზე, როგორ აეწყობა ყველაფერი, რა გეგმებით მიდის, როგორ დაკვალიანდება. თუ კარგად აეწყო და ყველაფერი კარგად იქნა, დარჩება თუ არა და...

**– თუ კარგად აეწყო, შეიძლება, შენც გაემგზავრო?**

– ეს იმდენად ძალიან ძალიან სამომავლოა, რომ ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. მაგრამ, არაფერია გამორიცხული.

**– პირადად, მაკა ზამბახიძის კარიერაში რა სიახლეები იგეგმება რატის გარეშე?**

– მაქვს რაღაც-რაღაც გეგმები. 2 სიმღერაზე ვმუშაობ. ჩემს შვილთან ჩავწერე ერთი სიმღერა, რომელზეც კლიპი გადავიღეთ. თვითონ სიმღერა არის ჩემი შვილის, სალომეს დაწერილი, ინგლისურენოვანია. სულ ახლახან გვქონდა პრემიერა. რაღაცეებს ვაპირებთ... ძალიან მინდა, სალომეს საინტერესო შემოქმედებითი მომავალი ჰქონდეს. ვნახოთ, რა იქნება. ხდება ძალიან საინტერესო რაღაცეები, რისი თქმაც ჯერჯერობით, არ მინდა. ჯობია, სიურპრიზად დავტოვო...



**ტოტო კუტუნიოს რა პასუხი უნდა მოსთხოვო, როცა ქართველმა ერმა ვერ გაიგო ეს სიმღერა**

**– მინდა „ახალი ტალღის" თემას შევეხოთ. როგორ შეაფასებ და მოულოდნელი იყო თუ არა შენთვის ამ კონკურსზე საქართველოს გამარჯვება?**

– კი, ჩემთვის „ახალ ტალღაზე" გამარჯვება მოულოდნელი იყო. იმიტომ არა, რომ ნუცა არ იყო ძალიან კარგი კანდიდატურა, პირიქით, მან თავის საქმე გააკეთა ისე, როგორც უნდა გაეკეთებინა. მაგრამ, საკუთარ თავზეც ვერ წარმოგვედგინა მაშინაც. ეს ისეთი თემაა, კონკურსზე პირველი ადგილის აღება, ყოველთვის მოულოდნელია – გგონია, რომ საქართველო იქნება ჩრდილქვეშ. ასე რომ, ასე არ არის და თურმე, შეიძლება, დაამტკიცო, თქვა, შენი სათქმელი – ისე დაგვირგვინდეს ეს საქმე, როგორც შენ გინდა. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ძალიან მიხარია, რომ საქართველომ კიდევ ერთხელ გაიმარჯვა, ნუცამ გვასახელა.

**– თვითონ ნუცა ბუზალაძის გამოსვლას როგორ შეაფასებდი?**

– კარგად იყო ყველაფერი ნამდვილად. პირველი სიმღერაც, ვფიქრობ, თავის ასაკთან შედარებით კარგად იყო შერჩეული და კარგად გრძნობდა ამ სიმღარაში თავს ნუცა. თვითონ უნდოდა და კარგადაც შეასრულა. საერთოდ, პროგრამა ჰქონდა კარგად შერჩეული – პირველ დღეს რიტმული სიმღერა, მერე ქართული და შემდეგ ლირიკული. ძალიან გამოკვეთილი ლიდერი იყო ნუცა და ვფიქრობ, არ ჰყავდა კონკურენტები. არ იყვნენ მზად მონაწილენი და არც რეპერტუარი ჰქონდათ კარგად შერჩეული.

**– თქვენ დროს უფრო დიდი კონკურენცია იყო?**

– ჩვენ დროს, იქ იყვნენ გამოკვეთილი ფავორიტები. მართალია, თვითონ კონკურსანტები გვეუბნებოდნენ, რომ თქვენ უნდა გაიმარჯვოთო და მხარდაჭერაც იყო. ბევრი დაიკარგა სცენაზე, მაგრამ რეპეტიციაზე გამოკვეთილი ლიდერებიც იყვნენ. რუსეთი, იტალია, გერმანია, სომხეთიდანაც ძალიან კარგი მომღერალი იყო.

**– სხვა მხრივ, რა სიახლეებია მაკას ცხორებაში – როგორ ატარებ ზაფხულს?**

– ვმუშაობ, სტუდიის გახსნა მინდა. ჩაბმული ვარ ამ საქმეში და სექტემბრიდან უკვე ჩემი სახელობის სტუდია მექნება.

**– ზაფხულს როგორ ატარებ?**

– ზაფხულს, ძირითადად, მუშაობაში ვატარებ თბილისში. 3 დღით თუ გავალ ქალაქიდან. ახლა ბათუმში ვიყავი ჯაზ-ფესტივალზე.

**– ახალი კულტურის მინისტრის მოსვლით, ფიქრობ, რომ შეიცვლება ამინდი თქვენს სფეროში?**

– წინასწარ ვერანაირ გაცხადებას ვერ გავაკეთებ. რასაც ვამბობ, მერე არ სრულდება, რაც საკუთარ თავზეც მაქვს გამოცდილი. აქედან გამომდინარე, შევხედავთ, დრო ყველაფერს გვიჩვენებს. იცი რა, ეს ჯაზ-ფესტივალიც, უკვე რაღაც წინ გადაგმული ნაბიჯია. დაიგეგმა და უკვე 8 წლის განმავლობაში ტარდება. ამით თუ ვიმსჯელებთ, მგონი, კარგი დასაწყისია. მე წარმატებებს ვუსურვებ და ყველაფერ კარგის მოლოდინში ვარ, როგორც პოზიტიური ადამიანი.

**– სალომეზე ვისაუბროთ, რა გეგმები და რა პოტენციალი აქვს?**

– სალომე უცბად, ძალიან მოულოდნელად, შემოიჭრა ჩემს სფეროში. არ მიყვარს ხმამაღალი ნათქვამი, მაგრამ ვფიქრობ, ძალიან მონდომაბულია. ფლობს მუსიკალურ ინსტრუმენტს, კიდევ უნდა გავაგრძელოთ მეცადინეობა. სექტემბრიდან მინდა, კარგად გაერკვეს მუსიკაში. კარგი გემოვნება აქვს, კარგ მუსიკას უსმენს, ერთი მიმართულების მსმენელი არ არის. მე მიყვარს მრავალფეროვნებმა, ბევრ სფეროში რომაა გათვითცნობიერებული. რა ვიცი... მე ყველნაირად ხელს შევუწყობ. ვფიქრობ, ეს, ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სალომესთვის – სიმღერას, რაც დაწერა, ხორცი შევასხით და კარგი გამოვიდა.

**სალომე უცბად, ძალიან მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს სფეროში**

**– რატი როგორ აფასებს?**

– თავდაპირველად, სალომემ რომ შინაურული სიმღერა დაიწყო, ვახოს და რატის მოსწონდათ. რატი სულ მეუბნებოდა, კარგად მღერის, უცხო ტემბრი აქვსო. მე და დედაჩემი უფრო სკეპტიკურად ვიყავით განწყობილნი. მინდა, წარმატებები ვუსურვო.

**– შეიძლება თუ არა, სალომე რომელიმე მუსიკალურ კონკურსში ვნახოთ, თუნდაც იგივე „ახალ ტალღაზე"?**

– იმდენად არ მიყვარს კონკურსები, საკუთარ თავზეც რომ მაქვს გამოცდილი, რა ნერვების ფასად დამიჯდა, არ ვიცი, ვნახოთ... ვფიქრობ, სალომე ჯერ უნდა გაიზარდოს. ავტორ-შემსრულებლის იმჯს თუ შეიქმნის და გაართმევს ამ საქმეს კარგად თავს, კი ბატონო, ასეთ კონკურსში შეიძლება მივაღებინო მონაწილეობა. ისე, როგორც მომღერალი, არა. მინდა, ავტორ-შემსრულებლის ნიშა ჰქონდეს.

**– ახლა რა ასაკისაა სალომე?**

– 13 წლისაა. სიმღერას, რომელიც მან დაწერა, ჰქვია „ენჯელ“. ტექსტიც მას ეკუთვნის. არანჟირების ავტორია ზაზა ხუბუკელაშვილია, რომელიც ძალიან დაგვეხმარა და გაგვილამაზა ეს სიმღერა. მე დასასვენებლად ვიყავი და რომ ჩამოვედი, სალომე მეუბნება: დედა, სიმღერა დავწერეო. იმდენად არასერიოზუად მომეჩვენა, თავიდან არც მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ, არ მომეშვა ბავშვი, მოისმინე, მოისმინეო. – დედობრივი ვალდენულება გამიჩნდა, რომ მომესმინა. თავიდან, რომ მოვისმინე, ძალიან არ გამიკრიტიკებია – მოსმენად ღირდა. მერე დავინეტერესდი, მერე იდეა მომივიდა – იქნებ მე და სალომეს დუეტი ჩაგვეწერა და უკვე, საინტერესოდ მომეჩვენა. ასე, შეიქმნა თვალსა და ხელს შუა ეს სიმღერა.

**– თქვენი პერიოდის „ახალი ტალღა" გაიხსენე. ითქვა, – აგუტინი ცოტა არ იყოს, შოვინისტიაო, მაგალითად, სომხები, ხშირად აღნიშნავენ თავის სტატუსებში – მელაძეები რომ არ ჰყავდეთ ქართველებს, ასე ხშირად ვერ გაიმარჯვებენო. შენ როგორ შეაფასებ ამას?**

– იცი, რა, ყველას თავისი ინდივიდუალური მოსაზრება აქვს. მე მიმაჩნია, რომ ამ კონკურსში ისეთ კონკურსანტს არ გაუმარჯვია, რომელიც ღირსი არ იყო. სამეული ყოველთვის დაკავებული იყო ძალიან კარგი შემადგენლობით. მელაძეების 2 ქულა ვერ უშველის ვერაფერს. სხვამ თუ დაბალი ქულები დაწერა, საქართველო ვერ გაიმარჯვებს. ჟიური ერთსულოვანია.

**– თუმცა, შარშან მართლა კუტუნიოს დაწერილმა რვიანმა გადაწყვიტა სალომე ქათამაძის ბედი.**

– ვერ გაიგო და რა ქნას?! საქმეც ისაა, რომ ქართველმა ერმა ვერ მიიღო ეს სიმღერა. როგორც მახსოვს, შარშან ისეთი კომენტარები იწერებოდა ამის შესახებ და ტოტო კუტუნიოს რა პასუხი უნდა მოსთხოვო, როცა ქართველებმა ვერ გაიგეს ეს სიმღერა?! კრიტიკის საგანი გახდა. იქ მოსწონდათ რეპეტიციაზე. მოსაცდელში როგორც კი დაიწყებოდა, ყველა შემოდიოდა ანთებული თვალებით და თავის დადებით დამოკიდებულებას გამოხატავდა. სალომემ ფანტასტიკურად აჩვენა შარშან თავი. მეორე ადგილი აიღო, დაჯილდოებაზე ძალიან დადებით და საქებარი სიტყვები უთხრეს.

სხვა კონკურსზე არ ვიცი, მაგრამ „ახალ ტალღაზე" ყველა განწყობილია, რომ რაღაც ახალს, საინტერესოს შესთავაზებს ამ კონკურსს ყოველი ახალი ქართველი შემსრულებელი. თუმცა, ევროვიზიაზე რომ ვთქვათ, ასე არ არის.

**ეკა სალაღაია**

**ცოტა ხნის წინ სამოდელო სააგენტო „ჯეო მოდელსის“ მოდელები, 15 წლის ანა შელია და 19 წლის თეკლა ჩიჯავაძე მილანიდან და სტამბულიდან დაბრუნდნენ (ანა – მილანიდან, თეკლა – სტამბულიდან), სადაც საკმაოდ წარმატებული სამუშაო ჰქონდათ. ახლა ორივე სულმოუთქმელად ელოდება სექტემბრის დადგომას, რადგან, პერსპექტივაშია ახალი კონტრაქტები და სამუშაოები.**

# რატომ უწევდა თეკლა ჩიჯავაძეს დღეში უამრავი კაბის გამოცვლა და როგორ გააკეთა ანა შელიამ მილანში „მისონისა“ და „ზუჰაირ მურადის“ ლუქ-ბუქები

**ანა შელია**: ცოტა ხნის წინ მილანში ვიყავი, იქ დაიწყო ყველაფერი. რომ გავიგე, მილანიდან მქონდა მოწვევა, თან, ისეთი წარმატებული სააგენტოდან, როგორიც არის IMG Models, შოკში ვიყავი, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. აქედან მარტო გავფრინდი და ერთი საათი ვიჯექი მილანის აეროპორტში უფროსის კაბინეტში. სამუშაო ვიზა კი მქონდა, მაგრამ, პატარა ხარო და საბუთების გადამოწმება დაიწყეს. პანიკაში ვიყავი. ყველა საბუთი წესრიგში რომ აღმოჩნდა, ბოლოს, გამომიშვეს. აეროპორტიდან მაშინვე სააგენტოში წამიყვანეს, მომცეს უზარმაზარი რუკა და მითხრეს: საღამოს მეილზე ქასთინგებს გამოგიგზავნით, რუკაც გაქვს და წადიო. დილით გამომიგზავნეს მეილი, სადაც ეწერა, რომ იმ დღეს 5 ქასთინგი მქონდა. თან, იცი, როგორ გიგზავნიან? – სახელი, საათი – რომლიდან რომლამდეა, სად მდებარეობს, რომელ ქუჩაზე და უნდა წახვიდე, იპოვო. თან, იმხელა რუკა იყო, ვერ გავერკვიე, სად და როგორ უნდა წავსულიყავი. სახლში ერთ გოგონასთან ერთად ვცხოვრობდი, რომელთანაც დავმეგობრდი. ძალიან კარგი გოგონა იყო, ნორვეგიელი და ის დამეხმარა. ჩვენ ერთი თვე ვცხოვრობდით ერთად, შემდეგ ბელორუსი გოგო შემომისახლეს. ასე რომ, ნორვეგიელი გოგონას დახმარებით, პირველივე დღეს მშვიდობიანად მივედი ქასთინგზე. თუმცა, პირველი ორი კვირა წამება იყო, სანამ ქალაქის ქუჩებსა და მეტროში კარგად გავერკვეოდი.



ანა: „სამი კვირის შემდეგ „იუდაშკინის” პირველი ჩვენება გავაკეთე და აქედან დაიწყო ყველაფერი. იყო ოტ-კუტიური, ულამაზესი კაბები... ისეთ ლამაზ ადგილას ჩატარდა ჩვენება, თავი სასახლეში მეგონა“

– **როგორ ჩაიარა შენმა პირველმა ქასთინგმა?**

– რომ მივედი, იმდენი ლამაზი გოგო დამხვდა, თავი დაბალი, ჯუჯა და გვაჯი მეგონა. ქასთინგზე ძალიან ბევრი რუსი მოდელი იყო, მაგრამ, რატომღაც, მათთან მუშაობა აღარ უნდათ. პირველი „ვალენტინ იუდაშკინის” ჩვენება გავაკეთე. მახსოვს, გადაღებაზე ვიყავი და ბუქერმა მომწერა: 2 საათზე ფითინგია, რამენაირად მოახერხე იქ მისვლა; თუ მოეწონები, აგირჩევენ და ჩვენებაზე გამოხვალო. მივედი, ამირჩიეს, სამი კვირის შემდეგ „იუდაშკინის” პირველი ჩვენება გავაკეთე და აქედან დაიწყო ყველაფერი. ძალიან გამიხარდა. ოტ-კუტიური იყო, ულამაზესი კაბები. ისეთ ლამაზ ადგილას ჩატარდა ჩვენება, თავი სასახლეში მეგონა: წითელი ხალიჩა, ლამაზი კაბები, სტუმრები. თავიდან დიზაინერი პირადად არ გვინახავს. ჩვენების დროს, საიდანაც გავდიოდით, დიდი ტელევიზორი ეკიდა და იქ იდგა, უყურებდა, ვინ როგორ გადიოდა. ყველას კომპლიმენტს ეუბნებოდა და მე მითხრა, ეს კაბა ძალიან გიხდებაო. ისე მესიამოვნა... საყვარელი კაცია. ამის მერე მქონდა „ალექსანდრ მაქვინის” პრეზენტაცია. მათი ქასთინგები ძალიან განსხვავებულია, მხოლოდ კი არ უნდა იდგე და ისე გადაიღო ფოტოები, ემოციები უნდა დაანახვო, რადგან, შენი პიროვნულობა აინტერესებთ. იქ, ქასთინგებზე სულ ვიტყუები ხოლმე: ზოგჯერ ვამბობ, რომ 16 წლის ვარ, ზოგჯერ – 17-ის, რადგან, პატარებს არ ირჩევენ – პატარაა და ვერ გაუძლებსო. რაც შეეხება „მაქვინის” პრეზენტაციას, ახალი კოლექციის დახურული ჩვენება მოაწყვეს. მეც ამირჩიეს და მომიწია ამ ჩვენებაში მონაწილეობა, ძალიან ლამაზი კოლექცია იყო. როცა ქასთინგზე ვიყავი, იქ ერთი ქალი იყო, ვინც მოდელებს არჩევდა და მას გამოველაპარაკე. ჩემი ბრეკეტები მოეწონა, ბევრ სხვა საერთო თემაზეც ვისაუბრეთ და, ალბათ, თავი დავამახსოვრე. ისე კარგად ჩაიარა ყველაფერმა, საერთოდ არ დავღლილვარ, როგორც ეს გადაღებებზე ხდება ხოლმე. ყველაზე მეტად ეს ჩვენება მომეწონა. ხუთი მოდელი ვიღებდით მონაწილეობას, საკმაოდ დიდი კოლექცია იყო და გავინაწილეთ. ასევე, მქონდა ძალიან საინტერესო სამუშაო – ზუჰაირ მურადის ლუქ-ბუქი გავაკეთე. ფოტოგრაფი, ვისთანაც ვმუშაობდი, ძალიან ცნობილი და ერთ-ერთი საუკეთესოა იტალიაში. რომ გავიცანით, მერე მომიყვა, როგორ მუშაობდა ქეით მოსთან, ნაომისთან, ბიანკასთან და ასე შემდეგ. ოღონდ, იტალიელები ქართველებზე უარესები არიან.

– **რას გულისხმობ?**

– ეს უნდა მოვყვე. მოკლედ, გადაღებაზე დილის 7 საათზე დამიბარეს. რომ არ დამგვიანებოდა, 6 საათზე მივედი, ისინი კი 10 საათზე მოვიდნენ. ორი საათი ვარცხნილობაზე დავობდნენ, შემდეგ ერთი ვარცხნილობა აირჩიეს და ზუჰაირს გადაუგზავნეს, მაგრამ, არ მოეწონა: რამე სხვა გააკეთეთო. ამასობაში 12 საათიც გახდა. ამ დროს მილანში ლანჩ-თაიმი იწყება: 12 საათიდან 3 საათამდე ჭამენ. დაახლოებით 4-ის ნახევარზე ზუჰაირმა მოგვწერა: ეს ვარცხნილობა ცოტათი მომწონს, ოღონდ, თმა დაუგრძელეთო. პარიკი დამადეს, დამიგრძელეს თმა და, როგორც იქნა, 5-ის ნახევაზე დაიწყო გადაღება, რომელიც ღამის 3 საათზე დამთავრდა. მკვდარი ვიყავი დაღლილობისგან. ეს ფოტოგრაფი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, მართლა მოვკვდებოდი. ორ წუთში ვიღებდით ერთ ბუქს, უბრალოდ, ყოველ ჩაცმაზე ტანსაცმლისა და მაკიაჟის შესწორებაა საშინელება. კიდევ, გადავიღე „მისონის“ ლუქ-ბუქი ცნობილი საიტის – style.com-ისთვის; მქონდა, ასევე, „მისონის“ პრეზენტაცია.

– **შენი პირველი ჩასვლა მილანში საკმაოდ წარმატებული გამოდგა.**

– დიახ და მიხარია ძალიან. მაგალითად, ზუჰაირთან მუშაობაზე არც კი მიფიქრია. იმ დროს დედას ველაპარაკებოდი სკაიპით და უცებ მომივიდა შეტყობინება მაილზე. ისე გამიხარდა... წარმატებული იყო, მაგრამ, რთულიც. მეტროში საფულე მომპარეს და ამაზე სულ გავგიჟდი. შიგ მედო ბინის გასაღები, აბონემენტი, ბარათები, მთელი ფული, ქართული ნომერი. ისეთ საშინელ მდგომარეობაში ვიყავი, კინაღამ მოვკვდი; მგონი, იმ ბელორუსმა გოგონამ დამწყევლა. ყველაფერს ნახულობდა, ყველაფერი აინტერესებდა და მერე დედამისს სკაიპში ჩემზე ელაპარაკებოდა. ასე მგონია, იბოღმებოდა, რადგან, არ ჰქონდა გადაღებები და მეც ვერ ვამბობდი, ახლა გადაღება მაქვსმეთქი – დამწყევლიდა.



თეკლა: „ყველაზე ნერვების მომშლელი თმის ლაკის დასხმა იყო – იმდენს მასხამდნენ, ბოლოს გამხმარი მქონდა თმა. საღამოს ვიბანდი და დილით ისევ იგივე ხდებოდა“

– **როგორ შეხვდნენ მშობლები შენს გამგზავრებას?**

– მამა ფეხბუთელი რომ იყო, ალბათ, ამიტომ, კარგად ესმის ყველაფერი; დედაზე ხომ, აღარაფერს ვამბობ. თან, მენდობიან – იციან, იქ ცუდს არაფერს გავაკეთებ. რამე სიახლე რომ ხდებოდა, მაშინვე დედას ვურეკავდი და ისიც რჩევებს მაძლევა.

**თეკლა ჩიჯავაძე**: მოდელობა წელიწადნახევრის წინ დავიწყე. ახლა დამიგროვდა ბევრი კარგი ფოტო, მეც გავიზარდე და დაიწყო ჩემი კარიერული წინსვლაც. ცოტა ხნის წინ სტამბულის სამოდელო სააგენტო „რისფე-

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**ხშირად დავდივართ ეკლესიაში, ვამბობთ აღსარებას, მაგრამ ნებისმიერ, თუნდაც პატარა დაბრკოლებასთან შეხვედრისთანავე, საკუთარ თავს, უფლის, მოყვასის სიყვარულსა და იმედს ვკარგავთ. ხშირად ისიც კი არ ვიცით, რა არის ჩვენი ცხოვრების არსი, რა გვჭირდება ცხონებისთვის და როგორ უნდა გავხდეთ მორწმუნე ქრისტიანი, ვისწავლოთ სხვების სიყვარული. ამ ყველაფრის შესახებ გვესაუბრება, ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# როდის ხდება ადამიანი ეშმაკის მოკავშირე და როგორ აბრკოლებს მორწმუნე საკუთარი ქცევით სხვებს

– დღეს, როდესაც ქრისიტიანი მოინათლება წმიდა სამების სახელით, გაიზრდება, გააცნობიერებს, რომ უნდა იპოვოს უფალი, გახდეს ეკლესიური, მიაშურებს დედა-ეკლესიას, რომლის გარეშეც არ არსებობს ცხონება, მან ერთი რამ უნდა გაითვალისწინოს. ჩვენ მარტო საკუთარი თავის ცხონებისთვის კი არ უნდა ვიზრუნოთ, არამედ იმისთვისაც, რომ სხვა არ დავაბრკოლოთ. როდესაც დღეს მოსანათლ ადამიანს აქვს სურვილი, გახდეს ქრისტიანი, ის უპირველეს ყოვლისა, სხვაში ეძიებს მაგალითს – თუ როგორია, როგორ იქცევა. თუ მოსაქცევი ადამიანი დაინახავს, რომ ქრისტიანი ცხოვრობს იგივე წესით როგორც თვითონ – ისიც მიჯაჭვულია ამქვეყნის საზრუნავზე, ეძიებს დიდებას, ვერცხლისმოყვარეობის ცოდვაშია ჩაფლული, ანგარებიანია, ის დაბრკოლდება და ამბობს: მაშინ მე რად მინდა ასეთი სარწმუნოება, მოძღვრება, რომლითაც ადამიანები ისევე ცხოვრობენ, როგორც მე.

**– დღეს ადამიანები მიჯაჭვულები არიან მრავალ საცდურს და არაფრით არ ზრუნავენ საკუთარ სულზე, ცხონებაზე. არადა, როგორც ცნობილია, ნებისმიერი ქრისტიანის მოწოდება ცხონებაზე ზრუნვაა, დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანი.**



**არ შეიძლება, ადამიანი იყოს მართალი, იმიტომ რომ, ის, ასე თუ ისე, მიჯაჭვულია ცოდვის ვნებას და ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც დაეცემა**

– უნდა გავითავისოთ, რომ ადამიანი მხოლოდ უფალშია თავისუფალი. ბუნებრივია, მოსაქცევი ადამიანი დასვამს კითხვას, რატომ უნდა მოინათლოს, იმისთვის, რომ ჩვენს ეკლესიაში სასწაულები აღესრულებოდა?! მაგრამ, დღეს თითქმის აღარ აღესრულება სასწაულები და შეიძლება, ადამიანი ამის გამო დაბრკოლდეს. აბა, რისთვის და მართალი სიცოცხლისთვის. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ მართალი სიცოცხლე თითქმის განადგურებულია. ანუ, მართალი ადამიანები თითქმის არ არიან ამ ქვეყანაზე. პირდაპირი გაგებით, მართალი მხოლოდ უფალია. არ შეიძლება, ადამიანი იყოს მართალი, რადგან ის, ასე თუ ისე, მიჯაჭვულია ცოდვის ვნებას და ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც დაეცემა. თუმცა, დაცემის შემდეგ აღდგომაც არის. ესეც ხელეწიფება ადამიანს უფლის მადლით, მაგრამ – ის მაინც ეცემა, მაინც ცოდვის შვილია. ამიტომ, ძნელია, სრული მნიშვნელობით ითქვას, რომ ადამიანი არის მართალი. თუმცა, იყვნენ ასეთები – წმიდანები, პატრიარქები, მაგრამ ეს უფრო მათი ცხოვრების წესიდან მომდინარეობდა. ისინი უფალს ემსახურებოდნენ, არა მარტო ბაგეებით, არამედ გულითაც. წმიდა სახარება და გარდამოცემაც გვატყობინებს, რომ დადგება დრო, შვილებს საკუთარი დედები აღარ ეყვარებათ, მამებს – შვილები, ანუ ადამიანს ადამიანი აღარ ეყვარებაო. თუ დავაკვირდებით ჩვენს ყოფას, მართალაც ასეა. მაგრამ, შეიძლება, ბევრმა იკითხოს, ხომ არიან ისეთები, რომლებსაც უყვართ შვილები, ახლობლები, მაგრამ ეს არ არის ჭეშმარიტი სიყვარული. ჭეშამარიტი სიყვარულია ის, თუ შეგიძლია თავგანწირვა ადამიანისთვის და თავდადება მოყვასისთვის. ქრისტიანი მაშინ არის ქრისტიანი, როცა უყვარს. ჩვენ დღეს, სწორედ სიყვარულის ნაკლებობა გვჭირს.

**– როგორ უნდა მოიქცეს ასეთი დროს ქრისტიანი?**

– ზოგჯერ ადამიანს ჰგონია, თუ წაიკითხავს ბევრ საგალობელს, დაუჯდომელს, პარაკლისს, ფსალმუნებაში იქნება, მხოლოდ ასე შეიძლება, გაიგოს მისი უფალმა. მაგრამ, თუ ეს არ არის გულიდან ამოსული, და მხოლოდ ზედაპირულია, უფალი მას არ შეისმენს. პირიქით, შეიძლება იქვას, რომ ასეთი ლოცვა უფლისთვის საძაგელიც არის. მაგრამ, საკმარისია, უფალს გულიდან, სულიდან ამოსული სიტყვა ვუთხრათ, რომ ის აუცილებლად შეისმენს. რაც შეეხება სიყვრულს, თუ ადამიანი უფალს შესთხოვს, ის ისწავლის სიყვარულს, სიყვარულსაც ვარჯიში სჭირდება. თუმცა, ამისთვის საკუთარი თავი უნდა შეიმეცნო.

**– როდესაც ადამიანი ინათლება, როგორც წმიდა მამები ამბობენ, ამ დროს მან ღმერთი შეიმოსა, ის ვალდებული ხდება, თავის ცხოვრებაში გაატაროს ის პრინციპები, რომელთა შესრულებასაც უფალი ავალებს.**

– ის უნდა იყოს ზნეობრივი, უნდა ილვაწოს, უპირველეს ყოვლისა, არა გარეგანი, არამედ სულიერი, საკუთარი „მე“-სთვის. ამის შემდეგ კი, შეუძლია, იზრუნოს გარეგნობაზეც. რადგან გარეგნობაზე ზრუნვაც ქრისტიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც წმიდა მამები, წმიდა წერილი, გარდამოცემა გვეუბნება, ადამიანი, რომელიც არ უვლის და არ უფრთხილდება თავს, ამით აშავებს კიდეც. იმიტომ, რომ ადამიანი გამორჩეული არსებაა, ის ღვთის ქმნილებაა, ყველაფრის გვირგვინია, ის უნდა ზრუნავდეს საკუთარ თავზე, ამ შემთხვევაში – გარეგნობაზე. ადამიანი სწავლობს შემეცნებას, ასევე, თვითშემეცნებასაც. შემეცნება, როგორც ეკლესიის მასწავლებლები ამბობენ, ცხოველსაც გააჩნია, ანუ შემეცნება იმისა, რომ მას რაღაც უნდა, რაღაც სჭირდება, რაღაცაზეა დამოკიდებული, ბუნებრივ თუ ფიზიკურ მოთხოვნილებებზე. როდესაც ადამიანი იზრდება, ყალიბდება, ის არა მხოლოდ შეიმეცნებს გარე სამყაროს, არამედ შეიმეცნებს საკუთარ თავსაც. ეს კი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა უკეთ გაიგოს საკუთარი „მე“, შინაგანი სამყარო და გახდეს უკეთესი, იმის დახმარებით, რომ აღასრულოს უფლის მცნებები, უფლისგან დადგენილი ზნეობრივი კანონები. ადამიანის დანიშნულება ისაა, განავითაროს საკუთარი სულიერი ძალები და თუ ეს ასე არ არის, მაშინ, ნებსით თუ უნებლიეთ, ხდება ეშმაკის მოკავშირე – თუ არ არის ღმერთთან, ესე იგი, არის ეშმაკთან. ერთი შედარება მინდა მოვიყვანო, როდესაც ადამიანი ინათლება, განსაკუთრებით, თუ ის ჩვილია, მას მეურვეობას უწევენ ისინი, ვისაც ჩვენ ნათლიებს ვეძახით. ისინი აცხადებენ თანხმობას იმაზე, რომ განეშორებიან ეშმაკს და მის საქმეებს, მაცდურ ვნებებს. ამ დროს ადამიანი ინათლება და ხდება ქრისტეს მეომარი. ის უცხადებს ბრძოლას ეშმაკს. ჩვენი უბედურება კი ისაა, რომ კი ვუცხადებთ ეშმაკს ბრძოლას, მაგრამ ბრძოლისთვის აღარ ვემზადებით და ეს კარგად იცის ეშმაკმა – არ ავიწყდება და მთელი ცხოვრება გააფთრებით გვებრძვის. ჩვენ კი გვავიწყდება, რომ მას ბრძოლა გამოვუცხადეთ და ყოველდღე უნდა მოვემზადოთ ამ ბრძოლისთვის მარხვით, ლოცვით, კეთილი საქმეების აღსრულებით – უფლის დიდი მადლითა და დახმარებით კი შევძლებთ გამარჯვებას და ეშმაკის დამარცხებას. ადამიანი სანამ ცოცხალია, სულ აქვს შინაგანი ბრძოლა, რომელიც ძალიან ძლიერი, მწვავე და მტკივნეულია, იმიტომ რომ, ეშმაკი გააფთრებით ებრძვის ადამიანს და მას მხოლოდ ერთი საქმე აქვს – რაც შეიძლება, მეტი ადამიანი დაღუპოს. ამიტომ, ვინც რაიმე ცოდვაშია ჩავარდნილი, მას აუცილებლად უნდა შეებრძოლოს, საკუთარ თავზე იმუშაოს. ადამიანმა უნდა ისწავლოს ყველა იმ ცოდვასთან, განზრახვასთან ბრძოლა, რომელიც მის სულს აღაშფოთებს.

**ადამიანმა უნდა ისწავლოს ყველა იმ ცოდვასთან, განზრახვასთან ბრძოლა, რაც მის სულს აღაშფოთებს**

**– როგორი უნდა იყოს მორწმუნის ცხოვრების წესი?**

– უნდა ცხოვრობდეს ისე, რომ თავისი ცხოვრების წესით, არასდროს შეურაცხყოს უფალი. ცხოვრების წესში კი, იგულისხმება ნებისმიერი მდგომარეობა, მოვლენა, რითაც ის სულდგმულობს. ანუ, ადამიანის ძალისხმევა, მონდომება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ თავისი ცხოვრების წესით, უფალი არასდროს შეურაცხყოს. ასეთი გამონათქვამი არსებობს: ადამიანი, რომელიც თავის მოქცევას, სულზე ფიქრს აყოვნებს, სახვალიოდ გადადებს – დღეს არ ვარ წარმატებული ქრისტიანობაში და ვერ ვლოცულობ, მოდი, ხვალ, ან ერთი წლის მერე დავიწყებ, ის, გარკვეულწილად, პილატეს ემსგავსებაო. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს ისე, რომ არ გამოეკიდოს ამქვეყნიურ დიდებას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, საკუთარი თავი, ფიზიკური და სულიერი თვალსაზრისით, უარყოს, პატივი არ სცეს და სხვის თვალში დააკნინოს. ანუ, ადამიანმა უფალთან და საკუთარ თავთან ურთიერთობისას ზომიერება უნდა დაიცვას, პატივი უნდა მიაგოს, უპირველეს ყოვლისა, უფალს და მერე საკუთარ თავს. ეს შეიძლება, ვინმესთვის ძალიან ადვილი ან, პირიქით, ძალიან რთული იყოს. მაგრამ, ამ ყველაფრის დაძლევა მხოლოდ და მხოლოდ უფალთან ურთიერთობით არის შესაძლებელი. ქრისტიანობა არ ნიშნავს, რომ რადგან ჩვენ სასულიერო პირები ვართ, ან ეკლესიის მრევლი, ამიტომ სრულყოფილები ვართ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ყოველთვის უნდა ვიმუშაოთ საკუთარ თავზე. შესაბამისად, ის, ვინც დღეს აპირებს მოქცევას, ეკლესიის წიაღში მოსვლას, ქრისტიანულ ცხოვრებას, მან უნდა ეცადოს, რომ უფლის სიტყვები არა მხოლოდ სიტყვით მიიღოს, საქმით ზედაპირულად აღასრულოს, არამედ ამ ყველაფერში უნდა ჩარიოს საკუთარი გული, სიყვარული და მონდომება. სიყვარულის გარეშე არ არსებობს სარწმუნოება, ცხონება, უფალთან ურთიერთობა და მით უმეტეს, ადამიანებთან ურთიერთობა. ის, ვინც ქრისტიანობას აპირებს, ჯერ ზნეობრივი უნდა გახდეს და ზნეობრივი კანონები დაიცვას. თუ მას არ ექნება ზნეობა, შინაგანი სიყვარულის, თავისუფლების, მოწესრიგებულობის, სიმშვიდის განცდა, ის კარგი ქრისტიანი ვერ იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

## ღვთისმშობლის გამოცხადება
**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის ლვოვის ტაძარში**
**1973 წლის 30 მარტი**

ქალაქ ლვოვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის ტაძარში წირვის დროს მრევლს ზეციური დედოფალი გამოეცხადა. დიდმარხვის დღეებში ტაძარში უამრავ ხალხთან ერთად მრავალი სნეული იმყოფებოდა. გამოცხადების დროს დედა ღვთისა მხურვალე ლოცვითა და მწუხარე ცრემლით მონანულ ადამიანთ კურნავდა. სხვადასხვა სენით დაავადებულნი და უძლურებაში ჩავარდნილი ადამიანები ტაძრიდან ჯანმრთელნი გამოდიოდნენ.

დედა ღვთისა ყველას კურნავდა – როგორც უბრალო ადამიანებს, ისე ხელისუფალთ. სამნახევარი კვირის განმავლობაში ღია იყო კარი ტაძრისა, რომელსაც ყოველი მხრიდან უამრავი ხალხი აწყდებოდა. ჩამოდიოდნენ უცხოეთიდან, საქართველოდან, პეჩორიდან, მოსკოვიდან; მოდიოდნენ სამედიცინო დარგის წარმომადგენლები, ცნობისმოყვარენი, რათა ეხილათ სასწაული საკუთარი თვალით და ერწმუნათ იგი. სასწაულთა მოწმენი თავად გახდნენ: ექიმებთან უშედეგოდ მკურნალ ბრმას თვალი აეხილა. იგი ალექსანდრე სტეფანეს ძე მორინშევი გახლდათ. დედა ღვთისა ყველას თანდასწრებით კურნავდა სნეულთ.

ტაძარს მოსკოვიდან სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ეახლა კოსიგინი. მოდიოდა ყველა, ვისაც როგორ შეეძლო. ძვირფასო დანო და ძმანო, შეუძლებელია ამ სასწაულის დაუჯერებლობა!

დედა ღვთისა სათნო ხმით მიმართავდა შეკრებილთ. ღვთისმშობელ დედას ხედავდნენ, ესმოდათ მისი: „ილოცეთ, შეინანეთ დიდი ცოდვანი თქვენნი, რამეთუ მოახლოებული არის ჟამი“. ყველამ იხილა მზესავით მბრწყინავი გამოცხადება. ცხადია, ამის შესახებ პრესას უნდა მოეწოდებინა ჩვენთვის ცნობები, მაგრამ, ამაოდ. ასეთ სასწაულს ვის გაუმხელდნენ? მე კი ამის შესახებ გადმოგცემთ. ჩემს მონათხრობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის ყველა მსახური ადასტურებს. მე გახლავართ სავჩენკო ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე. მე არ მეშინია არავითარი მუქარის, მე ვაცხადებ სიმართლეს. დაკითხვაზე უკვე ალმოვჩნდი, მაგრამ, ვერ უარვყოფდი ხილვას სასწაულისას. დავადასტურე, რომ ჩემი თვალით ვნახე სასწაული, ის ქალალდზე გადმოვეცი და ამას აღნიშნული ტაძრის ყველა მსახური ხელისმოწერით ადასტურებს, როგორც აღწერილის სრულ ჭეშმარიტებას.

მთავრობის მეთაურნი შეეცადნენ ხალხის ტაძრიდან გამოდევნას, მაგრამ, ხალხის ერთსულოვნებამ ეს შეუძლებელი გახადა. მათ სცადეს გამოცხადების გაუჩინარება და მიმართეს მორწმუნეთათვის ერთობ „დამაჯერებელ“ ხერხს – მათ ახალი მინა ჩასვეს სარკმელში, მაგრამ, ღვთისმშობელი დედა კვლავ ეცხადებოდა კრებულს და მარადიული სხივებით ნუგეშს სცემდა მათ. მძულვარენი არც ამას დასჯერდნენ და შუშის აცეტონით რეცხვას შეუდგნენ. დედა ღვთისა მიმართავდა მრევლს: „ილოცეთ, შეინანეთ ცოდვანი თქვენნი!“ ბევრი ილოცვიდა, ბევრიც ცრემლით ინანიებდა, უნათლავი ინათლებოდა, ღვთიმშობელი კი ლოცავდა მათ და ეუბნებოდა: „წარვედით მშვიდობით და ნუ სცოდავთ, ნულარ შეიძენთ სიმდიდრეს სხვათა შრომით. ირწმუნეთ სიტყვები ჩემი, მირწმუნეთ მე და ძე ჩემი იესო და მარადჟამს განისვენებთ! ვინც ჩვენ არ გვირწმუნებს, მე და ძეს ჩემსას იესო ქრისტეს, ის მიეცემა სულსა ბნელეთის“.

ტაძარში მყოფ ხელისუფალთა ერთ-ერთ წარმომადგენელს ასეთი სასწაული შეემთხვა: ღვთისმშობლის სიტყვები ესმოდა, თუმცა, არ სჯეროდა მისი. უნდოდა ეკლესიის დაწიხლვაც კი, მაგრამ, უეცრად, მის თავზე გაჩნდა ეშმაკი კუდითა და რქებით და თავადაც ეშმაკთან ერთად ალიბეჭდა ტაძრის მინაზე. მთავრობის წევრი შეშინდა, აკანკალდა, შეჰკივლა და გონება დაკარგა. იგი საავადმყოფოში მოათავსეს. ღვთისმშობელმა კი კიდევ ერთხელ მიმართა ხალხს ალერსით: „ილოცეთ და შეინანეთ, რამეთუ მალე გარდიქცეს მდინარენი სისხლად“. ხელისუფლების ორგანოებმა არ ირწმუნეს ეს სიტყვები. მეორე კვირის ოთხშაბათს კი ღვთისმშობელმა წყალი სისხლად აქცია. პარაკლისის გადახდის შემდეგ წყალი კვლავ ზურმუხტისფრად დაიწმინდა. ხელისუფალთა ზოგიერთი წარმომადგენელიც კი ცრემლით ლოცულობდა. სასწაულის წინაშე ერთ-ერთი მათგანი უხელო იყო, მაგრამ, ორივე ხელითა და გულზე ჯვრით დაბრუნდა სახლში.

ძვირფასო დანო და ძმანო! ეს ყოველივე ჩვენს ქალაქში მოხდა. განა შეიძლება, არ ირწმუნო იგი? განა გამოეხმაურა ამას საბჭოთა პრესა? არა! მაგრამ, ჩემ მიერ აღწერილი ყოველივე სრული ჭეშმარიტებაა. ზეციურმა დედოფალმა ბრძანა: „ილოცეთ და შეინანეთ, ძე ჩემი იესო კი შეგინდობთ და მარადიულ სასუფეველს მოგმადლით“.

ღვთისმშობელმა ბრძანა, ამჟამად იქნება მართლმადიდებელ ეკლესიათა დევნა დედამიწაზე; ქრისტიანებს აწამებენ და სდევნიან ჩემთვის და ძისა ჩემისა იესო ქრისტესთვის, ხოლო ჩვენი პლანეტის სიცოცხლის დასასრულს ყოველი ქრისტიანისთვის სასამართლოზე პასუხს გასცემს თვით უფალი ღმერთი.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### გაცოცხლებული ყრმა

სხვადასხვა დროს მონასტრის წინამძღვარმა ლიბერტინს (ჰონორატის მემკვიდრეს) მონასტრის საჭიროებისთვის რავენაში გამგზავრების ლოცვა-კურთხევა მისცა. წმიდა ჰონორატისადმი სიყვარულის გამო, ლიბერტინს ჩვეულებად ჰქონდა, სადაც არ უნდა გამგზავრებულიყო, თან მისი ფეხსაცმელი წაელო. მგზავრობისას მას გზად შემოეყარა ქალი, რომელსაც ხელით გარდაცვლილი შვილი მოჰყავდა. ღვთის კაცის დანახვისთანავე, ქალმა ლიბერტინის ცხენს ლაგამში სტაცა ხელი და შესთხოვა: „აქედან არ წახვალ, სანამ არ აღმიდგენ ჩემს ბიჭს“. ლიბერტინს ესმოდა, რაოდენ არაბუნებრივ სასწაულს ითხოვდნენ მისგან და შეშფოთდა, ქალი კი არ ცხრებოდა, აფიცებდა მას და ევედრებოდა. ლიბერტინმა სცადა ჩამოეშორებინა დედაკაცი, მაგრამ ვერ შეძლო. ყოყმანი დაიწყო... შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორ ძლიერად ებრძოდა მის სულში თავმდაბლობა თანაგრძნობას, არაჩვეულებრივი სასწაულის აღსრულების შიში კი – მწუხარე გრძნობას, რომ უარით გაასტუმრებინა საბრალო დედა. საბოლოოდ, თანაგრძნობამ სძლია თავმდაბლობის სათნოებას. წმიდანი ჩამოხტა ცხენიდან, მუხლი მოიყარა და მლოცველმა ზეცისაკენ აღაპყრო ხელი. შემდეგ წმიდა ჰონორატის ფეხსაცმელი ამოიღო და მკვდარ ყმაწვილს დაადო. წმიდა მამის ლოცვით სული დაუბრუნდა გარდაცვლილს. ლიბერტინმა ჩაიკრა გაცოცხლებული ბავშვი და აქვითინებულ დედას გადასცა, თავად კი გზა განაგრძო.

დიაკვანი პეტრე: მითხარი, მამაო, წმიდა ჰონორატის სათნოების ძალით მოხდა სასწაული, თუ წმიდა ლიბერტინის ლოცვით?

წმიდა გრიგოლი: ასეთი არაჩვეულებრივი სასწაულის მოსახდენად გაერთიანდა ქალის სარწმუნოება და ორივე წმიდანის ძალა. ვფიქრობ, ლიბერტინმა იმიტომ შეძლო, მოეხდინა ეს სასწაული, რომ უფრო მეტად სასოებდა თავისი მოძღვრის სახელს, ვიდრე თავის თავს. ლიბერტინს სწამდა, რომ, სული მისი, ვისი ფეხსაცმელიც დაადო გარდაცვლილს, შეისმენს მის ლოცვას. მსგავსად ელისე წინასწარმეტყველისა, რომელმაც ვერ შეძლო, მარტოოდენ თავისი მოძღვრის ხალენის მეშვეობით გაეყო მდინარე იორდანის წყალი. მაგრამ, როგორც კი მან წარმოთქვა სიტყვები: „დაარტყა წყალს მოსასხამი, ელიას რომ დაუვარდა, და თქვა: სად არის უფალი, ელიას ღმერთი? დაარტყა წყალს და შუა გაიპო წყალი და გავიდა ელისე გაღმა (4 მეფ. 2,14),“ და ელიას ხალენი წყალში ჩაუშვა, წყალი გაიყო და მას გზა გაუთავისუფლა.

ხედავ, საყვარელო პეტრე, როგორი ძალა აქვს სასწაულის დროს თავმდაბლობას? ელისემ მაშინ შეძლო, მოეხდინა ისეთივე ძალა, როგორსაც ფლობდა თავისი მოძღვარი, როდესაც მის სახელს მოუხმო. მან იგივე გააკეთა, რაც შეეძლო მის მასწავლებელს, ვინაიდან მიჰბაძა მის თავმდაბლობას.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა**: **გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას ნიშნავს კვეთებულის ლოცვა?**

**პასუხი**: სიტყვა „კვეთებული“ გვიჩვენებს, რომ ადამიანი ბოროტი ძალისგან არის კვეთებული და ბრკოლდება. ზოგჯერ ადამიანი ამ ძალის ზეგავლენას არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც განიცდის. კვეთებულის ლოცვების დროს ხდება გათავისუფლება ამ ბოროტებისგან, მაგრამ სანამ ამ ლოცვებზე დასასწრებად მიხვალთ, ჯერ კარგად უნდა გაარკვიოთ, რასთან გაქვთ საქმე, ამისთვის კი გაესაუბრეთ თქვენს მოძღვარს.

**კითხვა**: **შეიძლება თუ არა, სხეულის ზოგიერთ უხერხულ ადგილზე მკურნალობის მიზნით ვიცხოთ ზეთი, ეს ცოდვაში ხომ არ ჩაგვეთვლება?**



**პასუხი**: სხეულის ნებისმიერ ადგილზე შეიძლება სამკურნალოდ ზეთის ცხება, ოღონდ უფლის რწმენის მქონე ადამიანისთვის.

**კითხვა**: **რა სულიერი სარგებლობა მოაქვს „ფსალმუნების“ ხშირად კითხვას საერო პირისთვის?**

**პასუხი**: „ფსალმუნების“ კითხვა ბოროტ სულს განაგდებს თქვენგან და თქვენს სულში სულიწმიდას ჩაასახლებს. როგორც გიორგი ზადორნელი ამბობდა: „ფსალმუნთა კითხვითა და მოწყალების გაღებით, სული განიწმინდება ცოდვებისგან“.

**კითხვა**: **ძალიან მინდა, ჩემი სურვილით ჩავერთო რაიმეგვარ რწმენით ღვაწლში, მაგალითად: მღვიძარების, მრავალჯერადი ლოცვის, უხეში ტანსაცმლის ტარებისა და ასე შემდეგ. რას მირჩევთ?**

**პასუხი**: ყოველივე ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მოძღვრის კურთხევით. ხოლო დამოუკიდებლად შეგიძლიათ, იტვირთოთ შემდეგი ღვაწლი: სიყვარულის, თავმდაბლობის, მდუმარების იმ დრომდე, ვიდრე რამეს შეგეკითხებიან.

# „ბარსელონის“ ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერები

*სკანდალებით განთქმული ურუგვაელი ფეხბურთელის, ლუის სუარესის ტრანსფერით „ბარსელონამ“ თავის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის შეძენა განახორციელა. მეტოქე ფეხბურთელების კბენით განთქმული სუარესის „ლივერპულისგან“ ყიდვა 75 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა, რაც 2014 წლის ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერია. გთავაზობთ „ბარსელონის“ ძვირად ღირებული ტრანსფერების ჩამონათვალს.*

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი – 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

ქარიზმატული შვედი ვარსკვლავის ტრანსფერი მეორე ადგილზეა „ბარსელონის“ ისტორიაში. ზლატანი „ინტერიდან“ გადმოიბირეს და მან სულ ერთი სეზონი გაატარა ესპანურ გრანდში. აღსანიშნავია, რომ ზლატანის ტრანსფერში ჩართული იყო კამერუნელი სამუელ ეტო'ო, რომელიც „ხურდის” სახით გადაბარგდა მილანურ კლუბში.

**ნეიმარი – 48,6 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

ბრაზილიელი გენიოსის ტრანსფერი შარშანდელი ზაფხულის ერთ-ერთი მთავარი საფეხბურთო მოვლენა იყო. „სანტოსმა“ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ბიუჯეტი, ხოლო „ბარსელონამ“ სათავე დაუდო მესი-ნეიმარ-სუარესის დამანგრეველი ტრიოს შექმნას.

**სესკ ფაბრეგასი – 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

თავისი სკოლის აღზრდილი ფაბრეგასი „ბარსელონამ“ ლონდონის „არსენალიდან“ გადაიბირა 2011 წელს, თუმცა, კატალონიურ გრანდში ის ვერ იქცა საკვანძო ფეხბურთელად. ცნობილია, რომ ახალ სეზონს ფაბრეგასი ლონდონურ კლუბში დაიწყებს, მაგრამ, ამჯერად – „ჩელსიში”.

**დავიდ ვილია – 34,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

ესპანელი გოლეადორი „ბარსელონაში“ „ვალენსიიდან“ გადავიდა და სამი სეზონის განმავლობაში იცავდა კატალონიელების ღირსებას. ვილია ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო კლუბში, თუმცა, ნეიმარის გადმოსვლის შემდეგ, ის სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ დათანხმდა და მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა, სადაც დღემდე ასპარეზობს.

**მარკ ოვერმარსი – 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

ეს იყო 2000-იანი წლების დასაწყისის ერთ-ერთი პირველი ხმაურიანი ტრანსფერი „ბარსელონასთვის“. ჰოლანდიელი შემტევის გადმოყვანა კლუბს მაშინ სარეკორდო თანხა დაუჯდა, რაც ოვერმარსმა კეთილსინდისიერად გამოიმუშავა.

**დანი ალვეში – 23,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

2008 წელს დანი ალვეში „სევილიიდან“ გადავიდა „ბარსელონაში“ და ამ ხნის განმავლოვაში საკულტო ფეხბურთელად იქცა კატალონიური კლუბის ქომაგებისთვის. ამბობენ, რომ, შესაძლოა, მიმდინარე სეზონის ბოლოს მან კლუბი გამოიცვალოს, რადგან, მსურველების რაოდენობა ალვეშს საკმაოდ ჰყავს, მათ შორის – საფრანგეთის და ინგლისის ჩემპიონატებში.

**ალექსის სანჩესი – 23 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

ჩილელი შემტევი 2011 წელს გახდა „ბარსელონის“ წევრი. „უდინეზეში“ გატარებული წარმატებული სეზონის შემდეგ იგი კატალონიელებისთვის სასურველ ფეხბურთელად იქცა. სანჩესმა სამი წარმატებული სეზონი გაატარა „ბარსელონაში”, თუმცა, ძირითადის ფეხბურთელად არ ითვლებოდა და ახალ სეზონს ის ლონდონის „არსენალში“ დაიწყებს.

**დიმიტრი ჩიგირინსკი – 22,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

უკრაინელი მცველი „ბარსელონამ“ დიდი ზარზეიმით შეიძინა დონეცკის „შახტარიდან“, თუმცა, კლუბის ისტორიაში ეს ტრანსფერი ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა – ჩიგირინსკიმ ვერ გაამართლა იმედები და უსახელოდ დატოვა კლუბი.

**რონალდინიო – 21 მილიონი გირვანქა სტერლინგი**

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი, 2000-იანი წლების შუა პერიოდის „ბარსელონის“ წარმატების მთავარი შემოქმედი იყო. რონალდინიომ დაუვიწყარი წუთები აჩუქა კლუბის ქომაგებს და ის დღემდე ითვლება ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად კლუბის ისტორიაში.

## „ნასამ“ დედამიწის „დაბომბვის“ სქემა შეადგინა

დედამიწის ევოლუცია მჭიდროდაა დაკავშირებული კოსმოსში მიმდინარე პროცესებთან. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა „ნასას” მიერ შექმნილმა დედამიწის სიცოცხლის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ამოუცნობი პერიოდის, ეგრეთ წოდებული კატარქეის მოდელმა, რომლის ასაკი 4-4,5 მილიარდი წელია – სწორედ მაშინ იქცა დედამიწა „კოსმოსური დარტყმის“ ობიექტად. ასტეროიდების გიგანტური ლოდების „წვიმამ” დიდი გავლენა მოახდინა დედამიწის სასიცოცხლო პროცესებზე, გამოიწვია დიდი ცვლილებები, გლობალური სტერილიზაცია... კერძოდ, ითვლება, რომ სწორედ ეს გახდა დინოზავრების გადაშენების მიზეზი. წვრილ ასტეროიდებს კი, მეცნიერების ვარაუდით, ზღვების ამოშრობაც კი შეეძლოთ.

აღსანიშნავია, რომ, მეცნიერთა აზრით, სწორედ ამ მოვლენებმა გამოიწვია დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე ძველი მინერალის – ცირკონის წარმოშობა. საქმე ისაა, რომ ეს ძვირფასი ქვა მხოლოდ ექსტრემალურად მაღალ ტემპერატურაზე ფორმირდება და მისი ჩამოყალიბების პროცესი დღემდე საიდუმლოდ რჩებოდა.

## უცხოპლანეტელები სიყვარულს გვიხსნიან

სამხრეთ გერმანიაში, მიუნჰენთან ახლოს, რაისტინგის კომუნაში, სიმინდის ყანაში არაბუნებრივი წრე აღმოაჩინეს, რომლის დიამეტრი 75 მეტრია. უცნაურორნამენტებიანი წრე პირველად სულ ცოტა ხნის წინ შენიშნეს ჰაერნაოსნობის მოყვარულებმა და საჰაერო ბუშტიდან ფოტოც გადაუღეს. ასე გახდა სიმინდის ყანა „სალოცავი” ადგილი ახლომახლო მცხოვრებთათვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს უჩვეულო გეომეტრიული ფიგურა არამიწიერი ცივილიზაციის გზავნილია. აქ რეგულარულად იყრიან თავს „ამოს“ ისტორიების თაყვანისმცემლები, მართავენ მხიარულ საღამოებს, ცეკვავენ, მღერიან და იქვე სძინავთ კიდეც, რადგან, სჯერათ, რომ წრის შიგნით განსაკუთრებული, დადებითი ენერგიაა.

გერმანული რეიტინგული გაზეთი „სიუდდოიჩე ცაიტუნგიც“ ვერ პოულობს სხვა ახსნას: „ის ტექნოლოგია, რომელიც ასეთ ფიგურებს შექმნის, დედამიწელებს ჯერ არ გვაქვს. უცხოპლანეტელებმა ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ჩვენთვის ეთქვათ: „ ჩვენ აქ ვართ და გვიყვარხართ”.

აღსანიშნავია, რომ უცნაური წრე ახლოსაა იმ ანტენასთან, რომელიც 1969 წელს მთვარეზე პირველი დაჯდომის ტრანსლაციისთვის გამოიყენეს.

გაოცებულია სიმინდის ყანის პატრონი, კრისტოფ გიუტნერიც: „წრე აკურატულად არის გაკეთებული, არანაირი კვალი არ არსებობს“. თუმცა გულდაწყვეტილია, რადგან, ამ უცნაური მოვლენის წყალობით, მან რამდენიმე ასეული ევრო იზარალა.

## პოკერის მოყვარული ნეიმარი

მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის წყალობით მოპოვებულ თავისუფალ დროს „ბარსელონისა” და ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი – ნეიმარი, ნაყოფიერად ატარებს. ფეხბურთელმა მეგობრებთან ერთად პოკერის ტურნირებში მიიღო მონაწილეობა. როგორც სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტოებიდან გაირკვა, საფეხბურთო მოედანზე ნიჭით გამორჩეულმა ბრაზილიელმა არც პოკერის მაგიდასთან შეირცხვინა თავი და საკმაოდ სოლიდურ მოგებასაც გამოჰკრა ხელი. ფოტოებს ნეიმარი „ინსტაგრამის“ საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.




## რონალდუ მაიკლ ჯექსონის სტილში ცეკვავს

პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ თავისი შვებულების ნაწილი კომერციულ ტურნეებს დაუთმო და რამდენიმე დღე იაპონიაში გაატარა, სადაც სხვადასხვა სატელევიზიო შოუში იყო მიწვეული. ერთ-ერთი ასეთი შოუს გადაღების დროს რონალდუმ მაიკლ ჯექსონის საცეკვაო ილეთების იმიტაცია გააკეთა და ცეკვის ნიჭი გამოავლინა, რითაც სტუდიაში მყოფი სტუმრები გააოცა, საპასუხოდ კი ოვაციები და აპლოდისმენტები მიიღო. რონალდუს ცეკვის ვიდეოს „იუთუბიზე“ უკვე რამდენიმე მილიონი მნახველი ჰყავს.

## დელ პიერო ინდოეთში გაიბრწყინებს

ლეგენდარული ალესანდრო დელ პიერო, როგორც ჩანს, არ აპირებს ბუცების ლურსმანზე დაკიდებას. ახლო მომავალში, ავსტრალიურ „სიდნეის”, სადაც ორი წელი გაატარა, ინდურ კლუბ „პუნაზე“ შეცვლის. დელ პიეროს უკვე ელოდებიან ინდოეთში. ინდოეთის ჩემპიონატში ბოლო დროს გაიზარდა ინვესტიციების რიცხვი და სავარაუდოდ, ფეხბურთის მობერებული ვარსკვლავები, საინტერესო ფინანსური წინადადებების შემთხვევაში, ეგზოტიკური ქვეყნის სტადიონებისკენ გაეშურებიან. ცნობილია, რომ დელ პიეროსთან ერთად ინდოეთში კიდევ ერთი ევროპელი ვარსკვლავი, შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგი გაემგზავრება. არსენალისა და შვედეთის ნაკრების ვარსკვლავმა სარფიანი კონტრაქტის სანაცვლოდ აქტიურ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა.




**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# რობერტ მუგაბე – 90 წლის აფრიკელი დიქტატორი

***2014 წელს აფრიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და სისხლიან დიქტატორს, ზიმბაბვეს პრეზიდენტ რობერტ მუგაბეს 90 წელი შეუსრულდა. ის თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ოდიოზურ და ქარიზმატულ ფიგურად ითვლება და მისი ავტორიტეტი, სოლიდური ასაკის მიუხედავად, ზიმბაბვეში დღემდე ხელშეუხებელია.***



* რობერტ მუგაბე დაიბადა 1924 წლის 21 თებერვალს კუტამეში, სამხრეთ როდეზიაში, მაშინდელ ბრიტანულ კოლონიაში. მუგაბეს ოჯახი ქვეყნის ეთნიკურ უმრავლესობას, შონას ტომს ეკუთვნოდა. რობერტის ორი უფროსი ძმა ბავშვობაში შიმშილისგან და სხვადასხვა დაავადებისგან გარდაიცვალა, რის შემდეგაც რობერტის მამა, გაბრიელ მუგაბე, როდეზიის სიდიდით მეორე ქალაქში – ბულავაიეში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ხის ხელოსნად დაიწყო მუშაობა და ამით ეხმარებოდა ოჯახს. რობერტი და მისი უმცროსი ძმა – დონატო დედასთან ერთად დარჩნენ საცხოვრებლად. ბავშვობაში მომავალ დიქტატორს წიგნების კითხვა უყვარდა და ისე იყო მიკრული დედას, მისი თანატოლები „დედიკოს ბიჭსაც" კი ეძახდნენ.

* 60-იან წლებში სამხრეთ როდეზიაში ძალებს იკრებდა კოლონიზატორების მმართველობის წინააღმდეგ გამათავისუფლებელი მოძრაობა. სამშობლოში დაბრუნებული რობერტ მუგაბე იმ დროისთვის აკრძალული პარტიის – „ზიმბაბვეს აფრიკელი ხალხის კავშირის" წევრი გახდა, მაგრამ მაოსისტური იდეოლოგიის გამო, მალევე წამოვიდა იქიდან და საკუთარი პარტია „აფრიკული სახალხო კავშირი" შექმნა. ეს პარტიაც აკრძალულთა შორის მოხვდა და მუგაბე პარტიული საქმიანობისათვის ციხეში ჩასვეს, სადაც მან 11 წელი გაატარა. საინტერესოა, რომ ციხეში ყოფნის პერიოდში მუგაბემ დაუსწრებლად მიიღო სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტის მართვის ბაკალავრის და ლონდონის უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრის დიპლომები.

* 1987 წელს ზიმბაბვეში მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია არსებობდა – მუგაბეს პატრიოტული ფრონტი. მან გააუქმა პრემიერის თანამდებობა და საკუთარი თავი პრეზიდენტად დანიშნა, აგრეთვე, მან დაიწყო ეგრეთ წოდებული „შავი გარდაქმნის" პროგრამის განხორციელება, რომლის შედეგად ყველა თეთრკანიანი ფერმერი „სამშობლოს მტრად" გამოცხადდა და მათ ჩამოერთვათ მიწის ნაკვეთები. ამის გამო 2002 წლისთვის ზიმბაბვეში მილიონამდე დაქირავებული მუშა უსამსახუროდ დარჩა, ხოლო თეთრკანიანების საწარმოები საერთოდ დაიკეტა. 4 000 თეთრკანიანი სასწრაფო წესით იქნა გამოძევებული ქვეყნის ტერიტორიიდან. ამ რეფორმამ ზიმბაბვე უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობამდე მიიყვანა. უკანასკნელი მონაცემებით, ზიმბაბვეს 12 მილიონი მოსახლიდან 10 მილიონი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, 4 მილიონი შიმშილს მეზობელ ქვეყნებში გაექცა. უმუშევართა საერთო რაოდენობამ 94 პროცენტს მიაღწია, ხოლო ჰიპერ-ინფლაციის შედეგად, ერთი ამერიკული დოლარის ფასი 25 მილიონი ზიმბაბვური დოლარი გახდა.

* ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე პროფესიონალი თაღლითის მსხვერპლი გახდა: ზიმბაბველი „ჯადოქარი," როტინა მავუნგა, შეჰპირდა პრეზიდენტს, რომ შელოცვებითა და სხვა მისტიკური რიტუალებით, ჩვეულებრივი ქვებისგან საწვავს მიიღებდა და ამით მოაგვარებდა ზიმბაბვეს ენერგოპრობლემებს. ანაზღაურების სახით მუვანგამ მუგაბეს ასეულობით თავი საქონელი, სოლიდური თანხა დოლარებში და მიწის ნაკვეთები მოითხოვა. მუგაბემ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და ორი წლის განმავლობაში ელოდა, თუ როგორ გამოიყვანდა ჯადოქარი ქვისგან ბენზინს. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მუვანგა ჩვეულებრივი თაღლითი იყო, რომელიც ფულს სძალავდა მუგაბეს, რომლის ბრძანებითაც თაღლითი დააკავეს და ციხეში ჩასვეს.

# მხოლოდ ფაქტები

* ქალაქ რიო-დე-ჟანეიროს მცხოვრებმა პაულუ დუშ სანტოსმა, გახსნა მაღაზია და მას „გესტაპო" უწოდა, რადგან ამ სიტყვის მხოლოდ ჟღერადობა მოსწონდა, შინაარსი არ ესმოდა. თუმცა, აღშფოთებულ ადგილობრივ ებრაელთა მოთხოვნით, პოლიციამ სახელწოდება მალე შეაცვლევინა.

* ბერძენი ფილოსოფოსი ანახარსისი ადამიანებს სამ კატეგორიად ყოფდა: მკვდრებად, ცოცხლობდა და ვინც ზღვაშია.

* შვეიცარიელმა მეცნიერმა შეადგინა ძაღლის კუდის ჟესტების ლექსიკონი.

* ამერიკელმა ლაიონმა დააპატენტა დანადგარი, რომლისგან გამოსროლილ საპნის ბუშტებს მიზანში სროლის ვარჯიშისას, თეფშების მაგივრად იყენებენ.

* 1991 წლის 1 იანვრიდან ევროპის ეკონომიკური კავშირის სპეციალური დადგენილებით, სტაფილო ხილს მიეკუთვნა, რომ მისგან კონფიტიურის დამზადება ყოფილიყო შესაძლებელი.

* მაკრატელი ლეონარდო და ვინჩიმ გამოიგონა.

* რუმინეთში გამოიგონეს ყალბი ფულის ამომცნობი აპარატი, რომელიც ნამდვილ ბანკნოტს ყალბისგან შრიალის მიხედვით განარჩევს.

* ორიგინალში „ათას ერთი ღამე" ასე იწყება: „ალადინი იყო პატარა ჩინელი ბიჭუნა..."

* ბრიტანული პოლიციის თანამშრომელი პიჩი 2003 წელს ამ ძალოვანი სტრუქტურის ყველაზე ცნობილი ბრიტანელი გახდა. კინოლოგ პოლიციელს არ უნდოდა ყურადღების გარეშე დარჩენილიყო მისი დამსახურება, ძაღლის სახელით მოხსენებითი ბარათი დაწერა და ხელის მოწერის ადგილზე პიჩის თათის ანაბეჭდი დაუსვა.

* გამოკვლევებით, ჰონკონგის მოსახლეობის 64 პროცენტს სრულიად არ აინტერესებს რელიგია, ჩეხეთში – 55 პროცენტს, სამხრეთ კორეაში – 46 პროცენტს, მსოფლიო მოსახლეობის – 13 პროცენტს. ყველაზე რელიგიურად დასავლეთ აფრიკის მცხოვრებლები ითვლებიან – 99 პროცენტი. საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, გამოკითხულთა 87 პროცენტი ამტკიცებს, რომ ღმერთი სწამს, მხოლოდ 32 პროცენტი დადის ეკლესიაში ან სალოცავებში.

* ყველაზე გავრცელებული სუფრის მოწყობილობა ჩხირებია.

* ავსტრიის ქალაქ ლუსტენაუში იმდენი ერთნაირი გვარის, სახელისა და მამის სახელის ადამიანია, რომ სატელეფონო წიგნში მათ გასარჩევად არამარტო მისამართი, დაბადების წელი და ოჯახური მდგომარეობაც კია მითითებული.

* რუსეთში 1714 წელს შემოიღეს წმიდა ეკატერინეს ორდენი. ეს იყო ერთადერთი ორდენი, რომლითაც ქალებს აჯილდოებდნენ.

# ვარსკვლავები კლასიკოსებს კითხულობენ

რატომღაც, ყველა ფიქრობს, რომ კინოსა და ტელევიზიის ვარსკვლავები ნაკლებად განათლებულები არიან, წიგნებს კი საერთოდ არ კითხულობენ. ეს სულაც არ არის ასე, მათ უყვართ კითხვა და უპირატესობას კლასიკას ანიჭებენ. რაც შეეხება მეგავარსკვლავების სამაგიდო წიგნებს, მართლაც რომ მსოფლიო ლიტერატურის შედევრებია:

ანტონიო ბანდერასის სამაგიდო წიგნი მიგელ სერვანტესის „დონ კიხოტია"; ორლანდო ბლუმის – დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები"; დენ ბრაუნის – უილიამ შექსპირის „აურზაური არაფრის გამო", დრიუ ბერიმორის – ვიქტორ ფრანკლის „ადამიანი აზრის ძიებაში"; ბილ გეიტსის – ჯერომ დევიდ სელენჯერის „თამაში ჭვავის ყანაში"; მელ გიბსონის – რეი ბრედბერის „451 გრადუსი ფარენჰაიტით"; მეტ დეიმონის – ჰორვარდ ზინის „აშშ-ის სახალხო ისტორია"; ჯონი დეპის – ჯეკ კერუაკის „გზაში"; ჰიუ ჯეკმანის – ჯონ სტეინბეკის „ვნების მტევნები"; ანჯელინა ჯოლის – ბრემ სტოკერის „დრაკულა"; კეტრინ ზეტა ჯონსის – ფრენსის ფიცჯერალდის „დიდი გეთსბი"; ნიკოლ კიდმანის – კლაივ სტეილზ ლიუსის „ნარნიის ქრონიკები"; სტივენ კინგის – უილიამ ჰოლდინგის „მუხების მბრძანებელი", ჯორჯ კლუნის – ტოლსტოის „ომი და მშვიდობა"; ჯიმ ქერის – დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი"; ქეით მოსის – ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის „მშვენიერები და დაწყევლილები"; კირა ნაითლის – ჯეინ ოსტინის „სიამაყე და ცრურწმენა"; რობერტ პატინსონის – შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილები"; ედრიან პოლის – ენ რეისის „ინტერვიუ ვამპირთან"; ნატალი პორტმანის – „ანა ფრანკის დღიური"; ჯულია რობერტსსი – უილიამ ფოლკნერის „ველური პალმები", ჯოან როულინგის – ჯეინ ოსტინის „ემა"; უეინ რუნის – ჯოან როულინგის სერია ჰარი პოტერზე; დენიელ რედკლიფის – ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა"; უილ სმიტის – პაულო კოელიოს „ალქიმიკოსი"; სტივენ სპილბერგის – ჯეიმს კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი"; შარლიზ ტერონის – კორმაკ მაკარტის „გზა"; ემა ტომპსონის – ჰომეროსის „ოდისეა"; ჯონ ტრავოლტას – არტურ ჰეილის „აეროპორტი"; ბრიუს უილისის – ჰეროდოტეს „ისტორია"; კეიტ უინსლეტის – ემილ ზოლას „ტერეზა რაკენი"; ტონ ჰინქსის – ტრუმენ კაპოტეს „ცივსისხლიანი მკვლელობა"; ენ ჰეთუეის – ფრენსის ბერნეტის „საიდუმლო ბაღი"; მარკ ცუკერბერგის – ვირგილიუსის „ენეიდა"...

და, ერთი პოლიტიკოსიც – ბარაკ ობამას სამაგიდო წიგნი ტონი მორისონის „სოლომონის სიმღერები" ყოფილა.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



### რაზე მეტყველებს შეშუპებული ქუთუთოები

ქუთუთო მხედველობის სათუთ ორგანოს – თვალს იცავს. შესიებული, ხშირი კაპილარული ქსელით დაფარული, მოლურჯო ელფერის მქონე ქუთუთოები ზოგჯერ ადამიანს მემკვიდრეობით გადაეცემა, მაგრამ, უფრო ხშირად, ასეთი თავისებურებანი ცხოვრების არასწორი რეჟიმის შედეგია, მაგალითად, უძილობის, უმოძრაობის, არასწორი პოზის ან ცუდი კვების, კანის არასწორი მოვლის და ასე შემდეგ.

ზედა და ქვედა ქუთუთოების კანსა და მის ქვეშ მდებარე შემაერთებელ ქსოვილს შორის მდებარეობს თავისებური მემბრანა. ზოგიერთ ადამიანს ეს მემბრანა საკმაოდ სქელი აქვს, ზოგიერთს კი – თხელი, რომელიც ადვილად განილევა. ასეთ ადამიანებს ქუთუთოები სწრაფად უსივდებათ და მალევე ეტყობათ უძილობა, გადაჭარბებული ძილიანობა, გადაღლა, გადაძაბვა, მღელვარება, ავადმყოფობა და ასე შემდეგ. მას შემდეგ, რაც მემბრანა განილევა, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი უშუალოდ კანქვეშ ექცევა და თვალის ირგვლივ ქმნის ეგრეთ წოდებულ თიაქრებს: ქუთუთოები სივდება და მოლურჯო ელფერს იძენს.

ქუთუთოების შემადგენელი ქსოვილების და, რაც მთავარია, გამყოფი მემბრანის კვებისთვის, უნდა გამოიყენოთ მატონიზებელი კრემები და ლოსიონები. აღნიშნული კოსმეტიკური საშუალებები კანის დასარბილებლად აუცილებლად ცხიმოვან ფუძეზე უნდა იყოს დამზადებული და შეიცავდეს კოლაგენსა და ჰიალურონის მჟავას. ეს ნივთიერებები ქუთუთოების არეში არსებული ლიმფური ქსელის ფუნქციასა და ტონუსს ასტიმულირებს.

ხალხურ მედიცინაში არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომლებიც ამ მიზნით გამოიყენება:

* სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებისა და შეშუპების თავიდან ასაცილებლად, კვირაში ორჯერ მაინც უნდა გაიკეთოთ ქუთუთოების არეში არაჟნისა და ოხრახუშის წვენის ნარევის ნიღაბი: 2 ჩაის კოვზ არაჟანს შეურიეთ 1 ჩაის კოვზი ცოცხალი ოხრახუშის წვენი და წაისვით თვალების გარშემო, 15-20 წუთის შემდეგ კი ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

* ქუთუთოების შესიებას თავიდან აიცილებთ, თუ ზედ 15 წუთით დაიწყობთ კანიანად მოხარშული კარტოფილის თბილ ნათალს.

ეს პროცედურები რაც შეიძლება ხშირად უნდა ჩაიტაროთ.

### მწვავე გასტრიტის დროს აუცილებლად უნდა დაიცვათ წოლითი რეჟიმი

მწვავე გასტრიტი კუჭის ლორწოვანი გარსის მწვავე ანთებით მიმდინარე დაავადებაა. არსებობს მისი გამომწვევი რამდენიმე მიზეზი: საკვებისმიერი ტოქსიკოინფექცია, უხარისხო პროდუქტის მიღება, კუჭის გადატვირთვა ცხიმიანი და სანელებლებიანი კერძებით, ზოგიერთი სამკურნალო მედიკამენტით, (მაგალითად, სულფანილამიდებით, დიჰიტალისის პრეპარატებით), ასევე, საყოფაცხოვრებო შხამებით მოწამვლა და ალერგიაც კი.

ლორწოვანი გარსის ანთება, გამომწვევი ფაქტორის მიხედვით, სხვადასხვაგვარად ვითარდება. ინფექციის დროს ბაქტერიული ტოქსინები, მკვდარი ბაქტერიები და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის პროდუქტები, სისხლისა და ლიმფის მეშვეობით მთელ ორგანიზმში ვრცელდება, არღვევს კუჭის ლორწოვანას ტროფიკას და აღიზიანებს მას. ამას ადამიანი კუჭის სეკრეტორულ დისფუნქციამდე მიჰყავს, რაც შემდგომში საჭმლის მონელების დარღვევის მიზეზად იქცევა ხოლმე.

საკვებისმიერი გასტრიტის დროს, არაადეკვატური საკვები კუჭის ლორწოვან გარსზე უშუალოდ ახდენს გამღიზიანებელ ზემოქმედებას, კუჭის სეკრეტორული აპარატი ნელნელა განილევა და საჭმლის მონელება ფერხდება. საკვები მასა ჩვეულებრივზე მეტხანს ყოვნდება კუჭში, რის გამოც, ის, კუჭის წვენის ფერმენტულ ზემოქმედებასთან ერთად, ბაქტერიულ დაშლასაც განიცდის. საკვები ნივთიერებების არასრული და ბაქტერიული დაშლის პროდუქტები კი ლორწოვანას აღიზიანებს და მის ანთებას იწვევს.

საკვებისმიერი ტოქსიკოინფექციის დროს, მწვავე გასტრიტი ლორწოვანას გაღიზიანებისა და მისი ტოქსინების მავნე ზემოქმედების შედეგია.

ლორწოვანას, ასევე, აღიზიანებს კუჭში ჭარბი რაოდენობით მოხვედრილი სამკურნალო პრეპარატები.

მწვავე გასტრიტის სიმპტომები გამომწვევი ფაქტორის ზემოქმედებიდან დაახლოებით 7-8 საათის შემდეგ იჩენს თავს. იწყება გულისრევისა და სიმძიმის შეგრძნება კუჭში; არ არის გამორიცხული, გამოვლინდეს შემცივნების შეგრძნება, ტემპერატურის მომატება, ტკივილი მუცლის ზედა არეში, ბოყინი, ზოგჯერ ვითარდება ფაღარათიც. დაავადება სამ დღემდე მიმდინარეობს.

მწვავე გასტრიტის დროს აუცილებელია, დაიცვათ წოლითი რეჟიმი. ეცადეთ, მიიღოთ ბევრი სითხე – ჩაი, ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარისა და ხუთპროცენტიანი გლუკოზის ნარევი, პროპორციით –1:1. თორმეტი საათის გასვლის შემდეგ ჭამეთ გახეხილი ბოსტნეულის სუპი ან პიურე, უცხიმო ბულიონი, ორცხობილა, ფაფები და კისელი, ერთ კვირაში კი, შეგიძლიათ, ჩვეულებრივ კვებაზე გადახვიდეთ. ამ დროს, ასევე, კარგია, თუ მიიღებთ B ჯგუფის ვიტამინებსა და ფერმენტებს.

### კუჭთან დაკავშირებული პრობლემებისა და ნევროფსიქიკური დარღვევების დროს თაფლი გიშველით

ნატურალური თაფლი შედგება შაქრისგან, რომელშიც ჭარბობს მონოსაქარიდები, კერძოდ, გლუკოზა და ფრუქტოზა. ამის წყალობით, თაფლი კუჭში ფერმენტების საშუალებით არ იშლება და, პრაქტიკულად, სწრაფადვე შეიწოვება ნაწლავებში.

გლუკოზა ზრდის ღვიძლის მიერ ტოქსიკური ნივთიერებების გაუვნებელყოფის უნარს, აუმჯობესებს არტერიულ წნევასა და გულის მუშაობას. ამიტომ, თაფლი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა ღვიძლის დაავადებების, გულის ფუნქციონირების დარღვევის, სტენოკარდიის, მოწამვლის, ძლიერი გონებრივი და ფიზიკური გადაღლის დროს; ის ასევე, კარგია კუჭის წყლულის, გასტრიტის, ტუბერკულოზისა და სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

თაფლში დაახლოებით 170-180 ბიოლოგიური ნაერთია: თითქმის ყველა ამინომჟავა, ბევრი ფერმენტი, ვიტამინი, მიკრო-და მაკროელემენტი, რომლებიც ბუნებრივი ანტიბიოტიკებია. აკაციის თაფლი აუცილებელია მოზარდებისთვის, რადგან მასში ბევრია A ვიტამინი, ანუ კაროტინი.

კონიუნქტივიტის, კატარაქტისა და გლაუკომის დროს, თანაბარი რაოდენობით წყალში შერეული თაფლი ჩაიწვეთეთ თვალში, საღამოს, ძილის წინ. ის კარგია, ასევე, ნევროფსიქიკური დარღვევების დროსაც. მას აქვს ანტისეპტიკური თვისებები. შარდის შეუკავებლობის შემთხვევაში, საღამოს მიიღეთ 1 კოვზი აკაციის თაფლი. ის ხელს უწყობს ორგანიზმში სითხის შენარჩუნებას.

რაც შეეხება წაბლის თაფლს, ის ხელს უწყობს მადის მომატებას, ნაწლავების ტრაქტის ფერმენტულ აქტივობას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ტონუსს. კარგია პროსტატიტისა და ღვიძლის დაავადებების დროს.

კუჭთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში, რეკომენდებულია, დილით მიიღოთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და დააყოლოთ წყალი.

მაგრამ, თუ ალერგია გაწუხებთ, უნდა მოერიდოთ თაფლის ჭამას. ასევე, იკრძალება მისი მიღება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

### მიოკარდიუმის დროს კიტრის წვენი შეუცვლელია

კიტრი შეიცავს დაახლოებით 40 პროცენტამდე კალიუმს, 10 პროცენტამდე ნატრიუმს, 7 პროცენტამდე ქლორს. ის კარგი შარდმდენი საშუალებაა. კიტრი საუკეთესო სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა, კერძოდ, აძლიერებს გულსა და სისხლძარღვებს, აუმჯობესებს კანისა და თმის ხარისხს.

კიტრისა და სტაფილოს წვენის ნარევი კარგად მოქმედებს რევმატიულ დაავადებაზე, რომელიც ვითარდება ორგანიზმში შარდის მჟავის არსებობის დროს. კიტრისა და სტაფილოს წვენს დაუმატეთ მცირე რაოდენობით ჭარხლის წვენი და ამით გააძლიერეთ მისი ეფექტი.

კალციუმის მაღალი შემცველობის გამო,

კიტრი სასარგებლოა მაღალი და დაბალი არტერიული წნევის დროს. კიტრის წვენს ხალხურ მედიცინაში იყენებენ კბილებისა და ფრჩხილების დაზიანების დროსაც, თმის ძირებში მისი შეზელა კი აჩერებს თმის ცვენას.

მიოკარდიუმის დროს კიტრის წვენი შეუცვლელია. ის ასევე, ამშვიდებს ნერვებს, აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას, აუმჯობესებს მეხსიერებას. დალიეთ ყოველდღე 100 მილილიტრი კიტრის წვენი. შეგიძლიათ, მას თანაბარი რაოდენობით შეურიოთ ვაშლის, პომიდვრის ან მოცხარის წვენი, რომ მისი სამკურნალო თვისებები კიდევ უფრო გააძლიეროთ.

### რომელი საკვები გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული სამკურნალო თვისებებით

საკვები რომ ჯანმრთელობაზე სერიოზულ გავლენას ახდენს, ეს უკვე ცნობილი ფაქტია, მაგრამ, ბევრ მათგანს მკვეთრად გამოხატული სამკურნალო თვისება გააჩნია. მაგალითად:

ისპანახი მდიდარია რკინითა და ფოლატებით, რომლებიც კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და ამცირებს ჰომოცისტინების რაოდენობას. შეგიძლიათ, ისპანახი ყოველდღიურ რაციონში ჩართოთ, რადგან ის კალორიებს მხოლოდ მცირე დოზით შეიცავს, ცხიმს კი – საერთოდ არა. ისპანახი ასევე ძალიან სასარგებლოა მხედველობისთვის.

პომიდორი ამცირებს წინამდებარე ჯირკვლისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის კიბოს განვითარების რისკს. ეს თვისება ამ ბოსტნეულში შემავალი ლიკოპენის, ანუ, ერთ-ერთი უძლიერესი ანტიოქსიდანტის დამსახურებაა. ასევე, პომიდორი C ვიტამინის უმდიდრესი საბადოა.

უმი ნიორი ამაგრებს გულს, ებრძვის ავთვისებიანი უჯრედების განვითარებას, ებრძვის ვირუსებს, ამცირებს სისხლში ქოლესტერინს.

მოცვი დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს. ის ამცირებს გულის დაავადებებისა და კიბოს განვითარების რისკს, დადებითად მოქმედებს ტვინის მუშაობაზე, აუმჯობესებს მეხსიერებას, ებრძვის შარდსასქესო ორგანოების ინფექციებს.

სატაცურში შემავალი ნივთიერებები აფერხებს უჯრედებში მიმდინარე ონკოლოგიურ პროცესებს. სატაცურის რეგულარული მიღებით დაიცავთ ორგანიზმს ფილტვებისა და კუჭ-ნაწლავის კიბოს განვითარებისგან.

ორაგული ამცირებს სისხლში ტრიგლიცერიდებისა და ქოლესტერინის შემცველობას. შეიცავს ცხიმის განსაკუთრებულ სახეობას, რომელსაც „ომეგა 3-ს" უწოდებენ. ეს უკანასკნელი კი იცავს ორგანიზმს აუტოიმუნური დაავადებებისგან, როგორიც არის მაგალითად, რევმატოიდური ართრიტი. ასევე, დადებითად მოქმედებს თავის ტვინის მუშაობაზე და აფერხებს დაბერების პროცესს.

საკვებად შვრიის რეგულარული გამოყენება სისხლში ქოლესტერინის დონეს დასაშვებ ზღვარზე მეტად არ ზრდის. შვრია სასარგებლოა ჰიპერტონიით დაავადებულთათვის, რადგან ის ამცირებს არტერიულ წნევას, ასევე, კარგია მათთვის, ვისაც ჭარბი წონის პრობლემები აწუხებს.



ნიგოზში, თხილსა და ნუშის გულში შემავალი ცხიმი ძალიან სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისთვის. ის ამცირებს ორგანიზმში ტრიგლიცერიდებისა და ქოლესტერინის დონეს, რაც აუცილებელია გულის დაავადებების თავიდან ასაცილებლად. ნიგოზი შეიცავს ელამენის მჟავას, რომელიც სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებს, მაგრამ, გაითვალისწინეთ ისიც, რომ მისი უზომოდ ჭამა არ არის რეკომენდებული.

ყურძნის კანი შეიცავს ძლიერმოქმედ ანტიოქსიდანტებს, მათ შორის ერთ-ერთია რესვერატროლური ოქსიდანდი, რომელიც ორგანიზმში ამაღლებს კარგი ქოლესტერინის დონეს. დღეში ერთი ჭიქა წითელი ღვინო ძალიან სასარგებლოა გულისთვის, მაგრამ მისი დიდი დოზით მიღება ზრდის ღვიძლის ციროზისა და ჰემორაგიული ინსულტის რისკის ალბათობას.

მწვანე ჩაი მდიდარია იმ ნივთიერებებით, რომლებიც აახლებს სისხლძარღვთა კედლების უჯრედებს და ხელს უშლის ადრეული სტადიის სიმსივნეების ზრდის პროცესს. მწვანე ჩაის ყოველდღიურად დალევა კუჭისა და ღვიძლის კიბოს განვითარებისგან დაგიცავთ. თუ მწვანე ჩაის ნაყენის პირის ღრუში რეგულარულად გამოვლებით კი კბილებს კარიესისგან დაიცავთ.

ასე რომ, სწორად შეარჩიეთ საკვები ყოველდღიური მენიუსთვის და დაიზღვიეთ ჯანმრთელობა შესაძლო საშიში დაავადებებისგან.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

## ექიმის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, რატომ არ შეიძლება მეძუძური დედისთვის გარუჯვა?**

**პასუხი:** იმიტომ, რომ არ მოხდეს სარძევე ჯირკვლების მზეზე გადახურება ან გადაციება და, შესაბამისად, არ გამოიწვიოს გართულებები მასტიტის სახით.

**კითხვა: ვიმშობიარე ოთხი თვის წინ. მშობიარობის შემდეგ საშინლად მცვივა თმა. იქნებ, მირჩიოთ რამე?**

**პასუხი:** მშობიარობის შემდეგ (დაახლოებით მე-8 კვირას) ხშირად იწყება ხოლმე თმის ცვენა. ეს ფიზიოლოგიური პროცესია, რომელიც ორგანიზმში მიმდინარე რთულ ჰორმონულ გარდაქმნებსა და ორსულობისა და მშობიარობის თანმდევ სტრესულ სიტუაციებს უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში თმის ცვენა, ჩვეულებრივ, უმნიშვნელოა (და არა ძლიერი), თუმცა, არ არის გამორიცხული, ეს დამატებითმა ფაქტორებმა (სტრესმა, ქრონიკულმა დაღლილობამ, ანემიამ) გააძლიეროს. პროცესი იშვიათად არის შეუქცევადი. თუ 3-6 თვის გავლის შემდეგ თმის ცვენა გაგრძელდა, მიმართეთ ექიმს. უნდა გამოირიცხოს ანემია და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება, შემდგომში კი შეიძლება, საჭირო გახდეს ტრიქოლოგის დახმარება.

**კითხვა: ვარ 27 წლის. ამ ბოლო დროს შევამჩნიე, რომ ყელში მაქვს პატარა ხორცმეტებივით წანაზარდები. იქნებ, მითხრათ, რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს, ან რით ვიმკურნალო?**

**პასუხი:** აუცილებელია, მიმართოთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს, რომელიც აღნიშნული მიდამოს გასინჯვის შემდეგ გააკეთებს შეფასებას. შესაძლოა, ეს იყოს კონდილომები, თუმცა ნახვის გარეშე ზუსტად ვერ გიპასუხებთ.

**კითხვა: რამდენი ხანია, ხშირად მაქვს ცხვირიდან სისხლდენა. ორი-სამი კვირის წინ გაციებული ვიყავი და ამას დავაბრალე, მაგრამ, ახლა კიდევ მიგრძელდება, თან, საშინელი თავის ტკივილები მაქვს. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** თქვენ აუცილებლად გესაჭიროებათ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმთან ვიზიტი და ცხვირის ღრუს დათვალიერება; შესაძლო მიზეზია პარანაზული წიაღების ანთება – სინუსიტი; ასევე, საჭიროა არტერიული წნევის კონტროლი.

**კითხვა: მაინტერესებს, ნევროზმა თუ შეიძლება, გავლენა მოახდინოს კუჭის მუშაობაზე, მაგალითად, გამოიწვიოს კუჭის შეკრულობა, კუჭის აშლა, ან კიდევ ტკივილები მუცლის არეში?**

**პასუხი:** ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, კერძოდ, ისეთი განცდები, როგორიცაა აგრესია, შიში, დეპრესია – არღვევს კუჭის მოტორიკას, რის შედეგადაც დასაწყისში აღინიშნება ფუნქციური, შემდეგ კი – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სტრუქტურული ცვლილებები: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულები, შეკრულობა, ემოციური დიარეა, წყლულოვანი კოლიტი.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რატომ უთვლიდა ლიანა ასათიანი მამაკაცებს კომპლიმენტებს არაგულწრფელობაში

„ძალიან ბედნიერი ვარ. შეიძლება, კინოხელოვნებაში მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ, რაც მთავარია, კარგი შვილები აღვზარდე, კარგი შვილები კი წაუგებელი ბიზნესია..." ეს სიტყვები ლიანა ასათიანს ეკუთვნის.



ადრე კინოსთვის ლამაზ ქალებს ეძებდნენ. მერვე კლასელი ლიანა ასათიანიც ხომ სილამაზის გამო შეარჩიეს კინოში გადასაღებად. საქართველოს ულამაზესი ქალი _ დოდო ჭიჭინაძეც მწვანილის საყიდლად გზად მიმავალი შენიშნა ფილმ „დავით გურამიშვილის" რეჟისორის დედამ; ქართული კინოს პირველი ვარსკვლავის _ ნატა ვაჩნაძის კინოში მისვლის მიზეზი კი ფოტოსურათი გახდა, რომელიც ფოტოგრაფს ჰქონდა ქუჩაში გამოკრული...

ქალბატონი ლიანას დღიურებს ეთერ ავაზაშვილ-მაცხონაშვილმა ერთად მოუყარა თავი წიგნში „წუხილი სასწაულისა", რომლის ფრაგმენტებიც ახლა გადაიშლება თქვენ თვალწინ და ამ ულამაზეს ქალბატონს უფრო ახლოდან გაგაცნობთ.

„...არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, არ მჯერა სიყვარულში თავდავიწყებისა და თავგანწირვის. მქონდა გატაცებები, მაგრამ ზღვრამდე. ამაზე არ ვდავობ, შეიძლება, ასეთი რამ მართლა არსებობს, უბრალოდ მე ნამდვილად არ მქონია. ყოველთვის ოჯახის სიყვარულში ვიყავი თავგანწირული. ადამიანმა უნდა იცოდეს, სად დადგეს... შეიძლება, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემმა ბავშვობამ დამიტოვა მძიმე ნაკვალევი – დედას, სხვა შეუყვარდა და მშობლები დაშორდნენ, ამით კი შვილებს აგვერია ცხოვრება... მიყვარდა და მეამაყებოდა დედა, მაგრამ, ის და მამა რომ დაშორდნენ, ამის პატიება მიჭირს. მაშინ ბავშვი ვიყავი და იმდენად არ მესმოდა, მერე და მერე კი ეს ჩემთვის ტკივილად



იქცა... როგორც ხედავთ, თავგადასავლები ჩემთვის ნამდვილად არ არის უცხო, მაგრამ არც არავისათვის მიმიცია უფლება და არც არავის შევუწუხებივარ. როცა გავიცანი გუგული თორაძე, კიდეც დავუშვი, რომ ჩემი მეუღლე გამხდარიყო. მოდი, ნუ დავარქმევთ ამას სიყვარულს, საპირისპირო სქესისადმი ლტოლვა ქვეშეცნეულად ხდება...



არ მიყვარს, არ მომწონს შესრულებული როლების გამოფენა... თეატრია და იმიტომ! ქალბატონი ლიანას გატაცებამ, ოცნებამ, შექმნა კინოსკენ მიმავალი გზა, თუმცა, შემთხვევამ თავად იპოვა გოგონა, რომელიც მხოლოდ მსახიობი უნდა ყოფილიყო. მიხეილ ჭიაურელმა, რომელიც თავისი ფილმის „გიორგი სააკაძიისთვის," თეკლა დედოფლის როლის შესაფერის ქალიშვილს ეძებდა, არჩევანი მერვეკლასელ ლიანაზე შეაჩერა!.. გვერდით არაჩვეულებრივი გოგონები მედგნენ: გიორგი ლეონიძის ქალიშვილები _ ნესტანი და თინა ლეონიძეები, მანანა ქიქოძე, რუსუდან ბოკერია, მედეა იაშვილი (პაოლო იაშვილის ქალიშვილი). ჩემზე უკეთესი გოგონები გასინჯეს, ძალიან ლამაზები, ხორციელი სილამაზის მქონენი და მე, ერთი გამხდარი, აქეთ-იქით პატარა კიკინებით..." როდესაც ლიანა ასათიანი დედოფალ თეკლას როლზე დაამტკიცეს, სურვილი ჰქონდა, ვინმესთვის გაეზირებინა გულში დაუტეველი სიხარული, ასეთი კი ფანჯრის გვერდითა კედელი აღმოჩნდა, რომელზეც დანის წვერით ამოკაწრა: „19.01.1941 წ. დამამტკიცეს თეკლაზე." მეორე დღიდან დაიწყო სასინჯი გადაღებები – ჩააცვეს დედოფლის სამოსი, გაუკეთეს გრიმი, თავზე გვირგვინი დაადგეს – ისე მორთეს, რომ საკუთარი თავი ველარ იცნო. ჩაიყვანეს იქ, სადაც გადაღება მიმდინარეობდა. „ჩავედი თუ არა, მაშინვე მომესმა რაღაც საოცარი, ხავერდოვანი ხმა. ახლოს რომ მივედი, სპარტაკ ბაღაშვილი შემრჩა. იმ ადამიანების გვერდით აღმოვჩნდი, ვის სურათებსაც დიდი წვალებით ვაგროვებდი და რუდუნებით ვაკრავდი ალბომებში... თავდაპირველად „გიორგი სააკაძეში" მეფე ლუარსაბი ჟორა შავგულიძეს უნდა ეთამაშა, გიორგი სააკაძე კი – სპარტაკ ბაღაშვილს, მაგრამ, რადგან სააკაძის როლზე აკაკი ხორავა დაინიშნა, სპარტაკი ლუარსაბზე გადაიყვანეს. პარადოქსია: კაცი მეფეს თამაშობდა და ცხოვრებაში თოკით გადაჭერილი ფეხცასმელებით დადიოდა..." შემთხვევითობა, რამაც „კინკილა გოგო" კინოხელოვნებას აზიარა და მაყურებელმაც უმალ აიტაცა მისი ბავშური, მაგრამ დედოფლური სილამაზე, არც ამით დამთავრებულა. „ჭირვეული მეზობლები", „ეთერის სიმღერა", „გაზაფხული საკენში", „მწვერვალთა დამპყრობნი", „სინათლე ჩვენს ფანჯრებში", „ჭერი", „ბედი ქართლისა" და სხვა მრავალი და, აი, მოვიდა ნანატრი სახე, რასაც ელოდა, სადაც ყველაზე კარგად იპოვა თავი – „თავადის ქალი მაია". „არა იმიტომ, რომ ის იდეალურად ვითამაშე, ის იყო ნამდვილი გმირი, ის იყო ნამდვილი ხასიათი, თუმცა, რეჟისორი ლანა ღოღობერიძე იშვიათად მოიხსენიებს ამ ფილმს. არადა, ბევრს მიაჩნია, რომ ეს ფილმი მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია... სხვათა შორის, როდესაც გიორგი სააკაძეს იღებდნენ, მაშინ ომისგან განადგურებული ქვეყანა შიმშილსა და სიღატაკეს



განიცდიდა და, თუ ვინმეს უჭირდა, უპირველესად – მსახიობს. ძნელი დრო იყო. ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა... ვხედავდი, როგორ მიდიოდნენ გამოჩენილი მსახიობები მიშა ჭიაურელთან და როგორ სთხოვდნენ, „მასოვკაში" მაინც დაგვაკავე, რომ პურის ფული გაგვიჩნდესო. ვიცოდი, როგორც არ უნდა გამჭირვებოდა, არც რეჟისორებთან და არც არავისთან





არ მივიდოდი სათხოვნელად, არიქა, მიშველეთ-მეთქი და, გადავწყვიტე, ისეთ ფაკულტეტზე მესწავლა, რომელიც დამოუკიდებელს გამხდიდა, არსებობის საშუალებას მომცემდა (ეს იყო სამედიცინო ინსტიტუტი, – ავტორი). კინოსტუდიის შტატში შემომთავაზეს ჩარიცხვა... ბევრი ფიქრის შემდეგ უარი ვუთხარი ჩემს თავს. თუ გადაღებებზე დაკავებული ვიქნებოდი, ჰონორარს თავისთავად მივიღებდი, თუ არა და, არაფრის კეთებაში ფულის ასაღებად ვერ ავეყუდებოდი სალაროებთან... ყოველდღე კინოსტუდიაში რეგისტრაცია, რომ, იქნებ, რომელიმე გადამღებ ჯგუფს რამეში დასჭირდე, ნებისმიერ რამეში – მოკლედ, ეს პირობები ჩემთვის მიუღებელი იყო და შემოთავაზებაც არ მივიღე”...



ლიანა ასათიანს მხოლოდ მაშინ ეცვა ექიმის ხალათი, როდესაც გადასაღებ მოედანზე არ იდგა. მისთვის ხელოვნება ბომონად იქცა – ის ბედნიერია მაშინ, როდესაც გადაღებები აქვს. დიდ სკოლას გადიოდა, როდესაც თვალმოუშორებლად შესცქეროდა კინოსა და თეატრის ქურუმებს. შესცქეროდა და სწავლობდა, შესცქეროდა და იმახსოვრებდა, რადგან ურთიერთობა დიდზე დიდი აკადემია იყო...

...კომპლიმენტი ყველა ქალს სიამოვნებს, მაგრამ კომპლიმენტიდან იმდენს იღებს, რამდენიც ეკუთვნის. არ მოსწონს, როდესაც ადამიანებმა არ იციან თავიანთი ადგილი. ქალბატონი ლიანა იხსენებს ერთი უმეცრების ამბავს: მოსკოვის გაზეთში დიდი სტატია დაბეჭდილა – მეღორეობის ფერმის მუშა ქალის პრეტენზია ალა პუგაჩოვას მისამართით: რატომ აქვს მას დიდი აპარტამენტები, უცხოური მანქანები და განუსაზღვრელი შემოსავალიო. „აი, სადამდე მიდის მავანის უმეცრება, – აკეთებს კომენტარს ლიანა, – თუ ადამიანის ფასი მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ ერთი თავი, ორი ფეხი და ორი მკლავი აქვს, მაშინ აღარაფერს ჰქონია ღირებულება. ადამიანებმა უნდა იცოდენენ თავიანთი შესაძლებლობის შეფასება და ეს გონივრულიც იქნება.

სერგო ზაქარიაძე ბევრად უფროსი იყო და მაინც მოვალედ თვლიდა თავს, ეთქვა, რა მშვენიერი ხართო. აი, მე ისეთი ხასიათის ვარ, ვიცი ჩემი ადგილი. ნიუ-იორკში ლექსო ისეთ სახლში ცხოვრობდა, ბუზი ვერ შეფრინდებოდა. ორმეტრიანი ზანგი მიღებდა ხოლმე კარს და – ოო, ლამაზო ქალბატონო, – ასე მომმართავდა. ერთხელ, ვზივარ ვესტიბიულში და ვუცდი ჩემს შვილს. ამ დროს ჩამოვიდა მოხუცებული ქალბატონი. ზანგმა მასაც იმავე სიტყვებით მიმართა. ცხადია, ეს ზრდილობის ნიშანი იყო. ყველაფერი რომ სერიოზულად მიიღო და დაიჯერო, როგორ შეიძლება?..“

მაგრამ, ერთხელ მაინც დაიჯერა თავისი სილამაზე – მაშინ, როდესაც მეფე ლუარსაბი უბრძანებს გიორგი სააკაძეს _ ემთხვიე საქა-



რთველოს დედოფლის კალთასო. სადედოფლო გვირგვინი დაადგეს და, როდესაც გაისმა: „ვისია, ვისია ქალი ლამაზი”, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მართლაც მშვენიერი ვიყავი”, – იხსენებს ქალბატონი ლიანა.

ეკრანზე ოთხ ფილმში ითამაშა დედოფალი. სცენაზე და ეკრანზე სიკვდილი ლამაზიცაა და ადვილიც. ცხოვრებაშია ძნელი დისკომფორტებისა და პრობლემების გადალახვა უდრტვინველად, თორემ, ფილმში შადიმანის



საწამლავიც ადვილად შესვა, რადგან, იცოდა, რომ სასმისში წყალი ესხა...

კითხვაზე, თუ რაზე ან ვისზეა დამოკიდებული ოჯახის სიმტკიცე – ასეთ პასუხებს სცემს ქალბატონი ლიანა: „ქალზე, უპირველეს ყოვლისა. მეც მქონია რაღაც პრეტენზიები გუგულის მიმართ, ცხოვრება პრობლემებითაა სავსე (თუმცა, გუგულის რა ჰქონდა სასაყვედურო). მე ვგრძნობდი მის მენტალიტეტს, ნიჭიერებას და ანგარიშს ვუწევდი ყველაფერს... ღალატი რა არის? – არაფერი!.. რაღაც გატაცება რომ არ ჰქონდეს მამაკაცს, შეუძლებელია... ალბათ, მტკივნეულია, მაგრამ, აქაც ჭკუა, გონება უნდა ეყოს ადამიანს, რომ კვალი არ დატოვოს; თანაც, „სტოპ” ხომ არსებობს?! ჩვენი პირველი შეხვედრა 1945 წელს მოხდა. გუგული გამორჩეული ახალგაზრდა იყო, ამიტომ, ყველა იცნობდა და დღითი დღე ზრდიდნენ მის იმიჯს... მე ვიცოდი, რომ გუგული ექსტრაორდინარული პიროვნება იყო. მისი უზადო დიდი ნიჭი და ადამიანური თვისებები ყველანაირ ხელშეწყობასა და ანგარიშის გაწევას საჭიროებდა. ჩვენი ცხოვრება იყო საინტერესო, წარმატებებით სავსე, მოჭარბებული პრობლემებით, დამშვენებული მეგობრებითა და ახლობლებით; ჩვენი ოჯახი მისი სტუდენტებისთვის საიმედო ნავსაყუდელი იყო... გულუხვად გაიღებდა სიკეთეს სხვისთვის. ხანდახან ვეტყოდი ხოლმე. ცოტა შენთვისაც დაიტოვე დრო, ცოტა ჯანმრთელობასაც მიხედე-მეთქი, მაგრამ, ხასიათი... ხასიათი წყვეტს ყველაფერს და ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა...”

**ეკა პატარაია**

# რატომ უწევდა თეკლა ჩიჯავაძეს დღეში უამრავი კაბის გამოცვლა და როგორ გააკეთა ანა შელიამ მილანში „მისონისა“ და „ზუჰაირ მურადის” ლუქ-ბუქები

**(23-ე გვერდიდან)**

ქტიდან“ მომივიდა მოწვევა, რომელიც სტამბულში ერთ-ერთი საუკეთესოა. მანამდე გოგონებთან ერთად ვიყავი წასული. ჩვენი ქვეყნიდან გასვლა ძალიან სახალისოა, კარგად ვერთობით ხოლმე.

**ანა**: მაგრად ვერთობით, თან, ჩვენი სააგენტოს გოგონებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ერთი ოჯახივით ვართ.

**თეკლა**: ერთად ყოფნით ვერთობით, სულ ვიცინით. თვრამეტი საათი მივდიოდით ბაქოში მატარებლით, თორმეტი მოდელი ვიყავით, ვთამაშობდით კარტს, ვყვებოდით რაღაცეებს. საშინლად კი ვიმგზავრეთ, მაგრამ, კარგად გავერთეთ. რაც შეეხება სტამბულში ჩემს მარტო გამგზავრებას, ეს საკმაოდ საინტერესო იყო, ბევრი რამ ხდებოდა: დილის 9 საათზე მეწყებოდა ქასთინგები და საღამოს 6 საათზე მთავრდებოდა. ფოტოებით, მაღალ ქუსლებზე, გამოპრანჭული დავრბოდი აქეთ-იქით.

**ანა**: ეს არის საშინელება, როცა მიდიხარ ქასთინგზე და, გინდა, რომ არ აჩვენო, როგორი დაღლილი ხარ.

**თეკლა**: თან, არავის იცნობ, არავის უყვარხარ, სულ მარტო ხარ. ანაზე ძალიან ვნერვიულობდი. ერთ დროს მოგვიწია გამგზავრება და სულ ვფიქრობდი მასზე – მაინც პატარაა და, მეგონა, გაუჭირდებოდა. რაც შეეხება ჩემს სამუშაოს, მქონდა ძალიან წარმატებული ფოტოსესია ჟურნალ „მერი ქლერისთვის“. უნგრელ გოგონასთან ერთად მქონდა გადაღება საცურაო აუზში. საცურაო კოსტიუმებით ჩაგვყარეს შიგ, ყველანი წყალში ვიყავით და ისე ვიღებდით ფოტოებს. ძალიან ლამაზი მაკიაჟი მქონდა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ცოტა კი შემცივდა, მაგრამ, ფოტოგრაფი მეუბნებოდა: არ გცივა, შენ ახლა გცხელაო. უკვე გამოვიდა ეს ჟურნალი და, ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ; ასევე, მქონდა კატალოგის გადაღება, ვმუშაობდი ვებ-კატალოგზე, რომელიც დილის 7 საათზე იწყებოდა და საღამოს 6 საათზე მთავრდებოდა. სხვადასხვა ბრენდის სამოსი იყო, ზოგჯერ კი 200-300 კაბა უნდა გამომეცვალა და ერთგვარი ვარჯიში გამოგვდიოდა. თან, სწრაფად უნდა გამოიცვალო, რადგან, ყველა შენ გელოდება. ყველაზე ნერვების მომშლელი იყო თმის ლაკის დასხმა – იმდენს მასხამდნენ, ბოლოს გამხმარი მქონდა. საღამოს ვიბანდი და დილით ისევ იგივე ხდებოდა. სტამბულში ერთი ფოტოგრაფია, რომელიც ჟურნალებში მუშაობს, ერთ-ერთ საუკეთესო ფოტოგრაფად ითვლება და მასთან მომიწია მუშაობა, რითაც ძალიან ბედნიერი ვიყავი.

**ნათია უტიაშვილი**

**წელიწადის განმავლობაში არის დღეები, როცა ადამიანებში ინტუიცია გამძაფრებულია და მის კარნახს ბევრი ენდობა. ამიტომ, საქმეშიც ადვილად აღწევს წარმატებას და შესაძლო საფრთხეებსაც უპრობლემოდ იცილებს თავიდან. ისევე, როგორც დღევანდელი ჩვენი რუბრიკის სტუმარი, პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ელისაბედი ამბობს, ნებისმიერი ადამიანის დაბადებისას დედამიწაზე ჩნდება ახალი წერტილი და სწორედ ის აგებს პასუხს მის წარმატება-წარუმატებლობაზე.**

# წელიწადის რომელ პერიოდშია თქვენი წინასწარმეტყველური ნიჭი და ტელეპათიური უნარი ზენიტში

**ელისაბედი**: იმ ამოუცნობი და მისტიკური ფაქტების უარყოფა, სილაში თავის ჩარგვას და სირაქლემის პოზაში ყოფნას მაგონებს, როცა არ გინდა, დაინახო ან გაიგო ის, რაც შენს გარშემო ხდება. ასევე, ბევრს არ სჯერა, რომ წლის გარკვეულ პერიოდში ადამიანებში გამძაფრებულია ტელეპათიური და წინასწარმეტყველური ნიჭი. ამ დროს შეიძლება, ისეთი რამ თქვა, რაც შემდეგ ახდეს და ამით თავად დარჩე გაკვირვებული. ვფიქრობ, მსგავსი რამ ბევრს დამართნია, მაგრამ ეს უბრალო დამთხვევად ჩაუთვლია. ეს სწორი არ არის. უბრალოდ, ამ პერიოდში თქვენი წინასწარმეტყველური ნიჭი და ტელეპათიური უნარი ზენიტში იყო. თქვენ ვერ ამჩნევთ, მაგრამ ფაქტები თავად მიგანიშნებთ ამაზე და ეს აუცილებლად უნდა დაინახოთ. ასეთი პერიოდი ყველას აქვს და ამ დროს მეტად მგრძნობიარეა ნებისმიერი ჩვენგანი.

**– როგორ მივხვდეთ, რომ ჩვენი წინასწარმეტყველური ნიჭი ზენიტშია ან ტელეპათიური ხედვა გვაქვს გამძაფრებული?**

– ამის გაგება ადვილია, თუ საკუთარი ქცევებისა და ხასიათის ცვლილებას დაუგდებთ ყურს. მაგალითად, ინტუიცია მაშინ არის მომატებული და წინასწარმეტყველური აღქმა გაძლიერებული, როცა გინდა, ყველასგან შორს იყო, განმარტოვდე, ფიქრობ განვლილ ცხოვრებაზე და აანალიზებ წარსულში მომხდარ დეტალებს. საკუთარ თავში იკეტები და სიმშვიდეს მხოლოდ ფიქრში ჰპოვებ. ამ დროს როგორც წინასწარმეტყველური, ასევე, ტელეპათიური უნარიც გამძაფრებულია და ეს შეგრძნებები აშკარად შესამჩნევი ხდება. აზრი და ფიქრი, ეგრეთ წოდებული, ენერგეტიკული ინსტრუმენტებია, რომლის საშუალებითად ადამიანი თავად ქმნის საკუთარ ტელეპათიურ თუ წინასწარმეტყველურ ფონს. ამ დროს ინტუიციაც მძაფრდება და ადვილად შეძლებთ მომავლის სასიკეთოდ შეცვლას. ასევე, შექმნილი ფონის ხარჯზე ხდება ყოველივე ამის გაგზავნა სამყაროში ფიქრისა და აზრის დონეზე. შემდეგ კი ეს გზავნილი უკან, ინფორმაციის სახით გვიბრუნდება. ასე რომ, ემოციური გზავნილის სამყაროში გაშვება და შემდეგ მისი ტელეპათიურად აღქმა, ადამიანებისთვის სრულიად შესაძლებელი და რეალურია. რატომ არის, რომ შეყვარებულები ერთმანეთის განცდებს, სიხარულს ან თუნდაც ტკივილსა და გაჭირვებას, მანძილის მიუხედავად, მაინც გრძნობენ. ამ დროს აფორიაქებულნი არიან და რაღაც არარეალურს განიცდიან. როდესაც გიყვარს, გული სხვანაირად ძგერს და თუ რჩეულთან განშორება გიწევთ რაღაც პერიოდით, ამ დროს კი დაგეუფლათ შფოთვა და აფორიაქება, ესე იგი, მის ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამის გადამოწმება შეყვარებულ წყვილს ნამდვილად შეუძლია. ამ პერიოდში, დაგეწყებათ გუნება-განწყობის გაუარესება, ვერ იპოვით ადგილს, სადაც სიმშვიდეს ჰპოვებთ. ის, თქვენი მეორე ნახევარი კი, ამ დროს გასაჭირშია, ან რაიმე აწუხებს, ან გამოუვალ სიტუაციაშია. მისი უარყოფითი, წარუმატებლობაზე ფიქრი სამყაროშია გაგზავნილი და მას თქვენ ტელეპათიურად, ამავე სამყაროდან, ინფორმაციის სახით იღებთ. ასევე, თუ უეცრად, ამაღლებული განცდა დაგეუფლათ, მიხვდით, რომ ცხოვრება მშვენიერია და თქვენ გარშემო ყველაფერს ვარდისფრად აღიქვამთ, ჩათვალეთ, რომ სწორედ ასეთი განწყობა აქვს თქვენგან შორს მყოფ საყვარელ ადამიანს. ზოგადად კი, განცდები სხვა არაფერია, თუ არა, ენერგეტიკული მუხტი,



**დააკვირდით, რომელ ადგილას ყოფნისას გიჩნდებათ განმარტოების სურვილი, სად გრძნობთ თავს კომფორტულად, სად მშფოთვარედ და მოუსვენრად**

რომელიც ერთი ადამიანიდან მეორეზე გადადის და თუ ნამდვილი სიყვარულია, მაშინ უფრო მძაფრდება და ძლიერდება ტელეპათიური შეგრძნებების დონეზე. როცა სიყვარულზე სიყვარულით გპასუხობენ, იქ უკვე არსებობს უხილავი ტელეპათიური კავშირი და შესაბამისად, შეგრძნებებიც წინასწარმეტყველური ხდება.

**–ესე იგი, რაც უფრო დიდხანს გრძელდება სასიყვარულო ურთიერთობა, მით მეტად მძაფრდება ინტუიციური და წინასწარმეტყველური შეგრძნებები?**

–დიახ, რაც უფრო დიდხანს გრძელდება სასიყვარულო ურთიერთობა, მით მეტად იზრდება შეყვარებულებს შორის წინასწარმეტყველური და ტელეპათიური მოვლენები და შეგრძნებები. ამაში ორი აზრი არ არსებობს და თუ თავად დააკვირდებით, აშკარად მიხვდებით, რაზეც ვსაუბრობ.

**– ეზოთერიკოსები ხშირად ამბობენ, რომ დედამიწაზე თითოეულ ადამიანს დაბადებისას თავისი წერტილი უჩნდება ვარსკვლავის სახით, რომელიც მის ბედ-იღბალზე და ზოგადად, მომავალზეა პასუხისმგებელი. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას ნიშნავს ეს?**

– რასაკვირველია, აგიხსნით. ამ თემაზე ძალიან ბევრი მეკითხება და თან, ერთგვარი გაურკვევლობაა. მოკლედ, ნებისმიერ ჩვენგანს დედამიწაზე აქვს თავისი წერტილი, რომელიც მისი დაბადებისას ჩნდება. ეს წერტილები იმისთვის არის საჭირო, რომ ყველას თავისი ადგილი ჰქონდეს დედამიწაზე. ასევე, ასეთ ადგილებში ადამიანს ეცვლება აურა და ბიოველი. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ეს წერტილები დადებითიც არის, უარყოფითიც და ნულოვანიც. ასეთ უარყოფით წერტილებში, ანუ ადგილებში, დიდხანს ყოფნისას, ადამიანს ბედისწერა უარყოფითისკენ ეცვლება. დადებით წერტილებში მოხვედრისას კი, ბედი გაგიღიმებთ.

**– როგორ უნდა მივხვდეთ, რომ დადებით ან უარყოფით წერტილებში აღმოვჩნდით?**

– მაგალითად, დადებით წერტილში მოხვედრისას, თავს მშვიდად, კომფორტულად, დაცულად და ჰარმონიულად გრძნობთ. ამ დროს იმუხტებით დადებითი ემოციებითა და ენერგიით. უარყოფით წერტილებში კი ადამიანს ეწყება შფოთვა, აპათია, მოუსვენარი ხდება, ავიწყდება მოვლენები და არ არის გამორიცხული – ახლობელი ადამიანების სახელებიც კი. ასევე, შრომისუუნაროა, ადვილად ღიზიანდება და კონფლიქტური ხდება. აი, ნულოვან წერტილში კი, მაშინ ხვდება ადამიანი, როცა მას არ სურს სხვებთან კონტაქტი, იკეტება საკუთარ თავში და ფიქრებში ეხვევა. ეს საშიში ზონაა, რადგან ადამიანს ენერგია ეყინება და ვერც წინ დგამს ნაბიჯს, ვერც უკან, უჭირს გადაწყვეტილებების მიღება და მომავალში რაიმეს დაგეგმვა. ამიტომ, გვირჩევენ ხოლმე ეზოთერიკოსები, დააკვირდით იმ გარემოს კარგად, სადაც დიდხანს გიხდებათ ყოფნაო. ასე რომ, დააკვირდით, რომელ ადგილას ყოფნისას გიჩნდებათ განმარტოების სურვილი, სად გრძნობთ თავს კომფორტულად, სად მშფოთვარედ და მოუსვენრად.

**– ისიც გამიგია, თითქოს, თუ ადამიანს გარკვეულ ადგილას თვალი უშტერდება, ეს მისთვის საშიში ზონააო. მართალია?**

– ესეც სრული სიმართლეა. თუ გარკვეულ ადგილას ყოფნისას, თვალი ხშირად გიშტერდებათ, ან გეწყებათ მთქნარება, ესე იგი, ეს თქვენთვის საშიში ადგილია და უარყოფითი წერტილის ზონაში იმყოფებით. ასე ვთქვათ, ეს ანომალიური ზონაა თქვენთვის და მას აუცილებლად უნდა გაეცალოთ.

**ნონა დათეშიძე**

## აკრძალული ხილი

მამაკაცს აღიზიანებს და აზარტში აგდებს ქალის მოუხელთებლობა – ის იქოქება „აკრძალული ხილის" მოსაპოვებლად და, შეიძლება, საკუთარ თავსაც კი გადაასწროს. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ურთიერთობაში, ანუ შემდგომაც, ასეთი იქნება. გამორიცხული არ არის, იმედი სრულად ან ნაწილობრივ გაგიცრუოთ. აქტიური, ყურადღებიანი, მზრუნველი მამაკაცი უცებ იქცევა ინერტულ, მოსაწყენ, უყურადღებო მამრად, რომელიც თქვენი საუბრის ნახევარსაც ვერ გაიგებს და ვერ მიხვდება, რა მოხდა. მერე კი, გამორიცხული არ არის, ისევ მოუნდეს „აკრძალული ხილი" და აქეთ-იქით დაიწყოს თვალების ცეცება – ესეც მამაკაცის ხასიათში დევს და გაბრაზებას აზრი არა აქვს; იქნებ ისეც მოხდეს, რომ თქვათ: „მე ეს კაცი არ მიყვარდა. საერთოდ არ შემეფერება..." თუ „აკრძალული ხილის" მოყვარული კაცი პირველი სიყვარული იყო, მაშინ, გასაგები იქნება, თქვენი ხანგრძლივი გულგატეხილობა, მაგრამ, ცხოვრება აქ არ მთავრდება და, არც ის უნდა თქვათ, რომ მეორედაც იგივე მოხდება. თქვენი პოზიცია – თავდაცვის მზადყოფნა, ფაქტობრივად, ბუნებრივია. მაგრამ, ისეც არ ქნათ, რომ სრულიად მარტო დარჩეთ და მოიწყინოთ. კარგი საშუალებაა მის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მოგროვება და მისი გამოყენება საჭიროებისამებრ.

და, კიდევ: არ მოირგოთ მტაცებელი ქალის როლი და მეტისმეტი არ მოგივიდეთ, თორემ, გაგექცევათ, როგორი მაცდუნებელიც არ უნდა იყოს მისთვის თქვენი „აკრძალული ხილი."

## გრძნობა – თავისუფლება!

შეიძლება, ამაზე არასდროს გიფიქრიათ, მაგრამ ცუდი და არასრულფასოვანი ძილი ძალიან უშლის ხელს ნორმალურ, ჰარმონიულ ოჯახურ ცხოვრებას. ბუნებრივია, რომ გამოუძინებელი ადამიანი გაღიზიანებული და ფეთქებადია. როგორი ძლიერიც უნდა იყოს გრძნობა, შინაგანი მდგომარეობა მაინც არ მოგცემს საშუალებას, ბოლომდე დამთმობი, გახსნილი, ღიმილიანი და მშვიდი იყო... ადამიანის თავისუფლება ყველაფერში უნდა იყოს გამოხატული. არ არის საჭირო, უნარ-ჩვევები მხოლოდ იმის გამო შევიცვალოთ, რომ ვიღაცას, თუნდაც საყვარელ ადამიანს, ეს არ მოსწონს. პირადი და შინაგანი თავისუფლება აუცილებელია სრულფასოვანი გრძნობისთვის. დიახ, თავისუფალი ძილის დროსაც უნდა ვიყოთ. მაგალითად, თუ მოგწონთ შიშველ მდგომარეობაში ძილი, უნდა დაიძინოთ კიდეც შიშველმა. ეს თითქოს არც ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ, როცა საკუთარ თავს რამეში ზღუდავ, თუნდაც ნებაყოფლობით, აუცილებლად ითრგუნები, რაც უკვე აღარ არის თავისუფლება. გრძნობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, ორივე დარჩეთ თავისუფალი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ, შეგიძლიათ, ისე მოიქცეთ, როგორც მარტო ყოფნის შემთხვევაში. ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ყოველთვის რჩება, უბრალოდ, საუბარია შინაგან თავისუფლებაზე, რომელიც მხოლოდ შენია და არავის აქვს უფლება, მიისაკუთროს...

## აჯობე სიმშვიდით!

ხშირად, ჩვენთვის საყვარელი და ძვირფასი ადამიანები, ნებით თუ უნებლიეთ, მოგვმართავენ უხეშად და ცდილობენ, საკუთარი სიმართლე ამ ფორმით გაიტანონ. უხეშობა, აგრესია და შეურაცხყოფის მიყენების მცდელობა კიდევ უფრო მტკივნეულია იმ ადამიანისგან, რომელიც გიყვარს. თუმცა, აგრესიაზე აგრესიით პასუხი კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას. საკმაოდ უსიამოვნოა, როცა გიყვარს ადამიანი, არ გინდა მასთან ჩხუბი, მაგრამ, ისიც არ შეგიძლია, ყოველთვის გაჩუმდე და მოითმინო წყენა. უნდა იპოვო ოქროს შუალედი, როცა ვერც ზედმეტ უხეშობას უსაყვედურებ საკუთარ თავს და არც იმაზე მოგეშლება ნერვები, რომ ხმა არ ამოიღე უსამართლობის წინააღმდეგ.

აგრესიული ადამიანების ორი კატეგორია არსებობს: ერთნი ბუნებით არიან აგრესიულები, ანუ, ეს მათ ხასიათში აქვთ და სიამოვნებასაც იღებენ, როცა თავიანთი აგრესიით ადამიანებს ნერვებს უშლიან. ასეთს უნდა დაანახვოთ, რომ გულგრილი ხართ, მისი აგრესია თქვენზე არ მოქმედებს და, როცა სიამოვნებას ველარ მიიღებს, შეგეშვებათ; მეორე ჯგუფი ადამიანებისა აგრესიას ამჟღავნებს იმიტომ, რომ ვინმეს სუსტი არ ეგონოს, ანუ, ეს არის მისი თავდაცვითი რეაქცია. ასეთთან ურთიერთობა უფრო იოლია – დაანახვეთ მას თქვენი კეთილგანწყობა, გაუღიმეთ და მიეფერეთ თუნდაც სიტყვით და პრობლემა აღარ იარსებებს. გახსოვდეთ ისიც, რომ სიმშვიდე საუკეთესო იარაღია ნებისმიერი აგრესორის წინააღმდეგ.

## აბსოლუტური ჭეშმარიტება

ქალები ადვილად იჯერებენ ლამაზ ტყუილს – შეთხზწავენ მითს ან გმირს და მერე ეთაყვანებიან. ძალიან ბევრ მათგანს ოცნებაში ცხოვრება ურჩევნია რეალობასთან შეგუებას, მაგრამ ცხოვრება არ მისცემს მათ საშუალებას, უზრუნველად იფრინონ ღრუბლებში. როგორ უნდა მოვახერხოთ ის, რომ ყოველდღიურმა ერთფეროვნებამ და რუტინამ იმედგაცრუება არ მოგვგვაროს და დეპრესიაში არ ჩაგვაგდოს?

ჭეშმარიტება პირველი: კარგი სიმღერა და საოჯახო საქმეების კეთება მუსიკის თანხლებით ხსნის სტრესს და გვეხმარება ფიქრში, რაც პრობლემების გადაჭრის საშუალებას გვაძლევს.

ჭეშმარიტება მეორე: ძალიან სასარგებლოა მეგობრებთან კონტაქტი, თანამოაზრეების, მოკავშირეების გარემოცვაში ყოფნა – ასე თავს ბედნიერად გრძნობ, თუნდაც ეს „თანამოაზრე" ოთხფეხა და საყვარელი ძაღლი იყოს.

ჭეშმარიტება მესამე: მამაკაცი მონადირე უნდა იყოს ურთიერთობაშიც. პრინცი ეძებდა კონკიას; ურჩხული მზეთუნახავს საჩუქრებით ანებივრებდა; ალადინმა ჟასმინი გადაარჩინა... ანუ, საყვარელმა მამაკაცმა თქვენთვის რაღაც უნდა გააკეთოს. სხვანაირად, რით დაგიმტკიცებთ სიყვარულს?!

ჭეშმარიტება მეოთხე: ქალს რაღაც საიდუმლო უნდა ჰქონდეს. მასში ჭარბად თუ არა, მცირე დოზით მაინც უნდა იყოს იდუმალება. იყავით ცოტათი მაინც უცნაური, ორიგინალური, სხვებისგან განსხვავებული და – შეუმჩნეველი არ დარჩებით.

ჭეშმარიტება მეხუთე: უფლისწულები ნამდვილად არსებობენ; რაინდებიც... უფრო სწორად, ნებისმიერ მამაკაცს შეუძლია, გადაიქცეს რაინდადაც და უფლისწულადაც. მთავარია, ისე შეუყვარდეთ, რომ ძალიან მოინდომოს ეს ტრანსფორმაცია...

## შექმენი შენი გმირი

რატომ უნდა გიყვარდეს ის, ვინც მუდმივად მიუწვდომელია, ვინც ვერასდროს იქნება შენ გვერდით? აჯობებს, თავად შექმნა საკუთარი გმირი. ადამიანის გადაკეთება შეუძლებელია, მაგრამ, საყვარელი მამაკაცის კორექციას მოახერხებთ... ზოგადად, ყველა მამაკაცი დიდი ბავშვია – მათ უყვართ ლამაზი ტყუილი და ადვილად იჯერებენ იმას, რომ სხვებზე ბევრად უკეთესები არიან. შეგინიშნავთ, როგორი ინტერესით უყურებენ მულტფილმებს და იცინიან მარტივ იუმორზე?! გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა და ისე მიუდექით, როგორც ბავშვებს, მაგრამ, ზედმეტიც არ მოგივიდეთ: კუთხეში დაყენება და ყურის აწევა საჭირო არ არის. შენიშვნის მიცემა შეიძლება, თუმცა, ამასაც თავისი ტაქტიკა სჭირდება. მუდმივად უნდა შეახსენოთ, რომ ნიჭიერი, სიმპათიური, გონებამახვილი და, ერთი სიტყვით, საუკეთესოა. ანუ, კაცებს წახალისება ისევე სჭირდებათ, როგორც ბავშვებს. ისინი არც საჩუქარზე ამბობენ უარს, არც გემრიელ სასუსნავზე და მოფერებითაც ყველაფერს გააკეთებინებ. მართალია, მოფერება იმ ადამიანისა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ნერვები გვარიანად აგიშალათ, ძნელია, მაგრამ, მთავარი ხომ შედეგია, რომელმაც ბოლოს კომფორტი უნდა შეგიქმნათ?! რაც შეეხება გმირის თვისებებს, ნელ-ნელა ამ ყველაფრის გამომუშავებაც შეიძლება – სტილსაც შეუცვლით და ხასიათშიც შეიტანთ კორექციას. თქვენ უნდა ასწავლოთ, რა მოგწონთ, რა გსიამოვნებთ, რა გიხარიათ და რა გწყინთ; თავისით ვერაფრით მიხვდება, რატომ გაგახარებთ მისგან მოძღვნილი თუნდაც ერთი ყვავილი და რას ნიშნავს ქალისთვის მამაკაცის ყურადღება.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# კენკრის დიეტა

*ამ დიეტისთვის უმჯობესია, გამოიყენოთ მარწყვი, თუმცა, შეგიძლიათ, ჩაანაცვლოთ ჟოლოც. ეს დიეტა ორმაგად მოგცემთ შედეგს, რადგან კენკრა სწრაფად იწვევს დანაყრების შეგრძნებას და, რაც მთავარია, ძალიან დაბალკალორიულია (მაგალითად, 100 გრამი მარწყვი მხოლოდ 32 კილოკალორიას შეიცავს).*



**9-10 საათი – საუზმე**: მარწყვი (ჟოლო), იოგურტი, კივი და „მიუსლი".

გათლილი და კუბიკებად დაჭრილი 1 ცალი კივი მოათავსეთ ღრმა თეფშზე, მოაყარეთ 40 გრამი „მიუსლი", მოასხით 100 გრამი უცხიმო იოგურტი და ზემოდან მოაყარეთ 100 გრამი მარწყვი (ჟოლო).

*1 ულუფა – 370 კილოკალორია.*

**12-13 საათი – სადილი:** მარწყვიანი (ჟოლოიანი) ბლინები.

მოამზადეთ თხელი ბლინები უკვერცხოდ და უზეთოდ. გაახვიეთ ცოცხალი მარწყვი ან ჟოლო და მიირთვით 2 ან 3 ცალი. თითოეულს მოასხით ჩაის კოვზი უცხიმო მაწონი.

*1 ულუფა – 339 კილოკალორია.*

**15-16 საათი – სამხარი**: ხაჭოიანი ბუტერბროდი.

100 გრამ დიეტურ ხაჭოს შეურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი, 2 სადილის კოვზი 1,5-პროცენტიანი არაჟანი და მიღებული მასა წაუსვით ცეხვილი პურის 2 ნაჭერს, დააწყვეთ ზემოდან ცოცხალი მარწყვი ან ჟოლო და მიირთვით.

*1 ულუფა – 256 კილოკალორია.*

**18-19 საათი – ვახშამი:** ინდაურის ფილეს სალათა.

ერთმანეთში აურიეთ 100 გრამი ინდაურის ფილე (მოხარშული), 100 გრამი ანანასი, მწვანე სალათის 3-4 ფოთოლი (ყველაფერი დაჭრილი); მოასხით თითო ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი და სოიის სოუსი, 80 მილილიტრი უცხიმო იოგურტი, მოაყარეთ 50 გრამი მარწყვი და მიირთვით.

ყოველდღე დალიეთ მინიმუმ 2-2,5 ლიტრი ჩვეულებრივი სასმელი წყალი; შეგიძლიათ, დამატებით მიირთვათ სხვა სასმელებიც, ოღონდ, უშაქროდ.

მარწყვის ერთკვირიანი დიეტით უპრობლემოდ შეიძლება გახდომა, თან, არც რთული კერძების მომზადება მოგიწევთ. თქვენი დღიური რაციონი მოიცავს 750 გრამ ცოცხალ მარწყვს (ჟოლოს), 250 გრამ უცხიმო ხაჭოს, 500 მილილიტრ 1-პროცენტიან იოგურტსა და 2-2,5 ლიტრ ჩვეულებრივ სასმელ წყალს.

კიდევ უფრო გაგიადვილდებათ დიეტის დაცვა, თუ მარწყვის დღიურ ნორმას გაყოფთ 4-5 თანაბარ ნაწილად და მონაცვლეობით შეურევთ ხან ხაჭოს, ხან იოგურტს.

თუ დიეტის განმეორებას გადაწყვეტთ, გააკეთეთ ორკვირიანი შუალედი და მარწყვი (ჟოლო) სხვა კენკრით ან დაბალკალორიული ხილით ჩაანაცვლეთ.

# დეტოქს-კოქტეილი – ორგანიზმის გაწმენდა

### სტაფილო და ფორთოხალი

***ინგრედიენტები***: 2 ცალი მოზრდილი ზომის სტაფილო, 2 ცალი ფორთოხალი, 1 სადილის კოვზი გახეხილი კოჭა, 2 სადილის კოვზი სელის თესლი.

***მომზადების წესი***: წვენსაწურში გამოწურეთ 1 ჩაის ჭიქა სტაფილოს და 1 ჩაის ჭიქა ფორთოხლის წვენი. შეურიეთ კოჭა და სელის თესლი და დააბლენდერეთ. დალიეთ დილას და საღამოს, თითო ჩაის ჭიქა.

### ვაშლი, კიტრი და პიტნა

***ინგრედიენტები***: 3 ცალი მწვანე ვაშლი, 2 ცალი კიტრი, მინერალური წყალი და პიტნა.

***მომზადების წესი***: მოამზადეთ ვაშლისა და კიტრის წვენი, შეურიეთ ერთი ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი, 3-4 ფოთოლი პიტნა და დააბლენდერეთ.



### პომიდორი და ნიახური

***ინგრედიენტები***: 4 ცალი საშუალო ზომის პომიდორი, 2-3 ძირი ნიახური.

***მომზადების წესი***: კანგაცლილი პომიდორი დაანაწევრეთ, შეურიეთ დაჭრილი ნიახური და დააბლენდერეთ.

### კივი და ისპანახი

***ინგრედიენტები***: 2-3 ცალი გათლილი კივი, 50 გრამი ისპანახის ფოთოლი, 2 ცალი გათლილი კიტრი, 1 ცალი ლიმონი.

***მომზადების წესი***: გამოწურეთ კივი და კიტრი, ორივეს წვენი ერთმანეთს შეურიეთ, დაუმატეთ ლიმონის წვენი, ისპანახის ფოთლები და დააბლენდერეთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ვიცი, რომ, ზოგადად, კოსმეტიკის მაცივარში შენახვა არ შეიძლება, მაგრამ, ზაფხულში, როგორ გრილ ადგილასაც არ უნდა შევინახო კრემები, მაინც მიფუჭდება. როგორ მოვიქცე?**

პასუხი: მართალი ბრძანდებით, მაცივარში კოსმეტიკური ნაწარმი კარგავს თვისებებს, მაგრამ, ძალიან ცხელ დღეებში მაინც მოგიწევთ მაცივრის გამოყენება, ოღონდ, კრემები მოათავსეთ საყინულიდან მაქსიმალურად შორს.

**კითხვა: როგორია კანის მოვლის ზოგადი სქემა ზაფხულში?**

**პასუხი**: კანის მოვლის ზოგადი სქემა ასეთია: კრემი წაისვით ყოველ საღამოს, შხაპის შემდეგ; 2-3 დღეში ერთხელ გაიკეთეთ მსუბუქი მასაჟი; კვირაში 2-ჯერ – შინაური



კრიოთერაპია ყინულის კუბიკებით (სასურველია, თუ კუბიკებს მოამზადებთ გვირილის ან პიტნის ნაყენისგან); დღის განმავლობაში დალიეთ 2,5 ლიტრი წყალი.

**კითხვა: როგორ მოვუარო თმას, რომ ბზინვარება აღიდგინოს ზღვიდან დაბრუნების შემდეგ?**

პასუხი: ზღვის წყალი და მზის აბაზანები ძალიან აზიანებს თმას, ამიტომ, მართლაც საჭიროა, სერიოზულად იზრუნოთ მასზე. ბზინვარების აღსადგენად აუცილებელია, ყოველ საღამოს, დაბანისას, გამდინარე წყლით კარგად ჩამოიბანოთ შამპუნი, კონდიციონერი თუ ნიღაბი; დაბანის შემდეგ არ გაიშროთ ფენით; დაბანილი თმა გაშრობას რომ დაიწყებს, მისხურებით დანამეთ გამოხდილ (ან გადადუღებულ) წყალში გაზავებული ვაშლის ძმრით (პროპორციით: 1 ჩაის კოვზი ძმარი ნახევარ ლიტრ წყალზე) – ძმარი თმას უნარჩუნებს ფერსაც და ტენიანობასაც.

**კითხვა: ძალიან მიზიანდება ფრჩხილები სარეცხი საშუალებებით – მიშრება, მექერცლება და მემტვრევა. რომელი ვიტამინებია საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად?**

**პასუხი**: აფთიაქში შეიძინეთ E და $B_5$ ვიტამინები (ზეთოვანი) და საქმიანობის დასრულების შემდეგ, ასევე, ძილის წინ, ხელებს საპნით რომ დაიბანთ, შეიზილეთ ფრჩხილებში; ძალიან კარგი შედეგი აქვს წყალმცენარეების ექსტრაქტებისა და პანთენოლის გამოყენებასაც – ამით დაიტენიანებთ და ბზინვარებას შეჰმატებთ ფრჩხილებს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## თავისი საქციელის გამო ყველა ისჯება

მე და ჩემმა ცოლმა ძალიან კარგი შვილები გავზარდეთ. გოგო გავათხოვეთ და, ბიჭმა დასაოჯახებელ ასაკს რომ მიაღწია, ჩემმა მეუღლემ ლამის მთელი სანათესაო ჩართო „საქმეში“, რომ გიგისთვის შესაფერისი საცოლე მოეძებნათ, მაგრამ, რაღაცნაირად, არ გამოდიოდა გარიგებით გაცნობა.

ერთ დღეს კი გიგი ერთ პატარა, გამხდარ გოგოსთან ერთად მოვიდა სახლში და გამოგვიცხადა, ჩემი საცოლეაო. სიმართლე გითხრათ, გოგოს გარეგნობით დიდად არ გადავრეულვარ, მაგრამ, შევატყვე, რომ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და დავლოცე. მაგდამ (ჩემმა ცოლმა) კი თავიდანვე ამრეზით შეხედა სარძლოს და ბოლომდე ასეთი განწყობით იყო, უფრო სწორად, მერე უფრო აიმრიზა, როცა გაიგო, რომ ნია ხელმოკლე და არაცნობილი ოჯახიდან იყო, რამაც ძალიან შელახა მაგდას „არისტოკრატული“ თავმოყვარეობა და, ისე ცუდად ექცეოდა საწყალ გოგოს (ცხადია, მაშინ, როცა მე და გიგი სახლში არ ვიყავით), რომ იმანაც ველარ მოითმინა და, ერთ დღესაც, სახლიდან წავიდა. მოკლედ, ასე დაუნგრია შვილს ოჯახი ჩემმა ცოლმა და სასწრაფოდ დაიწყო თავისი (და არა შვილის) შესაფერისი სარძლოს ძებნა. ნიას სახლიდან წასვლის შემდეგ გიგის ცოლის შერთვაზე ორი წელი აღარ უფიქრია. სულ ნიაკოს სურათს დასცქეროდა, ურეკავდა, შერიგებას ეხვეწებოდა, ჰპირდებოდა, ოღონდ შემირიგდი და ცალკე ბინას ვიქირავებო, მაგრამ, ნიამ უთხრა, დედაშენი ისე ვერ მიტანს, ყველგან მოგვწვდებაო და არაფრით არ შეურიგდა. მეც ძალიან მენატრებოდა ნიას მხიარული ხასიათი, მისი მშვიდი ფუსფუსი, მაგრამ მე ვინ რას მკითხავდა.

ერთ დღეს კი მაგდამ იმდენი მოახერხა, რომ გიგის გააცნო მართლაც ულამაზესი გოგო, ჩემი ცოლის კრიტერიუმებით, საუკეთესო ოჯახიდან. ისეთი ლამაზი იყო, გიგიმაც ველარ შეხედა გულგრილად, მით უფრო, რომ ნია უცხოეთში წავიდა სასწავლებლად და კატეგორიული უარი თქვა შერიგებაზე.

მოკლედ, მაკოს გაცნობიდან ორ თვეში ჩემი შვილი მეორედ დაქორწინდა. მაგდა ძალიან ბედნიერი იყო, რომ „შესაფერისი“ რძალი მოიყვანა, მაგრამ, ამ ბედნიერებამ ერთ თვესაც არ გასტანა. ანგელოზივით ლამაზ გოგოს ისეთი ჯოჯოხეთი ხასიათი აღმოაჩნდა, დღეში ასჯერ გვანატრებინებს სიკვდილს. არც ჩვენზე (ჩემზე და გიგიზე) გიჟდება, მაგრამ, განსაკუთრებით აგრესიულია მაგდას მიმართ, ოღონდ, ვერ ვხვდები, რატომ. ჩემს თავს არ დავეძებ, ჩემი ბიჭი მეცოდება ამ აფთრის ხელში, თორემ, ისე, ვენაცვალე განგებას, რომ ჩემს ცოლს თავისი მოყვანილი გიჟი რძალი ასე უშრობს სისხლს და ეს კი პასუხის გაცემას ვერ ბედავს. ამას წინათ ცოლი გამომიტყდა – რას ვერჩოდი იმ ბავშვს, რატომ გავაგდე, ის რომ სახლში იყო, კედლები და ავეჯი იცინოდაო.

ასეა, ყველა ისჯება თავისი საქციელის გამო, მაგრამ, მე რა შუაში ვარ? თუმცა, ალბათ, მეც იმიტომ ვისჯები და ჩემი შვილიც, რომ ნიაკოს ვერ გავუფრთხილდით და ვერ დავიცავით მაგდას აგრესიისგან. ამიტომ, ალბათ, ჩვენზეც ახია, რაც გვემართება.

**სერგი, 68 წლის**



## ქმარს ვერ შევურიგდები

გამოგიტყდებით და, იმიტომ გავთხოვდი, რომ უნდა გავთხოვილიყავი – ასე მოითხოვდა ჩემი ოჯახი, თან, სიმართლე გითხრათ, არც მე მინდოდა, ცხოვრებაში მარტო დავრჩენილიყავი და ვინმეს „შინაბერა“ დაეძახა. ვაჟა ორი თვის გაცნობილი მყავდა, ცოლად რომ გავყევი. პატარა გოგოც აღარ ვიყავი – 29 წლის ვხდებოდი და ძალიან მინდოდა შვილები. ამიტომაც მეშინოდა, კიდევ რამდენიმე წელი რომ ვიჯდე და სიყვარულს ველოდო, ვაითუ, ვერც სიყვარული ვიპოვო და ველარც ბავშვი გავაჩინო-მეთქი. ამ ნაბიჯის გადადგმა იმანაც გადამაწყვეტინა, რომ ვაჟა ჭკუადამჯდარი, სერიოზული კაცი ჩანდა; თან, ბინაც ჰქონდა, სამსახურიც, არც სასმელს ეტანებოდა; ცოტას მღეროდა, ცოტას უკრავდა – მოკლედ, მთლად დიმიტრი გელოვანი არ იყო, მაგრამ, თავისი წესიერებითა და სიდინჯით მომხიბლა. მართალია, ორ თვეში შეყვარება ვერ მოვასწარი, მაგრამ ნამდვილად გამიჩნდა სიმპათიები, თან, ძალიან დიდ პატივს ვცემდი მის თვისებებს, ინტერესებს და ეს ყველაფერი საკმარისად ჩავთვალე საიმისოდ, რომ მისი ცოლი გავმხდარიყავი.

პრინციპში, მოლოდინი არ გამცრუებია – ვაჟა ძალზე მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი აღმოჩნდა, უპრობლემო ხასიათის, ჩემ მიმართ გამოჩენილი სითბოს წყალობით კი საკმაოდ მალე შემიყვარდა. შეიძლება ითქვას, იდეალური ურთიერთდამოკიდებულება გვქონდა, მით უმეტეს, რომ ცალკე ვცხოვრობდით და არავინ გვიძაბავდა ურთიერთობას. ვაჟას მშობლებიც და და-ძმაც ძალიან კარგად მეპყრობოდნენ და ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. მაგრამ, ეს იდილია გაგრძელდა დაახლოებით ათი თვე და მთელი ეს პერიოდი, ერთადერთი, რაზეც ვნერვიულობდი, ის იყო, რომ არ ვფეხმძიმდებოდი. ვაჟა ამ თემაზე საერთოდ არაფერს ამბობდა და მეგონა, ჩემი განერვიულება არ უნდოდა. დაახლოებით ათი თვის თავზე დავფეხმძიმდი და, როცა ამაში ასი პროცენტით დავრწმუნდი, მხოლოდ მერე ვუთხარი ქმარს. ძალიან ვღელავდი და მეგონა, ისიც ჩემსავით გადაირეოდა. გადაირია, მაგრამ, არა სიხარულით. ასეთი ჭკუიდან გადასული ვაჟა არ მახსოვს, ლამის მთელი სახლი დალეწა და უკანასკნელ ხმაზე ღრიალებდა. პირველმა შემოტევამ რომ გადაუარა, მითხრა: მოკლედ, თუ გინდა, რომ ერთად ვიყოთ, მაგ ბავშვს მოიშორებ, თუ არა და, როგორც მოსულხარ, ისევე წაბრძანდი ჩემი სახლიდან. მე მშვიდი ცხოვრება მინდა და არანაირი სურვილი არ მაქვს, ეს სიმშვიდე ვიღაც ბავშვების ჭყივილმა დამირღვიოსო.

ჩემში უცბად იფეთქა დედობრივმა ინსტინქტმა და, იმით შეშინებულმა, რომ ჩემს ჯერარდაბადებულ შვილს თავისივე მშობლებისგან ელის საფრთხე, ჯერ შევეცადე, გონზე მომეყვანა ქმარი, მერე კი – გული ამეჩუყებინა და დაყვავებით ვუთხარი: ნუთუ არ გაგიხარდება, პატარა ადამიანი, შენი სიცოცხლის გაგრძელება რომ ჩაგეხუტება და მამას რომ დაგიძახებს-მეთქი? რა სურათები არ დავხატე, მაგრამ, არაფერი გამომივიდა. პასუხად, უჯრიდან ფული ამოიღო, მაგიდაზე დამიყარა და მითხრა: ან ამ დღეებშივე გაიკეთებ აბორტს, ან ორშაბათს აქედან აიბარგები, სამ დღეს გაძლევ ვადასო. ყველაფერი გასაგები იყო. დასაკარგი აღარაფერი მქონდა და პირდაპირ ვუთხარი, მე ჩემი შვილის მკვლელი ვერ გავხდები. რადგან ასე მეუბნები, მეც პირდაპირ გეტყვი: მთელი ცხოვრება ვოცნებობდი დედობაზე და ამ ბედნიერებაზე შენი ხუშტურების გამო უარს ვერ ვიტყვი. ჩათვალე, რომ ცოლი აღარ გყავს-მეთქი და ოთახიდან გავედი, რომ ჩემი ნივთები ჩამელაგებინა. ამ დროს, სრულიად შემთხვევით, ჩემი დედამთილი მოვიდა და, ასეთ დღეში რომ დამინახა, გაგიჟდა, რა დაგემართათო. მიზეზი რომ გაიგო, მთლად გადავიდა ჭკუიდან – ეცა თავის შვილს, უკანასკნელი სიტყვებით გალანძღა, მერე ქმარს და დანარჩენ შვილებს დაურეკა (ვაჟას სამი და-ძმა ჰყავს) და სასწრაფოდ ჩვენთან დაიბარა, მაგრამ, ვაჟასთან ვერავინ ვერაფერს გახდა. მე უკვე ისე მძულდა ჩემი ქმარი, რომელიც ნანატრი შვილის მოკვლას მაძალებდა, უკანაც რომ წაეღო თავისი სიტყვები, მასთან გამჩერებელი მაინც არ ვიყავი. დედამთილ-მამამთილის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, იმავე საღამოს ჩავალაგე ჩემი ნივთები და დედაჩემთან დავბრუნდი. ისე გაიარა ჩემმა ორსულობამ, ვაჟას ერთხელაც არ მოვუკითხივარ, მისი მშობლები კი ყოველ მეორე დღეს მოდიოდნენ, ყველაფერი მოჰქონდათ, ფულსაც მიტოვებდნენ. ჩემი დედამთილი და მული ექიმებთანაც დამყვებოდნენ, ოღონდ, მოლაპარაკებულებივით, ვაჟას არც ერთი არ ვახსენებდით.

აბსოლუტურად ჯანმრთელი ბიჭი გავაჩინე და ჩემი მამამთილის სახელი დავარქვი. ვაჟამ მხოლოდ მაშინ დამირეკა, ბავშვი უკვე ერთი წლის რომ იყო და შერიგება მთხოვა. ბოდიშები მიხადა – ჭკუაზე არ ვიყავი და მაპატიე, ჩემს შვილთან ურთიერთობას ნუ დამიშლი და ნურასდროს ეტყვი, როგორც მოვიქეციო. მე შევპირდი, რომ არც შვილთან ურთიერთობას დავუშლიდი და არც არასდროს ვეტყოდი ბავშვს მამაზე ცუდს, მაგრამ, გადაწყვეტით ვუთხარი, რომ აღარ შევურიგდებოდი, რადგან მე ის აღარ მიყვარდა.

ახლა ჩემი შვილი უკვე 5 წლის ხდება და მთელი ეს პერიოდი, ვაჟა ცდილობს, ოჯახი დაიბრუნოს, მაგრამ, ყოველთვის, მისი ხმის გაგონებისას ან მისი დანახვისას, ის ვაჟა მახსენდება, გაცოფებული რომ ლეწავდა ყველაფერს, ბავშვის მოშორებას მაძალებდა და სახლიდან გაგდებით მემუქრებოდა.

ეტყობა, არ ვარ კარგი ქრისტიანი, რადგან, მიტევების უნარი არ მქონია, მაგრამ, რა ვქნა, ჩემი დამთმობი ხასიათის მიუხედავად, არის რაღაც, რასაც ვერასდროს ვერავის ვაპატიებ.

**ლელიკო, 36 წლის**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ამბობენ, ყველა ადამიანს, დაბადებისთანავე, თავისი მისია დაჰყვება და ის უნდა შეასრულოს, რომ თავადაც წარმატებული იყოს ამქვეყნად და მომავალ თაობასაც სუფთა კარმა და აურა გადასცეს. ასეა თუ ისე, ამის ბევრს სჯერა, ბევრიც სკეპტიკურად უყურებს ამ აზრს. თუმცა, ვინც ასტროლოგიის მეცნიერებაში ოდნავ მაინც ერკვევა, მას დედამიწაზე კოსმიური მისიის შესახებ, გარკვეული ცოდნა გააჩნია. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მართლაც, ყველა კონკრეტული ინდივიდი, თავისი კოსმიური მისიის მატარებელია. მისი გათვალისწინებით უნდა აირჩიოს საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი და ცხოვრების მეგზურიც კი. ამ თემასთან დაკავშირებით აზრი ვკითხეთ ასტროლოგ, ბატონ დავით ბუტიკაშვილს. თუ დაუჯერებთ და მის რჩევებსაც გაითვალისწინებთ, ეს აუცილებლად მიგიყვანთ წარმატებამდე.**

# რა გავლენას ახდენს პლანეტები ჩვენს წარმატება-წარუმატებლობაზე და როგორ გავხდეთ უფრო იღბლიანები

**დავით ბუტიკაშვილი**: ზოგადად, ადამიანი დედამიწაზე არის მიმდინარე პროცესი, რომელიც იწყება მისი დაბადების მომენტიდან გარდაცვალებამდე. სიკვდილის შემდეგ კი, გადადის სხვა სივრცეში. სანამ ადამიანი დედამიწაზეა, ის არის მიმდინარე პროცესი, რომელიც მატერიალურ ფორმას იღებს დედამიწაზე, და რაღაცისთვის იბადება. მოკლედ, ყველა ადამიანი თავისი მისიით იბადება და თუ ამ მისიას ასრულებს, ბედნიერი, წარმატებული და იღბლიანია. მაგრამ, თუ გადაუხვევს თავის კარმული მისიიდან, მაშინ პრობლემები და წინაღობები, გარდაუვალია. ამიტომ, სიზარმაცის ან სხვა მიზეზების გამო, არ უნდა შეეწინააღმეგოთ იმ მისიას, რისთვისაც ამქვეყანას მოევლინეთ. თუ თქვენი ცხოვრება პრობლემებით არის სავსე, კი არ უნდა იწუწუნოთ, რაიმე შეცვალეთ თქვენს ცხოვრებაში. მაგრამ, თუ ამ პრობლემებს ეგუებით და არ მოქმედებთ, ჩათვალეთ, ცხოვრების ბოლომდე უიღბლობა გაგყვებათ. სანამ თქვენი კარმული მისიის რეალიზების კალაპოტში არ აღმოჩნდებით, მანამდე უნდა იბრძოლოთ, დააკვირდეთ მოვლენებს და შეძლებისდაგვარად, შეცვალოთ ცხოვრების სტილი.

**– რა განსაზღვრავს, სხვადასხვა ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანების კოსმიურ მისიას, ანუ მის ფუნქციას დედამიწაზე?**

– კონკრეტულ ეპოქაში, კონკრეტული ადამიანის კოსმიურ მისიას სხვადასხვა რამ განსაზღვრავს. მაგალითად, თუ ერთი ადამიანი „თევზების" ზოდიაქოს ნიშნით არის დაბადებული, მეორე კი „მერწყულის", მათი ფუნქცია აბსოლუტურად განსხვავებულია და სულ სხვა რამეს მოითხოვს მათგან ეს ეპოქა. მე ბევრი ცნობილი პოლიტიკოსის პირადი ჰოროსკოპი მაქვს შედგენილი და ვიცი, რას მოითხოვდა მათგან კონკრეტული ეპოქა და როგორ გახდნენ წარმატებულნი ან პირიქით – წარუმატებელნი. როცა გორბაჩოვი, რონალდ რეიგანი და ედუარდ შევარდნაძე იყვნენ აქტიურ პოლიტიკაში, ისინი ზუსტად მოერგნენ საკუთარ კოსმიურ მისიას დედამიწაზე და ასრულებდნენ თავისივე წარმატებისთვის. რეიგანიც, გორბაჩოვიც და შევარდნაძეც, დაბადებულები იყვნენ „მერწყულის" ზოდიაქოს ნიშნით, პალნეტა პლუტონი კი, რომელიც ეპოქალურ მოთხოვნებს უყენებს ადამიანებს, იმყოფებოდა „მორიელის" ზოდიაქოში. ამ სამმა „მერწყულმა" ზუსტი ასტროლოგიური სვლები გააკეთა დიდ პოლიტიკაში და წარმატებასაც მიაღწიეს. ზოგადად, პლანეტა პლუტონი, „მერწყულებს", იმ პერიოდში ისეთ სიტუაციაში აქცევდა, რაზეც მორგება ადვილია და ეს მათი კარიერისთვის იყო წარმატებული. ისინი კარგად მოერგნენ ამ სიტუაციას და წარმატებაც იგემეს. პერიოდები კი იცვლება და ახლა პლუტონი „თხის რქაში" იმყოფება, ამიტომ სხვადასხვა ზოდიაქოსთვის, წარმატების მიღწევის კოსმიური მისიაც შეცვლილია. სხვათა შორის, როლანდ რეიგანი იყო ამერიკის ყველაზე წარმატებული პრეზიდენტი და მას ყველაზე მეტად სწამდა ასტროლოგიის. ისეთი გარემოებები შეიქმნა მან ამ ასტროლოგიის ცოდნით დედამიწაზე, რომ საშუალება მიეცა, თავისი პოლიტიკური აქტიურობით, საბჭოთა კავშირის დაშლაში დიდი წვლილი შეეტანა. აი, ბორის ელცინიც, იმ ეპოქაში, როცა პრეზიდენტი გახდა, კარგად მოერგო თავის კოსმიურ მისიას დედამიწაზე და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო, მთელი რუსეთის იდეოლოგიურ გადასვლას კაპიტალისტურ სივრცეში. ეს მისი მისია იყო. ასე რომ, თუ წარუმატებელი ხართ საქმიანობაში, პირად ცხოვრებაში ან ზოგადად, ურთიერთობებში, ჩათვალეთ, რომ არასწორად ასრულებთ თქვენს კოსმიურ მისიას დედამიწაზე და არ ერგებით იმ პირობებს, რასაც გარემოებები გთავაზობთ.



თუ პრობლემებს ეგუებით და არ მოქმედებთ, ჩათვალეთ, ცხოვრების ბოლომდე უიღბლობა დაგყვებათ

**– ზოგადად, როგორ მივხვდეთ, რა პირობებს გვიყენებს გარემოებები, ამ კონკრეტულ პერიოდში და როგორ მივხვდეთ, ვასრულებთ თუ არა სწორად ჩვენს კოსმიურ მისიას?**

– ახლავე მოგახსენებთ და გირჩევთ კიდეც, თუ რა უნდა გაითვალისწინოთ, რომ ხელი მოგემართოთ, წარმატებული გახდეთ და თქვენს გარშემო სიტუაციაც დალაგდეს. მოკლედ, თანამედროვე ეპოქას რომ მოერგოთ, კონკრეტულმა ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულმა ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს, რისთვისაა ამქვეყნად მოსული და რა კოსმიური მისია აკისრია. მთავარია, სწორად მიუდგეთ ამ ასტროლოგიურ რჩევებს და გარანტიას გაძლევთ, უკეთესი ცხოვრება გელით. მაგალითად: „ვერძის" ნიშნით დაბადებულებს პლანეტა პლუტონი, 2021 წლის ჩათვლით, აძლევს უფრო მეტი ტრანსფორმაციის უნარს და თქვენს ცხოვრებაში შესაძლოა, გაჩნდეს

**ბევრი ცნობილი პოლიტიკოსის პირადი ჰოროსკოპი მაქვს გაკეთებული და ვიცი, რას მოითხოვდა მათგან კონკრეტული ეპოქა და როგორ გახდნენ წარმატებულნი ან პირიქით – წარუმატებელნი**

კარიერული წინსვლის შესაძლებლობები, მაგრამ ეს მოითხოვს სრულ შინაგან-ფილოსოფიურ გადაწყობას. თუ რამეს არ შეცვლით, მაშინ წარმატებასაც ნუ ელით კარიერაში. არავითარ შემთხვევაში არ შეეწინააღმდეგოთ იმ შემოთავაზებებსა და შესაძლებლობებს, რასაც გარემო პირობები გიქმნით. ამით, მოექცევით საკუთარი კარმული მისიის კალაპოტში დედამიწაზე. „კუროებს" პლუტონი საშუალებას აძლევს, შეიგრძნონ ღმერთის არსებობა. ის თქვენგან მოითხოვს, დაიკავოთ ლიდერის პოზიცია, როგორც საქმეში, ასევე ოჯახში. ასე, ადვილად მიაღწევთ წარმატებებს. იყავით სულ ყურადღების ცენტრში. „ტყუპებს" პლუტონი ფსიქოლოგიური ნიჭის გამოვლენის საშუალებას ანიჭებს. ამით, ადვილად მიხვდებით, როგორი ადამიანების გარემოცვაში ხართ და როგორ იმოქმედოთ. ასევე, ის გაძლევთ ადამიანებზე ზემოქმედების უნარს. თქვენი სიტყვები დიდ გავლენას მოახდენს მათზე. აუცილებელია პროფესიონალიზმის გამოვლენა და ცოდნის გაღრმავება. „კირჩხიბებისთვის" მთავარი მოთხოვნაა ამ ეპოქაში, კარგად გააანალიზონ, რა სიტუაციაში ხვდებიან. ასე, ადვილად მიხვდებით პრობლემების გამომწვევ მიზეზებს და ადვილადაც დააღწევთ თავს მას, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერაში. ეს თქვენი კოსმიური მისიაა დედამიწაზე. ასევე, არ თქვათ უარი პარტნიორულ შემოთავაზებებზე. „ლომს" პლუტონი ანიჭებს ტრანსფორმირების უნარს პროფესიონალიზმის დახვეწის თვალსაზრისით. თქვენ იგრძნობთ, რომ შეგიძლიათ უფრო მეტის გაკეთება. მაგრამ, თუ იზარმაცებთ და პასუხისმგებლობას გაექცევა, მაშინ სერიოზულ პრობლემებს ვერ აცდებით. მეტად ჩაუღრმავდით და მიენდეთ ინტუიციას. იბრძოლეთ პროფესიული სრულყოფისთვის, ეს თქვენი კარმული მისიაა. „ქალწულებს" პლუტონი მიანიჭებს, საკუთარ შესაძლებლობის მეტ რწმენას. ისინი აღმოჩნდებიან ყურადღების ცენტრში, მაგრამ მათ მოეთხოვებათ მეტი რელიგიურობა და რწმენის განვითარება. თუ ამას არ გაითვალისწინებთ, პრობლემებს ვერ აცდებით და ვერც თქვენს კოსმიურ მისიას შეასრულებთ. „სასწორებს" პლუტონი აძლევს შარმს და შესაძლებლობებს, გარემოსთან ადაპტირება მოახდინონ. ეს გაითვალისწინეთ. სხვათა შორის, პუტინი „სასწორია" და რასაც ის სჩადის, ჩათვალეთ, ამის შესაძლებლობა პლუტონმა მისცა. მიიღეთ ის ცვლილებები, რასაც გარემოება გაძლევთ. იყავით მაქსიმალურად შრომისმოყვარე და წინასწარ დაგეგმეთ ყველა ნაბიჯი. „მორიელებმა" მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ გონებრივი ნიჭი და შესაძლებლობები. იყავით დემოკრატი და დაამყარეთ მეტი კონტაქტები. ასევე, დაეხმარეთ სხვებს. „მშვილდოსნებს" შემოსავლების მხრივ ექნებათ ცვლილებები. თქვენგან მოითხოვენ დამოუკიდებელ ნაბიჯებს. „თხის რქამ" უნდა გამოავლინოს საკუთარი ინდივიდუალიზმი და დაიკავოს ლიდერის პოზიცია. „მერწყულებს" კი განმარტოებით, მეტი შანსი აქვთ, საკუთარი ნიჭი გამოავლინონ და მკაფიო იდეები ჩამოაყალიბონ. დაიწყონ მათი რეალიზება. „თევზებს" პლანეტა პლუტონი აძლევს სურვილების ახდენის შესაძლებლობებს და მეტ შანსს, ცვლილებები გაატაროს ცხოვრებაში. მისგან კი მოითხოვს მეტ ინფორმირებულობას და ინტელექტის ამაღლებას. აუცილებლად დაეხმარეთ სხვებს, ესეც თქვენი კოსმიური მისიაა დედამიწაზე. თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ბევრი პრობლემის დაძლევასა და წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. იამავდროულად, თქვენს კოსმიურ მისიასაც შეასრულებთ დედამიწაზე.

**ნონა დათეშიძე**

# როგორ აღკვეთა ტიტოს, დიმიტროვის და ხოჯას თავნებობა სტალინმა



## ბრმა ლეკვები (1951 წლის ივლისი)

არაერთხელ აღმინიშნავს, რომ სტალინი უდიდესი თავშეკავებულობით გამოირჩეოდა და თითქმის არასდროს კარგავდა წონასწორობას. თუმცა, იყო ისეთი მომენტებიც, როცა დიდი ბელადის მოთმინების ფიალაც ივსებოდა და ამ დროს ის გამძვინვარებულ ვეფხვს ჰგავდა. მრისხანების მომენტში სტალინი სახეზე წამოწითლდებოდა ხოლმე, თვალები აენთებოდა, შუბლს შეჭმუხნიდა, კოპებს შეკრავდა და ცივი ხმით, ჩვეულებრივზე უფრო ნელა და გამოკვეთილად საუბრობდა. მართალია, ასეთ მდგომარეობაში დიდი ბელადი ძალზე იშვიათად უნახავთ, მაგრამ, მრისხანე სტალინისთვის თვალის გასწორებას ვერავინ ბედავდა და მის ოპონენტებს საშინელი გრძნობა ეუფლებოდათ, რასაც მათ სახეებზე ადვილად ამოიკითხავდით. 1951 წლის ივნისის ბოლოს, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ალბანეთის ლიდერებმა – დიმიტროვმა, ტიტომ და ენვერ ხოჯამ ერთობ უპასუხისმგებლო და ნაჩქარევი, ჩვენი ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთეს იმის თაობაზე, რომ მათ გაერთიანებული, კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნა სურდათ, რათა უკეთესად განვითარებულიყვნენ და საკუთარი თავდაცვისუნარიანობა გაეზარდათ. მათი ეს ერთობლივი დეკლარაცია ერთბაშად ევროპის ყველა მოწინავე გაზეთმა წინა გვერდებზე გამოაქვეყნა თავისებური ინტერპრეტაციებით. ძირითადი აზრი ის იყო, რომ სოციალისტური ბანაკი იშლება. როცა ეს ბერიამ სტალინს მოახსენა (ბერია ყოველთვის თავად აწვდიდა ხოლმე დიდ ბელადს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციებს), ის გაწრისხდა. სტალინმა კაბინეტის კუთხეში მოისროლა ერთობლივი დეკლარაციის ტექსტი და სხვადასხვა გაზეთის მიერ ზედდართული კომენტარების დაიჯესტი. მარჯვენა, მუშტშეკრული ხელი მკვეთრად აიქნია და თვალების ბრიალით ამომარცვლა: „დამოუკიდებლობა, ერთიანობა და თავისუფლება მოუნდათ არა მაგ ბრიყვებს და ჰგონიათ, საკუთარი ძალებით შეძლებენ თავის გატანას, სულელები?! ნეტავ, მაინც როგორი სამხედრო ბლოკის შექმნას გეგმავენ უჩვენოდ და საინტერესოა, ვისი ტექნიკით უნდა შეიარაღდნენ ეგ ვაჟბატონები? აქ ბრიტანეთის ხელი ურევია უეჭველად და თავს მოვიჭრი, თუ ეს ყველაფერი ტიტოს ოინები არ იყოს, რომელსაც ბრიტანელები აგულიანებენ“.

პირველი ემოციის ამოფრქვევის შემდეგ, სტალინი დამშვიდდა. თუმცა, სახე კვლავ წამოწითლებული ჰქონდა. მან ჩიბუხი მშვიდად დატენა, გააბოლა და კაბინეტში დინჯად გაიარ-გამოიარა. ბერია კი მაგიდის კუთხესთან უხმოდ, თავჩაღუნული იდგა და არ იძროდა. სტალინმა ნაფაზი დაარტყა და მოძრაობაშივე, ისე რომ, ნაბიჯი არ შეუცვლია, ჩაილაპარაკა: „სასწრაფოდ, ახლავე, პირადად შენ, მოიწვიე დიმიტროვი, ტიტო და ხოჯა ხვალისთვის მოსკოვში და ამცნე მათ, რომ ბალკანეთის კონფედერაციის საკითხებზე მოსალაპარაკებლად ვეპატიჟები“.

ბერიამ, რომელიც აქამდე ქანდაკებასავით გაშეშებულიყო, თავი ასწია და დიდ ბელადს მიაჩერდა. სტალინი თანდათან დამშვიდდა, სახეზე სიწითლეც გაუქრა, ბერიას ანიშნა, დაჯექიო და განაგრძო: „წინასწარვე გეტყვი, რომ დიმიტროვის გარდა, არც ტიტო და არც ხოჯა არ ისურვებენ აქ ჩამოსვლას და რაიმეს მოიმიზეზებენ,” – სტალინს ამ სიტყვებზე გაეცინა, ორი ნაფაზი დაარტყა და უკვე შეკრული კოპებით განაგრძო, – „მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე იქნება და ლავრენტი, უკვე პირადად შენ გევალება ჩვენი ურჩი მეგობრების (ეს სტალინმა დიდი სარკაზმით წარმოთქვა) ხვალ ჩემთან, კაბინეტში მოლაპარაკებაზე მოყვანა. მოლაპარაკებას ზუსტად საღამოს 8 საათზე ვნიშნავ“.

საუბარს რომ მორჩა, სტალინმა ხელით ანიშნა ბერიას, წადი და იმოქმედეო. ბერიამ სწრაფი ნაბიჯებით დატოვა დიდი ბელადის კაბინეტი. ზუსტად საათ-ნახევრის შემდეგ, ლავრენტი ბერია კვლავ დიდ ბელადთან გამოცხადდა და მას შემდეგ, რაც სტალინმა მოხსენების ნებართვა მისცა, ბერიამ დაიწყო: „ამხანაგო სტალინ, თქვენი სიტყვები აბსოლუტური სიზუსტით გამართლდა,” – ბერიამ პაუზა გააკეთა, რადგან მის სიტყვებზე სტალინს ხმამაღლა გაეცინა, თან ანიშნა, განაგრძეო და ისიც კვლავ ალაპარაკდა, – „დიმიტროვი უყოყმანოდ დამთანხმდა: ხვალ, შუადღეზე მოსკოვში ვიქნებიო, ხოლო ტიტომ ავადმყოფობა მოიმიზეზა და გვითხრა, კარდელს (იუგოსლავიის მთავრობის მეთაური) გამოვგზავნიო. თითქმის იგივე მითხრა ენვერ ხოჯამაც. თუმცა, მგონია, ხოჯას მართლა გრიპი აქვს და მოსკოვში ჩამოსვლას მოერიდა. ხოჯა ძოძეს (ალბანეთის მთავრობის ხელძღვანელი) გვიგზავნის“.

სტალინმა ჩიბუხი გააბოლა და თქვა: „გრიპი მიზეზი არაა. ერთხელ მე ძალიან მაღალსიცხიანი ვეახლე ილიჩს, რომელიც გერმანიიდან არალეგალურად ჩამოვიდა პიტერში. მე კი კატორღიდან ახალი გამოქცეული ვიყავი და მთელი ოხრანკა მეძებდა,” – სტალინმა კვლავ რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და განაგრძო, – „არც დიმიტროვი და არც ხოჯა, საფრთხეს არ წარმოადგენენ ჩვენთვის და ისინი უფრო მიამიტობის მსხვერპლნი არიან. რაც შეეხება ტიტოს, ეს სულ სხვა საკითხია, რადგან ცხვრის ტყავსაა ამოფარებული და მასში, სინამდვილეში მგელი ბუდობს. მეტიც, ტიტო ბოლოკივითაა, გარედან წითელია, შიგნიდან კი თეთრი. თუ არ გათალე, ამას ვერ მიხვდები. ჩვენდა სამწუხაროდ, ტიტო ორმაგ და შესაძლოა, სამმაგ თამაშსაც კი ეწევა. ამიტომ მას ჩვენი ძალა კიდევ ერთხელ უნდა ვაჩვენოთ და ახლა ყველაფერი შენზეა. აბა, შენ იცი, ლავრენტი, ხვალ საღამოს ყველანი ჩემთან უნდა იყვნენ“. საუბარი დამთავრდა და ბერიამ სტალინის კაბინეტი დატოვა. მან მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა დიდი ბელადის სიტყვები – „ყველანი ჩემთან უნდა იყვნენ“, ანუ, საუბარი იყო ურჩების ძალით მოსკოვში ჩამოყვანაზე, რაც არცთუ ადვილი განსახორციელებელი გახლდათ. ნებისმიერი ქვეყნის პირველი პირის მოტაცება საკმაოდ რთული საქმეა. თუმცა, ბერიას ნამდვილად არ ესწავლებოდა ასეთი რამ, მას მსგავსი ასობით ოპერაცია წარმატებით ჰქონდა შესრულებული. იმავე საღამოს ლავრენტი ბერიამ, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელები – სუდოპლატოვი და ფიტინი დაიბარა და იმის თაობაზე ეთათბირა, როგორ წამოეყვანათ საბჭოთა მზვერავებს ბელგრადიდან იოზეფ ბროზ ტიტო, ხოლო ტირანადან კი – ენვერ ხოჯა. ეს ოპერაციები ყოველგვარი სისხლისა და მსხვერპლის გარეშე უნდა ჩატარებულიყო და რაც მთავარია, არაფერი არ უნდა დაშავებოდათ, არც ტიტოს და არც ხოჯას.

**ტიტო ბოლოკივითაა, გარედან წითელია, შიგნიდან კი თეთრი. თუ არ გათალე, ამას ვერ მიხვდები**

1951 წლის 2 ივლისს საბჭოთა საგარეო დაზვერვის სპეცდანაყოფებმა ერთდროულად, ბელგრადსა და ტირანაში ორი უნიკალური ოპერაცია ჩაატარეს, ერთი კოდური სახელწოდებით – „შამათი“. ოპერაციას პირადად ლავრენტი ბერია კურირებდა. რაც მთავარია, ორივე ოპერაცია ყოველგვარი მსხვერპლისა და ხმაურის გარეშე განხორციელდა. საბჭოთა მზვერავებმა შიშველი ტიტო საწოლიდან აიცალეს ერთ-ერთ მის მორიგ ლამაზმანს (ტიტოს უამრავი საყვარელი ჰყავდა). ენვერ ხოჯა კი მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა ჰაშიშის თრობისგან, როცა საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავი მოსკოვში დაეშვა ხოჯასთან ერთად (ენვერ ხოჯა ჰაშიშით იყო გატაცებული და საღამოობით ხშირად ეწეოდა. საბჭოთა მზვერავებმა ის სწორედ მაშინ მოიტაცეს, როცა ჰაშიშის მოწევა დაასრულა და შარბათით იქცევდა თავს).

3 ივლისს ლავრენტი ბერია შუადღეზე ეახლა დიდ ბელადს და მოახსენა: „ამხანაგო სტალინ, დიმიტროვი ახლახან ჩამოფრინდა და ამჟამად მისთვის განკუთვნილ სასტუმროსკენ მიეშურება მანქანით. მას ჩვენი ხელმძღვანელობიდან არავინ დახვედრია და მხოლოდ მძღოლი და მორიგე ოფიცერი მიაცილებენ. უფრო ადრე ჩამოფრინდნენ კარდელი და ძოძე. ისინი უკვე დაბინავებულები არიან“.

სტალინი ჩიბუხს ეწეოდა, კაბინეტში ბოლთას სცემდა და ბერიას პატკაკს ყურადღებით ისმენდა, რომელიც თხრობას განაგრძობდა: „ახლა, რაც შეეხება „შამათს“. ორივე განაკაწრის გარეშე ჩამოიყვანეს ჩვენებმა და ამჟამად კრემლის სასტუმროში იწესრიგებენ თავს. ხოჯა უფრო ყოჩაღადაა და არაყიც კი გადაჰკრა ჩვენს მორიგე ოფიცერთან ერთად. თუმცა, მათი მუსლიმანობა ამის ნებას არ იძლევა. რაც შეეხება ტიტოს, ის ნელ-ნელა მოდის აზრზე და ისეა შეშინებული, კარგა ხანს ენა ვერ ამოადგმევინეს. თავიდან არც კი სჯეროდა, რომ ჩვენთან იყო. უფიქრია, ფაშისტმა პარტიზანებმა მომიტაცეს და უნდა დამხვრიტონო. მას, როგორც უკვე მოგახსენეთ, მრავალჯერ დაემუქრნენ და ერთი-ორჯერ ესროლეს კიდეც. შემდეგ, როდესაც შეიტყო, რომ ჩვენთან იმყოფებოდა, ცოტა კი დამშვიდდა, მაგრამ მაინც მოუსვენრადაა და მორიგე ოფიცერთან მანაც გადაჰკრა სამი ჭიქა“.

სტალინი აშკარა კმაყოფილებით უსმენდა ბერიას და სიამოვნებით აბოლებდა ჩიბუხს, ხოლო, მოხსენება რომ მორჩა, დიდმა ბელადმა სარკაზმით ჩაილაპარაკა: „ესეც თქვენი პარტიზანი გმირი, რომელსაც, თურმე, ნუ იტყვით და ბალკანეთის გაერთიანება და დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება მოესურვა. თუმცა, ნიფხვისამარა ასწიეს ლოგინიდან. ფუი, ლოთები! ნერვები ვერ მოუთოკავთ, საკუთარი თავი ვერ დაუცავთ და დაუზღვევიათ, მწვერვალებს კი ეპოტინებიან და ვარსკვლავების მოწყვეტა სურთ“.

სტალინმა კვლავ შეკრა კოპები, კაბინეტში მდუმარედ გაიარ-გამოიარა, ჩიბუხი დატენა, დინჯად გააბოლა და ჩაილაპარაკა: „მართალია, დიმიტროვიც შეცდა, მაგრამ, ვფიქრობ, შეიგნო საკუთარი შეცდომა, ნანობს და მას ისეთი პატივი მიაგეთ, როგორც ჩვენს მოძმე სახელმწიფო მეთაურს შეეფერება. რაც შეეხება იმ ორს, განსაკუთრებით კი მრუშ, გათახსირებულ ტიტოს, ზუსტად რვა საათზე მომითრიეთ კაბინეტში“.

სტალინმა საუბარი დაასრულა და ბერია გაუშვა, თავად კი ტელეფონს დასწვდა და მცირედი პაუზის შემდეგ ალაპარაკდა: „ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ (სტალინი მოლოტოვს ესაუბრებო-

(გაგრძელება 86-ე გვერდზე)

# ეძიე კაცი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31(710)

თემომ და ივიკომ მორჩილად გადაყლაპეს შეურაცხყოფა, რადგან, იცოდნენ, რომ ნებისმიერი საპროტესტო წამოკნავლებაც კი ოთახიდან მათი გაძევებით დასრულდებოდა, ამიტომ, მომრიგებლური ღიმილით შეხვდნენ მიას სიტყვებს; უფრო მეტიც, პოზიციების გასამაგრებლად თემო წამოდგა, ოთახიდან გავიდა და ივიკოც გაიყოლა. ათიოდე წუთის შემდეგ კი უკან დაბრუნდნენ და დაბალ მაგიდაზე ყავიანი ფინჯნები, ერთი ბოთლი კონიაკი და შოკოლადიანი ნაყინი დააწყვეს, თან ხმამაღლა, ორ ხმაში მღეროდნენ საზეიმო „ტუშს“ და გოგოებს თვალებში შესცქეროდნენ – ხომ კარგი ბიჭები ვართო.

– ჩაგეთვალათ, – გაეცინა მიას, – ხანდახან ასეთი საყვარლები რომ არ იყოთ, მართლა აუტანლები იქნებოდით.

თემომ იგრძნო, რომ პოზიციები უკვე გაიმაგრეს და სადავეების საბოლოოდ ხელში ასაღებად სირჩები კონიაკით შეავსო, მერე ერთი სირჩა ხელში აიღო, ცოლს მიუჭახუნა და საზეიმოდ წარმოთქვა:

– ჩემი ქეთას თამადობით, ათივეს გაგიმარჯოთ! მართლა ძალიან მიყვარხართ და ძალიან მსიამოვნებს თქვენს საზოგადოებაში ყოფნა... – მერე წამით გაჩუმდა და უცბად ხმამაღლა გაეცინა, – ისე, ჩვენს სასტავს და ჩვენს ურთიერთობას რომ ვუყურებ ახლა, მგონი, ცოტა წავისერიალებთ...

– ანუ, წავიჩემიცოლისდაქალებთ? – ლამის ენა მოიტეხა ივიკომ.

– სულაც არა, – პროტესტი გამოთქვა ქეთამ, – ძალიან მიყვარს ეგ სერიალი და ყოველთვის ვუყურებ, მაგრამ, რომ გამოჩნდეს ვინმე მოხალისე და ჩვენ შესახებ დაწეროს რომანი – სცენარი არ ეკადრება ჩვენს დონეს – სულ სხვა რამე გამოვა.

– „სულ სხვა“ რას ნიშნავს, უკეთესი თუ უარესი? – იკითხა მირანდამ.

– უკეთესი ან უარესი არ მიგულისხმია, „სულ სხვაში“ ვიგულისხმე აბსოლუტურად განსხვავებული. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, „ჩემი ცოლის დაქალები“ მართლაც ძალიან სახალისო და სასიამოვნოა საყურებლად, მაგრამ, კაცმა არ იცის, როგორია წასაკითხად, იმიტომ, რომ სცენარია. აი, ჩვენზე დაწერილი რომანი კი, ჩემი აზრით, მართლა საინტერესო იქნება.

– ეგ არ არის ცუდი აზრი, – დაფიქრებით წარმოთქვა მიამ, მერე უცებ თემიკოს მიუბრუნდა, რომელსაც კონიაკიანი სირჩა ისევ ხელში ეჭირა:

– ყველას სახელით გიხდი მადლობას და ჩვენც გვიყვარხართ ორივე, მაგრამ, თუ ძმა ხარ, ახლა თამადობა არ მოინდომო და შეგვარგე ჭორაობა!

თემომ აღარ გააგრძელა სიტყვა და კონიაკი გადაკრა; ივიკომაც მხოლდ ის გაიმეორა, მეც მიყვარხართ და გაგიმარჯოთო, დალია და ჩუმად დაჯდა პატარა პუფზე.

– მერე, რაო, იმ შენმა ბებერმა სტერვამ? – შეწყვეტილი თემა შეახსენა ივიკომ მიას.

მიამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო მეგობრებს.

– მაპატიე, მია, მაგრამ, მაგარი ბანძი მეზობელი გყოლია. ვერ ვიტან ბანძ ქალებს, – თქვა თემომ და სირჩები ისევ შეავსო კონიაკით.

– ბანძ კაცებს იტან? – ჰკითხა ცოლმა.

– არა, ვერც ბანძ კაცებს ვიტან, – გაღიმა თემოს ცოლის გულუბრყვილო შეკითხვაზე.

– ნეტავი, ბანძი კაცი მეტია თუ ბანძი ქალი?

– დაინტერესდა სალომე.

კაცებს გაეცინათ და ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს, მაგრამ, ხმა არ ამოუღიათ – მინუსების დაწერას მოერიდნენ.

– ამ კითხვაზე პასუხი არავინ იცის, – თქვა სოფომ, – ეს არც ერთ სოციოლოგიურ სამსახურს არ გამოუკვლევია და, შესაბამისად, ამის სტატისტიკაც არ არსებობს.

– მე ვიცი, – თქვა უცებ მიამ, – აქამდე მეგონა, რაოდენობრივად ბანძი ქალი იყო მეტი, ხარისხობრივად კი – ბანძი კაცი, მაგრამ ახლა პირიქით მგონია.

– რატომ? – დაინტერესდა ლიკა.

– იმიტომ, რომ დღეს მე ყველა სიტუაციაში ისეთი ბანძი ვიყავი, რომ ყველა ბანძ კაცს ერთად გადავუჯუკრე და ახლა ძალიან მრცხვენია ამის, უფრო სწორად, ამის გამო მძულს საკუთარი თავი.



– ისეთი რა ქენი, რო?! – ხუმრობანარევი ხმით ჰკითხა თემომ.

– მეტი რა უნდა მექნა? მე დღეს ვიყავი ლაწირაკი ბირჟავიკი ბიჭი, რომელმაც ყარგონებითა და შეურაცხმყოფელი, უწმაწური სიტყვებით გავურჩიე საქმე ხანდაზმულ ადამიანს, იმ მამა-შვილზე რომ აღარაფერი ვთქვა.

– ვინ მამა-შვილზე? – დაინტერესდა ნათია.

– ჩემს პირველ ქმარსა და მამამისზე, – დააზუსტა მიამ და ორივესთან საუბარი მოყვა თავიდან ბოლომდე.

– გოგო, სად პოულობ ასეთ, მაპატიე და, გამოსირებულ ხალხს? – აღშფოთდა თემო, – გინდა, იმ ბებერ ახვარს ყური ავუწიო?

– დაანებე თავი, თავისი გაჭირვება ეყოფა, – უპასუხა მიამ, – რაც შემეხება მე, ეტყობა, ორგანიზმში, სადღაც შიგნით, მაგნიტი მაქვს, რომელიც მხოლოდ იდიოტებსა და ნაძირლებს იზიდავს და მალე ისეთი უნიკალური კოლექცია მექნება, შეიძლება, გინესის წიგნშიც შემიყვანონ.

– მეორე ქმარიც ეგეთი როჟაა? – ჰკითხა ივიკომ.

– არა, ის ნარკომანი არ არის, მაგრამ, ისე, ზოგადად არის ნაძირალა, – აუხსნა მიამ.

– „ზოგადი ნაძირლობა“ რაში მდგომარეობს? – დაინტერესდა თემო.

– რადგან დღევანდელი საღამო ჩემი „ბენეფისი“ გამოვიდა, გეტყვით, ოღონდ, ძალიან მოკლედ, რადგან, არ მსიამოვნებს მისი გახსენებაც კი. ზოგადად ნაძირალა იმით არის, რომ, ყველაფერი მუქთა უყვარს, ყველაფრიდან გამორჩენას ელის. ქალებსაც და მეგობრებსაც ქონების მიხედვით ირჩევს და მერე მაგრად სარგებლობს ამით, თუმცა, ისე ოსტატურად აქვს ეს ყველაფერი დამხეცებული, ძალიან გვიან ხვდებიან მის ჩანაფიქრს. მერე კი იშორებენ თავიდან, მაგრამ, ამას „თავისი წილი“ სარგებელი უკვე გამოწოვილი აქვს ყველასგან.

– კარგი, მაგას თავი დავანებოთ. წეღან რაღაცას ამბობდი, ლაწირაკი ბირჟავიკივით მოვიქეციო... – შეახსენა შეწყვეტილი საუბარი მირანდამ.

– ჰო, ლაწირაკი ბიჭი ვთქვი, უფრო სწორად კი, ვიყავი ორლობის დიშოვკა, რომელსაც შეუძლია, ყველაფერი იკადროს, – განაგრძო მიამ, – მაგრამ, დედაჩემისგან რომ წამოვედი და მანქანაში ჩავჯექი, პირველად გამიჩნდა უცნაური შეგრძნება, რაც მანამდე არასდროს მქონია, – მიამ ჭიქაში ჩარჩენილი ყავა მოსვა და ისევ სიგარეტს მოუკიდა.

– რა გრძნობა? – ვეღარ მოითმინა სალომემ.

– ვიგრძენი, რომ, იმ საუბრის, უფრო სწორად, ურთიერთშეურაცხყოფის დასრულების შემდეგ, ჩვენ ერთმანეთის შეგვშურდა და, ეს შური, ორივეს მხრიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმ მომენტში იყო გულწრფელიც და გამართლებულიც.

– ესე იგი, გამოდის, რომ ეთანხმები მის ცოლისწამებას? – შენიშნა ივიკომ.

– მე კი არ ვეთანხმები, ეს მას ჰგონია, რომ ასეა და ამიტომაც შეშურდა; თუმცა, საყვარლების ვერსია რომც გამოვრიცხოთ, მე ორი ქმარი და მას არც ერთი – უკვე საკმარისია შურის აღსაძვრელად, რაც, პრინციპში, ლოგიკურია, – უკვე მშვიდად განმარტა მიამ.

– მდაა... ეს უკვე ან სუფთა ქალური ლოგიკაა, რასაც მე ვერ ვხვდები, ან, ფილოსოფიის ის სიმაღლე, რომელსაც ვერასდროს შევწვდები. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ კანტის „წმინდა გონების კრიტიკას“ ჩავწვდი

თუ ავწვდი თავის დროზე, რომ აღარაფერი ვთქვა ჰეგელზე, ნიცშეზე ან, თუნდაც, ფიხტეზე.

– შენ ახლა სულ სხვადასხვა ეპოქის, რანგის, კატეგორიისა და სფეროს წარმომადგენლები ჩამოთვალე, – გაეცინა ივიკოს.

– სპეციალურად მოვიქეცი ასე, ანუ, ამით ის ვთქვი, რომ, თითქმის ყველასი და ყველაფრის მესმის, ქალური ლოგიკისა და ქალური ფილოსოფიის გარდა.

– აბა, პასუხი არ უნდა გაეცა? – გაამართლა ლიკამ, – ასეთ რამეს რომ გაკადრებს ვიღაც ბანძი, იქვე უნდა მიუჩინო სათანადო ადგილი; თავისივე მეთოდით უნდა მოიგერიო.

მაგრამ, ამით ხომ შენც მისნაირი ბანძი ხდები? – არ დაეთანხმა მია.

– არაფერიც. მაპატიეთ, ბიჭებო, მაგრამ, ერთი ცოტა უზრდელური ანდაზა გამახსენდა ამასთან დაკავშირებით, – მორიდებით თქვა ქეთამ.

– მიდი, ნუ გერიდება, – „მწვანე შუქი“ აუნთო ქმარმა.

– ბებიაჩემმა იცოდა ხოლმე თქმა: კაცი რომ მოგაკუებს, შენც თუ არ მიაკუე, უტრაკო ეგონებიო, – თქვა ქეთიმ და გაწითლდა.

– ყველა ანდაზა ყოველთვის არ ამართლებს, მაგრამ, მოდი, შევცვალოთ თემა! წეღან თემომ ფიხტე ახსენა და მისი ერთი გამონათქვამი გამახსენდა, – მხიარულად თქვა რუსამ, რომელიც აქამდე თითქმის ჩუმად იჯდა და მხოლოდ სხვებს უსმენდა.

– შენ რა, სანამ ფიხტეს არ ახსენებენ, ხმას არ იღებ? – გაეცინა ივიკოს.

– არა, უბრალოდ, ისე კარგად იცნობს ფიხტეს, რომ, სიტუაციებიდან გამომდინარე, სულ მისი გამონათქვამები ახსენდება, – მსუბუქად დასცინა თემომ.

– ამას, იცი, რა პონტში გამოუვიდა? – სიცილით განაგრძო ივიკომ ლადავი, – მიხოს შვილი ჰყავს შვიდი წლის და ჯერ სიტყვა არ უთქვამს. ერთხელაც, ხაშლამას ჭამენ და ბავშვი ამბობს, ხაშლამას მარილი აკლიაო.

– მერე, შე შობელძაღლო, ლაპარაკი თუ იცოდი, აქამდე რატო ხმას არ იღებდიო, – თავში წაუთაქებს მიხო.

– აქამდე მარილი არ აკლდაო...

– ჯერ ერთი, ეგ ძალიან ძველი ანეკდოტია და, თანაც, რა შუაშია რუსასთან? – წარბის აწევით იკითხა სოფომ.

– გოიმები ხართ, თუკი ვერ მიხვდით. რა კავშირშია და, რუსას მთელი საღამო ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ფიხტეს ხსენებაზე ამოიდგა ენა და, რომ ვკითხე, ლაპარაკი თუ იცოდი, აქამდე რატომ დუმდი-მეთქი, მიპასუხა, აქამდე ფიხტე არ გიხსენებიათო...

გოგოებს არც კი გაუღიმიათ, თემომ და ივიკომ კი ერთმანეთს ხელი-ხელზე დაჰკრეს და ლამის ჩაბჟირდნენ.

– იუმორიც კი რა პრიმიტიული გაქვთ კაცებს, – დასცინა მიამ და ტუჩი აიბზუა.

– იმასხარავეთ რამდენიც გინდათ, – არ სწყენია რუსას, – სხვათა შორის, ძალიან საინტერესო რამ თქვა ქალებზე.

– მაინც, ლაო, ლა მინდაო, ფიხტემ? – ენა მოიჩლიქა თემომ.

ყველას გაეცინა, მათ შორის რუსასაც, მერე კი თეატრალურად გამოაცხადა: – ფიხტემ თქვა, ქალი სიყვარულის იქით ვერ იხედება და მისი ბუნებაც სიყვარულის ზღვარს ვერ შორდებაო.

– მერე, რას ერჩი, კაი ტიპი ყოფილა, ასეთი კარგი შეხედულება თუ აქვს ქალებზე. თან, პრინციპში, სიმართლე უთქვამს, – თქვა ივიკომ.

– სიმართლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, მართალიც რომ იყოს, საკითხავი ისაა, ფიხტე ამ სიტყვებით აქებს ქალებს, ანუ, მოსწონს ქალების ეს თვისება თუ დასცინის ამის გამო. ჩემი აზრით, მაინცდამაიც ჩვენიანად არ უნდა ჩავთვალოთ, – თავისი პოზიცია დააფიქსირა ლიკამ.

– მართალი ხარ. მაგალითად, მეც გამაღიზიანა ამ სიტყვებმა, – აღშფოთებით დაეთანხმა სალომე.

– რატომ? – გაუკვირდა თემოს, – კაცი კანიდან ძვრება, რომ თქვენს ღრმა სულიერებას გაუსვას ხაზი, თქვენ კი ათას კუდს აბამთ ქალის მგრძნობიარე სულიერი სამყაროთი მის გულწრფელ აღტაცებას.

– აუ, რამდენი მაღალფარდოვანი სიტყვა დახარჯე, რომ ვიღაც საეჭვო გერმანელი და მისი ორაზროვანი გამონათქვამი გაგემართლებინა! – დასცინა მიამ.

– ვინ არის, გოგო, საეჭვო გერმანელი, ფიხტე?! – ჩაბჟირდა თემო.

– დიახაც! მეც მხოლოდ ირონია ვიგრძენი ქალების ასეთი შეფასების გაგონებისას. აშკარად არ ვევასებით ტიპს, – თქვა მიამ და თვითონვე აუტყდა სიცილი თავის სიტყვებზე, თუმცა, მაინც განაგრძო: – ყოველ შემთხვევაში, თუ არ დაგვცინის, ჩვენს დამცირებას მაინც ცდილობს.

– მეც ისე გავიგე, რომ პირდაპირ გვეუბნება, თქვენი გონებრივი თვალსაწიერი ფიზიკური სიყვარულის იქით ვერ მიდისო... – დაიწყო ელისომ, მაგრამ თემომ შეაწყვეტინა:

– ეცი ახლა ამათ პატივი, – და ივიკოს გახედა.

– ... ესე იგი, – განაგრძო ელისომ და თემოს კომენტარისთვის ყურადღება არ მიუქცევია, – გამოდის, რომ, მთელი მსოფლიოს პრობლემები, დაწყებული ოჯახის რჩენით და დამთავრებული ქვეყანაზე ზრუნვით, კაცებს ჰქონიათ ზურგზე წამოკიდებული, ჩვენ კი მხოლოდ ალერსსა და ხვევნა-კოცნაზე ვფიქრობთ, რადგან, მეტზე საფიქრალად ტვინი არ გვყოფნის.

– ვისაც გვეყო, ბატონო, ვინც გადავიხედეთ ამ ავადსახსენებელი სიყვარულის ზღვარს იქით, ვინც ყველა საკეთებელი და საზრუნავი საკუთარ თავზე ავიღეთ და ქოთნის ყვავილებივით ჩავათბუნეთ ქმრები სახლში, რა მოვიგეთ? – გაკაპასებით თქვა მიამ, – ვიქეცით უსქესო არსებებად, მუტანტებად, რომლებსაც გარეგნობა, ისიც მეტ-ნაკლებად, ქალის შეგვრჩა, თუკი შრომით დაკუნთულ ხელფეხს, სიმძიმეების თრევით დაყენებულ მხარბეჭს, გამობურცულ ზურგსა და მამაკაცურ სიარულს ქალის გარეგნობა ჰქვია; ყველაფერი დანარჩენი კი – სინაზე, სიკეკლუცე, ვარსკვლავები თვალებში, ვნებიანი ღიმილი და ასე შემდეგ – ძირითადად, უცხოელი მოხუცების, რბილად რომ ვთქვა, დასვრილ პამპერსებსა და ღამის ქოთნებში გაიბნა, რომ აღარაფერი ვთქვა, მათ დამჭნარ უკანალებზე;

– ოჰ, ფიხტე, შენი ჭკუაც რა ვთქვი! – გაუბრაზდა გერმანელ ფილოსოფოსს თემო და, ჩუმად, ისე, რომ გოგოებს არ გაეგოთ, შეუკურთხა – ჩვენ რას გვერჩოდიო.

ყველაზე-ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში კი, – თემოსთვის არც კი შეუხედავს, ისე განაგრძო მიამ, – მათი, უფრო სწორად, ჩვენი, ქალების ძალიან მცირე ნაწილი იქცა ფულის მშოვნელ უსინდისო, ან, თუნდაც, შედარებით სინდისიერ პოლიტიკოსად; კიდევ უფრო მცირე ნაწილი – დაპროგრამებულ რობოტებად, რომლებმაც რაღაც მანერები და რამდენიმე ფრაზა ისწავლეს, ამა თუ იმ პარტიაში აქიცინებენ კუდს ვიღაცის გულის მოსაგებად და იმდენსაც შოულობენ, რომ საბერძნეთში ან თურქეთში წასვლა ნამდვილად არ სჭირდებათ. ძმებს, ქმრებსა და საყვარლებსაც კარგ თანამდებობაზე აწყობენ, ზემოდანაც გვიყურებენ, ჭკუასაც გვასწავლიან და წესიერებისკენაც მოგვიწოდებენ, თუმცა, შეიძლება, ისიც კი არ იციან, რომ აღმაშენებელი, რუსთაველი და ფშაველა გვარები არ არის და რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო, და არა პირიქით... – ემოციებისგან სახეაწითლებული მია უცებ ჩაცხრა და უკვე ძალიან მშვიდად თქვა: – და, ეს, რაც მე ახლა ვთქვი, სამწუხაროდ, ყველაფერი არ არის, მაგრამ, ლაპარაკის თავი აღარ მაქვს... – მერე უცბად გადაიფიქრა და განაგრძო: თუმცა, რადგან დავიწყე, ბოლომდე ვიტყვი: არსებობს ქალების კიდევ ერთი კატეგორია, რომლის წარმომადგენლებმაც, თავიანთი ჭკუით, ერთგვარი პროტესტი გამოხატეს იმით, რომ, მაპატიეთ და, საქვეყნოდ გაიხადეს, უფრო მეტიც – ჩაიხადეს და ამით გახდნენ ცნობილები, პოპულარულები, სასურველები და – ფულიანები... ასეთებმა ბომონდი ბოზმონდად აქციეს და სულაც აღარ ეთაკილებათ ცნობილ ქმრებთან ერთად ტელევიზიებში მისვლა და იმავე „ვაჟკაცი“ მეუღლეების თანდასწრებით, ხმამაღლა, აჟიტირებულად და ნიშნის მოგებით (ნიშნს კი იმ ქალებს უგებენ, ვინც ეს ვერ გააკეთა და ახლა მათი შურს) საუბარი თავიანთ წარსულ


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



და ახლანდელ ინტიმურ ურთიერთობებზე და, უნდათ, რომ ეს „შინაგანი თავისუფლება“, როგორც თვითონ უწოდებენ თავიანთ ამორალობას, სამაგალითო გახადონ... – მიას საკმაოდ გრძელი ტირადა გამოუვიდა, თან, ზედმეტად ემოციური, რაც აშკარად არ მოუხდა მხიარულად დაწყებულ საღამოს. მიამ იგრძნო ეს და შეწუხდა.

– ბოდიშს გიხდით, ცოტა ზედმეტი მომივიდა, მაგრამ, ამ თემას გულგრილად ვერ ვუვლი გვერდს...

– არა უშავს, ყველაფერი ნორმალურად არის, მაგრამ, ამაღამ ვერ დავიძინებ, თუ არ გვეტყვი, მართლა საერთო საყვარელი ჰყავთ შენს ყოფილ მუღლსა და დედამთილს? – „საწყის პოზიციას“ დაუბრუნდა ქეთა.

– მე ერთად ნამდვილად არ დამინახავს, მაგრამ, სულ სხვადასხვა სასტავში ჭორაობდნენ ამაზე. ისე კი, ჩემი აზრით, როცა ასეთ ბინძურ ჭორს გივრცელებენ, სამი ვარიანტია: ან მართლა მიეცი საბაბი; ან ვიღაცას ძალიან სძულხარ; ან ვიღაცას ძალიან სერიოზულად დაუშავე რაღაც, შური იძია და გამოუვიდა კიდეც – მთლად ფრთიანი ანგელოზიც რომ იყო, წადი და იმართლე თავი, მაინც არაფერი გამოგივა; პირიქით, ყველას სათითაოდ რომ ჩამოუარო და ახსნა-განმარტებები დაუწყო, უფრო დაარწმუნებ ჭორის სიმართლეში...

– ამას წინათ „დისქავერს“ ვუყურებდი, თევზებზე იყო გადაცემა, – მოულოდნელად თქვა ნათიამ.

– თევზები რა შუაშია? – ვერ მიხვდა თემო, რომელსაც გაუხარდა კიდეც თემის შეცვლა, რადგან, აღარ შეეძლო აღარც ფიტეს კრიტიკის და აღარც თავის თანამოძმეთა ლანძღვის მოსმენა, არადა, ოთახიდან გასვლაც არ უნდოდა – აინტერესებდა გოგოების აზრი კაცებზე.

– მაპატიეთ, მაგრამ, ისევ იმ თემას უნდა დავუბრუნდე, მია რომ განიხილავდა, ოღონდ განსხვავებულ ასპექტში, – განაგრძო ნათიამ.

– აუ, კარგი, რა, გეყოფათ ჩვენი მიწასთან გასწორება! – პროტესტი გამოთქვა ივიკომ, – თქვენ მოგეწონებათ, ახლა მე და თემომ ქალები რომ ვლანძღოთ?

– ვისაც არ მოსწონს და არ სიამოვნებს, შეუძლია, გავიდეს, – წარბი აწია მიამ, – თუმცა თვითონაც აღარ უნდოდა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება, – ჩვენ არ გვითხოვია, შემოდით და გვისმინეთო.

თემო და ივიკო გაბრაზდნენ და მართლა დააპირეს ოთახიდან გასვლა, მაგრამ, ორივეს ისევ ცნობისმოყვარეობამ სძლია და მორჩილად გაჩუმდნენ.

– მიდი, მოყევი, მართლა დავინტერესდი, რა ნახე ასეთი, – შეაგულიანა ნათია ლიკამ.

– მოკლედ, რაღაც ჯიშის თევზია, სახელი აღარ მახსოვს. ულამაზესი ფერები აქვს, ყველასგან გამორჩეული, მაგრამ, მთავარი ის არის, რომ, თურმე, ძალიან უცნაურად მრავლდებიან; უფრო სწორად, უცნაური ოჯახური თანაცხოვრება აქვთ: დედა თევზი ქვირითის დაყრისთანავე კვდება, მაგრამ ლიფსიტებს, რომლებიც მალე გამოიჩეკებიან, ხომ უნდათ მოვლა?! ჰოდა, მამა თევზი იცვლის სქესს, ქალად, ანუ, დედად გადაიქცევა და, როგორც თავგადაკლული დედა, ისე უვლის და პატრონობს შვილებს, სანამ ბოლომდე დამოუკიდებლები გახდებიან.

– აი, კაცობაც ამას ჰქვია! – გაეცინა ლიკას, – მე რომ მოვკვდე, ჩემმა ქმარმა, შეიძლება, ბავშვები გააშვილოს, რომ თვითონ არ შეწუხდეს.

– ნუ ხარ შენ იაზვა, – გამოექომაგა ლიკას ქმარს ივიკო, – ძალიან კარგი ბიჭია შენი ქმარი და მუდმივად ნუ კბენ.

– ჰო, კარგი ბიჭია, ოღონდ, გარეთ, სხვებისთვის, – ირონიულად თქვა ლიკამ და გაჩუმდა.

– აუ, ეგეთი ქმარი მომცა! ოღონდ, სიკვდილი არ მინდა, ტეხავს, – ოცნებით წარმოთქვა სოფომ.

ყველას სიცილი აუტყდა.

– შენ რომ ყოველთვის მეოცნებე იყავი, ცნობილი ამბავია, მაგრამ, ქართველი ქალების შრომასთან რა კავშირშია ეგ თევზი, ეს ვერ გავიგე, – გამოვიდა სიტყვით მია, – გაგვაგებინე, ერთი, რისი თქმა გინდოდა.

– რა ვერ გაიგე, გოგო, – გაუკვირდა ნათიას, – ჩემი ნაამბობი პირდაპირ, უფრო სწორად, პირუკუ კავშირშია ქართველი ქალების თემასთან.

– ვერც მე გავიგე, რა პირდაპირ, რა პირუკუ, – თქვა ელისომ და ბოთლში ჩარჩენილი კონიაკი დაისხა.

– „ყველაფერი იგივე, ასინეთა, ოღონდ, უკუღმა“, – ციტატა მოიშველია ნათიამ, – ანუ...

– ბოლოს და ბოლოს, გეყოფათ ჩვენი ლანძღვა და დამცირება! – აღშფოთდა უცებ ივიკო, – რა, სხვა სალაპარაკო თემა აღარ გაქვთ? სულ იაზვობთ, იგესლებით, ორგანულად ვერ იტანთ კაცებს და, თან, გინდათ, რომ ხელისგულზე გატარონ. ეგრე არ ხდება, ჩემო ლამაზებო და კარგებო. ცოტა პოზიციები და განწყობა შეიცვალეთ და, იქნებ, ჩვენც უკეთესები გავხდეთ!

– ჰო, ნაწილობრივ მართალი ხარ, მაგრამ, ცუდი არ იქნებოდა, ჯერ თქვენ გეცადათ შეცვლა; ბოლოს და ბოლოს, თქვენ გქვიათ ძლიერი სქესი, – ისევ ირონია გაურია ხმაში ნათიამ.

– რა უნდა გელაპარაკოთ! – ხელი ჩაიქნია ივიკომ და კარისკენ წავიდა, – ასეთი აგრესიულები თუ იყავით, არ მეგონა!

თემო უხმოდ ადგა და გავიდა – მასპინძელი იყო და თავს უფლება ვერ მისცა, სიტყვით გამოეხატა პროტესტი, რომ გოგოებს არ სწყენოდათ.

– მგონი, მართლა ზედმეტი მოგვივიდა, – თქვა მიამ, კაცები რომ გავიდნენ.

– არა უშავს, გადაიტანენ, – ხელი აიქნია რუსამ, – სწორედ იმიტომ არ ვთხოვდები... ამ კაცებს სულ იქით უნდა ელოლიავო და თვალებში უყურო და თან, ბედნიერი უნდა იყო, თუ ეს ყველაფერი დედის რძესავით შეირგო, სამაგიეროდ კი, არაფერს არ უნდა ელოდე. სად მაქვს მაგათი თავი!..

– დედობაზე რომ ოცნებობ? – შეახსენა მირანდამ.

– დედობა ისეც შეიძლება, ოფიციალური ქმრის გარეშე, მთავარია, შინაგანად იყო მზად ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

– მერე, ხარ მზად?

– თითქმის. ძალიან ცოტა მიკლია, – გაეღიმა რუსას.

– ისე, მგონი, ჯობია, ვინმე უცხოელი გამოიჭიროთ შენ და სოფომ, – აზრი გამოთქვა ელისომ, – ეგენი უფრო აფასებენ ქალებს.

– არც მთლად მასეა საქმე, – რუსამ ცარიელ ფინჯანში ჩაიხედა და ქეთას მიმართა: – ყავა აღარ გაქვს?

– თემიკო! – გასძახა ქეთამ ქმარს, – ყავა მოგვიდუღე, რა!

– რამდენი? – მორჩილად იკითხა ოთახში შესულმა თემომ და აწეული ხელების თვლა დაიწყო, – არის, ხუთი ყავა, ქალბატონო გენერალო! – მერე ნათიას მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა: – ხომ ხედავ, სულაც არა ვარ ბოღმიანი, – და ყავის მოსადუღებლად გავიდა.

– მართლა კარგი ბიჭია შენი ქმარი და გაუფრთხილდი, – უთხრა მიამ ქეთას.

– აქეთ გამიფრთხილდეს, – გაიხაზა ქეთა, თუმცა გულში დაეთანხმა დაქალს.

– აქეთაც და იქითაც, ანუ, გაუფრთხილდით ერთმანეთს, კარგი წყვილი ხართ და სისულელის გამო ნუ გაიფუჭებთ ურთიერთობას, – თქვა მიამ და რუსას მიუბრუნდა: – რას ამბობდი უცხოელ კაცებზე?

– რას და, ბიძაშვილი მყავს ერთი. მართლა ძალიან კარგი გოგოა ყველანაირად, მაგრამ, არ გაუმართლა. პირველი ქმარი, რომელსაც სიყვარულით გაჰყვა, უკაცრავი პასუხია და, ჩვეულებრივი ვირი ქართველი გამოდგა...

– რა არის, რუსა, რა სიტყვებს ამბობ, არ გრცხვენია? – რატომღაც, იუხერხულა სოფომ.

– ბოდიში ხომ მოვიხადე?.. მოკლედ, ითმინა ამ ჩემმა ბიძაშვილმა, ითმინა და ბოლოს მაინც გაშორდა – ვეღარ გაუძლო მის უხეშობას, დაიღალა. არადა, თავისებურად იმ ბიჭსაც უყვარდა: აავსებდა ყვავილებითა და საჩუქრებით, ლამის ლექსებით უხსნიდა სიყვარულს, ხუთი წუთის შემდეგ კი შეეძლო, უმიზეზოდ ეგინებინა. მართალია, მერე ბოდიშებს უხდიდა და პატიებას სთხოვდა, მაგრამ, არც მის საჩუქრებს, არც სიყვარულის ახსნას და არც ბოდიშებს ფასი აღარ ჰქონდა. ერთი სიტყვით, გაშორდა ქმარს და ორი წლის შემდეგ ცოლად გაჰყვა გერმანელს (სად გაიცნო, არ მახსოვს), რომელსაც დედა ფრანგი ჰყავს, განათლება კი ამერიკაში აქვს მიღებული.

– იშვიათი ეგზემპლარია, – ჩაურთო მიამ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ მოქმედებს კონკრეტული სტიქიის ქვეშ დაბადებულ ადამიანზე კონკრეტული ფერები ასტროლოგიურად



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***თუ გსურთ, გაერკვეთ, რომელი ფერია თქვენთვის მისაღები და ბედნიერების მომტანი, დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ასტროლოგიურ რჩევებს.***

*ცეცხლის სტიქიის ზოდიაქოს ნიშნების ფერთა გამა:*

**ვერძი** – წითელი, მუქი ვარდისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, ბაცი ყვითელი და მწვანე. ამ ფერებს შესწევს ძალა, ვერძებში სიმშვიდე და საუკეთესო გრძნობები გამოიწვიოს. ამასთანავე, ვერძებს მართავენ კონტრასტული ფერები ყვითლისა და ცისფრის შერწყმით. ვერძებს არ იზიდავთ კონფლიქტური სიტუაციები და არც აგრესიულები არიან. ეს ფერები კი მათ ხასიათს უსვამს ხაზს.

**ლომი** – მუქი ყვითელი, ყავისფერი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, მწვანე, თეთრი, შავი. მკაცრი ფერები ლომების შინაგან სამყაროსა და მტკიცე ხასიათს გამოხატავს. ლომები ილტვიან შეუზღუდავი ბატონობისკენ, მათ საკმაოდ დიქტატორული ბუნებაც აქვთ. ნარინჯისფერი ყველაზე თბილი და პოზიტიური ფერია. ამ ზოდიაქოს ნიშანს ნარინჯისფერი ენერგიით ალავსებს, დამაჯერებლობას ჰმატებს და ეხმარება მას, იპოვოს ზღვარი სურვილებსა და რეალობას შორის.

**მშვილდოსანი** – ცისფრისა და ლურჯის ტონები, იასამნისფერი და მწვანე. ეს ფერები აღნიშნავენ იმას, რომ მშვილდოსნები მეტად კომუნიკაბელურები არიან. მშვილდოსნებს მართავს წითელი ფერი, მისი გამანეიტრალებელი ფერები კი ცისფერი და მწვანეა. ცისფერი მშვილდოსნებში ფილოსოფიური საკითხებისკენ ლტოლვას განაპირობებს, მათში იდუმალება აღძრავს და აიძულებს მსგავსი სიტუაციების გამორკვევას.

*მიწის სტიქიის ზოდიაქოს ნიშნების ფერთა გამა:*

**კურო** – მწვანე ფერის ყველა ტონი, ბაცი ყვითელი, თეთრი და ცისფერის ტონები. აღნიშნული ფერები კუროებს იმედით ალავსებს; განაპირობებს მათ პოზიტიურ ხასიათსა და განწყობას; აიძულებს რაციონალურ აზროვნებას. ამ ფერების დახმარებით კუროები ყოველთვის ყველაფერს რეალურად აღიქვამენ და უარს ამბობენ ოცნებაზე.

**ქალწული** – თეთრი, ცისფერი, მწვანე, ლურჯი და ნაცრისფერი. ეს ფერები ეხმარება ქალწულებს, მუდამ აკონტროლონ საკუთარი თავი, ანეიტრალებს ხშირ შემთხვევაში მათ მოსაწყენ ხასიათს და ხალისს სძენს მათ. ნაცრისფერი განაპირობებს მორიდებას, რაციონალურობასა და პედანტურობას; ლურჯი კი ქალწულებს ეხმარება, არ გადადგან დაუფიქრებელი ნაბიჯი და კარგად დაფიქრდნენ მის ირგვლივ მომხდარ მნიშვნელოვან ამბებზე.

**თხის რქა** – ნებისმიერი მუქი ფერი, დაწყებული ყავისფერით, დამთავრებული შავით. როგორც წესი, ამ ზოდიაქოს ნიშნის მქონე ადამიანები დიდი ფანტაზიით არ გამოირჩევიან. მათთვის მისაღები ფერთა გამაც სწორედ მათ ხასიათს უსვამს ხაზს. თხის რქებს უყვართ მკაცრი ტონი. მათი ფერთა გამა ქმნის კონსერვატიულობის, სტაბილურობისა და პრინციპულობის ნაკრებს.

*ჰაერის სტიქიის ზოდიაქოს ნიშნების ფერთა გამა:*

**ტყუპები** – იასამნისფერი, რუხი, ნარინჯისფერი და ყვითელი. რუხი ტყუპებს ეხმარება, სერიოზულად განეწყონ ამა თუ იმ სიტუაციისადმი და მეტი ყურადღება გამოავლინონ მცირე დეტალების მიმართ; ნარინჯისფერისა და ყვითლის დახმარებით ტყუპები ოპტიმიზმით ალივსებიან და მხიარულად უყურებენ ცხოვრებას, იასამნისფერი კი მათ დამაჯერებლობას ჰმატებს.

**სასწორი** – ღია ყვითელი, მუქი ლურჯი, მწვანე და მისი ტონები. სასწორებს აღნიშნული ფერების შერწყმა თეთრთან უყვართ, რაც მათ პოზიტიურ განწყობას განაპირობებს. ეს ფერები ხაზს უსვამს ამ ზოდიაქოს ნიშნების გამომგონებლურ და პიკანტურ ხასიათს. აღნიშნული ფერთა გამა სასწორების დამშვიდებასა და მოდუნებას განაპირობებს.

**მერწყული** – ყვითელი, ცისფერი, თეთრი. ეს ფერები ხაზს უსვამს მერწყულების სათუთ და საკმაოდ ნაზ შინაგან სამყაროს. აღნიშნულ ფერთა გამა ამ ზოდიაქოს ნიშნებს დადებითად და პოზიტიურად განაწყობს. მათი დახმარებით ისინი მეტად მოსიყვარულენი და ყურადღებიანები ხდებიან.

*წყლის სტიქიის ზოდიაქოს ნიშნების ფერთა გამა:*

**კირჩხიბი** – თეთრი, ცისფერი, ვერცხლისფერი, ლურჯი და მწვანე. კირჩხიბებს მართავს მწვანე. მათი გამანეიტრალებელი ფერები კი იასამნისფერი და ნარინჯისფერი გახლავთ. ეს ფერები ეხმარება მათ, ენდონ საკუთარ ინტუიციას და ალივსონ ენერგიით. აღნიშნულ ფერთა გამის საშუალებით ისინი აკონტროლებენ და ძალიან მარტივად მართავენ საკუთარ თავს.

**მორიელი** – მუქი ვარდისფერი, მუქი წითელი, წითლის ტონები და ყვითელი. როგორც ცნობილია, მორიელები ემოციურობით გამოირჩევიან, ეს ფერები კი ზუსტად გადმოსცემს მათ შინაგან სამყაროს. ამ ფერების საშუალებით ისინი მომთხოვნები, ენერგიულები და საკმაოდ კომუნიკაბელურები ხდებიან.

**თევზები** – იასამნისფერი, ცისფერი, მწვანე, წითელი, მუქი ვარდისფერი, ლურჯი. ეს ფერები თევზების იდუმალ და მელანქოლიურ შინაგან სამყაროზე მიუთითებს. ასევე, აღნიშნავს, რომ ამ ზოდიაქოს ნიშნის მქონე ადამიანთათვის ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი მათ შესახებ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი და დაიბადა 1996 წლის 21 აგვისტოს, ღამის საათებში. რომელი სფერო აირჩიოს პროფესიებიდან, რომ წარმატებას მიაღწიოს?**

**პასუხი**: მისთვის წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო, კომერციული საქმიანობა, პედაგოგიკა, საინჟინრო საქმიანობა.

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 22 დეკემბერს, დღის საათებში. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კოსმიური მისიაა, იყოთ აქტიური, ენერგიული, შეგეძლოთ ინიციატივის გამოვლენა, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, ლიტერატურულ-ორგანიზატორული თვისებების წარმოჩენა. გამოავლინეთ უშიშარი ბუნება, მებრძოლი სულისკვეთება. იყავით მშვიდობის მტრედი და, სადაც შეხვალთ, სახლი იქნება ეს თუ სამსახური, შეიტანეთ სიმშვიდე და იდილია – ეს თქვენი გამარჯვების ფაქტორია. ასევე, დაეყრდენით კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას, სამართლიანობასა და დიპლომატიას.

**კითხვა: დავიბადე 1996 წლის 22 სექტემბერს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ სამშობლოს პატრიოტი, კარგად ერკვეოდეთ ადათ-წესებში, ისტორიაში, ტრადიციებში. უნდა შეინარჩუნოთ სტაბილური საოჯახო, პარტნიორული ურთიერთობები. უფრო მეტად დაეყრდნოთ ინტუიციას, იყოთ ფრთხილი და წინდახედული, ისწავლოთ საიდუმლოს დაცვა. ასევე, უნდა იყოთ ორგანიზებული და ერთგული და ირგვლივაც ერთგული ადამიანები შემოიკრიბოთ. გახდეთ ნებისყოფიანი, მომთმენი, შრომისუნარიანი, ბრძოლისუნარიანი; ასევე, ხარჯოთ ფული ყაირათიანად – ყოველივე ეს თქვენთვის გამარჯვებების მომტანი ფაქტორებია.

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 4 იანვარს, დილის 8 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატება და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მელის სასურველი სასიყვარულო-საოჯახო კავშირი?**

**პასუხი**: თქვენთვის სასიყვარულო-საოჯახო ურთიერთობა მისაღებია შემდეგი ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებულ ადამიანთან: მორიელთან, თევზებთან, კუროსთან ან ქალწულთან. არ გირჩევთ ურთიერთობას მშვილდოსანთან. პროფესიებიდან კი მისაღებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ოკულტიზმი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამეცნიერო კვლევა, მანქანების ბიზნესი, არქიტექტურა, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო საქმიანობა, ფსიქოთერაპია.

**კითხვა: დავიბადე 1993 წლის 25 აპრილს, ღამის საათებში. მინდა უცხოეთში წასვლა. რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი**: თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოს და მის სამსახურს, თუმცა, უცხოეთში წასვლა დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ არ არის ურიგო. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – დასავლეთი მხარე; შვედეთი, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, უზბეკეთი, ინდოეთი, იტალიიდან – ვენეცია.

## ორშაბათი 11 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული სამყარო" **09.30** საბ. ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** "ჩემი წიგნი" (გ/ჩვ) **21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ტრ.) **23.00** მხ/ფ **"დახეული ფარდა"** **01.00** მხ/ფ **"უცხოპლანეტელის გაკვეთა"**.

**08.00** სერ. **"შურისმაძიებელი"** **09.00** სერ. **"ჰანა მონტანა"** **1** სერ. **09.30** ან/ფ. "ჯუნგლის წიგნი" **1** სერ. **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა. **11.20** სერ. **"სილა"** **6** სერ. **13.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **14.45** სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** **17.40** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"20 წუთი"** **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ **"დამცველი"** (დ.ლუნდგრენი) **01.40** მხ/ფ **"ძარცვა ფრანგულად"** (კ.კეიტელი).

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **08.00** მხ/ფ. (საბ.) **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** მხ/ფ. **14.00** ქ.სერ. **"მეზობლები"** **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"კარადაი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **00.00** მხ/ფ. **02.00** კურიერის დაიჯესტი **02.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "მამა პაისი" **06.35** მხ/ფ **"კუკარაჩა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ერთი წვეთი **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ფესვები"** **13.35** კონცერტი -ანს. **"რუსთავი"** **15.05** ტელეზღაპარი **15.20** სპექტაკლი - **"ბამბაზიის სამოთხე"** **17.20** დ/ფ "მთა საყდარი" **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"წარსულის აჩრდილები"** I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.20** განთიადის სიუჟეტი **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** ქვიშით ნაამბობი - ევსტათი მცხეთელი **22.25** დ/ფ "ქართული კალათბურთი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "კაკ ენისელი" **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ **"მამლუქი"** **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.40, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** SV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.07** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.30** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **1.20** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## სამშაბათი 12 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.**ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **14.00** "გურმანია" (გ/ჩვ) **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** "ჩემი წიგნი" (გ/ჩვ) **21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40** **ფეხბურთი**. ევროპის სუპერთასი: **რეალი – სევილია** (პ/რეპ) **01.00** მხ/ფ **"საყვარელი"**.

**08.00** სერ.**"შურისმაძიებელი"** **09.00** სერ. **"ჰანა მონტანა"** **2** სერ. **09.30** ან/ფ. "ჯუნგლის წიგნი" **2** სერ. **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა. **11.20** სერ. **"სილა"** **7** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** **17.40** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"20 წუთი"** **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** MSV-ის ვიდეო კლიპების დაჯილდოების ცერემონია **2013** **01.40** მხ/ფ **"დამცველი"** (დ.ლუნდგრენი).

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **08.00** მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ. **14.00** ქ.სერ. **"მეზობლები"** **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"კარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **00.00** სოციალური ცელი **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** ქვიშით ნაამბობი **07.30** მხ/ფ **"მამლუქი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ერთი წვეთი **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "ქართული კალათბურთი" **11.05** დ/ფ "კაკ ენისელი" **11.35** პატერიკი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"წარსულის აჩრდილები"** I ნაწ. **13.15** კონცერტი -ნიჭიერთა ათწლედი **15.05** ტელეზღაპარი **15.25** დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **16.10** მხ/ფ **"მე დევიდი ვარ"** **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20**მოკ/ფ "ბავშვები" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - თ.გვანცელაძე "აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ". გვანცელაძე **23.35** მოკ/ფ **"ცოტნე დადიანი"** **00.35** განთიადის სიუჟეტი **00.50** მხ/ფ **"მაია წყნეთელი"** **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი**8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** SV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.07** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** (I სეზონი) **0.30** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **1.20** გადაცემა "ID“(გამ) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

გაგრძელება 47-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**11 – 17 აგვისტო**

*დარბაზი 1*

14.15, 17.20, 20.10 - **„კუ ნინძები“** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ.*

22.30 - **„გალაქტიკის მცველები“** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ.*

*დარბაზი 2*

20.15, 22.30 - **„ზღვარი”**; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 25 წთ.*

*დარბაზი 3*

14.00, 16.30, 19.45, 22.30 - **„ჰერკულესი”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 40 წთ.*

*დარბაზი 4*

14.15 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 45 წთ.*

17.15, 20.00, 22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ. 10 წთ.*

*დარბაზი 5*

14.30, 17.30, 20.00 - **„გალაქტიკის მცველები”** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ.*

22.30 - **„კუ ნინძები”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

14.30, 17.30, 20.00, 22.30 - **„კუ ნინძები”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ.*

*დარბაზი 2*

14.15 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 45 წთ.*

16.30, 22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია”** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ. 10 წთ.*

19.30 - **„ნაბიჯით წინ”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 55 წთ.*

*დარბაზი 3*

14.30, 22.30 - **„კუ ნინძები”** 3D (ინგლისურად); *ხანგრძლივობა: 1 სთ. 30 წთ.*

17.30 - **„ნაბიჯით წინ”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 55 წთ.*

20.00 - **„ჰერკულესი”** 3D; *ხანგრძლივობა: 1 სთ. 40 წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ქათმის ფილე – „გემრიელი“





**საჭირო ინგრედიენტები:** ნებისმიერი მწვანილი (თქვენი გემოვნებით), 1 ჭიქა წითელი, ნახევრად ტკბილი ღვინო, 200 გრამი ნაღები (20-პროცენტიანი), 3 ცალი პომიდორი (საშუალო ზომის), 1,7-კილოგრამიანი ქათამი, ზეთი, სუნელები, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათამს გამოაცალეთ ძვლები და მოაშორეთ კანი ან პირდაპირ ფილე იყიდეთ. დაჭერით მომცრო ზომის კუბიკებად. ტაფაზე დაასხით ზეთი და შებრაწეთ ფილე. უყავით მარილი. 20 წუთი სრულიად საკმარისია. დაუმატეთ სუნელი. პომიდორს გადააცალეთ კანი და გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე, მოასხით ქათამს და შუშეთ 10 წუთის განმავლობაში ხუფის ქვეშ. დაუმატეთ ღვინო და კიდევ 5 წუთი შუშეთ. დაუმატეთ ნაღები, აურიეთ. 10 წუთი კიდევ შუშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე. შიგადაშიგ მოურიეთ.

არაჩვეულებრივია კარტოფილის პიურესთან ერთად. ბოლოს მოაყარეთ ძალიან წვრილად დაჭრილი მწვანილი.

# ქლიავის ღვეზელი





**საჭირო ინგრედიენტები:** 3/4 შაქარი (პლუს 2 სადილის კოვზი მოსაყრელადაც), 115 გრამი კარაქი (ან მარგარინი), 1 ჭიქა ფქვილი, 2 ცალი კვერცხი, 1 ჩაის კოვზი საფუარი, მწიკვი მარილი, 12 ცალი შავი ქლიავი, 1 ჩაის კოვზი დარიჩინი.

**მომზადების წესი:** ღვეზელის მომზადება ჩვეულებრივი ქლიავითაც შეიძლება, თუმცა შავით უკეთესია. სასურველია, ძალიან დიდები არ იყოს. დაგჭირდებათ 24 ცალი ნახვერ-ნახევარი, ანუ 12 ცალი მთლიანი ქლიავი.

კარგად ათქვიფეთ დარბილებული კარაქი შაქართან ერთად. დაუმატეთ კვერცხი სათითაოდ, მარილი და კიდევ ათქვიფეთ. კოვზით შეურიეთ საფუარარეული ფქვილი იმდენი, რომ სქელი ცომი მიიღოთ. გააცხელეთ აირღუმელი 180 გრადუსზე.

ფორმას წაუსვით კარაქი მოაყარეთ ცოტა ფქვილი და მოათავსეთ მასში ცომი. ფორმის დიამეტრი 24 სანტიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს. ცომის ზედაპირი დაფარეთ ქლიავით. ერთმანეთში აურიეთ შაქარი და დარიჩინი. მოაყარეთ ღვეზელს და გამოაცხვეთ. 40-45 წუთში მზად იქნება. გემრიელია და ლამაზიც.

თუ გინდათ, რომ კვერცხი მოხარშვისას არ გაიბზაროს, ჩაყარეთ ცოტაოდენი მარილი.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# ბოსტნეულის „სპაგეტი“





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კონა მწვანე ხახვი, 1 კონა შერეული მწვანილი (ოხრახუში, კამა), 1 ქილა დაკონსერვებული პომიდორი, 2 ცალი ყაბაყი, 4 ცალი სტაფილო, 4-5 ცალი კარტოფილი, ზეთი, ცოტა სოკო, 2 კბილი ნიორი, მარილი.

**მომზადების წესი:** ბოსტნეული დაჭერით წვრილ, გრძელ ჩხირებად, ან გახეხეთ სპეციალურ სახეხზე კორეული სალათებისთვის. ხახვი მოშუშეთ ზეთში, დაუმატეთ დაჭრილი სოკო და ფენა-ფენა მოაყარეთ ბოსტნეული, ბოლოს კი – დანაყილი ნიორი. უყავით მარილი გემოვნებით. დაასხით იმდენი წყალი, რომ ბოსტნეული არ დაიფაროს. დაუმატეთ მომცრო ქილის ნახევარი პომიდორი (წინასწარ დაჭერით). დაახურეთ თავსახური და შუშეთ საშუალო ცეცხლზე 20-25 წუთის განმავლობაში. ბოლოს მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი. ძალიან სასარგებლოა და გემრიელი.





# ფრიკასა ქათმით

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ბრინჯი, 350 გრამი ქათმის ფილე, 300 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 2 ცალი პომიდორი, 50 გრამი ფქვილი, 300 გრამი მაგარი ყველი, 200 გრამი მაიონეზი, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მარილიან წყალში მოხარშეთ ბრინჯი და ქათმის ფილე ცალ-ცალკე. ფილეს ნახარში არ გადააქციოთ, სოუსისთვის გამოგადგებათ. ფილე გააცივეთ. ბრინჯს გადაავლეთ ცივი წყალი, დაწურეთ ან წინასწარ ცივ წყალში ჩაალბეთ რამდენიმე საათით და მერე მოხარშეთ. ამით ხარშვის დროს შეამცირებთ.

ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად, სტაფილო გახეხეთ. მოაყარეთ ცოტა მარილი და ხელით მოსრისეთ. გაარჩიეთ ქამა სოკო. დაჭერით და დაუმატეთ ხახვსა და სტაფილოს.

პომიდორი დაჭერით წვრილად. დაუმატეთ ბოსტნეულს და ოდნავ მოშუშეთ. ფილე დაჭერით.

დიდ თასში ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში შეურიეთ.

თუ ძალიან ნოტიო იქნება, მოაყარეთ ცოტა ფქვილი და აურიეთ. გადაიტანეთ ფორმაში, რომელსაც წინასწარ ცოტა ზეთს წაუსვამთ. მიღებული ამ მასისგან გააკეთეთ ბურთულები და ისე ჩაალაგეთ ფორმაში.

ცალკე მოამზადეთ სოუსი: ერთმანეთში შეურიეთ გახეხილი ყველი, 250 მილილიტრი ბულიონი (ანუ, ფილეს ნახარში), მაიონეზი, ცოტა მარილი, პილპილი და აურიეთ კარგად. მოასხით კერძს და ფორმა მოათავსეთ 180 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში. ნახევარ საათში საოცარი კერძი მზად არის.

# ლორის სალათა ნიკა არაბიძისგან





*რომ გითხრათ, დიდი გურმანი ვარ-მეთქი, მოგატყუებთ, თუმცა, გემრიელად ჭამა მიყვარს. ახლა ზაფხულია და, ვცდილობ, ორგანიზმი არ გადავტვირთო მძიმე საკვებით და მსუბუქად დავნაყრდე. ჩემ მიერ შემოთავაზებული ლორის სალათა ის კერძია, რომელიც საკმაოდ მსუბუქიცაა, გემრიელიც და, თან, ადვილად მოსამზადებელიც.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი მოხარშული მჭლე ლორი, 3 ცალი კვერცხი, 1 თავი დაჭრილი ხახვი, 2-3 სადილის კოვზი დაჭრილი ნიახური, 2-3 ცალი პატარა კიტრის მწნილი (პიკული), 1/3 ჭიქა მაიონეზი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, 1 ჩაის კოვზი დაფქული კამის თესლი, 6-7 ცალი სალათის ფოთოლი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კვერცხი მოხარშეთ და წვრილად დაჭერით. დაუმატეთ დაჭრილი ლორი, დაჭრილი კიტრის მწნილი, ნიახური, ხახვი, მარილი და პილპილი. მაიონეზი, მდოგვი და კამის თესლი აურიეთ და მოასხით ინგრედიენტებს. სალათა მოათავსეთ სალათის ფოთლებზე და ისე მიიტანეთ სუფრაზე.

# ბოსტნეულის რაგუ თევზით



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი სტაფილო, 500 გრამი მწვანე სატაცური, 2 სადილის კოვზი ზეთი, 350 გრამი თევზის ფილე, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 250 მილილიტრი სოუსი „ბეშამელი", 100 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 1 სადილის კოვზი ლიმონის ცედრა, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სტაფილო გარეცხეთ, გათალეთ და პატარა ნაჭრებად დაჭერით. ქვაბში გააცხელეთ ზეთი, ჩაყარეთ სტაფილო და მსუბუქად მოშუშეთ 5 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ სატაცური და გადმოდგით ცეცხლიდან. თევზი დაჭერით სასურველი ზომის ნაჭრებად, მოასხით 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი და დროებით ცალკე დადგით. ბოსტნეული წამოადუღეთ ბულიონსა და „ბეშამელის" სოუსთან ერთად და დაუმატეთ ლიმონის ცედრა. თევზი შეამშრალეთ, მოაყარეთ მარილი, დააწყვეთ ბოსტნეულზე და თავდახურული შუშეთ 6-8 წუთის განმავლობაში.



# ბადრიჯანი „პიკანტური"

**საჭირო ინგრედიენტები:** 6 ცალი ბადრიჯანი, 2 ცალი კარტოფილი, 1 ცალი დიდი სტაფილო, 4 ცალი პომიდორი, 2 თავი ხახვი, 1 ცალი მწვანე წიწაკა, 2 ჩაის კოვზი დაფქული „კარი", 4 კბილი ნიორი, 3 სადილის კოვზი კარაქი ან ზეთი, 4 სადილის კოვზი ფქვილი, 1 კვერცხის გული, შაშკვლავის ფოთლები – მოსართავად, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კარტოფილი და სტაფილო დაჭერით, დაასხით წყალი და მოხარშეთ. შემდეგ გადაწურეთ, დაუმატეთ მარილი, დაფქული „კარი", კვერცხის გული, პილპილი, ფქვილი, კარაქი (ან ზეთი) და ჩაზილეთ. თითოეული ბადრიჯანი 6-7 ადგილას ღრმად ჩასერეთ, ჩასერილ ადგილებში მარილი მოაყარეთ და მომზადებული პიურე ჩაჭრილ „ჯიბეებში" მოათავსეთ. პომიდორს კანი გააცალეთ და წვრილად დაჭერით, დაუმატეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, მარილი, წვრილად დაკეპილი ნიორი და წიწაკა. ფორმას წაუსვით დარჩენილი კარაქი (ზეთი), მოათავსეთ პომიდვრიანი სოუსი, ზემოდან დააწყვეთ ბადრიჯნები და დაახლოებით 35-40 წუთით შედგით 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში. მზა კერძი მორთეთ შაშკვლავის ფოთლებით.



# მარტივი და სასარგებლო

ამ ულამაზესი ჭაღის დამზადებას ნახევარი საათიც არ დასჭირდება. თითქმის ყველა ოჯახშია ძაფით ნაქსოვი მაგიდაზე დასაფენები, რომლებიც მოდაში აღარ არის, მაგრამ ჭაღისთვის გამოდგება. კარგად დააკვირდით სურათებს. გაბერეთ მრგვალი ფორმის საჰაერო ბუშტი და მაგიდაზე დასაფენი შემოახვიეთ. დაამაგრეთ ძაფით ან ინგლისური ქინძისთავით. მოამზადეთ ძალიან მარილიანი ან შაქრიანი წყალი (სახამებელიც შეიძლება). ჩაუშვით მასში საფენიანი ბუშტი და კარგად დაასველეთ, შემდეგ კი აცადეთ, გაშრეს და გამაგრდეს. საფენი კარგად რომ გამაგრდება, ბუშტი ნემსით გახეთქეთ და გამოიღეთ. დაამაგრეთ ნათურიან „აბაჟურს“ და მრავალფუნქციური ჭაღი მზად არის: მოუხდება აგარაკს, სამზარეულოს, მისაღებ და საძინებელ ოთახებს.



მეტად საჭირო ნივთის დამზადებას გასწავლით: მობილური ტელეფონი დატენისას რომ არ დაზიანდეს, მისი ჩასადები – შტეფსელზე ჩამოსაკიდი პატარა „ჯიბე“ ბავშვის ლოსიონის ცარიელი პლასტიკის ბოთლისგან გააკეთეთ. მოჭერით ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები და გრძელ მხარეს, შტეფსელის შეერთების ადგილას, მრგვლად ამოჭერით. „ჯიბეს” კი მერე, თქვენი გემოვნებით დააკარით ლამაზი აპლიკაციები. მობილური უსაფრთხოდ იდება „ჯიბეში“, სანამ ის დენის წყაროსთან იქნება შეერთებული.




* სარკე იპრიალებს, თუ გაწმენდისას წყალში ცოტაოდენ ლილას შეურევთ. სარკის გაპრიალება ჩაის ნაყენითაც შეიძლება.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 13 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00** ტ/სერ. **"დეტექტივი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.30** "ჩემი წიგნი" (გ/ჩვ) **19.55 კალათბურთი**. ევროპისჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: **უნგრეთი – საქართველო** (პ/რეპ.) შესვენებისას: **19.00** "მოამბე" **22.00** მხ/ფ **"შარადა"**(კ.გრანტი) **00.00** მხ/ფ **"მოგზაურობა მამასთან ერთად" 01.50** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები".

**08.00** სერ.**"შურისმაძიებელი" 09.00** სერ. **"ჰანა მონტანა" 3** სერ. **09.30** ან/ფ. "ჯუნგლის წიგნი" **3** სერ. **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **11.20** სერ. **"სილა" 8** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა" 17.40** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი" 21.00** სერ. **"შავი ვარდი" 22.00** სერ. **"20 წუთი" 23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ **"ბრონქსის ისტორია" 02.10** მხ/ფ **"თაფლობის თვე"** (ტიტ.).

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო" 08.00** ქ.მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** მხ/ფ. **14.00** ქ.სერ. **"მეზობლები" 16.00** სერ. **"ეზელი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"კარადაი" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა" 00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. (ტიტ).

**06.10** საგალობელი **06.15** ქვიშით ნაამბობი **06.25** მხ/ფ **"მაია წყნეთელი" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ერთი წვეთი **08.40,18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ/ფ **"ბავშვები" 13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** კონცერტი - ანს.**"ქართული ხმები" 14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** ტელეზღაპარი **15.20** მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები" 16.50** კვირიაკე **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"წარსულის აჩრდილები"** II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** განთიადის სიუჟეტი **23.25** დ/ფ "ვარძია" **01.00** მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.15** გადაცემა "უცნობი ისტორიები" გ/ჩ **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30** SV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03 სერიალი "ასი" 15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.03, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** (I სეზონი) **0.30 სერიალი "მომავლის გაელვება" 1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## ხუთშაბათი 14 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.30** ან./ფ "დაქ დოჯერსი" **10.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 14.00** "გურმანია" (გ/ჩვ) **14.30** მხ/ფ **"ზუსტად ის კაცი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.30** "ჩემი წიგნი" (გ/ჩვ) **21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი" 22.00** "არენა" (პ/ტრ) **23.00** მხ/ფ **"მაგნოლია"**(ჯ.მური) **02.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები".

**08.00** სერ.**"შურისმაძიებელი" 09.00** სერ. **"ჰანა მონტანა" 4** სერ. **09.30** ან/ფ. "ჯუნგლის წიგნი" **4** სერ. **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა. **11.20** სერ. **"სილა" 9** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა" 17.40** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი" 21.00** სერ. **"შავი ვარდი" 22.00** სერ. **"20 წუთი" 23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ **"ბრძოლის წესები" 01.45** მხ/ფ **"ბრონქსის ისტორია"**.

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო" 08.00** მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ.**14.00** ქ.სერ. **"მეზობლები" 16.00** სერ. **"ეზელი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"კარადაი" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** (გ/ჩ) **23.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა" 00.00** მხ/ფ. **02.00** კურიერის დაიჯესტი **02.30** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.45** მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ერთი წვეთი **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ჩვენი ფონდი - მეუფე დავითი - ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"წარსულის აჩრდილები"** II ნაწ. **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** კონცერტი - ქართული მუსიკის ფესტივალი **15.05** ტელეზღაპარი **15.25** ირაო **16.10** კონცერტი - სანკტუსი **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.25** დ/ფ "VEB საქართველო" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** განთიადის სიუჟეტი **21.40** დ/ფ "ზეცის სიმაღლეს ეზიარა" მამა ანდრია ყურაშვილი **22.25** "დრო და ტრადიციები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ჯიხეთი - დედათა მონასტერი" **00.35** განთიადის სიუჟეტი **01.00** მხ/ფ "მონანიება" II ნაწ. **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30** SV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03 სერიალი "ასი" 15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.03, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** (I სეზონი) **0.30 სერიალი "მომავლის გაელვება" 1.20** გადაცემა "ურბანსპორტი" (გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## პარასკევი 15 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **09.30** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 14.00** "შემოძახილი" **14.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **15.00** ტ/სერ. **"დეტექტივი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.30** "ჩემი წიგნი" (გ/ჩვ) **21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი" 22.00** მხ/ფ **"პირველი გვერდი" 23.40** მხ/ფ **"ცისფერი უფსკრული"**(ჯ.რენო).

**08.00** სერ.**"შურისმაძიებელი" 09.00** სერ. **"ჰანა მონტანა" 5** სერ. **09.30** ან/ფ. "ჯუნგლის წიგნი" **5** სერ. **10.00** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **11.20** სერ. **"სილა" 13.00** კულინარიული დუელი **14.45** სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა" 17.40** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ბამბის ველი" 21.00** სერ. **"შავი ვარდი" 22.00** სერ. **"20 წუთი" 23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ **"რეალური სამყარო" 01.50** მხ/ფ **"ბრძოლის წესები"** (ს.ელ ჯექსონი).

**07.00** სერ. **"არ დამივიწყო" 08.00** მხ/ფ. **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** მხ/ფ. **14.00** ქ.სერ. **"მეზობლები" 16.00** სერ. **"ეზელი"**

**18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**კარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.40** მხ/ფ "**მონანიება**" II ნაწ. **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ერთი წვეთი **08.40, 18.25** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "დრო და ტრადიციები" **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.15** დ/ფ "VEB საქართველო" **13.30** კონცერტი -"შვიდკაცა" **15.05** ტელეზღაპარი **15.25** მხ/ფ "**ნერგები**" **16.55** კვირიაკე **18.10** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ძახილი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **00.35** განთიადის სიუჟეტი **00.55** მხ/ფ "**ერთი ცის ქვეშ**".

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (ანეკდოტების ნაკრები) გ/ჩ" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03, 11.03 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **12.30** SV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03 სერიალი "ასი"** **15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.03, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"( ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** (I სეზონი) **0.30 სერიალი "მომავლის გაელვება"** **1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები"(გამ.) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ).

## შ ა ბ ა თ ი 16 აგვისტო

**08.00** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" I სერ. **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები** **13.30** "სპექტაკლის დრო" **15.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **16.55** **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: **ჩიხურა – ზესტაფონი** (პ/რ) **19.00** ქართ. ტ/ფ. "**ქვევრი**" "**ქორწილი**" **21.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ "**ლამაზი სერჟი**" **00.50** მხ/ფ "**ყველანი ციხეში**".

**07.30** ან/ფ. "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**დიდი ბავშვი**" **10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** ორი ვარსკვლავი **16.30** იდენტიფიკაცია **17.40** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**20 წუთი**" **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" (ტ.შვაიგერი) **01.50** მხ/ფ "**რეალური სამყარო**" (ა.ჰიუსტონი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ქ.მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ (**3** თვის წინანდელი გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ **14.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **15.30** მხ/ფ. **17.00** ქ.სერ. "**მეზობლები**" **18.45** "ექიმები" **19.45** "ვინ დაამარცხებს ვასოს" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **00.00** გააცინე და მოიგე **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.30, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ "**ერთი ცის ქვეშ**" **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი -ბელა წიფურია - კოლონიური გამოცდილება და ქართული ლიტერატურა **09.05** "განთიადი" **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ "**ძახილი**" **13.30** საღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - მოცარტი "**დონ ჟუანი**" მაყვალა ქასრაშვილი **18.10** საქართველო არის ესე **18.35** ქვიშით ნაამბობი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** კვირიაკეს სიუჟეტი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**" I ნაწ.

**7.00, 0.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20, 0.15** დ/ფ "სწრაფი ზოლი" **9.30** იუმორისტული შოუ -"**4X4**" **10.30, 2.40** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00, 13.05, 16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **15.30, 2.15** NX სპიკერი **18.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **19.00 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) **1.15** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **1.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) (გამ).

## კ ვ ი რ ა 17 აგვისტო

**08.00** ან./ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** მხ/ფ "სამი მუშკეტერი" II სერ. **10.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **13.30** ქართ. მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **15.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ტ/სერ. "**ჟორიკანა**" **18.55** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: **პორტუგალია – საქართველო** (პ/რ) შესვენებაზე: "მოამბე" **21.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **22.00** კონცერტი: "გიო და ბიჭები" **23.10** მხ/ფ "**ამერიკის პრეზიდენტი**" **01.10** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები".

**07.30** ან/ფ. "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**ორმოები**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ბასტი ბუბუ (გ/ჩ) **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **14.30** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.30** სერ. "**სიყვარულის სეზონი**" **6** სერ. **20.30** ადრენალინი **21.00** ღამის შოუ **22.00** სერ. "**20 წუთი**" **23.00** იუმორინა **00.15** მხ/ფ "**რემბო 3**" (ს.სტალონე) **02.00** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" (ტ.შვაიგერი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ქ.მხ/ფ. **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ვინ დაამარცხებს ვასოს **14.00** სოციალური ცელი **14.15** სიცილის ზონა **15.30** ექიმები **16.30** ქ.მხ/ფ. **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" (გ/ჩ) **23.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **00.00, 02.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "გზა" II ნაწ. **07.00** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** კვირიაკეს სიუჟეტი **09.05** "განთიადი" **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ "**ძნელი დასაწყისი**" **13.35** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** "ჩვენი ამბავი" **18.40** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ "**ფიროსმანი**" **21.30** განთიადის სიუჟეტი **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მოქვი" **00.30** პორტრეტები **01.30** მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**" II ნაწ.

**7.00, 0.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.20** ფარული კამერა **9.00** დჰფ "სწრაფი ზოლი" **10.00, 1.35** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00, 13.05, 16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 1.10** გადაცემა "ID" **15.30** NX სპიკერი **18.40** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) **0.20** "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება"(გამ) **2.15** იუმორისტული შოუ -"**4X4**" (გამ.).

### ვერძი
მოზღვავებული ენერგია მოგცემთ საშუალებას, ახალი საქმე დაიწყოთ და წარმატებებს მიაღწიოთ. ნუ ეცდებით ექსპერიმენტების ჩატარებას. მოერიდეთ სხვისი ფულის ხარჯვასა და ფარულ საეჭვო ფინანსურ გარიგებებს. პირად ცხოვრებაში გახდით მეტად კომუნიკაბელური. ახალი კავშირები რომანტიკული იქნება. კარგია მოგზაურობა.

### კურო
ნუ იქნებით ეგოისტი. ოპტიმიზმითა და პარტნიორების მხარდაჭერით შეძლებთ ადრინდელი გეგმების განხორციელებას. მობეზრებული ცხოვრების სტილი და არასაკმარისი შემოსავლები სასიყვარულო სფეროში კონფლიქტებს წარმოშობს. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას. კარგია დასვენება.

### ტყუპები
თავდაჯერებულობა და ამბიციუროზა ხელს შეგიწყობთ პარტნიორული მოლაპარაკებების დროს. იყავით მეტად დიპლომატიური. ეცადეთ ნებისმიერი სიტუაცია თქვენს სასიკეთოდ გამოიყენოთ. სასიყვარულო ურთიერთობა მშვიდი და სტაბილური იქნება. კარგია მოგზაურობა და დასვენება.

### კირჩხიბი
გაგიჩნდებათ ცხოვრების სტილისა და წესის შეცვლის სურვილი. ერიდეთ ხელმძღვანელ პირებთან უთანხმოებას. ასევე, მოერიდეთ ეჭვიანობას, იმპულსურობასა და ეგოიზმს. აკონტროლეთ ქცევები. ამ პერიოდში მოერიდეთ მოგზაურობას და გადადეთ სამედიცინო პროცედურები.

### ლომი
ძალების მობილიზება ოპტიმიზმს გაგიძლიერებთ. საზოგადოების ცენტრში ადვილად მოექცევით და მარტივად მიაღწევთ სანადელს. დაასრულეთ ძველი საქმეები. ამ პერიოდში არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. კარგად გადაამოწმეთ საბუთები და ისე მოაწერეთ ხელი, რათა არ დაუშვათ შეცდომები. რომანტიკულ ურთიერთობაში მოგინდებათ მეტი თავისუფლება, რაც საყვარელ ადამიანთან კამათის მიზეზი გახდება.

### ქალწული
რთული დროა საოჯახო და საქმიანი პარტნიორული ურთიერთობებისთვის. ნუ იქნებით იმპულსური. მომხიბვლელობით ბევრ თაყვანისმცემელს გაიჩენთ. გარშემო მყოფებთან ფლირტი დაძაბავს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას. ნუ იქნებით ეჭვიანი და ეგოისტი. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### სასწორი
გაიზრდება სამუშაოს რაოდენობა. მეტად რომანტიკული იქნებით. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში ახალ სასიყვარულო ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი. ინტუიციურად შეიგრძნობთ, რისი გაკეთებაა აუცილებელი მოცემულ მომენტში. ადვილად მიაღწევთ მიზანს. კარგია დამატებითი ცოდნის მიღება.

### მორიელი
რთული პერიოდია. ნუ აჰყვებით უცნობ ადამიანებს და მხიარულებაზე ნუ დახარჯავთ მთელ დროსა და თანხებს. იყავით მეტად რეალისტი. სასიყვარულო ურთიერთობაში, შესაძლოა, გული დაგწყვიტოთ მიღებულმა ინფორმაციამ და პარტნიორის სიცივემ. არ არის გამორიცხული გაიზარდოს ფინანსური შემოსავალი. ნუ მოადუნებთ ყურადღებას მოგზაურობის დროს.

### მშვილდოსანი
კარიერასა და პროფესიონალურ საქმიანობაში სასიკეთო ცვლილებებია მოსალოდნელი. დასვენებისთვის დრო არ დაგრჩებათ. ეცადეთ აღადგინოთ ძველი კავშირები. არ შეცვალოთ სოციალური სტატუსი. დადებითად ჩაივლის მოგზაურობა, ოღონდ, არ მოადუნოთ ყურადღება.

### თხის რქა
გააკონტროლეთ ემოციები და გაუფრთხილდით ნერვებს. ყველა წვრილმანის გამო ნუ გამოეკიდებით ახლობლებს. მოერიდეთ მათთან უხეშობასა და სარკაზმს. ნუ გაატარებთ პირად ცხოვრებაში რადიკალურ ცვლილებებს. გაუფრთხილდით საყვარელ ადამიანს და ნუ დასწყვეტთ მას გულს. კარგია დასვენება.

### მერწყული
სიყვარულსა და საქმეში მაღალია წარმატების მიღწევის ალბათობა. მოიმატებს თქვენი ენერგობალანსი, ამტანობა, შრომისუნარიანობა და კომუნიკაბელურობა. მოიმატებს თაყვანისმცემელთა რიცხვი, ასევე, სიყვარულისა და გართობის სურვილი. მოგზაურობა დასამახსოვრებელი აღმოჩნდება.

### თევზები
მიუხედავად სირთულეებისა, შეძლებთ საქმიანი კონტაქტების დამყარებას, რაც მომავალში თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება. ნუ ანდობთ საბუთებს სხვებს, საყვარელ ადამიანს კი ნუ მოაკლებთ ყურადღებას და იყავით მასთან გულახდილი. იზრუნეთ დასვენებასა და ჯანმრთელობაზე. კარგია მკურნალობის დაწყება.

**ახალმთვარეობა – 25 აგვისტო, 14 სთ: 30 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, ინტელექტუალური განვითარება. მოერიდეთ სესხის აღებას, დაპირებების გაცემას. დაგეგმეთ ყოველი ნაბიჯი და გააკეთეთ სწორი არჩევანი. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ვერცხლისფერი, ვარდისფერი, წითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ამეთვისტო ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია გართობა, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფელის შეცვლა, სარემონტო სამუშაოების ჩატარება. სუსტდება თვალები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე
რეალურად შეაფასეთ საკუთარი შესაძლებლობები. მოერიდეთ ეჭვიანობასა და აგრესიას. ატარეთ ფირუზისფერი, მწვანე, იისფერი, ლურჯი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ალექსანდრიტი, მარგალიტი, მარჯანი, ამეთვისტო ან გიაცინტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო შეხვედრები, შემოქმედებითი მუშაობა, კონტრაქტების გაფორმება. სუსტდება ტერფები, ლიმფური და ნერვული სისტემები.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### ოთხშაბათი
მოერიდეთ საიდუმლო საქმეებს. კარგია ქველმოქმედება, შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა, იურიდიული საქმიანობა, სასიყვარულო კავშირები, კონტრაქტების გაფორმება. მოერიდეთ საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, თმის შეჭრას, წესების დარღვევას. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, ლალი, იაგუნდი ან იასპი. სუსტდება ლიმფური სისტემა, გრძნობათა ორგანოები, თავი.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე
აკონტროლეთ ხასიათში ეგოიზმი, სულსწრაფობა, იმპულსურობა, უყაირათობა და ემოციები. მოერიდეთ კამათს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, სტომატოლოგიური პროცედურები, ხელშეკრულების დადება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, თმის შეჭრა. ატარეთ წითელი, ყვითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ლურჯი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ჯესპილიტი, ამაზონიტი ან ობსიდიანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, ვაჭრობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება თავი, თვალები, ყურები, ცხვირი.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

### პარასკევი
გამახვილდება გრძნობები და ინტუიცია. იყავით მეტად შრომისმოყვარე და ნუ იზარმაცებთ. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ყავისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ლაბრადორი ან აქატი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ საყვარელ ადამიანებთან კამათს, რადგან ეს ძვირად დაგიჯდებათ. არ ვარგა კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები; კარგია მოგზაურობა. სუსტდება თავი, ყურები, თვალები, ყელი, ენდოკრინული სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

### შაბათი
მოერიდეთ პრეტენზიის გამოთქმას, სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ლაბრადორი, ჰელიოტროპი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, შემოქმედებითი მუშაობა, გართობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### კვირა
### გეომაგნიტური დღე
ცვლილებების, მონანიებისა და შერიგების დღეა. მოერიდეთ თმის შეჭრას, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, სარისკო ქმედებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი ან ამეთვისტო ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, ვაჭრობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მოგზაურობა, შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

*გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.*

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**მურადაშვილი-მურადელი**

**მურადაშვილები** ქვემო ქართლის ძირძველი მოსახლეები არიან. მათ პირველ საცხოვრებლად მოიხსენიება სოფელი ჭარეში.

გვარი შეტანილია ვახუშტი ბატონიშვილის ქვემო ქართლის აღწერაში, ასევე, იასონ ლორთქიფანიძის ორტომეულში „ქვემო ქართლი."

გვარის ფუძეა არაბული სიტყვა **მურატო**, რაც ქართულად სურვილს ნიშნავს.

**მურადაშვილების** ერთ-ერთი შტო მესხური წარმოშობისაა. როგორც ქვემოქართლელი, ასევე მესხი **მურადაშვილები** და **მურადელები** წმინდა სისხლის ქართველები და მართლმადიდებლები არიან. მათ მცირე ნაწილს მესხეთში კათოლიკობა მიაღებინეს.

იმავე ძირისაა გვარები: მურაჩატაშვილი, მურატოვი, მურადოღლი.

1477 წელს, მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელიც ნიკოლოზ პალატაშვილს გოგიტა არდაშელიშვილისთვის მიუცია, გოგია **მურადაშვილი** მოიხსენიება.

საქართველოში 1 704 **მურადაშვილი** ცხოვრობს. გორში – 705, თბილისში – 399, ასპინძაში – 134. არიან სხვაგანაც.

74 **მურადელი**: გორში – 29, თბილისში – 18, ბორჯომში – 10. არიან სხვაგანაც.

**გაბიდაური**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გაბიდა**.

სოფელ კოთოთაში **გაბიდაური** მოიხსენიება 1796 წელს, ერეკლე მეორის მიერ შედგენილ ყმების ნუსხაში.

1873 წელს, სოფელ ნამტვრევანში, მოხსენიებულია მახარობლიშვილი **გაბიდაური**.

საქართველოში 383 **გაბიდაური** ცხოვრობს: თბილისში – 132, თეთრიწყაროში – 93, თიანეთში – 31. არიან სხვაგანაც.

**ბაბაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბაბა.** აჭარულად ბაბა იგივეა, რაც მამა; შუმერულ მითოლოგიაში კი, ლაგაშელთა ნაყოფიერების ქალღმერთი ბაბა ნინგურსეს ცოლია. ამ ღვთაებრივი ქორწინების შედეგი იყო ნაყოფიერი წელი. ტაძარი ლაგაშში ჰქონდა. არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ქართული მითოლოგიის ქალღმერთი ბაბალე – ბარბარეს უძველესი სახეა.

1818 წელს იოანე აბუაშვილის შვილის მიმრქმელი იყო ბაბა პეტრიაშვილი.

**ბაბაშვილები** მოგვიანებით ბაბაროვებად ჩაწერეს.

საქართველოში 122 **ბაბაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 39, მცხეთაში – 37, ყვარელში – 23. არიან სხვაგანაც.

**ამბროსაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ამბროსი**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და ღმერთის წილხვედრს, ღვთაებრივს ნიშნავს.

**ამბროსაშვილი** შერმაზანა მოიხსენიება მეთხუთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილ ამილახვარ გოსტაბაშვილის ყმების ნუსხაში.

ამავე ძირისაა **ამბროსიშვილი.**

საქართველოში 47 **ამბროსაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 21, გორში – 13, კასპში – 10. არიან სხვაგანაც.

**მატიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მატია**.

1624 წელს მატია ზაზაშვილი მოიხსენიება ირაკლი და ვახუშტი **მატიაშვილების** ყმების ნუსხაში.




1690 წელს შავერდა **მატიაშვილი** მოწმედ მოიხსენიება ესტატე მოლოდინაშვილ-ქრისტესიაშვილისა და მისი ძმების მიერ ნიგვზის გაყიდვაზე შედგენილ ნასყიდობის წიგნში.

1817 წელს კოდელი ივანე **მატიაშვილი** წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში შვილს უნათლავს დავით ბერუაშვილს.

**მატიაშვილების** წინაპარი, გადმოცემის მიხედვით, მატია დოლდაშვილი ყოფილა.

მოგვიანებით, **მატიაშვილები** რუსული გაფორმებით მატიაშოვებად ჩაუწერიათ.

ამავე ძირისაა გვარები: მათიაშვილი, მატუაშვილი, მატოშვილი.

**მატიაშვილების** ერთი შტო, 1886 წლის აღწერის მიხედვით, სოფელ კოდაში აბატაშვილი გამხდარა.

საქართველოში 147 **მატიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 82, რუსთავში – 42. არიან სხვაგანაც.

**ბერიკაციშვილი**

გვარის ფუძეა სიტყვა **ბერიკაცი**.

ბერიკაცის პირველი კომპონენტია ბერა, ბერი. ბერიკაცი მოხუცს ნიშნავს. **ბერიკაციშვილი** ასაკის მიმანიშნებელი გვარია.

ამავე წარმოშობისაა გვარები: ბებერაშვილი, ბერბერაშვილი.

ნინიკა **ბერიკაციშვილი** მოიხსენიება 1873 წელს, სოფელ თხინვალში.

საქართველოში 193 ბერიკაციშვილი ცხოვრობს: გორში – 177, თბილისში – 15, მცხეთაში – 1.

**ამზაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ამზა**.

თავად გენერალ-მაიორ ორბელიანის შთამომავალთა შორის სოფელ ვაშლოვანში მოიხსენიება მოსია **ამზაშვილი** თავისი ოჯახითურთ.

საქართველოში 20 **ამზაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 13, თელავში – 4, ყვარელში – 3.

**ჯიმშიტაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯიმშიტა**.

ჩხიკვთაში მოიხსენიება უყმო აზნაური ვინმე **ჯიმშიტაშვილი**.

საქართველოში 610 ჯიმშიტაშვილი ცხოვრობს: თიანეთში – 281, თელავში – 134, თბილისში – 81. არიან სხვაგანაც.

**კოტორაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კოტორა.**

1749 წელს დანიელა **კოტორაშვილი** მოიხსენიება ვარამ დიასამიძის მიერ ივანე ნასყიდაშვილისთვის მიცემულ აზატობის წიგნში.

ამავე ძირისაა გვარი **კოტორეიშვილი.**

საქართველოში 894 **კოტორაშვილი** ცხოვრობს: მცხეთაში – 298, თბილისში – 235, ახმეტაში – 106. არიან სხვაგანაც.

**ზუმბულიძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ზუმბულა, ზუმბული.**

1871 წელს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი იყო ალექსანდრე ზუმბულაძე.

საქართველოში 299 **ზუმბულიძე** ცხოვრობს: გორში – 168, თბილისში – 104, ხარაგაულში – 7. არიან სხვაგანაც.

**შავერდაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **შავერდა**.

1721 წელს მოიხსენიება არტემა გერმანოზიშვილის ყმა, ბერია **შავერდაშვილი**.

საქართველოში 580 **შავერდაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 244, ქარელში – 49, რუსთავში – 45. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

(მე-18 გვერდიდან)

## ვინ დადგა ლაშა ხოზაშვილსა და მის პარტნიორზე „ბოსტონ ბალეტში" საპრემიერო სპექტაკლი და როგორ დაიმსახურა მათმა წყვილმა „ლინკოლნ ცენტრში" დიდი მოწონება

რამ, ისე არა, როგორ თვითონ იცის ხოლმე – ამაში აშკარად მჯობია. ვერ წარმომიდგენია და არც მიფიქრია იმაზე, რომ სხვა პროფესიის მეუღლე მყოლოდა. ალბათ, ვერ გავუგებდით ერთმანეთს. მე და ეკა კარგად ვართ ერთად, ბედნიერები, ვუგებთ ერთმანეთს. თავიდან, „ბოსტონ-ბალეტში" გადასვლა რომ შემომთავაზეს, ისე ვიყავით გახარებულები, ეკასთვის ნახევარი წლის კონტრაქტი რომ დაედოთ და სტაჟი გაეკეთებინათ, იმითაც კმაყოფილები დავრჩებოდით, რადგან, ერთად ვიქნებოდით. მაგრამ, რომ ნახეს მისი მონაცემები, ნახევარი კი არა, მთელი წლით დაუდეს კონტრაქტი ძირითად შემადგენლობაში.

**– როგორც წამყვან სოლისტს, ალბათ, გარკვეული პრივილეგიებიც გაქვს.**

– ბევრი რამ გვეთქმის. მაგალითად, მაქვს იმის უფლება, თუ რეპეტიციაზე ვერ ვგრძნობ თავს კარგად და ვერ ვაკეთებ ჩემს მაქსიმუმს, პედაგოგს ვთხოვო, თუ შეიძლება, დღეს მსუბუქად გავივლი-მეთქი და არ არის პრობლემა. მაგრამ, კორდებალეტის შემთხვევაში არ არის ასე, თუ არ გაცივდი ან ძალიან ცუდად არ ხარ, უნდა გაიარო რეპეტიცია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვსარგებლობთ ამით, თუ მართლა რაღაც არ ხდება. ნაბახუსევზეც მისულვარ, ერთი საათი დამიძინია და მერე მიცეკვია. მათთვის დალევა მხოლოდ უიქენდებზე შეიძლება, მე კი შემიძლია, ნებისმიერ დღეს დავლიო – ქართველები უიქენდებს არ ვცნობთ. რაც მთავარია, ჩემი თავის ამბავი ვიცი და, მაინც კარგად გამიკეთებია ჩემი საქმე. „პახმელია" საერთოდ არ მაქვს, კონფლიქტურიც არ ვარ, სიმთვრალეში კი უფრო საყვარელი ვხდები.

**ნათია უტიაშვილი**

# ხართ შურიანი?

*არავინ გამოტყდება იმაში, რომ სხვისი შურს, მაგრამ, შურს შეუძლია, მთელი ცხოვრება გაგიმწაროთ. საკუთარ თავს მაინც უთხარით სიმართლე, რომ გათავისუფლდეთ ამ ნეგატიური გრძნობისგან.*

**1. მეგობარს ახალი სამოსი აცვია, რომელიც მას საოცრად უხდება:**

ა) ვეტყვი, რომ მისი სტილი არ არის;

ბ) გამოტყდებით, რომ თქვენც ისურვებდით ასეთს;

გ) გულწრფელად ვეტყვი, რომ ძალიან მაგარია.

**2. წარმოიდგინეთ, რომ მდიდარი ნათესავი გარდაგეცვალათ, მემკვიდრეობა კი სხვა ნათესავს დაუტოვა:**

ა) ვეტყვი იმ ნათესავს, რომ ცოტა დანარჩენებსაც გვიწილადოს;

ბ) ვუჩივლებ;

გ) ეს არ არის ჩემი სადარდებელი.

**3. წვეულებაზე საკმაოდ შეუფერებელი სამოსით მიხვედით:**

ა) ჩემთვის ეს პრობლემა არ არის;

ბ) უხერხულობას ვიგრძნობ;

გ) ძალიან დავითრგუნები და გუნება მომეშხამება.

**4. რას ფიქრობთ ფრაზაზე – „ფული ყველაფერია“?**

ა) ნამდვილად ასეა;

ბ) მთავარია ახლობელი და საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობა;

ბ) არ არის მთავარი, მაგრამ, უფულოდაც ვერ იცხოვრებ.

**5. როგორ ფიქრობთ, თქვენი შურთ?!**

ა) მგონია, რომ კი;

ბ) ალბათ, მოიძებნება ასეთი;

გ) ამაზე არ ვფიქრობ.



**6. მეგობარი გთავაზობთ ერთობლივ ბიზნესს:**

ა) ვიფიქრებ, იქნებ გამოვიდეს;

ბ) სარისკოა, ბიზნესი მეგობრობის მტერია;

დ) ცდად ღირს, მაგრამ, აჯობებს, მარტომ ვცადო.

**7. მეუღლე მეგობარს ყოველთვის მაგალითად გიყენებთ:**

ა) გავცოფდები ამაზე;

ბ) ვეცდები, იმ მეგობარზე ყველაფერი ცუდი ვილაპარაკო;

გ) ეტყვით, რომ თქვენ თქვენ ხართ.

**8. ნაცნობს, რომელსაც თავი დიდ ვინმედ მოაქვს, პრობლემები შეექმნა:**

ა) ღირსია, ასეც მოუხდება;

ბ) დავაკვირდები, რა მოხდება;

გ) საწყალი, შემეცოდება.

**ნახეთ შედეგები:**

*ყოველი „ა“ პასუხისთვის – 5 ქულა, „ბ“ პასუხისთვის – 3 ქულა, „გ“ პასუხისთვის – 1 ქულა.*

*8-18 ქულა: საერთოდ არ იცით, რას ნიშნავს შური. საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ და, შესაბამისად, წარმატებულიც. იცით, მძიმე წუთებში სხვისი მხარდაჭერა, მაგრამ, პრობლემა ის არის, რომ სხვებს ძალიან შურთ თქვენი.*

*19-29 ქულა: სხვისი წარმატება არ აღგაფრთოვანებთ. არ ამჟღავნებთ, მაგრამ, წვალობთ და იტანჯებით – ფიქრობთ, ასე რატომ გაუმართლაო. ჯობია, იმაზე იფიქროთ, რომ წარმატების მიღწევას თქვენც შეძლებთ, თუ კი მთელ რესურსს მიზნისკენ მიმართავთ.*

*30-40 ქულა: ძალიან შურიანი ბრძანდებით და ვერასდროს იგრძნობთ სიხარულს ცხოვრებისგან. ამიტომაც არის, რომ თქვენ გვერდით ყოფნა არავის უნდა. იქნებ, დროა, რაღაც შეცვალოთ? გახსოვდეთ, თუ ვინმემ რამეს მიაღწია, მხოლოდ დიდი შრომის ფასად.*

## სპილოებისთვის საშიში

ძალიან რთულია, დაასახელო ქვეყანა, რომელიც ბილიარდის შესაძლო სამშობლოდ ჩაითვლება. ეს თამაში სათავეს „მიწის ბილიარდისგან“ იღებს. ბილიარდი მიწაზე ესპანეთსა და იტალიაში გაჩნდა, ხოლო მაგიდაზე – საფრანგეთსა და ინგლისში გადაინაცვლა.

შენობაში ბილიარდის თამაში დაახლოებით მეთოთხმეტე საუკუნეში დაიწყეს. „მიწის ბილიარდი“ კი მეცხრამეტე საუკუნემდე იყო პოპულარული.

საფრანგეთის მეფემ, ლუდოვიკო მეთერთმეტემ, ბილიარდის მაგიდა 1470 წელს შეიძინა. მას შემდეგ ბილიარდის პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდებოდა. განსაკუთრებით მოსწონდათ ის „ცისფერსისხლიან“ ნაზ არსებებს. შექსპირმაც კი მოიხსენია ბილიარდი თავის პიესაში „ანტონიუსი და კლეოპატრა“. მეთექვსმეტე საუკუნიდან ბილიარდი მოსახლეობის საშუალო ფენებშიც გავრცელდა. ბილიარდს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამაშობდნენ, თუმცა, ის ისევ რჩებოდა სამეფო კარის საყვარელ გასართობად. მაგალითად, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთექვსმეტე ბილიარდს ხშირად ეთამაშებოდა თავის მეუღლეს მარია-ანტუანეტას, რომელიც გვირგვინოსან მეუღლეს უგებდა. შეიძლება, ბევრმა არ იცის, რომ თავიდან ბილიარდის მაგიდაზე მხოლოდ ორი ბურთი იდო – თითო ბურთი თითო მოთამაშეზე და მას ხელით აგორებდნენ. ბილიარდის ჯოხი, კია, მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში გამოჩნდა და შეიცვალა თამაშის წესებიც – ის შესამჩნევად გართულდა. ამერიკის პრეზიდენტები ხალისით თამაშობდნენ ბილიარდს და მას აქტიური სპორტის სახეობად მიიჩნევდნენ. თომას ჯეფერსონს ბილიარდის მაგიდა სახლშიც ჰქონდა. სხვათა შორის, ბილიარდის ბურთებს უამრავი – ასეულ ათასობით სპილო შეეწირა: ბილიარდის ბურთის გამოსაჩარხად საჭირო იყო სპილოს მენჯის შუაგული და ერთი სპილოსგან 4-5 ბურთი მზადდებოდა. ანუ, ერთი მაგიდის შესავსებად სამი სპილოს მოკვლა მაინც იყო საჭირო. ამიტომ მათზე საგანგებოდ ნადირობდნენ ინდოეთსა და აფრიკაში. ბრიტანეთში ყოველწლიურად 750 ტონა სპილოს ძვლის იმპორტი შემოჰქონდათ და, გასაკვირი არ არის, რომ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში სპილოების რაოდენობამ კატასტროფულად იკლო. ბილიარდის ბურთები გასაოცრად ძვირი ღირდა.

1824 წელს პირველი ჩემპიონატი გაიმართა ბილიარდში და პირველი ჩემპიონი ვინმე ჯონ კარი გახდა, რომელსაც პრიზი პირადად უელსის პრინცმა გადასცა...

## ყველაზე ძველი შარვალი

ყველაზე ძველი შარვალი 3 300 წლისაა. ის ჩინეთის დასავლეთ რეგიონში, ერთ-ერთ სამარხში აღმოაჩინეს. უძველესი შარვალი შალის ქსოვილის სამი ნაგლეჯისგანაა შეკერილი. უცნაური ისიც არის, რომ ძალიან კარგადაა შემონახული. ზოგ ადგილას ნაქარგებითაც არის დამშვენებული, საჯდომსა და უბეზე კი დამატებითი ქსოვილია გამოკრული.



იმავე სამარხში აღმოაჩინეს ტყავის უნაგირი და საბრძოლო ნაჯახი. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ წარჩინებული მებრძოლი იყო დამარხული. არქეოლოგების ვარაუდით, შარვალი სწორედ მომთაბარე მესაქონლეებმა გამოიგონეს, რომლებიც დიდ დროს ატარებდნენ უნაგირზე ამხედრებულები. სხვათა შორის, ძველი ჩინური შარვალი ფეხით სიარულისთვის კომფორტული არ არის. სამაგიეროდ, შესანიშნავია ცხენზე დასაჯდომად. ამ აღმოჩენამდე, ყველაზე ძველად ითვლებოდა ნეპალში აღმოჩენილი შარვალი, რომელიც 2 400 წლისაა, მაგრამ ჩინეთმა პირველობა არც ამ საქმეში დაუთმო ვინმეს.

**გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძე**

# როცა ქალს უყვარს...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-31(710)

ისევ კოშმარი და ისევ ბუნდოვანი, გაურკვეველი სახეები, ხმები, ჩრდილები... დიანა მხოლოდ წუხდა და შფოთავდა... არ ცდილობდა, ჩაღრმავებოდა ნანახს და გაეაზრებინა ეს კავშირები, რომლებიც მის ღამეულ კოშმარებსა და წარსულს შორის იყო. ამჯერად მოახერხა საკუთარი თავის ხელში აყვანა. ლინა აღარ დაუფეთებია, უხმაუროდ ადგა და სამზარეულოში გავიდა. ფანჯარაში მორიდებით იჭყიტებოდა დილა – ნისლიანი, მწუხარე და მზის სხივებს გადაჩვეული... გული უჩვეულოდ დაუმძიმდა. მიხვდა, რომ მშობლები მოენატრა, მაგრამ, ჯერ ვერ გაემგზავრებოდა, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა. ლინასაც ერთბაშად ვერ მიატოვებდა – შეეჩვია. ტელეფონი აიღო, დარეკა და ხმადაბლა ჩასძახა:

– დევიდ, გამარჯობა... მე ვარ, დიანა, როგორ ხარ... მომენატრეთ შენც და დედაც... ჰო, ვიცი, რომ ნერვიულობს... კარგია, რომ შენ ჰყავხარ... ჰო, რა ვიცი, აბა?! მართლა კარგად ვარ... ლინაც ძალიან კარგი გოგოა. შემიყვარდა... ანა ამბობს, რომ შეიძლება, რამე სისულელე ჩავიდინო? შეგიძლია, უთხრა, რომ მსგავსს არაფერს ვაპირებ... უბრალოდ, ცოტა დასვენება მჭირდება და ახალი გარემო. სულ ეს არის. მალე ჩამოვალ... ვილი და მარია სულ ორჯერ ვნახე, ცალკე ვართ ჩვენ, ლინას პატარა ბინაში... არა, არა, ნუ გააღვიძებ... შენთან მინდოდა ლაპარაკი... მიყვარხართ ორივე, ძალიან მიყვარხართ...

დიანამ ტელეფონი დადო და ჩაიდანში ყავა ჩაყარა...

– ვის ელაპარაკებოდი? – სამზარეულოს ზღურბლზე ლინა გამოჩნდა, თვალების სრესით.

– მამაჩემს, დევიდს... დედაჩემი ნერვიულობს ძალიან, ჩამოვიდესო..

– აუ, არა რა... არ წახვიდე. ძალიან შეგეჩვიე, – შეწუხდა ლინა და სახე დაუსევდიანდა, უშენოდ ძალიან მოვიწყენ, მართლა.

– ვიცი, მეც მოვიწყენ. მეც შეგეჩვიე. ძალიან კარგი და საყვარელი გოგო ხარ. მეც არ მინდა, ჯერ წასვლა.

ლინას ეშმაკურად აუციმციმდა თვალები.

– ვიცი, რატომაც არ გინდა წასვლა. სანდროს გამო.

დიანამ გაიცინა.

– ასე სერიოზულადაც ნუ უყურებ ჩვენს ურთიერთობას. მომწონს, კარგი ბიჭია, მაგრამ სულ ეს არის. რომ წავალ, შეიძლება, საერთოდ დამავიწყდეს კიდეც.

– იმას არ დაავიწყდები, დარწმუნებული ვარ. გუშინ ნახე?

დიანამ თვალები დაახამხამა მიამიტი ბავშვივით და გაიცინა.

– არა. ჯერ არ მომნატრებია.

– ჰმ, მთელი ერთი საათი ელაპარაკებოდი ტელეფონით... მე ვერ მომატყუებ. ისე, ცუდი ბიჭი არ არის.

– მე არ ვამბობ, რომ ცუდი ბიჭია. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ველაპარაკებოდი, არ უარვყოფ, მაგრამ იმიტომ, რომ იმას მოვენატრე. დღეს შეიძლება, შევხვდეთ კიდეც, ვნახოთ! შენ, ალბათ, ტომასსთან გინდა შეხვედრა.

– უარს არ ვიტყოდი. საინტერესო ვინმეა, მხიარული. მშვენივრად მამხიარულებს.

– და... ეგ საკმარისი გგონია, რომ სერიოზული ურთიერთობა დაიწყო ბიჭთან?

– სერიოზული ურთიერთობა ჯერ ადრეა, მაგრამ, ხომ არსებობს სიყვარული ერთი ნახვით.

დიანამ სკეპტიკურად აიჩეჩა მხრები.

– მე არ მჯერა ამ მითის. ერთი ნახვით შეიძლება, მოგეწონოს ადამიანი, ან ძალიან მოგეწონოს. მოგინდეს მასთან სიახლოვე, სექსიც... მაგრამ ნამდვილ სიყვარულს დრო სჭირდება. ერთგვარი გამოცდა...

– რა გამოცდა, რა დედაჩემივით ლაპარაკობ.

– მე არ ვიცი, რას ლაპარაკობს დედაშენი, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი ნახვით სიყვარული ვერაფრით იქნება მუდმივი, თუკი მას დრო არ გამოცდის.

– მაშინ, ძნელი ყოფილა სიყვარული. რამდენი ხანია საჭირო, რომ დარწმუნდე, მართლა გიყვარს თუ არა ადამიანი ან, პირიქით – უყვარხარ.

დიანამ მხრები აიჩეჩა.

– ეგ უკვე არ ვიცი. შეუძლებელია, წინასწარ განსაზღვრო.

ლინამ ტუჩი აიბზუა.

– მაშინ მე არავინ შემიყვარდება, არასდროს... იმიტომ რომ, ძალიან მალე მბეზრდებიან ჩემი თაყვანისმცემლები.



– მაგას გეუბნები, სწორედ... ესე იგი, ჯერ არ მოსულა ის სიყვარული შენთან, რომელიც დროს გაუძლებდა.

– ვაიმე, ასე რატომ მირთულებ ყველაფერს. დიანა, რა გჭირს?! მოეშვი ცოტა, ასეთი სერიოზულიც ნუ იქნები, თორემ მალე დაბერდები, – აკისკისდა ლინა და ორი თითით ყელი გამოიწია, – მეც წამიყვანე რა, სანდროსთან პაემანზე რომ წახვალ. მაინტერესებს, როგორ იქცევი მასთან.

– რა სისულელეა... ლინა, ეგ რაში გჭირდება? აბსოლუტურად ჩვეულებრივად ვიქცევი. არაფერი განსაკუთრებული.

– არა, რა... მაგრად მაინტერესებს. იქნებ შენგან რამე ვისწავლო, თორემ დედაჩემი მსაყვედურობს, სერიოზულობა გაკლიაო.

– სულაც არა. საკმარისად სერიოზული ხარ. საერთოდ არაფერში გჭირდება, ვინმეს მიბაძო, მით უმეტეს, მე.

– ტომასი? რომ გაიგებს, შენთან ერთად ვარ, ეგეც მოვა, სანდროს გამოჰყვება.

– თუ ჩემი რჩევა გინდა, მე ეგ ტომასი არ მომწონს. მეტისმეტად უპასუხისმგებლო და თავაშვებული მგონია.

– მერე რა, ცოლად კი არ ვაპირებ, გავყვე. ცოტას გავერთობი. შენც ხომ ერთობი სანდროსთან?

დიანამ ამოიოხრა.

– ჰო, ვერთობი...

– რა იყო, რა გაგახსენდა, რომ ამოიოხრე.

– არაფერი. ცოტას ვნერვიულობ დედაჩემზე. ანა ძალიან ემოციურია და წარმომიდგენია, რა დღეში აგდებს მამაჩემს. მარტო რატომ გაუშვი ბავშვიო. დევიდს არაფერი უთქვამს, მაგრამ, მე ხომ ვიცი.

– შენ ისე ლაპარაკობ, დიდხანს აღარ გაჩერდები ჩემთან, – ლინამ ისევ მოიწყინა. მერე რაღაც გაახსენდა, – ჰო, მართლა, მეც ველაპარაკე ჩემებს, და ამ შაბათკვირას აუცილებლად მოგვიწევს მათთან ჩასვლა, თორემ ორშაბათს თვითონ მოგვადგებიან.

– დარწმუნებული ვარ, მაგაშიც დედაჩემის ხელი ურევია. დევიდს დაარეკინებდა მამაშენთან. არიქა, უპატრონოდ არიან მიტოვებული ბავშვები და არაფერი დააშავონო.

– რა უნდა დავაშავოთ? – ვერ მიხვდა ლინა, – ჭურჭელს ხომ არ დავამტვრევთ. მე ამ ბინაში სულ მარტო ვარ ხოლმე.

– ჰოდა, ვიცი... ანას ახასიათებს ასეთი ნერვიულობები „აბსტრაქტულ სუბსტანციებზე“. მე უკვე შევეჩვიე ამას. კარგი. წავიდეთ შენებთან. მაინტერესებს კიდეც თქვენი პატარა კოშკი. დევიდი მეუბნებოდა, ძალიან ლამაზიაო.

– ჰო. ლამაზია, მაგრამ მე არ მიყვარს იქ ყოფნა. თავი რაინდების ეპოქაში მგონია. დედაჩემმა მარტო ერთი მისაღები და სამზარეულო გადააკეთა თანამედროვე სტილში, დანარჩენი ხელუხლებელი დატოვა. თვითონ, ეტყობა, მოსწონთ, მაგრამ მე დისკომფორტს მიქმნის. ჩემს საძინებელში ისეთი ძველი და დიდი საწოლი დგას, ვერ წარმოიდგენ. შენც ზუსტად ასეთივე საწოლში მოგიწევს ძილი.

– კარგია მე მიყვარს რაინდები და ძველებური ციხე-კოშკები... საკუთარი ტბაც გაქვთ, მგონი...

– ტბაც გვაქვს, ზედ ნავები და იხვებიც... პატარა ტყე და საგვარეულო სამლოცველოც. ერთი სიტყვით, სრული კომპლექტია. ცხენზეც დაგსვამთ, თუ გინდა... ხოლო, თუ მამაჩემს დაარწმუნებ, რომ საკუთარ თავს საფრთხეს არ შეუქმნი, შეიძლება, სანადიროდაც კი წაგიყვანოს

– მართლა? ახლა მართლა მომინდა შენებთან და... რაზე უნდა ვინადირო, იხვებზე?

– რა გიხარია? წარმოდგენა არ მაქვს, ახლა რომელ ცხოველზე ან ფრინველზეა ნადირობის სეზონი. მამაჩემი ამ წესებს მკაცრად იცავს და როგორც კი რომელიმე ნადირზე ნადირობის სეზონი იხსნება, ამ ამბავს დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს. იმდენი სტუმარი იყრის ხოლმე თავს ჩვენთან... უმეტესობას არც ვიცნობ და გამოვრბივარ. ერთხელ სპეციალური კაბაც კი შემიკერა ამ დღისთვის. რა თქმა უნდა, არ ჩამიცვამს.

– ტრადიციების მიმდევარი ყოფილა.

– უჰ, არ იცი შენ, როგორი ტრადიციულია, – ლინამ შეწუხებული გამომეტყველებით ამოიოხრა. აკვიატებული აქვს, ვისაც გინდა, იმას გაჰყევი ცოლად, მაგრამ აუცილებლად ჩვენს საგვარეულო სამლოცველოში იქორწინებო. წარმოგიდგენია?

– შენც რა გაღელვებს. ჯერ ხომ არ აპირებ გათხოვებას?

– ღმერთმა დამიფაროს. არც ირლანდიელს გავყვები. ყველა ირლანდიელი კაცი ერთი ჭკუისაა. სულაც არ მინდა, რომელიმემ თავის საგვარეულო ციხე-კოშკში გამომკეტოს. ვინმე ამერიკელს ვნახავ და გავყვები. ამერიკაში ნაკლებად მომწვდება მამაჩემი და მისი ტრადიციები.

***

დევიდი უხმაუროდ შევიდა ოთახში და ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლს.

– არ გძინავს? – გამოეხმაურა ანა, – რამე გაქვს სათქმელი?

– შემირიგდი? – გაუხარდა კაცს, – გაბრაზებული აღარ ხარ?

– რა აზრი აქვს გაბუტვას. პატარა ბავშვები ხომ არ ვართ? გაბრაზებული კი ისევ ვარ, თანაც, ძალიან გაბრაზებული. იქამდე არ დავმშვიდდები, სანამ დიანას არ ვნახავ და არ დაველაპარაკები.

– ველაპარაკე უკვე, – თქვა დევიდმა და ცოლს საწოლზე ჩამოუჯდა.

ანა წამოჯდა.

– რა? დეას ელაპარაკე? დაურეკე?

– არა. იმან დამირეკა, ეს წუთია. კარგად არის. ლინასთან ერთად კარგად ერთობა... ასე რომ, სულ ტყუილად ნერვიულობდი.

– რა გულუბრყვილო ხარ... ან ცდილობ, მე მომატყუო. რას გეტყოდა, აბა, გეგონა, მოგიყვებოდა, რითაა იქ დაკავებული? ვილის თუ დაურეკე?

– რა თქმა უნდა, – დევიდმა ცოლს თავზე გადაუსვა ხელი. ანამ ბრაზით შეხედა.

– მერე?

– შაბათს და კვირას მამულში წაიყვანს.

– ეგ საკმარისი გგონია?



– გეხვეწები, ნუ ართულებ. არაფერი ხდება ისეთი, შენ რომ ასე ინერვიულო.

– გული რომ საპირისპიროს მიგრძნობს?

– არა, ანა, არა... მართლა არაფერი ხდება... გადაგივლის ის ამბავი, რამაც ასე ძალიან აგაფორიაქა და მიხვდები, რომ სულ ტყუილად ინერვიულე.

– ნეტავი, ასე იყოს, – ამოიოხრა ანამ, – ორი ღამეა, კოშმარები მესიზმრება.

– რა კოშმარები, – მზრუნველად ჰკითხა კაცმა.

– იცი შენ, რა კოშმარებიც. გინდა, მოგიყვე ის, რის დავიწყებასაც ამდენი ხანია, ვცდილობ?!

– არა, არ მინდა.

– იცი, რომ შენ ეს კოშმარები გამიცოცხლე და ჩემს რეალობაში დააბრუნე? – ქალს ნელ-ნელა ხმა შეეცვალა და ტონიც უფრო პრეტენზიული გაუხდა.

– არა, ანა, არა, – ამოიოხრა დევიდმა. – ადგა და ფანჯარასთან მივიდა. საფეთქელთან ამობურცული, მფეთქავი ძარღვი გასცემდა მის მღელვარებას. ერთბაშად შემობრუნდა, – შაბათს ოპერაცია არ მაქვს. გინდა, ჩვენც სადმე წავიდეთ? დღესვე ავიღებ ბილეთებს.

– მინდა. თანახმა ვარ. აიღე ბილეთები.

კაცს თვალები გამოუცოცხლდა.

– ძალიან კარგი. მითხარი, საით გირჩევნია... თუმცა, ვიცი... რომელიმე პატარა და მყუდრო კუნძულზე... მზე... ზღვა... ორივეს დაგვამშვიდებს.

– არა. ვერ გამოიცანი. მეც ირლანდიაში მინდა წასვლა, ვილისთან და მარიასთან.

– არ ხუმრობ? ამას მართლა ამბობ? – შეცბა დევიდი. კი, მაგრამ ხომ შევთანხმდით, რომ ამას არ გავაკეთებდით?!

– არაფერზე არ შევთანხმებულვართ. ხომ დაგვპატიჟეს თავიანთ საგვარეულო ციხე-კოშკში რამდენჯერმე. ჰოდა, ახლა ჩავიდეთ. გაუხარდებათ.

– იმათ კი გაუხარდებათ, მაგრამ დეა გაბრაზდება.

– პირიქით, ეს მისთვის სიურპრიზი იქნება.

– უსიამოვნო სიურპრიზი, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დევიდმა.

– თუ უარს მეუბნები, მაშინ ვრჩები სახლში და ჯობია, ამ თემაზე აღარ დამელაპარაკო.

– კარგი, – ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ თქვა დევიდმა, – იყოს ისე, როგორც შენ გინდა. წავიდეთ ვილისთან და მარიასთან... მაგრამ, იქნებ დეასთვის წინასწარ გვეთქვა, რომ ჩავდივართ?

–არა. ხომ ვთქვი, მისთვის ეს სიურპრიზი იქნება-მეთქი და იყოს სიურპრიზი. პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ...

***

... ლენუკა ნებივრად გაიზმორა და გვერდით არხეინად მძინარე, ახროტინებულ ქმარს მსუბუქად წაჰკრა იდაყვი.

– შენ დღეს არსად გეჩქარება, რომ „გააბი“?

კაცმა დაიზმუვლა. გადმობრუნდა და ცოლი მოჭუტული თვალებით შეათვალიერა.

– რა გინდა, ლენუკა? დამაძინე, რა ცოტა ხანი კიდევ.

– კოტიკ, რა ჩაატარე წუხელ?! ზოგჯერ შეძლებ ხოლმე ჩემს გაოცებას. არ გინდა, გავიმეოროთ?

– რა უნდა გავიმეოროთ, ქალო... „დაბავკა“ მომინდომა ახლა. ისიამოვნე და შეირგე, გეყოფა ცოტა ხანი.

ლენუკამ ტუჩები აიბზუა.

– აუტანელი ვინმე ხარ, მაინც... რომ არ ჩამამწარო, არ შეგიძლია. თუ არსად გეჩქარება, უარს რატომ მეუბნები? სულაც შენი ინიციატივა არ იყო?

– რომ იყო, კიდევაც ისიამოვნე. ახლა კი შემეშვი. ამას აჯობებს, ადგე და რამე მაჭამო. აქაც მარიკა ხომ არ მომიმზადებს საუზმეს. მერე კი, იმ შენს განებივრებულ შვილს დაურეკე. გუშინ ნერვები მომიშალა.

– სანდრიკას ელაპარაკე? რაო ჩემმა სიხარულმა?

– ჰმ, შენმა სიხარულმა, აქ აღარ მომწონს და სასწრაფოდ ლონდონში გადამიყვანეთ სასწავლებლადო. უზრდელი და თავხედია. დაურეკე შენც და მოიყვანა როგორმე ჭკუაზე.

– რა ჭირს ჭკუაზე მოსაყვანი? – მხრები აიჩეჩა ლენუკამ, – მეც ვეთანხმები, რომ ლონდონში ჯობია სწავლაც და ცხოვრებაც.

– რა უნდა გელაპარაკოთ. დედა და შვილი ერთნაირები ხართ, – ამოიოხრა კაცმა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო იუსტიციას?**

**პასუხი:** უხვი ყვავილობისათვის მცენარე კაშკაშა სინათლეზე დადგით, ოღონდ, შუადღის მზეს მოარიდეთ. მისთვის მშვენიერია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ზამთრის მინიმალური ტემპერატურა კი – 15 გრადუსია. ზამთარში მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო აქტიური ზრდის პერიოდში, უფრო უხვად მორწყეთ. ნიადაგი შუა გაზაფხულიდან ზაფხულის მიწურულამდე ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. თუ ახლა გასხლავთ მცენარეს, მოკლე და გაბუჩქული გაიზრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, 1 მეტრზე მაღალიც გაიზარდოს და საყრდენი დასჭირდეს. გირჩევთ, იუსტიცია დასავლეთის ფანჯარაზე დადგათ.

**კითხვა: რა სიხშირით მოვრწყა ნეფროლეპისი?**

**პასუხი:** ნეფროლეპისის მოსარწყავად და ფოთლების დასანამად, რბილი წყალი გამოიყენეთ. ზაფხულში ამ ფოთლოვან მცენარეს ბევრი წყალი სჭირდება. ფესვების სიმშრალე სწრაფად გაუყავისფრებს ფოთლის წვეროებს. თბილ გარემოში ნეფროლეპისი ანუ გვიმრა ზამთარშიც იზრდება, ამიტომ, ხშირად შეამოწმეთ და, თუ საჭიროა, მორწყეთ. ზაფხულობით ნიადაგი რეგულარულად გაანოყიერეთ გაზავებული ბალანსირებული თხევადი სასუქით.

**კითხვა: რა სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო პახირა?**

**პასუხი:** პახირას სინათლე არ მოაკლოთ. იტანს მზესაც, ოღონდ, შუადღის მწველ მზეს მოარიდეთ. კარგია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ხოლო ზამთარში – მინიმუმ 14 გრადუსი. ამ მცენარეს რეგულარულად მოაჭერით წამოზრდილი წვეროები. ზრდის პერიოდში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაუნოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით და მცენარე სიჯანსაღეს შეინარჩუნებს. წყლის პახირას ბუნებრივი გარემოა დაჭაობებული ტერიტორია. ამის მიუხედავად, ძალიან კარგად აიტანს დროებით სიმშრალეს, თუ მზის გულზე არ დატოვებთ. ზაფხულში, აქტიური ზრდის დროს, უხვად მორწყეთ, ზამთარში კი – შედარებით იშვიათად.

**კითხვა: როგორ მოვუარო ჯუჯა პალმას ოთახის პირობებში?**

**პასუხი:** ეს პალმა ძალიან გამძლე მცენარეა. ის კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს. არ უყვარს ბევრი წყალი, მაგრამ ზაფხულში რეგულარულად მორწყეთ. ზამთარში კი, პალმა ზრდას წყვეტს და მხოლოდ მაშინ დაუსხით წყალი, როცა მიწა გამოშრება. თუ ეს მცენარე სიმშრალეშია, რამდენიმე გრადუს ყინვასაც აიტანს.

**კითხვა: რა სიხშირით უნდა მოვრწყათ ციპერუსი?**

**პასუხი:** ამ მცენარეს ფესვები მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. მოზრდილ მცენარეს ზაფხულში ბევრი წყალი სჭირდება, ამიტომ ქოთანი წყლიან, ღრმა ჯამში ჩადგით, საიდანაც მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. მზეზე მყოფ მცენარეს მაღალი სინესტე სჭირდება, რათა ფოთლის წვეროები არ გაუხმეს.

**კითხვა: როგორ გავუხანგრძლივო ყვავილობა სპარსულ იას?**

**პასუხი:** დამჭკნარი ყვავილები რეგულარულად მოაშორეთ და ყვავილობის პერიოდი გაუხანგრძლივდება. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მეტი ტენი სჭირდება ამ მცენარეს. თუ ბინაში მშრალი ჰაერია, სპარსული იის ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით და ეცადეთ, ნათელი ადგილი შეურჩიოთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ფორმით ხდება ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომელიც ხორციელდება ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმების ფორმით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა მსჯავრდებულ პირს, რომლის მიმართ კანონიერ ძალაშია შესული გამამტყუნებელი განაჩენი და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, გადაუვადდეს სასჯელი და თუ ამგვარი რამ შესაძლებელია, რა გარემოებები უნდა დაედოს საფუძვლად სასჯელის გადავადებას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის შემდეგ – განჩინებით, შემდეგი საფუძვლების არსებობისას: მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე; მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისთვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენის გამოტანის შემდეგ მისი აღსრულება გადაავადოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს მსჯავრდებული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობა და შესაძლებელია თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, მსჯავრდებული გათავისუფლდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ პირს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, შეიძლება დაეკისროს ასევე მატერიალური პასუხისმგებლობა დაზარალებულის მიმართ, რაც გამოიხატება დაზარალებულის უფლებაში, მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და მოითხოვოს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც განაჩენის საფუძველზე სასამართლოს მიერ უპირობოდ კმაყოფილდება. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებით სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.

# რა დაუწერელი საგზაო ნიშნები უნდა იცოდეს ყველა მძღოლმა

*მძღოლების ენა საერთაშორისო ენაა, რომელიც ყველა ქვეყანაში კარგად ესმით. რა ნიშნებითა და ჟესტებით ეხმიანებიან მძღოლები ერთმანეთს, როგორ გამოხატავენ ემოციებს, უფრო სწორად, რა ჟესტებით ლაპარაკობენ, ამის შესახებ გვესაუბრება საავტომობილო ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი* **მევლუდ მელაძე:** ყველამ იცის, რომ მძღოლები ერთმანეთს სულ რაღაცას ანიშნებენ: ხან ფარებს აუნთებენ, ხან ხელს გაიქნევენ და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი მძღოლების ენაა, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და არ წერია არც ერთ წიგნში. პირველი, ყველასთვის იოლად მისახვედრია უკნიდან ფარების აციმციმება, რაც ნიშნავს იმას, რომ უკნიდან მოდის და უნდა გავატაროთ. თუ გვიახლოვდებიან და ჩვენ გვერდზე არ გადავდივართ, შესაძლოა, შუქფარები უფრო მეტად აანთონ და აациმციმონ. თუ მაინც არ გადავდივართ, მაშინ, გრძელ სიგნალს გვაძლევენ, რაც „გემრიელად“ შეგინებას ნიშნავს. თუ შემხვედრი ავტომობილი მოდის მაშინ, როცა გასწრებას ვახორციელებთ, ჩვენ უნდა ავაციმციმოთ ფარები, რომ მან გაითვალისწინოს – მის გზაზე ვართ გადასულები.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

ძალიან სახალისოა ნიშნები, რომლებიც აქვთ სატვირთო ავტომობილების მძღოლებს. როცა სატვირთო ავტომობილი ძალიან გრძელია, მას უჭირს მანევრირება. გასწრების მომენტში ის სიჩქარეს მკვეთრად ვერ დაკარგავს, რადგან, ხელმეორედ ასაკრებად ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ, წინა ავტომობილი ოდნავ დააგდებს სიჩქარეს და აცდის, სანამ გაასწრებენ. როცა უკანა ავტომობილი ხედავს, რომ მან უკვე დაასრულა გასწრება და იმხელა ადგილი დარჩა, რამდენიც სატვირთოს ეყოფა, მაშინ ფარებს უნთებს, რაც ნიშნავს: „გეყოფა ეს ადგილი, დაამთავრე გასწრება და გზაზე შემოდი“. ის ავტომობილი კი, რომელმაც გაასწრო, მადლობას უხდის შემდეგნაირად: ჯერ ერთ და მერე მეორე მხარეს ანთებს მაჭუტს. თუკი ერთ სატვირთოს აღმართში ასვლა უჭირს, ხოლო მეორე გვერდით ჩაუვლის, აუცილებლად დასცინებს და ხელს დაატრიალებს, უფრო სწორად, თითით ჰაერში წრეს შემოხაზავს – ეს ნიშნავს, რომ ერთმანეთს „ეკაიფებიან“.

**– უცხოეთში როგორ ხდება?**

– ბევრ ქვეყანაში იშვიათად გაიგონებ სიგნალს, მაგრამ, თურქეთში სიგნალებს გიჟებივით ხმარობენ, სულ ასიგნალებენ და, თან ისე აქვთ ათვისებული ეს ენა, რომ სიგნალებით ბიოგრაფიებსაც ყვებიან ***(იცინის).*** ასევეა, იტალიაშიც – ყველა სიგნალს თავისი მნიშვნელობა აქვს. ევროპის სხვა ქვეყნებში კი სიგნალი უზრდელობად ითვლება. როდესაც უსიგნალებ, ჰგონიათ, რომ შეურაცხყოფას აყენებ, ანუ, რაღაც შეეშალა და შენ მიანიშნებ. ჩვენთან კი, ვიღაცას გვერდით რომ ჩაუვლი, სიგნალით შეიძლება მიესალმო კიდეც. ჩვენთან სიგნალს ზოგჯერ დაზღვევის მიზნითაც იყენებენ, როდესაც შენს ზოლზე ჩქარა მიდიხარ, შეიძლება, ვიღაცამ გვერდითა ზოლიდან გზა ჩაგიჭრას. იცი, რომ საქართველოში ხარ და დაზღვევის მიზნით წინასწარ ასიგნალებ.

აქვე მინდა დავამატო, რა არის პროფესიონალთა საყვარელი მანევრი, რომელსაც ძალიან ცოტა თუ იგებს: როდესაც ვიღაცა შუა ზოლზე მიდის, თან, ძალიან მშვიდად, ჩვენ კი ამ დროს, ჩვენს ზოლში ვრჩებით, მაგრამ ძალიან ახლოს გავუვლით, ისე ახლოს, რომ, შესაძლოა, სარკეც შევახოთ. ამ დროს ის ინსტინქტურად გვერდზე იწყებს გადასვლას და, რამდენადაც ის გადადის, ჩვენც მივყვებით და ვზღუდავთ. ამას ზოგი იგებს, ზოგი – ვერა და იწყებენ სიგნალს, რომელიც ნიშნავს – „რას აკეთებ“. ასეთივე, უხეში ქმედება გვაქვს, როდესაც გზის სამივე ზოლზე ავტომობილები ერთნაირი სიჩქარით მიდიან, თან ისე, რომ ვერსად გაძვრები. წინ არავინაა, უკან „საცობი“ იქმნება. ამ დროს, რაღაც ხერხით, მათ ვასწრებთ, წინ ვუდგებით იმავე სიჩქარით და მკვეთრად ვამუხრუჭებთ. ოღონდ ისე, თუ ის რეაგირებას ვერ მოასწრებს, ჩვენ გავიქცეთ, რომ არ დაგვეჯახოს. უკან ყველა ამუხრუჭებს და იწყება პანიკა. ზოგი ხვდება, რა ვქენით და გვერდზე გადადის, ხოლო, თუ ტუტუცია და მართვის არანაირი კულტურა არ აქვს, მანქანით „ჩხუბს“ იწყებს.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: ზაფხულის ცხელ დღეებში სასურველია ძაღლს წყლის დოზა გავუზარდოთ თუ არ აქვს ამას მნიშვნელობა?**

**პასუხი:** აუცილებლად, უნდა გაუზარდოთ წყლის დოზა და ცხელ ამინდში მუდმივად შეუვსოთ წყლის ჭურჭელი. ეს უნდა გააკეთოთ, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ ძაღლი ეზოს პირობებში გყავთ და ცხელ ამინდში შენობაში არ იმყოფება.

**კითხვა: რა ასაკიდან უნდა მოვამზადოთ ძაღლი შოუსთვის?**

**პასუხი:** პირველივე თვეებიდან უნდა დავიწყოთ ძაღლის ჰენდლინგი, ანუ ძაღლის მომზადება რინგისთვის. შესაბამისად, ძაღლი როცა გამოფენაზე გაჰყავთ, მან უნდა აჩვენოს კბილები, ანუ უნდა დადგეს ნაბულში. ყველა ჯიშის ძაღლს ნაბულის თავისი სტილი აქვს, რომელიც თავისთავად სტანდარტშია მითითებული. კორექტირებას თუ გაუკეთებთ, მაგალითად, ფეხს გადმოუწევთ ოდნავ მარცხნივ ან პირიქით, უნდა გემორჩილებოდეთ, რადგან მსაჯს უნდა უჩვენო მისი ანატომია. ძაღლი რინგზე წრის შემოვლისას უნდა მოძრაობდეს პატრონთან ერთად და სხვა ძაღლებს არ აქცევდეს ყურადღებას. არ უნდა ჰქონდეს მიდრეკილება თამაშის, ჩხუბისკენ და ასე შემდეგ. ძაღლი აუცილებლად ყველანაირად მომზადებული უნდა იყოს და ეს ეტაპები გაიაროს, რომ გამოფენაზე მოხვდეს შესაფერის დონეზე. სამწუხაროდ, საქართველოს გამოფენების დონე არა მხოლოდ იმიტომ არ ვარგა, რომ დაფინანსებაა მწირი, არამედ იმიტომაც, რომ 99 პროცენტი პირდაპირ ჯაჭვიდანაა მოხსნილი და ისეა გამოფენაზე მიყვანილი. ამიტომაც არის აყალ-მაყალი, ყვირილი, რინგზე მოშარდვა და ასე შემდეგ.

**კითხვა: რატომ ხდება, რომ ზოგ შემთხვევაში, ერთი და იგივე ჯიშის ძაღლი სხვადასხვა ფასი ღირს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ხშირად ფასში სხვაობა საკმაოდ დიდია**

**პასუხი:** ფასიდან გამომდინარე, სუფთა სისხლის ძაღლებშიც არის განსხვავება ხარისხის მიხედვით, რაც მოყვარულისთვის ძნელი შესამჩნევია. ამიტომ, არ უნდა დაინანოთ ლეკვში თანხის გადახდა. საბოლოოდ, დაბალფასიანი ძაღლი ვერ გაიზრდება ისეთი, როგორიც წარმოგედგინათ. ფულის დაზოგვის მიზნით, მიიღებთ ჯიშის დაბალი ხარისხის წარმომადგენელს. მერე კი გულს აიცრუებთ. გაითვალისწინეთ, რომ ძაღლზე ეკონომიის გაკეთება, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება.

**კითხვა: თუ ცხოველი ცოფით არის დაავადებული, რამდენ ხანში ვლინდება ის?**

**პასუხი:** დაავადების სიმპტომები ვლინდება მას შემდეგ, რაც ვირუსი გავრცელდება მთელ ორგანიზმში. დაავადების კლინიკური სურათის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს მისი ფარული, ანუ ინკუბაციური პერიოდი. ცხოველი აღნიშნულ პერიოდშიც საშიშია. ხშირად ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 10-14 დღის განმავლობაში, ხოლო ადამიანში მისმა ხანგრძლივობამ შეიძლება, წლამდეც კი გასტანოს. მოხვდება რა ცოფის ვირუსი თავის ტვინში, იქიდან ისევ ნერვის გავლით ხვდება სანერწყვე ჯირკვალში, სადაც ხდება მისი აქტიური პროდუცირება და გამოყოფა ნერწყვთან ერთად. კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე 10 დღით ადრე შეიძლება, დაიწყოს დასნებოვნებულმა ცხოველმა ვირუსის გამოყოფა.



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# კაცობრიობის გადასარჩენად

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები" №29-31(710)

ზუსტად მიზანში მოვარტყი, რადგან შუბლშეჭმუხვნილმა ვარვარამ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

– ეს კლუბი დიდი არაფერია... აქ ვერას ხათრით დავდივარ.

– მაგრამ, როგორც ვიცი, მისი ფეხსაცმელი დიდი პოპულარობით სარგებლობს...

– დამიჯერეთ, არც ისე, – სიტყვა გამაწყვეტინა ვარვარა ანტონოვნამ, – დარწმუნებული ვარ, ახლა აქ შეკრებილი საზოგადოების წევრებიდან მხოლოდ ერთს ეცმევა მის სახელოსნოში შეკერილი ფეხსაცმელი და ის ერთი თავად ვერა ობრაზცოვაა.

მივხვდი, იმან უფრო გააცხარა ქალი, რომ ის, უბრალოდ, ვარვარა ანტონოვნა იყო და სხვა არაფერი. თუმცა, როცა ფეხზე დავხედე და თავში გაელვებული პირველივე ბანალური კომპლიმენტით დავაჯილდოვე, მაშინვე გამოუკეთდა გუნება.

– უნდა ვთქვა, რომ ამ ლამაზ ფეხს, არათუ ვერას სახელოსნოში შეკერილი ფეხსაცმელი, გალოშიც ვერ დააუშნოებს.

ამ ფრაზით მისი გული საბოლოოდ მოვიგე. ღიმილით მომაჩერდა და ცარიელი ჭიქა ჩემკენ მოაცურა.

– ეი, ბარმენ! ესპანური პორტვეინი დაუსხი ჩემს დამას! მე – იგივე! – ფრაზა „ჩემს დამას" ძალიან ეამა, თვალები უფრო მოწკურა და, რაც შეეძლო, კეკლუცად ჩაიღიმა.

– იმ ლონდონურ კლუბში კიდევ რას აკეთებთ ხოლმე? – მკითხა, როცა ბარმენმა პორტვეინი მოართვა.

– ეჰ, პრინცესა! – ისეთი მოწყენილი სახე მივიღე, რომ ვარვარას გამომეტყველება შეცვალა, – შენ არ იცი, როგორი მარტოსული ვარ... იმ კლუბშიც იმიტომ ჩავეწერე, რომ შავ მელანქოლიას არ მოვენელებინე იმ ნისლიან ქვეყანაში, სადაც ბუღუსი კარგ ამინდად ითვლება, ხოლო ჭექაქუხილიანი ავდარი – ჟუჟუნა წვიმად.

– ძნელი იქნება თქვენთვის ლონდონში მარტო ცხოვრება, არა? მეჩვენება, რომ სამხრეთული ტემპერამენტი გაქვთ, – უფრო იმიტომ მკითხა, რომ გაეგო, ლონდონში მყავდა ვინმე თუ არა, რადგან სიტყვა „მარტო" განსაკუთრებული ხაზგასმით გარმოთქვა.

– ჰო, ასეა. როგორც ნასტენკამ მითხრა, არც რუსს ვგავარ და არც – ინგლისელს... თუმცა, რუსს არც შენ ჰგავხარ, – აღარც კი მახსოვს, როდის გადავედი შენობით ფორმაზე, ალბათ თავიდანვე, რადგან, როგორც შევამჩნიე, ეს საერთოდ არ სწყინდა ჩემს ახლად გაცნობილ „ჩიტს".

– როგორ მიხვდი? მამა მყავდა ჩეჩენი. დედამ მითხრა, თვალები მისი გამოგყვაო.

– როგორ, მამა არ გინახავს?! – საუბარი სპეციალურად წარვმართე მის ირგვლივ, რადგან არ მინდოდა, ჩემი წარმოშობის შესახებ კიდევ რამე ეკითხა.

– არ მინახავს... მე მოკლევადიანი საგასტროლო რომანის „შედეგი" ვარ.

მართლა გამიკვირდა ასეთი გულწრფელობა. ალბათ, ეს შემამჩნია კიდეც და განაგრძო:

– დედა ძველი რუსული სიმღერების გუნდის სოლისტი იყო. გროზნოში ერთკვირიან გასტროლზე იყვნენ – კონცერტებს მართავდნენ. მამაჩემი კი იქაურ სასტუმროში გაუცნია... მხოლოდ სახელი ვიცი მისი – ილჰამი! ანტონი ჩემს მამინაცვალს ერქვა, მის გვარს ვატარებ.

ვერას იდუმალების ნასახიც არ ჰქონდა, ისეთი გულწრფელი იყო... მიუხედავად ამისა, რაღაცით მაინც მიმიზიდა და ის რაღაცა, ალბათ, ბრჭყვიალა კაბაში გამოკვართული უბრალოება იყო. ამიტომ, ხელზე ხელი ნაზად მოვუჭირე, თითქოს თანაგრძნობის გამოხატვა მინდოდა. ის მიხვდა, რომ გულწრფელობისთვის დაიმსახურა ეს ჟესტი და გამიღიმა.

– ნასტია როგორ გაიცანით? – მივხვდი, საკუთარი აღიარების საპირწონედ, ჩემგანაც გულწრფელობა მოითხოვა.

– ნასტია – ინტერნეტით... როცა კარნავალის ქუჩის ბარებში უაზროდ ჯდომა ან სამეფო პარკებში უმიზნო ხეტიალი ყელში ამოგივა... ლონდონურ ბინაში მარტო ზიხარ და უზარმაზარი კათხით ლუდს მხოლოდ იმიტომ შეექცევი, რომ სწორედ ასე იქცევა იქაურ მცხოვრებთა 99 პროცენტი, ათას სისულელეს ჩაიდენ. კერძოდ, ტელევიზორში ფეხბურთის ყურებით გაირთობ თავს, ხან კი ინტერნეტით ისარგებლებ, რომ ვინმესთან საუბარს გადააყოლო ერთფეროვნებით გაწვრილებული გული.

– აქ ნასტიას გამო ჩამოხვედით? – ოდნავი უსიამოვნება ამოვიკითხე მის ხმაში.

– ნაწილობრივ. ნასტია ჩემი აქ ჩამოსვლის გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის მხოლოდ მცირე პროცენტს იკავებს, – ისეთი რახარუხი ავუტეხე სიტყვებს, რომ ვარვარას ორი წუთი მაინც დასჭირდა, გარკვეულიყო და შემდეგი კითხვა მიეყოლებინა:



– დიდ პროცენტს რა იკავებს?

– ის, რომ რუსეთი ჩემი წინაპრების სამშობლოა და მინდოდა, მისი გული მენახა.

– მერე კმაყოფილი ხართ?

– ნაწილობრივ! – ვთქვი და ამპარტავნულად გავიღიმე, როგორც იმ კაცმა, რომელსაც მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი.

ვარვარა მიმიხვდა:

– ალბათ, ბევრ ქვეყანაში გიმოგზაურიათ?

– დიახ, – ისეთი თავდაჯერებით ვუპასუხე, რომ არც შემრცხვენია... მე ხომ კეთილშობილური მიზანი მამოძრავებდა – ბოროტებას ვებრძოდი და ამის გამო ტყუილი თუ არა, ჰიპერბოლა მაინც, დასაშვებად მიმაჩნდა. ვარვარას თვალში უფრო ავმაღლდი და ამან ჩემს ძირითად სათქმელს მიმაახლოვა.

– თუმცა, ყველაფერი ისე მომბეზრდა, ცხოვრების აზრი დავკარგე...

– ღმერთის არ გწამთ? – მკითხა და თანაგრძნობით შემომხედა.

„ოჰო!" – წამოვაგე ლიფსიტა ანკესზე, რათა მერე უფრო დიდი ღლავი გამოვიჭირო", – გავიფიქრე და ისეთი სასოწარკვეთილი სახე მივიღე, მარლონ ბრანდოს შეშურდებოდა ჩემი სამსახიობო ნიჭი. თუმცა, ეს გრიმასა აბსოლუტურად ბუნებრივი გახდა, როცა დავინახე, როგორ წამოდგნენ ფეხზე ნასტია და ვერა ობრაზცოვა, – „ახლა ღმერთი არ გაგიწყრეთ და აქეთ არ წამოხვიდეთ!" – გავიფიქრე შიშით, მაგრამ მაშინვე გულზე მომეშვა, როცა გოგოებმა საპირფარეშოსკენ აიღეს გეზი.

– რა მკითხე? – ვითომ ვერ გავიგე ვარვარას შეკითხვა, – ამხელა პაუზას გამართლება ხომ უნდა ჰქონოდა.

– ღმერთის გწამთ-მეთქი, გკითხეთ.

– ღმერთის? როგორ გითხრა... ჩემი რწმენა უფრო სუსტია, ვიდრე სურვილი, რომ მწამდეს! არ მინდა, სამყაროს აღსასრული დავიჯერო. აი, ვინმე რომ ჩემს დახმარებას შეძლებდეს და ამ სიცარიელეს შემივსებდეს...

– მე! მე ვიცი ადამიანი, ვინც შეძლებს თვალი აგიხილოთ და თქვენს სიცოცხლეს აზრი შესძინოს.

– არა მგონია, ასეთი ვინმე არსებობდეს, – ყასიდად მოწყენილი სახე მივიღე.

– სულ ტყუილად! მან თავგამოდებული ათეისტებიც კი დაარწმუნა ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში. იცი, – ვარვარამ იდუმალი სახე მიიღო და ხმადაბლა გადმომილაპარაკა: – მას ციურ ძალებთან აქვს კავშირი და მათი სახელით საუბრობს. ის ღმერთს გვანახვებს არა ისეთად, როგორც მუსლიმანიზმი, ქრისტიანიზმი, ან თუნდაც იუდაიზმი... არამედ ისეთად, როგორიც სინამდვილეში არის.

– არც კი ვიცი, რა გითხრა! – კვლავ ეჭვიან-მოწყენილი გამომეტყველება მოვირგე, – ნუთუ ეს შესაძლებელია?!

– ეს უდავო ჭეშმარიტებაა და ამაში მალე თავად დარწმუნდებით.

– როგორ?

– პირადად გაგაცნობთ ჩვენს მოძღვარს, სახალხო მკურნალსა და „სახალხო ტაძრის" დამფუძნებელს, ვლად რიმსკის. ის დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ ამქვეყნად მარტონი არ ვართ!

– ნუთუ ვლად რიმსკის პირადად იცნობ? – გავიოცე და გავიფიქრე, რომ ყველაფერი თავისთავად აეწყო ჩემი მცირედი ძალისხმევის გარეშეც კი.

– მე მის „წითელ კარავში" ვირიცხებოდი, – სიამაყით წარმოთქვა და დააყოლა: – მასთან მიახლოება რთულია, მაგრამ მოგიხერხებთ.

– ბევრი რამ მსმენია მასზე, თუ შეძლებ, რომ პირადად გამაცნო, მადლიერი დაგრჩები... ნუთუ მართლა ასე ახლოს იცნობ?

– მე მასთან ისევე მისაუბრია, როგორც ახლა თქვენ გესაუბრებით, – ისეთი სიამაყით წარმოთქვა, რომ უნებურად გამახსენდა რუსული ლიტერატურიდან ცნობილი ფრაზა

მდაბიო დედაკაცისა: „Со мной Шанаев спал!“

– ვატყობ, მე და შენ ძალიან დავმეგობრდებით! – პათეტიკურად წარმოვთქვი და ხელი მკლავზე მოვუთათუნე, – შენთან ერთად ვლად რიმსკის ქადაგებებზე სიარული ნამდვილი ბედნიერება იქნება.

– სამწუხაროდ... ეს უკვე შეუძლებელია, – ამოიოხრა ვარვარამ.

– რატომ?

– იცით... ამას თავისი მიზეზი აქვს... – საუბარი მოულოდნელად აწკრიალებულმა მობილურმა ტელეფონმა გააწყვეტინა. მე კი სიბრაზით ავივსე იმ უსაქმურისადმი, რომელმაც ასე მშვენივრად აწყობილი საუბარი ჩამიშალა.

„დიახ... ვერას კლუბში ვარ... ჰო, „2X2-ში.“ – პასუხობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, – ეგორ, დამშვიდდი... ნახევარ საათში? კარგი, კარგი, მოვალ!“

– ჩემი მეგობარი რეკავდა. უნდა წავიდე, – წამოდგა ნირწამხდარი და, როცა ჩემს დაღრეჯილ სახეს შეხედა, გაეღიმა. ნუ წუხხარ. აი, ჩემი ტელეფონის ნომერი, – ჩანთიდან წითელი სავიზიტო ბარათი ამოიღო და წინ დამიდო, – დამირეკე და მამა ვლადთან შეხვედრას მოგიხერხებ!

– რა თქმა უნდა, დაგირეკავ. ნახვამდის, პრინცესა! – დავემშვიდობე და, როცა ის თვალს მიეფარა, ბარმენს გაღიზიანებულმა მივუგე:

– ეს ჭიქები აქედან მომაშორე და ფრანგული წითელი ღვინო დამისხი!

გასაბრაზებლად მართლაც მქონდა საქმე, ის არამკითხე ეგორი თუ ვიღაც რომ არა, დაწყებულ ფლირტს ბოლომდე მივიყვანდი და იმასაც შევიტყობდი, რატომ ვერ ესწრებოდა ვარვარა რიმსკის ქადაგებებს. ვგრძნობდი, რომ მისგან რაღაც მნიშვნელოვანი უნდა შემეტყო.

– მითხარი, ანასტასია, რიმსკის პირად მცველს – კაბანას, ეგორი ხომ არ ჰქვია? – ვკითხე ნასტიას, როცა საჭეს მივუჯექი და გასაღები გადავატრიალე.

– შენ რა, ესეც გაარკვიე? – ღიმილით გადმომხედა და მკლავზე შემეხო. მივხვდი, ამ ჟესტით ჩემი „ნიჭიერების“ გამო აღფრთოვანებას გამოხატავდა.

– ნასტენკა, ეს ყველაზე იოლი იყო... ის რომ არა, ვარვარასგან უფრო მეტ ინფორმაციას „გამოვწურავდი“.

– ალექსანდრ... როგორც საქმიანი პარტნიორი ძალიან მოხერხებული და მარჯვე ხარ, ხოლო როგორც „საყვარელი“ – უყურადღებო, მოღალატე და ლაჩელასი!

– მართლა ასე ფიქრობ?! – თვალები მოვწკურე და ნასტიას მუშტრის თვალით მივაჩერდი, – შეგიძლია, გამომცადო და დარწმუნდები, რომ ასე არ არის.

– წინ იყურე! – გაეცინა ნასტიას და დააყოლა: – ხომ არ დაგავიწყდა – მხოლოდ საქმე და საქმიანი ურთიერთობა!“

– ამას რა დამავიწყებს, ლამის ყოველი ორი წინადადების მერე მახსენებ!

– ახლა საით, შინ მიგიყვანო?

– არა, ბალშაია გრუზინსკაიას ქუჩით წადი, ზოოპარკთან ჩემი მეგობარი ცხოვრობს, ღამე იქ დავრჩები.

– კარგი, – ჩავილაპარაკე უკმაყოფილოდ. რატომღაც ეჭვი ჩამისახლდა და ქართულად, გულიანად შევიგინე, როცა სადოვაიაზე შევუხვიე და ხუთმწკრივიან საცობში გავეჩხირე.

***

ვარვარა ანტონოვნას, რა თქმა უნდა, მეორე დღესვე დავურეკე... მაგრამ, ჩემი ხმა გაიგონა თუ არა, გადაჭარბებული თავაზიანობით მომმართა: „დიახ! გასაგებია... დღეს მთელი დღე დაკავებული ვარ და გთხოვთ, მიღებაზე ხვალ, შუადღისთვის ჩამწეროთ!“ – რა თქმა უნდა, ვარვარა ანტონოვნა, ხვალისთვის „ჩაგწერთ“-მეთქი, – ავყევი ტყუილში და მივხვდი, რომ ქალბატონი ვარვარა კაბანისგან თავს მხოლოდ ამ დროისთვის დაიძვრენდა. ასეც მოხდა. ვარვარას მანქანით სპასალონთან დავხვდი. შენობიდან გამოვიდა, მიცნო, შორიდანვე გამიღიმა და გვერდითა კარი გამოაღო. რუსული გრილი გაზაფხულის კვალობაზე საკმაოდ შილიფად ეცვა: თხელი, ლილისფერი ტულის ბლუზა და ტანზე მოტმასნილი მოკლე ქვედატანი; თმა კვლავ მრგვლად დაეხვია კეფაზე. ახლა უფრო სრული მეჩვენა, ვიდრე პირველად – შავ კაბაში გამოწყობილი.

– საით მივდივართ? – ვკითხე პირველი, მოკლეწინადადებიანი კომპლიმენტის შემდეგ.

– ჩემს მეგობართან, მშვიდობის გამზირზე.

– ჩემი „შტურმანი“ იქნები, ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობ მოსკოვის ქუჩებს.

– დიახ, სულ დამავიწყდა, რომ მოსკოვში სულ ახლახან ჩამოხვედით.

პროსპექტიდან ქუჩისკენ ჩავუხვიე და კორპუს უკანა ეზოდან მოვუარე. ვარვარამ მთხოვა, მის მეგობართან ავყოლოდი. რამის კითხვა ზედმეტად ჩავთვალე და ხმისამოუღებლად მივყევი არცთუ სუფთა სადარბაზოში.

მე-6 სართულზე ლიფტით ავედით. ვარვარამ უბრალო ხის კარზე დააკაკუნა და მალე, გაღებულ კარში ახალგაზრდა, თეთრთმიანი მამაკაცი გამოჩნდა. მობრძანდით, – კანის ფერთან შედარებით მოყვითალო კბილებში გამოსცრა და გვერდზე გაიწია.

– გაიცანი, ალექსანდრ ორლოვი... ეს კი ჩემი თანაკლასელი და მეგობარი – რომან აკოინიკოვი! – ერთმანეთს წარგვიდგინა ვარვარამ და რომან აკოინიკოვს უკან მიჰყვა.

ასე აღმოვჩნდი მინიმალისტური სტილით „გაწყობილ“ სადა, უსუფთაო მისაღებში, სადაც მხოლოდ ერთი დივანი, მაგიდა და ოთხი სკამი იდგა... ჰო, კიდევ ერთი, ძველებური, სერვანდს რომ ეძახდნენ – შემინული კარადა. შმორის სუნი, რომელიც სადარბაზოშივე ვიგრძენი, ბინაში უფრო შესამჩნევი იყო. ალბათ, ოთახს არასდროს ანიავებენმეთქი, გავიფიქრე და ფანჯარას გავხედე, რომელიც ახმაურებულ პროსპექტზე გადიოდა და რომელზეც დაუდევრად ჩამოეკონწიალებინათ რაღაც უსახურყვავილებიანი, ჩრჩილისგან შეჭმული ფარდა.

მე და ვარვარა, სადაც მასპინძელმა მიგვითითა, დივანზე, გვერდიგვერდ ჩამოვსხედით. რომა აკოინიკოვმა კი მაგიდასთან ისე მოიკალათა, ჩვენთვის რომ პირდაპირ ეყურებინა.

– რომა, გუშინ როგორც გითხარი, ალექსანდრს სურს, ჩვენი სულიერი მამა პირადად გაიცნოს, – წამოიწყო ვარვარამ და გვერდულად გადმომხედა.

– ვარა, ხომ იცი, რომ მამა ვლადთან შეხვედრა ყველას სურს...

– მე ყველაზე არ გესაუბრები... ეს ჩემი ნათესავია, – ვარვარა ოდნავ დაიბნა, – ჰო, თითქმის ნათესავია... თანაც, ლონდონიდან რუსეთში, წინაპრების სამშობლოში დაბრუნდა.

– ოდესმე მოგისმენიათ მამა ვლადის ქადაგება? – მომიბრუნდა რომა აკოინიკოვი.

– არა, მაგრამ... გამიგონია. ისიც ვიცი, რომ რუსეთი არ იცნობს მასზე აღმატებულ სულიერ წინამძღოლს, – ძლივს მოვუყარე ამ სიტყვებს თავი და გულში გავიფიქრე, კარგი იქნებოდა, წინასწარ მცოდნოდა, სად მივყავდი ვარვარა ანტონოვნას, რათა ყოველი სიტყვა ამეწონ-დამეწონა. ჩემი გამოაშკარავება ოპერაციის ჩაგდებას ნიშნავდა და ამ პათეტიკური ფრაზის წარმოთქმის შემდეგ, თავი ისე დავიჭირე, თითქოს ეჭვიც არ მეპარებოდა წარმოთქმული სიტყვების ჭეშმარიტებაში.

– ძალიან ცუდი, – ჩაფიქრებით წარმოთქვა რომამ და გამჭოლად შემომხედა, – თუ მოძღვრის მიერ წარმოთქმული ჭეშმარიტი სიტყვა არ მოგისმენიათ, მაშ, რამ ჩაგაგონათ მისი პირადად გაცნობა?

ამ კითხვას ნამდვილად არ ველოდი. დაბნევა არ შევიმჩნიე. გავიფიქრე, რომ ეს ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანი იყო, როცა აჩქარება საქმეს ღუპავს. ამიტომ, თავი ხელში ავიყვანე და, რაც შემეძლო, მშვიდად წარმოვთქვი:

– მართლაც, ვარვარა, მგონი, ძალიან აჩქარდი... რა საჩქაროა, პირადად ვნახო ეს ღირსეული ადამიანი მაშინ, როცა საშუალება მაქვს, დავესწრო მის ქადაგებას.

ეს გონიერი, ტაქტიკური უკუსვლა იყო. თავი რომ არ გამემჟღავნებინა, ჩემი აჩქარება ჩემს თანმხლებ ქალბატონს გადავაბრალე. თუმცა, ეს ბრალდება არც იყო – პირველად მან შემომთავაზა „სახალხო ტაძრის“ დამფუძნებელთან „აუდიენციის“ მოწყობა.

ვარვარამ უკმაყოფილოდ შეხედა რომა აკოინიკოვს და ოდნავ ბრაზით წარმოთქვა:


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.



– რომა, ალექსანდრს შევპირდი, რომ ვლად რიმსკის პირადად შევახვედრებდი, რადგან იმედი მქონდა, რომ...

– მიკვირს, ვარა, ჩემთან რომ ამ თხოვნით მოხვედი. შეგეძლო, მამა ვლადი პირადად გენახა და ამის შესახებ თვითონვე გეთხოვა...

– შენ ისევ შენებურად დაიწყე, რომა, – ვარვარა წამოწითლდა, შეყოვნდა და მალევე განაგრძო: – კარგად იცი, რომ მე მამა ვლადთან ველარ მივალ.

– ეგორ კაზაკოვი მთელ დროს მამა ვლადდთან ატარებს, თუ ალექსანდრი შენი ნათესავია, შეგეძლო, მისთვის მიგემართა.

– შეუმჩნეველი არ დამრჩენია, როგორი ზიზღით აენთო თვალები აკოინიკოვს, როცა ეგორ კაზაკოვი ახსენა. „ოჰო, როგორც ჩანს, ჩვენი თეთრთავა კაბანს არ სწყაობს... კარგია. იქნებ მომავალში ეს ფაქტი რამეში გამომადგეს", – გავიფიქრე და მივხვდი, რომ სწორედ დრო იყო, დამესრულებინა ორი წითელკარველის „პაექრობა".

– კარგი, რა საჭიროა კამათი, – წარმოვთქვი მშვიდად და მასპინძელს მონდომებული კაცივით ვკითხე: – სად და როდის შეიძლება, დავესწრო ვლად რიმსკის ქადაგებას?

– შაბათობით, დილის 10 საათზე... კალათბურთის ძველ დარბაზში, – აკოინიკოვი ფეხზე წამოდგა: – ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

მივხვდი, ჩაი მხოლოდ საბაბი იყო... რომას ჩვენი წასვლა ეჩქარებოდა. მის შემოთავაზებას, რა თქმა უნდა, თავაზიანი უარით ვუპასუხე და გამოსვლისას მხურვალედ ჩამოვართვი ხელი, თანაც, არ დამვიწყებია, რჩევისთვის მადლობაც გადამეხადა.

– ახლა შინ მიგიყვანო? – ვკითხე ჭრელთვალა ვარვარას, რომელიც გულმოსული ათვალიერებდა მოსკოვის ქუჩებს მანქანის გვერდითა შუშიდან.

– არა, მეგობართან უნდა შევიარო, აქვე ცხოვრობს... სულ სამი გაჩერებაა, – ჩაილაპარაკა გაბუტულივით, – რომამ იმედი გამიცრუა, ნამდვილი ხეპრესავით მოიქცა. არადა, როცა დავურეკე, უარი არ უთქვამს.

– არა უშავს, – გავუღიმე ნირწამხდარ ვარვარას, თუმცა არანაკლებ იმედგაცრუებული ვიყავი. მივხვდი, რომ რომამ ეს შეხვედრა ჩემს „დასაზვერად" გამოიყენა. ბოლომდე არავის ენდობიან და მან მცირე ინფორმაცია მაინც მოიპოვა ჩემ შესახებ, – ვფიქრობდი, – ახლა კი ჩემი ჯერია, მე უნდა შევიტყო მეტი წითელკარველებზე.

მანქანა პირველივე შემხვედრ კაფესთან შევაჩერე და ვარვარას ვუთხარი:

– ჩაიზე უარი იმიტომ ვთქვი, რომ შენთან ერთად ჭიქა ყავა დამელია... თუ კადნიერად მოგეჩვენება ჩემი თხოვნა, მაშინ ახლავე მიგიყვან შენს მეგობართან.

– არა, რატომ?! ყავა ახლა მეც არ მაწყენდა, – ისე სწრაფად მიპასუხა, მივხვდი, ეს რომ არ შემეთავაზებინა, ნაწყენიც დარჩებოდა.

10 წუთის შემდეგ მე და ვარვარა მრგვალ, მომცრო მაგიდას ვუსხედით და ცხელ კოლუმბიურ ყავას მივირთმევდით. ვარვარამ კატეგორიული უარი განმიცხადა მსუყე, ფრანგულ საკონდიტრო ნაწარმზე და მეც „დავმორჩილდი".

– იმ საყოველთაო კრებებსაც არ ესწრები, ვარვარა? – ვკითხე მოულოდნელად.

– სამწუხაროდ, „წითელი კარვიდან" წამოვედი და ველარც მოძღვრის საყოველთაო კრებებს ვესწრები.

შემეძლო მეკითხა, რატომ-მეთქი, მაგრამ ცოტა შორიდან მოვუარე:

– არა მგონია, ასე იმიტომ იქცეოდე, რომ სახალხო მოძღვრის ჭეშმარიტებაში ეჭვი გეპარებოდეს.

– ო... არა, რას ამბობთ?! ღმერთმა დამიფაროს! – ვარვარა გაჩუმდა და პაუზა იმდენ ხანს გაიწელა, ნერვი სიმივით დამეჭიმა.

– მაშინ, კარგი იქნებოდა, შაბათს ერთად წავსულიყავით...

– ეს შეუძლებელია, ალექსანდრ, – შემაწყვეტინა მწუხარე ტონით.

– კი მაგრამ, რატომ?! – ახლა პირდაპირი კითხვის დასმა აუცილებლობად მივიჩნიე.

– ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული, ამიტომაც გთხოვთ, ნუ ჩამეძიებით! – ისე მითხრა, მივხვდი, ანტონოვნა ისეთი გულახდილი სულაც არ იყო, როგორც მაშინ, საკუთარი წარმომავლობის ფამილარულ ისტორიას რომ მიყვებოდა. ინსტინქტურად მივხვდი, რომ საქმე იმაზე სერიოზულად იყო, ვიდრე აქამდე ვფიქრობდი და მეგონა. ამიტომ, დროებით უკან დახევა ვამჯობინე. ან კი რა მეჩქარებოდა? ვარვარა ანტონოვნას უკვე აშკარად ეტყობოდა, რომ ჩემთან ურთიერთობა ძალიანაც მოსწონდა... მე კი ყველაფერი წინ მქონდა. ამიტომ, ალტერნატიული გეგმა შევიმუშავე გონებაში და დიალოგი სხვა კუთხით წარვმართე.

– ვარვარა, არ გეჩვენება, რომ უკვე დროა, მიმართვის მხოლობით ფორმაზე გადახვიდე? თუ შეამჩნიე, მე დიდი ხანია, შენობით მოგმართავ და ეს ძალიან მომწონს.

– მართლა?! – ვარვარა კვლავ წამეკეკლუცა და სწრაფად დამთანხმდა: – კარგი, ალექსანდრ.

– ვარვარა, ვლად რიმსკის მრევლად ჩემი ქცევა შენი იდეა იყო... ცოტა არ იყოს, დავიბენი. მეგონა, როგორც სულ „ახალთახალ" წევრს, ან თუნდაც, დაინტერესებულ ადამიანს, გამესაუბრებოდი, ჭეშმარიტების გზაზე მის მოსაქცევად ძალას არ დაიშურებდი... შენ კი, თურმე კრებებზეც არ დადიხარ. „სახალხო ტაძარში" ნაცნობი ხომ უნდა მყავდეს, რომ თუნდაც ჩემი აზრი გავუზიარო... იქნებ ვინმე რიგითი წევრი მაინც გამაცნო, რომ კრებაზე პირველად მისულმა თავი მარტო და უხერხულად არ ვიგრძნო... ჰო, მგონი, ვილაც ეგორს ახსენებდი, – წარმოვთქვი და შევეცადე, გულუბრყვილო გამომეტყველება მიმეღო.

– ეგორი?! – სახე შეეცვალა ვარვარას.

– ჰო, მგონი, ასე მოიხსენიეთ... ან შეიძლება, სახელი მეშლება, – კვლავ მიამიტის როლი ვითამაშე.

– არა, არ გეშლება, მაგრამ... – ვარვარა დაიბნა და დააყოლა: – ჯობია, ეგორისგან თავი შორს დაიჭირო.

– ასე მგონია, მორწმუნე ადამიანზე კი არა, ვილაც მკვლელზე მეუბნები ამას. შიში არ მჩვევია, მაგრამ იქნებ არც ღირდეს, რომ მამა ვლადის ქადაგებებს დავესწრო... როგორ გგონია, ვარა? – ისე მივმართე, როგორც მისმა თანაკლასელმა და შევატყვე, რომ ეს შინაურული მიმართვა ესიამოვნა...

– არა, არა... ამას ნუ იფიქრებ! ჭეშმარიტებას ნუ განუდგები მცირე დაეჭვების გამო. კრებებს აუცილებლად უნდა დაესწრო და მოძღვრის პირველივე სიტყვით მიხვდები, რომ სწორად მოიქეცი... აი, ნახავ!

ოდნავ გავღიზიანდი. ეს ქალი ჯიუტად დუმდა და რაღაც მნიშვნელოვანს მიმალავდა, რომლის გაგება ახლა ძალიან მჭირდებოდა.

– ესე იგი, მომიწევს შეკრებაზე მარტოდმარტო მისვლა, – ჩავილაპარაკე უკმაყოფილოდ.

– ამაზე ნუ წუხხარ... ეს რიგითი ფართომასშტაბიანი ქადაგებაა, რომელზე დასწრებაც ყველა მსურველს შეუძლია.

– განა არსებობს დახურული შეკრებებიც?

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს შეკრებები მოძღვართან დაახლოებული პირებისთვის, „წითელი კარვის" წევრებისთვის, სახლების მეთაურებისა და რჩეულთათვის იმართება.

– „სახლების მეთაურები" რას ნიშნავს?

– საბედნიეროდ, „წითელ კარავს" შეუძლია, შეიძინოს სახლები, კოტეჯები, რომლებშიც შეიძლება, იცხოვრონ იმ ადამიანებმა, ვისაც გარეშე საზოგადოებასთან ურთიერთობა აღარ სურთ, ან საცხოვრებელი აღარ აქვთ, რადგან ოჯახის წევრებს საკუთარი რწმენის გამო დაუპირისპირდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სახლის თავკაცია რომა აკოინიკოვიც, რომელიც მთელ დღეებს, თუ არ ჩავთვლით იშვიათ გამონაკლის, ქალაქგარეთ, კომუნაში ატარებს.

– კომუნაში?! – სიტყვა მეცნობა. კი მაგრამ, ასეთი კომუნისტური ეტიმოლოგიის სახელი რატომ ჰქვია? – ჩავეძიე, რადგან მართლა გამიკვირდა.

ვარვარას გაეღიმა.

– კომუნისტებთან ჩვენს „ტაძარს" საერთო არაფერი აქვს. „კომუნას" იმ სახლებს უწოდებენ, სადაც ჩვენი წევრები ცხოვრობენ, ერთობლივად შრომობენ, ერთმანეთს გვერდში უდგანან და მიწასაც ამუშავებენ; არც ხელსაქმეს გაურბიან... მოკლედ, ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს. შედეგად, შეკრულ საზოგადოებას ვიღებთ, რომელზე დაყრდნობაც მოძღვარს შეუძლია.

– ვერაფერს იტყვი... გადასარევი იდეაა! – ვარვარამ, რა თქმა უნდა, ვერ შეამჩნია ჩემი მსუბუქი ირონია, რომელიც ამ სიტყვებს „ჩავუფინე", – მაგრამ მაინც, ეგ თქვენი „კომუნა" კომუნისტურ უტოპიურ იდეალს მაგონებს-მეთქი – უნდა მეთქვა, მაგრამ ენაზე სწრაფად ვიკბინე და ვარვარას, რაც შემეძლო, თბილად გავუღიმე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# გამოტეხის მეთოდი

## ერილ დირლი

ერლი მოუნგერმა წინასწარ იცოდა, რომ „ჩარლი-ფულის ტომარას“ მოკვლა მოუწევდა. ეს გარდაუვალი იყო. ჩარლი ტეიტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგროვებდა ფულს, არაფერში ხარჯავდა და პატარა ქალაქში ეს ამბავი ყველამ კარგად იცოდა. მეგობრობდა მხოლოდ ადგილობრივ შერიფთან – მსუქანა სტრატონთან. შერიფს ტვინის მაგივრადაც კი ქონი ჰქონდა. ძალიან მსუქან სამართალდამცველს იქაურები ირონიით უყურებდნენ, ჩარლი ტეიტმა კი მასთან რაღაც საერთო ნახა. თუმცა, ერლის ეს ამბავი ფეხებზე ეკიდა. მან გადაწყვიტა, გაეძარცვა „ფულის ტომარა“ და ახლა მის სახლთან, ბუჩქებთან იცდიდა, როდის გააცილებდა ის სტუმარს – შერიფს. ჩარლის ფული აღარაფერში სჭირდებოდა. სამოცდაათ წელს კარგა ხანია, გადააბიჯა; არც ცოლი ჰყავდა, არც შვილები. ერლი კი მხოლოდ ოცდაორი წლის იყო და ფულით ახალ, ნორმალურ ცხოვრებას დაიწყებდა დიდ ქალაქში... ლამაზ მეგობარსაც გაიჩენდა, მანქანასაც იყიდდა... როგორც იქნა, შერიფი ჩარლის



სახლიდან გამოვიდა, ავტომობილში ჩაჯდა და წავიდა. ერლის დრო აღარ დაუკარგავს, რევოლვერი მოიმარჯვა და კარზე დააკაკუნა.

– ვინ არის? – მოისმა შიგნიდან ჩარლი ტეიტის უკმაყოფილო ხმა.

– მისტერ ჩარლი, ერლი ვარ სუპერმარკეტიდან, ჩემმა ბოსმა რაღაც შეხვეული გამომატანა თქვენთან.

– რომ არაფერი შემიკვეთავს?

– არ ვიცი, სერ. ხვეულა საკმაოდ დიდია და მძიმე. კარს თუ გამიღებთ, მოგაწვდით და წავალ.

ჩარლიმ რაღაც ჩაიბუზუნა, მაგრამ კარი მაინც გააღო. როგორც კი საკეტმა გაიჩხაკუნა და ზღურბლზე ჩარლის სახე გამოჩნდა, ერლი მთელი ძალით მივარდა კარს და რევოლვერმომარჯვებული შევარდა ოთახში.

– რას აკეთებ? – გაუკვირდა ჩარლი ტეიტს, რომელსაც სახეზე შიშის კვალიც კი არ დასტყობია.

– ფულისთვის მოვედი. მომეცი ფული და არ მოგკლავ.

– ნუ სულელობ, შვილო, – წარბი შეიკრა ჩარლიმ. მას კიდევ არ სჯეროდა, რომ ერლის ხელში ნამდვილი პისტოლეტი ეჭირა.

– ჩარლი, არ მინდა შენი მოკვლა, მითხარი, სად არის ფული, ავიღებ და წავალ. გაითვალისწინე, მეტს აღარ გავიმეორებ! – იყვირა ჩარლიმ.

ჩარლიმ სინანულით გადააქნია თავი.

– მაგიდაშია. შიდა, საიდუმლო უჯრაში. შეცდომას უშვებ, შვილო, ცუდად დამთავრდება ეს ამბავი.

– შენი საქმე არ არის, ბებერო! – ერლიმ ჩახმახს თითი მიაჭირა და ტუჩები გაილოკა...

ყელიც კი გაუშრა მღელვარებისგან; მერე კონდახი შემართა და მოხუცს მარჯვენა ყურს ქვემოთ მთელი ძალით ჩაარტყა. ჩარლიმ დაიგმინა და იატაკზე გაიშხლართა. ერლი მისკენ დაიხარა – მოხუცი მკვდარი იყო. ისევ იგრძნო ყელში საშინელი სიმშრალე... შემობრუნდა და მაგიდაზე გახსნილი ვისკის ბოთლი დაინახა. ბევრი არ უფიქრია, ხელი სტაცა და რამდენიმე მოზრდილი ყლუპი მოსვა. უკეთესობა იგრძნო. მიცვალებულს ჯიბეები მოუქექა და პაწაწინა გასაღები უპოვა... ამდენი ფული არასდროს ენახა... მაგიდის შიდა უჯრა სავსე იყო აკურატულად შეკრული დოლარების დასტებით. ერლის სახე გაუბრწყინდა. ორივე ხელით იღებდა ფულის დასტებს და წინასწარ მომზადებულ ჩანთაში ყრიდა... პირი ისევ გაუშრა და ისევ გაიწოდა ხელი ვისკის ბოთლისკენ, თან ცდილობდა, მოხუცისკენ არ გაეხედა. უცებ სახლთან მოახლოებული მანქანის ხმა გაიგონა – იცნო შერიფის „პიკაპი“. ჩანთა მაგრად ჩაბღუჯა და უკანა კარისკენ გაიქცა... არ ახსოვს, რამდენ ხანს მირბოდა ბუჩქებში... მანქანა საკმაოდ მოშორებით ჰყავდა გაჩერებული. იქამდე აქოშინებულმა მიაღწია. ბოლოს გააცნობიერა, რომ საშიშროებამ ჩაიარა. იარაღის ტარი კარგად გაწმინდა და შორს, ბუჩქებისკენ ისროლა. ახლა შეეძლო, მაღაზიაში მშვიდად დაბრუნებულიყო. ჯორჯი, მაღაზიის მეპატრონე, ვიღაცას ელაპარაკებოდა... ერლიმ დაინახა, რომ ეს შერიფი იყო. შეეცადა, არაფერი შეემჩნია და დახლებზე პროდუქტის დალაგება-განაწილება დაიწყო. ჯორჯი შემობრუნდა, შერიფი კი პიკაპში ჩაჯდა და წავიდა...

– ერლი, გაიგე, რა მოხდა?! იმ ძუნწ ჩარლის თავი მოუწამლავს დარიშხანით – თაგვებს რომ წამლავენ, იმით. შერიფი იყო და კონვერტი მაჩვენა წერილით; ჩარლის გაუგზავნია მისთვის წინა საღამოს – სიცოცხლე მომბეზრდა და ხვალ, ალბათ, მკვდარს მნახავო... ვისკიში შეურევია დარიშხანი, წარმოგიდგენია?! ნეტავი, ასეთი საშინელი სიკვდილი რამ გადააწყვეტინა?! თაგვიც კი მეცოდება ასეთი ტანჯვით სიკვდილისთვის, – ჯორჯმა გაიცინა. ერლის კი მთელი სხეული გაეყინა – აი, თურმე, რატომ ეუბნებოდა მოხუცი, დაფიქრდი, იქნებ არ ღირდეს ამის გაკეთებაო...

თურმე, ისედაც კვდებოდა... ერთბაშად მუცელში მწვავე ტკივილი იგრძნო, რომელმაც მალევე გაუარა, მაგრამ ეს საქმეს ველარ უშველიდა.

– ჯორჯ, მე უნდა წავიდე..

– რა მოხდა?

– არაფერი, უბრალოდ, წელან ძეხვი შევჭამე და, მგონი, ძველი იყო. შენ კიდევ ასეთ საშინელებას ყვები. ექიმთან წავალ და კუჭს ამოვარეცხინებ...

ჯორჯმა თანაგრძნობით დაუქნია თავი და უკვე წასულს მიაძახა:

ხომ იცი, ექიმი სტეიტონი გაემგზავრა და ექიმ კირკთან მოგიწევს მისვლა!

ერლის შუბლზე ცივი ოფლი ასხამდა. სანამ ექიმის სახლთან მივიდა, სამჯერ მაინც იგრძნო მუცელში ტკივილი. ექიმმა კუჭი გამოურეცხა, რაღაც ტაბლეტები მისცა და მესამე დღისთვის დაიბარა, ყოველი შემთხვევისთვის... ერლი ექიმისგან დამშვიდებული გამოვიდა – სიკვდილის შიში უკვე აღარ ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ახალი განსაცდელი ელოდა – რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შერიფი ელოდებოდა ორ თანაშემწესთან ერთად...

– საღამო მშვიდობისა, ერლი... ახალი ამბავი უკვე გაიგე?

– ჰო, ჩარლის თავი მოუწამლავს. ჯორჯმა მითხრა.

შერიფმა გაიცინა:

– არა, მას თავი არ მოუწამლავს, ვიღაცამ მოკლა... სად დამალე ფული, ერლი? მოხუცი ხომ შენ მოკალი?

– მე?! რას ამბობ, შერიფო, მე რა მინდოდა ჩარლისთან? – შეიცხადა ერლიმ.

– გაჩუმდი! ექიმთან კუჭის ამოსარეცხად ხომ შენ იყავი?! ის ვისკიანი ბოთლი მაგიდაზე ჩემთვის იყო – ჩარლიმ მე გამიხსნა, თორემ, თვითონ საერთოდ არ სვამდა. მასთან ვიყავი, მერე ისევ მივბრუნდი და უკვე გარდაცვლილი ვნახე, ვისკისაც გვარიანად აკლდა... მაშინ მოვიფიქრე ვერსია დარიშხანის შესახებ და დაველოდე, ვინ გაებმებოდა დაგებულ მახეში... მართალი გითხრა, არ მეგონა, ასე მალე თუ გამიმართლებდა. ფული სად გაქვს, ამას უკვე განყოფილებაში გათქმევინებ... ხელებზე ბორკილები დაადე, სტივ! – მიუბრუნდა თანაშემწეს.

– ჰო, მაგრამ, მე მართლა ვიგრძენი ტკივილი მუცელში! – იყვირა ერლიმ.

– იმიტომ, რომ საკუთარი თავი დაარწმუნე, ვისკიში დარიშხანი იყოო. თუ, შენ ფსიქოლოგიაზე არაფერი გსმენია, ერლი?!

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28-31(710)**

– რა მეთოდი?

– გამომძიებლის ოსტატობა, თუ გინდა – ეშმაკობა. ისეთი ფანდია მოსაფიქრებელი და ისეთი მახე უნდა დავუგოთ რუბენ ჩოჩიანს, რომ გაებას და უკან დასახევი გზა მოეჭრას. საერთო სურათიდან, იცი, რა გამოდის?

– რა?

– რა და, თუკი ეს ფანტომი მართლაც არსებობს, ის საკუთარ კვალს შლის, პარალელურად კი გამოძიების ცრუ კვალზე გაშვებას ცდილობს. მან რუბენ ჩოჩიანი მოკლა, რომელმაც, ჩემი აზრით, იცოდა ფანტომის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. მოკლა ვიტალი ტარკილიც, გვამი გადამალა და, შეეცადა, გამოძიება ცრუ კვალზე გაეშვა, მაგრამ, არ გამოუვიდა. არ გამორიცხავ, რომ ტარკილიც სერგის ტაბელური „მაკაროვიდან" იყოს მოკლული და, თუ ეს ასეა, მაშინ ჩემი ვერსია უფრო მეტად დამაჯერებელი გახდება.

– პრინციპში, მართალი ხარ. მაგრამ, ტიტე კალანდია რისთვისღა მოკლა?

– აი, ტიტე კალანდია კი ამ ჯაჭვში, სავარაუდოდ, შემთხვევით, ბედისწერის წყალობით მოხვდა. თუკი რუბენ ჩოჩიანისა და ვიტალი ტარკილის მკვლელობები ფანტომს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი, ტიტე მან დაუგეგმავად მოკლა.

– მაინც, რას ფიქრობ, რატომ უნდა მოეკლა მას ტიტე?

– ხომ გახსოვს, ის საცოდავი ცოცხალი და სხარტი გონების ბიჭი იყო?

– მაგას რა დამავიწყებს.

– თანაც, იურიდიულზე სწავლობდა, მილიციაში მუშაობდა და, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ჩვენს საქმეში გარკვეული ცოდნა და გამოცდილება გააჩნდა. ჰოდა, იმ საწყალმა, შეიძლება, რაღაც მნიშვნელოვანი აღმოაჩინა ტარკილის მკვლელობასთან დაკავშირებით, ან, უბრალოდ, რაღაცაზე ეჭვი აიღო და, თავისდა საუბედუროდ, ეს ყველაფერი იმ ფანტომს გაანდო, ფანტომმა კი მოიშორა. რას იტყვი?

– რა უნდა ვთქვა, მერაბ, – ხელები გაშალა პესკასელმა, – შენ ისეთი კუთხით შემოაბრუნე ეს საქმე, რომ გასაკვირი არაფერია.

– ბოდიშს გიხდი, რომ მითითებასავით გამომდის, მაგრამ, იქნებ, შენს ბიჭებს დაადგენინო, სად იმყოფებოდა ტიტე კალანდია მას მერე, რაც მილიციის შენობიდან გავიდა, ანუ, საღამოს ათი საათის შემდეგ? ჩემი ვარაუდით, ის მკვლელს შეხვდა და ისინი ერთად გაემართნენ მიტოვებული საკონსერვო ქარხნისკენ, იქ კი ტიტე მოკლეს. გამორიცხული არაა, რომ ვინმემ დაინახა ტიტე და მკვლელი ერთად. ერთი სიტყვით, ეს მიმართულებაც შესამოწმებელია.

– რას მებოდიშები, მერაბ, რა მითითებები! ჩემს ბიჭებს უკვე დავავალე ეს.

– და, კიდევ ერთი: როგორც ვიცი, ტიტემ ორმოცდახუთი წუთი დაყო გაგრის მილიციის სამორიგეოში. რაღაც პერიოდი, შეიძლება, მარტოც კი იყო იქ და, არ გამოვრიცხავ, რომ იქიდან ვინმეს დაურეკა და ელაპარაკა.

– შენი აზრით, მკვლელს დაურეკა?

– არაა გამორიცხული, – დაუდასტურა მერაბმა, – იქნებ, „ატეესში" გაარკვიო, დროის იმ მონაკვეთში სად დარეკეს გაგრის მილიციიდან. ასეთ შემთხვევაში, მკვლელის ძებნა უფრო გაადვილდება.

– მდაა... მრავალუცნობიანი განტოლებაა, – თქვა პესკასელმა, – ბოლო-ბოლო, რუბენ ჩოჩიანი ხომ მაინც ჩვენს ხელთაა და, თუ შენი ვერსია სწორია და ვფიქრობ, რომ სწორია, მაშინ, მისგან გამოვბერტყავთ ყველაფერს. ერთი აზრი მომივიდა თავში, მერაბ.

– რა აზრი?

– რუბენ ჩოჩიანის საქმეს ხომ სამინისტრო იძიებს?

– კი, კოტე სოხაძე.

– კოტე სოხაძეს ხომ არ დავურეკოთ. ყველაფერი მოვუყვეთ და ვთხოვოთ, რომ ის ნაძირალა ცოტა შეაჯანჯღაროს?

– გამორიცხულია, – თავი გააქნია მერაბმა, – სოხაძე ხმასაც კი არ უწევს დაკითხვის დროს. თანაც, იმ დღეს უკვე დავურეკე კოტეს და ჩოჩიანისთვის ვაკითხვინე, ვიტალი ტარკილს ხომ არ იცნობს-მეთქი.

– მერე, რა უპასუხა?



– პირველად მესმის ეს სახელიო. დიდი იმედი არ მქონდა, რომ ჩოჩიანი გამოძიებასთან ითანამშრომლებდა, მაგრამ, ვიფიქრე, იქნებ, ბიძაშვილის მკვლელობის ამბავს რომ შეიტყობს, რამე წამოსცდეს-მეთქი.

– გასაგებია, – თქვა პესკასელმა და საათს დახედა, – რამდენი დრო გასულა. შვიდი დაიწყო. წავედით, წავედით... ფატი, ალბათ, უკვე ნერვიულობს, სად დაიკარგნენო. გვეყოფა სამსახურის ამბები, დასვენების უფლება ჩვენც ხომ გვაქვს. ცოტა განვიმუხტოთ.

კაპიტანმა მანქანა ადგილიდან დაძრა და გზა განაგრძო.

ოციოდე წუთის შემდეგ პესკასელმა მანქანა მასიური ღობის წინ გააჩერა და მერაბს უთხრა:

– აი, მოვედით. შენ იჯექი. გადავალ და კარს გავაღებ.

კაპიტანი მანქანიდან გადავიდა. ამ დროს ეზოს კარი გაიღო და იქიდან დურბინდგადაკიდებული ლორიკ ბუთბა გამოვიდა. პესკასელმა და ბუთბამ ნახევარი წუთი ილაპარაკეს და ლორიკი წავიდა. კაპიტანი უკან რომ დაბრუნდა, მერაბმა ჰკითხა:

– ეგ კაცი ვინ იყო?

– ფატის დეიდაშვილის მაზლია. გიჟია, საცოდავი. ჩვენთან მოდის ხოლმე და ფატი საჭმელს აჭმევს, ფულსაც ვაძლევ ხოლმე. ერთი კვირაა, რაც საგიჟეთიდან გამოვიდა, – მიუგო მერაბს პესკასელმა, შემდეგ წამოწითლდა და დაამატა: – გაგონილი გექნება ძმები ბუთბები. დომარი კანონიერი ქურდი იყო და სამი წლის წინ თბილისში მოკლეს, დაური კი დღესაც ციხეში ზის, „კაციჭამიას" ეძახიან. სამარცხვინოა მათთან ნათესაობა, მაგრამ, რას იზამ. ასე მარგუნა ბედმა.

– დომარ ბუთბას არ ვიცნობდი, აი, დაურის დაჭერაში კი მონაწილეობა მაქვს მიღებული – ოთხი წლის წინ თბილისში, პლეხანოვზე ავიყვანეთ, – თქვა მერაბმა, – შენ კი, რა უნდა ქნა, რა შენი ბრალია, რომ შენი ცოლის დეიდაშვილის ქმარია?

– მაინც მეუხერხულება, – შეიშმუშნა პესკასელი, – რაც არ უნდა იყოს, ორგანოში ვმუშაობ. ის კი პირნავარდნილი ბანდიტია. სიმართლე გითხრა, არც ლორიკის სტუმრობაა სასურველი, მაგრამ, ეგ უბედური ფატის ძალიან ეცოდება და ცოლის ხათრით ვერაფერს ვამბობ.

– კარგი, კარგი. ხომ შევთანხმდით, განვიმუხტოთო, – გაუღიმა მერაბმა მასპინძელს, – წავედით, გამაცანი შენი ცოლშვილი.

კაპიტან ნესტორ პესკასელის ორსართულიანი სახლი საკმაოდ გემოვნებით იყო მოწყობილი და კარგი დიასახლისის ხელი ეტყობოდა. თავად დიასახლისიც, ფატი კილასონია პირმშვენიერი, ტანადი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა და მერაბს არ გაჰკვირვებია, რომ პესკასელის ცოლი ძალიან ჰგავდა თამარს.

მერაბი ხელზე ემთხვია ქალს, შემდეგ ჩვილსაც მიეფერა. კოხტად შეხვეული საჩუქარი კომოდზე დადო და სასტუმრო ოთახში შეჰყვა პესკასელის, სადაც სუფრა იყო გაშლილი.

კოლეგებმა ლაზათიანად მოილხინეს. ფატი წამით არ გაჩერებულა და არც სუფრასთან დამჯდარა. არც მერაბს მიუპატიჟებია დიასახლისი სუფრასთან, რადგან, კა-

რგად იცოდა იმ კუთხის ადათი – სტუმრის მხრიდან ასეთი საქციელი ოჯახის შეურაცხყოფად ითვლებოდა.

მოქეიფეები რომ აიშალნენ, ღამის პირველი საათი სრულდებოდა. პესკასელი საკმაოდ მთვრალი იყო. მან რის ვაი-ვაგლახით მოახერხა მერაბისთვის ეთქვა, ჩვენთან დარჩიო, მაგრამ, უარი რომ მიიღო, ოთახიდან გავიდა და აღარ გამოჩენილა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ოთახში სახეანთებული დიასახლისი შემოვიდა და მერაბს მორცხვად უთხრა:

– ბატონო მერაბ, საწოლი გაგიშალეთ და მოისვენეთ.

– არა, ფატი, უნდა წავიდე. ჩინებული სუფრა იყო და ყველაფრისთვის დიდი მადლობა. ნესტორი სად არის?

დიასახლისი კიდევ უფრო წამოწითლდა, თავი დახარა და სტუმარს მიუგო:

– ბოდიში, ბატონო მერაბ, ნესტორს ჩაეძინა და ვერასგზით ვერ გავაღვიძე. ეტყობა, ძალიან გადაიღალა სამსახურში და სასმელი იმიტომ მოერია.

– ეგ არაფერი, ჩემო ფატი, – მერაბი ხელზე ეამბორა დიასახლისს და დაამატა: – ხდება ხოლმე. კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას. ახლა კი უნდა დაგტოვოთ.

დიასახლისმა სტუმარი ჭიშკრამდე მიაცილა და სახლში შებრუნდა, მერაბი კი ფეხით გაუყვა უკაცრიელ ქუჩას. ხუთასიოდე მეტრი რომ გაიარა, მაიორს „მოსკვიჩი“ წამოეწია. მანქანიდან ორი ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა და ერთ-ერთმა მერაბს უთხრა:

– საით გაგიწევიათ ასე გვიან?

გამრეკელმა კოლეგები იცნო და მიუგო:

– გაგრაში.

– მერედა, ფეხით აპირებთ გაგრაში ჩასვლას? – ჰკითხა ახალგაზრდამ და მერაბს ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა.

– ალბათ, ტაქსით.

– ტაქსის სად ნახავ ასე გვიან? – ლაპარაკში ჩაერთო მეორე ახალგაზრდა, მერაბს შეუბღვირა და უთხრა: – საბუთები მაჩვენე!

მერაბმა მილიციის თანამშრომლის წითელი წიგნაკი გაუშალა კოლეგას და ღიმილით ჰკითხა:

– ეს გაკმაყოფილებთ?

ახალგაზრდა მილიციელი შეცბა, მაიორს გამოეჯგიმა და უთხრა:

– მაპატიეთ, ამხანაგო მაიორო, ვერ გიცანით! შემოვლაზე ვართ და, რომ დაგინახეთ, საეჭვოდ მოგვეჩვენა.

– ჩუმად, ბიჭო, – მეგრულად უთხრა პირველმა მილიციელმა მეორეს, შემდეგ კი მერაბს მიუბრუნდა:

– დაბრძანდით, ბატონო მაიორო, ჩვენ მიგიყვანთ.

– მერე შემოვლა? – ღიმილით ჰკითხა მერაბმა.

– შემოვლას ტრასაზე ვატარებთ. ასე რომ, დაბრძანდით. მაინც გაგრაში უნდა წავიდეთ და ჩვენ წაგიყვანთ.

მერაბი მძღოლის გვერდით მოკალათდა, ოპერები უკან დასხდნენ და „მოსკვიჩი“ ადგილიდან დაიძრა.




სოხუმი-გაგრის გზატკეცილი თითქმის ცარიელი იყო და მანქანები კანტიკუნტად მოძრაობდნენ. მძღოლმა სისწრაფეს მოუმატა. სოხუმიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, ეგრეთ წოდებულ „მწვანე კალონკასთან“ ასი კილომეტრ-საათი სიჩქარით მოძრავ „მოსკვიჩს“ შორეულმა შუქმა შეანათა. მძღოლმა ორჯერ ჩაუქრო და აუნთო შემხვედრს შუქფარები, რაც იმას ნიშნავდა, რომ საპირისპიროდ მოძრავ მანქანას შუქფარები უნდა ჩაექრო, მაგრამ, შემხვედრმაც იგივე გაიმეორა. შუქი კი უფრო ახლოვდებოდა და მძღოლს თვალებს სჭრიდა.

– რას შვრება ეს შობელძაღლი! – თქვა მძღოლმა, – ღირსი არაა ეს შოფერი, რომ მანქანიდან გადმოიღო და ფეხქვეშ გაიგდო?!

– შეხედე, რა ნაგლია? – წამოიძახა მეორე მილიციელმა და თავის მძღოლს დაუყვირა: – მარჯვნივ აიღე, ხუტა, რული, თორემ, შეგვასკდება ეს ოხერი!

– ფარები გამორთე! – იღრიალა მერაბმა. შემდეგ თავადვე გამორთო საჭეზე მიმაგრებული შუქფარების ჩამრთველ-გამომრთველი და თავადვე დაამუხრუჭა... „მოსკვიჩმა“ ნახევარწრე გააკეთა, ტრასაზე თხუთმეტიოდე მეტრით გასრიალდა და გამყოფ ხაზზე გაჩერდა და ამ დროს მარჯვნიდან უზარმაზარმა „კამაზმა“ ჩაუქროლა. მძღოლმა ხუტამ გაოცებით შეხედა მაიორს და ნაწყენი ტონით უთხრა:

– ეს რა ქენით, კინაღამ „კამაზმა“ გადაგვიარა!

– ფანარი გაქვთ? – ჰკითხა მერაბმა კოლეგას.

– გვაქვს, – გაბრაზებით მიუგო მაიორს მეორე მილიციელმა.

– მომეცით. მანქანა კი მარცხნივ გადააყენეთ, – უთხრა მერაბმა, ფანარი გამოართვა და მანქანიდან გადავიდა.

ოციოდე მეტრი რომ გაიარა, მერაბმა ფანარი ტრასისკენ მიმართა და საპირისპირო შუქიც გამოჩნდა. მაიორმა კიდევ ათი მეტრი გაიარა, შეჩერდა და კოლეგებს დაუძახა. მილიციელები რომ მოვიდნენ, უთხრა:

– აი, რა ანათებდა – ეს ჩვენი მანქანის შუქს ირეკლავდა.

– რა არის? – იკითხეს მილიციელებმა.

– ჩვეულებრივი სარკე, – მიუგო მერაბმა და რკინის სადგამზე მიუთითა, რომელზეც სარკე იყო მიმაგრებული, – გზიდან მოაშორეთ, ვინმე არ იმსხვერპლოს.

მილიციელებმა სწრაფად მოაშორეს ტრასიდან სარკე და პირველმა მილიციელმა თქვა:

– ვინ სულელმა ქნა ეს, მეტი საქმე არ ჰქონდა?

– მაიმუნებს რა გამოლევს ამქვეყნად, – დაასკვნა ხუტამ, – ხელები უნდა დაამტვრიო, ვინც ეს ქნა!

მეორე მილიციელი კი მერაბს მიუახლოვდა და მოუბოდიშა:

– მაპატიეთ, ამხანაგო მაიორო, ცოტა უხეშად გამომივიდა თქმა და ნუ მიწყენთ.

– არა უშავს, ხდება ხოლმე, – მერაბმა მხარზე ხელი მოუთათუნა კოლეგას, – წავედით. უკვე გვიანია.

მილიციელებმა მერაბი გაგრაში ჩაიყვანეს, გამოემშვიდობნენ და წავიდნენ.

– გმადლობთ, ბიჭებო, აბა, თქვენ იცით. ფრთხილად იარეთ, – უთხრა მერაბმა კოლეგებს და ფრთხილად შევიდა სახლში.

ღამის სამი საათი სრულდებოდა. ასთამურს არ ეძინა, მაგრამ, სტუმარი უხერხულობაში რომ არ ჩაეგდო, ხმა არ ამოუღია და მალევე ჩაეძინა. მერაბიც დაწვა, თუმცა, არ ეძინებოდა. მაიორი ტრასაზე დადებულ სარკეზე ფიქრობდა და ცდილობდა, გარკვეულიყო, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ბოლოს მასაც ჩაეძინა.

მაიორი კივილისა და გოდების ხმამ გამოაღვიძა. საწოლზე წამოჯდა და გაახსენდა, რომ ტიტე კალანდიას დასაფლავების დღე გათენდა. ოთახში მასპინძელი შემოვიდა და სტუმარს მიესალმა:

– დილა მშვიდობისა, მერაბ.

– დილა მშვიდობისა, ძია ასთამურ, – მერაბი ლოგინიდან წამოდგა.

– იწექი, იწექი. როგორ ხარ, შვილო?

– არა მიშავს, ძია ასთამურ. თქვენ როგორ ხართ?

– მეც არა მიშავს. რა ქენი, როგორი დრო გაატარე ნესტორთან?

– მშვენიერი სუფრა ჰქონდა და კარგად მოვილხინეთ. საუცხოო ცოლ-შვილი ჰყავს, – მიუგო მერაბმა.

– „პახმელიაზე“ ხომ არ ხარ? თუ გესიამოვნება, ცოტა ჭანჭურის არაყს დაგალე-

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგიის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

ვინებ, – შესთავაზა მერაბს ასთამურმა.

– არა. გმადლობთ. დილით ვერაფერს ვსვამ და ვჭამ, – თქვა მერაბმა და მასპინძელს ჰკითხა: – დღეს ტიტეს ასაფლავებენ ხომ?

– კი, დღეს ასაფლავებენ იმ საცოდავს. სამ საათზეა გასვენება. წამოხვალ?

– აუცილებლად, ძია ასთამურ. ცოტა გონს მოვალ და ჩავიცვამ.

– მაშ, კარგი. საჭმელი კარადაშია და თუ მოგინდა, მიირთვი, მე კი სატირალში გადავალ. ყველანი იქ არიან და უხერხულია, – თქვა ასთამურმა და წავიდა.

ცოტა ხანში მერაბიც ადგა, იბანავა, თავი მოიწესრიგა და ჩაიცვა. მას კვლავ წუხანდელი შემთხვევა წარმოუდგა თვალწინ, ჩაეცინა და ჩაილაპარაკა: „ჩვენი ბედი, რომ მძღოლის გვერდით ვიჯექი და მანქანა დროზე დავამუხრუჭე, თორემ, ან „კამაზი“ გადაგვივლიდა, ან კლდეზე გადავიჩეხებოდით“.

კარზე ფრთხილი დაკაკუნების ხმა გაისმა. მაიორმა კარი გამოაღო და ზღურბლზე მდგარ ნესტორ პესკასელს მოჰკრა თვალი. კაპიტანი მილიციის ფორმაში იყო გამოწყობილი და შეწუხებული სახე ჰქონდა. მერაბი რომ დაინახა, წამოწითლდა და უთხრა:

– შეიძლება?

– შემოდი, შემოდი, რას უდგახარ!

პესკასელი ოთახში შევიდა და მერაბს უთხრა:

– ბოდიში მერაბ, ძალიან ცუდად გამომივიდა და სირცხვილისგან არ ვიცი, სად წავიდე. მირჩევნია, მიწა გამისკდეს და ჩამიტანოს.

– რას ამბობ, რას მებოდიშები?

– რას და, აი, ახლაც ისეთი გაბრუებული ვარ, რომ სულის შებერვაც კი მეყოფა წასაქცევად. სასმელი ისე მომერია, რომ, დამეძინა და ვერ მოგხედე. ამ დილით რომ გავიღვიძე და ვერ გიპოვე, ფატი კინაღამ მოვკალი. ეს როგორ მომივიდა! ჩვენში სტუმარს ასე არ ექცევიან, მომეჭრა თავი. ჩემი ბრალია და დიდ ბოდიშს გიხდი. ეგ როგორ მომივიდა, რომ ნაქეიფარი კაცი ამსიშორეზე მარტო გამოგიშვი.

– რას ამბობ, პირიქით. მშვენიერი სუფრა იყო და ბრწყინვალე დრო გავატარე. ულამაზესი და უკეთილშობილესი ცოლ-შვილი გყავს. დიდი მადლობა პატივისცემისთვის. გადამეხადოს.

მერაბის სიტყვებზე პესკასელმა ამოისუნთქა და უთხრა:

– ესე იგი, არ მიბრაზდები?

– რას ამბობ! პირიქით, დიდი მადლობა. ფატის ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეცი.

– მე კი ის საცოდავი კინაღამ მოვკალი. იფიცა ყველაფერი – ვეხვეწე, დარჩი, მაგრამ, არ ქნაო.

– სწორი უთქვამს. ფატის რას ერჩოდი? არსად დარჩენა არ მიყვარს, მით უმეტეს, ძია ასთამური ინერვიულებდა. შევპირდი, სახლში მოვალ-მეთქი და, რომ არ მოვსულიყავი, არ გამოდიოდა. ასე რომ, ნურაფერზე დარდობ, ფატის კი ბოდიში მოუხადე.

– გაგრაში რით ჩამოხვედი?

– ჩვენმა კოლეგებმა ჩამომიყვანეს. შემოვლაზე იყვნენ და საბუთები შემიმოწმეს, მერე კი წამომიყვანეს.

– ვინ იყვნენ, ნეტავ?

– „მოსკვიჩით“ მოძრაობდნენ.

– ხუტა, ვალერა და სლავიკა. კარგი ბიჭები არიან, ცხონებული კალანდიას ტოლები, – თქვა პესკასელმა და მერაბს ჰკითხა: – დაკრძალვაზე ხომ იქნები?

– აუცილებლად.

– კარგი, მერაბ. წავედი. მაგის თქმა მინდოდა. ქელეხში შევხვდებით.

პესკასელი წავიდა. მერაბს კვლავ ტრასაზე დადებული სარკე გაახსენდა და ჩაფიქრდა. მაიორი ცდილობდა ამოეცნო, თუ რას ნიშნავდა წუხანდელი შემთხვევა. გამრეკელი არც შემთხვევითობას გამორიცხავდა, მაგრამ ინტუიცია კარნახობდა, რომ ეს იყო მის წინააღმდეგ დაგებული ჯოჯოხეთური მახე.

მერაბმა ოთახში გაიარ-გამოიარა და გაიფიქრა: „თუ სარკე მე დამიდეს, ესე იგი, ჩემი მოკვლა უნდოდათ. ჩემი მოკვლა, ალბათ, ბევრს სურს – იმ ბოროტმოქმედებს, ვინც დამიჭერია და უნდათ, რომ შური იძიონ ჩემზე. მაგრამ, მათ გამოვრიცხავ. მით უმეტეს, რომ ისინი ციხეში სხედან და ვერ მომწვდებიან. თანაც, ასეთ რამეს არც და ვერც მოიფიქრებენ. არა, ამ შემთხვევაში, ბევრად უფრო ჭკვიანი და ვერაგი მტერი მოქმედებს. ფანტომი რომ არსებობს, თითქმის დადასტურებული ფაქტია. თუ ამ ფანტომის გამოაშკარავებასთან ასე ახლოს ვარ, მაშინ სწორედ ის ცდილობს ჩემს მოშორებას. თუ ეს ასეა, მაშინ ფანტომი პესკასელია. იმიტომ, რომ გუშინ მას ჩემი ვერსია გავანდე. მან იცის, რომ ეს ვერსია მის გარდა არავისთვის მითქვამს. პესკასელი რუბენ ჩოჩიანს ვერ მიწვდება. ნესტორს ეშინია, რომ რუბენს ავალაპარაკებთ, მასზე, ანუ ფანტომზე გავალთ და ჩემი ასე სასწრაფოდ მოშორება, იმიტომ გადაწყვიტა. არ გამოვრიცხავ, რომ პესკასელმა სიმთვრალე გაითამაშა. თუ ჩემი ვერსია სწორია, თუ ფანტომი მართლა პესკასელია, მაშინ ნესტორი ამ სიჩქარემ გაყიდა და როგორმე რუბენ ჩოჩიანი უნდა ავალაპარაკოთ, რომ მან პესკასელზე გაგვიყვანოს“.



მერაბმა საათს დახედა. დილის თერთმეტი საათი სრულდებოდა. ტიტე კალანდიას დაკრძალვამდე ოთხი საათი რჩებოდა. მაიორი უკანა ეზოში ჩავიდა. ორღობეში გაძვრა და ვიწრო ქუჩებით გაგრის მთავარ ქუჩაზე ამოჰყო თავი. ოციოდე წუთის შემდეგ კი ქალაქის მთავარ ფოსტაში მივიდა და კოტე სოხაძეს სამსახურში დაურეკა. სოხაძე არ პასუხობდა. მერაბმა თავის განყოფილებასთან სცადა დაკავშირება, მაგრამ არც იქ იღებდნენ ყურმილს. მაიორმა ბოლოს რესპუბლიკის მთავარ მორიგეს დაურეკა.

– რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი მორიგე მაიორი გიგაური გისმენთ, – მოესმა მერაბს მკაცრი, ბოხი ხმა.

– გამარჯობა, პავლე. მერაბ გამრეკელი ვარ, – მიესალმა მაიორი მთავარ მორიგეს.

– გაგიმარჯოს, მერაბ. როგორ ხარ, სად დაიკარგე, ბიჭო?

– არა მიშავს. შენ როგორ ხარ?

– კარგად ვარ. სად ხარ, რატომ დაგვივიწყე?

– გაგრაში ვარ. მალე ჩამოვალ და გნახავ. პავლე, ვერც კოტე სოხაძეს ვუკავშირდები და არც ჩემები მპასუხობენ. ხომ მშვიდობაა, სად წავიდნენ, ხომ არ იცი?

– მინისტრი გაფართოებულ ოპერატიულ თათბირს ატარებს და ყველანი იქ არიან. „ჩეპე“ მოხდა ამ დილით.

– რა „ჩეპე“?

– რა და რუბენ ჩოჩიანი გაიქცა ციხიდან.

– კი მაგრამ, როგორ? – ელდა ეცა მერაბს, – ჩვენთან არ იჯდა, შინაგან ციხეში?

– კი. ჩვენთან იჯდა. დილის ცხრა საათზე მასთან კოტე სოხაძე მივიდა დაკითხვაზე, მაგრამ საკანი ცარიელი დახვდა. მორიგე სერჟანტს გამოუყვანია და ერთად გაქცეულან. „ნადზორის“ ფორმა გადაუცვამს ჩოჩიანს. „სმენაში“ კი ახალბედა ბიჭები იყვნენ, მოტყუვდნენ და გაატარეს. გენერალი გაგიჟებულია. მთელი პირადი შემადგენლობა ფეხზე დგას და ცდილობენ, ცხელ კვალზე დააკავონ. მოკლედ, საგიჟეა აქ.

– სერჟანტს რა ჰქვია?

– ვინც ჩოჩიანი გაიყვანა? – გასტონ მურღულია.

– კარგი პავლე, კარგად იყავი. კოტეს ახლა ჩემთვის არ ცხელა და მოგვიანებით დავურეკავ.

– მერაბ, მე ხომ ვერ დაგეხმარები? რა გინდოდა?

–არც არაფერი. უბრალოდ, მომენატრეთ და დავრეკე. ერთი სული მაქვს, სამსახურში როდის გამოვალ. კარგი, კარგი პავლე. ხაზს აღარ დავაკავებ. ჩამოვალ და გნახავ. ნახვამდის!

მაიორი მერაბ გამრეკელი გაოგნებული გამოვიდა მთავარი ფოსტის შენობიდან და ნელი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. მერაბმა სოხაძეს იმიტომ დაურეკა, რომ გაეფრთხილებინა – რუბენ ჩოჩიანი შინაგანი ციხიდან არსად გადაეყვანა, თან გაეგო, რამე სიახლე ხომ არ იყო გამოძიებაში. შინაგანი ციხე ერთადერთი საიმედო ადგილი იყო განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედის იზოლაციისთვის. სხვა დანარჩენი საპყრობილ-

ეებისგან განსხვავებით, იქ არც ინფორმაციის შეტანა და გამოტანა იყო შესაძლებელი, არც პატიმრის ლიკვიდაცია და არც იქიდან გაქცევა. თუმცა, რუბენ ჩოჩიანის გაქცევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და გამრეკელი დარწმუნდა, რომ ამ საქმეში ფანტომის ხელი ერია.

მერაბმა კიდევ უფრო შეანელა ნაბიჯი, გააბოლა და გაიფიქრა: „ნუთუ მართლა პესკასელია ფანტომი და ჩემი მკვლელობის მცდელობა და ჩოჩიანის გაქცევა მისი ნახელავია? უკანასკნელი მოვლენების ანალიზი ამაზე მიუთითებს. თუმცა, გამორიცხული არაფერია და შეიძლება, ვცდები კიდეც. ასეა თუ ისე, პესკასელთან ფრთხილად უნდა ვიყო. თუ მართლა ისაა ფანტომი, მაშინ მანამდე არ მოისვენებს, სანამ ყველა კვალს არ წაშლის და ღმერთმა უწყის, რა მოუვა თავში“.

გამრეკელმა საათს დახედა. პირველი სრულდებოდა და ნაბიჯს მოუჩქარა, რომ ტიტე კალანდიას დაკრძალვაზე ცოტა ადრე მისულიყო. ნახევარი საათის შემდეგ, მერაბი უკვე იმ ზღვა ხალხს შეუერთდა, რომლებიც კალანდიების კარ-მიდამოსთან იდგნენ და მოკლული მილიციელის გამოსვენებას ელოდნენ. ირგვლივ საშინელი ატმოსფერო სუფევდა. შავ კაბებში გამოწყობილი შავთავსაფრიანი ქალები საზარლად კიოდნენ და სახეს იხოკავდნენ. შაოსანი მამაკაცები კი გოდებდნენ და თავში ხელს იცემდნენ. რაც უფრო ახლოვდებოდა ტიტე კალანდიას გამოსვენების დრო, მგლოვიარე ხალხის მასა მით უფრო იზრდებოდა და ეს ტრაგედია მით უფრო მეტ მასშტაბებს იღებდა.

სამს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, სამძიმარზე აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სოხუმის მილიციის სამმართველოს ხელმძღვანელობის სრული შემადგენლობა მივიდა. მაღალჩინოსანი მილიციელები ფორმებში იყვნენ გამოწყობილები და მათ წინ მინისტრი მიუძღოდათ.

ტიტე კალანდია ექვსმა ფორმიანმა მილიციელმა გამოასვენა სახლიდან და ისეთი საზარელი წივილ-კივილი და გოდება ატყდა, რომ მერაბმა უნებლიეთ ხელები აიფარა ყურებზე. ხალხი ცხედარს გაჰყვა. მერაბიც ადგილიდან დაიძრა. ამ დროს მაიორმა მხარზე ხელის შეხება იგრძნო, შეტრიალდა და ნამტირალევ პესკასელს შეავლო თვალი. კაპიტანმა ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა, ღრმად ამოისუნთქა და გამრეკელს უთხრა:

– მერაბ, მინისტრი გელოდება მანქანაში. შენ დასაძახებლად გამომგზავნა. წამოდი, მიგიყვან, – კაპიტანმა მაიორს ხელკავი გამოსდო, მარცხნივ წაიყვანა, თან თქვა:

– უბედური ტიტე. რა ახალგაზრდა, ჭკვიანი და წესიერი ბიჭი იყო. მის მკვლელს ცოცხლად გავატყავებ, თუკი ის ნაძირალა ხელში ჩამივარდება.

მერაბი უხმოდ გაჰყვა პესკასელს, თან თავისთვის გაიფიქრა: „ეს თუ ამ ყველაფერს თამაშობს, მაშინ მისი გამოაშკარავება და მხილება ურთულესი საქმე იქნება. მაგრამ, ვაი, თუ ვცდები, მაშინ?..“

მინისტრის მანქანა ვიწრო ჩიხში იყო გაჩერებული. გენერალი უკანა სავარძელზე იჯდა. პესკასელი და მერაბი რომ მივიდნენ, კაპიტანმა მინისტრს უთხრა:

– კიდევ რამეს ხომ არ მიბრძანებთ, ამხანაგო გენერალო?

– არა. გმადლობთ. თავისუფალი ხართ, კაპიტანო, – მიუგო მინისტრმა პესკასელს და მერაბს მიუბრუნდა:

– გთხოვთ, მანქანაში დაბრძანდეთ, მაიორო.

გამრეკელი უხმოდ მოკალათდა მინისტრის გვერდით, გენერალმა კი ჰკითხა:

– გადატანილი ჭრილობის მერე თავს როგორ გრძნობთ, მაიორო?

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო, უკვე კარგად ვარ, – მიუგო მერაბმა.

– თქვენს პროფესიონალიზმზე უკვე მომახსენა სოხუმის მილიციის სამმართველოს უფროსმა და მინდა, პირადი მადლობა გამოგიცხადოთ. ყოჩაღ, მაიორო! ორი-სამი თქვენნაირი თანამშრომელი რომ მყავდეს, გაცილებით უკეთ ვიმუშავებდით. ვიტალი ტარკილის გვამის აღმოჩენა ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს... ერთი საათის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრმა დამირეკა თბილისიდან. თქვენი მოძებნა დამავალა და მითხრა, გადმოგეცა, რომ დღესვე გაემგზავროთ დედაქალაქში. ხვალ დილით მინისტრი გელოდებათ, თქვა გენერალმა.

– გასაგებია, ამხანაგო გენერალო. გმადლობთ, – წარმოთქვა მერაბმა. მინისტრმა კი გამრეკელს კონვერტი მისცა და უთხრა:

– აქ, სოჭი-თბილისის მატარებლის ბილეთია. შემადგენლობა ზუსტად საღამოს ათ საათზე შემოვა გაგრის რკინიგზის სადგურზე და არ დააგვიანოთ. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ, მაიორო. ნახვამდის. იმედია, კიდევ არაერთხელ შევხვდებით ერთმანეთს.

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო. შეხვედრამდე, – მიუგო მერაბმა მინისტრს. გენერლის გამოწვდილ ხელს მარჯვენა ხელი ჩამოართვა და „ვოლგიდან“ გადავიდა.

მინისტრი მანქანით გაემგზავრა სოხუმში. გამრეკელმა კი ნაბიჯს მოუჩქარა, რომ სასაფლაოზე მიმავალ ხალხს დასწეოდა. ასიოდე მეტრი რომ გაიარა, მერაბს პესკასელი მანქანით წამოეწია, გაუჩერა და უთხრა:

– ჩაჯექი. წაგიყვან.

მერაბი უხმოდ ჩაჯდა. კაპიტანმა კი მანქანა ადგილიდან დაძრა და გამრეკელს ჰკითხა:

– ხომ მშვიდობაა, მერაბ?

– ალბათ კი, – მიუგო მერაბმა.

– რატომ, ალბათ.

– შინაგან საქმეთა მინისტრმა სასწრაფოდ თბილისში გამომიძახა და ამ საღამოს მივემგზავრები.

– ეტყობა, რაღაც მოხდა, რადგან ასე სასწრაფოდ გიბარებს.



– როგორც ეტყობა, – მშრალად მიუგო მერაბმა.

პესკასელს მეტი არაფერი უკითხავს და არც მერაბს ამოუღია ხმა. მილიციის ოფიცრები უხმოდ შეუერთდნენ მგლოვიარე ხალხს და გაგრის სასაფლაოს აღმართს ფეხით აუყვნენ.

მერაბი აქეთ-იქით იყურებოდა და ზღვა ხალხში ასთამურს ეძებდა, რათა მასპინძლისთვის ეთქვა, რომ საღამოს თბილისში მიემგზავრებოდა.

გოლიათი მეტყევე განმარტოებით იდგა და იცრემლებოდა. მერაბი მასთან მივიდა და უთხრა:

– ძია ასთამურ, ამ საღამოს თბილისში მივემგზავრები.

– მოხდა რამე, შვილო?

– შინაგან საქმეთა მინისტრი სასწრაფოდ მიბარებს. დილით მასთან უნდა ვიყო და მატარებლის ბილეთიც გადმომცეს. ათ საათზე სოჭი-თბილისს მივყვები.

– ესე იგი თამარის დაბადების დღეზე ვერ მიხვალ.

– სამწუხაროდ, ვერა, – მიუგო მერაბმა, – ძია ასთამურ, თამარს ახლა ვერ დაველაპარაკები და სიმართლე გითხრათ, არც მინდა. იქნებ თქვენ აუხსნათ ყველაფერი და ჩემ მაგივრად მოუბოდიშოთ. არ ვიცი, რა უნდა მინისტრს და როგორც კი გავთავისუფლდები, მაშინვე დავბრუნდები უკან.

– შენ არ ინერვიულო. ყველაფერი კარგად იქნება. თამარს კი მე დაველაპარაკები, – უთხრა ასთამურმა მერაბს და ჰკითხა:

– ქელეხზე ცოტა ხნით მაინც არ დარჩები?

– არა რა, ძია ასთამურ. ამ ცხონებულს რომ დავასაფლავებთ, სახლში დავბრუნდები და ცოტას დავისვენებ. საღამოს ცხრაზე კი სადგურზე წავალ.

– მაგ დროისთვის მეც მოვალ და გაგაცილებ.

კალანდია რომ დაკრძალეს, მერაბი ასთამურის სახლში დაბრუნდა, ტახტზე წამოწვა და ჩაფიქრდა. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ლოგიკა ერთი მხრივ იმაზე მიუთითებდა, რომ ფანტომი პესკასელი იყო. მეორე მხრივ კი, მაიორი კაპიტნის გამართლებას ცდილობდა და თავისივე ვარაუდის გასაბათილებელ არგუმენტებს ეძებდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ გახდა ხრუშჩოვის ორეული თბილისელი სტუდენტი ცნობილი საბჭოთა აფერისტი, მეტსახელად „ნიკიტიჩა“



***თბილისელი თაღლითი პავლე გლუშკო, მეტსახელად „ნიკიტიჩა“, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მოღვაწეობდა და დიდი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებს შორის. მეტსახელი „ნიკიტიჩა“, მას საბჭოთა ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვთან აბსოლუტური მსგავსების გამო შეარქვეს და პირველი მისი მსხვილი თაღლითობაც ხრუშჩოვის სახელთანაა დაკავშირებული. დღევანდელ პუბლიკაციაში გთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს თაღლით „ნიკიტიჩას“ კრიმინალური ცხოვრებიდან.***

## უკანონო შვილი

1940 წელს დაბადებული პავლე გლუშკო პლეხანოვზე იზრდებოდა და როგორც ყველა თბილისელი ბიჭი, ადრეული ასაკიდანვე ეზიარა ქუჩის ხიბლს. სხვა თანატოლების მსგავსად, ის ჩხუბობდა კიდეც, მტკვარზე საბანაოდ იპარებოდა და, რა თქმა უნდა, ფეხბურთს თამაშობდა. პატარა პავლიკა, ისევე, როგორც ყველა მისი ასაკის ბიჭი, ბორის პაიჭაძის თამაშის სანახავად დადიოდა „დინამოს“ სტადიონზე. დღევანდელობისგან განსხვავებით, იმ პერიოდში, სტადიონზე დასასწრები ბილეთის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო და ბავშვებს სხვადასხვა ეშმაკობის მოფიქრება უწევდათ სტადიონზე შესაღწევად. ძირითადად, ისინი სტადიონის ღობეზე ძვრებოდნენ და ამგვარად იპარებოდნენ შიგნით. პავლიკას კი მხატვრობის ნიჭი გააჩნდა, მატჩის ბილეთს ხატავდა და აბსოლუტურად ლეგალურად შედიოდა სტადიონზე. მოგვიანებით, პალვე გლუშკომ ეს უნარი ბიზნესის წყაროდ აქცია. ის უკვე ათეულობით ბილეთს ხატავდა და ყიდდა. ამგვარად, მას ჯიბის ფული გაუჩნდა და საუკეთესო სამოსს ყიდულობდა, ძვირიან სიგარეტებს ეწეოდა. 1956 წელს 16 წლის პავლიკა მილიციამ დააკავა და ბილეთების ფალსიფიკაციაში ამხილა. თუმცა, არასრულწლოვნების გამო, მხოლოდ პირობითი სასჯელი აკმარეს. 1958 წელს პავლე გლუშკო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე მოეწყო. ის პირველი კურსიდანვე ჩაება სტუდენტურ თვითშემოქმედებაში და კომიკური როლების საუკეთესო შემსრულებელი გახდა. მთელ თავის დროს პავლიკა სტუდენტურ თეატრს უთმობდა და სწავლა მიაგდო. თუმცა, „ცნობილ კომიკოსს“ სამიანს არავინ ამადლიდა და კურსიდან კურსზე უპრობლემოდ გადაჰყავდათ. 1962 წელს, როდესაც პავლე გლუშკო მეოთხე კურსზე სწავლობდა, პოლიტეკონომიის ახალგაზრდა ლექტორი, ვინმე ჯუმბერ ხასია მას ჯინში ჩაუდგა და ნიშანს არ უწერდა. ხასიასთან არც პავლიკას კომიკოსობა ჭრიდა, არც კოლეგების თხოვნა და არც ფული. ერთი სიტყვით, გლუშკო გარიცხვის კანდიდატთა სიებში მოხვდა და სასწაული თუ უშველიდა. ერთ-ერთი რეპეტიციის შემდეგ, პავლეს პარტნიორმა, ვასო ჩიმაკაძემ მას უთხრა:

– პავლიკ, ერთი აზრი მომივიდა თავში და ეს თუ გადაგარჩენს გარიცხვისგან.

– აბა, მითხარი, რა აზრი მოგივიდა, – მიუგო ჩიმაკაძეს გლუშკომ.

– შენ ხომ მაგრად ჰგავხარ ნიკიტა ხრუშჩოვს.

– ჰო. რა, მერე?

– რა და, – ჩიმაკაძეს გაეცინა, – არ გეწყინოს, მაგრამ, მოდი, ვთქვათ, რომ ვითომ შენ მისი უკანონო შვილი ხარ. თითქოს ის შენ ფარულად გპატრონობს და აღარ გაგრიცხავენ.

– ხასიასთან მივიდე და ვუთხრა, ხრუშჩოვის ნაბიჭვარი ვარ-მეთქი? – თავი გააქნია გლუშკომ, – რაებს როშავ.

– ხასიასთან რა გინდა. რექტორს დავურეკავ და ვეტყვი. ის კი ხასიას ნიშანს დააწერინებს.

– ვასკა, შენ, მე მგონი, გამოშტერდი, – გაეცინა პავლიკას.

ვასო ჩიმაკაძის დედა საქართველოს „ცეკას“ პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის დამლაგებელი იყო და სანამ ვასილ პავლოვიჩი სამსახურში მივიდოდა, დამლაგებელი მის კაბინეტს აკრიალებდა ხოლმე. ვასოც ხშირად ხლებია დედამისს და დედა-შვილს უპრობლემოდ უშვებდნენ „ცეკას“ შენობაში.

გლუშკოს სიტყვებზე ვასოსაც გაეცინა და უთხრა:

– კარგად მომისმინე. ხვალ დილით რექტორს „ვეჩეთი“ (სამთავრობო ტელეფონი) „ცეკას“ პირველი მდივნის კაბინეტიდან მჟავანაძის ხმით დავურეკავ და ვეტყვი, რომ მოგხედოს. აღარ გახსოვს, ადრე რომ გიყვებოდი, მჟავანაძის პირად ტუალეტში მოვფსი-მეთქი?

– რომ არ გამოვიდეს? – დაეჭვდა გლუშკო.

– გამოვა. შენ მხოლოდ დამთანხმდი.

– თანახმა ვარ. მიდი.

## „ნიკიტიჩამ“ და ჩიმაკაძემ ფინალურ მატჩზე დასასწრები 5 ათასი ყალბი ბილეთი გაყიდეს და 250 ათასი მანეთი ჩაიჯიბეს

მეორე დღეს, ვასო ჩიმაკაძემ დილის ცხრის ნახევარზე ვასილ მჟავანაძის კაბინეტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ევგენი ხარაძეს „ვეჩეთი“ დაურეკა და მჟავანაძის ხმით უთხრა:

– გამარჯობა. მჟავანაძე გაწუხებს.

– გისმენთ, ვასილ პავლოვიჩ.

– ხასია გყავს შენ, პოლიტეკონომიის ლექტორი.

– დიახ, ვასილ პავლოვიჩ, ჯუმბერ ხასია.

– რა სჭირს მაგ კაცს, გაგიჟდა?

– რატომ, რაშია საქმე?

– პავლე გლუშკოს სამიანს ამადლის და უნივერსიტეტის მეოთხე კურსიდან რიცხვს? – ხმას აუწია „განრისხებულმა პირველმა მდივანმა“, – ვისი შვილია, თუ იცი, შენ? შეხედე და მიხვდები...

– ხრ... – წამოსცდა ხარაძეს, მაგრამ „მჟავანაძემ“ გააწყვეტინა:

– ჩუმად. ჰო, მაგისი. ხომ მიხვდი, ახლა?

– ყველაფერი გასაგებია, ვასილ პავლოვიჩ. ახლავე მოვაგვარებ ამ პრობლემას, – მიუგო ხარაძემ.

– უბრალოდ, შეახურე. სამსახურიდან ნუ გაუშვებ. უთხარი, რომ სტუდენტებს ნუ გაამწარებს. და, კიდევ ერთი, ამ საუბრის შესახებ დაივიწყე. მე შენთვის არაფერი მითხოვია. გასაგებია?!

– ყველაფერი რიგზე იქნება. ნახვამდის...

გლუშკოს პოლიტეკონომიაში ხუთიანი დაუწერეს და მეოთხე და მეხუთე კურსები ისე დახურა, ისე უპრობლემოდ აიღო ეკონომისტის დიპლომი, რომ პავლიკას ერთი სამიანიც არ გამოჰყოლია...

– „ნიკიტიჩ“, ხომ გითხარი, ყველაფერი მოგვარდება-მეთქი? – უთხრა ჩიმაკაძემ გლუშკოს, როდესაც მეგობრები იმავე დღეს რეპეტიციაზე შეხვდნენ ერთმანეთს.

## თბილისური ტანდემი

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, „ნიკიტიჩას“ და ჩიმაკაძის გზები გაიყო. გლუშკო რუსეთში გაემგზავრა და თაღლითობას მიჰყო ხელი. ორჯერ ციხეშიც იჯდა და უკვე საკმაოდ ცნობილი აფერისტი იყო. 1971 წელს მოსკოვში, ძველი მეგობრები შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და გადაწყვიტეს, ერთად „ემუშავათ“. მათ რამდენიმე მსხვილი აფერა ჩაატარეს და საკმაოდ დიდი ფულიც იშოვეს. „ნიკიტიჩამ“ თავისი „ნათლია“ ბოროტმოქმედთა სამყაროში შეიყვანა და კოლეგებმა მათ „თბილისური ტანდემი“ შეარქვეს. წყვილი მთელ საბჭოთა კავშირში მოღვაწეობდა და სისხლს უშრობდა მილიციას.

1973 წლის 10 ოქტომბერს, ტანდემმა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი აფერა განახორციელა თავის ბიოგრაფიაში. ამ დღეს მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე საბჭოთა კავშირის ფინალური მატჩი იმართებოდა ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებოდნენ – ერევნის „არარატი“ და კიევის „დინამო“. 100-ათასიან სტადიონზე ბილეთები ერთი თვით ადრე იყო გაყიდული და ათასობით ერევნელი და კიეველი გულშემატკივარი 50 მანეთს იხდიდა ბილეთში, რომ სტადიონზე მოხვედრილიყვნენ. „ნიკიტიჩამ“ წინასწარ დაიჭირა თადარიგი და მოსკოვის №3 სტამბაში, არალეგალურად 5 ათასი ბილეთი დააბეჭდვინა. თამაშის დღეს კი მან და ჩიმაკაძემ ეს ფალსიფიცირებული ბილეთები სტადიონის მისადგომებთან სულ რაღაც საათ-ნახევარში გაყიდეს, თითო 50 მანეთად. ამგვარად, 250 ათასი მანეთი აიღეს და მიიმალნენ...

ამ აფერის გამო ტანდემს მილიცია კუდზე დააჯდა და სამი წლის განმავლობაში ეძებდნენ. ჩიმაკაძემ უცხოეთში გაქცევა მოახერხა და დღემდე ნორვეგიაში ცხოვრობს. „ნიკიტიჩა“ კი 1976 წელს უზბეკეთის დედაქალაქში იმ დროს დააპატიმრეს, როცა ცნობილი აფერისტი ერთ-ერთი რესტორნის დირექტორისთვის ფალსიფიცირებული ჩეხური ლუდის მიყიდვას ცდილობდა.

პავლე გლუშკო 1991 წელს, 51 წლის ასაკში გარდაიცვალა მოსკოვში, ტუბერკულოზისგან...

**ნიკა ლაშაური**

# რატომ აწამა კლიენტმა ცნობილი მკითხავი და როგორ დაეუფლა მის ფულსა და ქვირფასეულობას

57 წლის ნუცა შ-იაზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის შესახებ სამართალდამცველებისთვის ინციდენტიდან რამდენიმე დღეში გახდა ცნობილი, იმის მიუხედავად, რომ დაზარალებულს პოლიციაში არ განუცხადებია. სამართალდამცველებმა ეს ისტორია სამედიცინო სამსახურისა და საკუთარი წყაროს მეშვეობით შეიტყვეს. დაზარალებულ ქალს თავისა და ყელის არეში მძიმე დაზიანებები და ნაჭდევები აღენიშნებოდა. როგორც გამოძიებით დადგინდა, ნუცა შ-ია ორი დღის განმავლობაში ეწეოდა თვითმკურნალობას, მაგრამ უშედეგოდ და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა იძულებული, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიემართა, რაც, საბოლოოდ, საქმეში სამართალდამცველების ჩართვით დასრულდა.

დაზარალებული ქალის განცხადებით, მასზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმა იმის გამო დამალა, რომ საკუთარი რეპუტაციის შელახვას მოერიდა. თუმცა, მოგვიანებით დადგინდა, რომ ქალი, რომელიც მკითხაობას ეწეოდა, წარსულში თაღლითობისთვის იყო ნასამართლევი და სამართალდამცველებთან ამ საქმის გახმაურება აღარ აწყობდა. ნუცა შ-იას განცხადებით, მასზე ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა მისმა კლიენტმა, ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც მას ინციდენტამდე ორი თვით ადრე გაეცნო.

ამონაწერი დაზარალებულის ჩვენებიდან: „გოგა ორი თვის წინ გავიცანი. ის ჩემთან მოვიდა როგორც ჩვეულებრივი კლიენტი და მითხრა, რომ ბიზნესში ჰქონდა პრობლემები და ჩემი დახმარება ესაჭიროებოდა. ძალიან კულტურული ბიჭი იყო, თავაზიანი და ჩემი ნდობა იოლად მოიპოვა. ჩვენი ურთიერთობა მკითხავისა და კლიენტის ურთიერთობას გასცდა. გოგა უსაჩუქროდ არასდროს მოდიოდა ჩემთან, ერთხელ მალინა მოვინდომე და მეორე დღეს მალინაც კი მომიტანა. გარდა ამისა, იმაზე მეტ ფულს მიტოვებდა, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო. მე მისი ვინაობა არ ვიცოდი – ამ თემაზე ცოტას საუბრობდა, მხოლოდ ის მითხრა, რომ ხის პატარა საწარმოს მფლობელი იყო და მისი გაფართოება ჰქონდა დაგეგმილი. ჩვენი გაცნობიდან ორი თვის თავზე, დღისით, დამირეკა და მითხრა, რომ ჩემთან მოსვლა სურდა. გამაფრთხილა, ისეთ დროს მინდა მოვიდე, მარტო რომ იქნებიო. იმ საღამოს ჩემი ქმარი და შვილიშვილები სოფელში მიდიოდნენ. გოგას ამის შესახებ ვუთხარი და შევთანხმდით, ცოტა გვიან მოსულიყო. მერე მივხვდი, რომ დრო – გვიანი ღამე სპეციალურად შეარჩია. ამ დროს ჩემთან კლიენტი აღარ მოვიდოდა. ღამის თერთმეტი საათი ხდებოდა, როცა გოგა ჩემთან მოვიდა. ხელში პატარა სპორტული ჩანთა ეჭირა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ. მე დიდ კერძო სახლში ვცხოვრობ, სახლი ისეა შემოსაზღვრული ღობით, რომ ჩემი ეზოდან არც ხმა გადის და არც არაფერი ჩანს. საუბრის დროს გოგა ცოტა აღელვებული ჩანდა. სამზარეულოში ვისხედით. გოგა ფეხზე ადგა და კარადასთან მივიდა. უცებ კარადის უჯრიდან დანა ამოიღო, მომიახლოვდა და დანა ყელზე მომადო. ვერც კი მივხვდი, რა ხდებოდა. თავიდან მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ, დანა ისე მომაბჯინა, ლამის ყელი გამომჭრა. უცებ მითხრა: აქ მხოლოდ ჩვენ ვართ, ვერავინ ვერაფერს გაიგონებს, ამიტომ, არც ყვირილს აქვს აზრი. ისე მოგკლავ, კაციშვილი ვერ გაიგებს ვერაფერს, სახლში რაც ფული გაქვს, უნდა მომცეო. მე ვუთხარი, სახლში ფულს არ ვაჩერებ, ამდენ ხალხს ვინახავ, სად მაქვს შესანახი ფული-მეთქი. კარგი, ქალბატონოო, _ მითხრა, სპორტული ჩანთიდან თოკი ამოიღო, რომლითაც ჩემს სამზარეულოში, რკინის მილზე მიმაბა და წამება დამიწყო. ორჯერ თოკი ისე წამიჭირა ყელში, ძლივს ამოვისუნთქე. ხან თავში მირტყამდა, ხან ჩემს დახრჩობას ცდილობდა. დროდადრო მეუბნებოდა, ხომ არ გაგახსენდა, ფული სად გაქვსო? იძულებული გავხდი, ფული გამომეჩინა, საძინებელში სამი ათასი ლარი და ხუთასი დოლარი მქონდა გადამალული. მთელი ეს თანხა ერთად მედო პარკში. გოგას ერთი წუთი არ დავუტოვებივარ, სამალავთან თვითონ მიმიყვანა და მივეცი ეს ფული. მე ყოველთვის ბევრ ოქროს სამკაულს ვატარებ, გოგამ მომხსნა ყველა სამკაული, რაც კი მეკეთა. ზარალმა ათი ათასი ლარი შეადგინა. ამის შემდეგ მან პირზე სკოჩი ამაკრა, გაკოჭილი დამტოვა და ჩემი სახლიდან წავიდა. მთელი ღამე სვეტზე მიკრულმა გავატარე. დილით მეზობელმა ქალმა მიპოვა ნაცემ-ნაბეგვი, სისხლჩაქცევებით. საავადმყოფოში არ წავედი, თვითონ ვცადე საკუთარი თავისთვის მეშველა, მაგრამ, ორი დღის შემდეგ უფრო ცუდად გავხდი და ექიმს ამის შემდეგ მივმართე”.

**გოგა ხან დანას მირჭობდა ყელში, ხან ჩემს დახრჩობას ცდილობდა**

სამართალდამცველებმა მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. დაიწყო გამოძიება. როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, ნუცა შ-ია წარსულში თაღლითობისთვის იყო ნასამართლევი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი განაცხადა, რომ ნათელხილვის ნიჭი აღმოაჩნდა და მკითხაობა დაიწყო. გამოძიებამ ივარაუდა, რომ ქალზე განხორციელებული თავდასხმა, შესაძლოა, მის წარსულთანაც ყოფილიყო დაკავშირებული. მართლაც, როგორც მოგვიანებით დადგინდა, ამ ისტორიის კვალი მკითხავი ქალის წარსულში მიდიოდა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა დანაშაულში სავარაუდო ექვმიტანილის ვინაობა. ის 38 წლის გოგა ჩ-ძე აღმოჩნდა, რომელიც ციხიდან პირობით იყო გათავისუფლებული, ის სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ახალგაზრდა კაცმა საერთო ნაცნობის ოჯახში გაიცნო პედაგოგი მანანა ჭ-შვილი, რომელთან საუბრიდანაც შეიტყო, რომ მან ორსართულიანი სახლი და სხვა ქონება (ძვირფასეულობა, მიწის ნაკვეთი) მისი ნაცნობი ქალის, ნუცა შ-იას თაღლითობის წყალობით დაკარგა. გოგა ჩ-ძე და მანანა ჭ-შვილი ერთმანეთს გაცნობისთანავე დაუახლოვდნენ და გოგა ჩ-ძემ ქალისგან ბევრი საინტერესო დეტალი შეიტყო. მანანა ჭ-შვილმა ისე მისცა „ნაკოლი” გამოცდილ ქურდს, რომ ამას თავად ვერ მიხვდა. მამაკაცმა გაარკვია, რომ ქალი მკითხაობით იყო დაკავებული და საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა. გოგა ჩ-ძემ ქალზე ყაჩაღური თავდასხმაც მისი საქმიანობიდან გამომდინარე დაგეგმა. ის ქალს ჩვეულებრივ კლიენტად გაეცნო, დაუახლოვდა, მისი ნდობა მოიპოვა და მხოლოდ ამის შემდეგ მოიყვანა თავისი განზრახვა სისრულეში.

ნუცა შ-იასა და მისი ახლობლების განცხადებით, გოჩა ჩ-ძემ დანაშაული მანანა ჭ-შვილთან ერთად დაგეგმა. ქალმა მას „ნაკოლი” მისცა და ამით იძია ჩემზე შურიო – ამტკიცებდა ნუცა შ-ია, რასაც კატეგორიულად უარყოფდა როგორც დაკავებული, ასევე, მოწმის სახით დაკითხული მანანა ჭ-შვილი, რომელიც მკითხავის წყალობით იყო დაზარალებული წლების წინ. საქმის მასალებით, არ დადასტურდა მანანა ჭ-შვილის მონაწილეობა ყაჩაღურ თავდასხმაში, რაც განსასჯელმა სასამართლო პროცესზეც დაადასტურა. განსასჯელის ადვოკატი მიიჩნევდა, რომ გოგა ჩ-ძის მიმართ წაყენებული ბრალდება არაადეკვატური იყო და მის მიერ ქალზე განხორცილებულ ქმედებებში მკვლელობის მცდელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებას ადგილი არ ჰქონია, რაც სასამართლომ არ გაიზიარა – გოგა ჩ-ძე ჩადენილი დანაშაულისთვის გამოძიების დროს აღძრული მუხლებით გაასამართლა და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 11 აგვისტო

1877 – ამერიკელმა ასტრონომმა ასტაფ ჰოლმა, აღმოაჩინა მარსის ორი თანამგზავრი – ფობოსი და დეიმოსი.

1934 – ფუნქციონირება დაიწყო ალკატრასის ფედერალურმა ციხემ (ამერიკის შეერთებული შტატები, კალიფორნია).

1959 – მოსკოვში გაიხსნა შერემეტიევოს აეროპორტი.

### 12 აგვისტო

1121 – დიდგორის ბრძოლა – ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება თურქ-სელჩუკებზე.

1951 – ამერიკელმა ისააკ მარიეტ ზინგერმა დააპატენტა საკერავი მანქანა.

1865 – ამერიკელმა ქირურგმა ჯოზეფ ლისტერმა პირველად გამოიყენა დეზინფექცია ოპერაციის დროს, რამაც შემდგომ სიკვდილიანობა ოთხჯერ შეამცირა.

1953 – ენი დევისონი გახდა პირველი ქალი, ვინც იახტით მარტომ გადაცურა ატლანტის ოკეანე.

1981 – კომპანია „აიბიემმა“ წარმოადგინა პირველი პერსონალური კომპიუტერი.

### 13 აგვისტო

1521 – ესპანელმა კონკისტადორმა ერნან კორტესმა აიღო აცტეკთა დედაქალაქი ტენოჩტიტლანი (დღევანდელი მეხიკო).

1624 – საფრანგეთის კარდინალი არმან რიშელიე დიუ-პლესი გახდა ქვეყნის პირველი მინისტრი.

1942 – ნიუ-იორკში შედგა პრემიერა უოლტ დისნეის მულტფილმისა – „ბემბი“.

### 14 აგვისტო

1385 – კრევის უნიით პოლონეთი და ლიტვის დიდი სამთავრო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ.

1893 – საფრანგეთში პირველად მსოფლიოში შემოიღეს ავტომობილის მართვის მოწმობის გაცემა.

1980 – პოლონეთში დაიწყო „სოლიდარობის“ გამოსვლები ლეხ ვალენსას მეთაურობით.

1992 – დაიწყო „აფხაზეთის ომი“.

### 15 აგვისტო

1248 – დაიწყო კიოლნის საკათედრო ტაძრის მშენებლობა (რომელიც მხოლოდ 1880 წელს დასრულდა).

1519 – ცენტრალურ ამერიკაში დაარსდა ქალაქი პანამა.

1848 – უოლდო ჰატჩეტმა (ოჰაიო) დააპატენტა სტომატოლოგიური სკამი.

1914 – ოფიციალურად გაიხსნა პანამის არხი.

### 16 აგვისტრო

1804 – საფრანგეთში ბულონის სამხედრო ბანაკში შედგა „საპატიო ლეგიონის ორდენებით“ პირველი დაჯილდოების ცერემონიალი. იმპერატორმა ნაპოლეონმა 2 400 ადამიანს პირადად დაუბნია გულზე საპატიო ჯილდო.

1941 – საბჭოთა კავშირში გამოიცა ბრძანება №270, რომლის მიხედვითაც სამშობლოს მოღალატედ ცხადდებოდა ტყვედ ჩავარდნილი ყველა ჯარისკაცი.

1960 – კვიპროსი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

### 17 აგვისტო

1812 – ნაპოლეონის ჯარებმა აიღეს და გადაწვეს რუსეთის ქალაქი სმოლენსკი.

1945 – ინდონეზია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1977 – საბჭოთა ყინულმჭრელმა „არქტიკამ“ წყალზედა ხომალდთაგან პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს.

1999 – ძლიერი მიწისძვრა თურქეთში. დაიღუპა 35 000 ადამიანი.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ ჯუჯის ხატვა — შემოხაზეთ 3 წრე



2. მიახატეთ თვალები, ყურები და ღაბაბი



4. დაახურეთ სამკუთხა ქუდი



5. კიდევ ერთი წრე იქნება ტანი





6. ახლა დაასრულეთ ხელები და დასვით ძირს



6. მოხატეთ ვარსკვლავებით ქუდი



7. გააფერადეთ

ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვე 1-დან 10-მდე რიცხვები



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ძაღლი
## (იგავ-არაკი)

ერთი ძაღლი ჩუმად მიპარვასა და კბენას მიეჩვია. პატრონმა გადაწყვიტა, ძაღლისთვის კისერზე ეჟვანი შეება, რომ ხალხი გაფრთხილებოდა. ძაღლი ეჟვანს აჟღარუნებდა და ამით თავს იწონებდა. მოხუცმა პატრონმა უთხრა:

– ნეტავი, რას იპრანჭები, ეგ ეჟვანი სასიკეთოდ კი არა, იმისთვის შეგაბი, რომ შენი სიავე და ცბიერება ქვეყანას გააგებინოსო.

ხშირად ადამიანები ბაქიბუქით თავიანთ სიავეს ამხელენ.

## რიცხვრებუსი

, 20, 20, , , , , , 13, 0, , , 1, , ,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| მგალობელი ფრინველი | | | გარეული ცხოველი / შინაური ცხოველი | |
| | | | | |
| გარეული ცხოველი | | | | ხის სახლი |



კახეთის მეფეთა რეზიდენცია
ესკორტი
მასხარა
წყალზე გადასასვლელი
ქალი (ქარგონ.)
ედმონ დანტესის ციხე
ხარაგაულთანაა
უზნაძემდე იყო
მარადიული ქალაქი
გადასახდელი
მონონების ორი ასო
ლექების იმამი
უუფლებო პირი
რუსული „ჯიპი“
სითხის სადენი
ძველი ბერძენი
საპყრობილე
მთავარი საქვები
ქედი ქართლის ალმოს.ნაწილში
ბავარიის დედაქალაქი
ჩაის უხდება ზოგის აზრით
ბალახი ზამთრისთვის
კიდური
ლუდი ასეთია კარგი
ნოდარ დუმბაძის რომანშია
ავტომობილის ნაწილი
რა არის კაბელი თავისი არსით?
ადამიანთა ფერი
წითელი პლანეტა
ესენინის ლექსის სპარსელი გოგონა
მინდორი
პირის ღრუს ნაწილი
პატარა ლიანა
ფრანგული მანქანა
ქართლის რაიცენტრი
საბაბი
რიყის ქვა ასეთია
არაქათი
გამორჩენილი რუსი ძალოსანი იური...
გიორგი სააკაძის სოფელი
დიდი ლიტერატურა
უპატრონო
....კუროსავა
კახეთის რაიცენტრი
რბილი სათავსი
„კინო“ (ფრანგ).
ცისარტყელას ქალღმერთი
დაბალი და გამხდარი
ბევრი თხა
წლოვანება
ჩვენი ერთ-ერთი მთიელი
ხორცის პროდუქტი
(......)-ბაიჯანი
ქალაქი გერმანიაში
ევროპელი ავსული
განელილი წრე
ნაყოფის მოცილება
იმერეთის რაიცენტრი
ბუვიეს რომანი
რაჭის "მეგაპოლისი"
ქალაქი არგენტინაში
პრემ.-მინისტრი შევარდნაძის დროს
სიმღერა
მანანწალა
ძველი ეგვიპტის მეფე
უსინათლო
მტაცებელი ფრინველი
ამბიციური
პან გი მუნამდე იყო
რომის პაპის თავსაბურავი
პატიოსანი
ქალაქი თურქეთში
პათოლოგიური ღრუ ორგანიზმში
უსახლკარო
დიპლომატთა წერილი
ცისკარი
გამაგრილებელი საჭმელი
ვარდენის ქალიშვილი
ლერწამი
ლია ელიავა „მამლუქში“
(.......) ლოლობერიძე
ფართობის საზომი ერთეული
რუმინეთის ქალაქი
ევროპელი ჯუჯა
ამერიკ. მსახიობი დენი დე.....
მორების შეკვრა
სხეული
ონდონეზიური ჯუჯა კამეჩი
კროსვორდის დასასრული

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | 6 | | 6 | 7 | 7 | 7 | 7 | | 3 | | | | | 2 | | | | | | | | | |
| | | | | | | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | | 3 | 8 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 6 | 2 | 4 | 6 | | 7 | 3 | 4 | 1 | | | | | | | |
| | 10 | 5 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 7 | 3 | 5 | 4 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 2 | 3 | 9 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | | | | | | |
| 10 | 3 | 4 | 3 | 8 | 5 | 5 | 4 | 3 | 3 | 4 | 3 | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 6 | 7 | 5 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 4 | |
| 6 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 6 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 1 |
| | | | 1 |
| | | | 1 |
| | | | 2 |
| | | 2 | 4 |
| | | 2 | 6 |
| 2 | 3 | 5 | 1 |
| | 2 | 6 | 14 |
| | | 2 | 20 |
| | 2 | 10 | 4 |
| | 2 | 10 | 2 |
| | 2 | 12 | 1 |
| | 3 | 14 | 2 |
| 3 | 11 | 1 | 1 |
| 3 | 1 | 2 | 1 |
| 3 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 1 | 4 | 2 |
| 4 | 2 | 1 | 3 |
| 8 | 1 | 2 | 5 |
| | 13 | 2 | 4 |
| 3 | 11 | 1 | 4 |
| | 2 | 11 | 4 |
| | | 2 | 12 |
| | | 2 | 7 |
| | | 1 | 9 |
| | 1 | 7 | 4 |
| | 1 | 8 | 4 |
| | 1 | 7 | 4 |
| | 2 | 6 | 4 |
| | | 27 | 4 |

**სუდოკუ**

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 7 | 1 | | | 6 | | 4 |
| | 6 | 2 | | 7 | 8 | | 1 | |
| 1 | | | 6 | | | 2 | 3 | 7 |
| 8 | 7 | | 2 | 5 | 4 | | | |
| | | | 7 | | 1 | 5 | 2 | 3 |
| 2 | 1 | | 9 | 3 | | 7 | | |
| | 2 | | 4 | 9 | | 8 | 5 | 1 |
| 7 | 8 | 4 | | | 2 | | 6 | 9 |
| 5 | | | 8 | 6 | 3 | | 7 | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | | 7 | | 2 | 3 |
| 9 | 1 | 2 | | | | | | 7 |
| | | | | | 2 | 5 | 8 | |
| 2 | 3 | | | 4 | | 7 | | |
| | | 8 | | | 3 | | 4 | 6 |
| 1 | | 9 | | 6 | | 8 | | |
| | | 1 | | | 4 | | | 8 |
| | | | 9 | 8 | 1 | | | |
| 8 | | 4 | | 5 | | 3 | | 1 |

**ქართველი ბარიტონი, რომელმაც აღიარება მოიპოვა იტალიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთში, ჩვენი საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი. გოჩა აბულაძის მიერ შესრულებული „სევილიელი დალაქის“ შემდეგ, მასზე წერდნენ: „რამდენი ფიგარო უნდა ენახა ადამიანს, რომ, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობა ჰქონოდა, გოჩა აბულაძისთვის მოესმინა“. 29 წლის წარმატებული მომღერალი სამშობლოში ერთი თვით ჩამოვიდა. ბარიტონი გოჩა აბულაძე დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია.**

# რა დაბრკოლებების გადალახვა მოუწია ქართველ ბარიტონს და რა გაიღო მან მსხვერპლად

**– თქვენ ხართ ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა, რომელმაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიაღწია წარმატებას. ქართველ მკითხველს თქვენზე არცთუ ბევრი სმენია. გააცანით თქვენი თავი საზოგადოებას.**

– დავიბადე 1985 წლის 15 ივლისს, ქუთაისში და შესაბამისად, განათლებაც იქ მივიღე. ვიდრე თბილისის კონსერვატორიაში ჩავაბარებდი, მანამდე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო ტქნიკუმში ვსწავლობდი 4 წელი ქალბატონ ლუბა ლომაკინას ხელმძღვანელობით. ლუბა ლომაკინამ მე და ჩემი ძმა – უჩა, თბილისში, ნოდარ ანდღულაძესთან ჩამოგვიყვანა. შემდეგ, 2004 წელს, ჩავაბარე კონსერვატორიაში და სახელმწიფოს დაფინანსებაც მოვიპოვე. სწავლის პერიოდში აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას საოპერო დადგმებში – სულ 25 სპექტაკლი მაქვს ნამღერი. ვაჟა ჩაჩავასთან ორი წლის განმავლობში ვმუშაობდი და ეს იყო ძალიან დიდი გამოცდილება და ბედნიერება ჩემთვის. ვაჟა ჩაჩავა იყო ბუმბერაზი პიანისტი, ამიტომ, მიხარია, რომ მასთან მიწევდა თანამშრომლობა. მასთან ერთად მოვამზადე 5 სოლო კონცერტი. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იტალიაში გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება, რაც ოცნებად მქონდა. იტალიაში მე და ჩემმა ძმამ წარმატებით ჩავაბარეთ გამოცდები. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ იტალიაში ჩვენი გამგზავრება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რისი სახსრებიც იმ პერიოდში ჩემს ოჯახს არ მოეპოვებოდა. ამიტომ, მშობლებმა გაყიდეს ბინა ქუთაისში, სადაც დავიბადე და გავიზარდე. დედ-მამა ყველანაირად ცდილობდა ჩვენთვის ხელის შეწყობას. იტალიაში საქმე კარგად ამეწყო – ფერარას საერთაშორისო კონკურსში გავიმარჯვე. ეს იყო ჩასვლიდან მესამე თვე. ამის შემდეგ გავხდი, საზოგადოებისთვის ცნობილი – არაერთი სტატია დაეთმო ჩემს წარმატებას. წერდნენ, რომ დაიბადა ახალი ბარიტონი, ქართველი გოჩა აბულაძე. აქედან გაიხსნა ჩემი წარმატების კვანძი. შემდეგ დამიკავშირდნენ სააგენტოები, გაჩნდა კონტრაქტები და დავიწყე სისტემატური მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობის ოცნებაც ავიხდინე – ფრანკო ძეფირელისთან ერთად ვიმღერე. მხოლოდ მის ნახვას ვოცნებობდი, შემდეგ კი მასთან ერთად მუშაობაც მომიწია და ეს იყო ენით აუწერელი ბედნიერება. მინდა აღვნიშნო, გუსტავ კუნტთან მოღვაწეობა – ის არის დიდი დირიჟორი ავსტრიაში და მასთან ერთად მივიღე მონაწილეობა საახალწლო გალა კონცერტში.



**მოშორებული ვარ იმ ყველაფერს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩემთვის**

**– გამხდარიყავით მომღერალი და დიდ სცენაზე გამოსულიყავით – ეს თქვენი მიზანი იყო თუ ვინმეს რჩევით მიჰყევით ამ გზას?**

– მე 2 წლის ვიყავი, ჩემი ძმა კი 4-ის, სიმღერა რომ დავიწყეთ და პირველ-მეორე ხმაში ვმღეროდით. ჩვენთან ერთად მღეროდა დედაც – მასაც ძალიან ლამაზი ხმა აქვს. იქიდან გამომდინარე, რომ სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა, სულ გვიწევდა სიმღერა, თითქმის ყოველდღე. სხვა გზას ვერც გავყვებოდი, იმდენად დიდი ადგილი ეჭირა მუსიკას ჩემს ცხოვრებაში. სხვათა შორის, მინდოდა, მეთამაშა რაგბი, დავდიოდი კიდეც ქუთაისში და სიგიჟემდე მიყვარს ეს სპორტი, მაგრამ, იყო პრობლემები, რის გამოც ველარ გავაგრძელე რაგბის თამაში – იმ პერიოდში მამასთან მომიწია რუსეთში წასვლა. სკოლა რომ დავამთავრე, დავფიქრდი, რომელი პროფესია უნდა ამერჩია და, მივხვდი, რომ სიმღერის გარდა სხვა რამ არც მაინტერესებდა და არც მინდოდა. ეს იყო უფლის ბოძებული საჩუქარი, რომელიც უნდა გამომეყენებინა.

**– პირველი აღიარება, რომელმაც გაგითქვათ სახელი...**

– საქართველოში ვმღეროდი „ევგენი ონეგინსა” და „სევილიელ დალაქში“ და პირველი ნაბიჯები მაშინ გადავდგი, უწმიდესიც ესწრებოდა ჩვენს კონცერტს. საპატრიარქოშიც ვიყავი მისული. იტალიაში ჩემი დებიუტი იყო „ტრავიატა,” რომელსაც მოჰყვა დიდი წარმატება, გაზეთებშიც აქტიურად იწერებოდა ჩემზე, მადარებდნენ ისეთ დიდ მომღერლებს, როგორიცაა, მაგალითად, ლეო მუჩი. გერმანიაში მქონდა ერთი თვის წინ პრემიერა. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი ფაქტია იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში პირველად ვიმღერე საპრემიერო სპექტაკლი, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

**– როგორ მოხვდით ისეთი ქვეყნების დიდ საოპერო სცენებზე, როგორებიცაა: საფრანგეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია?**

– ყველაფერი დაიწყო იტალიიდან. იტალიაში, მოგეხსნებათ, დიდი კრიზისია. ძალიან ბევრი ლამაზი თეატრია, მაგრამ, თავად იტალიელებიც მიდიან ქვეყნიდან და სხვაგან იკვლევენ გზას. მომღერლისთვის მნიშვნელოვანია ის გარემო, ის აურა, რომელიც იტალიაშია. სწორედ ეს ქვეყანა მომეხმარა, თამამად გადამედგა ნაბიჯები სხვაგან. მხოლოდ იტალიაში შეუძლებელი იყო მუშაობა და გადავედი გერმანიაში,

**ყველა მართად რომ ვცხოვრობდით, ისეთი ოჯახი გვქონდა, თუ საღამოს სტუმარი არ გვყავდა, ყურებჩამოყრილები ვისხედით**

სადაც დღესაც ორწლიანი კონტრაქტი დავდე და სტაბილური შემოსავალიც მაქვს. სხვადასხვა ქვეყანაში ვმღერი: ახლახან ლონდონში ვმუშაობდი ორი თვის განმავლობაში. დანიაში მაქვს საკუთარი სააგენტო, სადაც ადრე კონცერტები მქონდა. საფრანგეთშიც მათი მეშვეობით აღმოვჩნდი, მათ გამიწიეს რეკომენდაცია და გამიკეთეს კონტრაქტი. ტიპური მომღერლის ცხოვრება მაქვს: ვმოგზაურობ და ვარ ***(იცინის).*** პირველი ნაბიჯები გადავდგი იტალიაში და სწორედ მას დავუკავშირებ ყველა ჩემს წარმატებას. საერთოდ, იტალიელ მომღერლებს უპირატესპობას ანიჭებენ; როდესაც გეკითხებიან, სად მღერიო და იტალიას ასახელებ, ეს უკვე ღირებულია, თან, როცა გამართულად მეტყველებ იტალიურად ამასაც ყურადღებას აქცევენ. იტალიის სკოლამაც იქონია გავლენა ჩემს მსმენელზეც და, ზოგადად, წარმატებაზე.

**– წარმატების მისაღწევად რისი დათმობა მოგიწიათ?**

– ძალიან ბევრი რამ დავთმე, თუნდაც ის, რომ, დრო გადის და ვერ ვახერხებ ჩემს ოჯახთან ყოფნას – იშვიათად მიწევს საქართველოში ჩამოსვლა. მენატრება დედა, მამა, მეგობრები, ნათესავები, ოჯახის წევრები. რთულია მათგან შორს ყოფნა. ჩემს ძმასთან ერთად სამი წელი ვცხოვრობდი იტალიაში და სულ ერთად ვიყავით, მაგრამ ახლა უკვე ოჯახი აქვს და საქართველოში ცხოვრობს. ჩემი მხრიდან მსხვერპლი ის არის, რომ მოშორებული ვარ იმ ყველაფერს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩემთვის. მენატრება სამშობლო – საკუთარ მიწაზე რომ ხარ, სხვა განცდაა. ეს არის ის, რისი გამოსწორებაც მინდა, ანუ, უფრო ხშირად რომ ვიყო ჩემს ქვეყანაში, ჩემს ოჯახთან.

**– ხშირად თუ ჩამოდიხართ საქართველოში და რამდენი ხნით ახერხებთ დარჩენას?**

– ყველაზე დიდი შუალედი მქონდა, როცა 11 თვე ვერ მოვახერხე ჩამოსვლა. თან, ეს ის დრო იყო, როდესაც უჩაც წამოვიდა საქართველოში და მარტო დავრჩი. იტალიის შემდეგ გერმანიაში ცოტა გამიჭირდა, რადგან, შედარებით ცივი ქვეყანაა, მაგრამ, მივეჩვიე ჩემს გრაფიკსაც და ქვეყნებსაც ***(იცინის).*** ენის ბარიერებიც გადავლახე – უკვე ოთხ ენაზე ვლაპარაკობ თავისუფლად. ახლა ერთი თვით ვარ ჩამოსული და, მინდა, მაქსიმალურად დასვენებისთვის გამოვიყენო ეს დრო. მომავალი წელი ძალიან დატვირთული მაქვს და ენერგია უნდა მოვიკრიბო.

**– 29 წლის ასაკში იყო აღიარებული ბარიტონი, საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. რა მიგაჩნიათ წარმატების საფუძვლად?**

ამის საფუძველი ისაა, რომ დედამ ბავშვობიდან ჩამინერგა ყოველთვის დადებითზე ფიქრი; მასწავლა შრომის დაფასება და საქმის სიყვარული. ყოველთვის მქონდა უკეთესის იმედი და, მიმაჩნდა, რომ არავინ დაბადებულა ვარსკვლავად, ყველამ ძალიან დიდი გზა განვლო აღიარების მოსაპოვებლად და მეც უნდა მეშრომა, შედეგი რომ მიმეღო. კიდევ, ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ფსიქოლოგიური სიძლიერე, რამაც დღემდე მომიყვანა და შემაძლებინა დაბრკოლებების გადალახვა. საერთოდ, დაბრკოლებები უფრო მაძლიერებს, უფრო მიზანმიმართულს მხდის, მეტ ენერგიას მაძლევს. მიმაჩნია, რომ ამქვეყნად მიუღწეველი არაფერია. შრომა და კიდევ შრომა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

**– დაბრკოლებები ახსენეთ; იქნებ, დააკონკრეტოთ...**

– დაბრკოლება არაერთი ყოფილა, თუმცა ეს იტალიაში წასვლამდე უფრო. რამდენიმე კონკურსი იყო, სადაც პირველივე ტურიდან გამომიშვეს. ვერ აგიწერთ, როგორ განვიცადე, მაგრამ, ამ ყოველივემ, პირიქით, უფრო გამაძლიერა, რომ ფარ-ხმალი არ დამეყარა. მეტი შრომისმოყვარეობა გამოვიჩინე და საკუთარ თავზე დავიწყე მუშაობა. იტალიაში რომ ჩავედი, უკვე 12 კონკურსის ფინალისტი ვიყავი, 6-ის კი – გამარჯვებული.

**ეთო ხურციძე**

**დიდი ხანი არ არის, რაც მარკუს მეტრეველის სახლში ოჯახის ახალი წევრი გაჩნდა, რომელმაც პატრონს ძალიან შეაყვარა თავი. სიმართლე გითხრათ, იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელიც თავის ოთხფეხა მეგობარზე ასე თბილად საუბრობს, ისეთი მზრუნველი და მოსიყვარულეა, როგორც მარკუსი. შეილამ იცის, რომ მარკუსი მისი ნამდვილი დამცველია და, თუ ქუჩაში მაწანწალა კატების გარემოცვაში მოხვდა და ჩხუბიც მოუწია, პატრონი არ დაუშვებს, რომ მას რამე დაუშავდეს.**

# როდის გახდება მარკუს მეტრეველი მრავალშვილიანი მამა და როგორ ცხოვრობს ის ეგვიპტური წარმოშობის არისტოკრატ ფრანგ ქალბატონ შეილასთან ერთად

**მარკუს მეტრეველი:** ცხოველების გვერდით თავს ყველაზე კომფორტულად, თბილად და დაცულად ვგრძნობ. ისინი ოთხფეხა მეგობრები არიან, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა მაქვს და, ადამიანებისგან განსხვავებით, არ მკბენენ, არ მერჩიან და მავსებენ საოცარი დადებითი ენერგიით. სახლში ეგვიპტური, სფინქსის ჯიშის კატა მყავს და საოცარი დადებითი ენერგეტიკა აქვს. თუ ვინმესგან ცუდი აურა იგრძნო, მაშინვე გარბის მისგან.

**– რა ჰქვია შენს ფისოს და რამდენი წლისაა?**

– ჩემს ფისოს შეილა ჰქვია. მეგობარმა მაჩუქა, მარიშა მაისურაძემ და სახელიც მან დაარქვა. არ დამავიწყდება, მასთან სტუმრად რომ მივედი, შეილა მაშინ ძალიან პატარა იყო, ორისამი თვის და, დამინახა თუ არა, მოვიდა, მომეწება, ფეხზე ამალოლდა და მოფერება დამიწყო. მაშინვე ორივე მივხვდით, რომ ერთმანეთს კარგად გავუგებდით და იმ დღის შემდეგ სულ ერთად ვართ. სხვათა შორის, შეილა ფრანგი გოგოა, არისტოკრატიული და გრაციოზული. ახლა შეილა რვა თვისაა, ძალიან ნაზია და თავისებური ხასიათი აქვს.

**– ხასიათის თავისებურებაში რას გულისხმობ?**

– მაგალითად, თუ დიდხანს დავტოვე მარტო, დარდობს და საჭმელს აღარ ჭამს. ვერ იტანს უჩემობას, ნერვიულობს, დაჯდება კუთხეში და მელოდება. აი, რომ დამინახავს, მაშინვე გამოხატავს სიხარულს – იწყებს ჭამას, წყლის დალევას და თამაშს. სასწაული რეაქციები აქვს ჩემს დანახვაზე. მარიშა ერთადერთი ადამიანია, ვისაც ვენდობი და შეილას ვუტოვებ, სხვას ვერ ვანდობ. ყველა ამბობს, რა საოცარი გარეგნობა აქვს შეილასო. ამ გარეგნობამ მომხიბლა სწორედ. მე არ მიყვარს ყველაფერი მასობრივი და სტანდარტული, შეილას კი საშიში, მისტიკური გარეგნობა აქვს და ამით მიზიდავს. იცით, შეილა რაში მგავს?

**– არა, არ ვიცი.**

– სპეციფიკური ხასიათი აქვს: სულიერად ფაქიზია, ელემენტარული სწყინს და ელემენტარული უხარია. მეც ასეთი ვარ. ოღონდ, შეილა ცოტა ცელქია, უყვარს მაგიდიდან ყველაფრის ჩამოყრა და თამაში.

**– მერე, შენ ამის გამო არ უბრაზდები?**

– არა, რას ამბობთ, ამის გამო როგორ გავუბრაზდები! შეილა ისეთი ნაზი ქალბატონია, როგორ ვუყვირებ ან დავსჯი? ხანდახან სახლის ერთ კუთხეში დაჯდება, ძეგლივით გაშეშდება და სადღაც იყურება, თან, ამ მომენტში, ყურები დაცქვეტილი აქვს, კუდი კი შემოხვეული. სასწაული გარეგნობა აქვს და ხანდახან მაშინებს *(იცინის)*.

**– შენს სიმღერებს თუ ასმენინებ და რა რეაქცია აქვს შენს ნამღერზე?**

– კი, როგორ არა, ჩავურთავ ხოლმე ჩემს სიმღერებს და ჩემი ნამღერი რომ ესმის, დაცქვეტს ყურებს, მერე მოდის, ფეხზე მეხუტება და, ენერგიას იღებს ამით, თუ მაძლევს, ვერ გეტყვით. თუ ცუდად ვარ, ამასაც გრძნობს – მოდის, მეხება, კრუტუნებს და, ვგრძნობ, ცუდი როგორ მაქვს ჩემგან და დადებითით მავსებს. საოცრად მგრძნობიარეა. ერთხელ, მაღალი სიცხე მქონდა, შეილა მოვიდა და ლოგინში ჩამიწვა. ორ საათში სიცხემ დამიწია. ზოგადად, არ მიყვარს ცხოველებს მათი პატრონების გვერდით რომ სძინავთ. შეილასაც თავისი კუთხე აქვს, მაგრამ თუ დიდხანს ვერ მნახა, ვენატრები, ჩემთან წვება და ისე იძინებს. არ უყვარს მარტოობა. თუ მარტო დარჩა სახლში, წკმუტუნებს, კნავის, კარს პორჭყნის. თუ ჩემი ფეხსაცმელი დევს შემოსასვლელში, მასში წვება და ასე მელოდება სახლში. რომ მივალ, სიხარულს ვერ მალავს და მეც ვეფერები. მაგრამ, თუ ძალიან მოვეფერე და ეტკინა, ველარ საზღვრავს ხოლმე, როგორ გამოხატოს თავადაც სიყვარული ჩემ მიმართ და მკბენს *(იცინის)*.



ყველა ამბობს, რა საოცარი გარეგნობა აქვს შეილასო. ამ გარეგნობამ მომხიბლა სწორედ

**– ხშირად სეირნობთ ერთად სუფთა ჰაერზე?**

– სამწუხაროდ, არ უყვარს ქუჩაში სეირნობაოში. საოცრად ფაქიზია და სახლში, მყუდრო გარემოში ურჩევნია ყოფნა. ერთხელ, მოხეტიალე გოგოებმა *(იცინის)*, ანუ კატებმა, ძალიან გააბრაზეს, მაგრამ, არც ამან დააკლო. მიუხედავად იმისა, რომ შეილა სულიერად ნაზია, ისეთი ძლიერი ყოფილა ფიზიკურად, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. მოკლედ, გარეთ რომ გავიყვანე სასეირნოდ, შემოეხვივნენ ქუჩის კატები და ჩხუბი დაუწყეს. ამანაც გამოიჩინა თავისი კატური მოხერხება და ისეთი ბრძოლა გაუმართა, ეს ნამდვილი სანახაობა იყო.

**– მერე, ვერ გააშველე?**

– ისე ლამაზად იგერიებდა მათ, ცქერით დავტკბი და ცოტა ხანს ვაცადე *(იცინის)*. თავიდან, რომ დაესივნენ ქუჩის კატები, შოკი მივიღე, მაგრამ, შეილა რომ ბოქსიორივით ჩხუბობდა, ამან გამაოცა. ეს აღმოჩენა იყო ჩემთვის. ნამდვილი ფოცხვერი, პანტერა იყო თავისი მოქმედებებით. ისე მომეწონა ეს სანახაობა, გავიფიქრე, რა მაგარია-მეთქი, მაგრამ, მერე რომ მივხვდი, რამეს დაუშავებდნენ, კი ჩავერიე ჩხუბში და გავაშველე.

**ცხოველები ადამიანებზე კარგად გრძნობენ, ვინ არის მათ მიმართ კეთილად განწყობილი და ვინ – მტერი**

**– ქუჩაში რომ გხედავენ მასთან ერთად, ხალხს რა რეაქცია აქვს?**

– მისი საოცარი გარეგნობის გამო, ზოგს ეშინია *(იცინის)*, ზოგი გაოცებული აკვირდება, ზოგს კი არ მოსწონს და ამას გამოხატავენ კიდეც. თუმცა, ბევრს მოსწონს. ერთხელ ვსეირნობდით მე და შეილა და გავიგონე – შეხედე, ფუ, რას ჰგავს ეს კატაო და, ისე მეწყინა, ვერ აგიწერთ.

**– ამაზე შენ რა რეაქცია გქონდა?**

– არ ვარ კონფლიქტური და ვერ გამოვექიდები სიტყვებზე სხვას, მაგრამ, მეგონა, შეილამაც გაიგო და, რომ არ სწყენოდა, ჩავეხუტე, მაგრად მოვეფერე.

**– პასპორტი თუ აქვს ქალბატონ შეილას და რა გვარზეა ჩაწერილი?**

– დიახ, პასპორტი აქვს ჩემს გოგოს, სადაც წერია, რომ ის არის შეილა მარკუსის ასული მეტრეველი.

**– ქალბატონია და ალბათ, თაყვანისმცემლებიც ეყოლება. საპირისპირო სქესის მიმართ იჩენს ინტერესს?**

– შეილა უკვე ეძებს საპირისპირო სქესს და, თუ დაინახა და მოეწონა, კუდს მაღლა აიშვერს და კედელს ეხახუნება – ასე გამოხატავს მოწონებას; თან უფრო ელეგანტური ხდება, იპრანჭება და ინაზება. ისე შემაყვარა თავი, თუ მომავალში კნუტებს მაჩუქებს, აუცილებლად მათაც დავიტოვებ და მრავალშვილიანი მამა გავხდები *(იცინის)*. ძალიან მიყვარს ძაღლებიც და სიამოვნებით ვიყოლიებდი, მაგრამ, მათ მეტი ყურადღება სჭირდებათ, მე კი ამის დრო არ მაქვს. შეილას არ უყვარს ქუჩაში სეირნობა, ძაღლი კი დღეში ოთხჯერ უნდა გაიყვანო გარეთ.

**– შეილას თავად აბანავებ და უვლი?**

– დიახ, თავად ვუვლი შეილას, ვაბანავებ და ვასუფთავებ. სპეციალური შამპუნით ვბანაობთ და კანის მოვლის ბევრ საშუალებასაც ვხმარობთ. ძალიან სუფთაა, უბეწვოა და კანი ხავერდივით ნაზი აქვს. ექიმებთანაც დავდივართ და აცრებს ვიკეთებთ. კვებასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ასე რომ, ქალბატონი დიდ კომფორტშია.

**– ეს შენი პირველი “შვილობილია” თუ მანამდეც გყავდა ცხოველები სახლში?**

– სახლში არა, მაგრამ, სოფელში რომ ჩავდიოდი, ვგიჟდებოდი ცხოველებზე. ბავშვობიდან მიყვარს ცხენები, თხები, ძროხები, კატები, ძაღლები და ჩერჩეტი ქათმები *(იცინის)*. შემიძლია, საათობით ვეფერო და ვესაუბრო, ისინი ჩემს ენერგეტიკას კარგად გრძნობენ. მეზობელს ჰყავს დიდი „ავჩარკა,” ყველას უყეფს და ერჩის, მაგრამ, მე რომ დამინახავს, მშვიდია, არც მიყეფს და არც მერჩის. ასე რომ, ვფიქრობ, ცხოველები ადამიანებზე კარგად გრნობენ, ვინ არის მათ მიმართ კეთილად განწყობილი და ვინ – მტერი.

**ნონა დათეშიძე**

**მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარი მნიშვნელოვანი ქარტეხილებით იყო სავსე ქრისტიანობისთვის. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში დიოფიზიტობას (მართლმადიდებლობას) ებრძოდნენ მონოფიზიტები და სხვა ერესების მიმდევრები. ბიზანტიას ამ დროს საგარეო პოლიტიკაშიც ძალიან უჭირდა. მას თავს ესხმოდნენ სხვადასხვა მხრიდან – გუთები, ვანდალები, ჰუნები. აღმოსავლეთში ბიზანტიას ებრძოდა ირანი. ირანი კავკასიის ქვეყნების დაპყრობას და აქ, მაზდეანობის გავრცელებას ცდილობდა.**

# როგორ გადაწყვიტა ქვეყნის მომავალი ვახტანგ გორგასლის სიზმარმა

428 წელს ირანმა მეფობის გაუქმება შეძლო ქართლის მოსაზღვრე არმენიაში. არმენები მონოფიზიტურ სარწმუნოებას აღიარებდნენ. ირანის მმართველებმა გადაწყვიტეს, არმენული მონოფიზიტური ეკლესია გამოეყენებინათ საკუთარი ზრახვებისთვის – დიოფიზიტობის, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რომელიც ოფიციალური რელიგია იყო ახალ რომსა (ბიზანტიაში) და იბერიაში.

ქართლსა და ბიზანტიას შორის ტერიტორიების გამო შუღლი იყო. ახალ რომს მისაკუთრებული ჰქონდა ქართული მხარეები, ტრაპიზონ-ქალდეა, მესხეთის სამხრეთი ნაწილი და აფხაზეთი.

ასეთ ვითარებაში ქართლის მეფე გახდა ვახტანგ პირველი, რომელსაც „გორგასალს“ უწოდებდნენ მუზარადზე გამოსახული მგლისა და ლომის გამო.

მომავალი წმიდა მეფე დაიბადა 442 წელს. 7 წლისა დაობლდა. 15 წლის ასაკიდან შეუდგა სახელმწიფოს მეთაურობას. დაქორწინებული იყო ირანის შაჰის ჰორმიზდ მესამის ასულ ბალენდუხტზე, რომლისგანაც შეეძინა ორი შვილი, მათ შორის მომავალი მეფე - დაჩი.



ჰორმიზდი ძმამ, პეროზმა მოაკვლევინა და თვითონ დაიკავა ირანის ტახტი.

ვახტანგ პირველმა 16 წლის ასაკში ჩრდილოეთ კავკასია დალაშქრა, გაათავისუფლა ოსების მიერ ბავშვობაში მოტაცებული მისი და და მრავალი ქართველი. დაიმორჩილა ხაზარეთი, ოვსეთი, ყივჩაღები, პაჭანიკები, ჯიქები (ჯიქები ამ დროს ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ აფხაზეთის ჩრდილოეთში, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე). მერე ვახტანგ მეფე შავი ზღვის სანაპიროს გამოუყვა და შემოვიდა აფხაზეთში.

22 წლისამ ილაშქრა ბიზანტიის მიერ მიტაცებულ პონტოს ქართული მიწა-წყალზე. შეიჭრა ახალი რომის სახელმწიფოში. აიღო ციხე-ქალაქები: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. მიადგა შავი ზღვის ქალაქებს. სპარსელები და ქართველები ერთად ებრძოდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ ბერძნებს. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ გორგასალმა ტყვეები დაუბრუნა ბიზანტიელებს.

ამ დროს მოხდა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც განსაზღვრა ვახტანგ მეფის გეოპოლიტიკური არჩევანი და საქართველოს მომავალი.

პონტოს ზღვისპირა ქალაქთან, ალბათ, ტრაპიზონთან, რომელიც ისტორიულად ქართული ტომების ტერიტორიაზეა, ლაზეთში, მან გაიცნო მღვდელი პეტრე და ბერი სამოელი. მეფე დაუახლოვდა მათ. პეტრე კაპადოკიაში, ნაზიანზში, გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავზე იყო ნამოღვაწარი და მისი მოწაფე, ანუ მიმდევარი გახლდათ.

გრიგოლ ნაზიანზელი (უმცროსი) მართლმადიდებლობის შუქურაა ბასილი დიდთან და იოანე ოქროპირთან ერთად.

პეტრე და სამოელი ძალიან დაუახლოვდნენ მეფეს. ერთხელაც, მათი ლოცვის ძალით, ვახტანგ მეფეს გამოცხადება ჰქონდა.

მეფემ სიზმარში ნახა, თითქოს კონსტანტინოპოლში იყო და გამოეცხადა გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნათლის გვირგვინით მოსილი და წმინდა ნინო. მათთან ერთად იყო ბიზანტიის მოქმედი იმპერატორი (აქ იგულისხმება ლეონ პირველი, აღმსარებელი, რომელიც მაშინ განაგებდა აღმოსავლეთ რომის იმპერიას. ეს იმპერატორი მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმიდანადაა შერაცხილი, რადგან ფხიზლად იცავდა ბიზანტიაში მართლმადიდებლობას, ანუ დიოფიზიტობას მონოფიზიტობისა და სხვა ერესებისგან.

ქართველთა მეფის ერთი ხელი პეტრეს ეპყრა ხელში, მეორე – სამოელს. გრიგოლ ნაზიანზელმა უთხრა მეფეს, დედაღვთისა და წმინდა ნინო ილვწიან ქართველებისთვის და ამიტომ, გეპატიაო ქრისტიანების წინააღმდეგ ომი.

შემდეგ ვახტანგი ეამბორა წმიდანის ხელს. გრიგოლ ღვთისმეტყველმა ხელი დაიდო ნათლის გვირგვინზე, მსგავსი გვირგვინი შეიქმნა და გადასცა ქართველ მეფეს სიტყვებით:

- „დაადგი პეტრეს“!

შემდეგ პეტრემ თავისი გვირგვინიდან წარმოქმნილი მსგავსი გვირგვინი ასევე დაადგა სამოელს.

წმინდა ნინომ უთხრა ქართველ მეფეს: მიდი, კეისართან „და მიიღე ნიჭი შენი“! მივიდა ჩვენი მეფე რომაელ-ბიზანტიელთა მეფესთან.

მეფეებმა გადაკოცნეს ერთმანეთი. საიმპერატორო ტახტზე მჯდომი კეისარი ჩაიწია

**თუ დავაკვირდებით, ისინი განლაგდნენ იმ ადგილებში, საიდანაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მეზობელი არმენიის ეკლესიაში გაბატონებული მონოფიზიტური ერესის შემოტევა**

და ქართველთა მეფე გვერდით დაისვა. მერე ბერძენმა ხელმწიფემ მოიხსნა ნათელთვლიანი ბეჭედი ხელიდან, ვახტანგს გადასცა და უთხრა:

– თუ გნებავს, რომ მოგცე გვირგვინი, აღუთქვი მას, ვინც დგას ჩვენს ზემოთ, რომ შეებრძოლები მის მტრებს და მიიღე მისგან გვირგვინი.

მოიხედა ვახტანგ მეფემ და დაინახა ჯვარი, რომელსაც თავს ედგა გვირგვინი. ჯვრის ხილვამ შეაძრწუნა მეფე. წმიდა ნინომ, პეტრემ და სამოელმა ერთხმად თქვეს:

- ჰოი, ჯვარო უძლეველო! ჩვენ ვართ თავმდებნი!

კეისარმა მოხსნა გვირგვინი ჯვრისგან და დაადგა ვახტანგ გორგასალს თავზე.

ეს ხილვა მეფეს ჯერ კიდევ სიზმარშივე და ხელმეორედ ცხადში, აუხსნეს პეტრემ და სამოელმა. მათი თქმით, ნათლისგვირგვინიანი მოხუცი იყო გრიგოლ ღვთისმეტყველი. ნათლის გვირგვინის გადაცემა პეტრესთვის ნიშნავს ეპისკოპოსთა მთავრად დადგინებას. სამოელისთვის ნათლის გვირგვინის დადგმა, მის ეპისკოპოსად დადგინებას მოასწავებს. კეისრის ბეჭედი ნიშნავს მის ასულზე დაქორწინებას და ქართული მიწების დაბრუნებას ბერძენთაგან, ხოლო გვირგვინი ჯვრისგან ნიშნავს – „მრავალი ღვაწლი გექნება ჯვრის შეწევნით... ემსახურები ქეშმარიტებას... შენ მიერ დადგინდება ქართლის კათალიკოსი და ეპისკოპოსები. და მიიღებ წამების გვირგვინს ბრძოლაში, ტყვედ კი არ ჩავარდები“.

ამ ხილვის აღწერით მემატიანე ჯუანშერი გვაუწყებს, რომ კეისარმა თავის თანასწორად სცნო ვახტანგი, გვერდით დაისვა საიმპერატორო ტახტზე.

მართლაც, ვახტანგ გორგასლის სიზმარი ახდა.

ბიზანტიის კეისარი ლეონ პირველი იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა ვახტანგ მეფისთვის. იმპერატორმა ფიცით შემოუთვალა ქართველ მეფეს, რომ თავისი მეფობის სწორად ცნობდა.

როგორც გვამცნობს ჯუანშერი, ზავის პირობებით უკვე დაქვრივებული ვახტანგ მეფე დაინიშნა იმპერატორ ლეონ პირველის ასულ ელენეზე. საქართველოს დაუბრუნდა მისი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო მას შემდეგ, რაც მეფე იქორწინებდა კეისრის ასულზე, აფხაზეთსაც დააბრუნებდა ბიზანტია, ოფიციალურად, სადედოფლოს მზითვად.

გარდა ამისა, ბიზანტიის იმპერატორის წინადადებით, კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქებმა ქართლის ეკლესიის ავტოკეფალია ცნეს. იმ დროს კათალიკოსის ტახტის (საყდრის) არსებობა რომის იმპერიის გარეთ მყოფი ეკლესიებისთვის, ავტოკეფალიას ნიშნავდა და კათალიკოსს ბიზანტიელი პატრიარქების თანაბარი პატივი ჰქონდა.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, მოციქულთა მიერ დაარსებული ყველა ეკლესია დამოუკიდებელი იყო, ასევე საქართველოს ეპარქიებიც (ეკლესიაც) დასავლეთში თუ აღმოსავლეთში. მაგრამ, საეკლესიო კანონებით, და ასევე, პოლიტიკურად, ამას ყველაფერს დადასტურება სჭირდებოდა.

ვახტანგ მეფის სურვლისამებრ, ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერატორისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის თხოვნით, ანტიოქიის პატრიარქმა საქართველოს (ქართლის) კათალიკოსად აკურთხა პეტრე პირველი. მასთან ერთად თორმეტი ეპისკოპოსიც აკურთხა (მათ შორის იყო სამოელი) და ისინი კონსტანტინოპოლის გავლით გამოემართნენ საქართველოსკენ და თან, წამოიყვანეს იმპერატორის ასული – ელენე, საქართველოს სადედოფლო და პირველი კათალიკოსი პეტრე პირველი 467–474 წლებში განაგებდა მცხეთის საკათალიკოსოს. პეტრეს შემდეგ კათალიკოსის ტახტზე ავიდა სამოელ პირველი (474–502), ორივე წმიდანადაა

# როგორ ცხოვრობს გოგონა, რომელიც სასჯელს მეუღლის მკვლელობისთვის იხდიდა და საპატიმრო ახლახან დატოვა

*რამდენიმე დღის წინ პატიმრობიდან გაათავისუფლეს 19 წლის ელენე ჯავახია, რომელიც სასჯელს მეუღლის მკვლელობისთვის იხდიდა.*

*ელენე 15 წლის გათხოვდა სკაიპით გაცნობილ ბიჭზე და მათი ერთთვიანი თანაცხოვრება ტრაგედიით დასრულდა – გოგონამ მეუღლეს სამზარეულოს დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.*

*როგორც ჯავახია განმარტავდა, გათხოვების შემდეგ მას ძველი მეგობარი ოჯახის დანგრევასა და ცოლად მოყვანას სთავაზობდა. ამიტომ მეუღლეებს შორის ეჭვიანობის ნიადაგზე კამათი ხშირი იყო. ერთხელ კი, განაწყენებულმა ელენემ მშობლებთან დაბრუნება გადაწყვიტა, მეუღლემ კი ამის საშუალება არ მისცა, რასაც კამათი მოჰყვა, რომელიც, მისივე თქმით, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ჯავახიამ მეუღლეს გულმკერდის მარცხენა არეში ჭრილობა მიაყენა, რაც მისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა.*

*გოგონას ბრალი განზრახ მკვლელობის მუხლით წარედგინა და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, მაგრამ, არასრულწლოვნობის გამო, სასჯელი 10 წლამდე შეუმსუბუქდა.*

*ჯავახია ბრალდებას არ ეთანხმებოდა და აღნიშნავდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა თავდაცვის მიზნით, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად და არა განზრახ; ამიტომ განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განაჩენი უცვლელი დარჩა.*

*ამ ამბის შემდეგ თითქმის ოთხი წელი გავიდა და ახლახან, შეწყალების შედეგად, ელენე ჯავახია საპატიმროდან გაათავისუფლეს.*

**– ელენე, თავს დამნაშავედ არ მიიჩნევთ?**

– პროკურატურამ მე დამაბრალა, მაგრამ, ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც ოფიციალურ საქმეშია შეთითხნილი: საქმეში არის გამოყენებული სამი დანა და „პოლის ჯოხი", მაგრამ, არც ერთ დანაზე არ არის თითის ანაბეჭდი. ანაბეჭდები გააქრეს, რათა არ აღმოჩენილიყო, რომ მასზე ორივეს ანაბეჭდი იყო – ჩემიც და მისიც; რომ არ დადასტურებულიყო, მასაც ეჭირა დანა, ანაბეჭდები წაშალეს. საქმეში არ ჰქონდათ მტკიცებულება და ვერ მიმტკიცებდნენ განზრახ მკვლელობას, თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც 15 წლით პატიმრობა მომისაჯეს.

მე დამნაშავე ვარ, რადგან მკვლელობა ჩავიდინე, მაგრამ, ეს იყო თავდაცვის მიზნით ჩადენილი და არა განზრახ მკვლელობა, როგორც დამაბრალეს. ეს სიმართლე არ არის.

ღმერთმა განსაჯოს მტყუანი და მართალი. ვინც ჩემ მიმართ შესცოდა, მე მისთვის მიმიტევებია.

იმ პატიმრებს, ვის გვერდითაც მე ვიყავი; ადმინისტრაციას, რომელმაც შვილივით მიმიღო და აღმზარდა და რაც მთავარია, ეკა ბესელიასა და კომისიის ყველა წევრს ვუხდი მადლობას.



**მივმართავ პატარა გოგონებს: არ იჩქაროთ გათხოვება! სანამ ამ ნაბიჯს გადადგამთ, კარგად გაიცანით ის ადამიანი**

**– რამდენი ხანია, რაც გაგათავისუფლეს?**

– 31 ივლისს გამათავისუფლეს, შეწყალებით.

**– პატიმრობაში რამდენ ხანს იყავით?**

– 3 წელი და 10 თვე.

**– 15 წლის გოგონასთვის, ალბათ, ძალიან რთული იყო პატიმრობასთან შეგუება.**

– კი, ძალიან რთული იყო, განსაკუთრებით, მშობლებთან და და-ძმებთან განშორება, მაგრამ, ადმინისტრაციაც და პატიმრებიც, ყველა მეხმარებოდა ამ ტკივილის გადატანაში. ყველა საკუთარი შვილივით მექცეოდა. არც ძალადობა ყოფილა და არც არაფერი მსგავსი. ქალთა დაწესებულებაში ასეთი რამეები არ ხდება.

**– როგორც ვიცი, საპატიმროში გამართულ ღონისძიებებში იღებდი მონაწილეობას.**

– ბოლო ღონისძიებაში მივიღე მონაწილეობა. როცა გავიგეთ, რომ რობერტ სტურუა მოდიოდა და ჯულიეტა უნდა მეთამაშა, უარი არ მითქვამს. სონეტი უნდა წამეკითხა და მეცეკვა.

**– ჯულიეტას როლი, ალბათ, იმიტომ, მოგცეს, რომ ძალიან ლამაზი გოგონა ხარ...**

– არა, უბრალოდ, ყველაზე პატარა ვიყავი და, თან, საბალეტო სკოლა მაქვს დამთავრებული.

**– შენს თამაშს თეატრიდან რამე გამოხმაურება ხომ არ მოჰყოლია, ან, შენ ხომ არ გეგმავ ამ გზის გაყოლას?**

–თეატრში დამპატიჟეს. ჯერჯერობით არ ვიცი, რა იქნება. ამაზე არ მიფიქრია.

**– ახლა, როცა უკვე თავისუფალი ხარ, რას აპირებ, რა გეგმები გაქვს?**

– კონკრეტული გეგმები არ მაქვს. ალბათ, დიდი დრო დამჭირდება ჩამოყალიბებისთვის.

**– რა შეცვალა ამ ფაქტმა და საპატიმროში გატარებულმა წლებმა შენში?**

– მივმართავ პატარა გოგონებს: არ იჩქაროთ გათხოვება! სანამ ამ ნაბიჯს გადადგამთ, კარგად გაიცანით ის ადამიანი. ჯერ სწავლას მიხედეთ, კარიერა აიწყვეთ და გათხოვებაზე შემდეგ იფიქრეთ!

მშობლიური ოჯახი არაჩვეულებრივი რამ არის. როგორც ოჯახი გაგიგებს და გვერდში დაგიდგება, ისე სხვა ვერასდროს შეძლებს. მადლობა ჩემს ოჯახს გვერდზე დგომისა და სიყვარულისთვის.

და, კიდევ ჩემს საუკეთესო მეგობარს – ნინო ბერუაშვილს, რომელიც იქ დავტოვე და გული მწყდება.

**ქეთი მოდებაძე**

---

შერაცხილი ეკლესიის მიერ.

სამოელი გახდა მცხეთის ეპისკოპოსი, დანარჩენები გამღვდელმთავრდნენ შემდეგ ადგილებში: კლარჯეთში, ერუშეთში, ჯავახეთში, მანგლისში, ბოლნისში, რუსთავში, ნინოწმინდაში, ჭერემში, ჩელეთში, ხორნაბუჯში, აგარაკს.

თუ დავაკვირდებით, ისინი განლაგდნენ იმ ადგილებში, საიდანაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მეზობელი არმენიის ეკლესიაში გაბატონებული მონოფიზიტური ერესის შემოტევა, რასაც ასე უფრთხოდნენ ქართველები (ასევე, ალბანეთის მხრიდან, ალბანეთის ეკლესიას ძალზე უტევდნენ არმენი მონოფიზიტები და სპარსები). ეს მართლაც დიდი საფრთხე იყო, თუ გავიხსენებთ, რომ სპარსეთის სამეფო კარი მხარს უჭერდა მონოფიზიტიზმს, ქრისტიანულ სამყაროში არეულობის შეტანის მიზნით.

მოკლედ, დასავლეთიდან მოსული მღვდელმთავრები განლაგდნენ, ვითარცა მცველები, საქართველოს სამხრეთ (ერთი აღმოსავლეთში) მხარეებში.

კეისართან დაზავების დღიდან ვახტანგ მეფისთვის მიზანი ძირითადად მიღწეული იყო – სამცხე, კლარჯეთი შემოიერთა, დასავლეთ საქართველოზე გავლენა გაავრცელა, კეისარმა თანასწორად ცნო და მოყვრობა შესთავაზა. ამის შემდეგ სპარსელების, სხვა სარწმუნოების მიმდევრების, ქართლზე თავისი გავლენის გავრცელების მოსურნეების მოკავშირეობა, საჭირო აღარ იყო. ამის მერე ქრისტიანობის, ანუ საკუთარი ცივილიზაციის მთავარი მახასიათებლის დაცვა გახდა მიზანი. ამ დროისთვის სპარსთა მეფეს უკვე დაკავებული ჰქონდა პალესტინა. დადგა ახალი გამოწვევის გადალახვის დრო. მთლიანი კონფრონტაცია ბიზანტიასთან შეუძლებელი შეიქმნა, რადგან აღმოსავლეთიდან, ირანიდან მაზდეანობის შემოტევა იყო, ხოლო სამხრეთიდან კი – ირანის დახმარებით, არმენული მონოფიზიტიზმის.

ამგვარად, სასწორზე დადგა მართლმადიდებლობის გადარჩენა ქართლში და ამიტომ, მას არ აწყობდა ბიზანტიის დამარცხება. ქართველთა მეფემ შუამავლობა იკისრა, დაარწმუნა სპარსთა შაჰი და დააზავა რომაელები და სპარსები.

ვახტანგ გორგასლის მოთხოვნით, შაჰმა ქრისტიანებს დაუბრუნა პალესტინა, ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრების კანონიერება და ხელუხლებლობაც ცნო. ასევე, ხაზართა მეფეს, თავის მოკავშირეს ამცნო მათ შორის მშვიდობის დამყარება.

სამაგიეროდ, ვახტანგ მეფისგან მოითხოვა, გაერთიანებულებს, სპარსებს და ქართველებს ერთად ელაშქრათ აღმოსავლეთით ჰუნების, ასევე ინდოეთის, სინდეთისა და სხვათა წინააღმდეგ. ჯუანშერის ცნობით, ამ ლაშქრობაში ქართველებს ბიზანტიის კეისრის სარდალი ლეონი და მისი ჯარი ახლდა. აღმოსავლეთში გარდახდილ ომებში ქართველი მეფე ცდილობდა სპარსეთის შაჰი დაეყოლიებინა დასაპყრობი ქვეყნების მშვიდობიან ვასალიტეტზე...

გავიდა ხანი, სპარსეთის ახალმა შაჰმა საკუთარი ასული და მოკავშირეობა შესთავაზა ვახტანგ მეფეს ბიზანტიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის სანაცვლოდ. მაგრამ, მეფეს სპარსთაგან სრული დამოუკიდებლობა და მართლმადიდებლობის გაძლიერება უნდოდა, ამიტომ უარი შეუთვალა და მის წინააღმდეგ ამხედრდა. ეს საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, მაგრამ ქართული სამყაროსთვის გადამწყვეტი – ჩვენ ჩვენი სახე ამგვარად შევინარჩუნეთ!

ასე იმოქმედა სასწაულებრივმა სიზმარმა დიდ პოლიტიკასა და საქართველოს მომავალზე.

**გიორგი მახობეშვილი**

**მომღერალი გია სურამელაშვილი საზაფხულო არდადეგებს ზღვისპირეთში ატარებს და თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს. მისმა თაყვანისმცემლებმა ამჯერად ქობულეთში მოიყარეს თავი და ჩვენი რესპონდენტის კონცერტებს ყოველ საღამოს საზაფხულო რესტორანში ესწრებიან.**

# რატომ აკითხავენ ყოველ საღამოს გია სურამელაშვილის ფანები „ბროდვეის" და რით ანებივრებს ის თაყვანისმცემლებს

**– ამჟამად სად ხარ და როგორ უმკლავდები ზაფხულის ცხელ დღეებს?**

– 26 ივლისიდან ქობულეთში ვარ, სადაც საზაფხულო რესტორან „ბროდვეიში" ვმღერი. უკვე ყველამ გაიგო, აქ რომ ვარ და ყოველ საღამოს მოდიან ჩემს მოსასმენად.

**– აგვისტოს ბოლომდე განაგრძობ კონცერტებს?**

– რამდენიმე დღეში გადაწყდება, ზუსტად რამდენ ხანს დავრჩები აქ. სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში, გასტროლები მეწყება: ჯერ ბელგიაში წავალ და მერე ამერიკაში, ან – პირიქით, ვნახოთ.

**– მახსოვს, ერთხელ ინტერვიუში აღნიშნე, რომ კატასტროფულად გეშინოდა თვითმფრინავით მგზავრობის.**

– მართლა ძალიან მეშინოდა თვითმფრინავით მგზავრობის, ამიტომაც, ამერიკიდან მეშვიდე თუ მერვე მცდელობაა ჩემი იქ მიწვევის და კონცერტის ჩატარების. ამჯერად ისეთი თანხა შემომთავაზეს, რომ, ალბათ, უნდა გავრისკო და ჩავფრინდე. ჯერ ზუსტი თარიღი გადაწყვეტილი არ არის და მშვიდად ვარ; აი, ყველაფერი რომ გადაწყდება, მერე უკვე არ ვიცი, რა დამემართება. მართლა არ ვიცი, 14 საათი როგორ ვიფრენ, ალბათ ნევროზი დამემართება, ძალიან ვნერვიულობ. შეიძლება, კიდევ ჩავშალო, არ ვიცი.

**– ჩაგიშლია როდესმე?**

– კი, რამდენჯერაც გინდა. ეს უკვე მერვე მცდელობაა. თანხის დაინტერესებასთან ერთად, ამჯერად კარგი შემოთავაზებები მაქვს ამერიკიდან და, იმედია, გავრისკავ.

**– გინდა თქვა, რომ ერთი და იგივე ადამიანი გყავს რვაჯერ იმედგაცრუებული?**

– არა, სხვადასხვა წარმომადგენლები იყვნენ. სიმართლე გითხრა, მაშინ თანხაც არ მხიბლავდა, რასაც მთავაზობდნენ და, ამის გამო 14 საათი ჰაერში ვერ ვიქნებოდი. ბოლოს კი მე, ლელა და მამულიჩა უნდა გადავფრენილიყავით, მაგრამ მაშინ თვითონ სიტუაცია ჩაიშალა. ღმერთის მადლით, კონცერტები და შემოთავაზებები არ მაკლია სხვადასხვა ქვეყნიდან.

**– წლების განმავლობაში მომღერლები მოდიან, მიდიან, მაგრამ გია სურამელაშვილი სულ აქტუალურია.**

– ამას ძალიან ხშირად ამბობენ და ფაქტის წინაშეც ხშირად ვყოფილვარ. ხალხს ვუყვარვარ, დღეში 50 ფოტოს მაინც ვიღებ უცნობ ადამიანებთან. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ, რომ ფუჭად არ ჩაუვლია 25-წლიან სცენაზე დგომას. ამ ყველაფერს ვგრძნობ ქობულეთშიც, სადაც ამჟამად ვიმყოფები. კომფორტულად ვარ და ბედნიერად ვგრძნობ თავს, მიუხედავად იმისა, რომ აღარ ვარ შეყვარებული.

**– ეს თაყვანისმცემლების ერთგვარი გამოწვევა ხომ არ არის?**

– მართლა არაფერი ხდება პირად ცხოვრებაში.

**– რატომ?**

– ჯერ იმიტომ, რომ ძალიან ცხელა და, სურვილიც არ მაქვს, ძალიან გადავიღალო და ვინმეზე ზედმეტად ვიფიქრო. ფიზიკურად ვერ ვიტან სიცხეს და ზაფხულს. ისიც არ ვიცი, წელს როგორ დავთანხმდი ქობულეთში სიმღერას. წინა წლებშიც მქონდა მოწვევები და არ ვთანხმდებოდი. ისე, კარგად ვერთობით. ამ რესტორანში არიან ლოლიტა და გიორგი წერეთელიც. რომ გითხრა, ზღვაზე გავდივარ-მეთქი, არა; რაც აქ ვარ, სულ სამჯერ ვიყავი გასული, ისიც ღამით. „ზაგრის" ნერვები ნამდვილად არ მაქვს. მოკლედ, ლამაზი საზაფხულო არდადეგები მოვიწყვე საკურორტო რომანის გარეშე, თუმცა, არც ეს არის გამორიცხული – ადამიანის ცხოვრება შეიძლება ერთ წუთში შეიცვალოს. ჩემს თაყვანისმცემლებს არ სძინავთ, ფხიზლად არიან და ზარი ზარზე შემოდის ტელეფონზე – შერიგება უნდათ, მაგრამ, მე ამ აზრს არ ვეთანხმები, რადგან ძალიან კარგად და მშვიდად ვარ მარტო, რასაც ჰქვია, ფსიქოლოგიურად ვისვენებ.



**ამჯერად ისეთი თანხა შემომთავაზეს ამერიკიდან, რომ, ალბათ, უნდა გავრისკო და ჩავფრინდე. არ ვიცი, 14 საათი როგორ ვიფრენ, ალბათ ნევროზი დამემართება, ძალიან ვნერვიულობ**

**ერთმა ბიჭმა მითხრა, თქვენი სიყვარულით მამაჩემი, მგონი, გავაბანკროტე, იმდენ ოქროებს ვყიდულობო. მაიკა ჩამოიწია და მაჩვენა თავისი სამკაულები**

**– დაცვის გარეშე ხარ?**

– არა, რა თქმა უნდა; დაცვა ჩემთან არის ტრადიციულად. მე სიმარტოვეში მხოლოდ საყვარელ ადამიანს ვგულისხმობდი.

**– ქობულეთელებმა როგორ მიგიღეს?**

– ძალიან კარგად და სიყვარულით მხვდებიან ყველგან. მაღაზიაში თუ შევედი, რაღაც-რაღაცეებს მჩუქნიან, შარფებიც მაჩუქეს. მათი ამხელა სიყვარული ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის. ისე, მაინცდამაინც ხშირად არ დავდივარ ფეხით, ძირითადად მანქანით გადავადგილდები. თუმცა, ვისაც ჩემი ნახვა სურს, ამის საშუალება ნამდვილად აქვს – ყველამ იცის, საღამოობით სადაც ვმღერი.

**– როგორი ურთიერთობა გაქვს თაყვანისმცემლებთან?**

– ძალიან თბილი და უშუალო, რითაც, სხვათა შორის, ძალიან გაკვირვებულები რჩებიან. ყველა ასაკის ადამიანია მათ შორის. ალბათ, ისიც არ ეგონათ, რომ ყველა მსურველთან სურათს გადავიღებდი. ერთმა ბიჭმა ისიც მითხრა, თქვენი სიყვარულით მამაჩემი, მგონი, გავაბანკროტე, იმდენ ოქროს ვყიდულობო. მაიკა ჩამოიწია და მაჩვენა თავისი სამკაულები. ხუმრობით ვუთხარი, მე რამდენიც მიკეთია, იმდენი მაინც არ გიკეთია-მეთქი – 7 ბეჭედი, 3 ჯაჭვი და 5 ბრასლეტი მეკეთა. მითხრა, არა უშავს, ხვალიდან მაგდენს გავიკეთებო.

**– ქობულეთში ძალიან ბევრი სომეხი და აზერბაიჯანელი ტურისტი ისვენებს. ისინი თუ გცნობენ?**

– აშკარად მცნობენ და ფოტოებსაც იღებენ ჩემთან. „იუთუბის" საშუალებით ყველამ ყველაფერი იცის. მოსწონთ ჩემი სიმღერები და ცეკვავენ კიდეც. ზაფხულის ჰიტი – „შენთან მინდა", აქ ძალიან მოდაშია და აშკარად მოთხოვნადია. ამ სიმღერას გიორგი მოძმანაშვილთან ერთად ვმღეროდი, აქ კი მარტო ვმღერი, რადგან, გიორგი აქ არ არის. სოლო შესრულებამაც ძალიან გაამართლა.

**– „შენთან მინდა", – როგორც აღნიშნე, ასე ჰქვია ამ სიმღერას; რეალურად, ვისთან უნდა გია სურამელაშვილს?**

– ამჟამად არავისთან არ მინდა; რომ მდომებოდა, აქ მეყოლებოდა. ეს სიმღერა უფრო სხვადასხვა ადამიანზე და მათ სურვილებზეა გათვალისწინებული. ამიტომაც არის „იუთუბიზე" ასეთი პოპულარული.

**– ცალმხრივად გყვარებია ვინმე?**

– ცალმხრივი სიყვარული არასდროს მქონია.

**– ძალიან თავისუფალი ადამიანი ხარ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ არის ისეთი რამ, რისი კომპლექსიც გაქვს?**

– არანაირი კომპლექსი არ მაქვს და ვგრძნობ, რომ ყველას მოსწონს. ვარ ის, რაც ვარ.

**– შვილიშვილი სად გყავს?**

– ჩემი შვილი ცოლ-შვილით ისვენებს ურეკში და, მიხარია, რომ ჩემთან ახლოს არიან. როცა დრო მაქვს, ყოველთვის ვნახულობ მათ.

**– რამდენიმე თვის წინ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ნერვიულობა შეგხვდა. ამჟამად როგორ არის საქმე?**

– ღვთის მადლით, ყველაფერი კარგად არის და ყველაფერი გამოსწორდა, სრულიად ჯანმრთელი ვარ. თავს ვუვლი, ძალიანაც არ ვიტვირთავ თავს. ბედს ნამდვილად არ ვუჩივი.

**– კიდევ რა სიახლეს უნდა ველოდოთ შენგან?**

– არ არის გამორიცხული, ბელგიაში ან ამერიკაში დავრჩე რამდენიმე თვით.

**მარიკა ხიდურელი**

# როგორი იქნება „კაზანტიპის" მნიშვნელობა ანაკლიისთვის და როგორ მიიღებენ ისინი ღონისძიების ჩატარებას ადგილობრივი მაცხოვრებლები

*ანაკლიაში „კაზანტიპის" სამზადისი დასასრულს უახლოვდება. „Z22-ის" სეზონის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. „გენაცვალე სიტი" უმასპინძლებს ნებისიერ ადამიანს, რომელიც დროულად გამოთქვამს ვიზის შეძენის სურვილს. ერთი ადამიანი კარვით 10 დღის განმავლობაში 99 დოლარად ისარგებლებს. ვიზის აღება კიდევ უფრო გამარტივდა: სტუდენტებისთვის, 4-8 აგვისტოს ჩათვლით, 50-პროცენტიანი ფასდაკლება დაწესდა. პროექტი მინიმუმ მზეს, ზღვას, ქვიშას, სისხლის ამადუღებელ მუსიკასა და ბევრ ღიმილს გვპირდება. როგორც კაზანტიპის პრეზიდენტი, ნიკიტა მარშუნოკი, ამბობს „ეს იქნება დაუვიწყარი ათი დღე". „Z22 -ის" ახალი სეზონი, როგორც უკვე ვიცით, 20 აგვისტოდან გაიხსნება. „რესპუბლიკაში" არის ოთხი სცენა, მათ შორის მთავარია „მაინ სტაგე", რომელსაც საკუთარი ამფითეატრი აქვს და ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს გვიჩვენებს, კერძოდ: გახსნისა და დახურვის გრანდიოზულ ცერემონიალს, ახალ წელს, ჩემოდნების აღლუმს და სხვა გართობას ყოველდღე დაემატება „რესპუბლიკა კაზანტიპის" სტუმრებისა და მცხოვრებლების ერთად შეკრება, რათა მზის ჩასვლას უყურონ – გააცილონ მზე და ჩაუთქვან სურვილები. სიახლეებითა და სიურპრიზებით დატვირთული ათი დღე გვპირდება ახალ მუსიკას სხვადასხვა ჯგუფის ცოცხალი შესრულებით. ანაკლიაში „კაზანტიპის რესპუბლიკა" ტრადიციებს არ უღალატებს და, როგორც ყოველწლიურად, წელსაც გაიმართება „ინვიტე სტაგეს" ტერიტორიაზე საპნის ბუშტების ღონისძიება და საქორწინო ცერემონიალები.*



*ანაკლიის ტერიტორიაზე უკვე დაიდგა „რესპუბლიკა კაზანტიპის" სიმბოლო – ყვითელი ჩემოდანი, რომლის შიგნით საინფორმაციო ცენტრი განთავსდება. თვალშისაცემი იქნება ბარების ნაირფეროვნება; ქართული ეროვნული სამზარეულოს გვერდით ბინას დაიდებს ბერძნული, თათრული და იტალიური კერძები. „კაზანტიპი" მხოლოდ მუსიკალური ფესტივალი არაა, იგი აერთიანებს სპორტულ, კულტურულ და მუსიკალურ მოვლენებს. სპორტის მოყვარულებისათვის ხელმისაწვდომი იქნება საფეხბურთო მოედანი და ჩოგბურთის სათამაშო კორტები. მუსიკალურ ღონისძიებას არაერთი ქართველი მუსიკოსი წარუძღვება, მათ შორისაა გიო შენგელია და „ბაჩო & ჩობერტ".*

*მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი დაპირებებისა, ქართულ საზოგადოებაში ამ პროექტთან დაკავშირებით აზრი ორად იყოფა: ერთი ნაწილი ღონისძიების ჩატარებას ემხრობა, მეორე კი, პირიქით – კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ამ ფაქტთან დაკავშირებით, „კაზანტიპის" პრეზიდენტმა, ნიკიტა მარშუნოკმა განაცხადა:*

„მინდა ვუთხრა ხალხს, რომლებიც აპროტესტებენ „კაზანტიპის" ჩატარებას, რომ აქ იქნება შესანიშნავი მუსიკა და გარემო. რა ხდება? ეწინააღმდეგებიან ისინი ღიმილს? მითხარით, რაშია პრობლემა? აბა, დავფიქრდეთ, რისი მოტანა შეუძლია „კაზანტიპს" საქართველოსთვის? ისიც გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია, მსოფლიო სასწაულს ელოდება ამ კრიზისის დაძლევაში. ჩვენ ამ მხარეს, ამ ადგილს გადავაქცევთ ერთ-ერთ საუკეთესო და მიმზიდველ კურორტად. ადგილობრივების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება – ეს იქნება ფულის შოვნის საუკეთესო გზა. მინდა დავამატო, რომ „კაზანტიპი" 22 წელია, არსებობს და ხალხის დიდი რაოდენობა გვისმენს, მოსწონთ ეს პროექტი. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, რელიგიასა და ეკონომიკას ერთმანეთში ნუ ავურევთ".



გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომ ანაკლია „კაზანტიპს" 10 წლის განმავლობაში უმასპინძლებს, მარშუნოკი აცხადებს:

„ვერ გეტყვით, ეს ჩვენ არ დაგვიგეგმავს. მიწის იჯარით აღებას თუ გულისხმობთ, ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკება მთავრობასთან, გაიმართა რამდენიმე სხდომა. თუ ამ ფაქტს ხალხი გააპროტესტებს, რა თქმა უნდა, ჩვენ გავითვალისწინებთ მათ აზრს. ისინი ამბობენ, რომ ეს ღონისძიება ამორალურია, თუმცა, ვერ ვხვდები, მე რაში მადანაშაულებენ, როდესაც მთავრობა თანახმაა. გადაწყვეტილებას იღებს ჩვეულებრივი ხალხი, ამიტომ, მათი აზრი მნიშვნელოვანია ჩვენთვის. უკვე მეეჭვება, ანაკლიაში მოიძებნებოდეს ადამიანი, რომელიც წინააღმდეგია ამ ღონისძიების ჩატარების. დაველოდოთ პირველ სექტემბერს და შემდეგ ვისაუბროთ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე".

ნიკიტა მარშუნოკის განცხადების შემდეგ ადგილობრივებთან დაკავშირებით, გავესაუბრეთ ანაკლიელებს. ერთ-ერთმა მათგანმა „თბილისელებს" განუცხადა:

„ჩვენ არ ვართ ამ ღონისძიების ჩატარების წინააღმდეგი – ეს გახდება ჩვენი შემოსავლის წყარო. გარდა იმისა, რომ ტურისტებს ვუმასპინძლებთ, გაგვიჩნდა სამუშაო – „კაზანტიპის" სამშენებლო საქმიანობაში ჩავებით. ესეც ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის, რადგან, არ გვაქვს სტაბიულური სამუშაო და, შესაბამისად – შემოსვალი. წარმოდგენა არ მაქვს როგორია თავად ღონისძიება, უბრალოდ, რასაც ამბობენ, ის ვიცი მეც. ამიტომ, არ მინდა წინასწარ ლაპარაკი და ვინმე განვსაჯო. ვფიქრობ, მაინც უნდა დაველოდოთ მის დამთავრებას და მერე გადაწყდება ყველაფერი, კიდევ უნდა ჩატარდეს თუ არა. იმ ინფორმაციით, რასაც ჩვენ ვფლობთ, დასაშვებია პროექტის განხორციელება. ეს არის ჩემი შეხედულება, სხვა რას ფიქრობს, არ ვიცი. ბიზნესის თვალსაზრისით, გაცილებით ბევრად მომგებიანი იქნება. ოჯახებმა, რომლებმაც შეძლეს, აიღეს სესხები, რათა ტურისტს ნორმალურ გარემოში მოუწიოს ცხოვრება".

ადგილობრივებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც წინასწარ კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

პროექტის ფარგლებში, გასართობ ღონისძიებებს ემატება, აგრეთვე, საზღვაო, სალებავებისა და ბალიშების „ომი"; ბუშტების გაშვება. „რესპუბლიკა კაზანტიპის" კონსტიტუციის მიხედვით, ყოველი დღე დაკანონებულია როგორც დღესასწაული.

# დმანისში ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა

3 აგვისტოს, დმანისში, ადგილობრივ ფესტივალზე, რეკორდსმენების გამოსვლა გაიმართა. საქართველოს მოქალაქე ეტიბარ ელჩიევმა ორი მსოფლიო რეკორდის დამყარება შეძლო. პირველი რეკორდი: მან ორგანიზმში არსებული ბიოენერგიისა და მაგნიტის მეშვეობით, სხეულზე მიიკრა თვრამეტკილოგრამიანი რკინა, რომელზეც ორი ადამიანი იჯდა. ამ „ტვირთმა" სულ 170 კილოგრამი შეადგინა. ასევე, დააფიქსირა ოცდაათწამიანი რეკორდი, კერძოდ, სხეულზე იგივე მეთოდით მიიკრა თვრამეტკილოგრამიანი რკინა, რომელზეც დალაგებული თხუთმეტი კრამიტი, ჩაქუჩით დაამტვირიეს და რკინა არ ჩამოვარდა.




ამ სანახაობაზე აზერბაიჯანიდან მოწვეულმა ლაჩინ აბდულჰუსეინოვმა, ასევე, ორი რეკორდი დაამყარა. პირველი: თვალში შეირჭო ორი კაუჭი, რომელიც დამაგრებული იყო ერთკილოგრამიან ჯაჭვზე და მიბმული ჰქონდა ორი თექვსმეტკილოგრამიანი გირი. საერთო წონა ოცდაცამეტ კილოგრამს შეადგენდა და თან, ორივე ხელში ეჭირა თექვსმეტკილოგრამიანი გირები. მეორე რეკორდი კი ასეთი იყო: მან ყელში შეირჭო კაუჭი, ზედ დამაგრებული ოცდაოთხკილოგრამიანი გირით და ამისთვის დასჭირდა ოცდაათი წამი. ამავე დროს მას ორივე ხელში ოცდაოთხკილოგრამიანი გირები ეჭირა.

სანახაობა მოეწყო კავკასიის მსოფლიო რეკორდების ფედერაციის ორგანიზებით. გენერალური მდივანი კი, შოთა ქელდიშვილი გახლდათ.

**გვერდი მოამზადა ეთო ხურციძემ**

# ვინ იყო ქართველი გენერალი, რომელსაც რომის პაპი, იტალიის იმპერატორი და ადოლფ ჰიტლერი დიდი პატივით იღებდა

***ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, 1919–1920 წლებში თბილისის გენერალ-გუბერნატორი, ვერმახტის ქართული ლეგიონის მეთაური, გენერალი შალვა მაღლაკელიძე დაიბადა 1893 წელს სოფელ დიხაშხოში, იმერეთში, გლეხის, ნიკო მაღლაკელიძის ოჯახში.***

***შალვა მაღლაკელიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის, რა თქმა უნდა, მშობლებს. მამამ ყველაფერი გააკეთა, რათა მის შვილს კარგი განათლება მიეღო და სამხედრო გამოსულიყო.***

მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით, ასევე, შესანიშნავ ქართველ პედაგოგებსა და საზოგადო მოღვაწეებს, მის მეგობრებს, გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს და პოეტებს; გავლენიან არაქართველებსაც კი, რომელთაც მისი რაინდული გარეგნობა და ვაჟკაცური ხასიათი ხიბლავდათ. მან ხომ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.



ასევე, საინტერესოა ლორთქიფანიძეების საგვარეულოს წარმომადგენელთა წვლილიც მისი ბედის ფორმირებაში.

ის გვიამბობს: „როცა მე დავიბადე, მამაჩემს გადაუწყვეტია – თავადი სევერიან ლორთქიფანიძე რომ მოდიოდა ეკლესიაში კაპიტნის პაგონებით, ისეთი პაგონებიანი უნდა იყოს ჩემი შვილიცო...

რომ გავხდი 6 წლისა, მიადგა თავად ლორთქიფანიძეს ნიკო – მამაჩემი. ეს იყო პირველი იურისტი და უთხრა, მე და შენს ძმას, ალექსანდრეს ერთი ძუძუ გვაქვს ნაწოვი, დედაჩემის. დამეხმარე, მინდა, ჩემი ბიჭი კადეტთა კორპუსში მომიწყო. შენ რომ პატარაობისას პაგონები გეკეთა და „ჩესტს“ იღებდი, ისე მინდა ჩემს შვილსაც ჰქონდეს. ხარჯს არ დავერიდებიო.

– ნიკოია, გასულელდი, – უპასუხია ნოე ლორთქიფანიძეს, – შენს შვილს ვინ მიიღებს კადეტთა კორპუსში. ის ჩვენთვის არის, თავადაზნაურობისთვის. შენ გლეხკაცი ხარ და მეტრიკაც არა გაქვს, მეტრიკა ხომ უნდა მოიტანოო.

ფულს გავიღებ, ნაუმ, ჩემოო, – უპასუხია მამაჩემს. ფული არ ჭრის, – უთქვამს ლორთქიფანიძეს, ღირსება ჭრისო. ყაძახი ხარ შენ, ყაძახი. მე შენ გირჩევ, შეძლებული კაცი ხარ, ვენახი გაქვს, სამოყიანი თოხი უყიდე და მიეცი ხელში. სამოყიანი თოხი არის თქვენი, ყაძახების საქმეო.

მამაჩემმა იფიქრა, ქვეყანა რომ დაიქცეს, ბავშვს პაგონები მაინც უნდა დავაკრა. რაცხას მოვახერხებ, წავალ ქუთაისშიო.

მართალია, იმ დროს ბატონყმობა გადავარდნილი იყო, მაგრამ რუსეთის იმპერიაში ადამიანები, ძირითადად, წარმოშობის მიხედვით ფასდებოდნენ. ვისაც არისტოკრატული წამოშობა ჰქონდა, მათთვის ხსნილი იყო ყველა სასწავლებლის კარი, ადვილად წინაურდებოდნენ სამსახურში და კარგ კარიერას იკეთებდნენ. საერთოდ, სრულუფლებიან ადამიანებად მხოლოდ ისინი ითვლებოდნენ.

მაგრამ, საბედნიეროდ, შალვა მაღლაკელიძის მამა არ შეურიგდა ბედს. მან მოახერხა, რომ პატარა შალვას დაწყებითი განათლება სერაპიონ ადეიშვილთან მიეღო. შემდეგ კი, მომავალი გენერალ-გუბერნატორი იხსენებდა: „ერთ დღეს მივედი სახლში და დამხვდნენ სტუდენტები, მამაჩემთან ერთად სვამდნენ. თურმე, მამაჩემს გადაუწყვეტია, ჩემი გიმნაზიაში წაყვანა და ესენი რეპეტიტორებად უნდოდა. ორი სტუდენტია: შალვა სანებლიძე – მღვდლის შვილი, მედიკური ფაკულტეტიდან და ჩვენი სალხინოს აზნაური – კოლია ლორთქიფანიძე, იურიდიული ფაკულტეტიდან.

წამიყვანეს ქუთაისში და მიმიღეს კერძო გიმნაზიაში, მეორე კლასში. ეს კერძო გიმნაზია იყო ქართული, სადაც თავმოყრილი იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც შემდეგ ცნობილი სწავლულნი და პროფესორები გახდნენ: დიტო უზნაძე, გრიგოლ ნათაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, მომავალი აკადემიკოსი ჯანელიძე. ქართული ენის მასწავლებელი და გიმნაზიის ინსპექტორი იყო სილოვან ხუნდაძე, ხოლო გიმნაზიის დირექტორი გახლდათ იოსებ ოცხელი''.

მართლაც, ამ გიმნაზიაში ნასწავლმა ადამიანებმა დიდი წვლილი შეიტანეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნასა (1918–1921) და ქართული კულტურის აღორძინებაში.

გიმნაზისტი შალვა მაღლაკელიძე ქუთაისში ცხოვრობდა საშა წულუკიძის ოჯახში, რომლის მეუღლეც ლორთქიფანიძის ქალი გახლდათ.

როგორც ჩანს, მამა გრძნობდა, რომ მისი ვაჟი, როგორც მხედარი, სამშობლოს გამოადგებოდა და არ ცდებოდა.

შემდეგ, მოსკოვის უნივერსიტეტში, შალვა უდოკუმენტოდ მიიღეს. იქიდან მეორე კურსის სტუდენტი, თავისი სურვილით გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და გამოაგზავნეს თბილისში, სამხედრო სასწავლებელში.

ასე გახდა ის ჯარისკაცი. ჯარისკაცი, რომელიც იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისთვის და მრავალჯერ ასახელა თავისი გვარი სამშობლოში და სამშობლო კი – ემიგრაციაში. მას დიდი პატივით ხვდებოდა და იღებდა ყველა, მათ შორის, რომის პაპი, იტალიის იმპერატორი – ვიქტორ-ემანუელ მესამე, ძველი, ნაცისტური გერმანიის ლიდერი – ადოლფ ჰიტლერი და ახალი დემოკრატიული გერმანიის აღმშენებელი – ადენაუერი, პოლონეთის ლიდერები, პაკისტანის მომავალი პრეზიდენტი და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მისი ბიოგრაფია ამტკიცებს, რომ არც ერთი ქართველი არ ჩამოუვარდება სხვას, მიუხედავად იმისა, რა საფეხურზე იდგნენ მათი წინაპრები იერარქიულ, ფეოდალურ საზოგადოებაში. ყოველი ქართველი თანაბარი უნდა იყოს და თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეს. მხოლოდ ამგვარად გამოვლინდება ნიჭი და განვითარდება ქვეყანა.

**მამაჩემმა იფიქრა, ქვეყანა რომ დაიქცეს, ბავშვს პაგონები მაინც უნდა დავაკრა. რაცხას მოვახერხებ, წავალ ქუთაისშიო**

ახლა კი გავიხსენოთ, როგორ გახდა ის პოლიტიკოსი:

„ახლა მოვყვები იმ ამბავს, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და რამაც მთელ ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე გარკვეული ზეგავლენა იქონია.

მეხუთე ასეულში არის ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ბაგრატ ილურიძე, კარგი პატრიოტი ბიჭი. ერთ დღეს გავედით სასეირნოდ თბილისში, მაგრამ გოლოვინის, ახლანდელი რუსთაველის პროსპექტზე, ბევრი გენერალი დადის და ჩვენ დავიმალეთ – გვეზარება მისალმების ცერემონია.

ჩავედით ალექსანდრეს ბაღი რომ არის, ახლა ძნელაძის ბაღი – ქვედა ბაღში. მაშინ გაყოფილი არ იყო, ახლა იქ ძნელაძის ძეგლია და მაშინ იმ ადგილას იდგა (მგონი, ახლაც არის) „სკამეიკა.“ დავჯექით ამ „სკამეიკაზე“ მე და ბაგრატ ილურიძე.

უცებ, მოულოდნელად, მოვიდა ჩვენთან ცივილიზებულად ჩაცმული კაცი – შავი შლაპა ახურავს, შავ ტანისამოსშია და დაჯდა ჩვენთან. შეგვეკითხა, რაღაც უცნაური, თურქული თუ სპარსული აქცენტით, მაგრამ ქართულს კარგად ლაპარაკობს:

– ქართველები ხართ?

– კი, ბატონო.

– სამხედროდ ემზადებით, არა?

– დიახ, ბატონო.

– დიდი მთავრის სასწავლებლიდან ხართ? მამაშვილურად თუ შეიძლება, თქვეთან ლაპარაკი (მახსოვს ის და არ დამავიწყდება, აქედან დაიწყო მთელი ჩემი პოლიტიკური ამბავი).

– თუ თქვენ გვიკადრებთ, ჩვენ საწინააღმდეგო რა გვაქვს.

გვკითხა:

– თუ იცით, რა არის სამაჰმადიანო საქართველო.

ბაგრატმა უთხრა: ვიცითო.

– რომელ კუთხეს თვლით სამაჰმადიანო საქართველოდ?

ბაგრატმა უთხრა:

– ბატონო, თქვენ, ალბათ, უკეთესად იცით და ჩვენ, მე და ჩემი ამხანაგი, მაგ საკითხში მაინცდამაინც ვერ ვერკვევით. ისე, ჩვენი გაგებით, ბორჯომის გადაღმა თათრებიაო.

– ყმაწვილებო, აღარ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ მე ქართველი მაჰმადიანი ვარ. ჩემი გვარია ლორთქიფანიძე. მე ვარ სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი, მაგრამ ტყვე და არ მეშინია, მამაშვილურად გელაპარაკებით, ბაქოდან თბილისში მოსული. თქვენ არ შეგეშინდეთ, არავითარი ცნობები მე არ მჭირია, ჩემი ძმა სულთანის მინისტრია (მერე გამოირკვა, რომ კონსტანტინეპოლში მართლაც იყო „ლორთქიფანიძე-ბეგი“). ერთი რამ უნდა გითხრათ, – განაგრძო მან, – ამ ომს შეიძლება ბევრი რამ მოჰყვეს და ჩვენი მიზანია, შევქმნათ ერთიანი, დიდი საქართველო, ჯვრისა და მთვარის საქართველო. ამისთვის იყავით ვაჟკაცები და შეეცადეთ, კავკასიის ფრონტზე მოხვდეთ, თურქების წინააღმდეგ, მაგრამ ამისთვის წარჩინებით უნდა დაამთავროთ სასწავლებელი, რადგანაც ვაკანსიები ქართველებისთვის საქართველოში არ არსებობს. ამიტომ, თავი ისე უნდა ისახელოთ, რომ გამონაკლისი დაუშვან და ჩემი თხოვნა იქნება, ასეთ შემთხვევაში, ყარსში ან ახალციხეში მოხვდეთო.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ყოველი თვის ბოლოს ბაღში, ამ ადგილას შევხვედროდით ერთმანეთს. დავამთავრეთ სასწავლებელი პირველი ხარისხით, ლორთქიფანიძეს ვხვდებოდით რეგულარულად, ვსაუბრობდით პოლიტიკურ გეგმებზე და იმაზე, თუ როგორ ვსწავლობდით...

გამომიძახეს პირველი მე, ქუთაისში არის ვაკანსიაო. გენერალ ზაგიუს ეს გაუხარდა და მთავაზობს. არადა, მე ყარსში ან ახალციხეში მინდა, ხოლო ყარსში და ახალციხეში სულ სამი ადგილია...

როგორც მოგეხსენებათ, პირველად მე გამომიძახეს და ავირჩიე ახალციხე. მითხრეს კიდევაც, ქუთაისელი კაცი ხარ და ახალციხეში რატომ გსურსო. მაგრამ მე ხომ არ გავუმხელდი, შეთანხმებული რომ ვიყავი მაჰმადიან ლორთქიფანიძესთან, პოლკოვნიკთან. ბაგრატმა აირჩია ყარსი და ორივენი ჩვენ-ჩვენ ადგილზე აღმოვჩნდით. ამის შესახებ ვაცნობეთ მას და შემდეგ აღარ შეგვხვედრია არც მე და არც ბაგრატს, რომელიც ჩემთან ერთად აღმოჩნდა ემიგრაციაში. ალბათ, დაიღუპა სადმე“...

მართლაც საინტერესოა იმ ადამიანის ბედი, თუმცა მის შესახებ სხვა ცნობები არ არსებობს, გარდა მაღლაკელიძის მოგონებისა. ამ ინფორმაციიდან ჩანს, რომ დიდი საქართველოს აღდგენა მარტო ქრისტიანი ქართველების ოცნება არ იყო.

შალვა მაღლაკელიძე მთელი ცხოვრება ერთგულებდა იმ საქმეს, რაც სთხოვა მას მაჰმადიანმა ლორთქიფანიძემ.

**მოამზადა**
**გიორგი მახობეშვილმა**

**კართაგენი – ძველი ქალაქი – სახელმწიფო იყო ჩრდილოეთ აფრიკაში (თანამედროვე ტუნისის სახელმწიფოს რაიონში), დაარსებული ფინიკიელების მიერ 825 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.**

**რომაელი ისტორიკოსი სალიუსტი მოგვითხრობს კართაგენის ორ მცხოვრებზე, ძმებ ფილენებზე, რომლებიც დათანხმდნენ, ცოცხლად დამარხულიყვნენ, ოღონდ კი გაეფართოებინათ კართაგენის მიწის საზღვრები.**

# სიცილიის ტირან აგათოკლეს ჯარებით კართაგენის გარემოცვის დროს მსხვერპლად 500 ბავშვი შეიწირა

კართაგენელები მსხვერპლად სამხედრო ტყვეებსაც წირავდნენ და, ზოგჯერ, როგორც ბერძენი ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი (პირველი საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) გვამცნობს, ამისთვის ყველაზე ლამაზ ტყვეებს არჩევდნენ. მაგრამ ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ შერჩევით თავს არ იტკიებდნენ და ყველა ტყვეს ერთად სწირავდნენ. ასე მოიქცა ჰანიბალ მაგონი (არ აგერიოთ ცნობილ ჰანიბალ ბარკაში) მას შემდეგ, რაც 408 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე აიღო სიცილიის ქალაქი გიმერუ. ოდესღაც კართაგენელებმა დამანგრეველი მარცხი განიცადეს ამ ქალაქთან ბრძოლაში, სადაც ჰანიბალ მაგონს დაეღუპა პაპა – ჰამილკარი. ქალაქის აღების შემდეგ შურისმაძიებელმა მხედართმთავარმა ქალაქი მიწასთან გაასწორა და პაპამისის აჩრდილს მსხვერპლად 3 000 ტყვე შესწირა.

ორი საუკუნით გვიან, ჰანიბალ ბარკამ რომის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა კანთან. მან დამარცხებულთა წესი გადაიღო და გლადიატორთა თამაშები (საჩვენებელი ორთაბრძოლები) მოაწყო, რომელშიც იძულებით მიაღებინა მონაწილეობა სენატორებს და, საერთოდ, ყველა წარჩინებულ პირს. რომაელი ისტორიკოსის, აპიანეს ცნობით, ჰანიბალ ბარკამ აიძულა მამები შვილებთან და ძმები ძმებთან ჩართულიყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლებში. ადამიანთა ყველაზე საშინელი და მასობრივი მსხვერპლშეწირვის ფორმა, რომელსაც კართაგენელები აწყობდნენ, იყო ბავშვთა მასობრივად დაწვა.

ანტიკური პერიოდის ავტორებმა სულის შემძვრელი აღწერილობები დაგვიტოვეს იმის შესახებ, თუ როგორ წვავდნენ კართაგენელები ცოცხალ ბავშვებს და მათ თავიანთი სპილენძის ღმერთის გავარვარებულ მუცელში გზავნიდნენ. რიტუალის დროს, რომელიც საერთო-სახალხო დღესასწაულის მსგავსად იყო მორთულ-მოწყობილი, როგორ იდგნენ აუცილებლად მოღიმარი სახეებით მშობლები, რომელთა შვილებსაც ცეცხლი ნთქავდა. მაგრამ, დღესდღეობით, მკვლევრები მიიჩნევენ, რომ სინამდვილეში ყველაფერი ეს, რამდენადმე სხვანაირად გამოიყურებოდა: რიტუალი ნამდვილად ღამით ტარდებოდა, ფლეიტის, ტამბურინისა და ლირის ჰანგების ფონზე, მაგრამ, ბავშვს წინასწარ კლავდნენ ცალკე გამოყოფილ ოთახში და ცეცხლით მსუნთქავი კერპის ხელებში უკვე მკვდარი ბავშვები ხვდებოდნენ. ანტიკური პერიოდის ავტორები, რომლებიც მხატვრულად აღწერდნენ ცეცხლში ცოცხლად დამწვარი მსხვერპლის სიკვდილისწინა ტანჯვა-წამებას, იყვნენ რომაელთა ბანაკის – კართაგენის დაუძინებელი მტრები და, შეიძლება, ყურმოკრული, ურთიერთგამომრიცხავი ფაქტებიდან ირჩევდნენ ისეთს, რომელშიც კართაგენელები ცუდზე ცუდი სახით წარმოჩინდებოდნენ.



ტრადიციის მიხედვით, მსხვერპლად პირმშო (პირველად შობილ) ვაჟებს სწირავდნენ, ამასთან, უპირველეს ყოვლისა, არისტოკრატთა ოჯახების ნაშიერთ. კართაგენის ტოფეტში ნაპოვნ ნეშტთა ანთროპოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ დამარხულ ბავშვთა 85 პროცენტის ასაკი ექვს თვეზე ნაკლები იყო; მხოლოდ ერთი მათგანი იქნებოდა დაახლოებით 12 წლის. ამ ადგილზე გოგონათა ნეშტებიც იპოვნეს, თუმცა, ბავშვების სქესის ზუსტად დადგენა ყოველთვის არ იყო შესაძლებელი.

რა სიხშირით და რა საბაბით ხდებოდა მსხვერპლშეწირვა, უცნობია. რომაელი სილიუს იტალიკი, ისტორიულ-ჰეროიკულ პოემა „პუნიკას“ ავტორი, რომაელების კართაგენელებთან გამართული ბრძოლის ბატალიებთან ერთად, აღნიშნავს, რომ მსხვერპლშეწირვა ყოველწლიურად ხდებოდა. დიოდორე წერდა, რომ სიცილიის ტირან აგათოკლეს ჯარებით კართაგენის გარემოცვის დროს მსხვერპლად 500 ბავშვი იქნა შეწირული, რომელთაგან 200 პირმშო შერჩეული იყო არისტოკრატთა ოჯახებიდან, ხოლო დანარჩენი 300 – მოქალაქეთა ოჯახებმა გაიღეს მსხვერპლად ნებაყოფლობით.

კართაგენი იყო რესპუბლიკა და, მართალია, მას სახელმწიფოს ოლიგარქიული საბჭოები და მდიდარი და წარჩინებული მოქალაქეებიდან არჩეული მაგისტრატები მართავდნენ, მაგრამ, ხალხს დიდი უფლებები ჰქონდა: უმაღლესი ხელისუფლება სახალხო კრებას ეკუთვნოდა; ძალზე განვითარებული იყო სახალხო საკუთრების ფორმა – თვით ტაძრების საკუთრებაც კი საკრებულოს მიერ კონტროლდებოდა. ეს კი იმას იწვევდა, რომ თითოეული კართაგენელი, უპირველეს ყოვლისა, თავისი სახელმწიფოს ნაწილად მიიჩნევდა თავს და საზოგადოებრივ ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებდა. როდესაც სამშობლოს საფრთხე ემუქრებოდა, მოქალაქეთა უმეტესობა მზად იყო, საერთო საქმისათვის საკუთარი შვილი გაეღო მსხვერპლად, მაგრამ არცთუ იშვიათად, მშვიდობიანობის დროს, ხდებოდა, რომ ისინი თავიანთი შვილების ნაცვლად ნაყიდ ბავშვებს სწირავდნენ მსხვერპლად. სწორედ ამით ხსნიდნენ კართაგენელები თავიანთი ღმერთების განრისხებას, რომლებმაც ნება დართეს აგათოკლეს, თავისი 14-ათასიანი ჯარით გადმოსულიყო ჩრდილოეთ აფრიკაში და ხელში ჩაეგდო კართაგენის მორჩილებაში არსებული საზღვაო პორტები – გადრუმეტი და უტიკა. შემდეგი დარტყმა კართაგენზე იყო გათვალისწინებული. ქალაქი პანიკამ მოიცვა და 500 ბავშვი გაიღო მსხვერპლად სამშობლოს გადასარჩენად.

საშინელი წეს-ჩვეულების განმტკიცებას ხელი შეუწყო იმან, რომ ამ მსხვერპლშეწირვის შემდეგ აგათოკლეს ჯარებმა მართლაც დატოვეს აფრიკა, მიზეზი კი ის იყო, რომ, მანამდე, სანამ ის კართაგენის კედლებთან იყო გამაგრებული, მის სამშობლოში ამბოხება დაიწყო და, ამიტომ, იძულებული გახდა, ჯარი უკან დაებრუნებინა, რის შემდეგაც კართაგენმა აგათოკლესთან სამშვიდობო ზავი დადო. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ამ დროიდან მოყოლებული, კართაგენელებმა იმდენად ირწმუნეს თავიანთი საშინელი რიტუალის შედეგიანობა, რომ მან მასობრივი ხასიათი მიიღო და საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენაში შეაღწია. თუ ადრე ბავშვებს მსხვერპლად, უპირველეს ყოვლისა, არისტოკრატიის წარმომადგენლები სწირავდნენ, რომლებსაც ამ ნაბიჯის გადადგმას თანამოქალაქეები აიძულებდნენ ან საკუთარი პატრიოტიზმის გამო აკეთებდნენ, უკვე მოგვიანებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში, თვით მონებმაც კი დაიწყეს საკუთარი შვილების მსხვერპლად შეწირვა – მათი სახელები მიძღვნილ სტელებზეა ამოკვეთილი.

თავიდან, კართაგენელები ძველ ფინიკიურ ტრადიციას იცავდნენ და ბავშვებს ბაალ-ჰამონს სწირავდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის შუა ხანებამდე კართაგენის ტოფეტის ტერიტორია დაფარული იყო სტელებით, რომლებზეც მზის დისკო იყო გამოსახული და მისადმი მიძღვნილი წარწერები იყო ამოკვეთილი: „მსხვერპლი ბაალ-ჰამონს, რომელიც გაიღო ამან და ამან“. მაგრამ, მოგვიანებით, სულ უფრო ხშირად ჩნდება სტელები, რომლებზეც გადაბრუნებული ნახევარმთვარეა გამოსახული – ქალღმერთ ტინიტის ნიშანი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, 146 წლამდე, სანამ ქალაქი დაეცემოდა, ტინიტს კართაგენის პანთეონში წამყვანი ადგილი ეკავა.

**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შ | ი | ო | | ქ | ა | რ | თ | უ | ლ | ი | | | | |
| ბ | | დ | ე | ქ | ა | ვ | ი | უ | | ე | | | | | |
| ე | | ი | | ღ | | ე | | თ | ი | თ | ი | | | | |
| ქ | ა | რ | ხ | ა | ნ | ა | | ა | რ | ე | ძ | | | | |
| ო | | დ | | ლ | | ტ | ა | შ | ი | | ო | | | | |
| ბ | ლ | ა | გ | ი | ძ | ე | | ხ | ვ | ა | ლ | | | | მ |
| ი | | მ | | | | ვ | | ი | | ვ | | ბ | ა | გ | ე |
| | ბ | | ი | ნ | ი | ც | ი | ა | ტ | ი | ვ | ა | | ე | გ |
| მ | უ | ხ | რ | ა | ნ | | რ | | რ | | | ს | ა | ნ | ა |
| | ლ | | უ | ს | ა | ხ | ე | ლ | ო | | ნ | ი | ქ | ა | |
| ი | ბ | ო | ხ | | ვ | ა | ლ | ი | ა | დ | ო | ლ | ი | დ | ი |
| ს | ა | ბ | ა | | ო | ტ | ი | მ | | ა | რ | ი | ტ | ი | |
| ქ | | მ | ს | ა | ხ | ი | ო | ბ | ი | | მ | | ს | | ა |
| ე | ხ | ა | მ | | ა | | ბ | ი | რ | დ | ა | ბ | ი | რ | ი |
| დ | | ლ | | ს | | ა | | | უ | ი | ნ | ე | მ | | დ |
| ნ | | ა | ფ | უ | | ი | ს | ა | ლ | ა | დ | | | უ | რ |
| ი | ტ | ს | ი | რ | უ | ტ | | | ა | | ი | რ | ა | | ა |
| | ი | | | ა | პ | ს | | ტ | ი | ტ | ა | | რ | | ვ |
| ა | გ | რ | ა | ვ | | ა | ბ | ა | ნ | ო | | ი | ვ | ი | გ |
| ი | რ | ო | მ | ა | ი | ნ | | რ | ე | მ | ა | რ | ქ | ა | |
| | ა | მ | ი | ნ | | ი | ნ | ო | გ | ა | რ | ა | | ქ | ი |
| ა | ნ | ე | ა | დ | ე | დ | | ს | | ტ | ა | ტ | ო | | ბ |
| | ი | ო | ლ | ი | | | შ | ი | შ | ი | | ს | ვ | ლ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 2 | 1 | 3 | 5 | 4 | 9 | 7 |
| 7 | 4 | 3 | 8 | 2 | 9 | 6 | 1 | 5 |
| 1 | 5 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 | 8 | 2 |
| 9 | 2 | 8 | 3 | 5 | 7 | 1 | 6 | 4 |
| 4 | 7 | 6 | 2 | 9 | 1 | 5 | 3 | 8 |
| 3 | 1 | 5 | 6 | 8 | 4 | 2 | 7 | 9 |
| 8 | 3 | 4 | 7 | 6 | 2 | 9 | 5 | 1 |
| 2 | 9 | 7 | 5 | 1 | 3 | 8 | 4 | 6 |
| 5 | 6 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 2 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 5 | 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 8 |
| 6 | 1 | 3 | 5 | 8 | 9 | 7 | 4 | 2 |
| 8 | 4 | 2 | 7 | 1 | 3 | 5 | 9 | 6 |
| 3 | 8 | 4 | 9 | 7 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 2 | 5 | 9 | 1 | 3 | 8 | 6 | 7 | 4 |
| 1 | 7 | 6 | 2 | 4 | 5 | 9 | 8 | 3 |
| 4 | 6 | 1 | 8 | 2 | 7 | 3 | 5 | 9 |
| 5 | 3 | 8 | 6 | 9 | 1 | 4 | 2 | 7 |
| 9 | 2 | 7 | 3 | 5 | 4 | 8 | 6 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. აადგილებენ ციფერბლატს ან ცვლიან ღერძის დახრილობის კუთხეს. 2. აბრევიატურას. 3. მარხავენ მიწაში, ლებანი იბერება და ნაჭუჭი სკდება. 4. მდინარეში ყრიან და დინებას ქარხნამდე ჩააქვს. 5. აზიას, აფრიკას და სამხრეთ ამერიკას. 6. საზღვარი ევროპასა და აზიას შორის. 7. მონგოლფიების. 8. კარტოფილის სპირტისგან ხელოვნურ კაუჩუკს ამზადებდნენ. 9. ჩარლზ დარვინი. 10. ტახტის შემცილებელი რომ არ ყოფილიყო, მათ ყველას კლავდნენ.**

**დღეს, ალბათ, იშვიათია თბილისში ახალგაზრდა, ვისაც ოთო გვარაძის სახელი და გვარი არ გაუგია, ან, უბრალოდ, მისი ინსტრუქციით სხეულის ფორმაში მოყვანა არ უცდია. სპორტის ინსტრუქტორი, ბოდიბილდერი, პერსონალური ტრენერი ოთო გვარაძე თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია – ეს, რა თქმა უნდა, ვარჯიშთან ერთად, ზოგადად, ცხოვრების ჯანსაღ წესსა და კვების სწორ რაციონსაც ეხება. ოთოსთან რამდენიმეწუთიანი საუბარიც საკმარისია იმისთვის, რომ რევულუცია მოხდეს შენს ფსიქიკაში, მაშინვე მოგინდეს დარბაზში წასვლა, ვარჯიშის დაწყება და, რაც მთავარია, სწორი და ჯანსაღი კვება.**

# რა უცნაური მოთხოვნებით მიმართავენ გოგონები ოთო გვარაძეს და რით ცდილობს ის მათთვის რთული პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ გადაქცევას

**ოთო გვარაძე**: ბავშვობიდან ვიყავი სპორტით დაკავებული, ფეხბურთს ვთამაშობდი, წარმატებებიც მქონდა, მაგრამ, 18 წლის ასაკში ზღვაზე სერიოზული ტრავმა მივიღე – კისრის მალები და თავის ქალა დავიზიანე, ამიტომ, გარკვეული პერიოდი შევწყვიტე ვარჯიში. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი რთული პერიოდი. ძალიან ძნელია, როცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება შენი ცხოვრების წესი – ელოდები პასუხს, ვარჯიში შეიძლება თუ არა... საბოლოოდ, ეს ეტაპი გადავაგორე და გადავწყვიტე, მუშაობა დამეწყო. ტრენაჟორების მაღაზიაში ვმუშაობდი ძირითადად შეკვეთებზე და დარბაზებს ვაპროექტებდით. რეაბილიტაციის შემდეგ ვარჯიშიც შეიძლებოდა, მაგრამ, ფეხბურთს ველარ გავყევი. წონა არ გამქცევია – ამ მხრივ, ჩავარდნა არ მქონია და ეტაპობრივად მივყვებოდი ჩემს საქმეს. ვიქირავე პატარა დარბაზი, სადაც გოგონებს ვავარჯიშებდი – დაახლოებით 20 გოგონა მყავდა. ერთი წლის შემდეგ, როდესაც „ასპრია“ გაიხსნა, შემომთავაზეს მუშაობა. ლიცენზია ავიღე და გადავედი სამუშაოდ. პარალელურად სამკურნალო მასაჟი ვისწავლე, თუმცა, დროის უქონლობის გამო, ამ საქმეს ველარ მივყვები. დაახლოებით ორი წელია, „ასპრიაში“ ვმუშაობ. გარდა ამისა, გვაქვს ნატურალური ბოდიბილდინგის ფედერაცია და ჩემპიონატებში ვმონაწილეობთ. ევროპის ჩემპიონატზე ვიყავი, მეხუთე ადგილზე გავედი, ახლა კი მსოფლიოზე ვიყავით მე და ვატო კოპაძე. ჩემს კატეგორიაში მეშვიდე ადგილზე გავედი, ხოლო ვატო – მეოთხე ადგილზე. სულ აქტიურად ვვარჯიშობ, ფორმაში ვარ, რადგან, საკუთარ პროდუქტს ვყიდი. იმისთვის, რომ ამ კუთხით შედეგს მიაღწიო, 70 პროცენტია სწორი კვება. რადგან თბილისში არ იყო ისეთი ადგილი, სადაც ჯანსაღი, „სპორტული“ პროდუქტის ჭამა იქნება შესაძლებელი, მე, სალომე ღვინიაშვილმა და კიდევ ერთმა ჩვენმა პარტნიორმა გავხსენით „ფიტ კაფე“. ეს არის ერთადერთი ადგილი თბილისში, სადაც შეგიძლია მიირთვა „სპორტული“ და ჯანსაღი საკვები, თანაც, ძალიან გემრიელი.

**– ადამიანების დიდი ნაწილი მხოლოდ ვარჯიშს აქცევს ყურადღებას და იმაზე არ ფიქრობს, რომ ჯანსაღი კვება და კვების რაციონის დარეგულირება ძალიან მნიშვნელოვანია. როგორ უნდა მოიქცეს ის, ვისაც სურს, ლამაზი სხეული ჰქონდეს?**

– გააჩნია, დაკლება გინდა თუ გახდომა – ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. წონიდან გამომდინარე, ითვლება კალორაჟი, შემდეგ, ვარჯიში და კვება ერთად, იძლევა ძალიან კარგ შედეგს. ექვსი თვე არის პერიოდი, როდესაც შეგიძლია, კარგი შედეგი მიიღო; გაარჩიო, როგორი იყავი და როგორი გახდი. კვების მნიშვნელობა 70 პროცენტია, ხოლო ვარჯიშის – 30 პროცენტი. როგორ კარგადაც არ უნდა ვივარჯიშოთ, თუ სწორად არ ვიკვებებით, მხოლოდ ვარჯიშს აზრი არ აქვს. რაღაც აკრძალვები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ, ჩვენ ვეხმარებით იმაში, რომ პროცესი სასიამოვნო იყოს.

**– წლების წინ წარმოგედგინა, რომ ლამის მთელი თბილისის გოგო-ბიჭები შენი დახმარებით, შენი სწორი რჩევებით დაიყენებდნენ ლამაზ სხეულს?**

– ამაზე. ნამდვილად არ მიფიქრია, მაგრამ, ახლა ეს ჩემი ცხოვრების წესია. თითოეული საათი გათვლილი მაქვს. დაახლოებით 10 საათიდან ვიწყებ მუშაობას: დილით კრივის ვარჯიშები მაქვს – გოგონებს ვავარჯიშებ, გასახდომად ძალიან კარგია, თან, სახალისოა და მოსწონთ; შემდეგ დარბაზში მაქვს ვარჯიშები. სამუშაო გრაფიკი გრძელდება ღამის 11 საათამდე. ასე რომ, მთელი დღის განმავლობაში ხან კუს ტბაზე ვარ, ხან დარბაზში, ხან ლისის ტბაზე და ხან კაფეში – სულ მოძრაობაში ვარ.

**– ბოლო დროს ბიჭებს განსაკუთრებულად მოსწონთ დაკუნთული სხეული და ამაზე ის „სელფებიც“ მიუთითებს, რომლებსაც ასე ხშირად აქვეყნებენ სოციალურ ქსელებში.**

– ბიჭების „სელფმა“ უფრო მოიმატა, ვიდრე გოგონების. ზოგადად, დარბაზში მოსვლა ძალიან სახალისოა. ვარჯიში განტვირთვის კარგი



**ბიჭების „სელფმა“ უფრო მოიმატა, ვიდრე გოგონების. ზოგადად, დარბაზში მოსვლა ძალიან სახალისოა. ვარჯიში განტვირთვის კარგი საშუალებაა, მერე ამას ხან „სელფი“ მოჰყვება და ხან „ჩექინი“**

საშუალებაა და დეპრესიიდანაც გამოჰყავხარ. იქ, ვარჯიშზე, ყველა რაღაც კარგზე საუბრობს, პრობლემებზე არავინ დაგიწყებს ლაპარაკს. მერე ამას ხან „სელფი“ მოჰყვება და ხან – „ჩექინი“. ადამიანს 15-20 კილოგრამი რომ აქვს დაკლებული, ის დადებს კიდეც ფოტოს და ამით ვიღაცას მისცემს სტიმულს. მეც, როცა კარგ ფორმაში ვარ ან შეჯიბრი მაქვს, ვიღებ ფოტოებს, რადგან, ხალხმა უნდა ნახოს, რომ ამის მიღწევა არ არის შეუძლებელი. თუმცა, ადამიანის ჩონჩხზე ანუ აღნაგობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუ სხეული ხელს გიწყობს, იდეალურ ფორმამდე მიხვალ; თუ არ გიწყობს, ძალიან რთულია იდეალურ ფორმამდე მისვლა, მაგრამ, მაქსიმალურ შედეგს აუცილებლად მიიღებ.

**– როგორი მოთხოვნებით მოდიან ვარჯიშის დაწყებისას?**

– ერთი მინუსი აქვთ: მოდიან და ძალიან მალევე უნდათ, ჰქონდეთ ლამაზი პრესი. ბიჭებს, ძირითადად, პრესის დაყენება უნდათ, გოგონებს კი არ სურთ ძალიან დაკუნთვა. „ძალიან დაკუნთვა“ და ეგრევე პრესის დაყენება – არ არსებობს. თავიდან სილუეტი მთლიანობაში კარგად უნდა იყოს ჩამჯდარი, რომ შემდეგ კარგი ვიზუალი აიწყოს. მთელი წლის განმავლობაში უნდა ივარჯიშო და ეს ფაზებად უნდა დაყო: წონის კლება, მომატება, ძალაზე მუშაობა და – წლის ბოლოს კარგ შედეგს მიიღებ. ორგანიზმში გარდაქმნა ხდება, იმდენი პროცესი მიმდინარეობს და უცებ გადაწყობა არ არის ადვილი. არადა, ძირითადად, მაისის ბოლოს მოდიან: „გამარჯობა, მე პრესი მინდა. ერთ თვეში 10 კილოგრამს ხომ დავიკლებ?“ ერთ თვეში 10 კილოგრამი როგორ უნდა დაიკლო, თუ ხორცი არ მოიჭერი? კვირაში ერთი კილოც რომ დაიკლო – იდიალური ვარიანტია, ესეც ბევრია. თუ 20 კილოგრამი გაქვს დასაკლები, წელიწად-ნახევარში უნდა გაატარო შენი პროგრამა, კვირაში 600-700 გრამი უნდა დაიკლო და, დროთა განმავლობაში არც კანი დაგეკიდება და სხეულიც ისევ ფორმაში ჩადგება.

**– როდესაც მოდის გოგონა და აინტერესებს შენი აზრი, პირდაპირ ეუბნები – აი, აქ გაქვს დასაკლები, აი, ეს ნაწილი არ გაქვს ლამაზი, ამას მიხედვა სჭირდება?**

– ჩემგან არ სწყინთ ხოლმე. ნებისმიერ მინუსს ვეუბნები, რა თქმა უნდა, თუ ამის გამოსწორება შეიძლება, ანუ, ბუნებრივი დეფექტი თუ არ არის და საკუთარი შეცდომის გამო აქვს დარღვეული. ვეუბნები, რა სჭირდება, რა უნდა გააკეთოს, რა უნდა ჭამოს, როდის უნდა ჭამოს, მერე ყველაფერს ავუწყობ და, თუ გამომყვება ექვსი თვე, ნებისმიერ ადამიანზე ვარ პასუხისმგებელი, რომ ძალიან დიდ შედეგს ვაჩვენებთ. უბრალოდ, უჭირთ ორ თვეზე მეტხანს გამოყოლა. რთულია, არ არის მარტივი – ტკბილეული გინდება, გავლა-გამოვლა... მაგრამ, ერთი რამ უნდა გაითვალისწინონ: მთელი კვირის განმავლობაში თუ ჯანსაღად იკვებები, იცავ ყველაფერს, მერე, შაბათ-კვირას, რაც არ უნდა ჭამო, დალიო და მოწიო, არ არსებობს იმან დააზიანოს შენი რეჟიმი, რა თქმა უნდა, თუ ამას სისტემატურ ხასიათს არ მისცემ. მიღებული საკვები 72 საათის განმავლობაში არ გადადის ცხიმში, ამიტომ, თუ მეორე ან მესამე დღეს მოხვალ დარბაზში, ივარჯიშებ და ჩადგები რიტმში, არანაირი უკუჩვენება არ გექნება. ასეთი განტვირთვას მეც ვიწყობ კვირაში ერთხელ, რომ დავისვენო და ცოტა მოვეშვა. თავიდანვე ასეთი ვიყავი – სულ ვცდილობდი, სწორად მეკვება, ცხიმიან, შემწვარ საკვებს ვერიდებოდი. რთულია, მაგრამ, ცოტა მონდომებაა საჭიროა. კვირაში ოთხი დღე მაინც რომ შეირბინოს ადამიანმა სავარჯიშოდ და სწორად იკვებოს, შედეგს აუცილებლად მიიღებს.

**– როგორი მწვრთნელი ხარ, გიწევს სიმკაცრის გამოჩენა თუ არა?**

– ყველას ინდივიდუალურად ვუდგები. ჩემი აზრით, შეცდომაა ნებისმიერი დიეტოლოგის მიერ მიცემული ამობეჭდილი კვების სისტემა, რომელსაც პაციენტი შემდეგ რობოტივით მიჰყვება. მე ვცდილობ, ყველას ავუხსნა თითოეული პროდუქტის შემადგენლობა, კალორაჟი, ორგანიზმისადმი დამოკიდებულება. შემდეგ ვუხაზავ სქემას, დღის განმავლობაში რა უნდა ჭამოს, რადგან, როცა უმარილო და უცხიმო საკვებს იღებ, მერე მალევე გშივდება; ამიტომ, სამ

**(გაგრძელება 81-ე გვერდზე)**

**22 წლის, ლამაზი, ჭკვიანი, წარმატებული და მიზანდასახული დიანა დავითაია უკვე ხუთი წელია, ამერიკაში, კერძოდ, შტატ მიჩიგანში ცხოვრობს, ის საქართველოში წარმატებული ჩოგბურთელი იყო და ამერიკაშიც საკმაო აღიარება აქვს სპორტის ამ სახეობაში. თუმცა, მისი ოცნებაა, გახდეს ჰოლივუდის მსახიობი და წითელ ხალიჩაზე ლეონარდო დიკაპრიოსთან ერთად გაიაროს. დიანა იღბლიანი ადამიანია, არც თაყვანისმცემლების სიმცირეს განიცდის და, სჯერა, რომ ოცნებები სამშობლოდან შორს, აუცილებლად აუხდება.**

# რატომ უნდა მარია შარაპოვასთან ბრძოლა დიანა დავითაიას და როგორ გეგმავს ის „ოსკარის" ცერემონიალზე დიკაპრიოსთან ერთად მისვლას

**დიანა დავითაია**: საქართველოში ჩოგბურთს 6 წლიდან ვთამაშობდი და ყოველთვის დიდ წამატებებს ვაღწევდი. ევროპაში, 16 წლამდე ჩოგბურთელებს შორის, მეთხუთმეტე ჩოგანი გახლდით. ადრე, 18 წლის ასაკში, თმა ქერად მქონდა შეღებილი და მარია შარაპოვას მამსგავსებდა ბევრი, თუმცა, მე მისი მსგავსება კი არა, მასთან ბრძოლა მინდა, საჩოგბურთო მოედანზე, ჩოგნით ხელში. მარია შარაპოვა, ჩემი საყვარელი ჩოგბურთელია. ამერიკაში ჩემი მწვრთნელები „ქართველ მარია შარაპოვას" მეძახიან ***(იცინის)*** და მეუბნებიან, თამაშის სტილიც მისი გაქვსო. როგორც წარმატებულ ჩოგბურთელს, ბევრი ქვეყნიდან მქონდა მიწვევა, მაგრამ, მე ამერიკა ავირჩიე და, უკვე ხუთი წელია, მიჩიგანის შტატში ვცხოვრობ, ვსწავლობ ზოგადი ურთიერთობების ფაკულტეტზე და ვთამაშობ ჩოგბურთს. გაისად ვამთავრებ უნივერსიტეტს და მაგისტრატურაში გავაგრძელებ სწავლას. მიჩიგანის უნივერსიტეტის სახელით გამოვდივარ და საკმაოდ კარგი შედეგები მაქვს ჩოგბურთში. დამოუკიდებლად ვცხოვრობ და, მინდა გითხრათ, ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ოცნებები ხდება. მთავარია, დროს აუწყო ფეხი, არ ჩამორჩე, ბევრი იშრომო და თავი არ დაზოგო.

**– ამერიკაში დამოუკიდებლად ცხოვრობ. როგორც ვიცი, მიჩიგანის უნივერსიტეტში სწავლა საკმაოდ ძვირი ღირს. შენს დაფინანსებას ვინ უზრუნველყოფს?**

– დიახ, აქ სწავლა წელიწადში 35 ათასი დოლარი ღირს, მაგრამ, რადგან კარგი ჩოგბურთელი ვარ და, თან, უნივერსიტეტის სახელით გამოვდივარ ტურნირებზე, თავად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჩემს ცხოვრებას, კვებასა და ჩაცმა-დახურვას ამერიკაში; ყოველი სემესტრის ბოლოს კი გარკვეული თანხაც მერიცხება, რომელსაც ისე სწრაფად ვხარჯავ, უკან არ ვიხედები და მერე ოჯახს ვურეკავ, დამეხმარეთ-მეთქი ***(იცინის).*** 18 წლის ასაკში ჩამოვედი აქ, მაგრამ მანამდე ამერიკაში ნათამაშები მქონდა ტურნირები და საკმაოდ წარმატებულად. დამოუკიდებლად ცხოვრება არ მიჭირს, რადგან, ძალიან დაკავებული ვარ, სწავლასა და ვარჯიშს დიდ დროს ვუთმობ. დილის 7 საათზე ვდგები და ხანდახან ისე მალე გადის დრო, საღამოს, ძილის წინ მახსენდება, რომ საჭმელი არ მაქვს ნაჭამი ***(იცინის).*** ამერიკაში, ისეთი სწრაფი რიტმია, გათენებული არ არის, რომ უკვე დაღამებულია; ამიტომ, თუ არ იმოქმედე და სწრაფი და მკვეთრი ნაბიჯები არ გადადგი, დროს ჩამორჩები და ეს დამღუპველია.

**– წარმატებული, ლამაზი, ნიჭიერი და მიზანდასახული ადამიანი ხარ. წარმომიდგენია, რამდენი თაყვანისმცემელი გეყოლება. შენი გული თავისუფალია თუ გყავს შეყვარებული?**

– თაყვანისმცემლების სიმცირეს, ნამდვილად არ ვუჩივი, მაგრამ, შეყვარებული არ მყავს, თავისუფალი ვარ. ამერიკელი მამაკაცები ძალიან რომანტიკულები არიან. არ დამავიწყდება, ერთი ცდილობდა ჩემს მოხიბვლას. გაბუტული ვიყავი მასზე და, ერთი ვარდი და სუნამო ისეთი რომანტიკული და ორიგინალური



**ბევრს ეგონა, მოდელობას „მივაწვებოდი" და მეკითხებიან, მოდელი ხარო, მაგრამ, ეს სფერო არ მიზიდავს**

ჟესტით გადმომცა, მესიამოვნა, თუმცა, ვერ შემირიგა ***(იცინის).*** მომწონს რომანტიკული მამაკაცები, თუმცა, ჯერ ვერავინ შეძლო ჩემი ბოლომდე მოხიბვლა. ქუჩაშიც თვალს მაყოლებენ და ვგრძნობ ზურგს უკან მზერას ***(იცინის).*** ამერიკა ძალიან თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ, ზედმეტს არავინ გაკადრებს. დიდი-დიდი, კომპლიმენტი გითხრას მამაკაცმა

**მიჩიგანში სწავლა წელიწადში, 35 ათასი დოლარი ღირს, მაგრამ, რადგან კარგი ჩოგბურთელი ვარ და, თან, უნივერსიტეტის სახელით გამოვდივარ ტურნირებზე, თავად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჩემს ცხოვრებას, კვებასა და ჩაცმა-დახურვას ამერიკაში**

– რა კარგად გამოიყურებიო. ისე, რომ ვაკვირდები, ამერიკელები ქართველებზე რომანტიკულები არიან ***(იცინის).*** ამერიკელი მამაკაცის გვერდით ნამდვილ ქალად გრძნობ თავს: გემსახურება, ხელისგულზე გატარებს, საყვარელი ქალისთვის საწოლში მიაქვს ყავა. ქართველი მამაკაცი კი იქით ითხოვს, რომ ემსახურო, საწოლში მიართვა საჭმელი და ყურადღება მიაქციო.

**– პირად საუბარში აღნიშნე, მსახიობობაზე ვოცნებობ და აუცილებლად ჰოლივუდის წარმატებული მსახიობი გავხდებიო.**

– დიახ, ასეა, მაგრამ, ბავშვობაში არც კი მიოცნებია მსახიობობაზე. ეს სურვილი ამერიკაში ჩამოსვლის დროს გამიჩნდა. დედას რომ ვუთხარი, მსახიობობაზე ვფიქრობ-მეთქი, გაუკვირდა – არასდროს გითქვამს მსგავსი რამო. უნივერსიტეტში პრეზენტაციები მაქვს და ხანდახან პატარა სპექტაკლივით ვდგამთ ამ გამოსვლებს. ერთი სიტყვით, თამაში მიწევს სცენაზე, დიდი აუდიტორიის წინაშე და, მივხვდი, სცენაზე დგომა ძალიან მომწონს. ცოტა ქართული აქცენტით ვლაპარაკობ და ამაზე ეცინებათ ხოლმე, მაგრამ, ამასაც დავხვეწ ***(იცინის).*** იღბლიანი ვარ – რა ოცნებაც დავისახე, მივაღწიე დ, იმისიც მჯერა, რომ წარმატებული მსახიობიც გავხდები ჰოლივუდში.

**– მსახიობობაზე რომ ოცნებობ, მერე, ჩოგბურთი? თამაშს დაანებებ თავს?**

– არა, რატომ? ბაკალავრიატს რომ დავამთავრებ, მერე მაგისტრატურაში ჩავაბარებ, იქაც სრული დაფინანსება მაქვს და გავხდები უნივერსიტეტის მთავარი მწვრთნელი. მე დღეს „პირველ დივიზიონში" ვთამაშობ და დაფინანსება ამიტომ მაქვს. აი, მერე შევცვლი ფაკულტეტს და სამსახიობოზე ჩავაბარებ. ოცნებასთან ახლოს ვარ და ვნახოთ.

**– თუ საიდუმლო არ არის, ჰოლივუდში რომელ ვარსკვლავთან ერთად გინდა მთავარი როლის შესრულება?**

– სიმართლე რომ გითხრათ, არც საყვარელი მომღერალი მყავს, არც ჯგუფი და არც გამორჩეულად მიყვარს რომელიმე ფილმი, მაგრამ, ლეონარდო დიკაპრიოს ფანი ვარ ბავშვობიდან ***(იცინის).*** ძალიან მამაკაცურია ლეონარდო და, სულ მინდოდა, მასთან ერთად მეთამაშა ფილმში.

**– და, ლეონარდო დიკაპრიოს საყვარელი ქალი ყოფილიყავი?**

– არა ***(იცინის),*** დიკაპრიოს საყვარელი ქალი არ მინდა ვიყო, მინდა, ის ჩემი მამა იყოს და მე – მისი შვილი. ბავშვობიდან მინდოდა, კინოში ლეონარდო დიკაპრიოს ჩემი მამის როლი ეთამაშა. მამა არ მყავს, მისი გარდაცვალებიდან ზუსტად ორმოც დღეში დავიბადე და, რატომღაც, მამის როლში წარმომიდგენია ლეონარდო დიკაპრიო, განსაცდელში ჩავარდნილს როგორ დამიხსნის და გადამარჩენს.

**– ესე იგი, ფილმის სცენარიც წარმოდგენილი გაქვს?**

– კი, ასეა ***(იცინის).*** წარმომიდგენია, მის გვერდით, გრძელ, ლამაზ კაბაში გამოწყობილი, წითელ ხალიჩაზე რომ გავივლი, რა მაგარი გრძნობა იქნება. მერე კი, ორივე ერთად, საქართველოში ჩამოვიტანთ „ოსკარს" ***(იცინის).***

**– იმედია, ლეონარდო დიკაპრიოსთვის იღბლიანი პარტნიორი აღმოჩნდები და „ოსკარსაც" ელირსება, არა?**

– ვხუმრობ ხოლმე, სანამ დიკაპრიო ჩემთან ერთად არ ითამაშებს ფილმში, მანამდე „ოსკარს" ვერ ელირსება-მეთქი ***(იცინის).*** ბევრს ეგონა, მოდელობას „მივაწვებოდი" და მეუბნებოდნენ, მოდელი ხარო, მაგრამ, ეს სფერო არ მიზიდავს. მე უფრო სპორტული აღნაგობა მაქვს, ამიტომ, დიდ კამერასთან მირჩევნია პრანჭვა, ჰოლივუდში, ვიდრე დეფილეებზე გამოსვლა. ძალიან მიზანდასახული ვარ და, რაც კი ცხოვრებაში მინატრია, ყველაფერი ამხდენია. ამასთან ერთად, იღბლიანიც ვარ. მიზანდასახული ადამიანი რომ არ ვყოფილიყავი და „რქებით" არ „მივწოლოდი" ცხოვრებას, ისე ამერიკაშიც ვერ აღმოვჩნდებოდი და ვერც იმ დაფინანსებას მივიღებდი, რასაც მიჩიგანის უნივერსიტეტი მიხდის.

**ნონა დათეშიძე**

**ჩვენი რესპონდენტი, დღეს ყველაზე პოპულარული ექიმი-დიეტოლოგი, ნუტრიციოლოგი ნატა გაგუაა. მისი წყალობით ბევრმა მიაღწია სასურველ წონას და თავს ბედნიერად გრძნობს, ქალბატონმა ნატომ დაამთავრა მოსკოვის ი.მ. სეჩენოვის სახელობის სამედიცინო აკადემია (სამკურნალო საქმე), დიეტოლოგის სპეციალობით. და, 20 წელზე მეტხანს, წარმატებულად ემსახურებოდა მოსკოვში ამ ურთულეს დარგს. 2012 წლიდან მოღვაწეობს თბილისში; ასევე, არის საქართველოს პირველი ლიცენზირებული ნუტრიციოლოგი.**

# რა შემთხვევაშია დიეტა ეფექტური და როდის და როგორ დავიცვათ თავი ჭარბი წონისგან

**– დღეს ძალიან პოპულარული დიეტოლოგი ხართ თბილისში. მკურნალობის როგორი მეთოდი გაქვთ?**

– ადამიანთა დახმარება ცხოვრებაში ყველაზე ღირსეული საქმეა. ჩემი პროფესიით შინაგან კმაყოფილებას ვიღებ. მუშაობის პრინციპი ასეთი მაქვს: დავეხმარო ადამიანს მისი პრობლემების გათავისებით და შევთავაზო მკურნალობის ის ვარიანტი, რომელიც მისთვის საუკეთესოა, როგორც შედეგი. ამ პრინციპმა ჩამომიყალიბა ფასეულობათა გარკვეული სისტემა – პაციენტის სიყვარული და მუდმივი პროფესიული სრულყოფისკენ სწრაფვა. ვფიქრობ არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ დავეხმარო პაციენტს განკურნებაში, არამედ იმაზეც, თუ რისი გაკეთება შეიძლება, რომ ადამიანი ავად არ გახდეს. ჯერ კიდევ სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლის დროს გავაცნობიერე ჩემი დანიშნულება და ავირჩიე პროფილაქტიკური, პრევენციული მედიცინის ეს უმნიშვნელოვანესი მიმართულება. 21-ე საუკუნეში სწორედ პრევენციული მედიცინაა პირველ ადგილზე. ჩემთვის პაციენტი არასდროს ყოფილა სამკურნალო ობიექტი. მე, როგორც ექიმი-ნუტრიციოლოგი, ვასრულებ კონსულტანტის როლს – ვურჩევ პაციენტს, როგორ აიმაღლოს ჯანმრთელობის ხარისხი.



**სიცხეში უმეტესად ცხოველური ცილების მიღებაზე ამბობენ უარს. ეს შეცდომაა**

**– თქვენი დახმარებით წონაში დაკლებული ადამიანები პროპორციებს არ კარგავენ და იდეალურად გამოიყურებიან. როგორ აღწევთ ასეთ შედეგს?**

– არ არის რთული, რეალური ნაბიჯი გადავდგათ საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნების, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გზაზე. რა გვაბრკოლებს? – მხოლოდ და მხოლოდ ჩვევები. ჩვენ მიერ ცხოვრებაში შეძენილი მრავალი ჩვევა ჩვენზევე მოქმედებს დესტრუქციულად. ადამიანის შესაძლებლობების პოტენციალი ძალიან დიდია. ყოველ ჩვენგანში ბუნებას ჩადებული აქვს იდეალური მდგომარეობის პარამეტრები და სიცოცხლის განმავლობაში, შეიძლება, მაქსიმალურად მივუახლოვდეთ მათ. მთელი ცხოვრება შეგვეძლება საუკეთესო ფორმაში ყოფნა, თუ კი ვიცხოვრებთ კანონებით, რომლებიც წინასწარ განსაზღვრა ბუნებამ. მთავარია, მივიღოთ ენერგია საკვებიდან, რომ არ ვიყოთ მშივრები, და ვიმოძრაოთ იმდენი, რამდენიც გვჭირდება იმისთვის, რომ მოვახდინოთ მიღებული ენერგიის კომპენსირება. ჩემი პაციენტები დარწმუნდნენ, რომ წონის დაკლება სავსებით რეალურია ბუნებრივი, ევოლუციური გზით, ამისთვის კი აუცილებელია ჯანსაღი და დაბალანსებული კვების რაციონი და ჯანსაღი მოტივაცია.

**– თავად თუ აკონტროლებთ წონას?**

– ყველა სისტემა და ზოგადად მეთოდი უკვე პირადად მოვსინჯე და დავრწმუნდი, რომ ის საუკეთესოა. ასე ვიქეცი ჩემი საყვარელი საქმის „მძევლად". მერწმუნეთ, ეს ძალიან სასიამოვნო და საინტერესო პროცესია.

**– რას ნიშნავს ნორმალური წონა, როგორია მისი კავშირი ასაკთან, სქესთან?**

– ნორმალური წონის შეფასება უმეტესად ხდება მხოლოდ ერთი მაჩვენებლის – სხეულის მასის ინდექსის (სმი) მეშვეობით, რომლის გამოსათვლელადაც გამოყენებულია პიროვნების სიმაღლესა და წონაზე დამყარებული მათემატიკური ფორმულა. სმი უდრის კილოგრამებში აღებული წონის განაყოფს მეტრებში აღებული სიმაღლის კვადრატზე (სმი=წონა(კგ):სიმაღლე (მ2). სმი-ს მიხედვით განასხვავებენ წონის ნაკლებობას, ნორმალურ წონას, ჭარბ წონასა და სიმსუქნეს. ადამიანი, რომლის სმი 30 ან უფრო მეტია, მსუქნად ითვლება, თუმცა, სმი არც ცხიმისა და კუნთების ზედმეტ წონას შორის განსხვავებას გამოხატავს და არც იმას აზუსტებს, სახელდობრ რა ადგილას არის დაგროვილი ეს ცხიმი, მაგალითად, მუცელზე, სადაც მის განლაგებას ჯანმრთელობისთვის ყველაზე მძიმე შედეგი მოჰყვება, თუ – თეძოებზე. ქალებისთვის დამახასიათებელია ცხიმის უფრო მაღალი შემცველობა, იმავე სმი-ს მქონე მამაკაცებთან შედარებით. უფრო ასაკოვან ადამიანებს, შეიძლება, მეტი ცხიმი ჰქონდეთ, ვიდრე იმავე სმი-ს მქონე ახალგაზრდებს.

**– რა ასაკიდან შეიძლება დიეტის დაცვა?**

– „დიეტა" ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ადამიანის კვების გარკვეული რეჟიმს ნიშნავს. ასე რომ, დიეტის დაცვა ნებისმიერ ასაკშია სასურველი.

**– არსებობს უნივერსალური დიეტა წონის დაკლებისთვის?**

– დიეტა თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურად უნდა იყოს შედგენილი. არ არსებობს დიეტა, რომელიც ერთნაირად ეფექტური იქნება სხვადასხვა ორგანიზმისთვის. ადამიანები დიეტას უმეტესად ჭარბი წონისა და სიმსუქნის გამო მიმართავენ. სწორედ ამიტომ, ინდივიდუალური გამოკვლევებით უნდა დადგინდეს, თუ რა ტიპის დიეტა ესაჭიროება ამა თუ იმ ადამიანს და შეირჩეს კონკრეტულად მისთვის შესაფერისი დაბალანსებული კვების რეჟიმი, რაც მისცემს საშუალებას, გათავისუფლდეს ჭარბი წონისგან ისე, რომ ჯანმრთელობა არ დაიზიანოს.

**– როცა დიეტა ეფექტს არ იძლევა, რისი ბრალია?**

– 1. არ ხართ თანმიმდევრული; 2. ხართ მუდმივ სტრესულ მდგომარეობაში; 3. არ გძინავთ საკმარისად 4. არ სვამთ საკმარისი რაოდენობის წყალს; 5. ჭამთ ძალიან ბევრ ხილს; 6. მცირე დროში ძალიან ბევრს ელით და პროცესში „კარგავთ" მოტივაციას.

**– როგორ უნდა იკვებოს ადამიანი წელიწადის ამ დროს?**

– ზაფხულში კვების თავისებურებას განაპირობებს მაღალი ტემპერატურა და მზის აქტიური გამოსხივება, რაც ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესთა ცვლილებებს იწვევს. ზაფხულში ადამიანის კვების ხასიათი მისი ორგანიზმის შესაძლებლობებს უნდა შეესატყვისებოდეს. ამ სეზონზე სწორი კვების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ცილებით, განსაკუთრებით კი – ცხოველური ცილებით რაციონის დაბალანსება. სიცხეში უმეტესად ცხოველური ცილების მიღებაზე ამბობენ უარს. ეს შეცდომაა. ზაფხულში ცილების მთავარი წყაროა რძის ნაწარმი: მაწონი, კეფირი, იოგურტი, ხაჭო, ნადუღი; ასევე – კვერცხი, უცხიმო ხორცი, თევზი, ყველი. ორგანიზმის ცხიმებით შესავსებად აუცილებელია მზესუმზირის, ზეითუნის, ნიგვზის ზეთების ზომიერი გამოყენება ბოსტნეულის სალათებში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ცხიმოვან ცვლაში, ზრდიან სისხლძარღვთა ელასტიკურობას, აწესრიგებენ მათ მუშაობას. ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო, ორგანიზმი გარკვეული რაოდენობის მიკროელემენტებს და ვიტამინებს ხარჯავს. რეგულარული ოფლიანობა აკარგვინებს ორგანიზმს ამ ნივთიერებებს. მაგალითად, ყოველდღიური მოთხოვნა C ვიტამინზე საშუალოდ 90 მილიგრამია, გაძლიერებული ოფლიანობისას კი ორგანიზმი 40 მილიგრამს კარგავს. ამიტომ, სასურველია, რაციონში შევიტანოთ ცოცხალი ხილი და კენკრა. ვიტამინებით მდიდარია ხილისა და კენკრის წვენები, მორსი. ეს გამაგრილებელი სასმელები ზაფხულში შესანიშნავად შეგიცვლით საკონდიტრო ნაწარმს. მოერიდეთ ნახშირწყლებით მდიდარ საკვებს – ცომეულს, კრემიან ნამცხვრებს; მათი ჭარბი მიღება ვიტამინებისა და მიკროელემენტების უკმარისობას განაპირობებს. დადგენილია, რომ სანელებლები ზომიერად ასტიმულირებს კუჭის სეკრეტორულ ფუნქციას და აძლიერებს მადასაც, ამიტომ, გახდომის მსურველებს ვურჩევ, ზომიერად გამოიყენონ სანელებლები. კარგია, თუ გაამდიდრებენ კერძებს მწვანილებით – ეს ყველაფერი სასარგებლოცაა და პიკანტურ გემოსაც მატებს კერძს. ზაფხულში მნიშვნელოვანია სითხის მიღების რეჟიმის დაცვა. სიცხეში ოფლის გამოყოფის გაძლიერებასთან ერთად, ორგანიზმიდან დიდი რაოდენობის სითხე იკარგება. ზაფხულის სიცხეს ადვილად გადაგატანინებთ გრილი სასმელები: უშაქრო მწვანე ჩაი, ხილისა და კენკრის უშაქრო კომპოტები, უშაქრო ნატურალური წვენები. პაპანაქება სიცხეში ერთბაშად დიდი რაოდენობით სითხეს ნუ მიიღებთ. დილით კი, როცა გრილა, შეგიძლიათ, შეუზღუდავად დალიოთ წყალი.

**– რა არის მეტაბოლიზმი?**

– მეტაბოლიზმი, ანუ ნივთიერებათა ცვლა, არის ქიმიური რეაქციების ერთობლიობა, რომელიც მიმდინარეობს ცოცხალ ორგანიზმში სასიცოცხლო პროცესების უზრუნველსაყოფად; უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის მიღებული საკვების სასიცოცხლო ენერგიად გადაქცევის პროცესი. ის შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: მეტაბოლიზმი სრული სიმშვიდის დროს, ანუ, ის ენერგია, რომელიც ორგანიზმს სჭირდება მაშინაც კი, თუ მთელი დღე არ აქტიურობთ და გამოიყენება ისეთი საციცოცხლო პროცესების მიმდინარეობისთვის, როგორიცაა: გულისცემა, სუნთქვა, სხეულის ტემპერატურა, საჭმლის გადამუშავება; მეორე კი – ენერგია, რომელიც თქვენ ფიზიკური დატვირთვებისთვის, მოძრაობისთვის გჭირდებათ. ძირითადი მეტაბოლიზმის დონე მოზრდილ ადამიანს 10 წელიწადში 7-10 პროცენტით უმცირდება. ვისაც კარგად აქვს განვითარებული კუნთოვანი ქსოვილი, მათი ორგანიზმი სიმშვიდის დროსაც კი გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე ნაკლები კუნთოვანი ქსოვილის მქონე ადამიანები. შეგახსენებთ, რომ ერთი და იმავე მოცულობის კუნთოვანი მასა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ცხიმოვანი, ამიტომ, ვიზუალურად, გამხდარი და დაკუნთული ადამიანის მასა შეიძლება იგივე იყოს, რაც მასთან შედარებით ჭარბწონიანის. ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა ცხიმოვან ქსოვილში 3-ჯერ დაბალია, ვიდრე ორგანიზმის დანარჩენ მასაში. მეტაბოლიზმის დონე ქალებს უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე კაცებს. საშუალოდ ეს განსხვავება 5 პროცენტს შეადგენს. ძირითადად, ნივთიერებათა ცვლა დამოკიდებულია კვების რეჟიმზე, საკვების ხანგრძლივობა, შეზღუდვა ან ჭარბი კვება მნიშვნელოვან ცვლილებას ახდენს ამ მაჩვენებელზე.

**მარიკა ხიდურელი**

**ცნობილი ანდაზაა – „ჭირი ულხინოდ ვის გაუგიაო“. მართლაც, არავის გაგვიჭირდება საკუთარი გამოცდილებიდან მსგავსი შემთხვევების გახსენება.**

**ალბათ, არ არის მთლად მართებული საქციელი სიკვდილის თემაზე ხუმრობა, მაგრამ, ყველაზე ტრაგიკულ მომენტშიც კი, შეიძლება, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ გაცინებისგან თავი ვერ შევიკავოთ.**

**რატომ ითხოვდა ჭირისუფალი განსაკუთრებულად ღრმა საფლავს, რა აცინებდა მიცვალებულს და როგორ იძია ქალბატონმა შური მოღალატე ქმარზე და კიდევ ბევრი სახალისო ისტორია სასაფლაოზე მომსახურე პერსონალმა მიამბო.**

# როგორ იძია შური ქალბატონმა მოღალატე ქმარზე და რა აცინებდა მიცვალებულს

ქალბატონი საშუალო ასაკის იქნებოდა. სასახლე ჯერ არ გვქონდა ორმოში ჩადებული, რომ გარდაცვლილის შვილი ცუდად გახდა, გადაბრუნდა და მიცვალებულისთვის გათხრილ ორმოში ჩავარდა.

***



ერთხელ, საკმაოდ გვიან იყო, ბნელოდა. სასაფლაოზე გავიარე და რას ვხედავ (გაითვალისწინეთ, ამჯერად ჩვენი რესპონდენტი ქალბატონია, – ავტ.). დამდგარა ერთი ვაჟბატონი საფლავის ქვასთან და ძვირფასი ლითონით შესრულებულ წარწერას იპარავს.

პირველი, რაც გავაკეთე, უფროსობას და პატრულს დავურეკე, შემდეგ კი თავზე წამოვადექი და დავუყვირე: რას აკეთებ, არ გრცხვენია? ჭირისუფალმა გაიჭირვა, ეს რომ გაეკეთებინა და შენ რა სინდისით იპარავ-მეთქი. არც შემოუხედავს, არც „საქმეს“ მოსწყვეტია, ისე დამიწყო გინება. მეც არ დამიკლია: მივვარდი, ზურგში ჩავაფრინდი და დავიჭირე, მაგრამ, გამისხლტა და გაიქცა. მაგას შევარჩენდი? დავედევნე, დავეწიე, დავიჭირე და რამდენჯერმე კარგად ვუთავაზე. მერე დავაგდე და თავზე დავადექი, წამოდგომის საშუალება არ მივეცი.

ამასობაში უფროსობა და პატრულიც მოვიდნენ და დაიჭირეს.

მერე მთხოვდა, საჩივარი უკან გამომეტანა და, იცით, თავს რით იმართლებდა? – რა ვქნა, ძალიან მიჭირსო. რომ გეკითხათ, უჭირდა და მერე ორ-ორი ადვოკატი აიყვანა. რა თქმა უნდა, საჩივარი არ გამომიტანია.

***

ზამთარია, ყინავს, თოვლით არის ყველაფერი დაფარული და, ჩვენ, ბუნებრივია, ასეთ დროსაც ვასრულებთ ჩვენს სამუშაოს – სიკვდილი კარგ ამინდს ხომ არ ელოდება.

ყინვისთვის რომ გაგვეძლო, ერთი-ორი ჭიქა გადავკარი. თუმცა, რა მაქვს დასამალი – ორი ჭიქა რა მოსატანია იმასთან, რაც ჩვენ დავლიეთ. ფეხზე ძლივს ვიდექით.

გავისტუმრეთ ჭირისუფლები და შევუდექით ჩვენს საქმეს. ჩავასვენეთ მიცვალებული და მიწის მიყრა დავიწყეთ. ამ დროს ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი (ფხიზელი) მოვიდა და გაოცებული სახით გვიყურებს ხან ერთს, ხან მეორეს. მერე გვერდზე მიგვიითითებს და... რას ვხედავთ – კუბოს თავსახური დევს. ჩავხედეთ მიცვალებულს და – მხოლოდ სუდარა აფარია, ცხადია, თავსახური არ აქვს.

თუმცა, მხოლოდ ეს არ იყო – მიცვალებული უკულმა გვყავდა ჩასვენებული... რა თქმა უნდა, თავიდან დავიწყეთ ყველაფერი.

**ქეთი კაპანაძე**

ცეკას ერთ-ერთი მდივანი გარდაიცვალა და ჩვენს სასაფლაოზე დაკრძალეს. მაშინ ქალბატონი იყო ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ქალბატონი საფლავის სანახავად მივიდა, ზუსტად იმ დროს, როცა მესაფლავე საფლავს თხრიდა. მან საფლავს ჩახედა და... – სერგო, ცოტა ღრმად ამოთხარეო, – უთხრა მესაფლავეს.

მესაფლავემ კი, – ქალბატონო, მეტი ღრმა რაღა ამოვთხარო, მამლის ყივილი ხომ უნდა გაიგონოსო.

***

ერთი მამაკაცი, თურმე, ცოლს ღალატობდა და ზუსტად იმ მომენტში გარდაცვლილა, როცა საყვარელთან ერთად იყო. ჰოდა, განრისხებულმა ცოლმა საფლავის ქვაზე, ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოები დაახატვინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ქალბატონებმა, რომლებიც იქ დადიოდნენ, იჩივლეს – ეს რა უმსგავსობააო და ის ნახატი წააშლევინეს

***

კურიოზია თუ არა, რა მოგახსენოთ, მაგრამ, ერთი მიცვალებული მახსოვს ძალიან კარგად და, გეტყვით, რატომაც – იცინოდა. რომ შეგეხედათ, გაოცდებოდით – ცოცხალი ადამიანივით გაცინებული სახე ჰქონდა... არ ვიცი, რამ გააბედნიერა ასე, ეტყობა, რომ მოკვდა, ეგ უხაროდა.

***

ერთი მამაკაცი მოვიდა საფლავის შესაკვეთად და მითხრა – კაი ღრმად ამოთხარეო. ვუთხარი, ჩვეულებრივ, სტანდარტი რაც არის, ისე ამოვთხრი და საკმარისი იქნება-მეთქი.

– არაო, – აიჩემა, – სტანდარტი კი არა, ორი მაგხელა სიღრმის ორმო ამოთხარე და, თანხა არაა პრობლემა, ორმაგს გადაგიხდიო.

– კი მაგრამ, ასე ღრმა საფლავი რად გინდათ-მეთქი, – ვკითხე.

– ბიჭო, სიდედრი უნდა დავმარხო და, თუ ჩემი ძმა ხარ, ძაან ღრმა ორმო გააკეთე, თორემ, ვიცი მაგისი ამბავი, რომ მივალ, სახლში დამხვდებაო.

***

დაკრძალვაა და ჭირისუფლები საფლავის გარშემო არიან შეჯგუფულები. გარდაცვლილი

# რა უცნაური მოთხოვნებით მიმართავენ გოგონები ოთო გვარაძეს და რით ცდილობს ის მათთვის რთული პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ გადაქცევას

(78-ე გვერდიდან)

საათში ერთხელ უნდა ჭამო, რომ არ ჰქონდეს ორგანიზმს შიმშილის მომენტი. ვუწყობ სისტემას და თან ვუხსნი: რატომ იწყება ცხიმის წვა, როგორ უნდა შეინარჩუნოს კუნთური მასა და მისთვის უკვე მარტივი ხდება კვების რაციონის შედგენა. ქართულ სუფრასთანაც რომ მოხვდება, უკვე იცის, რა ჭამოს, რა სჭირდება. ვარჯიშის პროგრამასაც ინდივიდუალურად ვუწყობ; ვასწავლი სწორ სავარჯიშო მეთოდიკას და დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ შეუძლია, აღარ ჰყავდეს ტრენერი, თვითონ ივარჯიშებს სწორად, ჩამოწერილი სისტემის მიხედვით.

**– პრეტენზიულები არიან?**

– უფრო – მომთხოვნები. ზოგს რა უნდა და ზოგს – რა. მეცინება, როცა მეუბნებიან, რომ რაღაც კონკრეტულ ადგილებში უნდათ დაკლება. ფეხზე რომ ვდგები ან ქუსლიანს, რომ ვიცვამ, მუხლთან ვიკეთებ ქონსო – ძირითადად ამაზე წუხან გოგონები. ცოტა რთული მოთხოვნები აქვთ – მუხლთან ცხიმის მოკლება უცნაურია. ცხიმის კლება ორგანიზმში ხდება ინდივიდუალურად – ორგანიზმი ზედმეტ ცხიმს გასცემს იქიდან, საიდანაც საჭიროდ მიიჩნევს; მერე რომ გამოელევა, მარაგს იღებს ამა თუ იმ ადგილიდან, საბოლოოდ კი, ექვს თვეში, ყველაფერი ლაგდება და საერთო სურათს ვიღებთ.

**– მოკლედ, თბილისელი გოგონებისა და ბიჭების გარეგნობაზე დაუღალავად ზრუნავ.**

– დიახ, ძალიან ბევრია ასეთი და მეც მსიამოვნებს, როცა ადამიანი შედეგს აღწევს. უფრო მეტად მსიამოვნებს, როდესაც ამის სურვილს გამოთქვამენ. არ უნდა თქვა, დარბაზში დავდივარო, ეს სხვამ უნდა გკითხოს – სად ვარჯიშობ, რა კარგად გამოიყურებიო. რადგან ამაში ხარჯავ დროს, ფულსა და ენერგიას, ეს უნდა გემჩნეოდეს. არა მხოლოდ „დასაჩეკინებლად” უნდა იყო დარბაზში, არამედ, შედეგის მისაღებად. ზოგადად, ჩემთან გოგონები ჭარბობენ, რადგან, წონის კლებაზე კარგად ვმუშაობ. ბიჭმა, შეიძლება, ორი-სამი თვე იაროს და მერე თავზე დადგომას აზრი არ აქვს. სწავლობს სწორ ვარჯიშს, კვებას, პროგრამას ვუცვლი და, ან თავის ტრენინგ-პარტნიორთან ერთად ვარჯიშობს ან ჩემთან ერთად. გოგონებს უფრო სჭირდებათ თავზე დგომა, რადგან, ცოტა ეზარებათ ინტენსიური ვარჯიშების კეთება. რამდენიმე მიმდინარეობას ვავარჯიშებ – ეს მრავალფეროვანს ხდის მათ ვარჯიშს და კიდევ უფრო მეტად სიამოვნებთ.

**– და, ალბათ, შენთან არაერთი ცნობილი ადამიანი დადის.**

–ძალიან ბევრი. ისინიც ბევრნი არიან, ვისაც ვარჯიში უნდა, მაგრამ, გრაფიკის გამო ვერ ახერხებენ. მე მაქსიმალურად ვცდილობ, ყველასთვის გამოვნახო დრო. ყოფილა შემთხვევა, როცა 11-12 პერსონალური მოსწავლე მყოლია. მარტო პერსონალურზე რომ ვმუშაობდე, ბევრს ავიყვანდი, მაგრამ, დარბაზზეც ვმუშაობ და სამუშაო საათებში ვერავის ავიყვან. ამიტომ ზოგჯერ ძალიან არარეალური გრაფიკი მაქვს – დღეში 15 საათი ვერ გამოვდივარ ხოლმე დარბაზიდან, მაგრამ, საჭიროა, მეც უნდა ვივარჯიშო..

**– არ ხარ დაოჯახებული?**

– არ ვარ.

**– ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმას აქცევ, როგორი ნავარჯიშები სხეული აქვს გოგონას, როგორ ფორმაშია.**

– ვაქცევ ყურადღებას და, თან, დიდს. მე თუ ვცდილობ, მაქსიმალური გავაკეთო და შევძლო, რომ იდეალურ ფორმაში ვიყო, ნებისმიერი გოგონაც უნდა შეეცადოს ამას. მერე ასეთ გოგონებს უფრო მეტი პრეტენზია აქვთ და მათი ბიჭებიც ცდილობენ, კარგ ფორმაში იყვნენ – აი, ასე სისტემურად ეწყობა ყველაფერი. ახლა ისეთი გრაფიკი მაქვს, თითქმის არ მრჩება თავისუფალი დრო. ჯერ ვცდილობ, საკუთარი პრობლემები მოვაგვარო, რომ ფინანსური მხარე მქონდეს გამართული, თუ შენ თვითონ არ ხარ მატერიალურად პასუხისმგებელი, ძნელია, ვინმე დაგეხმაროს. ასაკიც არ მაქვს დიდი – ჯერ 24 წლის ვარ.

**– იდეალური სასიძო ხარ – ვარჯიში, ჯანსაღი კვების რაციონის შერჩევა, პლუს მასაჟები, კარგი ხასიათი – მეტი რაღა საჭიროა?**

– ჰო, „ფულ პაკეტი“ ვარ, თუმცა, ვისთვის – იდეალური, ვისთვის – არა. ყველასთვის იდეალური ვერ ვიქნები...

**ნათია უტიაშვილი**

**მთელი წლის დამღლელი სამუშაოს შემდეგ, ყველა ელოდება ზაფხულის შვებულებას, რომ ეს დღეები გემრიელად გაატაროს. ზოგს მთაში ურჩევნია დასვენება, ზოგს – ზღვაზე, ზოგიც უცხოეთის კურორტებზე ნებივრობს. ხატია შამუგიასთვის კი ზაფხული ის დროა, რომელსაც მთელი ცხრა თვე ელოდება და შემდეგ ცდილობს, დახარჯული ენერგია ზღვის სანაპიროზე აღიდგინოს. ვისთან ერთად დაისვენა მან თურქეთში, როგორ ატარებს წლევანდელი ზაფხულის ცხელ დღეებს და რატომ არ იზიდავს მას საკურორტო რომანები, ამაზე თავად გიამბობთ.**

# რატომ არის კურორტზე წასული ხატია შამუგია სულ შეყვარებული და ვინ აგრძნობინა მას თურქეთში თავი ნამდვილ ქალად

**ხატია შამუგია**: მე ვარ ადამიანი, რომელიც მთელი ცხრა თვე ელოდება ნანატრ სამ თვეს, ანუ, მთელი წელი ვცხოვრობ იმიტომ, რომ მოვიდეს ზაფხული და გემრიელად დავისვენო. ჩემს გარდეროზს თუ გადახედავთ, სულ ზაფხულის ტანსაცმელი მაქვს, ზამთრის ტანსაცმელი არ გამაჩნია. განსაკუთრებით მიყვარს ზღვის აქსესუარები და, სანაპიროზე დილით, შუადღეზე და საღამოს სხვადასხვა ფორმაში და აქსესუარით გავდივარ. უამრავი პარეო, ზღვის ქუდი და ჩანთა მაქვს, თავისი სამაჯურებითა და მოწყობილობებით. ჩემი მეგობრები ხუმრობენ, ხატია ზღვის სანაპიროზე დეფილეებს აწყობსო *(იცინის).* საერთოდ, ზაფხული ჩემთვის ზღვასთან ასოცირდება. ძალიან მიყვარს ზღვაზე დასვენება, თან, აგვისტოში ვარ დაბადებული და ზაფხული ჩემთვის ყველაფერ ახალთან, სიამოვნებასთან, რუჯთან, სიახლესთან, დასვენებასთან და კომფორტთან ასოცირდება; აი, კოქტეილებთან კი – ნაკლებად, რადგან, არ ვეტანები ალკოჰოლიან სასმელებს, არ ვეწევი, ჯანსაღი ცხოვრების წესით ვცხოვრობ, ანუ ბოჰემური დასვენებები არ მაქვს, მაგრამ, თავს ნამდვილად ვინებივრებ: დილით ადრე ვდგები, გავდივარ ზღვის ნაპირზე, ვცურავ, ვირუჯები და ადრე ვიძინებ. ზოგისთვის ეს პასიური დასვენებაა, ჩემთვის კი – სრული იდილია. მოკლედ, ზაფხულის ადამიანი ვარ. ზღვას რომ გავცქერი, ენერგია მემატება, დადებითი ენერგეტიკით ვივსები და ყველაფერი უარყოფითი მავიწყდება. ტალღების ხმას შენი ცუდი ენერგეტიკა მიაქვს და დადებითით გავსებს. მოკლედ, ზღვა ჩემთვის სისუფთავესთან და ყველაფერ კარგთან ასოცირდება.



**მთელი წელი ვცხოვრობ იმიტომ, რომ მოვიდეს ზაფხული და გემრიელად დავისვენო**

**– საქართველოს კურორტებზე გირჩევნია შვებულების გატარება თუ უცოეთის პლაჟები უფრო გიზიდავს?**

– საქართველოს კურორტებზე იშვიათად მივდივარ დასასვენებლად – აქ ვიღლები; ამიტომ, მირჩევნია, შვებულება უცხოეთში გავატარო, იქ სადაც ნაცნობი არავინაა, ანუ, კომუნიკაციისგან ვისვენებ.

**– წელს უკვე მოახერხე უცხოეთში დასვენება? ვისთან ერთად იყავი წასული?**

– წელს თურქეთში დავისვენე, ქემერში, ჩემს შვილთან, ნიკუშასთან ერთად. ორი წელია, ზაფხულში ერთად ვისვენებთ. შარშან ეგვიპტეში ვისვენებდით, წელს – თურქეთში და, იმედია, გაისადაც დავგეგმავთ უცხოეთის რომელიმე ლამაზ სანაპიროს. იმდენად დიდი და ჩამოყალიბებული ბიჭია ნიკუშა, რომ არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის დასვენების დროს. თან, წყალბულთელია და უყვარს ზღვა და წყალი. პატარა რომ იყო, არ დამყავდა ზღვაზე, ახლა კი დიდი ბიჭია. ნამდვილი ჯენტლმენია, ისე მივლიდა და მანებივრებდა, უნდა გენახათ *(იცინის).* 12 წლის არის, მაგრამ, ნამდვილი მამაკაცია, ისე მემსახურებოდა, თქმაც არ სჭირდებოდა. სხვათა შორის, არ მიყვარს დასვენების დროს შოპინგებზე სიარული, რადგან, ის დღე დაკაგული მაქვს და მაკლდება ზღვაზე და მზეზე ნებივრობა. ნიკუშამ და მე გადავწყვიტეთ საშოპინგოდ წასვლა, მაგრამ, ვერ მოვწყდი სანაპიროს, ამის გამო გვიან ჩვედით ანტალიაში, შოპინგმოლში და, სანამ გავიხედ-გამოვიხედეთ, ყველა მაღაზია დაიკეტა *(იცინის).* ჩემთვის შოპინგი და დასვენება სხვადასხვა თემაა. სულ ასე მაქვს დაყოფილი ზაფხული: უცხოეთში ვიზიტები, დასასვენებლად წასვლა, საშოპინგოდ წასვლა და დასათვალიერებლად წასვლა.

**– დავიჯერო, სულ ეს იყო შენი ამ სეზონის დასვენება და აღარსად გეგმავ წასვლას?**

– როგორ არა, მეგობართან, გვანცა კილასონიასთან ერთად ვაპირებ უცხოეთში "გაპარვას", ოღონდ, სად, ჯერ არ ვიცი, მოვიფიქრებთ. სად მივდივართ არ ვიცით, მაგრამ, ვიცით, რა გვინდა – კარგი სასტუმრო, ზღვა, მზე და დასვენება *(იცინის).* არჩევანი დიდია და გადავწყვეტთ.

**– ზაფხული, არა მარტო დასვენებასთან, არამედ თავისუფალი ადამიანისთვის, საკურორტო რომანებთანაც ასოცირდება. არ მეთანხმები?**

– არ მხიბლავს საკურორტო რომანები და, დამიჯერეთ, არც არასდროს მქონია. ახლა დავფიქრდი, იცით რატომ?

**– რატომ?**

– იმიტომ რომ კურორტზე მარტო არასდროს მივდივარ, მეგობრების გარემოცვაში ვარ და, თან – სულ შეყვარებული *(იცინის).* თუ

**კურორტზე მარტო არასდროს მივდივარ, თან, სულ შეყვარებული ვარ**

მარტო მიდიხარ დასასვენებლად და, თან, არც შეყვარებული ხარ, მაშინ ეძებ საკურორტო თავგადასავლებს. ჩემს ცხოვრებაში ორი ზაფხული იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება: ერთი, როცა თხუთმეტი წლის წინ, გოგოები, პირველად წავედით უცხოეთში დასასვენებლად – კუშადაში და, ეს იყო ნამდვილი ევროპული დასვენება და, მეორე – შარშანდელი ზაფხული, როცა მე და ჩემი შვილი ერთად, პირველად წავედით ეგვიპტეში დასასვენებლად.

**– როგორც ვიცი, დასასვენებლად როცა მიდიხარ, შენი ბარგის ნახევარს თავის მოვლის საშუალებები შეადგენს, რაზეც შენი მეგობრები ძალიან ხალისობენ. ხომ ასეა?**

– *(იცინის)* დიახ, ჩემს ჩემოდანში ყოველთვის არის მინიმალური რაოდენობის ტანსაცმელი და მაქსიმალური რაოდენობის – ტანისა და სახის მოვლის საშუალებები. ზოგადად, ძალიან მოწესრიგებული ადამიანი ვარ და ზღვაზე იმხელა ჩანთით გავდივარ, მეგობრები დამცინიან. ვჯდები სანაპიროზე, შეზლონგს მოვიდგამ გვერდით და მასზე ვაწყობ თვალის, ცხვირის წვეტის, ხალების, სახის კანისა და ტანის ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავს, გარუჯვის შემდეგ წასასმელ კრემსა და თერმულ წყალს, რომელიც ყოველ ნახევარ საათში ერთხელ უნდა ისხურო და ასე შემდეგ.

**– კი მაგრამ, ამდენი „მზითვით" რომ მიდიხარ სანაპიროზე და თავის მოვლას ანდომებ ყოველ წუთს, რუჯის მიღებასა და განტვირთას როდისღა ასწრებ?**

– არ მიყვარს შეზლონგზე ერთ პოზაში წოლა, სულ მოძრაობაში ვარ – ვცურავ და მერე ვსეირნობ. თან, არ მავიწყდება, რამდენ ხანში რა უნდა წავისვა ტანზე ან სახეზე. მიყვარს ოქროსფერი რუჯი, თუმცა, დიდად ვერც ვშავდები – ალბათ, იმდენ დამცავს ვისვამ, მზე ველარ მეკიდება *(იცინის).* მოკლედ, ძალიან შავი რუჯი არც მომწონს, ჩემი ოქროსფერი ნამზეური მირჩევნია. თან, რუჯი კარგ დასვენებასთან ასოცირდება და ყველა ტანსაცმელს კარგად ირგებ. რომ ამბობენ, რუჯზე სუნამოს დასხმა არ შეიძლებაო, ტყუილია. მე ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს და „ვკაიფობ", სასტუმროში რომ დავისხამ საყვარელ სუნამოს, მერე ზღვაში ჩავალ, მარილიანი წყლისა და ამ სუნამოს სუნი თმაზე გადადის – თავს რომ გავაქნევ, თმიდან მოდის და, ვგრძნობ ჩემს არომატს. სუნამოზე გამახსენდა: გერმანიაში მივდიოდი, ხელჩანთაში მედო ჩემი უსაყვარლესი „ჟან პოლ გოტიეს" ასმილილიტრიანი, ახალი სუნამო. გერმანელმა მებაჟემ ამოიღო ეს ჩემი საყვარელი სუნამო და ჩემ თვალწინ ურნაში ჩაუძახა. ვიფიქრე, ახლა ამას მოვკლავ -მეთქი *(იცინის).* ისეთი გამწარებული სახე მქონდა, ვინმეს რომ შემოეხედა, იფიქრებდა, ნამდვილი სტრესი აქვს ამასო, მაგრამ, ვერაფერი ვუთხარი.

**– მგზავრობას როგორ იტან?**

– არანაირი დისკომფორტი არ მაქვს მგზავრობის დროს, თუმცა, ამ ბოლო დროს იმდენი ცუდი ინციდენტი მოხდა თვითმფრინავებთან დაკავშირებით, რომ ცოტა მეც შემეშინდა ფრენა. ხშირად დავფრინავ და არანაირი შიში არ მქონია. ჩავჯდები თუ არა თვითმფრინავში და უსაფრთხოების ღვედს გადავიკრავ, ეგრევე მერთვება „ავტოპილოტი", ვითიშები და ვიძინებ *(იცინის).* უცბად ჩანთის ჩალაგებაც არ მიყვარს, ერთი დღით ადრე ვალაგებ და მერე ვამოწმებ, ხომ არაფერი დამრჩა, ვიღებ, ვამატებ და ვარ ერთ ამბავში; და, კიდევ ერთი წესი მაქვს: გამგზავრებამდე, ორი საათით ადრე აუცილებლად ვიძინებ და ისე მივდივარ აეროპორტში.

**ნონა დათეშიძე**

**16 წლის ქართველი ემიგრანტი გოგონა, მარიამ მარგველაშვილი, უკვე 11 წელია, ოჯახთან ერთად გერმანიაში, ქალაქ დიუსელდორფში ცხოვრობს და ქალაქში საკმაოდ პოპულარული მომღერალია, თუმცა, მისი პოპულარობა მხოლოდ სიმღერით არ შემოიფარგლება – ის ცნობილი მოცეკვავეც არის. მას ტელეარხებზე ხშირად იწვევენ და სხვადასხვა შოუ-პროგრამაში იღებს მონაწილეობას. ის ყოველ ზაფხულს ჩამოდის საქართველოში და დიდი სურვილი აქვს, საბოლოოდ, თავის ქვეყანაში დაბრუნდეს საცხოვრებლად.**

# როგორ გახდა მარიამ მარგველაშვილი დიუსელდორფის „ფეისი" და რატომ ინტერესდებიან ქართველი გოგონათი გერმანელები

მარიამ მარგველაშვილი: გერმანიაში რომ გადავედი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად, 5 წლის ვიყავი. ქართულის გარდა არც ერთი ენა არ ვიცოდი. სკოლაში რომ შევედი, პირველი კლასიდან დავიწყე გერმანული და რუსული ენების შესწავლა; მესამე კლასში ინგლისური დამემატა, მეოთხეში – ლათინური, ხოლო მერვეში – ფრანგული.

**– საქართველოში ხშირად ახერხებ ჩამოსვლას?**

– აქ ზაფხულობით ჩამოვდივარ. ძალიან მიყვარს საქართველო, განსაკუთრებით – თბილისი. აქ მყავს ძალიან ბევრი ნათესავი, აქ არიან ჩემი მეგობრები და ასე შემდეგ. წამოსვლამდე ხუთი თვით ადრე ვემზადები, საჩუქრებს ვამზადებ. ექვსკვირიანი არდადეგები მაქვს და აქედან ოთხ კვირას ყოველთვის საქართველოში ვატარებ, ორი კვირით კი სკოლიდან საფრანგეთში მივდივართ ფესტივალზე – მე გუნდშიც ვმღერი. გერმანიაში საკარნავალო კომიტეტია, რომელმაც ქასთინგი გამოაცხადა და 12 წლის ვიყავი, მონაწილეობა რომ მივიღე. 150 მსურველიდან მხოლოდ ორნი შეგვარჩიეს და მას შემდეგ ყოველ წელს სხვადასხვა ფესტივალზე მაქვს მიწვევა. გამოვდივარ, ვმღერი და გარკვეულ ჰონორარსაც მიხდიან ამაში. შარშან 35-მდე მიპატიჟება მქონდა, წელს – კიდევ უფრო მეტი, მაგრამ ყველგან წასვლა ვერ მოვახერხე. ძალიან დიდი დატვირთვა მქონდა სკოლაში, რადგან, მომავალ წელს სკოლას ვამთავრებ და აქცენტი სწავლაზე მაქვს გადატანილი. უნივერსიტეტში მინდა ჩაბარება, ხელოვნებადმცოდნეობის ფაკულტეტზე, ასევე, რეჟისურაც ძალიან მაინტერესებს, მინდა, ფილმზე ვიმუშაო. სხვათა შორის, ორკვირიანი პრაქტიკა ბანკში გავიარე, მომდევნო ორი კვირა კი – ადვოკატურაში. ორივე ძალიან საინტერესო იყო.

**– ეს ორივე სფერო ხომ შენი საქმიანობისგან ძალიან განსხვავებულია.**

– მინდოდა, ამ დარგებსაც გავცნობოდი, თუმცა, მაინცდამაინც ვერ გამიტაცა. მე უფრო ცოცხალი ცხოვრება მინდა მქონდეს – მინდა, სულ რაღაც ხდებოდეს. ერთ ადგილზე ვიჯდე კომპიუტერთან და ეს იყოს ჩემი სამუშაო – ნამდვილად არ მინდა, ვერც წამომიდგენია.

**– ცეკვა გერმანიაში დაიწყე?**

– დიახ. ჯერ ბალეტით დავინტერესდი, შემდეგ კი ლათინურ-ამერიკული ცეკვებით. 10 წლის ვიყავი, ცეკვა რომ დავიწყე და დღემდე ძალიან მიყვარს. ამჟამად ფედერაციის წევრი ვარ, უკვე B კატეგორია მაქვს და პედაგოგიც ვარ – პატარა სტუდია მაქვს და 6-დან 12 წლამდე ბავშვებს ვასწავლი ცეკვას.

**– კიდევ რით იყავი ბავშვობაში დაკავებული?**

– ფორტეპიანოზეც ვუკრავდი. ძალიან აქტიური ბავშვი ვიყავი და ბევრი რამ მაინტერესებდა. სპორტიც მიყვარს. ერთი პერიოდი ძალიან მინდოდა ფიგურულ სრიალზე და კარატეზე შესვლა. ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები.

**– რა მიღწევები გაქვს ცეკვაში?**

– ძალიან ბევრი მიღწევა მქონდა. უამრავ ტურნირში ვიღებდი მონაწილეობას სხვადასხვა ქალაქში ჩემს მეწყვილესთან ერთად. თავიდან ცოტა გვიჭირდა, მაგრამ, მერე ყოველთვის ვხვდებოდით ფინალში. უამრავჯერ გვაქვს აღებული პირველი ადგილი, მეორე ადგილზეც გავსულვართ და მესამეზეც. ამ შეჯიბრებებიდან პუნქტებს აგროვებ და საფეხურებზე ადიხარ. ამის მერე კი ერთ-ერთი ფედერალური მიწის გამარჯვებულები გავხდით. ყოველ წელს სკოლაში შოუ-პროგრამას ვაწყობთ, შემოსულ თანხას კი აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს ინვალიდი ბავშვების დასახმარებლად ვრიცხავთ. ამის ერთ-ერთი ორგანიზატორი მე გახლავართ რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად.




**სატელევიზიო არხმა „ვედეევმა" ჩემს ცხოვრებაზე ფილმი გადაიღო, რომლის რეჟისორმაც ფესტივალზე გაიმარჯვა და ჟურნალისტის პრიზი მიიღო**

ერთხელ, შოუს დროს ერთი ქალბატონი გავიცანი. გერმანიაში არის არხი „ვივა", რომელზეც სულ მუსიკალური კლიპები და შოუ-პროგრამები გადის. ამ ქალბატონს ამ არხზე აქვს სატელევიზიო შოუ, სადაც მიმიწვია და მონაწილეობა მივიღე. ძალიან საინტერესო გამოვიდა. 20-წუთიანი გადაცემა იყო, რომელიც მერე ბევრმა არხმა გაიმეორა.

**– კიდევ რა იყო შენს ცხოვრებაში საინტერესო, რასაც სიამოვნებით გაიხსენებ?**

– სატელევიზიო არხმა „ვედეევმა" ქასთინგზე შემარჩია ერთ ბიჭთან ერთად. თინეიჯერებზე ფილმის გადაღება უნდოდათ და ორივე გამარჯვებულზე ცალ-ცალკე ფილმი გადაიღეს.

**– რაზე იყო ფილმი?**

– ფილმი ჩემს ცხოვრებაზე იყო, ყველგან კამერით დამყვებოდნენ – სახლშიც, სკოლაშიც და ასე შემდეგ. აქცენტი ჩემს ემიგრანტობაზე იყო გაკეთებული, რომ, გერმანიაში ჩასულმა, მიუხედავად იმისა, რომ ენა არ ვიცოდი, დიდი შრომის ფასად, მაინც მივაღწიე წარმატებას. 40-წუთიანი ფილმია, რომლის რეჟისორმაც ფესტივალზე გაიმარჯვა და ჟურნალისტის პრიზი მიიღო.

**– მოკლედ, შენი ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე.**

– დიახ. სხვათა შორის, 2013 წელს დიუსელდორფის „ფეისი" გავხდი. „ფეისბუქზე" ნახეს ჩემი ფოტოები და მესიჯი მივიღე – მწერდნენ, რომ ასეთი კონკურსი ტარდებოდა და გაუხარდებოდათ თუ კი მონაწილეობას მივიღებდი. მივედი და 300-მდე მონაწილე გოგონა დამხვდა. მთელი დღე ფოტოგადაღება მიდიოდა, რაც ძალიან დამღლელი იყო. საბოლოოდ, 10 გოგონა შეგვარჩიეს, ათივეს ფოტო „ფეისბუქზე" დადეს და, რომელიც ყველაზე მეტ ‘ლაიქს~ მიიღებდა, ის გახდებოდა ‘დიუსელდორფის ფეისი.~ 10-დან სამნი აგვირჩიეს, ბოლოს კი, ჟიურის გადაწყვეტილებით, მე გავიმარჯვე.

**– თაყვანისმცემელი, ალბათ, ბევრი გყავს.**

– თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ, ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს – მინდა სკოლა კარგად დავამთავრო და უნივერსიტეტში ჩავაბარო. როცა ჩემს მიზანს მივაღწევ, თაყვანისმცემლებზე მერე ვიფიქრებ.

**– მარიამ, როგორც აღნიშნე, საქართველოში ყოველ ზაფხულს ჩამოდიხარ. ამჯერად ჩამოხვედი და შენი მოგვარე პრეზიდენტი დაგხვდა. როგორი შეგრძნებაა?**

– ძალიან სასიამოვნოა. ვინც გაიგებს, რომ მარგველაშვილი ვარ, ყველა იმას მეკითხება პრეზიდენტის ნათესავი ხომ არ ვარ, ვიცნობ თუ არა მას და ასე შემდეგ. აეროპორტშიც შეგვემთხვა ამასთან დაკავშირებით კურიოზი: მამაც გიორგი მარგველაშვილია და, როცა მისი პასპორტი შეამოწმეს, ჯერ პასპორტის სურათს დახედა აეროპორტის თანამშრომელმა, მერე მამას ახედა, მერე – ისევ პასპორტს. ძალიან ბევრი ვიცინეთ.

**– ანუ, ვინც გაიგებს, რომ გიორგის ასული მარგველაშვილი ხარ, ყველას პრეზიდენტის შვილი ჰგონიხარ?**

– კი, ასეა. აეროპორტშიც ასე მოხდა. თავიდან ყველა გაკვირვებული მიყურებს ხოლმე.

**– ნათესავები ხომ არ ხართ?**

– არა, უბრალოდ, მოგვარეები ვართ.

**– რას გეგმავ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ?**

– წლის ბოლომდე ყველაფერი დაგეგმილი მაქვს, საახალწლო შოუ-პროგრამაც კი. მაგალითად, უკვე წელიწად-ნახევარია ვიცი, რომ იტალიაში მივდივარ ფესტივალზე, სადაც ჩემს მეწყვილესთან ერთად მივიღებ მონაწილეობას.

**– საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნებაზე თუ ფიქრობ?**

– კი, ძალიან მინდა და, ალბათ, მომავალში აუცილებლად მოვახერხებ საქართველოში დაბრუნებას.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**შენტენონი**: ავზნეობა გულისა ცხადი ნიშანია ჭკუანაკლულობისა.

**საადი**: ბრძენი ის არის, ვინც სიგლახეს არიდებს თავს და არა ის, ვინც კარგს გასწავლის და ავს სჩადის.

**ჰიერმონი**: ადამიანის ფიზიკური სიმაღლე განიზომება მიწიდან თავის თხემამდე, მისი ზნეობრივი სიმაღლე კი – მანძილით მისი თავიდან ზეცამდე.

**ლაფონტენი**: ვინც მკვდარსა ჰგავს ცხოვრებაში, მას სიკვდილიც უფრო უმძიმს.

**ფირდოუსი**: ძალიდანაა ჩვენი სიმართლე, სისუსტიდან კი – ჩვენი სიცრუე.

**დიუკლო**: იშვიათად ხდება, რომ ძლიერი ადამიანები ბოროტად არ იყენებდნენ ძალას.

**დიდრო**: მდუმარება თანმხლებია სიდიადისა.

**გოეთე**: ძლიერი ხასიათი ეწოდება მას, რომელიც ესწრაფვის საკუთარი თვითმყოფადობის გამოვლინებას, თუნდ საკუთარი პიროვნების დაკარგვის ხარჯზეც კი.

**ადისონი**: სიამაყე სათავეს იღებს საკუთარი თავის არცოდნისა და განსჯის უნარის ნაკლებობისგან.

**ლაროშფუკო**: მხოლოდ მაშინ ხარ კარგი მოსაუბრე, თუ შეგიძლია მოსმენაც და პასუხიც.

**ბალზაკი**: სადაც პატივმოყვარეობა იწყება, გულწრფელობას იქ ელება ბოლო.

**გოდარი**: ფილმის გადასაღებად არაფერი გჭირდება, გარდა ქალისა და იარაღისა.

**როხასი**: ბრძენია ის ადამიანი, რომელმაც იცის ყველგან იმის შემჩნევა, რაც შესწავლის ღირსია და თითოეულ უმნიშვნელო რამისგან თავისთვის სასარგებლო გაკვეთილის გამოტანა შეუძლია.

**ჩესტერფილდი**: ადამიანების შესწავლა არანაკლებ ყურადღებასა და გულმოდგინებას მოითხოვს, ვიდრე წიგნების და, შეიძლება, მეტ გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობასაც კი.

**არისტოტელე**: იმისთვის კი არ ვმსჯელობთ, რომ ვიცოდეთ, რა არის სათნოება, არამედ იმისთვის, რომ კარგი ადამიანები გავხდეთ.

**გორკი**: ცხოვრებაში ცუდიც ისევე კარგად უნდა იცოდე, როგორც კარგი.

**ტოლსტოი**: ყველა აქებს საკუთარ გულს, მაგრამ, ვერავინ ბედავს საკუთარი გონების ქებას.

**დარვინი**: მხოლოდ უმეცარი იტყვის, ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას მეცნიერებანი ვერასოდეს შეძლებენო.

**უაილდი**: ქალების უმეტესობა იმდენად ხელოვნურია, რომ ხელოვნების მიმართ გულგრილობას იჩენს; მამაკაცები კი იმდენად ბუნებრივები არიან, რომ მშვენიერების აღქმის უნარი ეკარგებათ.

**ეპიკური**: შენ დღეს ფემინიზმზე თქვი – „კი", მაგრამ ხვალ ქალი გეტყვის „არას".

# თუ გამოიცნობთ

1. ისრიან და ელექტრონულ საათებზე დროის გადაყვანა ადვილია. **როგორ გადაჰყავთ მზის საათები სხვა დროზე?**

2. ამ თემას სკკპ ოცდამეორე ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას მკაცრად შეეხო ნიკიტა ხრუშჩოვი: „რა ძაღლის ენას გვახვევენ თავს? დაასახელეთ ადამიანურად..." არადა, ის დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გამოიყენება, ძველ კულტურებში კი საკრალური, ზოგჯერ კი, საიდუმლო დატვირთვა ჰქონდა. **რას?**

3. ფრინველები კაკლის გასატეხად ასეთ ხერხს იყენებენ, აიტაცებენ ზემოთ და აგდებენ ქვაზე ან ასფალტზე. **რას აკეთებენ ისინი, თუ ახლო-მახლო მაგარი საგანი არ არის?**

4. ინგლისში, ლანკშირის საგრაფოში, მდინარე ირველზე მდებარე ვაშლის წვენის დამამზადებელი ქარხანა, რომელიც საკმაოდ მოშორებულია ბაღებიდან, ისე მარაგდება ვაშლით, რომ ტრანსპორტირებაზე ქარხანას ცენტიც არ ეხარჯება. **როგორ?**

5. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის ტაძრებში გამოსახულია ქრისტე, რომლის ჭრილობებიდან გამომავალი სხივები მიმართულია ამ ფრესკაზევე გამოსახული აქლემის, ნიანგისა და მეომარი ქალიშვილისკენ. **რას გამოხატავს ეს გამოსახულებები ფრესკაზე?**

6. ბერძნებისთვის ეს იყო დონი, შუა საუკუნეების ევროპელთათვის – ვოლგა, ზოგჯერ – ობი. დღეს კი ურალია. **რა?**

7. 1874 წელს პარიზული მოდის ბუმად იქცა ქალის გაბერილი ბუშტისმაგვარი ქვედაბოლო და ორი ვარცხნილობა, რომელთაგან ერთ-ერთს „ბლანშარი" ერქვა, მეორეს კი ასევე, იმ პერიოდში ყველაზე ცნობილი ძმების სახელი. **დაასახელეთ, ვისი?**

8. **რა საერთო** შეიძლება, ყოფილიყო ბრაზილიის ჰევეის, რომლისგანაც კაუჩუკი მზადდება და საბჭოთა კარტოფილს შორის?

9. ხომალდ „ბიგლის" კაპიტანი რობერტ ფიცროი მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ გაემგზავრა, რათა ბიბლიური შესაქმის, სამყაროს შექმნის, დამადასტურებელი მატერიალური მასალა შეეგროვებინა. **დაასახელეთ** ის, ვინც მისი კომპანიონის რანგში, ამ ხომალდით მოგზაურობდა და ფაქტობრივად, სწორედ ამ პერიოდში მოუმზადა ნაღმი რელიგიურ დოგმატებს.

10. მეთექვსმეტე საუკუნის ოსმანურ იმპერიაში სულთნის ძმობაზე ყველა უარს იტყოდა. **რატომ?**

***პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე***

# რეკორდები მსოფლიო ისტორიაში

* ყველაზე ხანგრძლივ ომად მსოფლიო ისტორიაში ითვლება ეგრეთ წოდებული „ასწლიანი ომი" (უფრო ზუსტად – 116-წლიანი) ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელიც მიმდინარეობდა 1337-1453 წლებში.

* ცხრა ჯვაროსნული ლაშქრობა, პირველიდან (1096-1194 წლები), მეცხრეს (1270-1291 წლები) ჩათვლით, ერთად აღებული მოიცავს 195 წელს.

*ყველაზე ხანგრძლივი ომი, რომელიც ოდესმე რუსეთს უწარმოებია, იყო კავკასიის ომი (1817-1864 წლები) ჩეჩნეთის, მთიანი დაღესტნისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დასაპყრობად (გაგრძელდა 47 წელიწადს).

* ომების ისტორიაში უდიდესი ევაკუაცია განხორციელდა მოკავშირეთა 1200 საბრძოლო და სამოქალაქო საშუალებით 1940 წლის 27 მაისიდან 4 ივნისამდე საფრანგეთში, დიუნკერკთან. სულ გამოიყვანეს 338 226 ინგლისელი და ფრანგი სამხედრო მოსამსახურე.

* კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ალყა იყო ლენინგრადის 800-დღიანი ბლოკადა, განხორციელებული გერმანიის არმიის მიერ 1941 წლის 30 აგვისტოდან 1944 წლის 27 იანვრამდე. დაიღუპა 1,3-1,5 მილიონი ქალაქის დამცველი და მოქალაქე. ამ რიცხვში შედის შიმშილისგან დახოცილი 641 ათასი და დაბომბვისას დაღუპული 17 ათასი ადამიანი (ჩამოგდებული იყო 100 ათასი ჭურვი).

* ძველი დროის ყველაზე ხანგრძლივი ალყა, ჰეროდოტეს ცნობით, იყო ისრაელის ქალაქ ისდუდის (ახლანდელი აშდოდი) ალყა ეგვიპტის მბრძანებლის – პსამეტიხ პირველის მიერ, რომელიც 29 წელიწადს გრძელდებოდა (ძველი წელთაღრიცხვით მეშვიდე საუკუნე).

* ყველაზე დიდი სამხედრო ბუნტი მოხდა პირველი მსოფლიო ომის დროს. 56-მა დივიზიამ (650 000 ჯარისკაცი და ოფიცერი) 1917 წლის აპრილში, წარუმატებელი შეტევის შემდეგ, უარი განაცხადა, შეესრულებინა დასავლეთის ფრონტის მეთაურის – გენერალ როზერ ნოველის ბრძანებები.

* ყველაზე ხანგრძლივ სამხედრო მსვლელობად ითვლება ჩინელი კომუნისტების ცნობილი დიდი მარში (1934-1935 წლები). ის გრძელდებოდა 368 დღეს – ოქტომბრიდან შემდეგ ოქტომბრამდე. 90 000-იანმა არმიამ გაიარა 9 650 კილომეტრი ძიანსიდან იანამდე. ჯარმა გადალახა 18 ქედი და 6 დიდი მდინარე. გომანდანის ეროვნულ არმიასთან ბრძოლის შედეგად, დაკარგა 68 ათასი ადამიანი.

* 1944 წლის 12-13 სექტემბრის ღამით ირლანდიის მეოთხე სახმელეთო ბატალიონის 9-კაციანმა ჯგუფმა მოაწყო 12-საათიანი ღამის გადასვლა 68 კილომეტრზე სრული საომარი აღჭურვილობით. თითოეულის ბარგი 18,1 კილოგრამს იწონიდა.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh8-h4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




მამაკაცი მალაზიაში შევიდა და პირდაპ-ირ მოლარეს მიადგა:




– იცით, გუშინ თქვენ ანგარიშში შეცდ-ით, 10 ლარი...

– მაგრამ, თქვენ გუშინ უნდა გეთქვათ, დაგვიანებულია, ბოდიშს გიხდით, მაგრამ ვერაფერს მოვახერხებ. ფული სალაროსთ-ან უნდა დაგეთვალათ და ისე წასულიყავ-ით... შეგიძლიათ, მიბრძანდეთ, ვერაფრით დაგეხმარებით...

– ესე იგი, ეს 10 ლარი რომ გადმომაყო-ლეთ, დავიტოვო...

***

ნუ ნერვიულობთ, თუ თქვენი შვილი შუ-აღამისას ილვიძებს და ჭამას გთხოვთ... და-დგება დრო, როდესაც თქვენ კმაყოფილი იქნებით, რომ ის ამ დროს სახლშია...

***

ვერანაირი ორგაზმი ვერ შეედრება ბუ-ღალტრის გრძნობას, რასაც ის განიცდის, როცა წლიური ბალანსი ზუსტად ჩაჯდება.

***

ჯორჯ კლუნი, გრიგორი ლეპსი, ადრია-ნო ჩელენტანო – ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მსუბუქად გაუპარსავობა მიმზიდველი ყოფილიყო... თუმცა, ერთმა წვერიანმა მო-მღერალმა ყველაფერი წყალში ჩაყარა...

***

ქორწილი აზარტში შევიდა. ერთ-ერთი სტუმარი ადგა, სუფრას გადასწვდა და მო-პირდაპირედ მჯდომს გემრიელი სილა გაა-რტყა.

– რატომ? – გაიოცა იმან.

– ქორწილია, ქორწილი! ვილაცამ ხომ უნ-და დაიწყოს!

***

ცოლი კურორტზე წასასვლელად ემზად-ება – ჩაალაგა ჩემოდანში კაბები, „ბლუსკ-ები“, მოდური შარვლები...

– „აა... დროს გატარებას აპირებს“... – გაიფიქრა ქმარმა და ცოლი რომ სხვა ოთ-ახში გავიდა, ჩემოდნიდან ყველაფერი ამო-ალაგა და თავისი ძველი ქურთუკი ჩადო....

რამდენიმე დღის შემდეგ მოდის წერი-ლი: „ყველა ნორმალური ქალი კინოში დად-ის, რესტორანში, ცეკვებზე... მე კი შენი კუ-რტკით, ბუჩქებში მიმათრე-ვენ ხოლმე...

***

მოვწიე სიგარეტი „პრე-ზიდენტი“ – პრეზიდენტი ვერ გავხდი. დავლიე არაყი „პარლამენტი“ – ვერც პარ-ლამენტარი გავხდი. დავლ-იე ლუდი „კაზელი“ და ვგრძნობ, მოქმედებს...

***

პირველკურსელებს ლექ-ტორმა დასაწერად მისცა თემა: „მილიონი რომ გქონ-დეთ...“ აუდიტორიაში სიჩ-უმეა, ყველა წერას შეუდგა... მარტო მეგრ-ელი არ წერს და უცბად ხელი ასწია...

– პატივცემულო, 100 ათასს ვერ დამიმ-ატებთ?!

***

გინდათ, მამაკაცი დაიბნეს ურთიერთგ-ამომრიცხავი ემოციებით? დაჩხაპნეთ მისი მანქანის კაპოტზე: „შენთან სექსი დაუვიწ-ყარი იყო“.

***

– იცი, ამბობენ, ჭკვიანი ებრაელი ცო-ლები ქმრებს მივლინებაში წასვლის წინ, ჯიბეში პრეზერვატივებს უდებენ. შენ ასე მოიქცეოდი?

– რა თქმა უნდა, მაგრამ მანამდე კაი მწარე მეგრულ წიწაკას წავუსვამდი...

***

ჩემი ქცევები ორ კატეგორიად იყოფა: „აუ, ჩემი, ეს რა გავაკეთე!“ და „ჯანდაბას, იყოს, როგორც არის!“

***

სულ ორასი გრამი და მე თქვენ გაჩვენ-ებთ, როგორ იბადება ფილოსოფია...

***




– როგორ ხარ? შენი ალკ-ოჰოლიკი ქმარი კიდევ აგებს კა-ზინოებში ფულ-ებს?

– არა. მასთან სერიოზული საუ-ბარი მქონდა და ახლა წყნარადაა... რეანიმაციაში.

***

– როგორც ღილები იტყვიან, „ავიწყვიტოთ!“

# ცნობილი ადამიანების იუმორისტული გამონათქვამები

გრაფი პასკევიჩი რომ თავრიზზე მიდი-ოდა, მოწინავე ჯარით წინ გაისტუმრა თა-ვადი გიორგი ერისთავი, „დიდ კნიაზად“ წოდებული. შტაბის უფროსად გიორგი კნი-აზს ჰყოლია მოურავიოვი. ეს წინა ჯარი თავრიზის რომ მიახლოვებულა, გიორგი კნი-აზს აღარ მოუცდია პასკევიჩისთვის და მო-უწადინებია თავრიზის აღება მარტო თავ-ისის ჯარითა. ვიდრე იერიშს მიიტანდნენ, გიორგი კნიაზმა სათათბიროდ მოიწვია ყვე-ლა თავისი ხელქვეითი ოფიცრები. ყველამ ერთხმად მოიწონა წადილი გიორგი კნიაზ-ისა, მხოლოდ მურავიოვი წინ აღუდგა და თქვა:

– ნუ ინებებთ, ბატონო, მაგას. მოვუც-ადოთ პასკევიჩს, ჩვენ ცოტა ჯარი გვყავს, ყიზილბაშები სიმაგრეებში არიან და უსა-თუოდ დაგვამარცხებენო. რაც აქამდის გა-ვიმარჯვეთ, სულ ამაოდ ჩაგვივლის და დიდ პასუხისგებაში მივეცემითო.

– ჩვენ კი ან ავიღებთ, ან სულ გავწყდ-ებით და ვაი, თქვენი ბრალი, რომ მარტო თქვენ გადარჩებით და პასუხიც თქვენ მო-გეკითხებათო, უთხრა, – თურ-მე, გიორგი კნიაზმა.

***

ერთმა ახალგაზრდამ უთხრა აკაკის: საყმაწვილო წიგნი მინ-და გამოვცეო.

– საყმაწვილო წიგნი განა ბა-ვშვმა უნდა გამოსცესო? – და-ეკითხა პოეტი.

***

ერთი პოეტი გადაეჩკიდებია გალაკტიონს – ყველა შეხვედ-რისას ეკითხებოდა:

– იცით, რომ ილია ჭავჭავაძეს მამსგა-ვსებენ?

– კი, ჰგავხარ, – დაუდასტურა გალაკ-ტიონმა.

– რით ვგავარ?



– სიმაღლით.

– კიდევ?

– სიგანით, წვერ-ულვაშით.

– ახლა ის მი-თხარით – მაინც რა მაკლია ილია-მდე?

გალაკტიონმა ველარ მოითმინა და შესძახა:

– ტყვია შუბ-ლში!

# ქართლოს კასრაძის „კრასნორეჩინსკელი“ „ნაშა“ და ნიაზ დიასამიძის ღამის საჩუქარი „უძმაკაცესი ძმაკაცისთვის“

რაც ხანში შევდივარ, უფრო და უფრო მეტად მიზზუის ყურებში ცნობილი კომპოზიტორის ცნობილი სიმღერა: – „სად არიან თბილისელი, ჩვენი ყოჩი ბიჭები“ და „თოვლიანი მთები, თოვლიანი გზები, ნეტავ, სად არიან ჩვენი მეგობრები“.

ვაგლახ, რომ მიდან და მიდიან...

მკითხველის „მინორზე“ დაყენება ჩემი მოწოდება არაა. მე იუმორი უნდა ვწერო, თუნდაც სევდიანი, თუნდაც ცრემლიანი, მაგრამ... ჰოდა, თბილისის ნაღდი კოლორიტები, – ქართლოს კასრაძე და ნიაზ დიასამიძე „უძმაკაცესი ძმაკაცები“ გახლდნენ, დღე და ღამე ერთად იყვნენ და უზარმაზარი ეშხით ავსებდნენ ისედაც ეშხად ქცეულ, დამათრობელ დედაქალაქს. სიყვარულისა და სიხარულის ბუდეს, ჯადოსნურ თბილისს. რა ანეკდოტები, რა გამოთქმები – იუზგარ!

შევთანხმდეთ, რომ წინასიტყვაობა წარმატებულად ჩაგაბარეთ. ახლა ამბავზე გადავიდეთ.

ერთი ზაფხულის ულამაზესი, თბილისური საღამოა. თბილისში ჩამოსული „კრასნორეჩინსკელი“ „ნაშა“ დაითრია ქართლოსმა – სვეტლანა ლოგინიოვა. უცოლო კაცია, ბინა აქვს ვერაზე და ადვილი მისახვედრია – სახლში წაიყვანა. სვეტლანას რომ სახლში ქართლოს კასრაძე კროსვორდის ამოსახსნელად არ წაიყვანდა, მაგას თქვენ (მკითხველი) კი არა, პირველკლასელი, არც თუ ისე განვითარებული ბავშვიც მიხვდება.

წაიყვანა და ნიაზთანაც მივიდა „ქსივა“ – ისაო, ქართლოსასო, ნაშა ჰყავს, ტო, „გნეზდოშიო“... კაროჩე! დატრიალდა და რა დატრიალდა?! ნიაზ დიასამიძე იმის ჩიტი არ იყო, რომ ქართლოსს პირდაპირ ბინაზე დადგომოდა – აუი, ტო, რა ნაშა დაგიადებიაო და ასე შემდეგ. არადა, ხოხმის იშტაზეა, რა... ქართლოსმა ეს კრასნორეჩინსკელი სვეტლანა ფუმფულა სავარძელში ჩასვა. ახლა მაცალეთ, იქვე გასტრონომში ჩაიჩალიჩა, კონიაკი და მისი მოწყობილობა დაიადა და... ღამის 10 საათია.

ორ ჭიქას მესამე მოჰყვა და ლოყებაღვივნებული ქალი რუსულად ეუბნება:

– „კარტლოს, პოტანცუემ“...

ცეკვა, სიმღერა, ლაყაფი და მოლხენა ხომ ქართლოსის მოგონილი იყო?!

– „პოტანცუემ, მაია ჟელანნაია, ვ ლოგინ!“ აჰყვა და არავინ უშლით ხელს, რომ საქართველოს მწირ „განამშენიანებას“ ერთი „მალენკი მალჩიკი“ შეეძინოს.




შეცურდნენ მელოდიაში და... ტანცაობენ ახლა! ნეჟნად... ტელეფონის ზარმა იჭუხა და იზრიალა ერთბაშად.

– ალო! – ცალი ხელი წელზე აქვს შემოხვეული ქართლოსს და მეორეთი „ნეჟნად“ აიღო.

– ალო!

– ნიაზი ვარ, ბიჭო...

– ხო, ნიაზ, რა გინდა? (ცდილობს, ინკოგნიტოდ დატოვოს სიტუაცია).

– რაცხა არ მეძინება და ხო არ გამოხვალ ჩემთან? ჭადრაკი დავცხოთ.

– არა, არა, ნიაზ... სხვა დროს, ძმაო, სხვა დროს... – გააგრძელა ცეკვა, ყურმილი რომ დადო ნაზად.

ქართლოსი ლოგინისკენ ცააცეკვა ლოყებაკვიწნებულმა. ესეც მიჰყვა... მიჰყვა და ისევ ზარი ტელეფონზე.

– რა გინდა, ნიაზ? დამაძინე რა, მეძინება, კაცო!

– ბიჭო... კაი ახლა... არ მოდიხარ, არ მოდიხარ... არ გინდა ჭადრაკის თამაში და რა გიყო, ნუ გინდა... რაა, ბიჭო, იცი? – ჩემს თავს ნარდს ვეთამაშები ახლა...

– მერე, ჩემგან რა გინდა, კაცო! მომეშვი რა! იყვირა ქალის კოცნა რომ იგრძნო კისერთან.

– რა და... ბიჭო, ერთი ქვა მაქვს „იაგანის“ კარში. „დუშაში“ გავაგორე და რაფრა მოვიქცე, ხო არ იცი?

– მომეშვი! – გადაირია ქართლოსი და ლოგინსაც მიადგნენ ესენი ახლა ქართლოსი და „კრასნორეჩინსკელი“... „ნაქცევაზე“ არიან გადასულები ნებაყოფლობით და კიდევაც ჩაიმუხლეს, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული.

მაგის ჩიტი იყო ზუსტად ნიაზი.

ზრრრ! – ისევ ზარი.

– რა გინდა, რა? – გადაირია ვნებამორეული თბილისელი კოლორიტი.

– არ მეძინება, ამის დედა ვატირე და ლექსი მინდა დავწერო, მარა, „პასტა“ არ მაქ და შენ ხო არ გაქ პასტა?

ასეთ დროს კაცი გადარეულ ლომს ჰგავს.

– არ მაქ, ბატონო, პასტა, არ მაქ... არც უჯრაშია, არც არსად... არ მაქვს... აღარ დარეკო!

„შესავლიდან“ „საქმეზე“ რომ უნდა გადავიდნენ ლამაზსაბანწაფარებულები, ისევ გაისმა ზარის ხმა... ოღონდ, ამჯერად კარზე.

ტრუსიკიანი აღებს ქართლოსი კარს და ზღურბლზე ნიაზი დგას.

– რა ჯანდაბა გინდა?

– რომ მითხარი, პასტა არ მაქვსო, მოგიტანე... მოგიტანე, იცი, რა კაი პასტაა?

– ღმერთი არ გწამს? არ გწამს, ბიჭო, შენ ღმერთი? – იბღავლა ქართლოსმა. დახედე ერთი საათს, რომელი საათია ახლა?

– ღამის 3 საათია, ჩემო ქართლოს.

– მერე და ახლა მოსვლა, რაა, შენი ჭკუით?

– ე, ტო... ქართლოს, იჭრები, ძმაო.. ე! ძმაკაცობა, ბიჭო, კრუგლოსუტოჩნია, ე! – ალალად გაუღიმა ნიაზმა.

– ზრის! მოუსვი... „ნაშა“ მყავს აქ! – ვეღარ დამალა ქართლოსმა.

– ეგრე გეთქვა, ტო... ხო... წავედი, ტო...

ქართლოსი უილაჯოდ წავიდა ლოგინისკენ. ნატაშკა გულიანად ხვრინავდა...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(37-ე გვერდიდან)

# როგორ აღკვეთა ტიტოს, დიმიტროვის და ხოჯას თავნებობა სტალინმა

და), სანამ საღამოს შევიკრიბებით, დიმიტროვს გამოუარე, წამოიყვანე და ერთ საათში ჩემს ბინაში გელოდებით“.

2 საათზე მოლოტოვი და დიმიტროვი სტალინს ეახლნენ, რომელიც მათ თავის პატარა სასტუმროში შეხვდა. დიმიტროვი დარცხვენილი ჩანდა. ეტყობოდა, უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ სტალინის კეთილგანწყობამ ყოველგვარი კომპლექსი მოუხსნა. მეგობრული ხელის ჩამორთმევის შემდეგ კი თავისუფალი, გულღია საუბარი გაჩაღდა. სტალინმა დიმიტროვთან თავისი გულისტკივილი გამოთქვა ცნობილი დეკლარაციის გამო და აღნიშნა: „თქვენზე ნაკლებად ვარ გაბრაზებული, თუმცა ყველაზე მეტად თქვენგან მეწყინა ეს ნაბიჯი. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ბალკანეთის კონფედერაცია თუ ფედერაცია, სულ ერთია, რას დავარქმევთ ამ სისულელეს, ერთი დღე მაინც შეძლებს არსებობას და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას? ნუთუ თქვენ, გამოცდილ პოლიტიკოსს, პატიოსან კომუნისტს, მართლა მიგაჩნიათ, რომ ამ ხელოვნური წარმონაქმნით მთებს გადააბრუნებთ და საბჭოთა კავშირის გვერდის ავლით, მოაგვარებთ შინაურ და საგარეო პრობლემებს?“

სტალინი აბოლებდა, ოთახში დადიოდა და თავჩაღუნულ დიმიტროვს შეგირდივით შეაგონებდა: „ეს ყოველივე რომ ტიტოს ხრიკებია, რომელიც ბრიტანელებმა შეაგულიანეს, ჩემთვის აშკარაა. ხოჯაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს, რადგან გონებაშეზღუდულია. მაგრამ, თქვენ როგორ გადაგიბირათ, ეს ჩემთვის ნამდვილად სიურპრიზი იყო. მთელი ამ საუბრის განმავლობაში დიმიტროვს თავი არ აუწევია და შეპასუხება არ უცდია. სტალინმა სამი ჭიქა წითელი ღვინით შეავსო, სტუმრებს ანიშნა, აიღეთო და წარმოთქვა: „ჩვენი ქვეყნების საუკუნო მეგობრობისა იყოს“, – სასმისი დიმიტროვს მიუჭახუნა და ბოლომდე გამოცალა.

იგივე გაიმეორეს მოლოტოვმა და დიმიტროვმა, სტალინმა კი ასე დაასრულა ეს შუაღედური შეხვედრა: „რვა საათზე ჩემს კაბინეტში გელოდებით, კონფედერაციის (ეს სიტყვა სტალინმა განსაკუთრებული სარკაზმით წარმოთქვა) დანარჩენი ორი მეთაურიც იქნება და იმედია, შეცდომას აღარ გაიმეორებთ“.

დიმიტროვმა უხმოდ დატოვა დიდი ბელადის ბინა და მოლოტოვთან ერთად კიბეებისკენ გაეშურა. როდესაც სტუმრები წავიდნენ, სტალინი ტელეფონს დასწვდა და ჩაილაპარაკა: „ლავრენტი, ჩვენი უნიფხვო და მწეველი ლოთები როგორ არიან? ყურადღება მიაქციე, რომ არ გამოთვრნენ და ფხიზლები იყვნენ საღამოსთვის“.

ზუსტად რვა საათზე სტალინის კაბინეტში ტიტო და ხოჯა შევიდნენ. იქ უკვე შეკრებილიყვნენ სტალინი, მოლოტოვი, დიმიტროვი, კოლაროვი, კარდელი და ძოძე, რომლებიც მაგიდას უსხდნენ. ბერია კი გვერდით, ტახტზე იყო მოკალათებული. სტალინმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი შეკრებილებს და დაიწყო: „ვხედავ, უკვე საკუთარი იმპერია შეგიქმნიათ და ჩვენი დახმარება აღარ გჭირდებათ. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს ყოველივე?! თქვენ საკუთარი უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა ვერ დაგიცავთ და უზარმაზარი რეგიონის ბედის გადაწყვეტას აპირებთ, თანაც ჩვენი გვერდის ავლით“.

სტალინის მრისხანება თანდათან ემატებოდა. წამოდგა, კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა და ცივი ხმით განაგრძო: „თქვე უნიფხვო, ლოთო სარდლებო, ისე როგორ დაგებინდათ გონება, რომ ელემენტარულს ვერ ხვდებით. ანუ, იმას, რომ კაპიტალისტები ისე გადაგსანსლავენ, თქვენგან სველი ადგილიც კი არ დარჩება. თქვენ ბრმა ლეკვები ხართ და სანამ თვალები არ აგეხილებათ, ვერაფერს დაინახავთ. ამასობაში კი, შეიძლება, ყველაფერი დამთავრდეს და იმედი უბედურება დაატრიალოთ, ხალხი არასოდეს გაპატიებთ“.

სტალინის მრისხანება თანდათან დაცხრა, თუმცა არც ტიტოს და არც ხოჯას, თავი არ აუწევიათ. ისე დატოვეს სტალინის კაბინეტი, მისთვის თვალის გასწორება ვერ შეძლეს. ენვერ ხოჯამ სტალინთან შეხვედრის შემდეგ, სწორი დასკვნები გამოიტანა, ტიტო კი უფრო გაჯიუტდა. იმ დღიდან მოყოლებული, ათწლეულების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ხსენებაც არ უნდოდა.

**ნიკა ლაშაური**

**23 წლის მომღერალ სალომე ქათამაძის ცხოვრებაში ბევრი სიახლეა. როცა ინტერვიუ ჩავწერეთ, გახარებული იყო: ჩემი მთავარი ოცნება ამიხდა – ამერიკაში წასვლა და სწავლის გაგრძელების შანსი მომეცა და უბედნიერესი ვარო. თუმცა, მის პირად ცხოვრებაში, არცთუ სასიამოვნო ცვლილებაა – სალომე ქმარს გაშორდა და 23 წლის ასაკში სიყვარულში იმედგაცრუება ნახა. ასეა თუ ისე, ახალგაზრდა მომღერალი ოცნებების ახდენას ელის, ახალ ცხოვრებას იწყებს და სჯერა, რომ ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც შესაძლებლობების მაქსიმუმს აჩვენებს და მსოფლიოს გააგონებს თავის ხმას.**

**სალომე 13 აგვისტოს მიფრინავს ამერიკაში და ამბობს, რომ ეს რიცხვი მისთვის ბედნიერების მომტანია. ჟურნალი „თბილისელები" მას კეთილ მგზავრობასა და ჩანაფიქრების რეალიზებას უსურვებს.**

# როგორ აპირებს ამერიკულ მუსიკალურ სამოთხეში მოხვედრას სალომე ქათამაძე და გახდა თუ არა მისი ქმართან დაშორების მიზეზი ამერიკაში წასვლა

**სალომე ქათამაძე**: ძალიან იღბლიანი ადამიანი ვარ და, მიმაჩნია, რომ მიმართლებს ცხოვრებაში – რაც მინდოდა, უფლის წყალობით, ყველაფერი გამომდის, ეს კი ბედის ძალიან დიდი საჩუქარია. არ დაგიმალავთ, დიდი ტრაგედიებიც გადამიტანია, მაგრამ, ყველას ჰქონია ასეთი მძიმე მომენტები და, ძლიერი უნდა იყო, რომ მას გაუმკლავდე და გადალახო. ისე ვერ იცხოვრებ, თუ სიხარულთან ერთად, სიმწარეც არ იგემე, – რას ვიზამთ, ასეთი სასტიკია ცხოვრება.

**– როდის იდგა შენს ცხოვრებაში მსგავსი რთული და ტრაგიკული პერიოდი?**

– როცა ბებია გარდაიცვალა. ეს გულისტკივილი კი არა, ნამდვილი შოკი იყო ჩემთვის. ბებო მზრდიდა, მეხმარებოდა, გზა გამიკვალა და ის იყო ყველაზე ძვირფასი, ტკბილი და თბილი ადამიანი იყო მთელ დედამიწის ზურგზე ჩემთვის. ყველაფერი მან გამიკეთა ცხოვრებაში და მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ ძალიან მიჭირს. თუმცა, ის სულ ჩემ გვერდითაა და მის დახმარებას ყოველ წამს ვგრძნობ. მის დანაკლისს რაღაც დიდი ძალა მივსებს – ის იმქვეყნიდან მეხმარება.

**– გავიგე, ამერიკაში აპირებ წასვლას და იქ სწავლის გაგრძელებას. როდის გეგმავ გამგზავრებას?**

– ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, მარიამ აბდუშელიშვილმა, რომელიც ცხოვრობს ამერიკაში და სწავლობს ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში, იდეა შემომთავაზა, იქნებ მოიფიქრო, ჩამოხვიდე ამერიკაში, ჩააბარო გამოცდა და აქ ისწავლოო. მეც დავფიქრდი და გადავწყვიტე გამგზავრება. ამერიკა ნამდვილი მუსიკალური სამოთხეა და ამაზე უარს ვერ ვიტყოდი *(იცინის).* შევავსე აპლიკაცია, დამინიშნეს გამოცდა და მივდივარ ძალების მოსასინჯად. დარწმუნებული ვარ, გამოცდას „ხუთიანზე" ჩავაბარებს და ჩემს ამერიკულ ოცნებასაც სულ მალე ავიხდენ. ვფქრობ, დიდი შანსები მაქვს. იქ სწავლა ძალიან ძვირია და, ასპროცენტიან დაფინანსებაში თუ არა, ოთხმოცპროცენტიანში თუ მაინც მოვხვდები – აი, მაშინ კი სრული ბედნიერი ვიქნები *(იცინის).* მარიამსაც ოთხმოცპროცენტიანი დაფინანსება აქვს და მან მითხრა, ნიჭიერ ადამიანებს აქ აფასებენო. მეც დიდი იმედი მაქვს მაქსიმალური დაფინანსების, ვნახოთ. აი, თუ ჩავაბარე, მერე სწავლის გიჟი გავხდები და დავამტკიცებ, რომ მე ამ კოლეჯის სტუდენტობის ღირსი ვარ. თან, 13-ში მივემგზავრები და მიხარია.

**– ამბობ, მიხარია 13-ში გამგზავრებაო, არადა, ზოგს, ამ მისტიკური ციფრის მიმართ, გარკვეული ნეგატიური შეხედულებები და შიში აქვს.**

– არ ვიცი, ვის როგორ აქვს დაცდილი 13 რიცხვი, მაგრამ ჩემთვის ის ბედნიერი რიცხვია. სხვათა შორის, სწორედ, 13-ში მოვიგე „ახალი ხმის" კონკურსი; 2013 წელს „იურმალაზე" მეორე ადგილი ავიღე და ახლაც 13-ში მივფრინავ ამერიკაში ოცნებების ასახდენად, წარმატებების მისაღწევად და ახალი ცხოვრების დასაწყებად. ასე რომ, მისტიკური 13 ჩემთვის ბედნიერების მომტანია – ეს მე დავცადე. თან, ბევრი ამბობს, ამერიკაში ყველა ოცნება ხდებაო; იმედი მაქვს, არც მე ვიქნები გამონაკლისი და სწორედ ამ ქვეყნიდან მივაწვდენ ჩემს ხმას მთელ მსოფლიოს. ეს ქვეყანა ჩემი ცხოვრებისეული მიზნების განხორციელებაში დამეხმარება.



ერთი რამ ზუსტად ვიცი: ამერიკა ხელგაშლილი მელის და მეც მივდივარ

**– ყველაზე მეტად რომელი ოცნების ახდენა გინდა?**

– ჩემი მთავარი ოცნებაა, მსოფლიოს გავაგონო ჩემი ხმა და ვიშოვო ბევრი ფული, მილიონები, რომ დავეხმარო გაჭირვებულ, ავადმყოფ ადამიანებს, მოხუცებს და ბავშვებს; ანუ, ჩემი შრომით მინდა მივაღწიო იმას, რომ მსოფლიოში ცნობილი, პოპულარული მომღერალი გავხდე, მოვაგროვო მილიონები და ვიყო ქველმოქმედი. ქველმოქმედება ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია. ასე რომ, ძალიან ბევრი მილიონი მინდა სხვებისთვის *(იცინის).*

**– გავიგე, მეუღლეს დაშორდი. ამერიკაში წასვლა ხომ არ იყო ამის მიზეზი?**

– ჩემს მეუღლესთან, გიგისთან ერთად, სამი წელი ვიცხოვრე და ეს პერიოდი ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, მაგრამ, მოხდა ისე, რომ დავშორდით. ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის რაღაც იწყება და მთავრდება, სამწუხაროდ. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. რაც შეეხება მიზეზს, ხანდახან საყვარელი ადამიანიც კი ვერ გიგებს, არ ესმის შენი და, შენთვის მნიშველოვან და საჭირო მომენტში, ის უცხო ხდება. საყვარელი მამაკაცი კი, ვფიქრობ, სულ შენ გვერდით უნდა იყოს. რაც შეეხება ამერიკაში ჩემს წასვლას, შეიძლება, ითქვას, რომ ქმართან დაშორების მიზეზია – მოკლედ, ვერ მოთოკა ემოციები, არც ამერიკაში უნდოდა წამოსვლა და ვერ გათვალა, რომ იმ ქვეყანაში წასვლით მე ჩემს კარიერაში დიდ ნაბიჯს გადავდგამ.

**– ალბათ, ძალიან მტკივნეულია, როცა სამი წელი საყვარელ მამაკაცთან ცხოვრობ და, ერთ დღესაც, მიხვდები, რომ ის შენ გვერდით აღარ არის. ღირდა ამერიკა ამად? ანუ, საყვარელი მამაკაცის დაკარგვად?**

– იცით რა, მარტო ამერიკა არ არის დაშორების მიზეზი. ხანდახან ადამიანები ვერ გიგებენ, არ გექცევიან ისე, როგორც უნდა მოგექცნენ, როგორც იმსახურებ და ასე შემდეგ. რთულია მიზეზებზე საუბარი, მაგრამ, ძალიან მტკივნეულია, როცა გინდა, რომ საყვარელმა მამაკაცმა შენთვის მნიშვნელოვან საკითხებში გაგიგოს და სწორედ ამაში ვერ გიგებს. ჯერ 23 წლის ვარ და ახლა ვიწყებ ცხოვრებას, თან, კარგი შანსი მომეცა ბერკლის სახით და ამას ხელიდან ვერ გავუშვებ – ამერიკაში ჩემი პირადი და კარიერული ცხოვრებაც უნდა ავაწყო.

**– ანუ, არ იცი რამდენ ხანს დარჩები ამერიკაში?**

– ჯერ არ ვიცი. სასწავლებლად ორი წელი უნდა ვიყო იქ და, მერე, თუ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც მე მინდა, არ არის გამორიცხული, სამუდამოდაც იქ დავრჩე. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი – ამერიკა ხელგაშლილი მელის და მეც მივდივარ. არც გარდერობი შემიცვლია და არც წონაში დამიკლია გამგზავრების წინ – ისეთი სალომე მივდივარ შორეულ ამერიკაში, როგორსაც მიცნობთ. იქ რომ ჩავალ, მერე ვიფიქრებ დიეტასა და შოპინგზე *(იცინის).* არ გეგონოთ, მიმაჩნდეს, რომ საქართველოში როგორც მომღერალი არ დამაფასეს და ამიტომ მივდივარ. აქ არ არის სათანადო ატმოსფერო ჩემთვის. მხოლოდ დაფასება არ შველის მომღერალს, სცენა და სივრცე უნდა აძლევდეს გასაქანის საშუალებას. მაგრამ, როცა ნიჭი გაქვს და გასაქანი არა, აუცილებლად უნდა მოძებნო ადგილი, სადაც შენი ნიჭისთვის დიდი სივრცეა, "გადმოღვარო" ის და განავრცო. ამერიკა ჩემთვის სწორედ ასეთი ადგილია.

**ნონა დათეშიძე**



გვ. 78

რა უცნაური მოთხოვნებით მიმართავენ გოგონები ოთო გვარაძეს და რით ცდილობს ის მათთვის რთული პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ გადაქცევას



გვ. 71

როდის გახდება მარკუს მეტრეველი მრავალშვილიანი მამა და როგორ ცხოვრობს ის ეგვიპტური წარმოშობის არისტოკრატ ფრანგ ქალბატონ შეილასთან ერთად

ISSN 1987-569X
9 771987 569002



გვ. 23

რატომ უწევდა თეკლა ჩიჯავაძეს დღეში უამრავი კაბის გამოცვლა და როგორ გააკეთა ანა შელიამ მილანში „მისონისა“ და „ზუჰაირ მურადის“ ლუქ-ბუქები

საქართველო ბეჭედ... ...ცალ... და თბილ... – შიგ ჩასმული ბადახში...

# თბილისელები

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათო... 11 – 17 აგვისტო №32 (711) * ფასი 1,50 ლარი